



ქართული
ჟურნალური
დაცემანტუნა



ვანტანუ
გურიკუ



მორეკონსტრუქცი



გამომცემლობა „საბოთა საქართველო“
თბილისი 1987

მოგონებები მოიცავს დროის მონაკვეთს ოციანი წლების დასაწყისიდან დღემდე. მკითხველი გაეცნობა ოციანი-ოცდაათიანი წლების თბილისს, მის გარეგნულ სახეს, მის კულტურას — მაშინდელი სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებას, ქართული მწერლობის, ხელოვნებისა და მეცნიერების ბევრ წარმომადგენელს, რომელთაც ავტორი პირადად იცნობდა, ქართული საბჭოთა არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ეტაპებს როგორც ომამდელ, ისე ომის მომდევნო ხანაში, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარებას საბჭოთა საქართველოში, მის პრობლემებს, მთავარ წარმომადგენლებს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის — ქართული ხელოვნების მეცნიერული კვლევის მთავარი ცენტრის — დაარსებისა და მოღვაწეობის ამბავს; მოთხრობილია ავტორისა და მისი კოლეგების ექსპედიციების შესახებ. ბოლო ნაწილის თემაა ქართული ხელოვნება საერთაშორისო ასპარეზზე; ნაამბობია ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმების, გამოფენებისა და გამოცემების შესახებ. მთლიანად წიგნი აშუქებს ქართული საბჭოთა კულტურის ისტორიის ფურცლებს ბოლო 60 წლის მანძილზე.

ვეძღვნი ჩემი მშობლების,
მასწავლებლებისა და ადრე წასული
მეგობრების ხსოვნას.

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

1. დანაწესისი. ჩენი ოჯახი და მისი გარემო

დავიბადე ქუთაისში 1914 წლის 30 (ძველი სტილით 17) მაისს. მამაჩემი, შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვუკოლბერიძე, მაშინ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ქართულის მასწავლებლად იყო მას შემდეგ, რაც პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტი დაამთავრა; დედა — ელისაბედ ჩხეიძე (მას ბოლომდის ყველა ლიზიკოს ეძახდა) ადრე აგრეთვე მასწავლებლობდა, გათხოვების შემდეგ კი ოჯახს აღარ მოსცილებია. მესამე ადამიანი, რომელსაც ჩემს ცხოვრებაში მშობლებზე არანაკლები ადგილი ეჭირა, იყო მამიდაჩემი კატო, შემდეგში ცნობილი პედაგოგი — იგი დიდხანს მასწავლებლობდა თბილისის მესამე საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში (ისიც ქართულს ასწავლიდა). მისი ძმისშვილები და ჩემი თაობის სხვა ნათესავები მას მანიანს ეძახდით. აი ეს სამნი — დედა, მამა და მანიანა — ჩემთან ერთად შეადგენდნენ ჩენს ოჯახს, ისინი იყვნენ დიდი ხნის განმავლობაში ჩემი ცხოვრების უმთავრესი მოქმედი პირნი (და-ძმა არ მყოლია).

ჩემი ნათლია დიმიტრი უზნაძე იყო. მშობლების ნაამბობით ვიცი, რომ ნათლობაში არაჩვეულებრივად მზიარულობდა და ცეკვავდა ალექსანდრე ჭანელიძე — ორივენი მამას უახლოესი მეგობრები იყვნენ მზინაც და შემდეგშიაც, მათი ცხოვრების ბოლომდე.

ჩენი ოჯახი მეგობრობდა აგრეთვე ცნობილი საზოგადო მოღვა-

წის გრიგოლ გველესიანისა და პედაგოგის გიორგი სვანიძის ოჯახებთან.

მე თვითონ იმდროინდელი ქუთაისისა თითქმის აღარაფერი მახსოვს — ოთხი წლისა ვიყავი, როდესაც თბილისს გადმოვსახლდით. ვიცი მხოლოდ, რომ ვცხოვრობდით „ყაფანთან“, იქ, სადაც ახლა ილია ჭავჭავაძის ძეგლი დგას, წიქორიძეების სახლში, რომელიც მაშინ ბევრად უფრო დიდი მეჩვენებოდა, ვიდრე ნამდვილად აღმოჩნდა, როცა დიდი ხნის შემდეგ ვნახე. ძალიან ბუნდოვნად მაგონდება რაღაც დემონსტრაციის მსგავსი ქუჩაში, მგონი სასულე ორკესტრიც, რომელიც მარშს უკრავდა... იქნებ ეს 1917 წლის რევოლუციასთან დაკავშირებული „მოდრაობა“ იყო.

1918 წლიდან მამა თბილისს გადმოვიდა საცხოვრებლად და, ბუნებრივია, ჩვენიც მასთან ერთად გადმოვბარგდით. მას შემდეგ — თუ ცალკეულ ხანმოკლე მოგზაურობას ან საზაფხულო არდადეგებს არ ჩავთვლით — თბილისიდან ფეხი არ მომიცვლია. ვერც წარმომედგინა და, მით უფრო დღეს ვერ წარმომიდგენია სხვაგან სადმე ცხოვრება.

მამამ განათლების სამინისტროში დაიწყო მუშაობა — სამინისტროს დირექტორი იყო. დანამდვილებით არ ვიცი, რა მოვალეობა ეკისრებოდა მას; მგონი, მინისტრისა და მისი ამხანაგის (მაშინ ასე ერქვა მოადგილეს) შემდეგ ყველაზე დიდი თანამდებობა ეს უნდა ყოფილიყო. 1921 წლიდან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან, მან განაგრძო სამსახური განათლების სახალხო კომისარიატში და კარგა ხანს სათავეში ედგა სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს. ბევრ სხვა საქმესთან ერთად, ამ სამმართველოს ეკისრებოდა მუზეუმებისა და არქივების მოვლა და კულტურის ძეგლთა დაცვა-პატრონობა. იმ წლებში ეს განსაკუთრებით რთული, საპასუხისმგებლო, მრავალ სიძნელესთან დაკავშირებული საქმე იყო. მამამ მას დიდი ენერჯია შეაღია და ბევრი რამ სასარგებლო გააკეთა კიდევც.

ჩვენი პირველი ბინა თბილისში კადეტთა კორპუსის შენობაში იყო. ეს ის დიდი, ძველებური ორსართულიანი სახლია, რომელსაც მთელი კვარტალი უჭირავს რუსთაველის პროსპექტსა, ლუნაჩარსკის, ძნელაძისა და გერცენის ქუჩებს შორის. რუსთაველის პროსპექტზე მისი ფასადი ოპერის თეატრსა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობას შორის არის მოქცეული. XIX საუკუნის შუა ათეული წლების ნაგებობაა, რომელსაც მას შემდეგ არც უცვლია სახე. ჩვენი ბინა ქვემო მხარეს იყო — მესანგრეთა (ახლანდელი ძნელაძის) ქუჩაზე, ბე-

ლეტაში. მეხსიერებაში განსაკუთრებით ჩამრჩა არაჩვეულებრივად ღრმა რაფები სარკმლებისა (მაშინდელი სახლების კედლები, თითქმის ყოველთვის, ძალიან სქელია), იმიტომ, რომ ამ რაფაზე „მოლინად“ ვთავსდებოდი და ვთამაშობდი — ეს ჩემი ოთახივით იყო. მანინას ცალკე ოთახი ჰქონდა ჩვენთანვე.

უზარმაზარი ეზო. უამრავი მდგმური — კადეტთა კორპუსის გაუქმების შემდეგ შენობის უმეტესი ნაწილი ბინებად გამოიყენეს, რუსთაველის პროსპექტის მხარეს კი ერთხანს განათლების კომისარიატი იყო მოთავსებული.

იქ ორი თუ სამი წელიწადი ვიცხოვრეთ. მეორე ბინა, სადაც, მგონი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადავედი, ქალაქის საბჭოს შენობის უკან იყო — მაშინდელი სახელების მიხედვით — ველიამინოვისა და განოვის ქუჩებს შუა (ყველა ასე ამბობდა რუსული სახელწოდების მიხედვით, თორემ ნამდვილად ქართულად „ჰანის ქუჩა“ უნდა თქმულიყო — ჰანი, რამდენადაც ვიცი, სენატორი იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნეში). ახლა ეს დადიანისა და გალაკტიონის ქუჩებია. თვით სახლი XIX საუკუნის დასასრულის ევროპული ყაიდის ნაგებობა იყო, გარედან სპეციფიკური „თბილისური“ იერის გარეშე, მაგრამ აქაც მოზრდილი ეზო და ეზოს მხარეს ხის დიდი აივნები იყო, ეზოს შუაში კი პატარა შემოღობილი ბაღი და მრგვალი აუზი — ერთიც და მეორეც მოუვლელი.

ჩვენი მეზობლები იყვნენ: „რუბენ სოლომონოვიჩ“ გეურქოვი — გაურკვეველი ხელობის კაცი, პატარა, მხიარული, თბილისელი სომხის ქართული მეტყველებით და სომხისთვის უჩვეულო უღარდლობით; მისი ცოლი — მადამ ბილევეჩი, „ლუიზა ადამოვნა“, უკვე ხანში შესული, წითელთმიანი პოლონელი ქალი, მეკრავი, რომელიც არჩენდა თავის თავსაც და ქმარსაც. კეთილი ხალხი იყო. მგონი, ჩვენ რომ ჩავგვასახლეს იქ — იმათ ჩამოართვეს ოთახები, მაშინ ბინების „შევიწროვება“, მით უფრო, თუ ბინა „ბუჩუქუაზის“ წარმომადგენლებს ეკუთვნოდა, ჩვეულებრივი ამბავი იყო. მიუხედავად ამისა, ძალიან კარგი განწყობილება გვქონდა. იმ რუბენს ოდესღაც შვილი დაჰკარგოდა (შვილი სხვა ცოლისგან ჰყავდა), მგონი, მანჭურიაში. უფრო გვიან, როცა იქ აღარ ვცხოვრობდით, გავიგეთ, რომ ამერიკაში აღმოჩენილიყო: ვილაცას ენახა ამერიკის სომხურ გაზეთში მისი სურათი, თუ ცნობა მის შესახებ. რუბენის სიხარული ადვილი წარმოსადგენია. ვკითხე, როგორ გგონიათ, ეს სომეხით-მეთქი? — ვა, როგორ არ ვეხსოვები, ყმაწვილი რომ იყო, საათი მიჩუქებიაო.

კიდევ: ზემო სართულში — მუსიკის მასწავლებელი იერუსლან ლაზარეს ძე პორტუგალოვი — ფრიად ინტელიგენტი და კეთილგანწყობილი კაცი, ებრაელი, რომელიც მეგობრობდა ჩვენს ოჯახთან. სურათებს აგროვებდა და ორი სურათი აჩუქა მამას, ორივე დიდად დასაფასებელი: ერთი — ჰორშელტის აკვარელი — „ქუთთი“, მეორე კი XIX საუკუნის მშვენიერი თბილისური პორტრეტი მოქალაქისა, მით უფრო საინტერესო, რომ იგი ხელმოწერილია მხატვრის მიერ: „მიხაილ ბასტამოვი“. აქამდე ვერ მოვიცალე ამ პორტრეტისთვის, რომ დამედგინა მხატვრის ვინაობა: მაშინდელი ხელმოწერილი პორტრეტი ძალიან ცოტაა (ავნათამოვის ორიოდე პორტრეტი!), ამ ბასტამოვის სახელი კი სხვაგან არსად შემხვედრია. ორივე სურათი ახლაც ჩემს ოჯახშია. თუ არ ვცდები, სახლი ეკუთვნოდა ცნობილი ქართველი მეცნიერების — ბიძინა და დარეჯან რამიშვილების — მამას, მაგრამ დარეჯანი ბევრად უფრო გვიან გავიცანი. ცხოვრობდა კიდევ რამდენიმე რუსი ებრაელის ოჯახი — ზოგს რალაც მალაზია ჰქონდა, ერთი კი, პორტუგალოვის და, მამას დიდი მეგობრის კოწია თუმანიშვილის მეუღლე, კბილის ექიმი იყო. ძველ თბილისში, როგორც ჩანს, გარკვეული „ეროვნული სპეციალიზაცია“ შემუშავდა. იგი განაგრძობდა არსებობას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც, განსაკუთრებით „ნების“ დროს: კბილის ექიმები, ბევრნი მაინც, ებრაელები იყვნენ, აფთიაქები უმეტესად გერმანელებისა იყო: ზემელისა — მისი სახელი ხომ რუსთაველმაც ვერ „ამოავდო“; მოედანს რუსთაველისა ეწოდება, მაგრამ იმ ადგილს უმეტესობა ახლაც „ზემელს“ უწოდებს, თუმცა თითქმის აღარავინ არ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვა; ოტენისა, ვილარეტისა; ფოტოგრაფებიც ებრაელები იყვნენ — კოზაკი თავისუფლების მოედანზე, შიხმანი პუშკინის ქუჩაზე... მაგრამ იყო ყვანიაც, რუსთაველის პროსპექტზე — მისი ფოტოგრაფია დღესაც განაგრძობს არსებობას, თუმცა, ცხადია, კერძო კუთვნილება აღარ არის.

ჩვენი მესამე ბინა, სადაც 1923-დან 1926 წლამდე ვიცხოვრეთ, ბებუთოვის (ახლანდელი ენგელსის) ქუჩაზე იყო, მის დასაწყისში, № 5. ეს სახლი და იქ გატარებული წლები უკვე კარგად მახსოვს, იმიტომაც, რომ წლები მომემატა, და იმიტომაც, რომ იქ ცხოვრება ჩემთვის უფრო საინტერესო იყო.

სახლი ეკუთვნოდა სპარსეთის ქვეშევრდომს, შავწვერა (იქნებ შეღებილიც ჰქონდა) ებრაელს — ელიაზაროვს: ზემოთ, მესამე სართულზე ცხოვრობდა. სულ ქვემოთ, ეზოს მხარეს, მიწის დონეზე, მისი ღარიბი ძმის, ალბათ, წერილი კომერსანტის, ბინა იყო. სხვა „სპარსე-

ლი ებრაელებიც“ იყვნენ (მოგვიანებით, რამდენადაც ვიცი, ყველა გადასახლდა კიდევ სპარსეთში). მათ შორის ერთი მშვენიერი, ათიოდე წლის ხუჭუტომიანი გოგონა ესთერი (ანუ, როგორც დედამისი ეძახდა, ისტაპარი — იშტარი!). იყო კიდევ ძალიან კარგი სამეგობრო ბიჭი სტიოპა მირზოევი. ქართული ყველამ იცოდა. ახლა ძალიან მიკვირს, მაგრამ მე ვიყავი ეზოს ბავშვების მეთაური.

იმ ძველთბილისურ სახლებში, რომლებსაც ეზოს შემოყოლებით ხის ფართო აივნები ჰქონდა, ყველა ყველას თვალწინ ცხოვრობდა, თითქოს ერთ დიდ ოჯახად. ამიტომ ერთმანეთს ყველა იცნობდა. ახლანდელი მრავალსართულიანი სახლების გათიშულობა მაშინ უცნობი იყო. ამიტომ მასსოვს მაშინდელი მეზობლები, მაგალითად, მილიციონერი ს. ბ., დათვივით კაცი, კეთილი და უწყინარი, მისი ისტერიული ცოლი, რომლის წივილ-კივილი ეზოს ცხოვრების ყოველდღიურ პროგრამაში შედიოდა, მათი პატარა ბიჭი, რომელიც ერთხელ, როცა სახანძრო რაზმი მოვიდა (უმნიშვნელო ხანძარი იყო), აივანზე დარბოდა და ბოხი ხმით ტიროდა: „პაჟარმანდალი მევიდააა“.

იყო უფრო საინტერესო ხალხიც: დიდად ინტელიგენტი უშვილო ცოლ-ქმარი — ტიგრან შაჰნაზაროვი და სოფიო ეფრემის ასული ტაბ-ტაპოვა. მეგობრები ვიყავით. ის ქალი ძალიან მიყვარდა და დღემდე შემომრჩა მისი ნაჩუქარი პატარა დასურათებული წიგნაკები ესპანური არქიტექტურის შესახებ. ჩვენი ბინის თავზე, ზემო სართულში, ორი ოთახი ეკირათ მოხუცებულ „ელიზავეტა მიხაილოვნა“ დემუროვას, ლამაზ კლარა სომხის ქალს, ძველებური დარბაისლური თბილისური მეტყველებით, და დედამისს, ას წელს მიტანებულს... ამ ტიპის ძველი თბილისელები უკვე კარგა ხანია გადაშენდნენ. მათსავე ბინაში იყო შეკედლებული მათიკო აბაშიძე, ერთი ყველაზე საყვარელი ადამიანთაგანი ჩემთვის დედას ნათესაეებს შორის.

იმ დროიდან ოჯახური მყუდროებისა და სითბოს გრძნობა შემომრჩა. მას ჰქმნიდა ფიზიკური, „ინტელიგენტური“ გარემოც: მამას კაბინეტი, ვიწრო პატარა ოთახი, სადაც ერთი კედელი მთლიანად წიგნების თაროს ეკირა; საწერ მაგიდაზე მინის მწვანე აბაჟურიანი ნათურა, რომლის „მყუდრო“ შუქი ეფინებოდა დაბინდულ ოთახს; მეორე, უფრო დიდი და ფართო, ნაჭრისაგან შეკერილი აბაჟური სასადილოს შუაში, მაგიდის თავზე; ძალიან თავისებური ბუფეტის კარადა „ქართული სტილისა“, რომელიც ხონის სახელოსნო სასწავლებლის მოწაფეთა გაკეთებული იყო (არ ვიცი ჩვენთან როგორ აღმოჩნდა) — ჰქონდა ფრონტონი, მის ქვეშ „თალი“, რომელიც მთელ ამ ნაგებობას ორად

ჰყოფდა, კიდევბზე აყოლებული გრეხილები და რაღაც ვარსკვლავები, რომელთაც აშკარად არაფერი არ ჰქონდათ საერთო ქართულ მოტივებთან. საკმაოდ კურიოზული ნაწარმოები იყო, მაგრამ ჩვენს საოჯახო „ღირსშესანიშნაობად“ ითვლებოდა თავისი უნიკალურობის გამო; ძველებური საქანელა-სავარძელი ჩალის წნული ზურგით (ახლს უკვე, რატომღაც, გამქრალი სახეობა ავეჯისა), რბილი ტახტი მუთაქებით, როიალი, რომლის უმთავრეს ღირსებას ის შეადგენდა, რომ ზაქარია ფალიაშვილის კონსულტაციით იყო შექმნილი, კედლებზე რამდენიმე რეპროდუქცია...


მაგრამ მთავარი, ცხადია, „სულიერი“ მხარე იყო, ის ატმოსფერო, რომელსაც ჰქმნიდნენ თვით ჩემი მშობლები. სათამაშო ცოტა მქონდა, მიყვარდა უფროსებთან ყოფნა და მათი მოსმენა, მით უფრო, რომ სახლში ბავშვი ჩემ გარდა არავინ იყო. მშობლების მზრუნველობა არ მაკლდა, ჩვენი მრავალრიცხოვანი ნათესავისა და მეგობრისგანაც, რომლებიც ხშირად გვეწვეოდნენ ხოლმე (მაშინ სტუმრობისათვის, „ვიზიტებისათვის“ ხალხს მეტი დრო ჰქონდა), მხოლოდ სიყვარული და სიკეთე მახსოვს. მაგრამ მშობლებს არასოდეს არ გავუწევიერებია, არც ზედმეტი ალერსი მიგრძენია (მამამ არც კი იცოდა მოფერება და, მით უფრო, კოცნა). ამისთვისაც დიდად მადლიერი ვარ მშობლებისა.

ჩვენი სახლი სტუმართმოყვარე სახლი იყო. მამას იმ წლებში მოლხენაც უყვარდა. განსაკუთრებით მზიარულად ატარებდნენ დროს, როდესაც ექიმები შეიკრიბებოდნენ ხოლმე — ზოგ მათგანს ჩემი მშობლები ადრევე, ახალგაზრდობიდანვე მეგობრობდნენ და კიდევ უფრო დაუახლოვდნენ, როდესაც მამამ ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაიკეთა. ყველაზე უფრო დაახლოებულნი ჩვენს ოჯახთან იყვნენ ქირურგი გიორგი ხეჩინაშვილი, გასაოცრად მიმზიდველი, გულისხმიერი ადამიანი, მტკიცე მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე კაცი [ცოტა უფრო ჯვიან მან ცოლად შეირთო ინა (ისია) ნაზარიშვილი, ცნობილი ქუთაისელი ექიმის ქალიშვილი, არაჩვეულებრივად ეფექტური გარეგნობის მანდილოსანი — დედოფალივით იყო! კინოშიაც თამაშობდა („ჯანყი გურიაში“); მისი პორტრეტები ქეთო მაღალაშვილმა შეასრულა. ისიც დაუმეგობრდა ჩვენს ოჯახს]; სოსო ასლანიშვილი — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, ალბინისტი, ექიმი, რომელმაც განუზომელი ამაგი დასდო სვანეთს — მისი დამსახურება იყო უმთავრესად, რომ იქ ჩიყვი და მისი უმძიმესი შედეგები მოისპო; მისი რედაქტორობით ქუთაისში 1919 წელს გამოვიდა „ხელოვნების ყოველთვიური ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“. მისი ერთადერთი ეგზემპლარი № 1,

რომელიც მე შემომჩა, საინტერესოა ახალი ქართული ხელოვნების — თეატრის, მუსიკის, მხატვრობის — ფაქტების გასაცნობად; გამოქვეყნებული ჰქონდა წერილები ქართული ალბინიზმის შესახებ; მისივე რე-



გიორგი ხეჩინაშვილი



ალექსანდრე ჯანელიძე

დაქციით გამოიკა 1925 წელს თბილისის გზამკვლევი... ელეგანტური კაცი იყო, ნამდვილი ჯენტლმენი, ყველასთვის საყვარელი... სამოცდაერთისა თუ ორისა დაიღუპა მანქანის ავარიის დროს — ჯერ კიდევ სიცოცხლით საესე, ფიზიკურად ჭაბუკივით შენახული... გიორგი ნაზარიშვილი — შემდეგში ცნობილი პროფესორი-რენტგენოლოგი, რომლისგანაც ბევრი სიტბო და სიკეთე მახსოვს... ზოგჯერ მათ სხვებიც შემოუერთდებოდნენ. იყო ხუმრობა, სიცილ-ხარხარი, სილაღე — ახალგაზრდები იყვნენ ჯერ კიდევ — ოცდაათს ოდნავ გადაცილებულნი.

განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში ჯერ კიდევ იმ დროიდან ალექსანდრე ჯანელიძე, რომელთანაც მის გარდაცვალებამდე მაკავშირებდა დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა. პატარა ტანის

* მეგობრული შარეები და ჩანახატები ვ. ბერიძისა.

ჯმუხი კაცი აყო, სრულიად მელოტი, სუფთად გაპარსული. როგორღაც „ირიზად“ იცოდა გაღივება, ზოგჯერ ირონიულადაც. ღიმილი ერთბაშად გაუნათებდა ხოლმე სახეს. მისი, როგორც მეცნიერის, ქართული გეოლოგიური სკოლის დამფუძნებლის, ჩვენი ეროვნული კულტურის დიდი მოღვაწის სახელი საყოველთაოდ არის ცნობილი. ვინც მას პირადად შეხვედრია, მისმა მოწაფეებმა, თანამშრომლებმა, კოლეგებმა, ყველამ იცოდა ისიც, რომ გამორჩეული პიროვნება იყო, მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინდივიდუალობა, ძლიერი ნებისყოფის, ურყევად შემუშავებული შეხედულებებისა და პრინციპების მქონე კაცი, რომელიც თანაბარი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დიდ საქმესაც და მცირესაც, რომლისთვისაც არ არსებობდა არაფერი სასხვათაშორისო. მასა და სხვებს შორის ყოველთვის რაღაც დისტანცია რჩებოდა, მისთვის სრულიად უცხო იყო ყოველგვარი ფამილარობა. მას ყველა მორიდებით ეკიდებოდა, ზოგი შეიძლება შიშითაც — ზოგჯერ მწარე, დამცინავი ენა ჰქონდა. პატრიოტი იყო, ამ სიტყვის მაღალი გაგებით, და იმავე დროს ფრიად სკეპტიკურად ეკიდებოდა მრავალ „მშობლიურ“ მოვლენას (რა თქმა უნდა, გულისტკივილით). მასთან პირველი შეხვედრისა და დალაპარაკებისთანავე დიდი შინაგანი ძალი-სა და მნიშვნელოვანების შთაბეჭდილება გრჩებოდა. ამ შთაბეჭდილების ერთი უმთავრესი კომპონენტთაგანი იყო, რა თქმა უნდა, მისი ნათელი, უდრეკად ლოგიკური აზროვნება.

ცხადია, ეს ყველაფერი ჩემთვის ბევრად უფრო გვიან გახდა მისაწვდომი. მაშინ კი, შორეულ ოციან წლებში, ჩემთვის ის იყო, „ბიძია ალექსანდრე“, რომელიც გულითადად, ყურადღებითა და ინტერესით მეკიდებოდა მე, პატარა ბავშვს და, უეჭველია, სხვა ბავშვებსაც. ეს „დამალული“ სიტბო, რომელიც მას ბევრ სხვა შემთხვევაშიაც (არა მარტო ბავშვებთან ურთიერთობაში) გამოუჩენია, დამახასიათებელი იყო ალექსანდრე ჯანელიძისათვის.

მე დღემდის მაქვს შენახული მის მიერ 1920 წელს ჩემთვის პარიზიდან გამოგზავნილი ორი საბავშვო წიგნი — ერთი გასაფერადებელი, მეორე კი გადასაყვანი სურათებით და წარწერით: „ვატოს ბიძია ალექსანდრესაგან“. ძალიან მკაფიოდ აღმებეჭდა მეხსიერებაში მისი ერთი სტუმრობა, როცა სახლში ჩემ გარდა არავინ იყო. ის მაინც დარჩა ჩემთან, ორ საათს, თუ მეტი არა, დაჰყო, მიაშობდა ჭელიაღელის ტბასთან დაკავშირებულ რაჭულ გადმოცემებს, სხვა ამბებს — ზოგს სასაცილოს, ზოგს ცოტა „სასწინელსაც“, და მეც თვალედაჭყეტილი და სულგანაბული ვუსმენდი. უფრო გვიან, ჩემი სტუდენტობის დროს,

როცა ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით, საუბრის თემად ხშირად ხელოვნებაც იყო, მიაშობდა პარიზულ შთაბეჭდილებებს, ხელოვნების შესახებაც საკუთარი შეხედულებები ჰქონდა. ეს ფართოდ განათლებული, მულამ მოაზროვნე ადამიანი ფიზიკურადაც ძლიერი იყო: მისი ავადმყოფობა არც გამოიგონია, სანამ ხანში არ შევიდა. თვითონ ვერის უბანში ცხოვრობდა, ვარდისუბნის ქუჩაზე, ბელეტაჟში ჰქონდა პატარა ბინა, წიგნებით სავსე... მისმა მოზობლებმა გულთბილი, ალერსიანი შეხვედრა იცოდნენ. ორივემ ღრმა მოხუცებულობას მიაღწია. სამწუხაროდ, ალექსანდრეს პირადი ცხოვრება ვერ აეწყო: ცოლი გვიან შეირთო და ადრევე გარდაეცვალა, ომის დროს, 1944 წლის მარტში. და მერე, სულ ბოლომდე, თავის დისშვილებთან ერთად ცხოვრობდა.

ასევე სიყვარულით ვიგონებ მამას მეორე მეგობარს კოწია თუმანიშვილს. ვეჭილი იყო, ძველი ფორმაციის ქართველი ინტელიგენტი. აბურძგვნილი ყლადი წვერი და ჩამოშლილი წარბები ჰქონდა. გარეგნულად „ჩაკეტილი“, თითქოს გულჩათხრობილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. დაუდევრად ეცვა, მაინცდამაინც არ იწუხებდა თავს „შესახედაობისათვის“. მაღალი კულტურისა და მახვილი გონების ადამიანი იყო. ალექსანდრე ჯანელიძესავით ჩემთან საგანგებოდ არ საუბრობდა, მაგრამ ერთხელ, ჩემი დაბადების დღეს, მოვიდა და თან მოიტანა ილიაში ამოჩრილი სამი უშველებელი ტომი: გასული საუკუნის ბოლოს გამოცემული „ხელოვნების ისტორია“ რუსი ავტორის გნედიჩისა. საჩუქარმა ჩემზე, ბუნებრივია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დიდი სიხარული მომანიჭა. გნედიჩისეული ტექსტი არა მარტო პოპულარულია, არამედ დილექტანტურიც, მაგრამ ბიოგრაფიული ხასიათის ცნობებს კი უხვად შეიცავს. ამას გარდა, ამ სამ ტომში, რომელშიაც თხრობა XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე აღწევს, უამრავი ილუსტრაციაა, იმ დროისთვის ძალიან კარგი ხარისხისა. აი ეს ილუსტრაციები გადაიქცა ჩემთვის უდიდესი ინტერესის საგნად, შეიძლება ითქვას, შემოიჭრა და გარკვეული ადგილიც დაიჭირა ჩემს ცხოვრებაში. საათობით შემეძლო მათი თვალიერება, მალე უკვე ზეპირად მახსოვდა რომელ ტომში სად რა ეხატა, ვიმახსოვრებდი მხატვრების ბიოგრაფიებსაც... ეს იყო თავისებური „მორეული მიახლოება“ ხელოვნების ისტორიასთან. ამ წიგნებთან დაკავშირებით ერთი შემთხვევაც მაგონდება: დედას ჰყავდა მოხუცი დეიდაშვილი, რომელიც დროდადრო გვესტუმრებოდა ხოლმე. ძალიან კეთილი, დიდად მორწმუნე და საკმაოდ პრიმიტიული ქალი იყო. ერთხელ, როცა მოვიდა — ესეც ჩე-

მი მოწაფეობის დროს იყო — შინ მარტო მე დავხვდი. უფროსების მოლოდინში გადავწყვიტე როგორმე გამერთო, მით უფრო, რომ მე თვითონ ვაკვეთილები მქონდა მოსამზადებელი. სხვა ვერაფერი მოკიფიქრე და გნედიჩის ერთი ტომი მივაჩეჩე. ვიცოდი, რომ წიგნის ქალი არ იყო, მაგრამ ვიფიქრე, სურათების დათვალიერებით მაინც შეიქცევეს თავს-მეთქი. ეფექტი სრულიად მოულოდნელი გამოვიდა: როცა ცოტა ხნის შემდეგ დავბრუნდი მასთან, დავინახე, რომ ის ფრთხილად შლიდა ფურცლებს და ყოველ ფურცელს მოწიწებით ემთხვეოდა. თურმე იმ ფურცლებზე რაფაელის მადონების რეპროდუქციები იყო.

ჩვენი ოჯახი ადრევე დაახლოებული იყო ნიკოლაძეების ოჯახთან, რომელიც ჩვენგან სულ ახლო ცხოვრობდა, ახლანდელი იგალაკტიონის ქუჩის ბოლოს. თბილისში ძნელად თუ მოიძებნებოდა სხვა ასეთი (ასეთი დონის!) კულტურული კერა: ოჯახი, რომელსაც შეადგენდნენ თვით ნიკო ნიკოლაძე და მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი, მათი შვილები რუსუდანი, გიორგი და თამარი, მათი ორი სიძე — მიხეილ პოლიევქტოვი (რუსუდანის მეუღლე) და ნიკო მუსხელიშვილი (თამარის მეუღლე)! პოლიევქტოვების ვაჟი ნიკი კი, რომელიც ახლა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკოსია, ჩემზე ერთი-ორი წლით უმცროსი, ჩემი მეგობარი იყო.

ნიკო ნიკოლაძის დები კატო და ანიჩკა, ორივენი გაუთხოვარნი, ჯერ კიდევ ქუთაისში ყოფნის დროს განათლების ასპარეზზე იღვწოდნენ, მგონი პანსიონიც ჰქონდათ. ბავშვობაში მათთან ცხოვრობდა დეიდაჩემი ელენე, მაშინ დაუახლოვდა იმ ოჯახს დედაჩემიც, რომელიც რუსუდანზე ერთი წლით უმცროსი იყო. თბილისში კი მამასა და რუსუდანს უხდებოდათ ერთად მუშაობა, განსაკუთრებით, ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დადგენის დროს.

მე ნიკოლაძეებთან შეხვედრის ორი „ასპარეზი“ მქონდა: თვეში ერთხელ თუ ორჯერ დავდიოდი კატოსა და ანიჩკასთან (ისინი სულ ახლო ცხოვრობდნენ, ბებუთოვის ქუჩაზევე) — ეს რიტუალივით იყო. უკვე ძალიან მოხუცებულები იყვნენ. კატო გამხდარი, დალეული, სახედანაოჭებული, სულ იწვა — ულამაზო იყო, მკვახე ხმა ჰქონდა, თავის დროზე დიდად აქტიური და ენერგიული იქნებოდა. ანიჩკა, კატოზე უფროსი, სრულიად განსხვავდებოდა მისგან — ჩუმი, მორჩილი ქალი იყო, ბევრად უფრო რბილი გამომეტყველებით, ბეცი თვალებით... ნელა, უხმაურად, შეუმჩნევლად დადიოდა ოთახებში. სრულიად არ მახსოვს, რაზე ვლაპარაკობდით, ალბათ, საერთო ნაცნობ-ნათესავების შესახებ, იქნებ კატო რასმე მიაპობოდა კიდევ. ჩემთვის კი ის იყო

საკმარისი, რომ ეს პატარა, თითქოს არამატერიალური მანდილოსნები ნიკო ნიკოლაძის დები და აკაკი წერეთლის მეგობრები იყვნენ.

რა თქმა უნდა, ჩემთვის უფრო საინტერესო იყო „ძირითად“ ოჯახში სტუმრობა. გალაკტიონის ქუჩა, №21. ტიპური სოლოლაკური სახლი წარსული საუკუნის მიწურულისა: სამსართულიანი, სოლიდურად ნაშენი, „რენესანსულ-ბაროკული“ ფასადით, მოხატულკედლებიანი ვესტიბიულით, მარმარილოს კიბით, რომელიც ზემო შუქით ნათდება. თვით ბინა, მისი ატმოსფერო ჩემზე პიპნოზურად მოქმედებდა: უზარმაზარი შუა ოთახი, რომლის კედლებსაც სუდეიკინის მიერ შესრულებული ფრიზი შემოუყვება (ერთ დროს ამ ბინაში რალაც კაბარე თუ კლუბი იყო, მგონი); მის გარშემო კაბინეტები: რუსუდანისა, გიორგისა და — ჩემთვის ყველაზე უფრო მიმზიდველი — პოლიევქტოვისა. ძველი ფოტოსურათები, წიგნები, წიგნები, წიგნები... შუა ოთახი, რომელიც შუშაბანდიდან ნათდება — ცოტა არ იყოს ჩაბნელებული. აქ სასტუმრო-სასადილო იყო. ძალიან ვნანობ, რომ თვით ნიკო ნიკოლაძე რატომღაც არასოდეს არ მინახავს, თუმცა, როცა მე მათთან დავდიოდი, იგი ჭერ კიდევ ცოცხალი იყო (ყარგად მახსოვს, რომ მისი გარდაცვალების ამბავი 1928 წლის 1 აპრილს დილით ადრე მამას ტელეფონით აცნობა ნიკოს დისწულმა, ცნობილმა ინჟინერმა ბესარიონ ჭიჭინაძემ, ზაჰესის მშენებელმა). ჩემი აზრით, ეს კაცი — XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, კაცი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩერნიშევსკისთან, რომელიც იცნობდა გერცენს, გამბეტას, ერთი ყველაზე საკვირველ ქართველთაგანიც იყო და, იმავე დროს, გარკვეული თვალსაზრისით, ყველაზე მეტად ევროპელი იმდროინდელ ქართველ ევროპელთა შორის. დამოუკიდებელ ქვეყანაში იგი, უეჭველია, დიდი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწე იქნებოდა — საამისოდ არც ნიჭი აკლდა, არც ენერჯია (ტიტანური ენერჯია!), არც დინამიზმი, არც ფართო განათლება და მაღალი კულტურა.

გიორგი ნიკოლაძეს — გამოჩენილ მათემატიკოსს, ინჟინერ-მეტალურგს, გიმნასტიკისა და ალპინიზმის ერთ-ერთ პიონერსა და პროპაგანდისტს საქართველოში, პოპულარობით ბევრი ქართველი საზოგადო მოღვაწე ვერ შეედრებოდა. ჰერკულესივით კაცი იყო, აღნაგობა ანტიკური ქანდაკებისა ჰქონდა. ძალიან დინჯი ლაპარაკი იყო და, ახლაც მესმის მისი ბოხი, ცოტა ყრუ ხმა. მისი სიკვდილი მეხის დაცემასავით იყო — ორმოცდასამი წლისა გარდაიცვალა 1931 წლის თებერვალში, ფილტვების ანთებისაგან. მანამდე, მგონი, ავად არც არა-

სოდეს ყოფილა. მეხსიერებაში ჩამჩა ურიცხვ სამგლოვიარო განცხადებათაგან ერთ-ერთ — „ქართველი ალპინისტები დღეს ეთხოვებიან გიორგის“ — და დიდი პროცესია, რომელიც მის ცხედარს მისდევდა ჩუმაღ, უხმოღ.

ყველაზე უკეთ მე რუსუდანსა და მის მეუღლეს ვიცნობდი. რუსუდანმა დიდხანს იცოცხლა და 97 წელს მიახლოებული გარდაიცვალა 1981 წელს, როცა მისი თაობისა თითქმის აღარავინ იყო დარჩენილი.

ძნელი წარმოსადგენიც კი არის რუსუდანისთანა თავისებური ადამიანი. სპეციალობით ქიმიკოსი იყო, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კათედრას განაგებდა, მაგრამ მისი ინტერესების სფერო დიდად, შეიძლება ითქვას, უსაზღვროდ სცილდებოდა ამ ერთ დარგს. სწავლობდა პეტერბურგში, რევოლუციის მღელვარე დღეებს მოესწრო და ცდილობდა მოვლენათა შუაგულში ყოფილიყო. მაშინაც და შემდეგშიაც, ხანგრძლივი ცხოვრების მთელ მანძილზე, აინტერესებდა და იზიდავდა ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდებოდა — პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის სამყაროში. აინტერესებდნენ ადამიანები. ყველასა და ყველაფრის მიმართ განსაკუთრებით ემოციური დამოკიდებულება ჰქონდა, შეხედულებები ყოველთვის უკიდურესი, ასევე — სიყვარულიც და სიძულვილიც. ყველაფერი საშუალო და ზომიერი მისთვის უცხო იყო. ხანდახან უყვარდა ამ უკიდურესი აზრებით შოკირებაც — ერთხელ მითხრა, დღეს დუნაევსკი მირჩევნია ბეთჰოვენსო (ცხადია, არ დაუჯერე, რომ მართლა ასე ფიქრობდა). შესაძლებელი რომ იყოს ტემპერამენტისა და ენერჯიის ენერგეტიკული გარდაქმნა, რუსუდანის ტემპერამენტი და მოზღვაებული უშრეტი ენერჯია ერთ დიდ ელექტროსადგურს აამოძრავებდა. არასოდეს არ მინახავს დამშვიდებულნი. მუდამ შფოთავდა, ბობოქრობდა და იბრძოდა. იბრძოდა მაშინაც, როცა „მოწინააღმდეგე“ არავინ ჰყავდა. იმიტომ, რომ ეს ბრძოლა, ბობოქრობა მისი ბუნებრივი მდგომარეობა იყო. ისევე, როგორც მთელი მისი ოჯახი, რუსუდანიც ეროვნული საქმისთვის ზრუნავდა დაუცხრომლად — მისი ღელვისა და ბრძოლის საგანსაც, რა თქმა უნდა, საზოგადო საქმე შეადგენდა, პირადული კი — ძალიან იშვიათად. ოციან წლებში გატაცებული იყო პედაგოგიკის საკითხებით, საშუალო სკოლის რეფორმით... თუ მეხსიერება არ მღალატობს, როცა უფროსები საუბრობდნენ, სწორედ მისგან გავიგონე პირველად მარია მონტესორის სახელი. მონტესორი, მისი „მეთოდი“ ერთხანს ჩვენშიაც ინტერესს იწვევდა, ჩემ გარშემოც მის შესახებ ხშირად მსჯელობდნენ. განსაკუთრებული გულმხურვალი-

ბით ეკიდებოდა რუსუდანი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის საკითხს, რომელიც მისი თაობის ქართველ ინჟინერთა საგანგებო ზრუნვის საგანს შეადგენდა. ეს ინჟინრები იყვნენ გიორგი ნიკოლაძე, გიორგი გედევანიშვილი, ვასო კაკაბაძე, ბიძაჩემი ვანო ბერიძე და სხვანი. ამ მიმართულებით მუშაობა მათ ჯერ კიდევ 1918 წელს დაიწყეს და მართლაც დიდ ეროვნულ საქმეს ჩაუყარეს საფუძველი. ამავე ასპარეზზე თანამშრომლობდნენ შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე, რუსუდანი და მამაჩემი. მათი მეგობრობა, რომელიც მამას გარდაცვალებამდე გრძელდებოდა, „შფოთიანი“ იყო, თუმცა მათ ნამდვილად უყვარდათ ერთმანეთი. მუშაობის დროს ხშირად „დაეტაკებოდნენ“ ხოლმე ერთმანეთს და ეს დატაკება ზოგჯერ, როგორც ჩანს, საკმაოდ პიკანტურ ხასიათს იღებდა, რაკი იუმორის გრძნობა არცერთს არ აკლდა. მამამ მას ხუმრობით დაარქვა „რუსუდანი ნიკოლაძის ქაჯი“. მამაჩემის გარდაცვალება მძიმედ განიცადა, შემდეგ ხშირად მიჩრეკავდა ტელეფონით და მოითხოვდა, რომ რაიმე ენერგიული ნაბიჯები გადამეღვა მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად. გარდაცვალების წლისთავზე კი, მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ სხდომაზე, ძალიან საინტერესო და გულმხურვალე სიტყვა წარმოთქვა (იმ დროს თვითონ ოთხმოცი წლისა იყო).

რუსუდანს ისეთი წერილობითი, „ნივთიერი“ კვალი არ დაუტოვებია, როგორც შეეძლო დაეტოვებინა ამგვარი დიდი ნიჭისა და განათლების ადამიანს. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი რამ აინტერესებდა, ხშირად მისი ენერგია ფუჭ შფოთსა და მღელვარებაშიც იკარგებოდა. მაგრამ სანამ ცოცხალი იყო, აშკარად ცხოველყოფელ გავლენას ახდენდა თავისი მოქალაქეობრივი ინტერესების დაუცხრომლობით, თავისი პატრიოტიზმით. თვითონაც მოუსვენარი — არც სხვას ასვენებდა, სხვასაც ამოქმედებდა და ამოძრავებდა. მართლაც რომ განუმეორებელი პიროვნება იყო.

მისი მეუღლე, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ისტორიკოსი მიხეილ პოლივექტოვი, სრულ კონტრასტს შეადგენდა მასთან. იგი სულ სხვა რიტმითა და ტემპით ცხოვრობდა. რბილი, დინჯი, ალერსიანი, უსაზღვროდ კეთილგანწყობილი და კეთილმსურველი კაცი იყო, რევოლუციამდელი ლიბერალური რუსული პროფესურის წრეიდან გამოსული ტიპური ინტელიგენტი. ცნობილია, რომ მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს ისტორიის, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კვლევის საქმეში; მან მეცნიერულად გამოაქვეყნა დიდძალი მნიშვნელოვანი საარქივო მასალა. მი-

ხეილ პოლიევექტოვი იმითაც მიზიდავდა, რომ ჩვენ პროფესიულად ახლო ვიყავით ერთმანეთთან. ბევრ რასმე საინტერესოს მიაგებოდა. კარგად იცოდა ხელოვნების ისტორია (ერთხანს, მგონი, ასწავლიდა კიდევ ამ საგანს), ბევრი საინტერესო ძველი გამოცემა ჰქონდა ხელოვნების დარგში, მე ხშირად ვსარგებლობდი მისი ბიბლიოთეკით, მაგრამ ეს უფრო გვიან იყო, ჩემი სტუდენტობის წლებში. მაშინ კი, ათი-თორმეტი წლისას, ნიკოლაძეების სახლში განსაკუთრებით მხიბლავდა ნიკის სათამაშოები, უპირველესად, სათამაშო რკინიგზა, რომლის ლიანდაგიც თითქმის მთელ ოთახს სწვდებოდა.

ნიკოლაძეების სახლში ვხვდებოდი ნიკო მუსხელიშვილსაც, თუმცა მხოლოდ ეპიზოდურად. მაგრამ ამ ძველისძველი ნაცნობობის გამო, ნიკოც, ისევე როგორც რუსუდანი, სულ ბოლომდის ჩემი ბავშვობის სახელს ვატოს მეძახდა.*

ჩემი ბავშვური სამყაროს ატმოსფეროს, სიყვარულითა და აღერსით გამთბარს, ქმნიდნენ სხვა „უფროსებიც“, უპირველეს ყოვლისა ნათესავები — მამის მხრივ მისი ბიძაშვილები — ბერიძეები, დედის მხრივ — ჩხეიძეები (დედის ბიძები სიმონიკა და დათიკო) და აბაშიძეები — ბებიას მრავალრიცხოვანი ბიძაშვილისშვილები; ასევე დედას სიყრმის მეგობრები — ნინო წულუკიძე, დაწყებითი სკოლის პედაგოგი, რომელიც განსაკუთრებული რიდისა და პატივისცემის გრძნობას აღმძირავდა, ჩემი ნათლია ნიმფა ქუთათელაძე, მწერალი ფუცუ დგებუაძე; მამას მეგობრები და ამხანაგები — ცნობილი პედაგოგი მეთოდე კაკაბაძე (ნოდარ და ზურაბ კაკაბაძეების მამა), ისტორიკოსი (შემდგომში პროფესორი) ტროფიმე ხუნდაძე; სხვებიც,

* მე დამრჩა ერთი საბუთი — რუსუდანის ხელით დაწერილი „გენეალოგიური შტო“ ნიკოლაძეების საგვარეულოსი. ნიკო ნიკოლაძის პაპა ყოფილა მამუკა (მათე) ნიკოლაძე, წერეთლის უმა, რომელსაც გარში შეუერთავს ონიასვილის ქალი ტასო და ქუთაისში დამკვიდრებულა საცხოვრებლად. მას შეეძინა ორი ვაჟი იაკობი და ივანე და ქალიშვილი სალომე, რომელიც მისთხოვებია დამბარაშვილს (ამ ოჯახიდან იყო ცნობილი ექიმი, პროფესორი ვაბრიელ დამბარაშვილი). იაკობს, რომელიც ფრიად შეძლებული კომერსანტი გახდა, ცოლად ქიზინაშვილი ლორთქიფანიძის ქალი ჰყოლია და რვა შვილი შესძენია; მეორე იყო ნიკო, რომელიც 1843 წ. დაიბადა, მისი მომღვენო — ანიჩკა (ანასტასია) — 1846 წ. დაბადებული, მეხუთე — თლიმპიდა, ოცდაათი წლისა გარდაცვლილა, გიორგი წერეთლის მეუღლე და ირაკლი წერეთლის დედა, შემდეგ კატო (დაიბადა 1854 წ.) და ფროსიკო, გამოჩენილი პედაგოგის ალექსი ჭიჭინაძის მეუღლე, ბესარიონ ჭიჭინაძის დედა და ცნობილი ბალეტმეისტერის ალექსი ჭიჭინაძის ბებია; ივანეს შვილი იყო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, ხოლო შვილიშვილისშვილი — ლევან გოთუა. მე მგონი, საქართველოში ბევრი საგვარეულო ვერ დაიკვივნის ასეთ უშრეტ ნიჭიერებას.

რომელთა მიმართ დღემდის ვინახავ განსაკუთრებულ მაღლიერების გრძნობას. მათი ნათელი სახეები ჩემთვის დაუვიწყარია.

1926 წელს, მას შემდეგ, რაც ჩვენებმა სოფელში (ხონში) სახლი გაყიდეს (ბებია რომ გარდაიცვალა, მისი მიმხედავი აღარავინ იყო), ერთხელ კიდევ გამოვიცვალეთ ბინა: მამამ შეიძინა სახლი ზუბალაშვილის ქუჩაზე ძველი თბილისელების — ბეჟან-ბეგების — ოჯახისაგან. ამ სახლში გავატარე, არსებითად, თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება — ბავშვობის წლებიდან დღემდე. ამ სახლში ლხინიც ბევრი მინახავს და ჭირიც.

ეს ერთი პატარა მყუდრო ქუჩაა მთაწმინდის კალთაზე, უფრო ზუსტად — საკმაოდ მოკლე ჩიხი. მისი ერთი მხარე უჭირავს ზუბალაშვილების მიერ 1902-1906 წლებში აგებულ დიდ შენობას უპატრონო მოხუცებულთათვის (წითელი აგურის მასიური, ტლანქი ნაგებობაა) და ამ სახლის ეზოს, მეორე მხარეს სულ რვა სახლია — ესენიც საუკუნის დასაწყისისა: ორ-სამსართულიანი საცხოვრებლები იმ დროისთვის დამახასიათებელი რენესანსულ-ბაროკული ფასადებით, ლამაზი ლოჯიებით, თუჩისმოაჯირიანი აივნებით, ორკალთიანი სახურავებით შესასვლელების თავზე, ფესხაკმლის ტალახის ჩამოსაფხეკი ლითონის ფირფიტებითაც კი სადარბაზოების წინ... (ერთ სახლს დღემდე აქვს შერჩენილი თავდაპირველი აბრა ქუჩის სახელწოდებითა და სახლის ნომრით). ფასადები დღეს უკვე საღებავჩამორეცხილია, ადგილ-ადგილ შელახულიც. ქუჩას მყუდროებას ისიც ჰმატებს — გარდა თვით სახლების „შინაურული“, ინტიმური ხასიათისა, — რომ მის ორივე მხარეს ცაცხვებია დარგული; აპრილიდან გვიან შემოდგომამდე იჭაურობა ხშირი ფოთლებით არის დაბურული და როცა ცაცხვები ყვავის — გამაბრუებელი სურნელება... იმ წლებში მაინც აქ ისეთი სიმშვიდე და სიჩუმე სუფევდა, სოფელში გეგონებოდათ თავი. ქუჩას დღეს თამარ აბაქელიას სახელი ჰქვია, ზუბალაშვილისეულ სახლში ახლა ბავშვთა საავადმყოფოა, ქუჩის დასაწყისის პირდაპირ სამხატვრო აკადემიის ახალი კორპუსის რეასართულიანი უსახური მასაა აღმართული, მაშინ კი ეზო იყო, ძველი შენობის კამარებიანი და გუმბათებიანი ფლიგელებით...

რამდენმა თაობამ შეცვალა ერთმანეთი ამ ექვსი ათეული წლის განმავლობაში ჩვენს პატარა ქუჩაზე!.. მაშინ ყველაზე უფროსები ჩემი მშობლების მშობელთა წლოვანებისანი იყვნენ... ახლა იმათი შვილისშვილის შვილისშვილები დააბიჯებენ ქუჩაში... თუმცა აქ ძველებური თბილისური ეზოები არ არის, ქუჩის მთელი „მოსახლეო-

ბა“ მაინც ძალიან მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. როცა ჩვენ იქ დავსახლდით, ზუბალაშვილის ქუჩაზე უკვე უმეტესად ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ — ჩვენ ყველასთან ახლო მეგობრული ურთიერთობა გვქონდა იმავეთვე. ესენი იყვნენ კვირკელიები (დავით კვირკელია თავის დროზე ცნობილი ვეჟილი იყო), ჩხეიძეები (ინჟინერ გრიგოლ ჩხეიძის ოჯახი), ჟღენტები, ბუკიები, აბაკელიები (თამარის მამის ოჯახი), ქუჩუკაშვილები, მიქაბერიძეები (ძველი პედაგოგი და ლიტერატორი ალექსანდრე მიქაბერიძე უსათნოესი მოხუცი იყო), ყურნალისტი პავლე დაღვაძე („ზარია ვოსტოკაში“ თანამშრომლობდა დიდხანს, ერთ დროს მარჯანიშვილის თეატრის დირექტორად იყო) — მაღალი კულტურის, დიდად მიმზიდველი ადამიანი, ჯორჯაძეები და კოკოჩაშვილები (ცნობილი კინორეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის მშობლები და ბაბუა), უშანგი ჩხეიძე (სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ მე მას პირადად არ ვიცნობდი), კონიაშვილები — პედაგოგი გიორგი კონიაშვილი ჩემთვის სამუდამოდ დარჩა ქართველი ინტელიგენტის ეტალონად.

ჩვენს სახლსაც ლოჯია ჰქონდა ქუჩის მხარეს. მამა მას ობსერვატორიას ეძახდა, რაკი ქუჩაზე ამგულე-ჩამომგულე მას გვერდს ვერ აუქცევდა. მამას უყვარდა საღამომობით იქ ჯდომა და ქუჩასა და ლოჯიას შორის ყოველთვის თუნდაც ხანმოკლე დიალოგი იმართებოდა. მეც ძალიან მიყვარდა ჩვენი „ობსერვატორიიდან“ ცქერა — ადამიანთა დაკვირვება ხომ ყოველთვის საინტერესოა... (რატომღაც მკვეთრად აღმებეჭდა მეხსიერებაში ეს სცენა: ჩვენი მეზობელი აბესალომ ბუკია დადლილი ამოდოდა აღმართზე, ჩვენი სახლის წინ შეჩერდა და მამას უთხრა — პოლიტწრის მეცადინეობიდან მოვდივარ, ისეთი ხელმძღვანელი გვყავს, რომ კრაპოტკინს კუროპატკინისგან ვერ არჩევს)...

ჩვენს ქუჩაზე და მის ახლომახლო ყოველდღე მხვდებოდნენ „თავშესაფრის“ მკვიდრნი — დავრდომილი მოხუცი, ზოგნი დამბლადაცემულნიც, რომლებიც ძლივს, გაჭირვებით დაჩოჩავდნენ... ხოლო როცა თავშესაფრის ჭიშკარს შავი კარეტა მიაღებოდა, ეს ნიშნავდა, რომ ერთ-ერთი მკვიდრის არსებობა დამთავრდა (ამ სახლში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი ალექსანდრე ცაგარელიც!).

მოწაფეობისა და სტუდენტობის წლებში ჩვენი სახლი ჩემი ამხანაგების ხშირი თავმოყრის ადგილი იყო... ჩემი მშობლების უამ-

რავმა ნაცნობმა და მეგობარმაც ჩაიარა ჩემ თვალწინ იმ აღრეულ წლებშივე.

აღრევე გაჩნდნენ ჰორიზონტზე მელიტონ ბალანჩივაძე, კოტე ფოცხვერაშვილი, მამას კოლეგები, მწერლები (ჩვენს ბინაზე, მე მგონია, საენათმეცნიერო საზოგადოების ან, იქნებ, მისი გამგეობის სხდომებიც კი იმართებოდა. ერთხელ — ეს 1928 წელს იყო — ასეთ სხდომაზე მოვიდნენ აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, სიმონ ჭანაშია და მაკარ ხუბუა. ახვლედიანი თავმჯდომარეობდა, ჩიქობავამ მოხსენება გააკეთა). მწერალთაგან მამა მეგობრობდა გერონტი ქიქოძესთან, ლეო ქიაჩელთან, გრიშაშვილთან, ცისფერყანწელებთან და თვით დავით კლდიაშვილთანაც, რომელიც მას მამად ეკუთვნოდა წლოვანებით. გარდა დავით კლდიაშვილისა, ყველანი მოდიოდნენ ჩვენთან სტუმრად, განსაკუთრებით ხშირად — მელიტონ ბალანჩივაძე*.



მელიტონ ბალანჩივაძე

* მაშინდელი „ცხოვრების სტილის“ დასახასიათებლად — ამონაწერი 1927 წლის დღიურიდან: „24 აპრილი. კვირა. აღდგომა. დილიდანვე მოდიოდნენ სტუმრები ვიზიტებით. მოვიდნენ: პირველად გ. ჩხეიძე, ექ. აბაკელია (ცნობილი ფტოზიატრი რომ იყო), პ. წულუკიძე, დ. კვიციანი (ჩვენი მეზობელი, თავის დროზე ცნობილი ვექილი), ნუცა და გიგა აბაშიძეები (ირაკლი აბაშიძის და-ძმა), ვ. აბაშიძე, ს. ფანცხავა, კ. შიჭაბერძენი, ნიშთა ქუთათელაძე, მამიდაჩემი კატო ბერიძე, ვიქტორ ბროსე („დიდი“ ბროსეს შვილიშვილის შვილი, რომელიც თბილისში დასახლდა და ქართული ოჯახი შექმნა), გ. ფიცხალური, კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე, მეეზოვე კუზმიჩი, ტატანა ჩხეიძისა (sic!). საღამოს — ჭერ ჩემი მეგობარი გივი ჟორდანიანი და შემდეგ კი პროფესორი კორნელი კეკელიძე თავისი მეუღლით. მამა იყო: კვიციანისთან, ჩხეიძესთან და გრ. აბაკელიასთან“ (ეს თამარ აბაკელიას მამა იყო). აგრეთვე ჩვენი მეზობელი, როცა ზუბალაშვილის ქუჩაზე გადაედით საცხოვრებლად „25 აპრილი. ორშაბათი. აღდგომის მეორე დღე. ისევ სტუმრები: გრ. აბაკელია მეუღლით, პარმენ ბერიძე თავისი ორი ვაჟით — დათიკოთი და გოგით. მეეზოვე მარტიროსა. პროფ. ჭანელიძე და პროფ. უზნაძე“ და სხვ. ეს რიტუალი — „ვიზიტების გაცელა“ მაშინ ჭერ კიდევ შენარჩუნებული ტრადიცია იყო.

და სწორედ ეს კაცი მინდა საგანგებოდ გამოვეყო, იმიტომ, რომ თუმცა შვილიშვილად ვერგებოდი, მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა, ხშირად ვსაუბრობდით მაშინაც და ჩემი სტუდენტობის წლებშიაც, ბევრ რასმე ჩემთვის საინტერესოა ძიამბობდა. პირველი მოგონება ცოცხალი მელიტონის შესახებ: 1925 წელი. მამამ ოპერაციის გაკეთების შემდეგ მთელი „ალექსანდრეს საავადმყოფო“ დაპატიჟა და მათთან ერთად ძველი მეგობრებიც. მელიტონმა იმღერა თავისი მშვენიერი რომანსი „შენ გეტრფი მარად“, თავისი ტოლისა და მეგობრის გრიგოლ ვოლსკის სიტყვებით. მელიტონი ხომ ქართული რომანსის ნამდვილი პიონერია. ჩემი აზრით, „შენ გეტრფი მარად“ და „ოდესაც გიციქვრ“, რომელთაც მალე 100 წელი შეუსრულდებათ, საუკეთესო ქართულ რომანსებს შორის ინარჩუნებენ ადგილს დღესაც. ამის შემდეგ დროდადრო გვეწვებოდა ხოლმე შინ, ხოლო განათლების კომისარიატში ის და დავით კლდიაშვილი ნამას კაბინეტის თითქმის ყოველდღიური სტუმრები იყვნენ. მამა მას ჯერ კიდევ თავისი სტუდენტობის დროიდან, ე. ი. პეტერბურგიდან იცნობდა, და სასაუბრო არ ელეოდათ, არც ძველი ამბავი და არც ახალი.

მელიტონის, როგორც კომპოზიტორის, პირველი ქართული ოპერის ავტორის, ხალხური მუსიკის შემკრებისა და პროპაგანდისტის (არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთშიაც), სამუსიკო განათლების ორგანიზატორისა და მოღვაწის სახელი რეკომენდაციას არ საჭიროებს, მაგრამ აჯობებდა, რომ ფართო საზოგადოებისათვის მაინც უკეთ ყოფილიყო ცნობილი. პეტერბურგში იგი 1889 წელს ჩავიდა იქაურ კონსერვატორიაში სწავლის გასაგრძელებლად და 1917 წლამდე დარჩა, იქვე შეირთო ცოლად რუსი ქალი და იქვე შეეძინა თავისი ორივე შვილი, შემდეგში სახელგანთქმული ჯორჯ ბალანჩინი და ანდრია ბალანჩივაძე. პეტერბურგში მისი ცხოვრების შესახებ ლეგენდებს ყვებოდნენ, მაგრამ ამ ლეგენდებს რეალური საფუძველი ჰქონდა: ლატარიის ბილეთით მან უზარმაზარი თანხა მოიგო, ისე რომ ფინეთში აგარაკი შეიძინა, შეიძინა ავტომობილი (ჰყავდა ფრანგი შოფერი, რომელიც შემდეგ პეტერბურგის პირველი ტაქსომოტორისტი გამხდარა) და — მთავარი ეს იყო — არჩენდა პეტერბურგში ჩასულ ბევრ ქართველს — ზოგს გაჭირვებულს, ზოგს კი უსაქმურს. ოქტომბრის რევოლუციამდე იმ ფულის დახარჯვა არ მოხერხდა, ხოლო მელიტონის შემოქმედების ინტენსიობისათვის ამ მოგებას დიდი სარგებლობა არ მოუტანია. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში დაწყებული „თამარ ცბიერი“ დამთავრებული

სახით მხოლოდ 1926 წელს დაიდგა ჩვენს საოპერო თეატრში — ეს დიდი სიხარული იყო მელიტონის მეგობრებისათვის და, ცხადია, მამაჩემისთვისაც, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა მელიტონიც და მისი ოპერის მელოდიებიც. იმავე დროს, ამ თხზულების დამთავრების ასეთი გაჰიანურება — 30 წელზე მეტ ხანს — მითქმა-მოთქმის და და ზოგჯერ ხუმრობის საგანსაც შეადგენდა, თავუნამ* მოთხრობაც დაწერა „თამარ ცბიერის“ სახელწოდებით.

ოცდაათიანი წლების დასაწყისიდანვე, ექვსი-შვიდი წლის მანძილზე, სანამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ქუთაისს გადასახლდებოდა (გარდაიცვალა 1937 წლის 21 ნოემბერს, 75 წლისა), მელიტონი ჩვენი ოჯახის უკვე ხშირი სტუმარი იყო. მეც ყოველთვის ვცდილობდი „ხელში ჩამეგდო“ და რამე მეამბობებინა. ძნელი დრო იყო — კოლექტივიზაციის დასაწყისი. მასსოვს ჩვეულებრივი სცენა (ჩახატულიც მაქვს): მელიტონი და მამა სამზარეულოს მაგიდასთან სხედან და „ქეიფობენ“: მაგიდაზე კი ერთი ბოთლი ღვინო დგას, პატარა ჭიქები და ერთადერთი ქილა თევზის კონსერვისა... მაგრამ ორივე ძალიან მხიარულია...

მელიტონი პატარა ტანის კაცი იყო, მაგრამ საკმაოდ ჩასკვნილი; მელოტი, ვარდისფეროვებიანი, ჭადრა უღვაშებითა და ბულანჯეთი. ჩიბუხს არ იშორებდა. დადიოდა ნელა, თავაწეული, ლაპარაკობდა აგრეთვე ნელა, მოკლე წინადადებებით, წინადადებებსა და სიტყვებს შორისაც კი ინტერვალებით, თითქოს სიტყვებს ეძებდა (თან აბოლებდა). ამიტომ მისი თხრობა საკმაოდ ხანგრძლივი გამოდიოდა, მაგრამ მოსაწყენი არ ყოფილა, იმიტომ, რომ ეს „ინტერვალები“, „პაუზები“ ემოციურად იყო დატვირთული — მელიტონი ტემპერამენტით გამოირჩეოდა, „როლში შედიოდა“, ხელებს აქნევდა და თვალებსაც კი აბრიალებდა ამბის მოყოლის დროს, მით უფრო, თუ შფოთავდა რაიმე მიზეზის გამო. და მართალია, აღშფოთებაც უყვარდა, შემძლია ვთქვა, რომ მელიტონი ბედნიერი კაცი იყო, თუმცა, როგორც ყოველ ადამიანს, ცხოვრებაში სიხარულთან ერთად უსიამოვნებაც შეხვედრია. ბედნიერი იყო თავისი ბუნებით, შინაგანი თვისებებით; კაცს შეუზღებოდა მისი დაუშრეტელი ოპტიმიზმი და სიხალისე. ორგანულად ვერ ეგუებოდა მწუხარებასა და დაღონებას, არ იცოდა, რა არის სასოწარკვეთილება. უყვარდა ახალგაზრდობა და სულ ბოლომდე თვითონაც გულით ახალგაზრდა დარჩა. და-

* „თავუნა“ ცნობილი მწერლის — იუმორისტ შალვა შარაშიძის ფსევდონიმი იყო.

მხასიათებელი იყო მისი დამოკიდებულება თანამედროვე ხელოვნებისადმი. ერთი ახალგაზრდა კომპოზიტორის შესახებ ვკითხე, ხომ ნიჭიერია-მეთქი?

— აჰ! — წამოიძახა მან, — არა!

— რატომ, კვარტეტი ხომ კარგი დაწერა?

— არა, მე იმას კი არ ვამბობ, არ ვარგა-თქვა, მაგრამ... он человек больной и вся его музыка тоже... ჰოდა, მე ისედაც ბევრი რამე მაწუხებს და მუსიკამაც რომ სული ამომართვას, მაგი არ მინდა სწორედ...

აი, მისივე აზრი ერთი საყოველთაოდ აღიარებული პოეტის შესახებ:

— განგებ წავიკითხე ის მისი წიგნი... დიდი ტომი რომაა გამოშვებული... რა არის, კაცო, ეს! это, это... это — გაცხარდა და ხელი მაგიდას დაჰკრა — это-же чорт знает, что такое! სულ შემოდგომაზე წერს და ღამეზე, სიკვდილზე და საფლავზე! такому человеку повеситься надо!

1933 წელს მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა და ძლივს მომჯობინდა. როგორც თვითონ თქვა, „ნა ვსე სტო პრაცენტოვ უმირალ“ (რუსულის ჩართვა უყვარდა, როგორც ჩანს, რუსეთში დიდხანს ცხოვრებამ — 28 წელიწადს! — ამ მხრივ კვალი დააჩნია. რუსული, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, მაგრამ საკმაოდ შესამჩნევი აქცენტი ჰქონდა). ახლად ნაავადმყოფარს შევხვდი რუსთაველის პროსპექტზე, გავყევი და კონსერვატორიამდე მივააცილე. აღელვებული იყო — ავადმყოფობის დროს უყურადღებოდ დამტოვესო.

— ეგერ დრამკომში უნდა ამელო ფული, მაგრამ მაგ მამაძაღლებს, რაც მე ავად ვარ, ექვსი თვეა უკვე აგერ, არც ერთხელ არ დაუდგამთ „თამარ ცბიერი“.. მე, რასაკვირველია, არ მიკითხავს, მაგრამ ანდრიამ კითხა და — იმიტომ ვერ დავდგივითო, რომეო, ნიკოს პარტიის შემსრულებელი არ გვყავდაო, ქუმსიაშვილი რომ წვევიდაო და გვეშინოდა ხალტურა არ გამოსულიყო... მე მამაძაღლო, როდის იყო ხალტურას რო დეექებდი... ანდა, რა იმისთანა პარტიაა ნიკოს პარტია, რომ ვერაკაცმა ვერ იმღეროს? მერე აღგენ და გამომიგზავნეს ობლიგაციები... კარგი, ხარაშო, как гражданин, я возьму облигации, მარა... მელიტონი გაჩერდა და უცებ იყვირა: — Сукин сын, რას მიკეთებ მერე შენ, ობლიგაციებს რომ მიგზავნი!

მაგრამ მელიტონის ღვაწლი მალე დაფასდა — იმავე 1933 წელს სახალხო არტისტის წოდება მიანიჭეს, 1934 წლის 29 აპრილს კი

ოპერის თეატრში გადაუხადეს „50 წლის სამუსიკო-შემოქმედებითი მოღვაწეობის იუბილე“, დაიდგა „თამარ ცბიერი“. საიუბილეო ბუქლეტის ტექსტში დიმიტრი არაყიშვილი (მასზე 11 წლით უმცროსი) წერდა: „იშვიათი ბედნიერება ხვდა წილად მელიტონ ბალანჩივაძეს: მან ჩაუყარა საფუძველი ქართულ მხატვრულ მუსიკას და მას შემდეგ ამაყად დასცქერის მას და ხედავს, თუ როგორ ვითარდება და იზრდება იგი“.

ახლა ძალიან მიხარია, რომ მაშინვე ჩავიწერე მისი მცირე ავტობიოგრაფიული მოთხრობა. ის სცენა ცოცხლად წარმომიდგება: აგვისტო იყო, სასტიკი სიცხე. მელიტონმა დალია ერთი დიდი ქიქა. წყალნარევი ღვინო და ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

— ქი არ ვცხონდი (იმერულად უქცევდა).—

— ხომ კარგია? ჰკითხა მამამ. იმან კვლავ ინტერვალის შემდეგ, წარმოთქვა:

— კე!

— Даа, განაგრძო მან — ორმოცდაათი წლის წინათ რომ დასი იყო ოპერაში, когда я поступил хористом — вот понимаю! (ჩვენი საუბარი 1933 წელს მიეკუთვნება).

— ახლანდელს ჯობდა?

— იმე, რას ამბობ, ყმაწვილო! ქალი იყო ერთი — პავლოვსკაია... შესანიშნავი! სახლიდან რომ გამოვიდოდა, публика на носилках ее приносила до театра! მერე, ჩემო ბატონო, Лодий — тенор, ულამაზეს კაცს ვერ ნახავდი... „ჟიზნ ზა ცარიაში“ რომ მღეროდა, ან когда он князя пел в „Русалке“... ისე მღეროდა, სულ მთლად გადარია ქალები. — მან გაიღიმა — აკაკიმ ქეც დაწერა, უწინ ჩვენში წყევლა იყო, ლოდი დაგედო გულზეო, ახლა კიდევ ტფილისის ქალები გულზე „ლოდის“ დადებას ნატრობენო... Потом бас был один, Ляров... замечательный, замечательный! იმაზე უკეთეს ვერაფერს ვერ გეიგონებდი ის რომ მელნიკს იმღერებდა! დიდებული იყო! ანდა სუსანიანს! — მელიტონი მამას მიუბრუნდა და ალტაცებით თქვა — Ох!

მეორე დღეს განაგრძო თხრობა: ორმოცდაათი წლის წინათ გუნდის მომღერლად შესულა თბილისის ოპერაში. მერე როლებიც მისცეს, მაგრამ გუნდს მაინც არ დაანება თავი, რადგანაც „ოპერები მინდოდა შემეისწავლა და ოპერა ხორისტმა უფრო იცისო“. ხმა ბარტონი ჰქონია და ასრულებდა პატარა როლებს — ვალენტინსა და ვაგნერს „ფაუსტში“, მონტერონესა და მარულოს „რიგოლეტოში“.

„უიზნ ზა ცარიაში“ начальни́ка польского отряда играл, да... как-же!

ერთხელ ამ უკანასკნელ ოპერაში ცნობილ ბან ფილიმონ ქორიძესთან ერთად თამაშობდა. ქორიძემ — სუსანიმმა — იმღერა თავისი არია «чуют правду», მერე წამოწვა და მართლა ჩაეძინა, ასე რომ, როცა მისი რეპლიკის დრო მოვიდა, დირიჟორ ტრუფისა და მონაწილეთათვის მოულოდნელად, არც განძრეულა. ტრუფი აღელდა და იტალიურად ილანძღებოდა. მელიტონმა გაჭირვებით მოახერხა ქორიძის გაღვიძება, მაგრამ რამდენიმე ფრაზა უკვე დაკარგული იყო. ქორიძეს მშვენიერი ხმა ჰქონდა (განსაკუთრებით კარგი ყოფილა კარდინალის როლში — „ურჩის ქალში“), მაგრამ ზოგჯერ ასეთი ამბები ემართებოდა თურმე.

მელიტონს დრამაშიაც უცდია ბედი. ქუთაისში „რევიზორში“ უთამაშნია ქართული სცენის კორიფეებთან: ხლესტაკოვი ვასო აბაშიძე იყო, ბობჩინსკი — კოტე მესხი, დობჩინსკი — მელიტონი, ოსიპი — კოტე ყიფიანი. კიდევ უფრო ადრე ბარბარე ჯორჯაძის რომელიღაც ტრაგედიაში მეტად დრამატული როლი შეხვედრია. მაგრამ როგორც კი გამოჩნდა სცენაზე, დარბაზში თურმე ატყდა სიცილხარხარი, რომელიც არ შეწყვეტილა, სანამ სცენიდან არ გავიდა. გააცილეს ხარხართვე და ტაშით.

— აკაკი შემოვიდა კულისებში, დამარტყა მხარზე ხელი და მითხრა — ბრავო, ბრავო, ты комик-о... ბჰო! Комик-то комик, მაგრამ ახლა რა ვქნა-თქვა? რა უჭირს, მიდი, ითამაშე, ხალხი ხომ მხიარულობსო... ასე რომ დობჩინსკით გამოვასწორე ცოტა საქმე, თვარა ნამეტანი შერცხვენილი ვიყავიო“.

მელიტონს უყვარდა ყოველგვარი ძველი სასაცილო ამბის გახსენება. ერთხელ, მაგალითად, გაიხსენა ახპატელოვის კურიოზული ლექსი, დაწერილი ორი გამოჩენილი მოქიდავის — კულა გლდანელი-სა და ნესტორ ესებუას შეხვედრის გამო.

რატომღაც ჩამრჩა მეხსიერებაში მელიტონი ზაქარია ფალიაშვილის პანაშვიდზე კონსერვატორიის ძველ დარბაზში. ის და დიმიტრი არაყიშვილი ერთად იდგნენ საპატიო ყარაულში. მელიტონი არ განძრეულა, არაყიშვილი შფოთავდა (მელიტონი ფალიაშვილზე ბევრად უფროსი იყო). იქვე დერეფანში შემხვდა და მგონი ასეთი დაღვრემილი არც მინახავს არასოდეს...

— კაცმა რომ თქვას, — მითხრა მან, — ზაქარიას ახლანდელი მდგომარეობა ყველაზე უკეთესია... არაფერი აღარ ენადვლება მაგას აწი...

მელიტონისაგან დამრჩა „სტუდენტების სიმღერის“ ავტოგრაფი, რომელიც მაჩუქა, აგრეთვე მისი ფოტოსურათი წარწერით: „ფრიალ ძვირფას ახალგაზრდა მეგობარს ვახტანგს“.

მელიტონის გარდაცვალებამდე სამიოდე დღით ადრე მე ქუთაისში ვიყავი. კიდეც კარგი, მის სანახავად არ წავსულვარ და არ მინახავს დაუძლურებული და მომაკვდავი — ჩემს მეხსიერებაში იგი დარჩა სამუდამოდ სიკოცხლის სიხარულის განსახიერებად.

იმ წლებში, როცა ჩვენ ბებუთოვის ქუჩაზე ვცხოვრობდით, ე. ი. 1925 წლამდე, მე თეატრში არ წავუყვანივართ, თუმცა ჩემი მშობლები, ბუნებრივია, თვითონ დადიოდნენ ხოლმე. უფრო ადრე კი, სულ პატარა, რამდენიმეჯერ ვიყავი ოპერაში. არ ვიცი რატომ მახსოვს, რომ დედა და მამა ოპერაში იყვნენ სობინოვის მოსასმენად და შინ დაბრუნებულებმა თქვეს, სობინოვი ის აღარ არის, რაც წინათ იყო. ასევე მახსოვს მათი დაბრუნება კონსერვატორიიდან, სადაც მოუსმინეს იოსებ გრიშაშვილს — იგი კითხულობდა თავის „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემას“, რომელიც 1927 წელს წიგნად გამოქვეყნდა და იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია*.

მაგრამ იმ წლებს მიეკუთვნება ჩემი პირველი კონტაქტები ხელოვნებასთან, თვით ცოცხალ ნიმუშებთან, რეპროდუქციებთან, წიგნის ილუსტრაციასთან. გნედიჩის სამტომეული უკვე ვახსენე. ეს უმეტესად ინფორმაციის წყარო იყო, მაგრამ მაინც ზოგი რამ მეტად მომწონდა, ზოგი ნაკლებად. ათი წლის ბავშვს ქანრული მხატვრობა უფრო მომდიოდა თვალში, სხვებზე მეტად მესონიესა და კნაუსის სურათები. ემოციურად გაცილებით მეტი შთაბეჭდილება დატოვა პენრიკ პრინევსკის ფერადმა ილუსტრაციებმა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მიხეილ გედევანიშვილისეულ გამოცემაში, ყველაზე მეტად „განდევლის“ ლოცვამ — სარკმლიდან შემოსული სხივის სვეტით, რომელზედაც სახარებაა დასვენებული (ეს ნახატები მერჩინა ზიჩის ილუსტრაციებს „ვეფხისტყაოსნისთვის“). მე მგონია. მაშინდელია ჩემი პირველი შეხვედრაც ქართულ ხუროთმოძღვრულ ჩუქურთმასთან — კვლავ პრინევსკის გრაფიკული თავსართებისა და ბოლოსართების წყალობით იმავე გამოცემაში (მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ხუთი-ექვსი წლის შემდეგ პრინევსკის ახლო გავიცნობდი, რომ იგი ჩემი მასწავლებელი იქნებოდა ინსტიტუტში)...

* ეს 1926 წლის 23 მაისს იყო. წინასწარ სტამბერად დაიბეჭდა პროკრაპის ნაცვლად წიგნის „კონსპექტი“, რომლის ერთი ცალი დარჩა ჩემს არქივში. ბილეთები იყიდებოდა („ადგილების ფასი 50 კ. 2 მ-ლ“).

მამასთან ერთად სტუმრობა სურათების გალერეაში... სურათები არ მახსოვს, მახსოვს სიამოვნების განცდა მათი ცქერისაგან, განცდა უჩვეულობისა, „ამაღლებულისა“, რომელსაც იწვევდა სიძველის სურნელება (მაშინ იქ უცხოური მხატვრობა და XIX საუკუნის თბილისური პორტრეტები იყო გამოფენილი). არანაკლებ მოქმედებდა ჩემზე სოლიდური, ლამაზი ავეჯი — მდიდრულად მოხარატებული დიდი კარადები (ახლა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკაში რომ არის). მაგრამ განსაკუთრებით მხიბლავდნენ გალერეის დირექტორი, მამას დიდი მეგობარი დიმიტრი შევარდნაძე და მისი თანამშრომელი გიორგი ნათიძე, რომელიც მოგვიანებით დიდხანს იყო ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ და, იმავე დროს, გერმანულს ასწავლიდა I საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში. ჩემი ცხოვრების გზაზე იშვიათად შემხვედრია ისეთი მომჯადოებელი ადამიანი, როგორც დიმიტრი შევარდნაძე იყო. პატარა ტანისა, მხრებში ღრმად ჩამჯდარი თავით, თითქოს ოდნავ კუზიანიც კი, მშვენიერი თეთრი შეველიურით, მშვენიერი სახით, რომლის გამომეტყველებაც ჩემთვის დიდი შინაგანი ძალის, კეთილშობილებისა და სიკეთის მაჩვენებელი იყო. ამ კაცმა, რომელმაც 1937 წელს ვერ გადმოაღწია, დიდზე დიდი ამაგი დასდო ჩვენს ეროვნულ მხატვრულ კულტურას, როგორც ქართველ ხელოვანთა პირველი საზოგადოების დამფუძნებელმა (1916 წელს), როგორც სურათების ეროვნული გალერეის დამაარსებელმა და პირველმა დირექტორმა, როგორც ქართველ მხატვართათვის მზრუნველმა, როგორც მხატვარმა: ფერმწერი და თეატრის მხატვარი იყო, მისი დეკორაციებით დადგა მარჯანიშვილმა „აბესალომ და ეთერი“...

1924 წელს სკოლიდან წაგვიყვანეს ქართველ მხატვართა გამოფენის სანახავად. გამოფენა, თუ არ ვცდები, განათლების მუშაკთა სახლში მოეწყო. მეხსიერებას არ შემოუნახავს ცოცხალი შთაბეჭდილება, მაგრამ მერე ვიპოვე მაშინდელი ჩანაწერი — შთაბეჭდილება გამოფენის შესახებ — ჩემი პირველი ცდა „მხატვრული კრიტიკის“ დარგში. შიგ არის ასეთი პასაჟები: „შესანიშნავია მოსე თოიძის ნახატი „სამოვრის მელოდია“. ისე კარგადაა სამოვარში ჩრდილები, რომ ნამდვილი გეგონება. სამოვრის გვერდით ზის ქალი... შესამჩნევია ვასო აბაშიძისა და დავით კლდიაშვილის პორტრეტები, თუმცა ვასო აბაშიძეს არ უწერია ვინაა, მაგრამ მაინც იცნობ, რომ ის არის... მეტი რომ არ შეიძლება, ისე მომეწონა ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ

გამოქანდაკებული ავადმყოფი ბავშვი. მართლაც ავადმყოფს ჰგავს. ისეთი გამომეტყველება აქვს ბავშვს, რომ როცა შეხედავ, შეგეცოდება“. სამწუხარო ის არის, რომ ამ დონის „კრიტიკა“ დღეს ხშირად გვხვდება ჩვენს ქართულ გაზეთებში.

პირველი ორიგინალები, რომლებთანაც „შეხვედრა“ მახსოვს, იყო დავით კაკაბაძის ორი ავტობიოგრაფი, „იმერული ნატიურმოცეტი“ და „იმერეთი — დედაჩემი“, სუყველა დავითის ძმის, ისტორიკოს სარგის კაკაბაძის ბინაზე, სადაც აგრეთვე მამასთან ერთად ვიყავი (თვით დავითი მაშინ პარიზში იყო). მამამვე მიაპყრო ჩემი ყურადღება ამ სურათებისადმი, რომლებიც ძალიან მოსწონდა. მეც მას შემდეგ დღემდის განსაკუთრებით მიყვარს დავით კაკაბაძე, რომელიც ჩვენი ხელოვნების დიდი ფიგურა იყო, არა მარტო როგორც მხატვარი, არამედ როგორც მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე. მაგრამ ესეც მახსოვს, როგორ საგონებელში ჩამაგდო დავითის აბსტრაქტულმა ნამუშევრებმა, რომლებიც მან პარიზიდან დაბრუნების შემდეგ გამოაფინა 1928 წლის მაისში. მაშინდელი ჩემი ჩანაწერი: ჯერ ერთი აბსტრაქციის აღწერაა, შემდეგ კი: „მნახველთ, რასაკვირველია, არაფერი არ ესმით, ისევე როგორც ვერ გავიგეთ ჩვენც. ყველა სურათი დ. კაკაბაძისა სრულიად უშინაარსოა (იგულისხმება „უსაგნო“, ვ. ბ.), მაგრამ ფერების შეზავება მაინც ახდენს მშვენიერ შთაბეჭდილებას, იმდენად კარგია. ავტორი, დ. კაკაბაძე, აი რას ამბობს: „ხელოვნებაში მოცემული უნდა იყოს ის კი არა, რაც არსებობს, არამედ ის, რაც შესაძლებელია არსებობდესო“, და სხვ. გამოფენას ცოტა ხალხი ეტანება: ვერავის ვერაფერი ვერ გაუგია. ჩემი აზრით, მაინც ღირს ნახვა“. მე მგონია, შეიძლება მეპატიოს ეს გულუბრყვილო ნაწერი, თუ გავითვალისწინებთ დამწერის წლოვანებას. ყოველ შემთხვევაში, ეს კეთილგანწყობილი მოწმის ჩვენებაა.

იყო კიდევ ერთი კერა — მამის მეგობრის არტემ გაბუნიას სახელი, — სადაც მე ბავშვობაში ვხვდებოდი თანამედროვე მხატვრის სურათებს. მისი მეუღლე იყო მხატვარი ბარბარე ბებუთოვა-გაბუნია, რომლის სურათები ავსებდა ერთიანად მათი ბინის კედლებს. შემდეგ, გამოფენებზე, მას უმეტესად გრაფიკული ნამუშევრები გამოჰქონდა. ჩვეულებრივ, ძველი თბილისის ხედები. მაშინ კი ჩემს ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობდა პასტელით შესრულებული პორტრეტები მისი მეუღლის, თვით არტემ გაბუნიასი. გულდასაწყვეტი, რომ ეს კაცი, ერთი ჩემი და უანგარო მუშაკი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური ხელოვნების მუზეუმის შექმ-



ლადო გულიაშვილი
მხატვარ თომას ჰენდფორტის ნახატი

ნას, ახლა ასე მივიწყებულა. იგი სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა — ორმოცდაორი თუ ორმოცდასამი წლისა (საინტერესო პიროვნება იყო მისი სიმამრი დავით ბებუთოვი. არ მახსოვს, რა ხელობისა იყო, მაგრამ მახსოვს მისი მონუმენტური გარეგნობა — მაღალი ტანი, ლამაზი სახე, ნიკაპზე გამობმული გრძელი ჭალარა წვერი. ძველი ინტელიგენტი იყო, თბილისისა და საქართველოს პატრიოტი. მან თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა ჩვენს უნივერსიტეტს უანდერძა. ერთი-ორჯერ მინახავს ჩვენთან სტუმრად. ჩემს ბავშვურ მეხსიერებაში იქნებ იმიტომაც აღიბეჭდა მკვეთრად, რომ პანაკურად ეწინოდა კატისა და მის დანახვისას სკამზე აღიოდა).

შემიძლია ვთქვა, რომ მამამვე ჩამინერგა სიყვარული ძველი თბილისის ზოგი შენობისა, უპირველეს ყოვლისა, საჯარო ბიბლიოთეკისა, რომელმაც დროს გაუძლო (ამ შენობის ინტერიერები და მთელი მოჩუქურთმება, ტექნიკურად შესრულებული ალლაძეების მიერ, გაკეთებულია ქართული ჩუქურთმის დიდი მცოდნის ჰენრიკ ჰრინგესკის ნახატების მიხედვით. ჰრინგესკი ხუროთმოძღვარ ანატოლ კალგინთან თანამშრომლობდა).

1926 წელს პარიზიდან დაბრუნდა ლადო გულიაშვილი. მამა მას, როგორც ჩანს, ადრევე იცნობდა. ჩვენს სახლში გაჩნდა პარიზში გამოცემული წიგნი ლადოს შესახებ, ფრანგი ავტორის მორის რენალისა, ალბათ, ლადოსივე ნაჩუქარი... ილუსტრაციებმა არაჩვეულებრივად დამაინტერესა — ფერწერის რეპროდუქციებიც იყო (შავთეთრი) და იმ უფაქიზესი ადრინდელი გრაფიკისაც, რომელსაც არაფერი შეედრება ჩვენს ხელოვნებაში. იმავე წელს, როცა ჩვენ ახალ ბინაში გადავედით, ზუბალაშვილის (ახლა აბაკელიას) ქუჩაზე, მამამ მოისურვა ერთი პატარა ოთახის მოხატვა ლადოსთვის ეთხოვა. მისი სურვილი არ განხორციელებულა, მაგრამ დავგრჩა ოთხი ძალიან

ლამაზი ესკიზი (აკვარელი) — გუდიაშვილისათვის სპეციფიკური ადამიანებითა და შველებით. თვით ლადო კი, დიმიტრა შვეარდნაძესთან ერთად, ერთი პირველი ცოცხალი მხატვართაგანი იყო, ვინც მე ვნახე. მაშინ მას პარიზიდან ჩამოყვანილი ფრანგი მეუღლე ჰყავდა.

და კიდევ ერთი კონტაქტი მხატვრობის საიდუმლოებასთან, რომელსაც აკრეთვე უკვალოდ არ ჩაუვლია ჩემთვის: ათი თუ თეთრმეტი წლისა ვიყავი, როცა დამხატა თედორე (ფედია) ჩუღეცკიმ, დედაჩემის ბავშვობის ამხანაგის ნატალია იოსელიანის მეუღლემ. ნახშირით შესრულებული პორტრეტი, კარგი პროფესიული დონისა. ეს ფედია, გალაკტიონისა და გიორგი ქუჩიშვილის მეგობარი, კეთილი, უწყინარი, და სრულიად უპრეტენზიო კაცი იყო, ეტყობა, სულ არ ზრუნავდა თავისი ნამუშევრების გამომზეურებასა და სახელის მოხვეჭაზე, ამიტომ არის დღეს სრულიად მივიწყებული. მე მისი სხვა ნამუშევრები არ მინახავს, მახსოვს მხოლოდ, რომ განსაკუთრებული ინტერესით, გულის ფანცქალით მოველოდი ყოველ სეანსს, სეანსის დროს კი ერთი სული მქონდა, სანამ ფედია ნახატის შეხედვის ნებას დამრთავდა. მოგვიანებით ეს პორტრეტი ბეწვზე გადაურჩა ჩვენს მოხუც შინამოსამსახურეს, რომელიც მტერის ჩვრით აპირებდა მის „გაწმენდას“.

ხელოვნებისაგან მიღებულ პირველ, გაუცნობიერებელ შთაბეჭდილებებს მიეკუთვნება სიონის ტაძრის ნახვა: იღუმალება, იქაც სხივების სვეტი სარკმლებიდან, როგორც ჰრინევსკის ნახატზე...

ძველი თბილისის ქუჩები და სახლები (ჩვენ ხომ იქ ვცხოვრობდით)... ეს შთაბეჭდილება იყო ჩანასახი ჩემი სავსებით „გაცნობიერებული“ და გადაულახავი სიყვარულისა, რომელმაც ბევრად გვიან, ორმოცდაათიან წლებში, მიმიყვანა თბილისის ხუროთმოძღვრების თემასთან — მას დიდი დრო და ენერგია შევალე...

1925 წელი... ექსკურსია აბასთუმნიდან ზარზმაში, რომელმაც ერთიანად შემძრა... შთაბეჭდილებებიც ჩავიწერე... ოცი წლის შემდეგ, 1946 წელს, დავუბრუნდი სამცხეს, რომ დამეწერა შრომა იქაური ხუროთმოძღვრების შესახებ და ერთი ზაფხული ზარზმაში გავატარე ჩემს თანამშრომლებთან ერთად...

გარდა სკოლისა, სადაც 1920 წელს მიმბარეს 6 წლისა (ეს ფრანგული სკოლა იყო), ჩემს იმდროინდელ ცხოვრებას კიდევ „სკოლისგარეშე“ განათლებაც ავსებდა: მას შემდეგ, რაც ქართულ სკოლაში გადამიყვანეს (მესამე ჯგუფიდან, 1922 წ.), ფრანგულს კერძოდ ვსწავლობდი (მასწავლებლები შინ მოდიოდნენ, უფრო გვიან, როცა სხვა

სახლში გადაყვდით და წამოვიზარდე, მე თვითონ დავდიოდი ელისაბედ ორბელიანთან, ძალიან საინტერესო პიროვნებასთან, რომლის შესახებაც საკმაოდ ბევრი მაქვს საამბობი); რვა წლისა მიმბარეს მუსიკის სასწავლებლად ე. წ. მეორე კონსერვატორიის ფორტეპიანოს კლასში, ევგენია ვასილის ასულ ჩერნიაევსკაიასთან; მასთან ურთიერთობა და მეგობრობა, რომელიც მის გარდაცვალებამდე, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, გრძელდებოდა, ჩემთვის, ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და არსებითი იყო.

2. მაშინდელი თბილისი

ოციანი წლების, ე. ი. ჩემი მოწაფეობის დროინდელი, თბილისი დღევანდელ ქალაქთან შედარებით ბევრად უფრო პატარა იყო ტერიტორიითაც და მოსახლეობითაც (1926 წლისთვის დაახლოებით 300000-მდე იქნებოდა, ე. ი. ახლანდელზე თითქმის ოთხჯერ ნაკლები). ახლანდელი ახალგაზრდა თბილისელები ძნელად წარმოიდგენენ, რომ ჩვენი დედაქალაქის მაშინდელი „ინდუსტრია“ შედგებოდა — თუ არ ჩავთვლით რკინიგზის სახელოსნოებს — თამბაქოს, ტყავის გადამამუშავებელი, ფეხსაცმლის, სახერხი, გრეხილი ავეჯეულობისა და საპნის ფაბრიკებისაგან, აგურისა და კრამიტის ქარხნებისაგან და მათი რაოდენობაც თითებზე ჩამოითვლებოდა. არსებითად, ეს ჯერ კიდევ რევოლუციამდელი მემკვიდრეობა იყო და სხვა არაფერი. მაშინ თბილისს ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრის მნიშვნელობა ჰქონდა — უკვე არსებობდა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი — გარდა უნივერსიტეტისა, რომლის წიაღშიაც ჩაისახა პოლიტექნიკური, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები (ისინი მალე გადაიქცნენ დამოუკიდებელ ინსტიტუტებად), კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია (1925 წლის ცნობებით, აკადემიას 13 პედაგოგი და 150 სტუდენტი ჰყავდა მხოლოდ!), რამდენიმე თეატრი (ოპერისა და რუსთაველის თეატრებს გარდა — „წითელი თეატრი“ ახლანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში, რამდენიმე საკლუბო მუშათა თეატრი), ხუთი თუ ექვსი კინოთეატრი, ორი თუ სამი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, არქივი, სურათების გალერეა; მუზეუმების სისტემა ჯერ კიდევ სრულიად ჩამოუყალიბებელი იყო: უნივერსიტეტის შენობაში შეკედლებული, რევოლუციამდე შექმნილი მუზეუმები — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, ძველი ქართული ხელოვნებისა, სიძველეთა (ხელ-

ნაწერების კოლექციით), ისტორიულ-ეთნოგრაფიული — მოკლებული იყო ექსპოზიციებს, მნახველთათვის მიუწვდომელი რჩებოდა, ისევე როგორც „საქართველოს (ყოფ. კავკასიის) მუზეუმი“. საინტერესო მუშაობას ეწეოდა ქალაქის მუზეუმი, რომელსაც ამ საქმის დიდი ენთუზიასტი ნიკოლოზ ბადრიაშვილი ედგა სათავეში: იქ ინახებოდა თბილისის კომუნალური მეურნეობის ისტორიის მასალები; ამას გარდა, ამ მუზეუმის შეკვეთით სწორედ იმ წლებში შეასრულეს მშვენიერი სურათები (ქალაქის სხვადასხვა კუთხის ხედები) ალექსანდრე ციმაკურიძემ, ბორის ფოგელმა და დავით გველესიანმა. მაგრამ საგამოფენო დარბაზები არც ამ მუზეუმს გააჩნდა, ისიც საწყობივით იყო (მას ეჭირა ყოფ. თეოდოსის ეკლესია რუსთაველის პროსპექტზე, ერთხანს იქ ჰადრაკის კლუბიც იყო); არსებობდა რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოება, მათ შორის დიდად აქტიური „გეოგრაფიული საზოგადოება“. მის ტურისტულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა გიორგი ნიკოლაძე*); პოპულარული იყო ბოტანიკური ბაღი, რომელშიაც მაშინ ვიწრო გვირაბით შევდიოდით — ეს ერთგვარ რომანტიკულობას მატებდა ბაღს.

მაშინდელი თბილისი აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით გამოირჩეოდა: მხატვრებსა და მწერლებს რამდენიმე დამოუკიდებელი და დაპირისპირებული ორგანიზაცია ჰქონდათ, გამოდიოდა ძალიან ბევრი გაზეთი და ლიტერატურული ჟურნალი (მათი ტირაჟების სიმცირე ახლა ეუცხოება კაცს), საზოგადოება ცხოველი ინტერესით ეკიდებოდა რუსთაველის თეატრის ყოველ ახალ დადგმას, ოპერა მუდამ სავსე იყო, იმართებოდა მშვენიერი კონცერტები — უმეტესად ჩამოსული მუსიკოსები გამოდიოდნენ, ქართველი შემსრულებლები (თუ არ ჩავთვლით მომღერლებს) მხოლოდ მაშინ ჩნდებოდნენ (ერთადერთი ქართველი დირიჟორი ივანე ფალიაშვილი იყო. კარგად მახსოვს ბეთჰოვენის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი ოპერის თეატრში 1927 წელს. ფალიაშვილის დირიჟორობით შეასრულეს მეცხრე სიმფონია, ანანტასია ვირსალაძემ კი

* რამდენადაც მახსოვს, ამ განყოფილებას, რომელიც თვით საზოგადოებასთან ერთად ჩამოყალიბდა 1924 წელს, ერქვა „მთავალ-მგზავროსნობის განყოფილება“. ის იყო იმ ხანებში ქართული ალპინიზმის ორგანიზატორი, თუმცა პირველი ნაბიჯები (მყინვარწვერზე ასვლა) უკვე წინა წელს გადაიდგა. ძალიან პოპულარული იყო მაშინ ორი მოხვეის — გახა წიკლაურისა და იაგორ კაზალიკაშვილის — სახელები: ესენი იყვნენ პირველი ქართული ალპინისტური ექსპედიციების მებურთები. მათ შესახებ ბევრს წერდნენ, იაგორ კაზალიკაშვილი კი თვითონაც წერდა და ბეჭდავდა ლექსებს. მისი ქალიშვილი ელენე ჩვენს ჩუქურში სწავლობდა.

დაუკრა მეხუთე საფორტეპიანო კონცერტი. მაგრამ ვირსალაძე ძალიან იშვიათად ჩნდებოდა ესტრადაზე). და განა საბჭო მუსიკოსები: სანამ ჩვენმა საკუთარმა უმაღლესმა სამხატვრო სასწავლებლებმა — სამხატვრო აკადემიამ, უნივერსიტეტის, შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტორის ფაკულტეტმა თავისი პირველი კურსდამთავრებულები არ გამოუშვეს, ქართველი მხატვრების რაოდენობაც მცირე იყო, ქართველი არქიტექტორი კი არც არსებობდა სიმონ კლდიაშვილის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ სწორედ ოციან-ოცდაათიანი წლების მიჯნიდან არაჩვეულებრივი სისწრაფით დაიწყო ხელოვნების დარგში ჩვენი ეროვნული კადრების გამრავლება, და არა მარტო ხელოვნებისა, არამედ ტექნიკისა და მეცნიერების ყველა დარგშიაც, მედიცინაშიაც — მე შემომრჩა 1929 წლის „ექიმის კალენდარი“, რომელშიაც საქართველოს ექიმთა სრული სია არის დაბეჭდილი: ქართველების რიცხვი ნახევარზე მეტია, მაგრამ სულ რამდენიმე წლით ადრე მათი პროცენტი გაცილებით ნაკლები იყო. ახლა ძნელი წარმოსადგენიც კი არის, რამდენი რამ გაკეთდა რევოლუციის მომდევნო 10-15 წელიწადში ეროვნული სამეცნიერო და ტექნიკური აზროვნების, ხელოვნების, ეროვნული საშუალო და უმაღლესი სკოლის, კულტურული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ქართული სახელმძღვანელოებისა და ტერმინოლოგიის დაფუძნებისა და განვითარებისთვის. ჩვენ კი, თავიდანვე მოწაფეებს, ასე გვეგონა, რომ ეს ადვილად და თავისთავად მოხდა, ჩვენ ხომ ვერ წარმოვიდგენდით რეალურად, რა ტიტანური შრომა იყო თავიდანვე გაწეული თუნდაც მხოლოდ საშუალო სკოლის გაეროვნულებისთვის.

ერთ-ერთი დამახასიათებელი გარეგნული შტრიხი ახალი ცხოვრების დამკვიდრებისა ისიც იყო, რომ გამალებით დაიწყეს ქუჩებისა და მოედნების ძველი სახელების შეცვლა. განა ნიშანდობლივი არ არის, რომ რევოლუციამდელ თბილისში არ არსებობდა ქართველი მოღვაწის სახელობის ქუჩა? ჭავჭავაძისა და ორბელიანის ქუჩებს ეს სახელი ეწოდათ იქ მდებარე მიწა-მამულების მეპატრონეთა გვარების მიხედვით, ჩერქეზოვი — ჩერქეზიშვილი მუნიციპალური მოღვაწე იყო და ამიტომ გაიმეტეს მისთვის ერთი ქუჩა. ძველ თბილისში, რა თქმა უნდა, იყო რუსეთის საიმპერატორო საგვარეულოს წევრთა სახელობის „სავალდებულო“ ქუჩები (ისევე, როგორც იმპერიის ყველა ქალაქში) — ნიკოლოზისა, ალექსანდრესი, მიხეილისა და სხვათა, აგრეთვე მთელი „სერია“ მეფისნაცვალთა („ნამესტნიკების“)

სახელობისა — გოლოვინის პროსპექტი, ციციანოვის (ე. ი. პავლე ციცივილის) აღმართი, რტიშჩევის, გუდოვიჩის, ერმოლოვის, პასკევიჩის, როზენის, ბარიატინსკის ქუჩები, ვორონცოვის ხიდები, გენერლების სახელობის ქუჩები და რამდენიმე — დიდი რუსი მწერლების სახელობისაც.

ახლა, უკვე ოციან წლებში, ქალაქის გეგმაზე ერთბაშად გაჩნდა ჩახრუხაძის, სულხან-საბას, ბესიკის, ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, მაჩაბლის, ვაჟა-ფშაველას, ნინოშვილის, დავითაშვილის, ჭონჭაძის, ჯორჯაძის, ფურცელაძის, ბარნოვის (მისსავე სიცოცხლეში) ქუჩები; ეს ცოტა რამ არ იყო: ჩვენ საკუთარი დედაქალაქის ქუჩებში დავდიოდით! ბუნებრივია, ერთ-ერთ მთავარ ქუჩას ლენინისა ეწოდა, ერთ-ერთ ხიდს მარქსისა, რამდენიმე ქუჩას — მსოფლიოს პროგრესულ მოღვაწეთა, რუს, სომეხ, აზერბაიჯანელ რევოლუციონერთა და საბჭოთა საქართველოს პირველ ხელმძღვანელთა სახელები. და ისიც ნიშანდობლივია, რომ თავიდანვე ერთ-ერთ ქუჩას ძველ თბილისში (არლუთინსკისას) დიდი სომეხი მწერლის, თბილისის მკვიდრის ოვანეს თუმანიანის სახელი დაერქვა. არ ვიცი, ვინ იყო თბილისის ქალაქის საბჭოში ტერორისტების თაყვანისმცემელი, მაგრამ, მე. მგონია, საბჭოთა კავშირის არც ერთ ქალაქში არ მოიძებნება იმდენი ტერორისტის სახელობის ქუჩა (ქართველებისაც და რუსებისაც), რამდენიც თბილისშია.

მე მენანება, რომ ზოგ შემთხვევაში სახელების შეცვლა დაუფიქრებლად ხდებოდა (მაშინაც და ბევრად უფრო გვიანაც): ძველ თბილისში ზოგი ქუჩის სახელწოდება ასახავდა ქალაქის ისტორიას, ყოფას, ზრდას — იმ სოფლების სახელებსაც, რომელთაც ქალაქი თავისი გაფართოების პროცესში ნთქავდა, ან — როგორც ეს ძველ კალაში იყო — იმ საქმიანობას, რომელსაც იმ ქუჩებში ეწეოდნენ (ვერცხლის ქუჩა, ბამბის რიგი და სხვ.); ვერეს რაიონში ქუჩების სახელები ისე იყო შერჩეული, რომ რაღაც მთლიანი ანსამბლი იქმნებოდა, დაკავშირებული საქართველოს სამხედრო გზასთან: არაგვის, ფასანაურის, მღეთის, ლარსის, კობის, ყაზბეგის, დუშეთის ქუჩები... აი ეს ყველაფერი უნდა დაგვენდო და ქალაქი უკეთ შეინარჩუნებდა თავის კოლორიტს.

ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ თბილისში — მის გარეგნობაშიც და ყოფაშიც. თანამედროვე ქალაქის ბუნებრივმა ზრდამ, ამ ზრდის კანონზომიერებამ, უპირველეს ყოვლისა კი თვით ცხოვრებაში მომხდარმა არსებითმა ცვლილებებმა ღრმა კვალი დააჩნია თბი-

ლისს, ისევე როგორც აჩნევს ყველა სხვა ცოცხალ ქალაქსაც. შეუღარებლად დაწინაურდა კეთილმოწყობა, საშინლად (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) გამრავლდა ტრანსპორტი. ახალი უბნების მშენებლობასთან ერთად აშუცილებელი გახდა ძველი, ისტორიულად ჩამოყალიბებული, ქალაქის მოწესრიგებაც, მისი „მორგება“ ახლებურ მოთხოვნილებებთან. ეს მოითხოვდა მსხვერპლს, გარდუვალ ნგრევას, რომელსაც ჩვეულებრივ „გაფართოებას“ ვუწოდებთ ხოლმე (ქუჩისას, მოედნისას). მაგრამ, სამწუხაროდ, ეს „გაფართოება“ ყოველთვის კარგად მოფიქრებული და გააზრებული არ იყო, ბევრი რამ ისეთიც გავწირეთ, რის შენარჩუნებაც საჭიროც იყო და შესაძლებელიც თბილისისათვის თბილისური სახის შესანარჩუნებლად. და დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო თითქოს ნოსტალგიამ შეიპყრო, როდესაც ყველგან გაფაციცებით ცდილობენ ისტორიული უბნების დაცვა-აღდგენას, რომ ქალაქები სრულ გაუპიროვნებას გადაარჩინონ, ჩვენ იძულებულნი ვართ ზოგჯერ სტილიზაციას დავჯერდეთ, და იმის ნაცვლად, რაც შეიძლებოდა დღესაც ორიგინალის სახით გვქონოდა, იმიტაციას მივმართოთ (ბოლო დროს ამ მხრივ ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა და კეთდება, პრინციპულად დიდად მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა ძველი ქალაქისადმი დამოკიდებულების მხრივ!).

ცხადია, იმ წლებს თან გაჰყვა არა მარტო ზოგი ძველი ქუჩა ან მთელი უბნებიც, არამედ თვით ცხოვრების მაშინდელი „მანერაც“, ცხოვრების რიტმი და ტემპი, თან გაჰყვა ბევრი „მოქმედი პირიც“ — თბილისის ტიპური პერსონაჟები, რომლებიც განუმეორებელ ელფერს ანიჭებდნენ ქალაქს (არა მარტო ყარაჩოხელები და კინტოები, არამედ ბევრი სხვაც). ესეც, ცხადია, სოციალური ევოლუციის შედეგად მოხდა.

ცნობილია, რომ XIX საუკუნე არსებითი (გადამწყვეტი!) გარდატეხის ხანა იყო თბილისის (ისევე როგორც მთელი საქართველოს) ცხოვრებაში. ეს იყო ხანა, როდესაც შუა საუკუნეების გალავანშემორტყმულმა ფეოდალურმა ქალაქმა დაასრულა არსებობა, როდესაც კაპიტალიზმის შემოჭრასთან ერთად გაჩნდა ახალი ობიექტები — ჯერ სახელოსნოები და წვრილი საწარმოები, მერე ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზა, ბანკები, უნივერსალური მაღაზიები, ბევრი ახალი შენობა მანამდის არარსებულ და ახლად შექმნილ დაწესებულებათათვის, სკოლები, საავადმყოფოები, თეატრები, უფრო გვიან კინოთეატრები; გაჩნდა ახალი უბნები, უკვე მეტ-ნაკლებად წესიერად და-

გეგმილი პარალელური ქუჩებით — მთელი სოლოლაკი, რუსთაველის პროსპექტი და მისი მიმდებარე უბნები მთაწმინდის კალთებიანად, ვერე, გაღმა—ჩუღლურეთი, ავლაბარი, მიხეილის (ახლანდელი პლეხანოვის) პროსპექტი და მისი პარალელური ქუჩები რკინიგზის სადგურამდე, მერე ნაძალადევიც — ეს ყველაფერი XIX საუკუნის მანძილზე და XX-ის პირველ წლებში გაშენდა. ამასთან ერთად ხდებოდა ძლიერი აზიური, აღმოსავლური გავლენით დაღდასმული ქალაქის გავერობულება, უფრო სწორად, მისი დაბრუნება ევროპული კულტურის წიაღში, რასაც იგი ძალით იყო მიწყვეტილი სამი საუკუნის მანძილზე, აგრესიული მაჰმადიანი მეზობლების მძლავრობის წყალობით.

ეს ცვლილება, ეს „გადაქცევა“ ხანგრძლივი და რთული პროცესი იყო, მიუხედავად იმისა, რომ უკვე XVIII საუკუნეში მოწინავე ქართველობას, ინტელიგენციას სავსებით შეგნებული ჰქონდა არსებითი რეფორმების, კერძოდ, ევროპისაკენ „კარის გაჭრის“ სასიცოცხლო აუცილებლობა...

ცვლილებები ცხოვრების ყოველ სფეროს შეეხო. ეს ცვლილებები „შინაგანიც“ იყო და „გარეგანიც“. შეიცვალა საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა, ავეჯი, ჩაცმულობა, იცვლებოდა ადათ-წესები, ყოველდღიური ცხოვრების ნორმები. ადვილი წარმოსადგენია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი, ის წრე, რომელსაც ორბელიანები, ბარათაშვილები, სხვა განათლებული ქართველები და მათი არაქართველი ნაცნობ-მეგობრები შეადგენდნენ, ამ მხრივ დიდად დაახლოებული იყო ევროპულ ნორმებთან; უკვე არსებობდა იტალიური ოპერა, ხელახლა შეიქმნა ქართული თეატრი... მაგრამ „ძველი თბილისიც“ მთელი გასული საუკუნის მანძილზე მტკიცედ იყო ფესვგადგმული — აი ის ძველი თბილისი, რომელსაც ძველი კალას უბანი შეადგენდა, თავისი შუაბაზრით, ვაჟარ-ხელოსანთა რიგებით, თათრის მოედნით თუ „შაითან-ბაზრით“, ქარვასლებით, იმ გრიშაშვილისეული „ლიტერატურული ბოქემით“, სმაურით, ყაყანითა და ფერადოვნებით, ყეენობით, აბანოებით, რომლებიც თავისებური კლუბების როლსაც ასრულებდნენ, საკუთარი ჟარგონით, სამიკიტნოებით, ფიროსმანის სურათების მოქმედი პირებით... ის ძველი თბილისი, რომელიც მრავალგვარი სოციალური, ეროვნული, კულტურული „შეჯვარების“, მრავალი სხვადასხვა ფენის ორგანული შერწყმის შედეგად შეიქმნა... თბილისი, რომელშიაც, რა თქმა უნდა, ბევრი რამ იყო საერთო აღმოსავლეთთან, მაგრამ მთლიანად მაინც განუმეორებელი რომ იყო — მხო-

ლოდ თბილისური, სხვისაგან გამორჩეული... ეს ყველაფერი არსებობდა იმ „კულტურული“ თბილისის გვერდით, რომელიც ჩვენს ეროვნული ისტორიისა და სულიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ფურცელს შეადგენს — სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებებისა და დაწესებულებების, მწერლობის, „ივერიის“, „დროების“, „კვალის“, თეატრების გვერდით, არსებობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური იდეებისა და ბრძოლის პარალელურად. XIX საუკუნის შუა წლებში ერთი რუსი ეურნალისტი თბილისის ერთ-ერთ გაზეთში წერდა — თბილისი ორსახა იანუსია, ერთი სახით აზიისკენ მიმართული, მეორით კი ევროპისკენ... XIX საუკუნის თბილისური პრესა, მოგზაურთა ნაწერები საესეა ამ ეგზოტიკური, პირით აზიისკენ მიქცეული, თბილისის აღწერით — გარედან მოსულთ, ცხადია, იგი უფრო მეტად იზიდავდა და აინტერესებდა, ვიდრე ევროპული ქალაქი¹. ასე იყო ბევრად უფრო გვიანაც, XX საუკუნის ოციან წლებშიაც კი².

მე თვითონ ამგვარ თბილისს მხოლოდ „კუდში მოვუსწარი“, მაგრამ მასთან რეალური კონტაქტი, ცხადია, არ მქონია — პატარა ვიყავი; თანაც მამაჩემიც ძალიან დაშორებული იყო ბოქემურ ყოფას, რომელიც სრულიად არ იყო უცხო ქართველი პოეტებისა და მხატვრებისთვის. მაგრამ მაინც მახსოვს, თუმცა კი ბუნდოვნად, ვიწრო შექე-

¹ იმდროინდელი ქალაქის ცოცხალი სურათის წარმოსადგენად ძვირფასი და, არსებითად, ერთადერთი წყაროა ალ. როინაშვილის, დ. ერმაკოვისა და ზოგი სხვა ფოტოგრაფის მიერ დატოვებული უმდიდრესი ფოტოკოლექცია. ნეგატივები ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება, ხოლო ფოტოანაბეჭდები, ალბომები, ერმაკოვის მიერ ფრიად უსისტემოდ შედგენილი — ს. ჭანაშვიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. ამათ უნდა დაეუმატოთ გრიგოლ გაგარინისა და ნიკანორ ჩარნეცოვის ჩანახატები და კიდევ რამდენიმე მხატვრის სურათები XIX საუკუნის შუა წლების თბილისისა.

ამ მასალამ ასახვა პოვა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ დიდად საინტერესო ალბომში (ავტორი თამაზ გერსამია), რომელსაც „ძველი თბილისი“ ეწოდება (გამოვიდა 1985 წელს).

² ამ მხრივ დამახასიათებელია თუნდაც ოსიპ მანდელშტამის 1920 წელს დაწერილი და, მგონი, ჩვენში ნაკლებად ცნობილი ლექსი, რომელშიაც არის ასეთი სტრიქონები:

«Мне Тифлис горбатый снится,
Сазандарий звон звенит,
На мосту народ толпится,
Вся ковровая столица,
А внизу Кура шумит.
Над Курою есть духаны,
Где вино и милый плов,

И духанщик там румяный
Подает тебе стаканы
И служить тебе готов.
Кახетинское густое,
Хорошо в подвале пить. —
Ты впрохладе, там в покое
Пейте вдоволь, пейте двое
Одному не надо пить».
და სხვ.

ბი ვაჭრებისა და ხელოსნების დუქნებით შუა ბაზრის მიდამოებში — „ბამბის რიგი“, „ბნელი რიგი“, სხვა „რიგები“... და კიდევ უფრო ბუნდოვნად — აქლემების ქარავანი, რომელიც არც კი ვიცი, საიდან უნდა გაჩენილიყო იმ დროს.

„თათრის მოედანი“ კარგა ხანს ინარჩუნებდა თუ ძველებურ „შინაარსს“ არა, ძველებურ სივიწროვესა და წინანდელ იერს მაინც. მეტეხის ძირში, იქ, სადაც მტკვრის ნაპირები ყველაზე მეტად უახლოვდება ერთმანეთს, ორი ვიწრო ხიდი იყო ერთიმეორის გვერდით. ერთ-ერთი მათგანის ყურეში, მარჯვენა ნაპირზე, შაპ-ისმაილის მიერ XVI საუკუნეში აგებული ფერადსახურავიანი მიზგითი იდგა, მეორე ნაპირზე კი, იქ, სადაც მტკვარი უხვევს, ზედ მდინარეზე დაკიდული ქარვასლა. მეტეხის ეკლესიას ჯერ კიდევ გარს ერტყა XIX საუკუნეში აგებული ულაზათო ყაზარმული კორპუსები — 1933 წლამდე იქ საპატიმრო იყო.

შუა ბაზარი (ახლა ლესელიძის ქუჩა) პირველი თბილისური ქუჩაა, რომელიც გააფართოვეს. გაფართოებას ემსხვერპლა ერთი სომხური ეკლესია XVIII საუკუნისა, თავისუფლების (ახლანდელი ლენინის) მოედნიდან სულ ასიოდ მეტრზე აღმართული. მანამდე ეს ქუჩა, ფეოდალური თბილისის ერთი მაგისტრალთაგანი, მართლა ისე ვიწრო იყო, რომ ახალ პირობებში მისი „მოთმენა“ აღარ შეიძლებოდა.

თავისუფლების მოედანი, რევოლუციამდე ერევნის მოედნად წოდებული (პარსკევიჩის მიერ 1828 წელს ერევნის აღების სახსოვრად), ახლანდელზე ბევრად უფრო პატარა იყო; მისი შუა ადგილი ეჭირა XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში იტალიელი არქიტექტორის სკუდიერის მიერ აშენებულ ქარვასლას. თავდაპირველად ამ ქარვასლის შუაგულში საოპერო თეატრის დარბაზი იყო, მხატვარ ვაგარინის მიერ გაფორმებული და ალექსანდრე დიუმას მიერ „კავკასიაში მოგზაურობის“ წიგნში დიდად შექებული. 1874 წლის ხანძრის შემდეგ ქარვასლა უთეატროდ აღადგინეს და ასევე იდგა 1930 წლამდე. შიგ უამრავი მაღაზია იყო. ერთ-ერთი ეკუთვნოდა განთქმულ მუყავილეს მიხეილ მამულაშვილს და სახელად ერქვა „სოლეილორი“ („ოქროს მზე“).

რუსთაველის პროსპექტი მაშინ მოედნიდან კი არ იწყებოდა, არამედ მთავრობის სასახლიდან, რომელშიაც ახლა პიონერთა სასახლეა, რევოლუციამდე კი „ნამესტნიკის“ — მთავარმართებლის რეზიდენცია გახლდათ. მოკლე, პროსპექტზე უფრო ვიწრო, მონაკვეთს მოედანსა და პროსპექტს შორის სასახლის ქუჩა ერქვა. არც ერთი მაშინ-

დელი შენობა ამ ქუჩისა არ გადარჩენილა. იქ, სადაც ქუჩა პროსპექტს ხვდებოდა, თუ პროსპექტიდან შეეხვდავთ, მარცხნივ იდგა სომხური ქამოანთ საყდარი, მაშინდელი თავისი სახით შედარებით ახალი შენობა; მის გაყოლებაზე მთელი ქუჩა XIX საუკუნის მიწურულს სამსართულიან „შემოსავლიან“ სახლებს ეკირა; პირდაპირ კი, სადაც ახლა ახალი უნივერსალი და მეტროს სადგურია, შედარებით უინტერესო სახლებს შორის იდგა ერთი მნიშვნელოვანი შენობაც, ის, რომელშიაც ჭერ კიდევ რევოლუციამდე ქართული თეატრი და სხვა კულტურული ორგანიზაციები იყო მოთავსებული: აქ საინტერესო იყო ამპირული ნაგებობის ნაშთი — მძლავრი კოლონადა ქუჩის კორპუსის მეორე სართულის ღია გალერეისა — წინანდელი ქარვასლა. თვით თეატრი უფრო ახალი იყო, ჩვენი საუკუნის ათიანი წლებისა. გაუგებარი მიზეზის გამო ის ძველი თეატრი დაანგრიეს, თუმცა დასანგრევი არაფერი სჭირდა, დაანგრიეს ის კოლონადაც, რომელიც განსაკუთრებით მენანება¹.

¹ ამ ქუჩასთან და თეატრთან დაკავშირებით კიდევ ერთი დამატებითი მოგონება: ბევრად უფრო გვიან, ომის წლებში, ერთხელ საპარტიკმახეროში შევედი სალამო ხანს — ოპერის პირდაპირ, სადაც „ჩემი“ პარტიკმახერი ნიკო კ-ძე მუშაობდა. ხალხს ცოტა იყო, ნიკო დიდხანს „მილამაზებდა“ თმას და თან ხელოვნებაზე გეჰქონდა საუბარი. საუბარი რადიოგადაცემამ გამოიწვია, მერე, აღარ მახსოვს როგორ, თეატრის ამბებზე გადავედი. ნიკო მიაშობდა:

— ერთხელ იქ ჩაველი, აი, მარჯანიშვილის თეატრი რომ არის, „ურიელ აკოსტაზე“ — აქებდნენ, აი, უშანგი ასეთი და ესეთია... სულ არ მამეწონა.. მე რომ ლაღო მესხიშვილი მინახავს, მერე ვინ მამეწონება? ძალიან პატიოსანი კაცი იყო ლაღო... მე იმ დროს დეარცოვზე ვმუშაობდი, აი, ბერლემონი რომ იყო, ფრანკუზი, იმასთან... შვილი კონსული ჰყავდა... იქვე, გვერდზე, ლოტის საკანდიტრო იყო, პირდაპირ კიდევ თეატრი... რომ მოვიდოდა, აბაზს რომ ხაზეინს მისცემდა, ორ შაურსაც ჩვენ გვიტოვებდა. ერთხელ ვუთხარი, ნუ შეწუხდებით-მეთქი... არაო, თქვა, ეჰ, მე კი ვიცი, როგორ უნდა თქვენი პატივისცემა, მაგრამ რა ვქნაო... თავად აზნაურობისა უკმაყოფილო იყო — სულობით ხელს არ გეიწყობენო... ფიე! იმათ რომ ისეთი ხელის შეწყობა ჰქონოდათ, ახლა რომა აქვთ არტისტებსა... აუჰ! ერთხელ ენახე, ლაღო კინს რომ თამაშობდა... ლოჯაში ადელგეიმები ისხდნენ... ხომ გაგიგიათ, ძმები რომ იყვნენ, რაფაილ და რობერტ ადელგეიმები.. ჰო და, რომ შორია, გადაეხვიენენ და გადაჰკონენს...

— სხვა მსახიობებსაც იცნობდით, კოლია? — ვკითხე მე.

— ვიცნობდი, მაშ! კოტე მესხი, ყიფიანი, შათირიშვილი, საშა იმედაშვილი, გელევანოვი... ჩველობაში ძალიან ხშირად დავდიოდი ხოლმე თეატრში.

— და ვასოს არ იცნობდით, აბაშიძეს?

— ვასოს? როგორ არ ვიცნობდი! — სიხარულით წამოიძახა ნიკომ და შემდეგ ისეთი ხმით, რომელშიაც თითქოს სინანულიც ერია, მოგონების სიტკბოებაც და სიამაყეც, დაუმატა:

— ეეჰ! რაც მე ის მიპარსია!

მთავრობის სასახლის ბაღს მაშინ აგურის გალავანი ერტყა და ქუჩიდან მხოლოდ ხის კენწეროები ჩანდა. თვით გალავანზე ფოტოვიტრინა ეკიდა: ერთხანს საქართველოს მთავრობის წევრების ფოტოსურათები იყო გამოფენილი.

საქართველოს მუზეუმის შენობა, ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაწყებული (მაშინ „კავკასიის მუზეუმი“ იყო), დაუმთავრებელი იდგა. აგურის დიდი მასივი შუა ნაწილში ბეტონის ორი სვეტით — მინარეთით: თავდაპირველი პროექტის თანახმად, ფასადი სპარსული მიზგითის მსგავსი უნდა ყოფილიყო, მოპირკეთებული მოკიქული ფერადი აგურით (კიდევ კარგი, რომ გადავურჩით ამ ფასადს!). უზარმაზარი უღალათო სარკმლები — დათხრილი თვალებივით... საღამოობით მშინოდა კიდევ ამ სახლის წინ გავლა... ოცდაათიანი წლების მიჯნაზე მუზეუმი დამთავრდა ნიკოლოზ სევეროვის პროექტით — ეს ყველაზე უკეთ გააზრებული ცდა იყო ეროვნული მოტივების გამოყენებისა ახალ მშენებლობაში და დამახასიათებელი ნიმუში ჩვენი ხუროთმოძღვრების მაშინდელი საფეხურისა.

სულ სხვაგვარი იყო მაშინ ის ადგილი, სადაც ახლა კინოთეატრი „რუსთაველია“. ქუჩის პირას ჯერ კიდევ იდგა ძველი ჰაუბტვახტი (იმ დროს უკვე — ქალაქის კომენდატურა), კლასიციზმის ერთი პირველი შენობათაგანი თბილისში, აგებული XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში: ორსართულიანი შენობა ორივე სართულის სიმაღლის მძლავრი ტოსკანური კოლონადით. ამის უკან მიწის პატარა მონაკვეთი ეჭირა კალოუზნის ეკლესიას. ის, რომელსაც მე მოვუსწარი, XIX საუკუნის შუა ათეული წლებისა იყო — „ხანვისთავიანი“ გუმბათით. უფრო ადრინდელი ქართული ტაძრისა, სამწუხაროდ, აღარავითარი კვალი აღარ იყო უკვე მაშინ (1850 წ. დაანგრიეს).

ასევე სრულიად იცვალა სახე ქუჩის მონაკვეთმა მოპირდაპირე მხარეს, სადაც ახლა მთავრობის სასახლია. მაშინ აქ, დიდ, რკინის გალავანშემორტყმულ ეზოში, იდგა ერთი უღალათო, ამორფული ეკლესია, სამხედრო ტაძარი (რატომღაც მას ქართულადაც ყველა „სობორს“ ეძახდა), XIX საუკუნის ოთხმოციანი წლებში აგებული, რუსეთის მიერ კავკასიის სრული შემოერთების ძეგლად. არსებითად, ასეთივე „ძეგლად“ იგულისხმებოდა ახლანდელი სურათების გალერეა, ისიც იმდროინდელი: თავდაპირველად მას „დიდების ტაძარი“ („ნრამ სლავი“) ერქვა და სამხედრო-ისტორიულ მუზეუმს წარმოადგენდა. მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გადაიქცა იგი ეროვნულ გალერეად.

სამხედრო ტაძარი, რომელსაც ყველანი აღიქვამდნენ ცარიზმისა და იმპერიალიზმის ყველაზე მკაფიო სიმბოლოდ, 1930 წელს დაანგრიეს — არავითარი მხატვრული ღირებულება მას არ გააჩნია, ეს იყო ეკლექტიკური, ცუდი იდეოლოგიის შენობა იმ „სტილისა“, რომელსაც მაშინ „რუსულ-ბიზანტიურს“ უწოდებდნენ. თუ არ ვცდები, საბჭოთა წლებში, დანგრევამდე, იქ საჯარო ბიბლიოთეკა თუ მისი რაღაც ნაწილი იყო მოთავსებული. ჩვენ, პირველი სკოლის პატარა მოწაფეები, ხშირად გადავბოდით ტაძრის ეზოში, მით უფრო, რომ იქ იდგა კაცი აპარატით, რომელშიაც სხვადასხვა საინტერესო სურათს გვიჩვენებდა, სათანადო, ფრიად ლაკონიური და მეტყველი კომენტარებით („ესეცა ვენეცია, სუ წყალში დგას“; „ესეცა ალპის მთები, შიგ არის ცხელი და მყავე წყლები“; „ესეცა სალაგკი — სიბირშია ეგა, ვინც მთავრობაზე რამერუმე ამბობდა, სუ იქ იყო“; „ესეცა მანტე-კარლო... მილიონჩიკები, ლორდები ზაგრანიცაში რომ მიდიან, სუ იქ დადიან, კარტს თამაშობენ, აგებენ, იგებენ“, და სხვ.).

ქვაშეთის ჩასახვევში, ახლანდელი ჯორჯიძის ქუჩაზე, ბუქინისტები ბინადრობდნენ. მათ შორის, თუ არ ვცდები, ცნობილი სოსიკო შერკვილაძეც.

პირველი სკოლის წინ, სადაც ახლა ილიასა და აკაკის ძეგლი დგას, პატარა ეზო იყო, სკოლის სასპორტო დარბაზით და ყრუ კედლით ქუჩის მხარეს. მოგვიანებით აქ ააშენეს ერთსართულიანი საბავშვო უნივერსალი, რომელიც მაინცდამაინც ვერ ამშვენებდა პროსპექტს, ისევე როგორც „ჭიგინის სახლი“ ქვაშეთის წინ. ორივე ეს იაფფასიანი შენობა ბევრად უფრო გვიან, მხოლოდ ომის შემდეგ დაანგრიეს — ის ადგილი, ცხადია, დამშვენდა, მაგრამ სკოლა უეზოოდ დარჩა. გალერეის გარეგნობამ კი უფრო ადრე იცვალა სახე, თუმცა არც ისე არსებითად: მას თავისებური გალავანი ჰქონდა — გადაჯვარედინებული ზარბაზნები და მათ შორის გაბმული ჯაჭვები (ძველი ცნობარის მიხედვით, ეს თურქული ზარბაზნები იყო — ალბათ, ნადავლი?). ეს გალავანი მოაცილეს, ისევე, როგორც ფასადზე ჩამწკრივებული წარწერებიანი დაფები.

მე მახსოვს ნინოშვილის ძეგლის გახსნა — ეს 1923 წელს იყო — სკოლიდან წაგვიყვანეს ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად.

მაშინ ჯერ კიდევ არ იყო კავშირგაბმულობის სახლი, „ზარია ვოსტოკასა“ და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობები (პირველი 1930 წელს აშენდა, მეორე — 1938 წელს დაამთავრეს). იმ კუთხეს, სადაც ახლა მათ ტელეგრაფი და სასტუმრო „ივერია“ დაემატა

(რომ აღარაფერი ვთქვათ ახალ მოედანზე), მაშინ ბევრად უფრო ინტიმური სახე ჰქონდა: ქუჩა აქ უხვევდა და პროსპექტზე აქეთკენ მომავალი კაცი შორიდანვე ხედავდა ძველებურ ხისაივნის სახლს და ძველ ფოსტას, ორსართულიან ყვეთელ შენობას, რომელიც პროსპექტის ღერძისადმი დიაგონალურად იდგა და მაშინ არსებულ სამხედრო ქუჩის ხაზს მისდევდა. გასული საუკუნის შუა წლების ეს ნაგებობა უპრეტენზიო, მაგრამ მაინც კლასიციზმის ნიშნით აღბეჭდილი, რევოლუციამდე разгонная почта იყო — ახლანდელი ავტოსატრანსპორტო სადგურების წინაპარი (მაშინ ცხადია, ავტომობილების როლს ეტლები და „დროშები“ ასრულებდა (მაგრამ ამას მე არ მოვსწრებივარ).

„ზარია ვოსტოკას“ აშენებამდე ის ადგილი გამოყენებული იყო ღია კინოთეატრად. მეზობელ სახლში ცხოვრობდა მამას მეგობარი, ცნობილი პედაგოგი გიორგი ჭუმბურიძე. არაჩვეულებრივად გულთბილი კაცი იყო და მიყვარდა. მაგრამ მათთან სტუმრობა იმიტომაც მუხალისებოდა, რომ იმათი საკმლებიდან კინოს ეკრანი ჩანდა.

მარჯვენა ნაპირზე ქალაქი, არსებითად, უნივერსიტეტთან თავდებოდა. რალა იყო უნივერსიტეტის იქით? მინდორი, წყნეთის გზა, თითო-ოროლა საცხოვრებელი სახლი (ერთ-ერთს წოწოლასახურავიანი მრგვალი კოშკიც ჰქონდა) და, სულ ბოლოს, შორს, ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობა (შემდეგ იგი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს გადასცეს). მთავარი ქუჩის — აწინდელი ილია ჭავჭავაძის პროსპექტის — მიმართულება მაშინ მხოლოდ ისახებოდა.

საქართველოს სამხედრო გზა იწყებოდა ახლანდელი აბრეშუმის ფაბრიკის ცოტა ზემოთ: ვიწრო გზა ერთბაშად ეშვებოდა და მდინარე ვერეზე აშენებულ ძველ (XVII საუკუნის) აგურის ხიდზე გადადიოდა. იქით დაჭაობებული საბურთალო იყო (ამ ჭაობების ამოშრობაზე ფიქრი მხოლოდ 1922 წლიდან დაიწყო). არავითარი „გმირთა მოედანი“, არავითარი „ჩელუსკინელთა ხიდი“ — ეს ადგილი მტკვრისგან კლდით იყო გაყოფილი.

გაღმა: დიდუბეში გერმანელთა კოლონია. ერთსართულიანი სახლები ძალიან მაღალი ორკალთიანი სახურავებით, რომლებშიაც დიდი სხვენი იყო მოწყობილი. ერთხელ სკოლიდან ექსკურსიაზე წაგვიყვანეს იქაურობის სანახავად.

არავითარი სანაპიროები. მეტეხის ხიდებს გარდა მხოლოდ ოთხი ზიდი იყო: მუხრანისა, რომლის ადგილას ახლა ბარათაშვილის ხიდი, ყოფილი ვორონცოვისა (ახლა — მარქსისა) — დიდი და პატარა, და

ვერისა. ამათგან ყველაზე ძველი ვორონცოვის ხიდები იყო, XIX საუკუნის შუა წლებისა, ყველაზე ახალი, 1912 თუ 1913 წელს აგებული, მუხრანისა; ეს ლითონის ხიდი იყო, დაკიდული კონსტრუქციისა და რკინიგზის ხიდს ჰგავდა.

ბარათაშვილის ქუჩა (მაშინ ამასაც მუხრანისა ერქვა) იმდენად ვიწრო იყო, რომ აუცილებელი გახდა მისი გაფართოება, რაკი იგი დატვირთულ სატრანზიტო არტერიად იქცა. სამწუხაროდ, მაშინ დაინგრა (სხვა გამოსავალი არ იყო!) უმშვენიერესი ძველი თბილისური სახლი უნიკალური აივნით, რომლის ფართობიც ბინისას სჭარბობდა.

რიყეზე: ძველი განაშენიანება, XIX საუკუნის შუა წლებისა და მეორე ნახევრისა, თბილისური სახლების თავისებური დამახასიათებელი ვარიანტებით. მტკვრის ადიდების დროს იქაურობას მუდამ წყალი ფარავდა. ძალიან დასანანია, რომ რიყის განაშენიანების დროს ერთი კვარტალი მაინც არ გადაარჩინეს (მე მქონდა ასეთი წინადადება, რომელიც უყურადღებოდ დარჩა). აქ შეიძლებოდა თავისებური ტურისტული კომპლექსის გამართვა.

მე მოვუსწარი წისქვილებსაც ვორონცოვის ხიდის მიდამოებში და თვით ვორონცოვის ძეგლსაც, მისი სახელობის მოედანზე (ახლა რომ მარქსისა ჰქვია). თუ არ ვცდები, ეს იყო საერთოდ თბილისში დადგმული პირველი ძეგლი (1867 წელს გაიხსნა).

მაშინ ქუჩებში სად იყო ამდენი ხე! რუსთაველის პროსპექტზე ყველა შენობა ზამთარ-ზაფხულ ჩანდა. მთაწმინდა ხრიოკი იყო, მის თხემზე კი ჭერ კიდევ ის პატარა შენობა იდგა, რომელიც 1905 წელს დამთავრდა ფუნიკულიორის ხაზთან ერთად. მთა ბევრად უფრო დიდად გვეჩვენებოდა.

რუსთაველის პროსპექტი მაშინ, ისევე როგორც დღეს, ყველაზე მიმზიდველი ადგილი იყო თბილისში, ყველაზე საყვარელიც ყველა თბილისელისათვის. მას ვერც ერთი სხვა ქუჩა ვერ უწევდა მეტოქეობას. ხშირად მიფიქრია, რა შეადგენდა მის ამ მიმზიდველ ძალას? ალბათ ის, რომ იგი ჰარმონიულია, გადაჭარბებათა გარეშე; საზეიმოც არის და სადღესასწაულოც, მაგრამ ყოველგვარ ოფიციალურ „გოროზ“ სიცივეს მოკლებული, იმავე დროს — ინტიმურია, ცოცხალი, „თბილი“... „საქმიანი“ და სახალისოც... ე. ი. „ადამიანურია“, და მთავარიც ხომ ეს არის...

როგორც ახლა, მაშინაც აქ იყო დიდი მალაზიები, მათ შორის წიგნის მალაზიებიც (უფრო მეტი, ვიდრე ახლა: რუსთაველის პროს-

პექტისა და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში, არა მარტო მარცხნივ, არამედ მარჯვნივაც; კონსერვატორიის ასახვევთან, ახლა რომ კომპოზიტორთა კავშირია, იმ სახლში); აქ იყო ორივე უმთავრესი თეატრი — ოპერისა და რუსთაველისა, და სამი პოპულარული კინოთეატრი, რომლებიც ბავშვებს განსაკუთრებით გვიყვარდა: „მინიონი“ ახლანდელი სასტუმრო „თბილისის“ მიწისქვეშა სართულში, შესასვლელი ჯორჯიაშვილის ქუჩიდან, განსაკუთრებით ინტიმური იყო. მის დარბაზს ამშვენებდა კედლებზე ჩამწკრივებული მსოფლიო კინოვარსკვლავების ფერადი პორტრეტები ოვალურ ჩარჩოებში. „არფასტო“ — ახლანდელი კულტურის სამინისტროს შენობაში (მერე მას „სპარტაკი“ ერქვა. მის დარბაზში ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მოხრილი ატლანტების სკულპტურული ფიგურები), „სოლეი“, სადაც შემდეგ დიდხანს იყო ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრი; აქ იყო სურათების გალერეა, რომელიც ხელოვნების მუზეუმის ფუნქციას ასრულებდა, და საქართველოს მუზეუმი, რომელშიაც ყველაზე ადრე გაიხსნა ზოოლოგიის განყოფილება (მარჯვენა ფრთაში. როგორ მენანება, რომ ეს განყოფილება აღარ არსებობს! მაშინ იქ მოწყობილი იყო „ცოცხალი სურათების“ მსგავსი დიდი სცენები: ცხოველები მათს ბუნებრივ გარემოში, ე. ი. სათანადო პოზით დაყენებული ფიტულები, მათ გარშემო კი ბუტაფორიულად, მაგრამ ძალიან ოსტატურად გაკეთებული „ბუნება“ — ჭალა, ჭაობი, გორაკები — ბუტაფორიას ერთვოდა კედლების მოხატულობაც. ამ ფიტულების დახელოვნებული ოსტატი (ტაქსიდერმისტი) იყო გერმანელი კრელი. ჩემი მოწაფეობის დროს დიდი სენსაცია გამოიწვია ავჭალის მახლობლად ვეფხვის გამოჩენამ და მისმა მოკვლამ — ეს 1922 წელს მოხდა. იმ ვეფხვის ფიტულს, სათანადო გარემოცვით, საპატიო ადგილი ეჭირა ამ განყოფილებაში და განსაკუთრებით ცხოველ ინტერესს იწვევდა. ამ ზოოლოგიურ მუზეუმს დიდი პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული).

ჩემთვის რუსთაველის პროსპექტი ზოგი საიდუმლოს შემცველიც იყო (და არის). მაგალითად, მაინტერესებდა რატომ იყო ყოველთვის მეტი ხალხი მის იმ მხარეს (იმ ტროტუარზე), რომელიც მთაწმინდისკენაა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე თეატრი, სამივე კინოთეატრი, მუზეუმი და გალერეა მეორე მხარეს მდებარეობდა. რატომ იყო იმ ხალხმრავალ მხარეს განსაკუთრებით ბევრი ხალხი მაინც ერთ გარკვეულ მონაკვეთზე — ბესიკის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე... და სულ მთლად გაუგებარი რამ — რატომ იყრიდა უამრავი ჩიტი თავს მხოლოდ იმ ხეებზე, რომლებიც ოფიცერთა სახლის წინაა და იქ ჰქონ-

დათ გამაყრუებელი ჟივილ-ხივილი, სხვაგან კი არსად ჩანდნენ. ეს „საიდუმლოც“ ჩემთვის რაღაც რომანტიკულობას მატებდა ამ ლამაზ ქუჩას.

რუსთაველის პროსპექტზე მთელი ქართველი ინტელიგენცია შეგძლო გენახა — ასე იყო ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარშიაც. თავისი თეატრების წინ ტრიალებდნენ მსახიობები. დღე არ იქნებოდა, რომ აქ მოსეირნე მწერლები არ შეგვხვედროდნენ — ან მწერალთა კავშირისკენ მიმავალნი, ან იქიდან დაბრუნებულნი, ყოველთვის აუჩქარებლნი, მოსაუბრენი — რუსთაველის პროსპექტზე გავლა სწორედ საუბრის ერთ-ერთი ფორმა იყო... ტიციან ტაბიძე გრიბოედოვისა და ჭავჭავაძის ქუჩების კუთხეში ცხოვრობდა, ლეო ქიაჩელი და ნიკოლორთქიფანიძე იმავე ჭავჭავაძის ქუჩის ზემოთ, მთაწმინდის ძირში, მიხეილ ჭავახიშვილი და დავით კლდიაშვილი ვერის დაღმართზე, ვასილ ბარნოვი „საკუთარ ქუჩაზე“... მაგრამ ისინიც, ვისაც სოლოლაკში ჰქონდა ბინა — გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, გიორგი ლეონიძე — ვერ მოიკლებდნენ ამ სიამოვნებას — რუსთაველის პროსპექტზე ნელა, ტაატიო სვლას, თითქოს ამ ქუჩით ტკობას... ბევრჯერ მინახავს აქ ერთად დავით კლდიაშვილი და ვასილ ბარნოვი — ამ ორი ცოცხალი კლასიკოსის დანახვა აუღელვებლად შეუძლებელი იყო (დავით კლდიაშვილის უმთავრეს მოთხრობებს ხომ სკოლაშიაც ვსწავლობდით, დავითის უმცროსი ვაჟი გოგი კი ჩემი კლასის ამხანაგი იყო, ომში დაიღუპა). ბარნოვს ბიბლიოთეკა გარეგნობა ჰქონდა — გრძელი, თითქოს თავისუფალ ტალღებად მიშვებული, სრულიად თეთრი წვერი, მიქელანჯელოს მოსესავით, ძველებური პენსნე, ქვაბურა ქუდი, შავი პალტო... მოძრაობა — დინჯი, აუღელვებელი. დავითი — პატარა, ჩია კაცი, მოძრავი, მღელვარე, ცოცხალი სახით, მასთან სრულ კონტრასტს შეადგენდა... როცა მამასთან ერთად მივდიოდით რუსთაველის პროსპექტზე, ყოველ ნაბიჯზე ვჩერდებოდით — მისი ნაცნობები გვხვდებოდნენ, მწერლებიც, მეცნიერებიც, პედაგოგებიც, ზოგი ჯერ კიდევ ქუთაისის დროინდელი მეგობარი ან ნამოწაფარი... მამა ძალიან აქტიური და „კონტაქტური“ ადამიანი იყო... იწყებოდა ურთიერთმოკითხვა, ხშირად კი მართლაც შინაარსიანი და საინტერესო საუბარი, რომელიც ყოველთვის ეროვნული კულტურის საკითხებს ეხებოდა... ახლა ზოგჯერ მთელ პროსპექტს ისე ჩავივლი, რომ ერთ ნაცნობ სახეს ვერ დავინახავ... ცხადია, არც ნაცნობები გადაშენებულან, არც, მით უფრო, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, მაგრამ შეიცვალა ცხოვრების

რიტმი, გაიზარდა ქალაქი, მანძილები, ყველას გვეჩქარება, მანქანებიც ასჯერ მეტია და ბევრნი, მგონი, საერთოდ გადაეჩვივნენ ფეხით სიარულს... ცხადია, რუსთაველის პროსპექტზე ახლაც ბევრი ხალხია, უფრო მეტიც, ვიდრე წინათ, მაგრამ მან მაინც დაკარგა ის ფუნქცია ქართული ინტელიგენციის ბულვარისა...

მაშინ არც ავტობუსები იყო და, მით უფრო, არც ტროლეიბუსი და ტაქსი, მხოლოდ ტრამვაი — სახელმწიფო კომუნალური ტრანსპორტის ერთადერთი სახე, და ეტლები. თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის პროსპექტის, ვერის დაღმართის (ახლა ელბაქიძისა რომ ჰქვია), ვერის ხიდისა და პლახანოვის პროსპექტის გავლით სადგურამდე დადიოდა № 1 და № 2 ტრამვაი; პუშკინის ქუჩითა და ვორონცოვის ხიდით სადგურისკენვე — № 3; მოედნიდან უნივერსიტეტამდე — № 5. მეოთხე ნომერი არსებობდა თუ არა, არ ვიცი.

რუსთაველის პროსპექტის შუა ხაზზე ჩამწყრივებული იყო ორ მხარეს მკლავებგადაშლილი სვეტები ტრამვაის მავთულებისთვის, რაც ახლანდელისგან განსხვავებულ იერს ანიჭებდა ქუჩას (რუსთაველის პროსპექტზე ტრამვაის ხაზები 1937 წელს მოიხსნა — ტრამვაი ტროლეიბუსმა შეცვალა). ტრამვაის ვაგონები ღია იყო, ვაგონის მთელი სიგანის სკამებით დაყოფილი. კონდუქტორი მოძრაობდა ვაგონის ორ მხარეს გაყოლებულ საფეხურებზე. ბოლო სადგურზე სკამების ზურგებს გადაატრიალებდნენ და ვატმანი ერთ ბაქნიდან მეორეზე გადავიდოდა.

ავტომანქანები ლამის თითებზე დაითვლებოდა. მგონი, მხოლოდ მთავრობის წევრებს ჰქონდათ, ალბათ რომელიღაც დაწესებულებების უფროსებსაც; იყო შავი სასაცილო ფორდები, რომლებიც „პლებურ“ მანქანებად მიგვაჩნდა; იყო წითელი ფიატები, ბენცები და „არისტოკრატია“ — პაკარდები, კაღილაკები, მერსედესებიც. სულ რამდენიმე ცალი. მეეტლეები იყვნენ ერთადერთი კორპორაცია, გარდა კურტიანი მუშებისა, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ ტანსაცმლის „ფორმა“ — კოჭებამდე ფერადი კაბა, ერთიანად წვრილად დანაოჭებული, ფართო წითელი ქამარი, თავისებური ქუდი. მე ყველა მეეტლე („მეფაიტონე“) მონუმენტურ ფიგურებად წარმომიდგებოდა. „ლინეიკებიც“ იყო... ბუნდოვნად მახსოვს ქუჩაში მანქანებისა და ეტლების მარჯვნივ სიარული რომ შემოიღეს, მაგრამ რომელ წელს იყო, ვეღარ ვიგონებ.

აი, ვინ შეადგენდა კიდევ თავისებურ კომუნალურ „მომსახურე“ პერსონალს, რომლის გარეშეც მაშინდელ თბილისს ვერ წარმოიდ-

გენს კაცი: მეეზოვეები. მხოლოდ კაცები, ან ცოლი და ქმარი ერთად. მაშინ ისინი ქალაქს ბევრად უფრო აჩნდნენ, ვიდრე ახლა, რაკი, ისეთ ფუნქციებსაც ასრულებდნენ, რომლებიც ახლა აღარ ეკისრებათ: ღამით (მთელი ღამე) მორიგეობდნენ ქუჩაში და დროდადრო სასტვენით ეხმაურებოდნენ ერთმანეთს. ასე რომ ქუჩა მათი მუდმივი მეთვალყურეობის საგანს შეადგენდა. ქართველები ამ ხელობას არ მისდევდნენ (არ კადრულობდნენ!). ყოველ შემთხვევაში, მე ქართველი მეეზოვე არ შემხვედრია.

ხსენებული კურტიანი მუშები — მხოლოდ ქურთები. არსებითად, ეს იყო ტვირთის გადაზიდვის ძირითადი საშუალება. მიჰქონდათ ზურგზე მოკიდებული კარადა, მაგიდა, სკივრი, სკამები, — ესენი თითო მუშას; მიჰქონდათ როიალიც — ეს უკვე რამდენიმე კაცს, და მათი ყაყანისაგან ყურთასმენა აღარ იყო...

დილით: სახედრებიანი წყნეთელი მემაწვნეები (წელში ოდნავ გამოყვანილი მაღალი წვრილი ქილებით. ახლა ასეთი ქილები მხოლოდ იმ ოჯახებში მინახავს, სადაც ხალხური კერამიკის შეგროვება ერთგვარი პობია); მერძევეები — დილით ამათი ძახილი გვაღვიძებდა... შეშის გამყიდველები და მხერხავეები, ხალიჩების მრეცხავეები. რევოლუციამდელი ქუჩის ყარგონი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ამიტომ ყოველ ეზოში ყოველდღე გაისმოდა: „სტარი ადოჟ პაკუ-პაიუ“, „სტიოკლა ვსტავლიაუ, აკოშკის შუშები“, ან „ტაჩიტ ნაჟინოჟნიცი“... ეს მღესავეები დიდ სიამოვნებას გვგრიდნენ ბავშვებს: თან დაჰქონდათ სალესი „მანქანა“ — ფეხით ატრიალებდნენ ბორბალს, ღვედი ამოძრავებდა სალეს ქვას, დანებს კი ნაპერწკლები სცივოდა... შემოდისდნენ მეარღნეებიც, ზოგს „მარჩიელი“ თუთიყუშიც ჰყავდა, რომელიც — როგორც ლატარიაში — ამოიღებდა შენთვის ბილეთს, რომელშიც შენი „მომავალი“ ეწერა... მთავარი სიხარული მაინც „პეტრუშკა“ იყო, ე. ი. ერთგვარი მინი-თოჯინების თეატრი, რომელიც აგრეთვე კარდაკარ დადიოდა...

მაშინ გაზეთები მარტო კიოსკებში კი არ იყიდებოდა, არამედ ქუჩებშიაც იყვნენ „მოარული“ მეგაზეთეები, მათი ხმა სახლებშიაც ისმოდა. ასევე, ქუჩებში დარბობდნენ კამფეტების გამყიდველი ბიჭები — მათი ძახილი „ტიანუჩკა ნატკოვიჩა“, „ირის ეინემ“ — ახლაც ჩამესმის ყურში (ნატკოვიჩი და ეინემი, როგორც ჩანს, კერძო „ფირმების“ მეპატრონეთა გვარები იყო). კიდევ ბუნდოვნად მაგონდება — ესეც სკოლის წლებში იყო — რომ არსებობდა „გვირილის დღე“ (წელიწადში ერთხელ), როცა ქუჩაში ყულაბებით დადიოდნენ ახალ-

გაზრდები და შეწირულებას აგროვებდნენ ჭლექიანთა სასარგებლოდ — ყოველ შემწირველს კი მკერდზე გვირილას აბნევდნენ.

ნების ხანა იყო და კერძო მალაზიები არსებობდა. ყველას თვალში ხედებოდა ფართლელის მალაზიის პატრონი, წარმოუდგენელი სისქის კაცი აღშვანგი, მიუხედავად სისქისა, მაინც ძალიან მოძრავი, მახსოვს ვინმე რახმანოვის, სპარსეთის ქვეშევრდომის, მალაზია აღმოსავლური ტკბილეულისა ქარვასლის ერთ-ერთ კუთხეში; ამ მალაზიასთან გავლას გულის ფანჯალით ველოდი — იყიდდა თუ არა რასმე დედა; ძალიან მიზიდავდა „საკანცელარიო“ მალაზია რუსთაველის თეატრის ქვემო სართულში — „ბლან ე ნუარ“: ფაბერის ფანქრები და რბილი საშლელები. მგონი, იმ დროიდან შემომჩრა ასეთი მალაზიების სიყვარული.

ოციან წლებში დასავლურ საესტრადო მუსიკას, უპირველეს ყოვლისა, ჯახს, ჩვენში დაპშული ჰქონდა გზა — მაშინ იგი ბურჟუაზიული კულტურის ტიპურ (ე. ი. მავნე) გამოვლინებად იყო მიჩნეული. რატომღაც ერთხანს ოფიციალურ დონეზე ჩრდილში იყო ქართული ხალხური სიმღერებიც, თუმცა პროვინციაში მაშინაც არსებობდა ხალხური ანსამბლები და იღვწოდნენ ქართული სიმღერის გამოჩენილი ოსტატებიც. მხოლოდ ოცდაათიანი წლებიდან, მით უფრო მას შემდეგ, რაც მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის მოსაწყობად დაიწყო სამზადისი, შეიქმნა სახელმწიფო ანსამბლები და სოკოებივით იმრავლა ხალხურმა „თვითმოქმედმა“ ჯგუფებმა (დიდ პატივში იყვნენ მეჩონგურე ქალები). ზოგი მაინც საკმაოდ პრიმიტიული დონისა იყო. რამოდენა მანძილია იმ ჯგუფებსა და ჩვენს დროის „შვიდკაცას“, „გორდელასა“ და „რუსთავეს“ შორის!

რა თქმა უნდა, განაგრძობდა არსებობას ქალაქური სასიმღერო ფოლკლორიც. მაგრამ ყველაფერ ამის პარალელურად სტიქიურად წარმოიშვა კიდევ თავისებური ყანრი სიმღერებისა (ზოგი სოფლად და ზოგი ქალაქად) — არც კი ვიცი, რა შეიძლებოდა მათთვის ეწოდებინა კაცს; ეს ერთგვარი სუროგატი იყო, ან, იქნებ, პაროდიაც, ყოვლად სულელური ტექსტებით და ელემენტარული, ადვილად დასამახსოვრებელი მელოდიებით. ეს სიმღერები ებიდემიასავით ვრცელდებოდა, ერთბაშად „მოედებოდა“ ხოლმე ქალაქსაც და სოფელსაც (ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მაშინ არ არსებობდა საერთოდ სიმღერის გავრცელების დღევანდელი მძლავრი საშუალებები — ხმოვანი კინო და ტელევიზია). სულ ადრე, თითქოს სადღაც „ბურჟუსში“, მაგონდება „სეფეია ბაზლაძე“ და „ნარიმანა გოცაძე“, მერე —

განსაკუთრებით პოპულარული „ორი ქოთანი ვიყიდე“ (სათანადო რუსული ვარიანტითურთ: „დეა კუეშინა ია კუპილა“ — ორივე ვარიანტში ყოველი სტრიქონის ბოლოს ორჯერ მეორდებოდა „ვაი, ვაი“) და ზოგი რამ კიდევ უფრო იაფფასიანი. იმავე წლებში რატომღაც სწრაფად და კარგა ხნით გავრცელდა ერთი რუსული სიმღერაც — „კირპიჩიკი“, ამისი დაბეჭდილი ნოტებიც იყიდებოდა. ნეტა ვინ იგონებდა ამ სიმღერებსა და მათს ტექსტებს, ან რა გამოუცნობი კანონზომიერება არსებობდა და არსებობს ასეთი სიმღერების აღმოცენებასა და გავრცელებაში? იკვლევენ თუ არა სპეციალისტები ამ დონის შემოქმედებასაც?

ქუჩის ცხოვრების „რეპერტუარში“ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა სამგლოვიარო პროცესებს. მაშინ ამ პროცესიების გამართვა შესაძლებელი იყო — ეტლებისა და მანქანების მცირე მოძრაობას ეს არ აფერხებდა. სახლიდან სასაფლაომდე მიცვალებულს ფეხით მიჰყვებოდნენ (სასაფლაოები ხომ ახლო იყო — ახლანდელი კიროვის პარკის ადგილას, მეორე — მალა, მთის ფერდობზე, გოგებაშვილის ქუჩის ზემოთ; გაღმა — კუკიისა). პროცესიას წინ უძღოდა გვირგვინების გრძელი რიგი, ზოგჯერ დროშაც, თან ახლდა სასულე ორკესტრი. ასე რომ, გასვენების ამბავს მეორე-მესამე ქუჩაზედაც კი ყველა იგებდა, თან ახლდა აგრეთვე კატაფალკი (ჩვეულებრივ მას ბალდახინს უწოდებდნენ) — მიცვალებულის დასასვენებელი თავისებური კონსტრუქცია — ლელარქნილი ნაძერწი სვეტებით, თაღებით, ჩუქურთმებით, გუმბათით, სავსებით ბაროკული ხასიათისა. თითქოს ოპერის თეატრის ლოჟა ჩამოხსნეს და მიაგორებდნენ.

კომუნალური მოწყობილობის მხრივ მაშინ თბილისი ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩენილი იყო. ქუჩებს განათება აკლდა, ასფალტი მხოლოდ სოლოლაკის (კიროვის) ქუჩაზე მახსოვს, იქვე და რუსთაველის პროსპექტზე ტროტუარების მცირე მონაკვეთზე კერამიკული ფილები ეგო (ძალიან მომწონდა, თორემ როგორ მემახსოვრებოდა სამოცი წლის შემდეგაც!). ტელეფონის ნომრები სამციფრიანი იყო, რა თქმა უნდა, მაშინ ავტომატური ტელეფონი არ არსებობდა, არ იყო არც ცენტრალური გათბობა, არც გაზი. საოჯახო მეურნეობაში, სამზარეულოში, მთავარი „მანქანები“ იყო ნავთქურა, ე. წ. პრიმუსი და სამოვარი... მახსოვს რადიოს პირველი ნაბიჯებიც — ქუჩებში რომ დადგეს ხმაშემაღლაპარაკეები, სახლებში კი „საყურებიანი“ რადიო გვქონდა (ერთხელ ამ საყურით მოვისმინე — მაიაკოვსკი ლექსს კითხულობდა).

ჩემი მოწაფეობის დროინდელი დიდი მოვლენა, სწორედ კომუნალურ მეურნეობასთან დაკავშირებული, იყო ზაპესის გახსნა. ახლა ზაპესი, რომელსაც 1922 წლის სექტემბერში ჩაეყარა საფუძველი, სათამაშოსავით ჩანს უზარმაზარ ელექტროსადგურებთან შედარებით. მაგრამ მაშინ მას სიმბოლური მნიშვნელობაც ენიჭებოდა. 1927 წელს, როცა იგი საზეიმოდ გაიხსნა, მის შესახებ წერდნენ პოეტები, მელიტონ ბალანჩივაძემ შეთხზა „კანტატა ზაპესს“, იხატებოდა სურათები, საქართველოს მუზეუმის მთავარი კიბის კედელზე ევგენი ლანსერემ დახატა დიდი სურათი „ზაპესის საძირკვლის ჩაყრა“ (მერე წაშალეს). მაშინ — ეს ჩამრჩა მეხსიერებაში — წყალსაცავი საქართველოს სამხედრო გზის ხაზამდე აღწევდა; მერე მდინარის მიერ ჩამოტანილმა შლამმა ამოავსო მისი დიდი ნაწილი.

მაშინდელი თბილისის პერსონაჟები, მაშინდელი ჩვეულებები, ყოფის თავისებურება კარგა ხანია აღიგავა პირისაგან მიწისა და ახალი თაობებისათვის სრულიად უცნობია. სხვაგვარად, ცხადია, არც შეიძლებოდა მომხდარიყო. მაგრამ თბილისმა ძველი ინტიმურობა, „შინაურულობა“ კი გამოუბრუნებლად დაკარგა... ახლა მარტო იმ პატარა ქუჩაზე, სადაც მე ვცხოვრობ, ყოველდღე იმდენი მანქანა აივლის და ჩაივლის, რამდენიც მაშინ მთელ თბილისში არ იყო. მაშინ კი, 1926 წელს, როცა იქ დავსახლდით, ზუბალაშვილის (ახლანდელ აბაკელიას) ქუჩაზე ბალახი იზრდებოდა...

ახლაც, როცა დრო მაქვს, სოლოლაკის ქუჩებში საბეტიალოდ მივდივარ მარტო. სოლოლაკიც უკვე ძველი, ისტორიული უბანია, ისევე როგორც რუსთაველის პროსპექტი და მთაწმინდის კალთები. ამ უბნებს წარსულის სურნელება აქვთ, ყოველი კუნძული რაღაცას მოგაგონებს, რაღაც განცდას აღვიძრავს. აქ ძველებური აივნაიანი სახლებიც გადარჩა (უმშვენიერესი სახლები — ლერმონტოვის, ენგელსის, კოჯრის, დავითაშვილის, მაჩაბლის, ჭაფარიძის, ძერეინსკის ქუჩებზე, მთაწმინდის ძირში), მაგრამ იმ სახლებსაც, რომელთაც არც ისე დიდი ხნის წინათ ცხვირს ვუბზუებდით, როგორც ეკლექტიკურთ, უკვე თავისებური მომზიბეღელობა აქვთ, იმავე დროს, მცირე გამონაკლისით, ამ „რენესანსულ“ და „ბაროკულ“ ფასადებს უკანაც თბილისური გეგმები, ეზოს აივნები და შეშაბანდები იმალება, ეს სახლებიც სპეციფიკურად თბილისურია.

იმ ქუჩებში რომ დავდივარ, ნოსტალგია მიპყრობს, ბავშვობის მოგონებები მიცხოველდება. მაშინ, აი იმ დროს, რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი, იქაც, როგორც მთელ ქალაქში, მღტი

მეუღლრობა და სიმწვინე სუფივედა ანა მარტო ერთ ქვანში მტკონ-
რობი მებოზლები არანედ ქუჩის ჯადმ-გამოღმა მტკონებშიც ერთ-
მანეთთან აქლს გრძობუნენ თავს, ვადედაბარავენა სულ ადვილი
იყო — ქუჩები სომ ვ-წრობ, სარკმელი სარკმელს უყურებს და აივანი —
აივანს.

როგორც ყველა ბავშვს, მეც მიყვარდა სარკმელში შეჭერატა,
ცხელია, სიუამოობით, როცა წიგნით შუქი ინთებოდა... ყველგან,
ყოველ სარკმელში თითქოს ცალკე პატარა სამყარო წარმოიშდგე-
ბოდა. ცხოვრების მცირე უქრედი, თავისი ავ-კარგი, სიხარულითა
და საზრუნავით... დიდი აზაყურები, „გრეხილი“ ავეჯი — კარადები, კო-
მოდები, შირმები, სურათები მოვარაყებულ ჩარჩოებში, ან გარდა-
სული თაობის წარმომადგენელთა გადიდებული ფოტოგრაფიები, ხა-
ლიჩები, ფარდები, „ბურჯუაზიული“ ინტელიგენტური ბინების შე-
მუშავებული, ტრადიციული გარემო.

ახლა ყველა სალიდან ტელეგადმოცემები ისმის, ყოველი სარკმ-
ლიდან ცისფერი ბინდი გამოსჰვივის, მეცნიერულ-ტექნიკური რე-
ვოლუციის ხანაში ბევრი რამ მექანიზებულია... მაინც ფორტეპიანოს
სმა ისმოდა ხშირად. და რატომღაც, როცა ის სურათები წარმომი-
დგება (სალამოს რომ ვიპვრიტებოდი სხვის ბინებში), მათ თან ახლავს
ბახის პატარა მენუეტი ანა-მაგდალენა ბახის ალბომიდან, ან მოცარ-
ტის სონატა დო-მაჟორი, რომელთაც მონდომებით უკრავდა მუსიკა-
ლური სკოლის რომელიმე პატარა მოწაფე... ეს ხმოვანი აკომპანემენ-
ტი ჩემს მეხსიერებაში განუყოფელია იმ ძველი მშვიდი უბნების
მყუდრო საღამოებისგან.

თბილისშიაც, სხვა ქალაქებშიაც ძველი ქუჩების ადამიანური მას-
შტაბი და პროპორციები მიჩვენია, თუმცა დღევანდელი ქალაქის-
თვის (ტრანსპორტი!) ის ქუჩები გამოუსადეგარია... მაინც იქ უკეთ
ვგრძნობ თავს, ადამიანთან უფრო ახლო, ადამიანთა შორის — ვიდრე
დიდი ქალაქების ახალ უბნებში, სადაც ქუჩები ტრიალი მინდორო-
ვით ფართოა და ადამიანი ჭიანჭველასავით დაკარგული. ის ძველი
უბნები, ის ძველი სახლები, რომლებიც უკვე რამდენიმე ათეული
წლის (ზოგჯერ საუკუნეზე მეტის) ცხოვრების კვალს ატარებს, ჩემ-
თვის ცოცხალ არსებებივით არის, ჩვენ შორის თითქოს რაღაც უსი-
ტყვო, მაგრამ გულითადი დიალოგი იმართება...

3. სკოლის წლები

ზემოთ უკვე ვაქვი, რომ ჩემი პირველი სკოლა ფრანგული სკო-
ლა იყო. ფრანგული ლიცეი, Lycée français. ექვსი წლისა მიმამბა-
რეს — 1920 წელს. იგი მოთავსებული იყო დიდ სამსართულიან

სახლში ახლანდელი ენგელსისა და ჯაფარიძის ქუჩების კუთხეში (მაშინ ჯერ კიდევ ბებუთოვისა და რტიშჩევის ქუჩები ერქვა). ეს სახლი შემდეგ ერთხანს კალინინის რაიადმასკომსა და პარტიის რაიკომს ექირა.

რა მახსოვს? ლიცეის გახსნის (?) ცერემონიალი სხვა შენობაში — იმ „გუთურ“ სკოლაში იმავე ენგელსის ქუჩაზე, რომელსაც დადიანის ქუჩა ებჯინება. მას შემდეგ ამ შენობაში აღარასოდეს არ ვყოფილვარ. დიდი, მაღალი დარბაზი იყო, რომელსაც ზემოთ ანტრესოლივით თუ აივანივით რაღაც შემოუყვებოდა. ჩვენ, პატარა ბავშვები, იქ ვიყავით, ბევრნი, ერთმანეთს მიჰყვლებოდით. რა ხდებოდა, აღარ მაგონდება, მხოლოდ ის მახსოვს, რომ შეწუხებული ვიყავი.

სკოლაში მარტო დავდიოდი, რაკი ახლოს ვცხოვრობდი. ზამთარში ფეხის თითები მოყინული მქონდა და მტკიოდა, ძლივს მივაბიჯებდი. დასვენების („რეკრეაციონის“) დროს ბავშვები სკოლის დიდ აივანზე დარბოდნენ, ხმაურობდნენ. მეხსიერებას შემორჩა აგრეთვე ცეკვის გაკვეთილები, და არა რომელიმე სხვა საგანი. იქნებ იმიტომ, რომ მას შემდეგ ცეკვა აღარასოდეს მისწავლია და არც მცოდნია, თუმცა უფრო გვიან, სტუდენტობის წლებში, როცა დასავლურ ცეკვებს ვეტო მოეხსნა, ყველა ჩემი ამხანაგები ცეკვავდა ფოქსტროტსა და ტანგოსაც კი.

ცეკვას გვასწავლიდა ვინმე როინიშვილი (უფრო გვიან ბევრჯერ მინახავს, გრიბოდოვის ქუჩაზე ცხოვრობდა, მაგრამ არ გამოვცნაურებივარ — მაინც ხომ ვერ გამიხსენებდა). მაგონდება, როგორ ესწავლობდით „ჩარდაშს“ — მელოდიაც და ყველა პა (ჩემი ქორეოგრაფიული ბაგაჟი ამით განისაზღვრებოდა. ცეკვა ყველაზე მიუწვდომელ ხელოვნებად მეჩვენებოდა ყოველთვის); ჩემს „დამას“, ჩემ ტოლ პატარა გოგონას, მუდამ ცხვირსახოცი ჰქონდა ჩაბღუჯული და ამიტომ ჩემი პატარა ხელით ვერ ვიჭერდი რიგიანად მის ხელს — ეს ძალიან მაწუხებდა.

სკოლას განაგებდნენ ბატონი და ქალბატონი კუტანები. მათი სახელებიც კი შემორჩა მეხსიერებას. Madame Coutant ზამბარასავით შემართული ქალი იყო, მოკლე, ენერგიული ნაბიჯებით დადიოდა, ქუსლების ბაკაბუკით. Monsieur Coutant უფრო რბილი კაცი ჩანდა (ჩემი მაშინდელი შთაბეჭდილებით). მასწავლებლები ქართველები და ფრანგები იყვნენ: მადმუაზელ დე ბოვიზაჟ. ქართულის მას-

წავლებელი ანა ჩირგაძე (თაგუნას მეუღლე), პორფილე დგებუაძე, რომელიც მამას მეგობრობდა და უფრო გვიან ხშირად დადიოდა ჩვენთან სტუმრად. უცოლშვილო კაცი იყო, XIX საუკუნის ინტელიგენტის გარეგნობით. ფრანგსაც ჰგავდა. პატარა ბულანჟეს ატარებდა. ალერსიანად მეპყრობოდა, ფრანგული წიგნები მოჰქონდა ჩემთვის წასაკითხად (ერთხელ გაუჭრელი წიგნი მომიტანა, მგონი, საფრანგეთის ეკონომიკას ეხებოდა. გული ვერ დავუდე, ხელიც არ მიხლია, თუმცა მამამ რამდენიმეჯერ გამაფრთხილა. როცა პორფილე კიდევ მოვიდა, მე და მამა იძულებული ვიყავით სიყალბე ჩაგვედინა: ფურცლების ნახევარი სასწრაფოდ გავჭერთ, თითქოს ნახევარი წიგნის წაკითხვა მოვასწარი, მეტისა კი ვერა). დიდხანს ასწავლიდა ფრანგულს უნივერსიტეტში. ძალიან გამიკვირდა, როცა მითხრეს საშინლად ფიცხი და მკაცრი კაციო.

გაკვეთილები (ხსენებული ცეკვის გარდა!) არ მახსოვს. 1922 წელს ლიციე დახურეს და კუტანები საფრანგეთს დაბრუნდნენ. გამოსათხოვრად ყველანი დარბაზში შეგვეკრიბეს და რალაც სიტყვებით მოგვმართეს.

დამრჩა ერთი მაშინდელი ფოტოსურათი. მასწავლებლები ანა ჩირგაძე, ბოვიზაჟი და ჩვენ, პირველი კლასი. მე თვალბდაპარაწული ვდგავარ, ძალიან სასაცილო, სათამაშოს მსგავსი.

თუმცა მეხსიერებამ იმ ორი-სამი სრულიად უმნიშვნელო ფაქტის გარდა არაფერი შემოინახა, ლიციეში სწავლას უკვალოდ არ ჩაუვლია, პირიქით, ჩემთვის არსებითიც იყო. ასე თუ ისე საფუძველი ჩაეყარა ენის შესწავლას; დამრჩა ლიციეში თუ ლიციის საშუალებით შეძენილი ბევრი ფრანგული წიგნი — სახელმძღვანელოები, ყველაზე მეტი გეოგრაფიისა (როგორ შეიცვალა მას შემდეგ მსოფლიო რუკა! იქ ჯერ კიდევ არის „ფრანგული ეკვატორული აფრიკა“, „ფრანგული დასავლეთი აფრიკა“, „ფრანგული ინდოჩინეთი“ — თუმცა ასე ხომ მას შემდეგაც დიდხანს იყო!), ფრანგული ლიტერატურისა („ჩეული თხზულებები“ — *Morceaux choisis*), „ლარუსის“ ენციკლოპედიური ლექსიკონის ერთტომეული, აგრეთვე მთელი სერია საბავშვო წიგნებისა „ვარდისფერი ბიბლიოთეკა“, ქალბატონ სეგიურის თხზულებებით (ეს სეგიური, ეტყობა, რუსების — ლუკაშევიჩისა და ჩარსკაიანს ფრანგი ანალოგი იყო). მთავარი: იმ დროიდან შემომრჩა ფრანგული კულტურისადმი და თვით საფრანგეთისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, უფრო სწორად — გრძნობა.

ლიციის დახურვის შემდეგ, 1922 წელს, I საცდელ-საჩვენებელ

შრომის სკოლაში გადავედი. როგორც ყოველთვის, პირველი კონტაქტი ახალ გარემოსთან არც მთლად უმტკივნეულო იყო. კლასში რომ შემეყვანეს, ყველამ ცნობისმოყვარეობით დამიწყო ცქერა. გრძელი პალტო მეცვა, რამაც გამოიწვია ბავშვთა ირონიული წამოძახილი — „ბიჭია თუ გოგო?“ დამსვეს პირველ მერხზე. იაკობ ზედგინძემ, რომელიც პირველ შეხედვით ძალიან მკაცრ კაცად მომეჩვენა, წამაკითხა „ქინაქინას“ თუ „ქაჯანას“ ნაწყვეტი და მისი შინაარსი დამაწვრინა. ქართულს მშვიდობით გადავრჩი, მაგრამ არითმეტიკული ამოცანა ვერ გამოვიყვანე და ვიტირე. შემდეგი გამოცდა გეოგრაფიაში მქონდა. სკოლის გამგემ მიხეილ ზანდუკელმა განიყვანა დერეფანში. წინ დავით დონდუა მიდიოდა.

— დათიკო, ერთი ეს გამოსცადე გეოგრაფიაში, — დაუძახა მას ზანდუკელმა, მე კი გუნებაში გავიკვირვე, რომ მასწავლებელს დათიკო უწოდეს. დონდუამ მკითხა: სად უფრო ნესტიანი ჰაერია — აღმოსავლეთ საქართველოში თუ დასავლეთშიო. მე არ ვიცოდი, მაგრამ დაინტერესდი და მე თვითონ დაუწყე კითხვების მიცემა. ბოლოს, როცა მივაყარე კითხვები, დავითმა მითხრა — შენ კი ნუ მეკითხები, მე უნდა გკითხოო.

ასე იყო თუ ისე, მიმიდეს. ამ სკოლაში გატარებულ წლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრებისათვის.

მე მგონია, ეს ერთადერთი სკოლაა თბილისში, რომელსაც დაარსებრიდან დღემდე არ შეცვლია ნომერი. წინათ ვაჟთა პირველი გიმნაზია იყო, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან — I საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლა, ახლა — პირველი საშუალო სკოლაა. მე მხოლოდ ბევრად უფრო გვიან გავიარე, რომ 1922 წელს, როცა იქ შემეყვანეს, სკოლა სულ სამი-ოთხი წლის გაქართულებული იყო. მაგრამ უკვე არსებობდა შემუშავებული ტერმინოლოგია არა მარტო ჰუმანიტარული საგნებისთვის, არამედ აგრეთვე მათემატიკისა და ფიზიკისთვისაც.* ასევე გვიან დაეფიქრდი იმის შესახებაც, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილი მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო — გამგე (მაშინ ასე ერქვა, „დირექტორის“ სახელწოდება გააუქმეს) მიხეილ ზანდუკელი და მისი მოადგილე ტე-

* მაშინდელ მასწავლებლებს, ახლანდებთან შედარებით, უფრო რთული ამოცანა ჰქონდათ ამოსახსნელი, რაკი ჯერ კიდევ არ არსებობდა (სულ მცირე გამოცემისით) ქართული სასკოლო სახელმძღვანელოები: მოსწავლეებს მხოლოდ გავყარვების კონსპექტები ჰქონდათ ხელთ.

რენტი ვეფხვაძე — 33-34 წლისანი, მათემატიკის მასწავლებელი ვასილ აბდუშელიშვილი ორიოდ წლით უფროსი, დავით დონდუა — ოცდათხისა, ყველაზე უფროსები — სამოცს ცოტათი გადაცილებულნი. მაგრამ როგორი ურყევი ავტორიტეტი ჰქონდა ყველას — ხანდაზმულსაც და სრულიად ახალგაზრდასაც, ავტორიტეტი ზნეობრივი და „პროფესიული“, როგორი ღირსებით უძღვებოდა საქმეს მიხეილ ზანდუკელი, რომელსაც ხელქვეით თავისზე ბევრად დამსახურებული არაერთი პედაგოგი ჰყავდა, როგორი პატივისცემით ეკიდებოდნენ მასწავლებლები ერთმანეთს, როგორი თავდადებულნი იყვნენ სკოლისთვის, როგორი კეთილისმყოფელი იყო მათი გავლენა მოსწავლეებზე!

დიდად მნიშვნელოვანი იყო, ცხადია, სწავლების პროფესიული დონე (ზოგი ჩვენი მასწავლებელი — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — გამოჩენილი პედაგოგი იყო!), და არანაკლებ (თუ უფრო მეტად არა!) მნიშვნელოვანი ის ატმოსფერო მეგობრობისა, სიყვარულისა, ზნეობრივი სიწმინდისა, რომელიც სკოლაში სუფევდა და აკავშირებდა რამდენსამე ასეულ მოწაფესა და მასწავლებლებს. სკოლის დამთავრების შემდეგ ნახევარ საუკუნეზე ბევრად მეტი გავიდა და დღესაც, როცა „პირველსკოლელები“ ერთმანეთს ვხვდებით (ზოგნი ხშირად, ზოგნი ათასში ერთხელ), ისეთი გრძნობა გვაქვს, როგორც ახლობელი, ძვირფასი ადამიანის შეხვედრისას... იმ სკოლაში სწავლა ბედნიერება იყო, იქ გატარებული ცხრა წელიწადი — ბედნიერი წლები.

მაშინ კლასებს ჯგუფები ერქვა, ნიშნების ხუთბალიანი სისტემა აღარ არსებობდა, წერდნენ მხოლოდ „დამაკმაყოფილებელსა“ და „სუსტს“. ყოველ ჯგუფს მოწაფეთა კომიტეტი ჰყავდა — მას კი რატომღაც მაინც „კლასკომს“ უწოდებდნენ. დასაწყისში ჯერ კიდევ გვასწავლიდნენ ისტორიას, შემდეგ მალე იგი შეცვალა „საზოგადოებათმეცნიერება“ (შემოკლებით „საზმეცი“ ერქვა). ეს იყო სკოლის რეფორმის ზოგიერთი ნიშანი. ამას გარდა, ვაჟთა სკოლამ შერეულს დაუთმო ადგილი, ჩვენ წინ უკვე ორი შერეული ჯგუფი იყო, უფროს ჯგუფებში კი მხოლოდ ვაჟები იყვნენ — მე ასეთ ორ თუ სამ ჯგუფს მოუესწარი.

სახელწოდება „საცდელ-საჩვენებელი“ დღეს აღარ არსებობს. მის ნაცვლად ახლა „ექსპერიმენტული“ იხმარება, თუმცა ეს ორი ცნება მთლიანად არ უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს, რაკი მაშინ სკოლა არა მარტო „საცდელი“, ე. ი. ექსპერიმენტული იყო, არამედ

„საჩვენებელიც“. ეს, უეჭველია, „სანიმუშოს“ ნიშნავდა, ე. ი. ხარისხსაც, საერთო დონესაც გულისხმობდა. თბილისში სულ სამი ასეთი სკოლა იყო. მეორისა რატომღაც ბევრი არაფერი ვიცი, ჩვენი და მესამე „საცდელი“ კი (ასეთი შემოკლებაც არსებობდა) მართლაც დამსახურებულად ითვლებოდა სანიმუშოდ, ორივე განსაკუთრებული პრესტიჟით სარგებლობდა (მესამე სკოლას ახლა 23-ე ეწოდება, ილია ჭავჭავაძის სახელობისაა და კამოს ქუჩაზე მდებარეობს).

ჩვენი სკოლა მაშინაც იქ იყო, სადაც ახლანდელი პირველი საშუალო სკოლაა — რუსთაველის პროსპექტზე, ილიასა და აკაკის ძეგლის უკან. ძველი შენობაა, ამ სახით — XIX საუკუნის შუა წლებისა მაინც. ჩემ დროს ზემო სართული სკოლას არ ეკუთვნოდა, მგონი, ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელს ჰქონდა დათმობილი. ჩვენი იყო ძირითადად მეორე სართული (ეზოს მხრივ — პირველი) გვერდის ფლიგელებითურთ, რომლებიც ახლანდელი მთავრობის სახლისა და კავშირგამბულობის სახლისკენაა მიმართული.

სანამ მესამე და მეოთხე ჯგუფში ვიყავით, ჩვენ გვეჭირა დიდი ოთახი მთავრობის სახლის მხარეს — მაშინ სამხედრო ტაძარი რომ იდგა. ჯერ კიდევ ამ კლასში ყოფნისას, როცა მეოთხე ჯგუფში გადავედით, პირველად ავირჩიეთ ჩვენი „კლასკომი“, სარედაქციო კოლეგია ყურნალ „ვარდის კონისა“, საბიბლიოთეკო კომისია, რომელსაც კლასის ბიბლიოთეკა ებარა, სამუზეუმო კომისია და თვით „გამამშვენიერებელი კომისიაც“ კი, რომელსაც სხვადასხვა „კუთხის“ მოწყობა ევალებოდა. გვყავდა და გვიყვარდა იადონი „მალხაზა“ და ორი მწყერი. მუზეუმი კი ერთ დიდ შემინულ კარადაში გვექონდა. მის გამგეს პავლე ჭანტურიშვილს ყოველ შემოდგომაზე, არადაგების შემდეგ, ახალ-ახალი ექსპონატები ჩამოჰქონდა — პეპლები, ხელიკები, ბაყაყები და გველებიც კი (ქილებში) — ჩვენ მათ შიშით და ზიზღით ვუყურებდით.

მეხუთე ჯგუფიდან გადავედით შენობის შუა ნაწილში და ბოლომდის იქ დავრჩით.

სკოლას ორი განსაკუთრებით ღირშესანიშნავი ნაწილი ჰქონდა (და ახლაც აქვს): კამარით გადახურული ვიწრო და ძალიან გრძელი დერეფანი, შენობის გამჭოლი ღერძი, რომელიც ერთი თავიდან მეორემდე შუაზე ჰყოფდა მას. ერთი დიდი სარკმელი ერთ თავში იყო, მეორე — მეორეში. შუქის დამატებითი წყარო იყო მხოლოდ საკლასო ოთახების კარები, მაგრამ ეს, ცხადია, არ კმაროდა ამოდ-

ნა სათავისთვის. სარეკრეაციო დარბაზი სკოლას არ ჰქონია, ამიტომ ზამთარში სწორედ დერეფანი იქცეოდა შესვენებების დროს მთელი სკოლის თავმოყრის ადგილად — იყო სირბილი, ხტუნვა, ყიყინა, ღრიანცელი... გაზაფხულიდან შემოდგომამდე კი ჩვენს განკარგულებაში იყო ზემო ეზო, რკინის სვეტებიანი გადახურული პავილიონითურთ (მერე ეს ეზო მთლიანად შთანთქა ერთმა უსახურმა საცხოვრებელმა სახლმა და სკოლა სულშეხუთული დარჩა).

მეორე ღირსშესანიშნავი რამ იყო სამასწავლებლო — დიდი, ნათელი ოთახი რუსთაველის პროსპექტისა და ახლანდელი ლესია უკრაინკას ქუჩის კუთხეში, რომელიც განსაკუთრებით გვიზიდავდა კედლების სეპიისფერი მოხატულობით: აქ იყო ათენის აკროპოლისი, რომის ფორუმი, სხვა ანტიკური ძეგლები. მადლობა ღმერთს, ეს მოხატულობა, სავსებით პროფესიული დონისა, გადარჩა და დღესაც ამწვენებს სამასწავლებლოს.

თავდაპირველად ყოველ ჯგუფს თავისი მუდმივი ოთახი ჰქონდა, ყველა საგანს იქ ვსწავლობდით, ფიზიკის გარდა. მერე შემოვიდა „ლაბორატორიული მეთოდი“ და ჩვენც დავიწყეთ კლასიდან კლასში წანწალი (მართლაც არ აკლდა ექსპერიმენტები მაშინ სკოლას — ზოგი გამართლებული, მაგრამ ზოგი უაზრო და მავნეც).

მიხეილ ზანდუკელი მთიული იყო, სოფელ არანისიდან. თვითონ ცოლ-შვილი არ ჰყოლია, მაგრამ მამობას უწევდა თავის გარდაცვლილი ძმის შვილებს — ერთ ვაჟსა და ორ გოგონას. უმცროსი, თამარი, ჩვენს ჯგუფში იყო (შემდეგ უნივერსიტეტში ასწავლიდა ინგლისურს და ისე მძიმედ განიცადა თავისი გამზრდელი ბიძის გარდაცვალება, რომ სულ მალე მიჰყვა მას). ზანდუკელს ბინა ჩვენსავე სკოლაში ჰქონდა, უმადლესი განათლება რუსეთში მიიღო, მოსკოვის უნივერსიტეტში. ჩვენ ქართულს გვასწავლიდა უფროს ჯგუფებში. მაღალი, გამხდარი კაცი იყო, ყოველთვის კარგად ჩაცმული, ელეგანტური, გაქათათებული. პენსნეს ატარებდა — ოვალურ მინებიანს, უჩარჩოოს. სწრაფი სიარული იცოდა, მოკლე ნაბიჯებით, სხეულის ძლიერი ქანაობით. ჩვენი გრძელი დერეფნის ბოლოში სამასწავლებლოს გადასახვევთან მისი სილუეტი რომ გამოჩნდებოდა, ალიაქოთი და ჟრიაშული ერთბაშად წყდებოდა და ყველა რიდით შესცქეროდა გამგეს. მე არ ვიცი, როგორ მოიპოვა მან ავტორიტეტი და პატივისცემა. თითქოს მკაცრი იყო, დაცაცხანებაც იცოდა, მაგრამ, მე მგონია, მისი სიმკაცრისა არავის სჯეროდა, მისი სიკეთისა და ჰუმანურობისა კი ყველას. უჟმურობისა არაფერი ეცხო, ადვილად ილიმებოდა და

იცნოდა, ბავშვებს ეხუმრებოდა კიდეც; როცა გაკვეთილის დაწყების წინ ურჩნალს კითხულობდა, თითქმის ყველა გვარს სახუმარო კომენტარებს ურთავდა, ისე რომ გაკვეთილი ყოველთვის ხალისიანად. შეიძლება ითქვას, მხიარულადაც კი იწყებოდა. რა თქმა უნდა, სკოლაში — საშუალო იქნება იგი თუ უმაღლესი — გადამწყვეტია რწმენა: თუ მოწაფესა და სტუდენტს მასწავლებლისა სჯერა, როგორც თავისი საქმის მცოდნისა და პიროვნებისა, იქ დისციპლინაც თავის დონეზეა, სწავლით დაინტერესებაც და წარმატებაც. თავისთავად იგულისხმება, რა როლს თამაშობს, მასწავლებლის პედაგოგიურ ალლოზე რომ არაფერი ითქვას, მისი საერთო კულტურული დონე: მაგრამ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია მაინც კიდევე ერთი თვისება: ბავშვების სიყვარული. ჩვენს მასწავლებლებს საკმაოდ გააჩნდათ ეს თვისებები, ხოლო მიხეილ ზანდუკელს ჰქონდა აგრეთვე იშვიათი პირადი მომხიბველობაც, რომლის მიმართაც გულგრილი ვერავინ რჩებოდა. უფროსი მოსწავლეებიც და პატარებიც გრძნობდნენ (პატარები გაუცნობიერებლად) მის დელიკატურობას ადამიანებთან ურთიერთობაში, მის ბუნებრივ, ორგანულ ინტელიგენტობას. მისი ბუნებრივი თვისება იყო ადამიანებისადმი უსასღვრო კეთილგანწყობილებაც, მთავარი სიხარული კი — თავისი მოწაფეებისა და ნამოწაფართა წარმატებები და კარგი კაცობა.

როგორც ვთქვი, ჩვენს სკოლას დიდი სახელი ჰქონდა. არაოფიციალურად მას „ზანდუკელის სკოლას“ უწოდებდნენ. მოწაფეს თუ ჰკითხავდნენ, სად სწავლობო, ასე უპასუხებდა: „ზანდუკელში, ამა და ამ ჯგუფში“.

სკოლიდან წასვლის შემდეგ ზანდუკელი უნივერსიტეტში კითხულობდა ახალი ქართული ლიტერატურის კურსს, პროფესორი და ცნობილი მკვლევარი გახდა. და როცა ამ ინტელიგენტ, ფაქიზს, ნაზ ადამიანს მძიმე განსაცდელის დღეები დაუდგა, მან დიდი სულიერი სიმტკიცე და უდრეკი ნებისყოფა გამოამჟღავნა... ის კვლავ უნივერსიტეტის პროფესორი იყო, როცა თითქმის ოთხმოც წელს მიტანებული გარდაიცვალა. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მის სახელს ოდნავი ლაქა არ მოსცხებიან. ყველასთვის, ვინც მას იცნობდა, მიხეილ ზანდუკელის სახელი კეთილშობილების სინონიმად დარჩა. მიხარია, რომ ჩვენ, I სკოლის ყოფილმა მოწაფეებმა, ვითავეთ მისი იუბილეს გადახდა, როცა მას 70 წელი შეუსრულდა. იუბილე უნივერსიტეტის ძველ სააქტო დარბაზში გაიმართა. და როდესაც მე კათედრასთან მივედი, რომ სიტყვა წარმომეთქვა ჩემი ამხანაგების

სახელით, ყველა ის ყოფილი მოწაფე, ვინც კი დარბაზში იმყოფებოდა, ფეხზე წამოდგა და ასე მოისმინეს ჩვენი საერთო მისალმება. ამაღელვებელი წუთები იყო.

ჩვენი ჩგუფის ხელმძღვანელი 1929 წლამდე იყო იაკობ ზედგინიძე, დღეს ნაკლებად ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. ერთხელ საუბარში გვითხრა; დავით კლდიაშვილზე სამი წლით უფროსი ვარო, ე. ი. 1859 წელს ყოფილა დაბადებული, გარდაიცვალა 1943 წ., ომის დროს. თუმცა შვიდი წლის განმავლობაში ყოველდღე ვხვდებოდით მას და თუმცა ყველაზე ახლობელი იყო ბავშვებისთვის, მისი პირადი ცხოვრების ამბები თითქმის სრულებით უცნობი დარჩა ჩვენთვის. ვიცოდით მხოლოდ, რომ მარტო ცხოვრობდა, ცოლ-შვილი არ ჰყავდა, მგონი ქვრივი იყო, ყრუდ გაგვეგონა, რომ რაღაც ტრაგედია გადახდენოდა თავს, ვიცოდით აგრეთვე მისი ჯავახური წარმოშობის შესახებ.

იაკობ ზედგინიძე ჩვენს ჩგუფს თავიდანვე გამოჰყვა. ჯერ ყველა საგანს თვითონ გვასწავლიდა, მერე ქართულსა და რუსულს, მერე მხოლოდ რუსულს. გამოქვეყნებული ჰქონდა სახელმძღვანელოები რუსული ენისა ქართული სკოლებისთვის. უფრო გვიან, 1934 წელს გამოსცა „ქართული წერის მეთოდია“, რომლის წინასიტყვაობაც ასეთი ფრიად მეტყველი წინადადებით იწყებოდა: „ძირიანად შეიძლება ქართული ენის უფლებრივი მდგომარეობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. თუ წინათ, მეფის დროს, იმდენად სასტიკად იდევნებოდა ეს ენა, რომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა ქართულად სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებაში; თუ ქართველი მოსამართლე ქართველ მომჩივანს იძულებული იყო დალაპარაკებოდა... თარჯიმნის საშუალებით; თუ არ შეიძლებოდა ადგილობრივ საფოსტო წერილებზე მისამართის დაწერა ქართულად, ახლა საქმეთა წარმოების ენად დაწესებულებებში, თუ სხვადასხვა ორგანიზაციებში გახდა ქართული“. შემდეგ ნათქვამი იყო: „ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უფრო მეტად გამოაშკარავდა თანამედროვე ქართული წერის ნაკლოვანებანი: ასოების დეფორმაცია, ბეჭდური და ხელნაწერის არევა ერთმანეთში, გადაუხებელად ან მიუღებელი გადაბმით წერა და, როგორც შედეგი ყველა ამისი, ნაწერის გაურკვეველობა“. ამიტომ ავტორს მიაჩნდა, რომ საჭიროა საერთო სახმარებელი, ე. წ. „საზოგადო“ გაბმული ხელის ჩამოყალიბება და საამისო მეთოდების დამუშავება. ეს საინტერესო წიგნი ხანგრძლივი გამოცდილებისა და მრავალი ექსპერიმენტის შედეგი იყო.

იაკობ ზედგინიძეს უმაღლესი განათლება რამდენადაც ვიცი, არ მიუღია, მისი გზა, ალბათ, ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. რასაც მიაღწია, თავისი შრომითა და სიბეჯითით მიაღწია. საქმაოდ დიღბანს საქართველოს გარეთ მოუხდა მასწავლებლობა, სომხეთის თუ აზერბაიჯანის რომელიღაც ქალაქში, საქართველოს კი დაუბრუნდა უკვე სავსებით მოწიფული ასაკისა.

ეს იყო ჯმუხი კაცი, სრულიად ქაღარა, მოკლედ შეკრეპილი თმით, ოდნავ შესამჩნევი უღვაშებითა და ასევე ოდნავ შესამჩნევი ბულანჯეთი, შეშუპებული ქუთუთოებით. ლაპარაკობდა დინჯად, იცვამდა უბრალოდ, უმეტესად ჯიბეებიანი მუქი ხალათი ეცვა, ჰალსტუხს მხოლოდ „საზეიმო“ შემთხვევაში იკეთებდა. თითქოს ყოველთვის ღრმად ჩაფიქრებული დადიოდა, ერთი შეხედვით მკაცრი, „ჩაკეტილი“ გამომეტყველება ჰქონდა, ნამდვილად კი ძნელი წარმოსადგენი იყო ასეთი გულთბილი და მოსიყვარულე ადამიანი — მაგრამ ყოველგვარი სანტიმენტურობისა და „სიტკობის“ გარეშე. თვითონვე გვითხრა ერთხელ, უკვე ახალგაზრდობაში დაეუსვი ჩემს თავს კითხვა სიცოცხლის აზრის შესახებ და გადავწყვიტე, რომ ეს არის სხვების, ხალხის სამსახურიო. ამ თავისი გადაწყვეტილებისათვის მას არასოდეს არ უღალატნია, მუდამ სხვისი, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდების სიკეთისათვის ზრუნავდა, მართლაც მასწავლებლად და აღმზრდელად იყო დაბადებული. როცა მე (და მე მეგონა, ყველა ჩემს მაშინდელ ამხანაგს) მინდა წარმოვიდგინო კრისტალურად წმინდა, უანგარო ადამიანი, ადამიანი, რომლისთვის უპირველესი რამ მოვალეობის გრძნობაა, ერთი პირველთაგანი, ვინც თვალწინ წარმომიდგება, იაკობ ზედგინიძეა. თავის ჭირსა და ლხინს სხვას არ ახვევდა თავზე. საერთოდ დიდაქტიკური საუბრები არ უყვარდა, მისი ცხოვრებისა და შრომის მაგალითი, ცხადია, ყოველგვარ სიტყვიერ ჰქუის ღარიგებას სჯობდა.

1929 წელს სკოლა ემზადებოდა მისი დაბადების სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად. პედაგოგიურმა საბჭომ საგანგებოდ იმსჯელა ამის თაობაზე — აპირებდნენ საზეიმო სხდომის მოწყობას, პრესაში წერილების გამოქვეყნებას, იაკობის სახელობის სტიპენდიის დანიშვნას, მისი პორტრეტის დაბეჭდვას მოწაფეებისათვის დასარიგებლად. ერთი სიტყვით, სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ იუბილეს. ვემზადებოდით ჩვენც, მისი ჯგუფის მოსწავლეები. მაშინ საკუთარი „ლიტერატურული ორგანო“ გვქონდა — ხელნაწერი ჟურნალი „ვარდის კონა“, რომელსაც თვით იაკობ ზედგინიძე ხელმძღვა-

ნელობდა. ამჯერად მის გარეშე მოვამზადეთ საიუბილეო ნომერი, რომელსაც წინ მისდამი მოკლე მიძღვნა ჰქონდა წამძღვარებული, შინაარსს კი, ჩვეულებისამებრ, ჩვენი ლექსები და მოთხრობები შეადგენდა.

მაგრამ იუბილეს ჩატარება არ დაგვეცალდა. სწორედ ამ დროს განათლების სახალხო კომისარიატმა განიზრახა ჩვენი სკოლის „გაჯანსაღება“, მისი გათავისუფლება „შეუფერებელი ელემენტებისაგან“. ამ მიზნით გადააყენეს ზანდუკელი და რამდენიმე ძველი პედაგოგი, მათ შორის იაკობ ზედგინიძეც. ეს „რეფორმა“ მოსწავლეებმა ტრაგიკულად განვიცადეთ. იაკობის ოფიციალური იუბილე, ცხადია, აღარ შედგა, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი არ დავიშალეთ და ერთ მშვენიერ დღეს. მოწაფეების დელეგაცია (რამდენადაც მახსოვს, ათი-თორმეტი ბავშვი ვიყავით) შინ მიადგა ბატონ იაკობს (ცხოვრობდა ახლანდელი ჭავჭავიშვილის ქუჩის ერთ-ერთ გადასახვევში, ორი პატარა ოთახი ჰქონდა, სულ უბრალოდ გამართული); თან გვექონდა საიუბილეო „ვარდის კონა“, ჩხის პატარა მაგიდა, რომელიც ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა გააკეთა სადურგლო სახელოსნოში, ვერცხლისყდიანი ბლოკნოტი, მერი მდივანს კი „მისასალმებელი სიტყვის“ ტექსტი — მოკლე, ალბათ სულ ნახევარი გვერდი. სიტუაცია სრულიად უჩვეულო იყო და სასტიკად ველავდით. იაკობს ჩვენი დანახვა ჯერ გაუკვირდა, მაგრამ მაშინვე მიხვდა რისთვის ვიყავით მისულნი და თვითონაც ძალიან აღელდა. ის საწოლზე ჩამოჯდა, ჩვენ ფეხზე ვიდექით, არ ვიცოდით რა გვექნა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მერიმ მოიკრიბა ძალ-ღონე და წაიკითხა თავისი სიტყვა — ბატონი იაკობი თავჩაღუნული ისმენდა, ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ ცრემლი მოიწმინდა. მერე ძლივს თქვა: — რაზე შემარცხვინეთ... ჩემი იუბილე შეშურდათ... და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო. მე მგონია, ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც ეს უსაზღვროდ თავმდაბალი და მოკრძალებული კაცი თავის თავზე ლაპარაკობდა... სწორედ მაშინ თქვა ის სიტყვები, ზემოთ რომ დავიმოწმე — ცხოვრების მიზნად სხვების სამსახური დავისახეო.

აღარ მახსოვს, როგორ გაგრძელდა ეს შეხვედრა, მახსოვს მხოლოდ, რომ იმ წუთებში იაკობ ზედგინიძე, ბედნიერი იყო მგონი, ვერც ერთი ოფიციალური იუბილე მას ასეთ სიხარულს ვერ მიანიჭებდა. ჩვენც სიამაყით აღვისილნი წამოვედით, ყველას ისეთი გრძნობა გვექონდა, რომ წმინდა მოვალეობა მოვიხადეთ, და ეს მით უფრო გვახარებდა, რომ ეს საქციელი ჩვენივე გულით იყო ნაკარნახევი.

გავიდა თოთხმეტი წელი და 1943 წლის აგვისტოში მძიმე და სამწუხარო მოვალეობის შესრულება მომიხდა: მისი მოწაფეების სახელით, უკანასკნელი სიტყვით მივმართე მას ვაკის სასაფლაოზე. ომის მძიმე დრო იყო, გასვენებას მაინც საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო — პირველი სკოლის ყოფილი მოსწავლენი, ვინც კი ფრონტზე არ წასულა, მისი ძველი კოლეგები, ნათესაები... გაზეთში ძალიან მოკლე ნეკროლოგი დაიბეჭდა, მაშინ სხვა საშუალება არც იყო (გაზეთები ერთ ფურცელზე იბეჭდებოდა). მაგრამ დასანანი ის არის, რომ მას შემდეგაც, როცა უკვე რამდენიმე ათეული წელი გავიდა, ამ შესანიშნავი პედაგოგისა და ნათელი პიროვნების შესახებ არაფერი არ გამოქვეყნებულა ისეთი, რაც მის ნამდვილ ღვაწლს წარმოაჩენდა. იაკობ ზედგინიძე კი სავსებით იმსახურებდა ამგვარ დაფასებას.

ერთი ყველაზე კოლორიტულ ფიგურათაგანი არა მარტო ჩვენს სკოლაში, არამედ საერთოდ მაშინდელ პედაგოგთა შორის, იყო მათემატიკის მასწავლებელი ვასო აბღუშელიშვილი. ჩვენი სკოლის შემდეგ იგი სხვა სკოლებშიაც ასწავლიდა. მე არ შემხვედრია არც ერთი მისი ნამოწაფარი, რომ დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით არ იხსენიებდეს მას.

ათლეტური აგებულების კაცი იყო, მაღალი, პირმრგვალი, მელოტი, აპრეხილი უღვაშებით... უმეტესად ტილოს ხალათითა და ქამრით მახსოვს. რაღაც შინაგან ძალას, თითქოს რაინდულ ძალას ასხივებდა და ყველა მორიდებით ეკიდებოდა. ესეც უცოლშვილო იყო.

გაკვეთილის დროს ხშირად სკამზე გადაწოლილი იჯდა და ორივე ხელი კეფაზე ჰქონდა შემოწყობილი. გაკვეთილს გვიკარნახებდა მკაფიოდ და ისეთი ტემპით, რომ ყველას ადვილად შეეძლო ჩაწერა. წლის ბოლოს მთელი გავლილი კურსი ჩაწერილი გვექონდა სიტყვასიტყვით. მისი გადმოცემის დამახასიათებელი იყო ზედმიწევნით სინათლე, მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობა და ლაკონიზმი, არც ერთი ზედმეტი სიტყვა. მათემატიკური მასალის გადმოცემა ალბათ არც შეიძლება სხვაგვარი იყოს, მაგრამ ამის მიღწევა ხომ ყველას არ შეუძლია!

ეს იყო ნამდვილი ნიმუში საქმიანი, მიზანდასახული გაკვეთილისა.

სურათი მკვეთრად იცვლებოდა გამოკითხვის დროს. იცვლებოდა, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლის ლექსიკონი. საკმარისი იყო ერთი შეცდომა ან შეფერხება, და იწყებოდა მოწაფის „შემკობა“. სააბნისოდ ბატონ ვასოს თავის რეპერტუარში ოთხი სიტყვა ჰქონდა: „უტვინო“, „იდიოტი“, „კრეტინი“ და „ინდაური“. ვერც ერთი გაკვე-

თილი ვერ ჩაივლიდა ამ ეპითეტების გარეშე. უნდა დავიკვივხო, რომ მე ერთი იმ მკირერიცხოვანთაგანი ვიყავი, ვინც გადაურჩა ამგვარ დახასიათებას. საკვირველი ის იყო, რომ მოწაფეებს არ სწყინდათ და არავის გულში არ რჩებოდა რაიმე ხინჯი. ალბათ იმიტომ, რომ ინსტინქტურად ყველა გრძნობდა, როგორ უყვარდა ვასოს ბავშვები, ხედავდნენ, რომ სამართლიანი იყო და არასოდეს „გააფუჭებდა“ მოწაფეს. პირიქით, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ყოველთვის მოწაფის დამცველად გამოდიოდა. უფროსი ჯგუფების მოსწავლეები და აგრეთვე ნამოწაფარნიც ყოველ ახალ წელიწადს ესტუმრებოდნენ ხოლმე მას ვასილობის მისალოცად და მუდამ მოხიბლულნი იყვნენ მისი გულითადობით. მე, სამწუხაროდ, არასოდეს არ ვყოფილვარ მის დღეობაზე*.

გეოგრაფიის მასწავლებელი დავით დონდუა — დიდად ნიჭიერი, შემოქმედი ადამიანი, პატარა ტანის „კომპაქტური“ კაცი, თითქმის სრულიად მელოტი, მაგრამ რაც თმა ჰქონდა, წარბებიც, წამწამებიც და სათვალის ჩარჩოც ოქროსფერი იყო. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, რომ ოქროსფრად ასხივებდა. მასთან კონტაქტი ადვილი იყო.

ოციანი წლების დასაწყისში მან რამდენიმე საბავშვო წიგნი გამოუშვა — თხელი ბროშურები უპრეტენზიო გრაფიკული ილუსტრაციებით. სერიას ერქვა „სურათები-ზღაპრები“. მშვენიერი ზღაპრები იყო — მსუბუქი ენით დაწერილი, ბავშვისათვის საინტერესო, განსაკუთრებით — „ყვავი, ბუ და მელაკულა“, შიგადაშიგ ჩართული ლექსებით. მე არაერთხელ შემიმოწმებია ეს ზღაპრები, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პრაქტიკულად“: ყველა ბავშვი მათ გატაცებით, თვალბდაკეტილი უსმენდა, რაც, სამწუხაროდ, არ ითქმის ბევრ თანამედროვე საბავშვო წიგნზე. მიკვირს, რატომ არ გამოსცემენ ხელმეორედ ამ ზღაპრებს ახალი, უკეთესი ნახატებით, მით უფრო, რომ ქართული საბავშვო წიგნის ბაზარზე ნამდვილი „შემშვილობაა“.

დავით დონდუას გამოცემული ჰქონდა სახელმძღვანელოები თავის დარგში — გეოგრაფიაში. იგი თვალსაჩინო მეთოდისტი იყო, ლექციებს კითხულობდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, გორისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. ჩვენ უკვე მაშინ ვიცნობდით მის წიგნებს „საქართველოს დედაქალაქი ტფილისი“,

* მის შესახებ ძალიან ემოციურად დაწერილი წიგნი გამოაქვეყნა მისმა ძმისწულმა ანთროპოლოგმა პროფესორმა მალხაზ აბღუშელიშვილმა.

„ჰაერი, წყალი და დედამიწა“. საშუალო სკოლაში გეოგრაფიის სწავლების საქმისათვის ამოდენა ამაგი ალბათ არც არავის მიუძღვის.

გაკვეთილებს ტემპერამენტით ატარებდა, გვიანტერესებდა, გვიტაცებდა... სხვა ამბებსაც გვიყვებოდა. „გემრიელი“ ლაპარაკი იყო. მე ახლაც ჩამესმის ყურში როგორ წარმოთქვამდა ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელწოდებას, თითქოს სიტყვებს პისტოლეთიდან ტყორცნისო. განსაკუთრებით მომწონდა „კილაუეა და კრარაკატაუ“, „კატეგატი, სკაგერაკი და ზუნდი“, ძლიერი მახვილი უ-ზე, ან კიდევ „ბორნეო, სუმატრა, იავა და ცელებესი“. სიტყვების ჟღერადობასაც ხომ აქვს ზოგჯერ, შინაარსის გარეშეც, თავისი მაგიური ძალა...

დონდუების ოჯახი ნიკიერი ოჯახი იყო: დავითის ორმა ძმამ — ისტორიკოსმა ვარლამმა და ენათმეცნიერმა კარპეზმა — თვალსაჩინო კვალი დატოვეს ჩვენს მეცნიერებაში.

გავიდა კარგა ხანი და იმ მშვენიერ სამასწავლებლოში შევიკრიბეთ ჩვენი სკოლის სხვადასხვა გამოშვების წარმომადგენლები — იქიდან მოეწყო ტელეგადაცემა, მიძღვნილი დავითის ხსოვნისადმი.

კიდევ ერთი ზედმიწევნითი სიმპათიური ფიგურა: ივანე რატიშვილი, ძველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ყველაზე ხანდაზმული ჩვენს მასწავლებლებს შორის. გვასწავლიდა ისტორიას — საბერძნეთსა და რომს. პატარა, ქალარა მოხუცი იყო, კეთილი და ალერსიანი, თან დიდად ტემპერამენტიანი. ცხადია, მისი გაკვეთილები, რომლებიც მეოთხე თუ მეხუთე ჯგუფში გვქონდა, მოვლენათა სოციალურ ანალიზს არ შეიცავდა — ეს იყო გმირებისა და გმირობის, ღმერთებისა და ქალღმერთების ისტორია, მითები... დიდი აღფრთოვანებით გვიამბობდა და ისე გვიტაცებდა, რომ „ფეხმარდი აქილევსი“, „გულადი ჰექტორი“ და „ცბიერი ოდისევსი“ ჩვენთვის ცოცხალ ადამიანებად იქცეოდნენ, ასევე ცოცხლად ვხედავდით მოკიმულ მშვილდებსა და „ნატყორცნ ისრებს“, დანგრეულ ილიონს, მწუხარე პრიამოსს და მშვენიერ ელენეს. ის დღე, როცა ისტორია უნდა გვქონოდა, ჩემთვის დღესასწაული იყო; ვხატავდი იმ ძველ გმირებს, ვწერდი მოხსენებებს... ერთხელ ოდიპოს მეფის გასამართლებაც გავმართეთ. მე დამცველი ვიყავი და წინასწარ დაწერილი სიტყვა წარმოვთქვი. ოდიპოსი გაამართლეს და ბრალმდებელმა ამირან შალამბერიძემ ამის გამო ბევრი ცრემლი ღვარა — ძლივს დაამშვიდა რატიშვილმა...

მერე, როდესაც ანტიკური ისტორია „საზოგადოებათმეცნიერებაში“ შეცვალა, ჩვენ, ჯერ კიდევ პატარებს, ამ მითოლოგიით გატა-

ცებულთ, თავდაპირველად გავვიკირდა ჩარტისტებს, ლიონის აჯანყებასა და „კაპიტალიზმის ჩასახვას“ შევეგუებოდით.

როცა რატიშვილი სკოლიდან წავიდა (ისიც ზანდუქელთან და ზედგინიძესთან ერთად გაათავისუფლეს), ხშირად ეხვდებოდით ქუჩაში — გადაგვკონიდა, ყველას გაიხსენებდა, ყველას სიყვარულით მოიკითხავდა, რომელიმე ძველი ავტორის წაკითხვას გვირჩევდა. მამაჩემისგან ვიცოდი, რომ რატიშვილმა სიტყვა წარმოთქვა ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე. ეს კიდევ უფრო ზრდიდა ჩემს თვალში მის ავტორიტეტს. იგი გარდაიცვალა 1933 წლის ნოემბერში. ცოლი ადრე მოუკვდა, შვილი არ დარჩენია, დაუძღურებული და უმწეო მოხუცისთვის სიკვდილი ხსნა იყო. დაიბარა, საეკლესიო წესით დამასაფლავეთო. ქვაშვეთში ესვენა. საფლავთან, ვერის სასაფლაოზე (მთის ფერდზე რომ არის), თედო სახოკიამ წარმოთქვა სიტყვა. როცა საფლავში ჩაუშვეს და მიწას აყრიდნენ, ჩემ გვერდით მდგომმა იაკობ ზედგინიძემ ჩამჩურჩულა:

— აი ეს, უსაშინელესი მომენტი... ხმაური რომ ისმის... — იაკობმა კი თითქმის არ იცოდა თავისი განცდის გაზიარება.

მისი გარდაცვალების შემდეგ კარგა ხანი გავიდა, როცა ჩვენივე სკოლის ყოფილმა მოწაფეებმა მის საფლავზე მოვიყარეთ თავი — შაქრო ბაღდასარაშვილმა, რომელიც ჩემზე სამი თუ ოთხი კლასით წინ იყო, ითავა საფლავის ქვის გაკეთება და გააკეთებინა კიდევ. იყვნენ ჩვენი ყოფილი მასწავლებლებიც. რამდენიმე გულითადი სიტყვით მოვიხსენიეთ ჩვენი კარგი „ბატონი ივანე“.

ივანე რატიშვილი ივანე ნიჟარაძემ შეცვალა. სწორედ მას ხვდა წილად „საზოგადოებათმეცნიერება“ ესწავლებინა. ესეც პატარა ტანის კაცი იყო, ჩამრგვალებული, რბილი, სათნო, რატიშვილთან შედარებით მშვიდი და აულელვებელი. საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული, კლასიკური ენები იცოდა და უფრო გვიან დიდხანს ასწავლიდა უნივერსიტეტში ლათინურს. იგი განაგებდა ბიბლიოთეკასაც, რომელიც სარდაფის სართულში იყო მოთავსებული ჭერ კიდევ გიმნაზიის დროიდან. თაროები სავსე იყო ფრანგული, ინგლისური და გერმანული ტომებით: ისტორია, ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება... იატაკზე იდგა ანტიკური ღმერთებისა და გმირების თაბაშირის ფიგურები — თეთრი, დამტვერილი. კუთხეებში ეწყო მუყაოს დიდ ფურცლებზე დაბეჭდილი სურათები ბერძნული და ეგვიპტური ხუროთმოძღვრების ძეგლებისა, ტიუტჩიევისა და ვილად გენერლების პორტრეტები... ბატონი ივანე ძალიან გვიყვარდა, მაგრამ

ზოგჯერ გაკვეთილის დროს „მუხანათურ“ შეკითხვებს ვაძლევდით და ვეკამათებოდით კიდევ, მაგრამ მას არასოდეს არ დაუტარგავს წონასწორობა და ჩვენდამი კეთილგანწყობილება*.

ფრიად თავისებური პიროვნება იყო მალაქია სირაძე, რომელიც გვასწავლიდა ერთმანეთისაგან საკმაოდ შორს მდგომ საგნებს — ზოოლოგიას, ქიმიას და... სიმღერას (ვიოლინოს აკომპანიმენტით). ძლიერი რაჭული ინტონაციები ჰქონდა და ძალიან უყვარდა გრძელი ირონიული ნოტაციები, მაგალითად, ამგვარი ხასიათისა:

— აბა, გეეჯიბრეთ ერთმანეთს ქარაფშუტობაში და ვინც აჯობებთ, ჯილდოს მიიღებთ... ქვეყნის ყველაზე დიდი მტერი უგნურებაა... ერთი კაცი იყო, იქნება ისტორიაში დარჩეს ჩემი სახელიო და ერთი მშვენიერი, კაი ნახელავი სახლი დაწვა... ისტორიაში ალბათ ისწავლიდით, თუმცა რას ისწავლიდით — მასწავლებელი კი გასწავლით, მარა თქვენ არ სწავლობთ! თქვენც იმ კაცივით ხართ, გეუბნებით, ნუ შვრებით, მაინც შვრებით! იმ კაცსაც ეუბნებოდნენ, ნუ იზამ ცუდ საქმესო, მარა მაინც ქნა!

ერთხელ კი, ზოოლოგიის გაკვეთილზე, როდესაც ქათამი გაკვეთა და კუჭიდან კენჭები ამოუღო, თქვა: — რავარც გოუზრდელ ბავშვებს აქვთ მოთხოვნილება იყბედონ, ისე ქათამებს აქვთ მოთხოვნილება კენჭები ყლაპონო.

ჩვენ თვინიერად ვუსმენდით მას, ისე, თითქოს მისი ლაპარაკი სხვას ეხებოდა და არა ჩვენ — არ მიგვაჩნდა, რომ ეს საყვედურები დამსახურებული გვქონდა.

მე და ჩემი ამხანაგები ყოველთვის სიყვარულით ვიგონებთ რუსულის მასწავლებელ თამარ ზალიშვილს და ფიზიკისას — ტერენტი ვეფხვაძეს, რომელსაც ვარშავის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, სკოლიდან წასვლის შემდეგ კი უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწეობდა დოცენტის წოდებით; ვარჯიშისას (მაშინ სიტყვა „ფიზკულტურა“ არ იხმარებოდა) — არჩილ ბაქრაძეს, ქართული ტანვარჯიშის ერთ-ერთ პიონერს. ჩვენთვის ნამდვილი მოვლენა იყო ფსიქოლოგიის სწავლების შემოღება, არა მარტო იმიტომ, რომ საგანი იყო საინტერესო, არამედ უფრო იმიტომ, რომ მასწავლებლად მოიწვიეს მაშინ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა რევაზ ნათაძე (მგო-

* 1910 წელს, როცა ექვთიმე თაყაიშვილმა ლეჩხუმსა და სვანეთში მოაწყო ექსპედიცია, მან ივანე ნიჟარაძეც მიიწვია მონაწილეობის მისაღებად, რადგანაც იგი სვანი იყო და, თაყაიშვილის სიტყვების თანახმად, „ზრუნველი და მოამაგე სვანებისა და ყველა სვანთაგან დიდად მიჩნეული და პატივცემული“. მაშინ ის უკვე ჩვენი სკოლის წინაპრის, პირველი გიმნაზიის, მასწავლებელი ყოფილა.

ნი, უნივერსიტეტი არც ჰქონდა დამთავრებული) — მის გაკვეთილებს მოუთმენლად ველოდით, თვით გაკვეთილები კი, მგონი, ერთნაირად სასიხარულო იყო ჩვენთვისაც და მისთვისაც. მისი პედაგოგიური ნიჭი უკვე მაშინ ძალიან მკაფიოდ მეღვანელებოდა...

სკოლაში ბიჭებისთვის არსებობდა ორი სახელოსნოც — საღურგლო და სამხატვრო (გოგონებისთვის, მგონი, ჭრა-კერვისა). მოწაფეებს სურვილისამებრ უნდა აერჩიათ ერთ-ერთი (ამას გარდა, ყველასთვის სავალდებულო ხატვის გაკვეთილებიც გვქონდა: სულ აღრე, მესამე ჭგუფში, გვასწავლიდა გერონტი ქიქოძის მეუღლე ტასო ამირეჯიბი, შემდეგ მერი მიქელაძე-ბაგრატიონი და კოტე გრძელიშვილი). გამიწყრა ღმერთი და ერთხელ საღურგლო ავირჩიე. ალბათ მთელ სკოლაში არ მოიძებნებოდა ჩემზე უნიჭო „ღურგალი“. მთელი წელიწადი ვრანდავდი ერთ ფიცარს (ვითომ სკამი უნდა გამეკეთებინა) და მაინც ვერ გავრანდე. რა თქმა უნდა, აღარც გამიხედია იმ სახელოსნოსკენ, სხვა წლების მანძილზე „სამხატვროში“ ვიყავი.

ხატვის სიყვარული ბავშვობიდანვე მქონდა. უადრესი მოგონება უკავშირდება კვლავ მესამე ან მეოთხე ჭგუფს: სხვებთან ერთად ვხატავდი რალაც სათეატრო ფარდას (ცხადია, სკოლისთვის), მე წილად მხვდა ქართული ორნამენტული მოტივის დახატვა... სხვა აღარაფერი არ მახსოვს — არც ის, რა ბედი ეწვია ფარდას, არც ის, შეეძელი თუ არა მე ჩემი ორნამენტის დახატვა. ვიცი მხოლოდ, რომ ფარდას შესრულებას ხელმძღვანელობდა ვინმე მხატვარი ხმელევსკი, პოლონელი, რომელიც ოციანი წლების დასაწყისში ცხოვრობდა თბილისში... ნეტა რამე კვალი თუ დატოვა — ეს არავის არ უკვლევია.

მერე ჩვეულებად მექცა გაკვეთილების დროს ჯღაბნა. გაუთავებლად ვხატავდი „კაცის თავებს“ (როგორც დედაჩემი ამბობდა). მასწავლებლებს, რა თქმა უნდა, ეს არ მოსწონდათ, მაგრამ შემდეგ, რაკი დარწმუნდნენ, რომ მაინც ვახერხებდი ყურის გდებას, შეეჩვივნენ ამ ჩემს ჩვეულებას და ყურადღებას აღარ მატყვევდნენ. „სამხატვრო სახელოსნოში“ (გვასწავლიდა მარიამ ხუციშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთი პირველი კურსდამთავრებულთაგანი) დიდხანს ვხატავდი სურათს ყაზბეგის „მოძღვრის“ მიხედვით — „მაყვალას საფლავთან“. რა გამოვიდა, არ მახსოვს, ან კი რა უნდა გამოსულიყო! თერთმეტი წლისა რომ გავხდი, მამამ მოიწვია ხატვის მასწავლებელი, რომელიც შინ დადიოდა ჩვენთან (ეს იყო აკადემიის სტუდენტი ფელიქს ვარლამიშვილი; ყველას მიერ დიდად ნიჭიერად აღი-

რებული. აკადემიის დამთავრებისთანავე, ან იქნებ დამთავრებამდეც, საფრანგეთში წავიდა და ფელიქს ვარლას სახელით მონაწილეობდა გამოფენებში. პარიზში შევხვდი მას 1966 წელს, უკვე ხანდაზმულს...

თბილისში მისი სურათების გამოფენა მხოლოდ 1987 წელს მოეწყო, უკვე მხატვრის გარდაცვალების შემდეგ, და ნათლად გამოჩნდა, რა ნიჭირი და თავისებური შემოქმედება იყო. ამ გაკვეთილებმა გარკვეული სარგებლობა მომიტანა, თუმცა ეს სწავლა სულ ცოტა ხანს გავრძელდა... სამხატვრო სახელოსნოში რამდენიმე მოწაფე იყო ჩაწერილი, მაგრამ შემდეგ ჩემ ჯგუფელთაგან (პარალელური ჯგუფიდან) მხოლოდ ორმა აირჩია მხატვრობა თავისი ცხოვრების საქმედ: ლევან იგიტხანოვმა (დიდხანს მსახურობდა საჯარო ბიბლიოთეკაში და სკოლებშიაც მასწავლებლობდა) და გიორგი ნადირაძემ — გრაფიკოსი იყო, ქართული შრიფტის ოსტატი, სიცოცხლის ბოლო წლებში გამომცემლობა „მეცნიერების“ მხატვრად მუშაობდა, წიგნებს აფორმებდა. ჩვენსავე სკოლაში სწავლობდა, ჩემზე ორი ჯგუფით უკან, შემდეგში ცნობილი მხატვარი დაეით (ღუდა) გაბაშვილიც.

ოთხწლედის დამთავრების შემდეგ ჩვენი ჯგუფი ორად გაყვეს. მე მოვხვდი „ბ“ ჯგუფში. გაყოფა ჩემთვის „საბედნიერო“ აღმოჩნდა: ყველა არა, მაგრამ უმეტესობა იმ ბავშვებისა, ვისთანაც დამეგობრება მოვასწარი, ჩვენს ჯგუფში იყო. მათ მიემატა რამდენიმე ახლად მიღებულიც — მათ შორის რამდენიმე ჩემი ახლო მეგობარი გახდა. ჩვენი ჯგუფი მასწავლებლების აშკარა სიმპათიით სარგებლობდა — მართლაც ბევრი იყო ნიჭიერი ბავშვი, თანაც ძალიან კარგი, მეგობრული განწყობილება გვქონდა ერთმანეთთან — გოგოებსაც და ბიჭებსაც. უმეტესად ინტელიგენტური ოჯახების შვილები იყვნენ, მაგრამ აგრეთვე მუშის ან ხელოსნების შვილებიც. ყველანი მთაწმინდაზე ცხოვრობდნენ — არსენას ქუჩაზე და უფრო მალა (ერთი მათგანის მისამართი იყო სამრეცხაოს ქუჩა, უთოს შესახვევი № 23). რა თქმა უნდა, ჩვენი ურთიერთობისთვის ამ „სოციალურ მომენტს“ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია, არც იმას, რომ მთავრობის წევრების შვილებიც გვერივნენ.

ჩვენს ორ პარალელურ ჯგუფში თერთმეტი იყო თორმეტი ქეთო გვყავდა და დაახლოებით ამდენივე გიორგი. ჩვენში ხომ სახელების მიხედვით შეიძლებოდა მეტ-ნაკლები სიზუსტით დაადგინო, რომელ თაობას ეკუთვნის ადამიანი.

ჯგუფები დიდი იყო — ორმოცი მოსწავლე ან მეტიც... როცა

სკოლის დამთავრების ორმოცდაათი წლისთავი აღვნიშნეთ (ორივე პარალელურმა ჯგუფმა), საკმაოდ ბევრნი შევიკრიბეთ, მაგრამ უკვე მაშინ გვაკლდნენ ჩემი უძვირფასესი და უსაყვარლესი მეგობრები — გიორგი ლომთათიძე — ცნობილი არქეოლოგი (გარდაიცვალა 1971 წ.), კოტე ჯავრიშვილი — შემდეგში ლიტერატორი და ბუნებისმეტყველი, გეოლოგი, სპელეოლოგი და, იმავე დროს, ალპინისტი (გარდაიცვალა 1977 წ.). კოტე ჭიჭინაძე — დიდად ნიჭიერი გეოლოგი, მას ყველა უწინასწარმეტყველებდა ბრწყინვალე სამეცნიერო მომავალს (ომში დაიღუპა), ყველასთვის დასავით საყვარელი ეკა გოგიჩაიშვილი, შესანიშნავი ბუნებრივი მონაცემებით დაჯილდოებული ადამიანი, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა 1946 წელს (მძიმე ავადმყოფობის გამო თავი მოიკლა), გოგი კლდიაშვილი (დავითის ვაჟი), ჩვენზე უფროსი, მაგრამ ჩვენი გულითადი მეგობარი (ესეც ომში დაიღუპა), მერი მდივანი, ჩემი ძვირფასი ბიძაშვილი მიშა ბერიძე, რომელიც მერვე კლასში გადმოვიდა ხონიდან და ჩვენთან ცხოვრობდა — შემდეგ ინჟინერ-პოლკოვნიკი გახდა და 1980 წელს გარდაიცვალა, თამარ ზანდუკელი (გარდაიცვალა 1969 წ.), პარალელური ჯგუფიდან — აგრეთვე ომში დაღუპული ამირან შალაშვილი — ესეც ინიჭით სავსე, ცოცხალი გონების ადამიანი, დათიკო ლომაძე — ჩემი ყველაზე ადრინდელი გულითადი მეგობარი, შემდეგში ინჟინერ-კონსტრუქტორი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრების რესტავრაციის საქმეს, და კიდევ რამდენიმე... მას შემდეგაც გამოგვაკლდნენ — ფილოლოგი პროფესორი იოსებ ბოცვაძე (ცნობილი პედაგოგის ლუარსაბ ბოცვაძის ვაჟი), რომელიც სკოლაში ყოფნის დროს სიცელქით ყველას სჯობნიდა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი გიორგი ყანჩაველი, ქეთო ორახელაშვილი, კიდევ რამდენიმე...

ჩვენი ჯგუფიდან ბევრი სხვა თვალსაჩინო მოღვაწეც გამოვიდა — მწერალი ქეთევან ქუჩუკაშვილი (შიო მღვიმელის უმცროსი ქალიშვილი). პროფესორი გიორგი ვაჩნაძე (ჩვენ ყველანი იურის ვეძახდით) — მხაზველობითი გეომეტრიის ცნობილი სპეციალისტი; ზოოლოგი პროფესორი პაულე ჭანტურიშვილი; იოსებ გოგიტიძე (ჩვენთვის „კოჭო“), თვალსაჩინო სამთო ინჟინერი, რომელიც დიდხანს ედგა სათავეში მნიშვნელოვან დაწესებულებებს; აკადემიკოსები: მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ნინო ჯავახიშვილი და მათემატიკოსი გიორგი ჭოლოშვილი, გეოლოგები ოთარ ოქროპირიძე და პროფესორი ნიკოლოზ ხიმშიაშვილი, არქიტექტორი ვალერია

პაჭიბელი და კიდევ რამდენიმე სხვა (პარალელურ ჯგუფში სწავლობდნენ მომავალი აკადემიკოსები: ვახტანგ გომელაური, ლეონიდე გორგილაძე და აწ განსვენებული ოთარ ონიაშვილი, პროფესორები — ქირურგი ირაკლი (ოთარ) მგალობლიშვილი, მიხეილ (არქიტექტორი) და რევაზ (ინჟინერი) ლორთქიფანიძეები, ფიზიკოსი გიორგი (ყორა) ჩიტაია.

ეს დასპეციალება — ზოგი ბუნებისმეტყველი რომ გამოვიდა, ზოგი ინჟინერი ან სხვა — მაშინ, სკოლის წლებში, ჩანასახშია ცი არ ჩანდა, ყოველ შემთხვევაში, სანამ მეშვიდე-მერვე ჯგუფებში ვიყავით. მე მგონია, ერთადერთ გამონაკლისს პავლე ჭანტურიშვილი შეადგენდა: თავის „ზოოლოგიურ მოწოდებას“ მან ბოლომდის არ უღალატა...

უმეტესობას კი (ყოველ შემთხვევაში, ჩემს უახლოეს წრეს) მაშინ ჰუმანიტარული მიდრეკილება ჰქონდა. სანამ მერვე ჯგუფში გადავიდოდით, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მწერალი უნდა გამოვსულიყავი. ვწერდით ლექსებსა და მოთხრობებს (მე მხოლოდ მოთხრობებს — ან ვითომ იუმორისტულს, ან ძალიან სანტიმენტურს, „გულსაკლავს“); გარდა ზემოთ უკვე მოხსენიებული ხელნაწერი ჟურნალისა, გვქონდა ხელნაწერი კედლის გაზეთი „ტალა“, რომელიც 1927 წელს დაეაარსეთ, როცა მეშვიდე ჯგუფში ვიყავით — მას რიგრიგობით ვრედაქტორობდით გოგი ლომთათიძე და მე, მუდმივი მდივანი კი კოტე ჯავრიშვილი იყო. სარედაქციო კოლეგიის სხდომათა ოქმები იწერებოდა ყველა წესის დაცვით („სხდომას დაესწრნენ“, „თავმჯდომარეობდა ესა და ეს“, „მდივობდა ესა და ეს“, „განიხილეს შემდეგი წერილები“, „დაადგინეს“, და სხვ.). „მხატვრულ ნაწარმოებთა“ გარდა, „პუბლიცისტურსაც“ ვაქვეყნებდით — ჩვენი ჯგუფის ცხოვრების „საჭირობოროტო“ საკითხებზე. ამასაც არ ვკერძობდით — მსოფლიო ქრონიკაც კი რაღაც ანარეკლს პოულობდა „ტალლის“ ფურცლებზე. ჩვენ, რედაქციის წევრები, როგორც „ჟურნალისტებს“ შეეფერებოდა, ქვეყნის ამბების კურსში ვიყავით, გვიანტერესებდა გენერალ ნობილეს ეპოპეაც, მისი გადარჩენის ამბავიც, მაქსიმ გორკის ჩამოსვლაც თბილისში და მისი სტუმრობა კოჯრის საბავშვო სახლში, ქუთაისის ხანძარიც, როდესაც მთელი ებრაელთა უბანი გადაიწვა და გაზეთებში გამოცხადებული იყო ფულის შეგროვება დაზარალებულთა სასარგებლოდ, ავღანეთის შაჰის ამანულას ვიზიტიც. ჭადრაკის ამბებს ხომ ძალიან მღელვარედ განვიციდით, განსაკუთრებით ვიქტორ გოგლიძის წარმატება-წარუ-

მატებლობას, მის მიერ ოსტატის წოდების მოპოვებას. თვითონაც ვმართავდით ტურნირებს. სხვა მხრივაც არ გვინდოდა ჩამოვრჩენოდით „ნამდვილ“ გაზეთებს: ვათავსებდით „ვიქტორინასაც“, რომელიც მაშინ შემოვიდა მოლაში (იყო ასეთი კითხვაც: „როლის გარდაიცვალა ედისონი?“ პასუხი: „ცოცხალია“). გაზეთის გადაწერა ევალებოდა რამდენიმე მოსწავლეს, რომელთაც გარკვეული და ლამაზი ხელი ჰქონდათ. იაკობ ზედგინიძე გულისყურით ხელმძღვანელობდა ჩვენს „ეჟურნალისტურ“ მოღვაწეობას.

იმ „ნამდვილ“ გაზეთებში მაშინ ხშირი იყო კარიკატურები დასავლეთის პოლიტიკურ მოღვაწეებზე. განსაკუთრებით „ერჩოდენე“ ამერიკის პრეზიდენტს კულიჯს, მუსოლინის, ინგლისის პრემიერ-მინისტრებს — ბოლდუინსა და მაკდონალდს, ფრანგ ბრიანს, გერმანელ შტრეზემანს. მაგრამ „მთავარი გმირი“ მაინც იყო ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ოსტინ ჩემბერლენი—თავისი სპეციფიკური ატრიბუტების გამო (მონოკლი! ცილინდრი!), იგი, მე მგონია, მაშინ კაპიტალისტური საშუალოს ერთგვარ სიმბოლოდ, პერსონიფიკაციად იქცა. მაშინდელ გაზეთებს ჰქონდა ზოგი სპეციფიკური ნიშანი, რომელიც მათ ახლანდელი გაზეთებისაგან განასხეავებდა: ადვილი შესამჩნევია, რამდენად მოუწესრიგებელი იყო მაშინ ქართული ენის ნორმები და ორთოგრაფიაც; ძალიან მოიკოჭლებდა კორექტურა; დიდი ადგილი ეჭირა სამგლოვიარო განცხადებებს — აცხადებდნენ არა მარტო ოჯახის წევრები, არამედ შორეული ნათესავებიც, ნაცნობებიც, დაწესებულებებიც, თითო გარდაცვლილისადმი ზოგჯერ ათობით განცხადება იყო „მიძღვნილი“. თანაც, განცხადების ტექსტი მარტო ინფორმაციას კი არ შეიცავდა, არამედ მწუხარების გრძნობებსაც გამოხატავდა მრავალგვარად. ძალიან ბევრი იყო ეჭიმების განცხადებაც — მაშინ კერძო პრაქტიკა ჩვეულებრივი რამ იყო და იმ განცხადებებში ეწერა ეჭიმის სპეციალობა, მისამართი, მიღების საათები (ოციან წლებში კერძო სავადადმოფოებიც კი არსებობდა). ბოლო გვერდზე აუცილებლად იბეჭდებოდა „შემთხვევები“, საიდანაც ვგებულობდით, რომ „მორგებული გასაღების საშუალებით“ გაქურდეს მავანისა და მავანის ბინა, რომ ვილაცამ „რომანიულ ნიადაგზე“ თავი მოიწამლა და სხვა. გაზეთების გარეგნული სახისათვის მნიშვნელობა ჰქონდა, გარდა ხსენებული კარიკატურებისა, რეპორტაჟულ ჩანახატებს (მაგალითად, რომელიმე ყრილობის დღეეგატთა პორტრეტებს, ან მთელ სცენებსაც კი), რომლებიც შემდეგ მთლიანად განდევნა ფოტო-რეპორტაჟმა. საერთოდ, იმდროინდელი გაზეთები ნაკლებად მოწესრიგებული იყო, ვიდრე ახლანდელი გაზეთები.

ბარემ აქვე გავიხსენებ რამდენსამე მწვავე პრობლემას, რომელთაც მაშინ, ახალი ცხოვრების ჩამოყალიბების წლებში — ახლანდელი სიტუაციით რომ ვთქვათ — ძალიან აქტიუალური მნიშვნელობა ჰქონდათ, და რომელნიც აგრეთვე ინტენსიურად აისახებოდნენ პრესაშიც. აი, ეს პრობლემები: აჭარელი ქალისათვის ჩადრის ჩამოხსნა, რაც მტკიცედ ფესვგადგმული ტრადიციის უკუგდებას ნიშნავდა და სიმბოლურ მნიშვნელობასაც იძენდა, როგორც ძველზე ახლის გამარჯვების მაუწყებელი; საქართველოს მთიანეთში სისხლის აღების კანონის ამოგდება; სვანეთში ჩიყვის დაძლევა — ეს ჩიყვი საშინელ კვალს ამჩნევდა იქაურ მოსახლეობას: არა მარტო ასნეულებდა და ამახინჩებდა ადამიანებს, არამედ, ხშირ შემთხვევაში, კრეტინიზმსაც იწვევდა. ახლა ეს უკვე შორეული წარსულის ამბავია და ბევრს აღარავის ახსოვს, რა მწვავე, როგორი „სამკვდრო-სასიცოცხლო“ იყო ეს პრობლემები, ძალთა როგორი დაძაბვა, რა დიდ წინააღმდეგობათა გადალახვა გახდა საჭირო მათ აღმოსაფხვრელად.

მე ახლაც სიამაყით ვიგონებ, რომ 1927 წელს ჩვენ, მოსწავლეებმა სრულიად დამოუკიდებლად მოვამზადეთ და გამოვეცით „ტალის“ ორმაგი ნომერი, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების ოცი წლისთავისადმი. მგონი, ჩვენ გარდა ეს თარიღი მაშინ არც არავის გახსენებია. ეს ის დრო იყო, როდესაც ზოგი „რევოლუციონერი“ პოეტი წერდა: „ჩვენი ეგნატე, თქვენი ილია“; ზოგჯერ უფრო მეტსაც...

იმ ნომრისთვის გიორგი ჭოლოშვილმა ილიას ბიოგრაფია დაწერა, გოგი ლომთათიძემ — „ილიას აზრი ბატონყმობაზე“, მე — „ილიას აზრი საზოგადო მოღვაწეობაზე“; იყო ლექსები, მის თხზულებათა ილუსტრაციები (გადმოვიხატე ჰრინევსკისაგან), მისი პორტრეტები. ეს ვაზნეთი მერე განათლების კომისარიატში წაიღეს და არ ვიცი, რა ბედი ეწია.

კედლის გაზეთს, რომელსაც ჩვენ ძალიან აქტიურად, სიყვარულით ვეკიდებოდით, ნამდვილად ჰქონდა მნიშვნელობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი სოციალური განვითარებისთვის; ისევე, როგორც ჩვენი „კლასკომი“, ხსენებული სხვადასხვა კომისია და სექცია, იგი გვიქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ემონაწილეობდით, თუმცა ეს „საზოგადოება“ ჩვენ ორი პარალელური ჯგუფისაგან შედგებოდა მხოლოდ. ამ ილუზიას განსაკუთრებით განგვიმტკიცებდა წერილები „მწვავე“ საკითხებზე და დიკუსია მეშვიდე „ა“ ჯგუფის გაზეთ „ჩირაღდანთან“. ერთხელ ჩვენს გაზეთში იაკობ ზედგანაქესთან შეუთანხმებლად „დავებქდეთ“ გოგია კლდიაშვილის წერილი, რომე-

ლიც ეხებოდა გოგოებისა და ბიჭების ურთიერთობას. დაუფარავად იყო მინიშნებული, რომ არის შემთხვევები მათ შორის „რომანების“ გაჩენისა. გოგია ჩვენზე სამი-ოთხი წლით უფროსი იყო და ამ საქმეებში ბევრად მეტი გავგებოდა, ვიდრე ჩვენ, რედაქციის წევრებს—გოგის, კოტეს, მე. ამ წერილმა „მკითხველთა“ შორის დიდი მღელვარება გამოიწვია. გაზეთის ჩამოხვევაც განიზრახეს, მე და კოტემ „გაეწირეთ თავი“ მის გადასარჩენად, გადავარჩინეთ კიდეც. საქმეში მასწავლებლებიც ჩაერივნენ (მათი აზრიც გაიყო), მაგრამ ჩვენ მაინც არ გავთქვით ავტორის ვინაობა (ხელს აწერდა ფსევდონიმით: „კოლხელი“... ფსევდონიმებსაც კი ვიყენებდით უკვე!).

მე რაკი წერის უინი მქონდა, გავიჩინე კიდეც ერთი გზა მისი დაკმაყოფილებისა: „მინი-გაზეთი“, რვეულის ოთხი გვერდის მოცულობისა; მას უცნაური სახელი „ილოიალე“ ერქვა. ეს სახელი, რომელსაც არავითარი ახსნა არ გააჩნდა, კოტე ჯავრიშვილის ფანტაზიის ნაყოფი იყო, ხოლო შინაარსი ნამდვილი გაზეთების ერთგვარ პაროდის წარმოადგენდა: იყო „პოლიტიკური“ ინფორმაცია, შთაგონებული მაშინდელი რეალური ამბებით, მაგრამ „გაკარიკატურებული“.

გაზეთს მე ვწერდი და ვასურათებდი ჩემი ხელით, მაგრამ ჩემსვე მერხზე მჯდომი კოტიკო ჭიჭინაძე თანამიგრძნობდა და მონაწილეობდა მის შედგენაში.

ამას გარდა, მე კიდეც სხვა თავშესაქცევი მქონდა—გამოგონებული ქვეყანა, კუნძული ვაგოგეთი („ვახტანგისა“ და „გოგის“ შემოკლებით ნაწარმოები სახელი). რომელ ზღვაში უნდა ყოფილიყო კუნძული, არ დამიდგენია. მას არც არავითარი „იდეური“ პრეტენზია არ გააჩნდა რაიმე „იდეალური“ ქვეყნისა. პირიქით, მის მიმართაც იუმორისტული დამოკიდებულება გვქონდა (ჩემმა ამხანაგებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ ამ ქვეყნის ამბავი, მათი—უმეტესად კოტე ჯავრიშვილის—კონსულტაციით ვსარგებლობდი კიდეც). ხსენებულ „ილოიალეში“ მის შესახებ ასეთი ცნობები იყო „გამოქვეყნებული“: „ვატოგია (ეს დედაქალაქის სახელი იყო). 2. IV. დღეს გამოცხადდა ახალი სახელმწიფოს დაარსება. დღესვე მოხდა ტახტზე ასვლა მეფე ისირვაჯნოკ პირველისა... შედგა პარლამენტის პირველი სხდომა. თავმჯდომარედ არჩეულია იეთიშიმ ისითათმოლ-ითელაზაბ-ითეხებ-ითეჯარას გრაფი კოჭეთისა. შემდეგ კრებამ მოისმინა კონსტიტუციის პროექტი... კონსტიტუციაში, სხვათა შორის, არის შემდეგი პუნქტები: ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს; ყველა გარდაცვალებული უნდა დაიმარხოს; კაცის მოკვლა არ იქნეს

ცნობილი სასურველად; სახლები უნდა ააშენონ ან ხისა, ან ქვისა, ან აგურისა ან ბეტონისა“.

ჩემს ძველ ქალაქებში ვიპოვე ვარდისფერ ფურცლებზე დახატული რუკა ამ კუნძულისა, რომლის ქალაქებიც რკინიგზის ხაზებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული. აღნიშნულია ქედები, ტბები, საავტომობილო გზები, მდინარეები. შეერთებული შტატებისა და ახალი ზელანდიის ანალოგიით, არის ასეთი სახელწოდებები: ახალი ბაზალეთის ტბა; ახალი ბათუმი, ახალი ტფილისი; სხვა ქალაქები „განაწილებულა“ იყო ჩემს ამხანაგებს შორის, არც ჩემი თავი მყავდა დაეწყოებული: ვატოგიას გარდა (ისევე მე და გოგი ლომთათიძე), იყო კონჯავრისი, ლომთათისი, გოგიტისი, კოჭეთი (ორივე კოჭო გოგიტისის სახელობისა) და სხვ. მხოლოდ მდინარეებს ჰქონდა გაუგებარი სახელები ალიაჩი და ბალიაჩი.



გიორგი ლომთათიძე

ახლა რომ ვიგონებ „ილოიალესა“ და „ვაგოგეთს“, მგონია, ეს მხოლოდ თავის შექცევა

არ იყო, თუმცა მაშინ კი მხოლოდ ხუმრობად მიმაჩნდა, გაცინებისა და გართობისათვის გამოგონილად. ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ესეც ემსახურებოდა ინტერესების გაღვივებასა და გაფართოებას, რაღაცას მაინც მმატებდა.

ბევრ სხვა შესანიშნავ თვისებასთან ერთად, ნამდვილი ლიტერატურული ნიჭით გამოირჩეოდნენ გოგი ლომთათიძე და კოტე ჯავრიშვილი; ჩემი ცხოვრების ორი უახლოესი თანამგზავრი, რომელთა ნააღრვევი წასვლა მე განვიცადე, როგორც დიდი პირადი უბედურება.

გოგი თავიდანვე პირველ სკოლაში სწავლობდა, მე იქ დამხვდა. უკვე უმამო იყო. ჰყავდა უმცროსი ძმა — აჩიკო, რომელიც თოთხმეტი წლისა გარდაიცვალა — 1932 წელს. დედამისი, ზინა ოქროპირი-

ძე, ცნობილი ექიმის ბესარიონ ოქროპირიძის და, ოთარაანთ ქერიეს-მაგონებდა თავისი ხასიათით. ბევრმა უბედურებამ გააყერპა. ცხოვ-რობდნენ ძნელადის ჩინში, შესასვლელი ეზოდან ჰქონდათ; ტრადი-ციული თბილისური ეზო იყო — გარშემო აივნებითა და შუშაბან-დებით.

გოგი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული ადამიან-ური თვისებებითაც და გარეგნობითაც: მშვენიერი ხუჭუჭი თმა-ჰქონდა, ლამაზი სახე, ჰკვიანური, ცოტა არ იყოს სევდიანი თვალები, უკვე ბეცი იყო და ეს ყოველთვის ამჩნევს კვალს გამომეტყვე-ლებას, მაგრამ სკოლაში სათვალე არ უტარებია.

ჩვენ სულ მალე გამოვჩნებთ საერთო ენა, ერთბაშად ვიგრძენით-სულიერი სიახლოვე და ჩვენში მეგობრობა უღრუბლოდ გრძელდე-ბოდა ნახევარი საუკუნის მანძილზე (გარდაიცვალა 1971 წლის 23-ოქტომბერს).

გოგი პოეტური ბუნების ადამიანი იყო იმთავითვე და ასეთად-დარჩა სულ ბოლომდე. ეს პოეტურობა, ცხადია, მხოლოდ მის ლექ-სებში კი არ მქლავდებოდა (თუმცა ის იყო ჩვენი გაზეთისა და ჟურნალის მთავარი მელექსე), არამედ უფრო მეტად, მის დამოკიდე-ბულებაში გარემოსთან: ბუნებასთან, ადამიანებთან, ლიტერატურ-რასთან, ჩვენი ქვეყნის წარსულთან, მქლავდებოდა სამშობლოს „განცდაში“, რომელსაც სიყვარულთან ერთად ხშირად ტკივილიც-ერეოდა. მისი ლიტერატურული ნიჭი თავს იჩენდა მის წერილებში, რომლებსაც ზაფხულობით მიგზავნიდა მაშინაც და სტუდენტობის-წლებშიაც, და კიდევ უფრო მეტად დღიურში, რომელსაც ხანდახან მაძლევდა წასაკითხად (ერთხელ მე ვაჩუქე დიდი რვეული საგანგე-ბოდ დღიურისთვის). მაოცებდა და მალელებდა მისი, ჭერ კიდევ ბავშვისა და ჭაბუკის, აზროვნებისა და განცდათა სიღრმე, ადამიანე-ბის შეცნობის ალღო, მხატვრული ხედვის უნარი. ის ბუნებით მართ-ლაც მწერალი იყო, ყოველთვის ჰქონდა შემოქმედებისადმი მისწრა-ფება, წერის მოთხოვნილება. უფრო გვიან ეს გამომქლავდა მის მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევებში არქეოლოგიური კვლევის შესახებ („წინაპართა ნაკვალევი“), დაუბეჭდავად დარჩენილ რამ-დენსამე მოთხრობაში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის შორეული წარსუ-ლისადმია მიძღვნილი; ეს მქლავდებდა, ცხადია, მის სამეცნიერო გა-მოკვლევებშიაც, რომლებიც სანიმუშო ენით არის დაწერილი.

გოგის უღრუბლო ბავშვობა არ ჰქონია. აღრევე ბევრი მწუხარე-ბა შეხვდა და მეგობრებს ხშირად შეგვინიშნავს მის თვალებზე ცრემ-

ლი. ბუნებით ღრმა განცდის ადამიანი ცხოვრებამ იმთავითვე დააფიქრა, უკვე მაშინ, როცა მისი ტოლების უმეტესობისთვის უცხო იყო დარდი და საზრუნავი. სკოლის წლებშივე შეუმუშავდა საკუთარი დამოკიდებულება ადამიანებისა და მოვლენებისადმი, საკუთარი ზნეობრივი საზომი კაცობისა, მოქალაქეობისა, პატრიოტიზმისა; მერე, ცხოვრების გზაზე, როცა ბევრი სიმწარე გამოსცადა (სამწუხაროდ, ასე აეწყო მისი ცხოვრება), ეს მისი ზნეობრივი კრიტერიუმი უფრო მკაცრი და ზოგჯერ შეურიგებელიც გახდა — იგი ველარითმენდა ბევრ ისეთ რასმე, რასაც სხვა მოითმენდა და დუმილით აუვლიდა გვერდს. მე ზოგჯერ მიკვირდა კიდევ, როგორ შეიცვალა წინანდელი გულჩვილი, დამთმობი, „რბილი“ ბავშვი...

უკვე მაშინ, სკოლაში, გოგი თავის ტოლებს არა მარტო ჩვეულებრივი ამხანაგური სიყვარულის გრძობას აღუძრავდა, არამედ პატივისცემასაც. მისდამი ყველას განსაკუთრებით სათუთი დამოკიდებულება ჰქონდა, გოგი ყველას რაღაც სხვა სიყვარულით გვიყვარდა. ის თვითონ იყო გულთბილი, სათუთი, და თითქოს ყველას გვეშინოდა ტლანქად არ შევხებოდით. ჩვენს სკოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყველასთვის, მაგრამ, შესაძლებელია, განსაკუთრებით დიდი როლი მან სწორედ გოგის ცხოვრებაში შეასრულა, იმიტომ, რომ მას ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა მაშინ სათუთი მზრუნველობა, საჭირო იყო გოგის, როგორც თავისებური პიროვნების, „შენარჩუნება“.

მიუხედავად თავისი მოკრძალებულობისა, გოგი ჩვენი ჯგუფის „საზოგადოებრივი ცხოვრების“ ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეთაგანი იყო. ძალიან კარგადაც სწავლობდა. მასწავლებლებისთვის ალბათ მოულოდნელი იყო, რომ გოგიმ გეოლოგიური ფაკულტეტი აირჩია და არა რომელიმე ჰუმანიტარული; მაგრამ საბოლოოდ მაინც ჰუმანიტარულმა მიდრეკილებამ სძლია და საქმე იმით დამთავრდა, რომ იგი არქეოლოგიის ასპირანტურაში შევიდა მაშინდელ ენიმკში (ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის დაარსებამდე). ეს „მოქცევა“ კანონზომიერი იყო: გოგის უყვარდა საქართველოს ბუნება, ბევრი კუთხე ჰქონდა შემოვლილი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, გეოლოგიურ ექსპედიციებში; მაგრამ მაინც უფრო იზიდავდა თვით ხალხი, მისი დღევანდელი დღეც, მომავალიცა და წარსულიც... და არქეოლოგიური კვლევის დროს (მისი საგანი ანტიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგია იყო), განათხარ

ნივთებსა და ჩონჩხებს იქით ის ეძებდა და ხედავდა იმ ადამიანებს, იმ საზოგადოებას, რომელთაც ეს ნივთები შექმნეს. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ გოგი იმავე ინსტიტუტში დარჩა სამუშაოდ (ინსტიტუტს უკვე „ისტორიისა“ ეწოდებოდა) და სიცოცხლის ბოლომდე არქეოლოგიის განყოფილების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მუშაკი იყო. დიდხანს ასრულებდა სწავლული მდივნის მოვალეობას, შემდეგ შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების გამგისას, იქაც ისევე უყვარდათ, როგორც სკოლაში. გამორჩევით უყვარდა იგი სიმონ ჯანაშიას, რომლისგანაც გოგის ბევრი სიკეთე ახსოვდა...

მე დამრჩა მისი წერილები, ჩვენი სიკაბუჯის დროინდელი. ერთი 1930 წლის მაისში გამომიგზავნა ლიბანიდან, როდესაც მე საექსტერნო გამოცდებისათვის ვემზადებოდი (ამაზე ქვემოთ). შიგ არის ასეთი დამახასიათებელი წინადადება: „ერთი მხრივ შეგნატრი... მაგ „აგრე მორჩომას“, მაგრამ მეორე მხრივ, გამოტენით გეტყვი, რომ კიდევაც რომ ჩამებარებინა შენსავით, ძალიან დამიმძიმდებოდა უკანასკნელი წლის ამოშლა ამხანაგებთან საერთო მაჯისცემით აღსავსე ცხოვრებიდან. დედაჩემი ამას კონსერვატორობად ნათლავს, მაგრამ რამდენად მართალია, ვინ იცის?“

მეორე წერილი, რომელსაც მე გაკვირვების გარეშე ახლაც ვერ ვკითხულობ, მოწერილია რაჭის სოფელ ბოყვიდან, სადაც გოგი, უკვე სტუდენტი-გეოლოგი, ექსპედიციაში იყო ალექსანდრე ჯანელიძესა და ვანო კახაძესთან ერთად. გაკვირვების გარეშე-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ 20 წლის ყმაწვილი უკვე საესეებით ჩამოყალიბებულია, როგორც პიროვნება, როგორც მოქალაქე... წერილი ძალიან ნათლად ავლენს გოგის ადამიანურ თვისებებს — ფართო გონებრივ პორიზონტს, რომანტიკულ პოეტურობასა და პატრიოტიზმს, ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულს, ავლენს მახვილი მხატვრული ხედვის უნარსაც:

„სოფელი ბოყვა. ზემო რაჭა. 25 აგვისტო, 1934.

ძმად ვახტანგ,

...ჩვენმა ექსპედიციამ მუშაობა 1. VIII-დან დაიწყო, ჯერ კიდევ ნიკორწმინდაშივე. იქ ოთხ დღეს დავყავით... აქედან ორი დღე წვიმიანი შეგვესწრო, ორი კი დილით საღამომდე ხეტიალში გავატარეთ. აბა გეოლოგიით და ამონიტებით რა თავი შეგაწყინო და ისტორიით და არქიტექტურით კი, მე მგონი, არ მოიწყენ. შენ ალბათ გაგეგონება ქება-დიდება ნიკორწმინდის ტაძრისა, მეც გაგეგონა, მაგრამ

სანამ არ ვნახე, მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენით ვკმაყოფილდებოდი... მე ჯერ ცოტა მინახავს, მაგრამ ისეთი მდიდარი ჩუქურთმები, როგორთაც ნიკორწმინდაა შემკული, არა მგონია სადმე მენახოს... გაუმეორებელი სიუხვითაა ახუნძლული მისი ოთხივე კედელი და გუმბათი... შენ თუ ქართული არქიტექტურა გიყვარს, ნიკორწმინდა უნდა ინახულო აუცილებლად, და თუ საქართველო გიყვარს — რაჟა. ხუმრობა იქით იყოს და უნდა გამოგიტყდე, რომ ჩემი ქართველობის უძლიერეს inspirator-ად რაჟა მიმაჩნია.

ჩემ შესახებ მრავალი რისამე მოწერა შეიძლება, მაგრამ ჩემი აქაური ცხოვრება გეოლოგიური მარშრუტებზე, კრილებითა და რაკის დაკვირვება-შესუნთქვითაა სავსე. ისევ ამ უკანასკნელზე გეტყვი... ასეთი ჭეშმარიტი, ხალასი, გაუფუჭებელი ქართველები, როგორიც რაჟველები არიან, არსად მეგულება... შენ ვერ წარმოიდგენ, პირდაპირ, შემოქმედებით სიხარულსა ვგრძნობ ყოველი ახალი ნამდვილი ქართული ტიპის დანახვაზე, შემონახული ქართული სიტყვის გაგონებაზე. ძალიან მთლიანი, საზრიანი, შრომისმოყვარე მგრძობიერი ხალხია. უდიდესი პრაქტიკული უნარიანობის, ფხიანობისა და უადრესად ქართული, რამდენადმე უადრდელი კეთილშობილების, ზრდილობიანობის სინთეზი უნდა წარმოიდგინო და გაიგებ, რატომ მომწონს ეს გადამეწყრილ-გადმომეწყრილი კუთხე. ვავიგონებ რაიმე უცნობ სიტყვას, გამოთქმას, მოქცევას — აშკარად ეტყობა, რომ საშუალო და უფრო ძველი საუკუნეების ქართული ენის მადლი ტრიალებს შიგ — და მაშინვე უბის წიგნაკისკენ გავრბივარ, ასე რომ მოლაპარაკეს ცოტა არ იყოს ვაკრთობ კიდევაც. დაინახავ თმა-ქოჩორა, აჩიკოს ზნის ბიჭუნას, მეტ წილად ფხიზელი, მადლიანად ნაკვეთი სახის მქონეს, შევაჩერებდი, გვარს გამოვკითხავ, რითაც შემიძლია (ფარულად, რა თქმა უნდა), ვავრძნობინებ ჩემში გაღვიძებულ ნათესაურობას, მხარზე ხელს დავადებ, გამოველაპარაკები და მავიწყდება ის იშვიათი სიხარული, რომელსაც თბილისში ნახული ნამდვილი ქართველი ბავშვი, ჯანმრთელი და ხალისიანი, განმაცდევინებს ხოლმე. აქ ეს ყოველ ნაბიჯზეა. რამდენ სოფელში გამივლია, რამდენგან შევჩერებულვარ და ჯერ წაჩხუბებული, ურთიერთის მლანძღავი ხალხი არ მინახავს... თითქოს ერთი დიდი ქართული ოჯახი იყოს და ყველანი ბიძაშვილებად ხვდებოდნენ ერთმანეთს. სოფელში შეხვალ — გესიამოვნება, იმდენ შნოიან სახლს დაინახავ. ხელოსნობა ხომ რაჟველების საქმეა... ამ ბოცვაში უკვე მეათე დღეა, რაც გადმოვვდივით და ისეთ სახლში ვცხოვრობთ, რომ

შეარცხენოს ჩემი და კინაღამ შენი სახლიც კი... საუკეთესო ოთახი ჩვენ გვაქვს დათმობილი. მაღალი კარ-ფანჯარა აქვს, შუაზე დიდი ფაიფურის ლუსტრა ჰკიდია (შიგ კი ნავთის ლამპა)... ტახტზე და კედელზე ერთი დიდი პეკინური ხალიჩა, გვერდებზე, აქეთ-იქით, მორჩილი ორი, ხანჯლები, გიტარები, უშტი და უშტარი ფოტოგრაფიები და ორი დიდი, ჩარჩოიანი ფერადი რეპროდუქცია მილეს სურათებისა „ანეელიუს“ და „თავთავების კრეფა“... მაგიდაზე ალაგია „Маленький всемирный историк“, „ნაკადულის“ დამატება ერთი წიგნი, კანშემოცლილი „ბუნების კარი“, „დედა ენა“ და „ქართველი მწერლები“ („ვჯავს „ბუნების მგოსნებით“ რომ იწყება). ჰო, რა ხარბად გადავიკითხეთ ყოველმა კაცმა „ბუნების კარი“! რამდენი სიკარგვა შიგ ჩაღვრილი, რა საქმეს სჩადიოდა თურმე გოგებაშვილი! მერე „ბუნების მგოსნებს“ რომ დავხედე, ვაჟა მომენატრა გაგიჟებით და ახლა იმას ჩავუჯექ, ხომ გახსოვს, იქ ოთხი თუ ხუთი მოთხრობაა. რა შედეგებია! განსაკუთრებით „შვლის ნუკრი“, „ღამე მთაში“ და „ჩხიკვთა ქორწილი“. ეს უკანასკნელი ხმამაღლა წავიკითხე და სულ მალე დავიძყრე აუდიტორია. „ძია“ (ალ. ჯანელიძე — ვ. ბ.) ისეთი სიამოვნებით მისმენდა, რომ გული გამინათლდა. ნაცნობი ადგილები რომ მოახლოვდებოდა, წინასწარ ეცინებოდა და საცილისგან ცრემლმორეული თვალები გვერდით მიჰქონდა. გახსოვს, ორი თუ სამი ფრაზით აღწერს არწივის დაბლა დაშვებას და მერე წყნარად, შეპარვით რომ ასკვნის: „ეს სურათი ცის მოგლეჯას ჰგავდა“. მეტი არაფერი.

ჩვენი სახლის პატრონი ერთ იმ მრავალ გამრჯე რაჰველთაგანია, რომელთაც მთელი რუსეთის იმპერია აქვთ მოვლილი. არც ერთი ძარღვი არ უტოკავთ უქნარი და რომელთაც ძვალ-რბილში აქვთ გამჭდარი სამშობლოს ინსტინქტური მიწიერი სიყვარული.

ერთი სიტყვით, შარშან ხომ და წელს სულ მთლად გადამაკეთა კაცი ამ რაჰამ, დამტენა-გამქლენთა. ორი კვირაც და — უკვე თბილისისკენ... მოვდივარ, მომიხარია, მარჯვენა ხელის სამ თითს მიუხარია — ქაღალდისკენ, კალმისკენ. ზაფხული კი, ბარემ, გეოლოგიას მოხმარდეს, რომელიც „ძიასთან“ ერთად სულ უფრო და უფრო მომწონს და გულს მივარდება...“

გეოლოგიას გოგიმ, როგორც ვთქვი, ადრევე დაანება თავი, მაგრამ მაინც მოასწრო კოლეგებთან ერთად შეედგინა გეოლოგიური ტერმინოლოგია და რამდენიმე სახელმძღვანელოც ეთარგმნა. მისი, როგორც არქეოლოგის, ღვაწლი ფართოდ არის ცნობილი. ოცდა-

თიანი-ორმოციანი წლების მიჯნაზე, ბრწყინვალე აღმოჩენების ხანაში (მცხეთა-არმაზი!) სულ ახალგაზრდა გოგი ლომთათიძე ერთი ყველაზე აქტიური „მთხრელთაგანი“ იყო, მისივე თანავტორობით გამოიცა I ტომი მცხეთა-არმაზის გათხრებისადმი მიძღვნილი დიდი შრომისა. მის სახელს უკავშირდება თბილისისა და რუსთავის არქეოლოგიური კვლევა, გამოკვლევები ქვემო ქართლში, უჯარმაში, ურბნისში, ჭავჭავთის ახალქალაქში, კვეტრაში, ნადარბაზევში (თეთრ წყაროსთან)... მან მოასწრო დაეწერა განმაზოგადებელი ნაშრომი აღრეფეოდალური ხანის საქართველოს კულტურისა და ყოფის შესახებ, დიდი მღელვარებით გამსჭვალული ნარკვევები ივანე ჭავჭავაძისა და სიმონ ჭანაშიაზე, ხსენებული პოპულარული წიგნი „წინაპართა ნაკვალევზე“...

და მაინც, მე მგონია, გოგი სხვებზე უფრო მეტად ზრუნავდა, სხვებს მეტ დროსა და ძალას ახარჯავდა, ვიდრე თავის თავს. გადაყოლილი იყო თავის თანამშრომლებზე, ყოველი მათი ნაბიჯი და სტრიქონი მისი ზრუნვის საგანს შეადგენდა. სრულიად უმაგალითოა ის ამავგი, რომელიც მან ექვთიმე თაყაიშვილს დასდო. გადაუქარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ მან შეგვინარჩუნა თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა — მისი ბოლოდროინდელი ნაშრომები და მემუარები. გოგიმ გადასდო საკუთარი საქმეები და რამდენიმე წლის მანძილზე მდივნობას უწევდა უკვე ღრმად მოხუცებულსა და დაუძღურებულ მეცნიერს, რაკი მიაჩნდა, რომ ამას მოითხოვდა ჩვენი ეროვნული კულტურის ინტერესები (მას დიდად ეხმარებოდა ამ საქმეში მისი მეუღლე და ერთგული მეგობარი, ეთნოგრაფი ნინო ლოლობერიძე). ბევრს შეუძლია ასე უანგაროდ დათმოს თავისი პირადი ინტერესები?

ასევე დასაფასებელი იყო მისი მოღვაწეობის კიდევ ერთი მხარე, აგრეთვე „გამოუჩინელი“ და უანგარო. გოგი მწვავედ და მღელვარედ განიცდიდა ყველაფერს, რაც ქართული ენის სიწმინდეს შეეხებოდა... სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენი პრესა ხშირად ცოდავდა (და ახლაც ცოდავს.) გოგის არაფერი არ გამოეპარებოდა და თავის შენიშვნებს — ყოველთვის პროფესიულად დასაბუთებულთ — აწვდიდა გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, არა გამოსაქვეყნებლად, არამედ გასათვალისწინებლად.

ბოლო წლებში ავადმყოფობდა. დიდხანს და მძიმედ. გარეგნულადაც შეიცვალა, სულიერი სიმშვიდეც დაერღვა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ველარ მუშაობდა ინტენსიურად. მოტიქრებული და

მომზადებული ბევრი რამ ჰქონდა და, საუბედუროდ, ბევრი განუხორციელებელი ოცნება გაიყოლა თან...

გოგი რომ გარდაიცვალა, მე თბილისში არ ვიყავი, მაგრამ გასვენებას ჩამოვუსწარი. შინაურებმა ვერ გაბედეს, რომ ჩემთვის ეს ამბავი ეთქვათ... თვალტრემლიანმა კოტე ჯავრიშვილმა შემატყობინა... ორმოცდაჩვიდმეტი წლისა იყო. რამდენი სიკეთე შექმლო კიდეც მოეტანა... დიდუბის პანთეონში დავასაფლავეთ.

როცა გოგისა და კოტეზე ვფიქრობ, ძალაუნებურად ვფიქრობ იმასაც, თუ როგორი უსაზღვროა ადამიანის ინდივიდუალობათა მრავალფეროვნება, რამდენნაირი „ვარიანტი“ შეიძლება არსებობდეს კარგი ადამიანისა. ისინი მართლაც დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან და, ამავე დროს, ბევრი რამ ჰქონდათ საერთო ინტერესებისა და ზნეობრივი დონის მხრივ.

კოტე შესახებ ვაღიარებ რუსს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქართველს — დედამისს ვერას, დედით ქართველს, მამა ჰყავდა რუსი, ბელიაევი, გორის სემინარიის რექტორი (?). ჩვენზე უფრო „ღია ფერი“ გადაჰკრავდა, ჭროლა თვალები ჰქონდა. მე რომ პირველ სკოლაში გადამიყვანეს, ის იქ დამხვდა, ისევე, როგორც გოგი. მამამისი წინათ სამხედრო იყო, შორეულ კუთხეებში უხდებოდა სამსახური და კოტე სადღაც გადაკარგულში დაიბადა, თითქმის ჩინეთის საზღვართან. ამიტომ მას ХОДЯ შეარქვეს ბავშვობაში (ვინ — არ ვიცი) — ასე ეძახდნენ რუსები ჩინელებს. მაშინ, როცა მე კოტე გავიცანი, მისი მშობლები დაშორებულნი იყვნენ. კოტე დედასთან ცხოვრობდა გრიბოედოვის ქუჩაზე, სამხატვრო აკადემიის შენობაში. ერთი დიდი ოთახი ჰქონდათ, კარადებით გადატიხრული, ძველი, უბრალო ავეჯით გამართული და წიგნებით ავსებული. მათთანვე ცხოვრობდა კოტეს დედის მამინაცვალი კონსტანტინე ვალერიანის ძე გორბოვსკი, კაცი, რომელმაც დიდი (იქნებ გადამწყვეტიც) როლი ითამაშა კოტეს, როგორც ინტელიგენტისა და ფართოდ განათლებული ადამიანის, ჩამოყალიბებაში. როცა მე გავიცანი, უყვე ხნიერი კაცი იყო, „რევოლუციამდელი“ გარეგნობის მქონე — ორად გაყოფილი წვერით, ორმაგი სათვალეებით. აღარ მახსოვს, მგონი იურისტი იყო განათლებით, მაგრამ „ჩვენს დროს“ უყვე ჩამოცილებული იყო აქტიურ ცხოვრებას, იშვიათად თუ წავიდოდა ბაზარში, დანარჩენი დრო შინ იჯდა სასადილო მაგიდასთან, სვამდა ჩაის ან წვენს, და კითხულობდა ფრანგულ წიგნებს... ხანდახან მეტყუოდა ხოლმე.

— А не хотите-ли вы послушать эту вещь; Интересная

штучка! — და იწყებდა გატაცებით კითხვას. ზოგჯერ ეს ვოლტერისა და მისი რომელიღაც მეგობრის მიწერ-მოწერა იყო, ზოგჯერ რომელიმე ფრანგი პოეტის ლექსები. წარმომიდგენია, რამდენი რამ შეეძლო ეამბნა კოტესთვის! კოტეს განსაკუთრებით უყვარდა Дядя Котя, ისინი ნამდვილი მეგობრები იყვნენ, თავისი ბუნებითაც ჰგავდნენ ერთმანეთს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებისადმი კეთილგანწყობილებით, იუმორის გრძნობით, დიდი ცნობისმოყვარეობით. გორბოვსკი 1932 წლის მარტში გარდაიცვალა. დიდხანს კვდებოდა — ლიმფომა სჭირდა. რამდენიმე კაცმა მივაცილეთ სასაფლაოდ. კოტემ მძიმედ განიცადა მისი სიკვდილი და სულ ბოლომდე სათუთად ინახავდა მის ხსოვნას. ბევრად უფრო გვიან, ორმოციან წლებში, როცა კოტე საშინელ განსაცდელში იყო ჩავარდნილი და სასოწარკვეთილებამდე მისული, იგი თურმე გადაარჩინა ბაბუამისმა: სიზმარში გამოეცხადა და რამდენიმე სააღერსო სიტყვა უთხრა. „გამეღვიძა და დიდხანს ვერ გავერკვიე, რატომ ვარ ასეთ დამშვიდებულ და უფიქრალ გუნებაზე, თითქოს რაღაც სიჩუმემ და უდრტივინეულმა მშვიდობამ მოიცვა ჩემი არსებაო“, მწერდა კოტე. მისთვის დამახასიათებელი იყო „ღრმად შენახული“ ემოციები, რომელთა გამომჟღავნებას ყოველთვის ერიდებოდა — გარდა ბოლო წლებისა — სანტიმენტალობისა ეშინოდა, არ ეხერხებოდა სააღერსო და საქებარი სიტყვების თქმა, როცა გულში ეს სიტყვები ჰქონდა კიდევ. ბავშვობაშიაც და შემდეგაც, ცხოვრების მანძილზე, კოტეს ბევრი რამ ჰქონდა შესაწუხებელიც, საზრუნავიც, სადარდებელიც, ბევრი რამ გადაიტანა უსამართლოდ, დაუმსახურებლად. მაგრამ მუდამ ისეთ იერს ინარჩუნებდა, ისე შეგხვდებოდა, თითქოს ყველაზე უდარდელი კაცი იყო ქვეყანაზე. არ დაიზარებდა ხმაშალა მოსალმებას, გახუმრებას, გამოსაუბრებას. მისი სტუმრობა დიდი სიხარული იყო მთელი ჩემი ოჯახისთვის, ყველასთვის, ვისთანაც კი მივიდოდა — იმდენი სიხალისე შემოპქონდა, იმდენი საინტერესო რამ იცოდა და ისე ცოცხლად, კოლორიტულად ყვებოდა. ძალიან ადვილად ამყარებდა კონტაქტებს. ზოგჯერ სიცილს ვერ შევიკავებდი ხოლმე: გავაცნობდი ვისმე, ჩემს ძველ ნაცნობს, კოლეგას, რომელსაც მე „თქვენობით“ მივმართავდი, ნახევარი საათიც არ იყო გასული და ისინი უკვე „შენობით“ ლაპარაკობდნენ...

ჩვენს ჯგუფში მასავით აქტიური, ცოცხალი, მოუსვენარი არც არავინ გვყავდა. მისი სტიქია იყო რაიმე საქმის ორგანიზაცია: სარედაქციო კოლეგიის მდივანი იყო თითქმის უცვლელად — ქალაქს

ყიდულობდა, მასალებს აგროვებდა, ოქმებს წერდა, გაზეთის გაფორმებას ხელმძღვანელობდა... კითხულობდა, თარგმნიდა, გვიამბობდა... ერთხანს მარჯანიშვილის თეატრშიც მსახურობდა ლიტერატურულ ნაწილში. ადრევე დაიწყო გაზეთებში თანამშრომლობა რეპორტიორად, წერილებსაც წერდა. გეოლოგიურ ტერმინოლოგიაზე მუშაობდა გოგისთან ერთად, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ალბინისტი გახდა და ექსპედიციებს ხელმძღვანელობდა. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მისი დრო უმეტესად სირბილში გადიოდა, იმიტომ, რომ ყველგან და ყველასთან ასწრებდა მისვლას, ყველას ამბის შეტყობას. მესამეკურსელები ვიყავით, როცა წამოიწყო ახალი პროექტი — სურდა ჩამოეყალიბებინა სკოლის ძველი ამხანაგების კორპორაცია თუ ასოციაცია, რომ ძველი მეგობრობა, დამყარებული სკოლის წლებში, არ დარღვეულიყო. წელიწადში ჩამდენიმეჯერ უნდა შეგვკრებილიყავით, იქნებ ჩვენი ძალებით სალიტერატურო საღამოები ან კონცერტებიც კი მოგვეწყო. მისი პროექტი, რამდენადმე სახემეცვლილი, განვანორციელეთ კიდევ, დავაარსეთ „ხელოვნებისა და მეცნიერების წრე“ — „ხმწ“ — ჩვენი შინაური აკადემია სულ შვიდი კაცის შემადგენლობით, რომელმაც რამდენიმე წელიწადს იარსება და უეჭველი სარგებლობა მოგვიტანა (კოტეს თავდაპირველი პროექტით უფრო მრავალრიცხოვანი და ნაკლებად „აკადემიური“ ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო).

კოტეს არ შეეძლო ადამიანებთან აქტიური კონტაქტების გარეშე არსებობა. უსაზღვროდ უყვარდა მეგობრები... საუბრები, ურთიერთობა თითქოს სულ ხუმრობის ტონით მიმდინარეობდა, მუდამ მოღიმარი სახე და საოცრად კეთილი, თითქოს ცოტა ეშმაკური, ციმციმა თვალები ჰქონდა... იგრძნობოდა, რომ თვით საუბრის, ადამიანური ურთიერთობის პროცესი მას ბედნიერების განცდას ანიჭებდა... თვითონ საუბრის ნამდვილმა ოსტატმა, სხვისი მოსმენაც გულისყურით იცოდა, სხვის ხუმრობაზე სიცილიც და გულიანი, ბავშვური გამხიარულებაც. საუბარში უყვარდა პარადოქსული გამოთქმები. იტაცებდა „მოდერნული“ დასავლური და რუსული მწერლობა. ჩვენზე ადრე წაიკითხა და ჩვენც გვირჩია წაგვეკითხა ჟიულ რომენის „დონოგოო ტონკა.“

ბავშვობაში ექსცენტრულობა არ აკლდა. ჩვენ ახლო ვცხოვრობდით ერთმანეთთან, თითქმის დღე არ გავიდოდა, ჩემთან რომ არ ამოსულიყო. მაგრამ ზოგჯერ კიბით კი არ ამოვიდოდა, არამედ ქუჩის აივნიდან ამოდრომა მოეპრიანებოდა (რატომღაც სულ თვალწინ მიდ-

გას სურათი — კოტე, გოგი, გოგია კლდიაშვილი და მე ჩვენი ეზოს თუთის ხეზე რომ ვიყავით ამძვრალნი). ზაფხულობით დიდი მიწერ-მოწერა გვქონდა გაჩაღებული. წერილებშიაც, ისევე როგორც საუბარში, არ ერიდებოდა ჟარგონს, პაროდულ წინადადებებს, რომლებიც სრულიად არ უშლიდა არც ლირიკულსა და პოეტურ პასაჟებს და არც საქმიან ინფორმაციას თუნდაც ლიტერატურული და თეატრალური ცხოვრების შესახებ, ზოგჯერ ნახატების დართვითაც კი („მომწერე, ჯო! გვოცნი არაბერძნულ ცხვირის ზემოთ“... ან: „მოიწერეთ, მოიწერეთ, მოიწერეთ... თქვენი ამხანაგი, აღნაკაშნიკი და აწ საცხა მთებში გადაკარგული, თქვენგან მოძულებული, ქვეყანას მოშორებული კ. ჭავჭავიძე“). აი ერთი წერილის ფრაგმენტი: „ტფილისის მატრიანე: გამოვიდა „სახელგამის“ გამოცემა — გ. ქუჩიშვილი და ვ. რუხაძე. პოემები; ერკმან-შატრიანი — გლეხი კაცის ისტორია; ბალზაკი. შაგრენის ტყავი (გ. ქიქოძისა); „მარულა“ — ლექსები გვეტაძისა (დაბეჭდილია დ. შევარდნაძის შრიფტით); „მნათობი“ № 4, „პრ. მწერლობა“ № 3; მალაზიებში თითქმის გამოილია „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, კორშის გასტროლები დამთავრდა, აგრეთვე უტიოსოვის; პ. ინგოროყვამ აღმოაჩინა ვანის ტბის წარწერების წაკითხვის გასაღები, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მოხსენება რამდენიმეჯერ დაინიშნა, მაგრამ გადადებულ იქნა იმდენჯერვე. ჯერ არ ყოფილა. მარჯანიშვილთან განუწყვეტელი პურია, ახმეტელმა გაათავა „განგაში“ და შეუდგა კვლავ „ანზორს“. 18-ში იყო პრემიერა „სამნი“; „დროშამ“ დალია სული. მე მომივიდა **ქმ**, № 3“ (პური“, „განგაში“ — პიესების სახელებია, **ქმ** — რუსული „ლიტერატურული ენციკლოპედია“). სხვა წერილში (ეს დამახასიათებელი იყო) ჩვენი ამხანაგების საზაფხულო „ლოკალიზაციის“ ამბავს მატყობინებდა. ერთი ბარათი კი, თელავიდან მოწერილი, სადაც ის და იური ვაჩნაძე ერთად იყვნენ (იურის იუმორის განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა იმთავითვე), ასე თავდებოდა: „მე და იურამ ფსევდონიმები მოვიგონეთ: იური — უილიამ შექსპირი; მე — რუსთაველი“.

ესეც მაგონდება: ერთმა ჩვენმა ჯგუფელმა ამხანაგმა კოტე ცალკე გაიხმო და საიდუმლოდ გაანდო: შენთან მეგობრობა მინდა და, მოდი, ვიმეგობროთო.

კოტე რალა კოტე იქნებოდა, რომ ასეთი პასუხი არ გაეცა:

— თანახმა ვარ ვიმეგობროთ, ოღონდ ახლა არ მცალია და ხვალ თორმეტი საათიდან დავიწყოთო.

უნივერსტიტეტში კოტე გეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა.

გეოლოგიით მართლაც გატაცებული იყო. უყვარდა თავისი ფაქულტეტი და პედაგოგები — ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალპრელიძე (უკვე კოტეს გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა თვალპრელიძის ბიობიბლიოგრაფია, რომლის შესავალი წერილიც კოტეს და მისი ვაჟის ვასილის დაწერილია), ვანო კახაძე... დაწერილებით მიაშობდა ზოლმე უნივერსიტეტელი ამხანაგების ამბებს, ყოველი მათგანის მახვილი დახასიათებით. პრაქტიკულად, როგორც გეოლოგს, მას, რამდენადაც ვიცი, ბევრი არ უმუშავნია, მაგრამ ქართულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას კი ნამდვილი ამაგი დასდო: ის იყო ჩვენში ერთ-ერთი ბიონერი სპელეოლოგიისა, მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე და თავდადებული მზრუნველი და რედაქტორი კრებულების სერიისა „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“ (რამდენიმეჯერ უცხოეთშიაც იმოგზაურა სპელეოლოგიურ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად); დიდი სარგებლობა მოუტანა ქართულ ენციკლოპედიას სწორედ თავისი ენციკლოპედიური განათლების წყალობით — დიდხანს იყო დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციის გამგე, შემდეგ — კვლავ აკადემიაში ამავე სახელწოდების განყოფილების სწავლული მდივანი, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

თვითონ კოტეს საკუთარ თავზე სიტყვას ვერ წამოაცდენინებდი. მხოლოდ სხვებისგან გავიგე მის სიცოცხლეშივე და გარდაცვალების შემდეგ, რამდენი სასიკეთო რამ გააკეთა მან ქართული ალპინიზმისთვის, არა მარტო რთული მწვერვალების დაპყრობით, არამედ საორგანიზაციო საქმიანობითაც, მასობრივი ექსპედიციების მოწყობით. ომის წლებში მობილიზებული იყო და ამიერკავკასიის ჯარების შტაბში ხელმძღვანელობდა ჯარისკაცთა „სამთო“ მომზადებას. ასევე დიდი იყო მისი წვლილი ტურიზმის განვითარებაშიაც (თბილისის ტურიზმის საქალაქო კლუბის თავმჯდომარე და ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდენტის წევრი იყო). ყოველი ალპინისტური მოგზაურობის შემდეგ აუცილებლად მოვიდოდა ჩემთან, გარუჯული და სახეზე კანაქერცლილი, აღზნებული მიაშობდა ლაშქრობის ამბავს, როგორც ყოველთვის, აქაც პოულობდა სასაცილოსა და კურიოზულ რასმე (კურიოზების დიდი მოყვარული იყო!). ერთხელ ალპინისტების კლუბისთვის (მაშინ ჯერ კიდევ ძველი მშენობა იყო, ხისა, კიროვის პარკში) რამდენიმე პორტრეტი დამახატინა, მაგრამ აღარ მახსოვს, ვისი.

ჩემ ახლო მეგობართაგან კოტე ერთადერთი იყო, ვინც მწერლობას არ უღალატა (ზემოთ აღვნიშნე, რომ მწერალი გამოვიდა აგრეთვე შიო მღვიმელის ქალიშვილი ქეთო ქუჩუაშვილი). მშვენიერი ჟურნალისტი იყო (ნათელი, დახვეწილი სტილით წერდა ქართულადაც და რუსულადაც — რუსული ბავშვობიდანვე მშობლიურ ენასავით იცოდა), ბევრს თარგმნიდა: რუსულიდან რამდენიმე პიესა თარგმნა (გორკის „ვასა ჟელეზნოვა“, შკვარცინისა და სხვათა პიესები), ფრანგულიდან კი ბალზაკის „ამაა გორიო“, კამიუს „შავი ქირა“; დიდი ამაგი დასდო ჟიულ ვერნის ქართული მრავალტომეულის მომზადებას. როგორი სიყვარულითა და გულითადობით არის გამთბარი მისი ნარკვევები „მთები და ადამიანები“, „მე თბილისელი ვარ“! თბილისი მისი სრულიად განსაკუთრებული სიყვარულის საგანი იყო.

ბევრი რამ გააკეთა, ბევრი სიკეთე დათესა — რომელ წრეშიაც არ უნდა ყოფილიყო, ყველას უზიარებდა თავისი გულის სიტბოს... მაგრამ გულდასაწყვეტი ის არის, რომ ვერ მოასწრო განეოტოციელებინა ის, რაც თავისი ცხოვრების მთავარ საქმედ მიიჩნდა: დაეწერა მეცნიერულ-პოპულარული წიგნები ბუნებისმეტყველების დარგში — ის მართლაც ამისთვის იყო დაბადებული: აგროვებდა მასალებს თვალპრელიძის შესახებ — ბელეტრიზებული ბიოგრაფიის დაწერას ფიქრობდა. ჰქონდა სურვილი დაეწერა წიგნი ქვის შესახებ — მას მუდამ აქეზებდა გამოჩენილი რუსი გეოლოგისა და მინერალოგის ფერსმანის სამეცნიერო პოპულარული წიგნები, კერძოდ, Воспоминания о камне. რა თქმა უნდა, კოტესავით ვერაინ ვერ დაწერდა ქართულად ამგვარ წიგნებს... ვერ მოიცალა — იმ დროისთვის სდებდა, როცა პენსიაზე გავალო. ბევრი უმადური და უსახელო საქმისათვის უხდებოდა ხელის მოკლება, მაგალითად, პწკარედების კეთება სხვებისთვის, ზოგჯერ უსასყიდლოდაც, მხოლოდ ხათრით! რა თქმა უნდა, მდიდარი ბუნებისა და ძლიერი სულის ადამიანი იყო. მძიმე წლები გამოიარა (უსაფუძვლო ბრალდების გამო), მაგრამ ადამიანთა მიმართ არავეითარი გაბოროტება არ ჰქონია, ჰქონდა მხოლოდ დაუცხრომელი ინტერესი მათდამი, ყოველი პიროვნებისადმი, უსახლგრო, მღელვარე ინტერესი საზოგადო ეროვნული საქმისათვის... არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ ღელავდა. როცა 1977 წელს თბილისში ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმისთვის ვემზადებოდით — აინტერესებდა ყოველი წვრილმანი, სასარგებლო პრაქტიკულ რჩევას გვაძლევდა... და როგორ ზეიმობდა თვით სიმპოზიუმის დღეებში. იმის შემდეგ თვენახევარიც კი არ უცოცხლია. მუდამ სხვებისათვის ზრუნავდა, საყუ-

თარი სახელისა და პატივისთვის არასოდეს უფიქრია, თან არ გაჰყოლია ტიტულები და ჯილდოები, მხოლოდ სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა...

გარდაიცვალა 1977 წლის 12 ივლისს. რვა დღით ადრე სამოცდასამისა გახდა. ალპინისტა კლუბიდან გავასვენეთ საბურთალოს პანთეონში... მის მეგობრებს, მწვავე გულისტკივილთან ერთად, რომელიც დღემდის არ განელებულა, ისეთი გრძნობა გეჭონდა, რომ მზრუნველი დავკარგეთ, მზრუნველი, რომელიც ამ დაძაბულსა და დატვირთულ ცხოვრებაში თავს გვიყრიდა, გვაკავშირებდა, არ გვაკარგვინებდა ერთმანეთს...

ხომ არიან ისეთი მოღვაწენი სხვადასხვა დარგში, რომლებიც კვალს ტოვებენ თავისი შრომით, ნაწერებით, მაგრამ როგორც პიროვნებები, თავისი ადამიანური თვისებებით თავს ვერ მოგანატრებენ ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ... კოტე კი ისეთი კაცი იყო, რომელიც სწორედ საზოგადოებას, მეგობრებსა და კოლეგებს დააკლდა, კოტე, როგორც პიროვნება, უფრო დიდი იყო, ვიდრე ის, რაც მან დაწერილის სახით დატოვა.

ჩვენ ვმეგობრობდით სხვა ჯგუფების მოსწავლეებთანაც, უპირველესად, ცხადია, ჩვენი „განაყოფი“ „ა“ ჯგუფის ბავშვებთან. ჩვენზე უფროსთაგან მე უკვე სკოლის წლებიდან ახლო მეგობრობა მაკავშირებდა გივი უორდანიასთან. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ მუსიკას ერთ მასწავლებელთან ვსწავლობდით, თეორიულ საგნებზედაც ერთად დავდიოდით და გაკვეთილების შემდეგ დიდხანს ვერ ვცილდებოდით ერთმანეთს — ქუჩაში ვიდექით სასამართლოს შენობის წინ (გივი იქვე ცხოვრობდა) და გაუთავებლად ვსაუბრობდით. უმეტესად თეატრზე, ჩვენს მასწავლებლებზე, ლიტერატურაზე. ხშირად დავდიოდით ერთმანეთთან და გულმოდგინედ (მაგრამ ცუდად) ვთამაშობდით ჭადრაკს. მიყვარდა იმათთან სიარული, უფროსებისაგან გულითად სითბოს ვგრძნობდი. გივის მამა, გიორგი, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის თედო უორდანიას ვაჟი, თვითონაც საზოგადო მოღვაწე იყო, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე, ზოლო დედა — ქუმსიშვილის ქალი, გამოჩენულად მომხიბვლელი მაღალი დონის ინტელიგენტი; ბებია, დედის დედა, უკვე ფრიალ ზანდაზმული, ისეთი ლამაზი იყო, ისეთი სათნო სახე ჰქონდა, რომ სურვილი მეზადებოდა დიდხანს მეცქირა მისთვის. ეს ნამდვილ სიამოვნებას მგვრიდა. გივიმ ჰაპის გზას არ უღალატა — ახლა ჩვენი უნივერ-

სიტეტის პროფესორია, ცნობილი ისტორიკოსი (თვითონ მოსკოვის უნივერსიტეტი დაამთავრა).

ერთი ჯგუფით უკან იყო გივი გაჩეჩილაძე. ახლა მიკვირს, მაგრამ სკოლაში ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, მხოლოდ უფრო გვიან, უკვე სტუდენტობის დროს, ერთად გატარებული ზაფხულის შემდეგ დაუუახლოვდით ერთმანეთს... კიდევ რამდენიმე სხვა „თანასკოლელ-მაც“ სკოლის დამთავრების შემდეგ „აღმოვაჩინეთ“ ერთმანეთი...

ჩვენი სკოლის ცხოვრებაში ღირსსახსოვარი დღეები იყო ლიტერატურული საღამოები, რაიმე თარიღებისადმი მიძღვნილი შეკრებები და სპექტაკლები... მეოთხე კლასში ვიყავით, როცა ჩვენი ამხანაგის კუკური სალაროძის პიესა „ზარმაცები“ დავდგით. ამ თხზულებას ყველანი ერთად ვასწორებდით იაკობ ზედგინიძის ხელმძღვანელობით. მისი მორალი მარტივი და ნათელი იყო — სიზარმაცე ცუდია, სიბეჭითე კი კარგი. მე მარგუნეს მასწავლებლის როლი, ჩამაცვეს გოგი ნადირაძის შარვალი, რომლის სიგრძეც ერთნახევრით აღემატებოდა ჩემი ფეხების სიგრძეს; მოძრაობა არ შემეძლო და სცენის კუთხეში, კათედრას ამოფარებული ვიდექი, სანამ ჩემი სათქმელი არ ვთქვი. პიესის დაწყებამდე „კონცერტიც“ გვქონდა — ხელიხელჩაკიდებულნი ვუვლიდით სცენას და ვმღეროდით „გაზაფხულო, გაზაფხულო, რა კარგი ხარ, რა კარგი“ (მელოდია ახლაც მახსოვს); მერე ჩვენი საკუთარი ლექსები და მოთხრობები წავიკითხეთ. მთავარი კი ის იყო, რომ პირველ რიგში ისხდნენ შიო მღვიმელი (ერთ-ერთი ლექსი მისდამი იყო მიძღვნილი), ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა — გიორგი წერეთლის ქერივი და საბავშვო ჟურნალ „ჭეჭილის“ რედაქტორი, და ეკატერინე მესხი — სერაგეი მესხის ქერივი.

ასევე, აღრინდელი მოგონებაა, დაკავშირებული „მოხეტიალე მუსიკოსის“ ილიკო ქურხულის მოსვლასთან ჩვენს სკოლაში. ქურხული ფრიად თავისებური პიროვნება იყო. მუსიკის პოპულარიზაციისათვის ეზო-ეზო სიარულსაც არ ერიდებოდა. ბულგარეთში იყო წამყოფი და წიგნიც ჰქონდა გამოცემული საქართველოს შესახებ ბულგარულ ენაზე. მეგობრობდა ხელოვნებისა და მწერლობის მოღვაწეებს, მათ წრეში მიღებული კაცი იყო... დარბაზი აივსო პატარა მოსწავლეებით. თვითონ ქურხული მარტო იდგა სცენაზე, გვესაუბრებოდა და ცდი-

ლობდა აქტიურად „ჩავეთრიეთ“ საუბარში... „მუსიკა არის ენა გულისა, ენა სულისა“, ანობდა ის დამღერებით და ჩვენც გუნდად გვაშეორებინებდა ამ სიტყვებს... მერე გვიმღერა ბულგარული სიმღერა „შარპლანინა“ და ჩვენც ავეციოლია...

სპექტაკლები კი 7 ნოემბერსა და 1 მაისთან დაკავშირებით იმართებოდა. მაშინ დგამდა თავის პირველ სარეჟისორო ნაბიჯებს დოდო ალექსიძე, რომელიც ერთი ჯგუფით იყო ჩემზე წინ... ლექსებსაც წერდა მარიჯანიძის ფსევდონიმით, პათეტიკურად კითხულობდა მათ, მაგრამ მთელი თავისი არსებით იგი მაინც მთლიანად თეატრს ეკუთვნოდა. ცხადია, ტრიგონომეტრიას ან ქიმიას დოდო გულს ვერ დაუდებდა, მაგრამ მასწავლებლები, რაკი ხედავდნენ მის უკვე სავსებით გამოკვეთილ ნიჭსა და მიდრეკილებას, საკმაოდ ლმობიერად ეპყრობოდნენ მას. ცოცხალი, ტემპერამენტიანი, კეთილი ყმაწვილი იყო, ყველას უყვარდა, თანაც იმ სადღესასწაულო საღამოების მოწყობაც უიშისოდ ვერ მოხერხდებოდა. ერთხელ საკუთარი პიესა დადგა — „წითელი თოვლი“, 1905 წლის 9 იანვრის ამბების შესახებ, მეორედ ლავრენევის „რღვევა“, იმხანად ძალიან პოპულარული რუსთაველის თეატრის სპექტაკლის გამო. თამაშობდნენ ჩემი ჯგუფელებიც — მერი მდივანი, ქეთო ორახელაშვილი, დოდოს თანაკლასელებიც — ნუცა ჩხეიძისა და მიხეილ ქორელის ვაჟი გოგი ქორელი, შურა კალანდაძე (შემდეგში თვალსაჩინო ინჟინერი) და სხვანი.

ერთხელ რუსულის მასწავლებელმა თამარ ზაალიშვილმა წამოიწყო ტოლსტოის «Плоды просвещения»-ს დადგმა; რეჟისორი, ცხადია, დოდო იყო, მე კი მარგუნეს პეტრიშჩევის როლი. მადლობა ღმერთს, სპექტაკლი არ შედგა, თორემ უეჭველად სკანდალით დამთავრდებოდა, ჩემთვის მაინც.

იმ დროს, როცა მერვე-მეცხრე ჯგუფებში ვიყავით, უკვე „ნამდვილი თეატრიც“ შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში. მე არ მოვსწრებივარ მარჯანიშვილის მოღვაწეობის პირველ პერიოდს რუსთაველის თეატრში, როდესაც მან „ცხვრის წყარო“ და „ჰამლეტი“ დადგა. მოსწრებით კი მოვესწარი, მაგრამ მაშინ დრამის თეატრში ჯერ კიდევ არ დავყავდი ჩემს მშობლებს. თოთხმეტ-თხუთმეტი წლისამ კი, ცხადია, უკვე დამოუკიდებლად დავიწყე სიარული. ერთი ყველაზე ადრინდელი მოგონებათაგანია „ანზორი“ რუსთაველის თეატრში, ახმეტელის ერთი ყველაზე სახელმძღვანელო სპექტაკლთაგანი. კარგად მახსოვს გამრეკელისეული დეკორაციები, საფეხურებად იანლაგებული კონსტრუქცია, რომელიც აულსაც წარმოადგენდა და მთების ასოციაციასაც

იწვევდა. მასხოვს არა იმედანდ კონკრეტული მოქმედება, რამდენადაც რიტმის განცდა, რომელსაც მასობრივი სცენები ქმნიდა, ხორავას სახე და ხმა... და საკვირველი მღელვარება, რომელმაც შეგვიპყრო მე და ჩემი ბიძაშვილი მიშა წარმოდგენის ყურებ-სას, მღელვარება ისეთი ძლიერი, რომ მე მთელი სხეულით ვკანკალებდი... ასეთი რამ, ალბათ, მხოლოდ ბავშვობაში შეიძლება განიცადო. ისიც კი მასხოვს, სად ვისხედით — მარცხნივ, მეორე იარუსის მეორე რიგში, როვორ ვიყავით მთელი არსებით სცენისკენ მისწრაფებულნი... ასევე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა „რღვევამაც“, რომელმაც განსაკუთრებით გაუთქვა სახელი აკაკი ხორავას (კაპიტანს თამაშობდა).

ერთ-ერთი ადრინდელი თეატრალური შთაბეჭდილება უკავშირდება მოსკოვის მცირე თეატრის გასტროლებს თბილისში. ეს 1928 წელს იყო. საკმაოდ ბუნდოვანი მოგონებაა, მაგრამ რაღაც ფრაგმენტები მაინც ჩამრჩა: გასაოცარი სტეპან კუზნეცოვი — ხლესტაკოვი, ახალგაზრდა და ლამაზი წყვილი — გოგოლევა და აქსიონოვი (ჩაკვი და სოფა), მოხუცი ქალების ცნობილი შემსრულებლები (მცირე თეატრში ასეთი ამპლუაც ჰქონდათ) რიკოვა და ტურჩანინოვა... მათი სპექტაკლები ოპერის თეატრში იმართებოდა.

მერე — მარჯანიშვილის თეატრის პირველი ჩამოსვლა საგასტროლოდ ქუთაისიდან 1929 წელს. რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რამდენი ღირსშესანიშნავი რამ შეიქმნა ქართულ თეატრში, მაგრამ, მე მგონია, არ ყოფილა სხვა შემთხვევა, რომ თეატრს ასეთი ადგილი სპეროდეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, ასე ერთიანად „დაეპყროს“ თბილისი. ძირითადი სასაუბრო თემა შინ და გარეთ მარჯანიშვილის თეატრი იყო, შთაბეჭდილებათა გაზიარება, აღფრთოვანება, დიდი სიხარულის გრძნობა. ჩვენი სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, როგორც „ცემოწკომის“ წარმომადგენელი (ეს სიტყვა, დღეს სრულიად გადავიწყებული, ნიშნავდა „ცენტრალურ მოწაფეთა კომიტეტს“), იხილავდნენ საგასტროლო აბონემენტების შექმნის საკითხს. გამომშვებული იყო თხელი ბროშურა, რომელშიც დაბეჭდილი იყო ყველა პიესის შინაარსი, მონაწილეთა და დამდგმელთა გვარები და ოპერის თეატრის გეგმა — გასტროლები იქ გაიმართა.

რამდენიმე დღის შემდეგ მე და ჩემმა ტოლებმა ზეპირად ვიცოდით დასის ყველა წევრის გვარი და სახელი, არა მარტო მსახიობებისა, არამედ ყველა რეჟისორისა, მხატვრებისა, კომპოზიტორებისა, ტექნიკური პერსონალისა. კოტე ჯავრიშვილი პირადად იცნობდა მარჯანი-

შვილს — მის მეუღლეს ელენე დონაურს ენათესავებოდა, დადიოდა მათს ოჯახში — ეს იყო ჩვენთვის დამატებითი, ფრიალ საინტერესო ინფორმაციის წყარო.

პირველი სპექტაკლი „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ — გერმანელი ექსპრესიონისტის ერნსტ ტოლერის ორი-სამი წლის წინათ დაწერილი პიესის მიხედვით. ჩვენთვის აქ ყველაფერი ახალი იყო: უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე კაპიტალისტური დასავლეთის, მისი „მანქანური დინამიზმის“, ურბანიზმის ჩვენება. მაშინ პირველად გამოვიდა ასპარეზზე, როგორც თეატრის მხატვარი, პარიზიდან დაბრუნებული დავით კაკაბაძე, რომელმაც აქაც შეძლო საკუთარი სიტყვის თქმა. აშკარად ჩანდა ისიც, რამდენად არსებითი იყო მხატვრის როლი მთელი სპექტაკლის სტილისტიკის თვალსაზრისით. სცენაზე ყველაფერი პირობითი იყო: კონსტრუქტივისტული მოცულობები, მათი გომეტრიული სწორხაზოვნება და კუთხოვანება, სარკეები, მოქმედების გაშლა სხვადასხვა დონის ბაქნებზე, სცენების სწრაფი, კინემატოგრაფიული ცვლა და ნამდვილი კინოს ჩართვაც, სინათლის ეფექტების აქტიური როლი. რამდენადაც მახსოვს, თვით პიესა რამდენადმე სქემატური იყო, დამახასიათებელი მხატვრული სახეების შექმნის საშუალებას არ იძლეოდა, მთავარი — პუბლიცისტური მიზანდასახულება იყო.

უდიდესი წარმატება ხვდა „ურიელ აკოსტას“. შთაბეჭდილება ყველას წარუშლელი დაგვრჩა, ისეთი, რომ დღესაც, ნახევარ საუკუნეზე მეტი რომ გავიდა, მახსოვს ბევრი მიზანსცენა, მუსიკა (თამარ ვახვიანიშვილისა), დეკორაციები (აქ პირველად გამობრწყინდა პეტრე ოცხელი, რომელიც მაშინ ოცდაერთი-ოცდაორი წლისა იქნებოდა) და — მთავარი ეს არის — ყველა მოქმედი პირი, მათ მიერ შექმნილი სახეები, მათი მონოლოგები, ექსტები, გრიმი. ჩემს „თეატრალურ ცხოვრებაში“ ამ მხრივ მეორე ასეთი შემთხვევა არ მქონია. არსებობს მშვენიერების რენესანსული განსაზღვრა, რომელიც ლეონ-ბატისტა ალბერტის ეკუთვნის: „მშვენიერი შეიძლება ეწოდოს ისეთ ნაწარმოებს, რომელშიაც არც ერთი წვრილმანის შეცვლა არ შეიძლება ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს მთელის დარღვევაო“. ეს, ცხადია, გულისხმობს ნაწარმოების ერთიან გააზრებას, აბსოლუტურ კანონზომიერებას, მიზანშეწონილობას, ლოგიკურობას. ამგვარ ნაწარმოებად წარმომიდგება მე ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, „ურიელ აკოსტა“, სპექტაკლი, რომელშიც ერთ წერტილს ვერ გადაადგილებდი, ერთ მტრისხს ვერ შეცვლიდი, ვერც ერთ დეტალს ვერ გამოაკლებდი და ვერ მიუ-

მატებლი; სპექტაკლი, კლასიკურ ქანდაკებასავით ჩამოსხმული, თითქოს მათემატიკური სიზუსტით გააზრებული და „გამოთვლილი“ მთლიანადაც და ყველა წვრილმანიათაც, და იმავე დროს — ეს იყო საკვირველი ამ რაციონალურ გააზრებასთან ერთად — ღრმად პოეტური, ამალღებული, ძლიერი კულმინაციების მქონე. მიღწეული იყო სრული თანხმობა სიტყვისა და პლასტიკისა, მოძრაობისა და სცენის ლაკონიური გაფორმებისა, საგნებისა (დაცული იყო მკაცრი ფერადოვანი გამა — რამდენადაც მახსოვს — თეთრი-შავი-რუხი). მაყურებელს ეუფლებოდა ის განცდა, რომელსაც მხოლოდ მხატვრულად სავსებით დასრულებულ ნაწარმოებთან კონტაქტი იწვევს — ჰარმონიის გრძნობა.

„ურიელ აკოსტას“ შემდეგ ყველას პირზე ეკერა უშანგი ჩხეიძის, ვერიკო ანჯაფარიძისა და შალვა ლამბაშიძის სახელები (პირველ ორს მხოლოდ სახელებით იხსენიებდნენ). ამბობდნენ, „ურიელის“ პირველი სპექტაკლი რომ დამთავრდა (მე მას არ დავსწრებივარ), მაყურებლებმა ხელში აიტაცეს კულისებიდან გამოსული უშანგი და ვერიკო. არ ვიცი, მართლა ასე იყო თუ არა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ასეც მომხდარიყო — ისეთ „გრადუსს“ მიაღწია ენთუზიაზმმა. დიდად შთაბეჭდილი იყო ალექსანდრე იმედაშვილიც — დე სანტოსი: წყევლის სცენა მეორე მოქმედებაში, როცა იგი ტექსტის წარმოთქმისას ყოველი წინადადების შემდეგ თითო ნაბიჯით მოიწევდა წინ, კიბეზე, ხოლო ყოველ წინადადებას უპასუხებდა ორკესტრის დაძაბული ბგერები და ებრაელთა გუნდის ღმუილი — შემზარავ ძალას აღწევდა; თითქოს გარდუვალი ბედისწერა იყო აღზევებული ურიელის გასასრესად... და ამ სცენის კულმინაცია: წყევლის დროს წელში მოხრილი, თითქმის ორად მოკეცილი ივდითი (ვერიკო) უეცრად იმართებოდა (თითქოს ზამბარა აიტყორცნათ), ყვიროდა — ტყუი, რაბინო! — და შეუკავებელი მისწრაფებით მივბოდა ურიელისაკენ... მთელი დარბაზი, ყველა მაყურებელი უკიდურესად დაჭიმული სიმივით იყო, მე კი ჩემი გულის ძგერა მესმოდა... ასეთივე სამუდამოდ „ამოუშლელი“ შთაბეჭდილება დატოვა სანდრო ჟორჟოლიანმა, ბენ-აკიბამ: თითქმის გროტესკულად, იუველირული სიზუსტით ასრულებდა ამ ეპიზოდურ როლს.

რამდენი სიხარული იყო სხვა წარმოდგენის დროსაც! თბილისელებმა მაშინ პირველად ნახეს პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, რომელიც უკვე კარგა ხანია ჩვენი დრამატურგიის კლასიკას მიეკუთვნება: ყვარყვარეს ორი შემსრულებელი ჰყავდა — სანდრო ჟორჟოლიანი და უშანგი ჩხეიძე. ჟორჟოლიანი მართლაც თამაშობდა და ძალიან კარგადაც, უშანგიმ კი იმით გამოაცა (ეს გაცემის გრძნობა-

ბა კარგად მახსოვს), რომ დარბაზს სავსებით გაუგებარი საშუალებებით იპყრობდა: თითქოს არც ახსოვდა, რომ მაყურებლები ჰყავს, თითქოს სულ არ იწუხებდა თავს როლის „შესრულებით“, გეგონებოდა ისე, სხვათა შორის, დადის სცენაზეო, სხვათა შორის წარმოთქვამს რაღაც საიტყვებსო... მაგრამ როგორი სახე იქმნებოდა, როგორ სულმოუთქმელად „მისდევდი“ მის ყოველ ნაბიჯს... „ყვარყვარე თუთაბერ-შივე“ გამოჩნდა კიდევ ორი, მანამდის ღრულიად უცნობი მსახიობი, კაკუტასა და ქუჩარას როლების შენსრულებლები აკაკი კვანტალიანი და შალვა ჩხეიძე, უზარმაზარი ტანის კაცი, რომელიც კონტრასტს ქმნიდა პატარა, ჩასკვნილ კვანტალიანთან... მაგრამ კვანტალიანის, როგორც მკვეთრად გამოვლენილი იუმორის მქონე მსახიობის, ნამდვილი აღმოჩენა მოხდა ბერნარდ შოუს „წმინდა ქალწულში“, რომელმაც ძირითადად სწორედ ამ აღმოჩენით მიიპყრო ყურადღება. ძალიან კარგი იყო იოსებ შარლემანის დეკორაციები და კოსტუმებიც. ეს მაღალი პროფესიული ოსტატობის მქონე, დიდი კულტურისა და ენუქლიციის მხატვარი იყო — ისტორიული სტილების ფაქიზი ინტერპრეტატორი, დიდი მცოდნე სხვადასხვა ეპოქის კოსტუმებისა და აქსესუარებისა. ერთბაშად ძალიან პოპულარული გახდა შალვა დადიანის „კაკალ გულში“, სატირული კომედია უმარტივესი დრამატურგიით, საკმაოდ მარტივი ტექსტითაც... მაგრამ მარჯანიშვილისა და შემსრულებლების წყალობით წარმოდგენილი იყო გროტესკული, თანაც სრულიად განსხვავებული სახეები — ნამდვილი პანოპტიკუმი... აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რა კონსტრასტული როლებს შესრულება შეეძლო უშანგი ჩხეიძეს, როგორი დასრულებული ოსტატები იყვნენ ცეცილია წუწუნავა, შაქრო გომელაური, შალვა დამბაშიძე, შალვა ხონელი, პეტრე ჭიჭინაძე, ისევ და ისევ სანდრო ჟორჯოლიანი და, რაღა თქმა უნდა, ნიკო გოცირიძე, ჯულ სხვა თაობის მსახიობი, რომელიც მშვენივრად მოერგო ამ თეატრს... მაგრამ მარჯანიშვილის ხელში, მე მგონია, ცუდად თამაშს ვერავენ ვერ ახერხებდა, დამწყები მსახიობიც კი, და უსიტყვო როლებიც დასრულებულ სახეებად იქცეოდა. ასე რომ არ ყოფილიყო, როგორ დამამახსოვრდებოდა ოცი წლის სერგო ზაქარიაძე მოხულიგნო მუშის როლში („ლიანდაგი გუგუნებს“) — ტექსტი არც ჰქონდა, ჩნდებოდა ერთადერთ სცენაში — ქარხნის მუშების საერთო კრების დროს ობსტრუქციის მოწყობა სურდა, რაღაცას ყვაროდა და „პროტესტის ნიშნად“ კედელს ახლიდა თავს... მე მგონია, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ამ საკვირველ „ჩანახატში“ უკვე იგრძნობოდა მომავალი სერგო ზაქარიაძე.

რამდენი დიდი მსახიობი დაიბადა მაშინ მარჯანიშვილის ხელში და რა დიდი ნაბიჯი გადაიდგა ქართული სათეატრო მხატვრობის დარგში! დავით კაკაბაძე, პეტრე ოცხელი, ელენე ახვლედიანი მაშინ დგამდნენ თავის პირველ ნაბიჯებს სცენაზე — განა ეს სახელები საკმარისი არ არის! (გავიხსენოთ ის როლი, რომელიც მათ მომდევნო წლებში შეასრულეს, თუმცა საუბედუროდ, პეტრე ოცხელს არ დასცალდა თავისი იშვიათი მონაცემების მთლიანად გამოვლენა). და ხაზგასასმელი ის არის, რომ ეს სწორედ თეატრალური მხატვრობა იყო, ამ ცნების სრულიად სპეციფიკური გაგებით, მხატვრობა თეატრალურად პირობითი, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რეალობის იმიტაციას სცენაზე, ყოფითი ხასიათის ილუზიურობას (ცხადია, საერთოდ თეატრში ეს ახალი ამბავი არ ყოფილა, თვით მარჯანიშვილი ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნის დროს, ისევე, როგორც მაშინდელი რეჟისორები, სწორედ ასეთ მხატვრობას ამკვიდრებდნენ სცენაზე, ასეთივე იყო მარჯანიშვილის პირველი დადგმების სცენოგრაფიაც რუსთაველის თეატრში, მაგრამ მე და ჩემი ტოლები ამას პირველად ვხედავდით). ეს სამი მხატვარი ამგვარ ეფექტს სრულიად განსხვავებული ხერხებით აღწევდა, ეს სამი მკაფიო შემოქმედებითი ინდივიდუალობა იყო. მე და ჩემი ამხანაგები — მაშინ 15-16 წლისანი — საესებით და მთლიანად „ვღებულობდით“, „ვეთანხმებოდით“ ამ პირობითობას, როგორც ერთადერთ შესაძლებელსა და დასაშვებს. იმ დროს მარჯანიშვილი ყველაზე პოპულარული კაცი იყო თბილისში... მას მხოლოდ ოთხი წლის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, უშანგი ჩხეიძეს კი სულ ცოტათი მეტი — სცენაზე მოღვაწეობისა...

მე ახლა ვუსვამ ჩემ თავს კითხვას — რას გვაძლევდა მაინც „სულიერი“ თვალსაზრისით ქართული თეატრი ჩვენ, ჯერ კიდევ მოუძმწიფებელთ, დიდი ცხოვრების ზღურბლზე მდგომთ? მაშინ ამის ნამდვილი გააზრება არ გვიცდია და არც შეგვეძლო. ახლა კი ვფიქრობ, რომ, მიუხედავად ზემოთქმულისა, მას არ ჰქონია ჩვენთვის ის მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა 1905 წლის რევოლუციის წლებში ლადო მესხიშვილის თეატრს ქუთაისში („გაიუს გრაკქუსი“), ან უფრო ადრე, 1882 წელს — დავით ერისთავის „სამშობლოს“ დადგმას, რომელიც ეროვნული მანიფესტაციის საბაზად იქცა, ან იმავე მარჯანიშვილის მიერ კიევში დადგმულ „ცხვრის წყაროს“... მას არ ჰქონდა „მოწოდების“ ძალა და ვერც იმას ვიტყვი, რომ იგი „მეორე უნივერსიტეტი“ და „ცხოვრების მასწავლებელი“ იყო, როგორც მოსკოვის „მცირე“ და

„სამხატვრო“ თეატრები... ყველაფერს თავისი დრო აქვს და თეატრის ამგვარ ფუნქციასაც — აგრეთვე...

მაგრამ ეს ოდნავადაც ვერ ანელებდა ჩვენს ჭიყვარულს თეატრისადმი, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ მას ჩვენზე გავლენა არ მოუხდენია, რომ ჩვენს სულიერ ცხოვრებაში იგი როლს არ ასრულებდა ის, რომ „უჩიელ აკოსტა“ და „ცხვის წყარო“ თავისი მაღალი იდეალებითა და კეთილშობილებით ჩვენც „ამაღლებულ“ განწყობილებას, ერთგვარი „კათარსისის“ განცდას გვიქმნიდა, ის, რომ რევოლუციური წლების მოვლენათა და თანამედროვე ცხოვრების ამსახველი (სატირულადაც, სრული „სერიოზულობითაც“) სპექტაკლები გვაფიქრებდა ჩვენს ახალ სინამდვილეზე, უკვე თავისთავად ბევრს ნიშნავდა. იმავე დროს, ეს სპექტაკლები (ორივე თეატრში — რუსთაველისაშიაც და მარჯანიშვილთანაც) თავისი მაღალი მხატვრული ღირსებების წყალობით ესთეტიკური აღზრდის თავისებური სკოლაც იყო და, რა თქმა უნდა, სავსებით შეესატყვისებოდა მარჯანიშვილის ცნობილ ფორმულას — ხელოვნების დანიშნულება მარტივია — მიანიჭოს ბედნიერება ადამიანსო. ამგვარი ბედნიერების განცდა მაშინდელ ქართულ თეატრს არაერთხელ მოუნიჭებია, ამიტომ არის, რომ მის მიმართ ღრმა მადლიერების გრძნობა შემომჩა დღემდის.

სიწინაშით ვიგონებ, რომ მაშინ საზოგადოების ნაწილი ერთმანეთს უპირისპირებდა მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებს (მე მგონია, მაშინ გაჩნდა რუსთაველის თეატრის აფიშებზე პირველად მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი სიტყვები „სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით“), იყო უსიამოვნო მითქმა-მოთქმაც. ნამდვილად კი ყველას მხოლოდ სიხარული მართებდა, რომ ორი ასეთი თეატრი არსებობდა, ასეთი განსხვავებული და ასეთი თავისებური, თანაც ისეთი ღონისა, რომელიც — ახლანდელი სიტყვით რომ ვთქვათ — ყოველგვარ საერთაშორისო სტანდარტს გაუტოლდებოდა. ცხადია, ის მაშინდელი მითქმა-მოთქმა წყალმა წაიღო, ქართული თეატრის ისტორიაში კი ის წლები, ოციან-ოცდაათიანი წლების მიჯნა, ოცდაათიანი წლების პირველი ნახევარი, დარჩა როგორც უმნიშვნელოვანესი ფურცელი.

მაშინ, სკოლის წლებშივე, ვეზიარეთ მე და ჩემი ტოლები ოპერის ხელოვნებასაც. საერთოდ, ოპერის წარმოდგენები მე უფრო ადრე ვნახე, ვიდრე დრამისა — ჯერ კიდევ სულ პატარამ. ეს იყო საბავშვო ოპერა „მგელი და შვიდი ბეკეკა“. მგლის შემეშინდა, მოვრთე ტი-

რილი და სასწრაფოდ გამაცალეს იქაურობას. ასევე სამარცხვინოდ დამთავრდა „ევგენი ონგინის“ ნახვაც — დუელის სცენის გამო. ერთადერთი, რამაც მაშინ ოპერაში ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა — ა. ზალცმანის მიერ შესრულებული ფარდა იყო: ზედ ეხატა ფრთოსან მერანზე ამხედრებული წმინდა გიორგი, რომელიც ღრუბლებში მიფრინავდა. ოპერასთანვე დაკავშირებით კიდევ მახსოვდა რამდენიმე გვარი, რომელთაც ჩემ გარშემო ხშირად ახსენებდნენ — პოპულარული მოცეკვაეების მორდკინისა და ბაუერ-ზაქსისა, დირიჟორების ივანე ფალიაშვილისა და სტოლერმანისა, მომღერლების — სარაჯიშვილის, ინაშვილისა და პოპოვასი. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში სტოლერმანის ამბავი, რომელმაც დიდი სენსაცია გამოიწვია — მან თავისი ცოლი მოკლა, გაასამართლეს და გაამართლეს (რამდენადაც ნამბობით ვიცი, მას შალვა მესხიშვილი იცავდა). ვანო სარაჯიშვილი სცენაზე არ მინახავს, ათი წლისა ვიყავი, როცა გარდაიცვალა. მახსოვს მხოლოდ მისი დაკრძალვა — გრანდიოზული პროცესია, რომელიც ერთიანად ავსებდა მთელ გზას მწერალთა სასახლიდან ოპერის თეატრამდე. ახლა ველარ გამირჩევია, ნამბობით ვიცოდი, თუ გაზეთებში ეწერა, რომ ვანოს გარდაცვალების გამო დაიდგა „აბესალომ და ეთერი“ უაბესალომოდ — მის პარტიას ვიოლონჩელი ასრულებდა... არ ვიცი, გემოვნების მხრივ რამდენად კარგი იყო ეს მელიორან-ჰატული გამოგონება, მაგრამ მაშინ მან, როგორც ჩანს, დიდი ეფექტი მოახდინა, მით უფრო, რომ ვანო ძალიან პოპულარული იყო და ახალგაზრდა გარდაიცვალა — ორმოცზე ცოტა მეტისა.

ჩემი საყვარელი ოპერა იყო (და ახლაც არის) „სევილიელი დალაქი“, რომელშიაც განსაკუთრებულ სიხარულს მგვრიდა სასაცილო დონ-ბაზილიო... ბევრი მსახიობი ჩამოდიოდა საგასტროლოდ რუსეთიდან — ოციანი წლების ბოლოს და ოცდაათიან წლებში რუსებს მარჯლაც მშვენიერი მომღერლების მთელი პლეადა ჰყავდათ; მაშინ გამოჩნდა პირველად ოუნდაც კოზლოვსკი, რომელსაც თბილისში სრულიად განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა...

ხშირად ჩამოდიოდა და აგრეთვე დიდად პოპულარული იყო ლაჩვიელი მომღერალი ქალი ბრენმან-შტენგელი (მაშინ ლატვია საბჭოთა კავშირში არ შემოდიოდა), რომელიც დიდი დრამატული ძალით ასრულებდა ტოსკას როლს; დიდძალ მაყურებელს იზიდავდა აზერბაიჯანელი მეცო-სოპრანო, ფრიად ეგზოტიკური ფატიმა მუხთაროვა, უმეტესად დალილას როლში. მაშინ მოვასწარი მენახა „ძირითადი ოპერები, რაც კი ჩვენს თეატრში იდგმებოდა — „რიგოლეტო“, „აიდა“,

„ტრავიატა“, „კარმენი“, რუსული ოპერები, „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „თამარ ცბიერი“ (მერე—„დარეჯან ცბიერი“), „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „ქეთო და კოტე“... ნაყიდი მქონდა ოპერების ტრანსკრიფციები ფორტეპიანოსთვის და ამიტომ ზოგი ოპერა თითქმის თავიდან ბოლომდის ზეპირად ვიცოდი. დასანანია, რომ ახლანდელი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გულგრილად ეკიდება ოპერას, რომელიც სულიერად გაამდიდრებდა მას...

დიდად გატაცებული ვიყავით კინოთი. უცხოურთაგან ჩემი მოწაფეობის წლებში უჩვენებდნენ თითქმის მხოლოდ ამერიკულსა და გერმანულ ფილმებს, სხვებს ნაკლებად. ამერიკული ფილმები ან სათავგადასავლო იყო, ან კომედიები. მაშინდელი ამერიკელი „ვარსკვლავები“, ჩვენშიც დიდად პოპულარულნი, იყვნენ ღუგლას ფერბენქსი — ახლანდელი სუპერმენების ბევრად უფრო ზომიერი და სიმპათიური წინამორბედი (ჩემს ტოლებს ალბათ ღუმელის ახსოვთ მისი „ნიშანი ზორო“ და „რობინ ჰუდი“ — ამ სურათებს განსაკუთრებული რომანტიკული საბურველი მოსავდა), მისი მეუღლე მერი პიკფორდი, დები ლილიან და დოროტი გიშები, პოლა ნეგრი, რუდოლფ ვალენტინო, ძალიან ლამაზი ყმაწვილი კაცი (ფრიალ „ტკბილი“ სილამაზე მქონდა), რომლის გარდაცვალების გამო, როგორც გაზეთებში წერდნენ, ბევრმა ქალმა თავი მოიკლა, რამონ ნეარო... სათავგადასავლო ფილმები მრავალსერიანი იყო და ყოველი სერია ისეთ ადგილას წყდებოდა, რომ სანამ მომდევნო სერია გამოჩნდებოდა ეკრანზე, ჩვენი დაგვემართებოდა ხოლმე. განსაკუთრებით დამტანჯა სურათმა „სტენლი აფრიკის ჯუნგლებში“...

როგორ გვიყვარდნენ კომიკოსები ჰაროლდ ლოიდი, მონტი ბენქსი და ერთი ყველაზე დიდ კომიკოსთაგანი კინემატოგრაფის ისტორიაში — ბესტერ კიტონი, რომელიც არასოდეს არ იცინოდა (არც კი იღიმებოდა), რაც უნდა უცნაური და სასაცილო ამბავი მომხდარიყო. ეს იყო ნიღაბი და ხერხი, რომელიც მარტო მას ეკუთვნოდა... მისი „სამი ეპოქა“ და „ჩვენი სტუმართმოყვარეობა“ ჩემი ბავშვობის ნათელ მოგონებათა რიცხვს ეკუთვნის... იყვნენ კიდევ მშვენიერი დანიელი კომიკოსები — პატი და პატაშონი, ერთი გრძელი და მეორე მსხვილი, ერთი ფლეგმატური და მეორე — ფაცურა. ჩარლი ჩაპლინის შესახებ ბევრს წერდნენ, მაგრამ მის ფილმებს რატომღაც არ გვიჩვენებდნენ.

გერმანელებს მაშინ დიდი რეჟისორები და დიდი მსახიობები ჰყავდათ და მათი ფილმები უფრო სერიოზული, ფსიქოლოგიური იყო... თუმცა გერმანელი იყო ჰარი პილიც, თავსატეხი მრავალსერიიანი ფილმების მთავარი გმირი. მაშინ ქუხდა „ნიბელუნგების“ დამდგმელის ფრიც ლანგის, მსახიობების: კონრად ფეიდტის, ემილ იანინგსის. პაულ ვეგენერის, ლია დე პუტის, ვერნერ კრაუსის, ალბერტ ბასერმანის, პაულ რიხტერის სახელები... დიდად პოპულარული იყო ფილმი „ინდოეთის აკლდამა“, რომელშიაც „მისტიკური“ კონრად ფეიდტის თვალები ჩვენთვის ჰიპნოზის ძალას იძენდა. რუს მსახიობთაგან ყველაზე პოპულარულნი იგორ ილინსკი და კტოროვი იყვნენ, ჯერ კიდევ სრულაად ახალგაზრდები... მაგრამ უძლიერესი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინეს მაინც მოსკვინმა („Станционный смотритель“) და მიხეილ ჩეხოვმა („Человек из ресторана“) — ასეთი ტრაგიკული ძალის მსახიობები მანამდის არასოდეს მენახა. ჟურნალ „სოვეტსკი ეკრანიდან“ მსახიობთა პორტრეტებს ვკრიდი და ალბომებში ვაწებებდი — აკურატული წარწერებით.

ქართულ კინოსაც ბედმა გაუღიმა. ქართველები კინემატოგრაფიული ერი აღმოვჩნდით, რაც მას შემდეგაც არაერთხელ დადასტურდა ქართული ფილმებით. ჩემი მოწაფეების წლები „სამი სიციხის“, „მამის მკვლელის“, „ორი მონადირის“, „ეინ არის დამნაშავეს“, „ჯანყი გურიაშის“, „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ (სურათს ერქვა „ტარიელ მკლავადის მკვლელობის საქმე“), „ხანუმას“ წლები იყო („სურამის ციხე“ არ მახსოვს)... რეჟისორი ბევრი გვყავდა, მაშინ უმეტესობა ჯერ კიდევ არაქართველი, მაგრამ მთავარი ღვაწლი ჩვენი კინემატოგრაფიის განვითარების იმ საფეხურზე ივანე პერესტიანსა და ალექსანდრე წუწუნავას მიუძღოდათ... ერთ ხანს „სახკინმრეწვი“ მუშაობდა ამო ბეკ-ნაზაროვიც, რომელმაც შემდეგ ბევრი რამ გააკეთა სომხური კინოსთვის. ჩვენი პირველი „ვარსკვლავები“ იყვნენ ნატო ვაჩნაძე და კოტე მიქაბერიძე. ნატო ვაჩნაძე არა მარტო ქართველი „ვარსკვლავი“ იყო, არამედ ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობთაგანი მთელ საბჭოთა კავშირში. 1926 წლის ზაფხულს ანაპაში ვიყავით სააგარაკოდ და ერთმა რუსის ქალმა, ალბათ მოაგარაკემ, როცა ჩემი ქართველობა გაიგო, შურიტ მითხრა, ალბათ ცოცხალი ნატო ვაჩნაძე გინახავსო. კოტე მარჯანიშვილიც დგამდა სურათებს („ამოკი“, „კომუნარის ჩიბუხი“). არ ვიცი, რა აზრისა არიან ჩვენი კინოსმცოდნენი, მე კი მგონია, რომ კოტეს ფილმები დიდად ჩამოუვარდებოდა მის სპექტაკლებს.

მაშინ კინო ჯერ კიდევ მუნჯი იყო. ყოველ კინოთეატრს თავისი მცირე ორკესტრი ჰყავდა — ის ასრულებდა ყოველი სურათისათვის საგანგებოდ შერჩეულ მუსიკას, რომელსაც მეტ-ნაკლები „მხატვრული“ კავშირი ჰქონდა სურათის შინაარსთან. უჩვენებდნენ თითო საპროექციო აპარატით, ამიტომ სურათის ყოველ ნაწილს ანტრაქტი მოსდევდა — ჩვენთვის, ბავშვებისათვის, ნამდვილი სატანჯველი...

იმ წლებში ბავშვებს (და დიდებსაც) წიგნისათვის მეტი დრო რჩებოდათ. არ იყო ტელევიზია, არ იყო სპორტით ასეთი ტოტალური გატაცება (პოპულარული იყო დოლი და ჭიდაობა, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, იგი მხოლოდ ცირკში იმართებოდა. ცნობილი იყვნენ ვინმე კლემენტ ბული, სანდრო კანდელაკი, „შავი მასკა“ და სხვანი)*, სკოლაშიაც ნაკლებ დატვირთულნი ვიყავით საგნებით, ვიდრე ახლანდელი მოსწავლენი... და, რა თქმა უნდა, კითხვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სულიერი ზრდისა და ჩამოყალიბებისათვის... განსაკუთრებით „ნაკითხნი“ იყვნენ კოტე ჯავრიშვილი, გოგი ლომთაიძე, ეკა გოგიჩაიშვილი და „ჭიუტი“ მკითხველი კოტიკო ჭიჭინაძე. ჩვენ ინგლისურის გაკვეთილზე ერთ მერხზე ვისხედით; გაკვეთილი დილით გვქონდა და კარგა ხნის განმავლობაში კოტიკო გამოუძინებელი მოდიოდა, იმიტომ, რომ გადაეწყვიტა გონჩაროვის „ფრეგატ პალადას“ წაკითხვა, და თავს ძალას ატანდა, რომ გვიანამდე ეკითხა; ამბობდა, საშინლად მოსაწყენიაო, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა.

ქართულ მწერლობას ჩვენ ძირითადად სკოლაში ვეცნობოდით. არსებობდა ივანე გომელაურის მიერ შედგენილი სასკოლო ქრესტომათია „ქართველი მწერლები“, ფრანგების *morceaux choisis*-ს ანალოგიური — იმასაც ვიყენებდით, მაგრამ, ცხადია, ვკითხულობდით შეუმოკლებელ ორიგინალებსაც. რა თქმა უნდა, ვსწავლობდით ხალხურ სიტყვიერებასაც (ხალხურ „ამირანდარეჯანიანს“, „ეთერიანს“, „არსენას ლექსს“), ძველ მწერლებს, „ვეფხისტყაოსანს“. მაინც უმთავრესი ადგილი XIX საუკუნეს ეჭირა და იწყებოდა დანიელ ჭონქაძით, რომელიც იმ დროს დიდად ფასობდა, როგორც ბატონყმობის მამხილებელი. პროგრამაში იყვნენ რომანტიკოსები, არდაზიანი და გიორგი ერისთავი, რა თქმა უნდა, ილია, აკაკი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი... დიდი ადგილი ეჭირათ ალექსანდრე ყაზბაგსა და ეგნატე ნინოშვილს. მაშინ უკვე გამოსული იყო მისი

* ცირკი მდებარეობდა ვერის დაღმართის ბოლოს, ხიდის ყურეში, მარცხნივ.

თხზულებების ორტომეული, მგონი, პირველი საბჭოთა დასურათებუ-
ლი გამოცემა ქართული მწერლისა, მით უფრო საინტერესო, რომ
ილუსტრაციების ავტორები იყვნენ უკვე ცნობილი მხატვრებიც — მო-
სე თოიძე, ევგენი ლანსერე, იოსებ შარლემანი, და ახლად ფეხადგ-
მულნიც — შალვა მამალაძე, ირაკლი თოიძე, აპოლონ ქუთათელაძე.
შეიძლება ითქვას, რომ ეს გარკვეული საფეხური იყო ქართული წიგ-
ნის ილუსტრაციის ისტორიაში. აქეთ, რამდენადაც მახსოვს, პოეზია-
ში იროდიონ ევდოშვილსა და გიორგი ქუჩიშვილს არ გადმოვცილები-
ვართ, პროზიდან კი მხოლოდ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ მა-
გონდება, სკოლაში არ გვისწავლია გალაკტიონ ტაბიძე, „ცისფერყან-
წელები“. და სანამ მე სკოლაში ვიყავი, პროგრამაში არ ყოფილა შეტა-
ნილი არც ახლად ჩასახული პროლეტარული პოეზია (მე მხოლოდ
მახსოვს უფროსების აღმწოთებული ხმები იმის გამო, რომ ა. მაშა-
შაშვილის ლექსს ერქვა „მე და ბარათაშვილი“). გალაკტიონით მე
პირველად 1926 წელს დავინტერესდი, როცა მის შესახებ აღფრთოვა-
ნებით მელაპარაკა ხონიდან ახლად ჩამოსული ირაკლი აბაშიძე, რო-
მელიც მაშინ უკვე წერდა ლექსებს, თუმცა ჯერ არაფერი არ დაებეჭ-
და.

ძალიან მიყვარდა ბარათაშვილი, ყველაზე მეტად „შემოღამება
მთაწმინდაზე“, „მერანი“ და კერძო წერილები. ჩემი ერთი უსაყვარ-
ლესი წიგნთაგანი იყო მისი თხზულებების ერთტომეული, 1922 წელს
გამოცემული სამსონ ფირცხალავას რედაქციით და არაჩვეულებრივად
საინტერესოდ დასურათებული გონივრულად შერჩეული ფოტოსურ-
ათებითა და ნახატებით (მათ შორის გაგარინის ნახატებითაც).

განსაკუთრებული დამოკიდებულება გვქონდა, რა თქმა უნდა,
ყველას ილიას მიმართ. მე გამორჩევით მიყვარდა „კაცია-აღამიანი“,
საკვირველი სიმსუბუქითა და აღმაფრენით დაწერილი, „გახსოვს, ტურ-
ფაე?“ და ამათზე არანაკლებ — მისი კრიტიკული და პუბლიცისტური
წერილები. იშვიათად თუ რომელიმე ნაწარმოებისაგან მიმიღია მაშინ
ისეთი უშუალო სიამოვნება, როგორც მე და ჩემს მეგობრებსაც მოგ-
ვანიჭა მისმა წერილმა „კოზლოვის „შეშლილის“ თარგმნაზედა“. ხმა-
მამაღლა ვკითხულობდით და შეუკავებლად, „პომერულად“ ვხარხა-
რებდით. და, რა თქმა უნდა, გვალელებდა მისი მოწინავეები და მისი
სიტყვა, წარმოთქმული ბარათაშვილის თბილისში გადმოსვენების
დროს. ჩვენ სახლში გვქონდა კრებული „ილია ქავჭავაძის სიკვდილი
და დასაფლავება“. მე მგონია, არც ერთ წიგნს არ მოუხდენია ჩემზე
ასეთი ემოციური ზემოქმედება — მან ერთიანად შემძრა. წიგნში თავ-

მოყრილია ყველაფერი, რაც მაშინდელ პრესაში გამოქვეყნდა ილიას დაღუპვისა და დაკრძალვის დღეებში, დაბეჭდილია თანაგრძნობის ტელეგრაფები, წარმოთქმული სიტყვების ტექსტები, ბევრი დოკუმენტური ფოტოგრაფია. ხელშესახებად, თითქოს ფიზიკურად გრძნობ ქვეყნისა და ერის მაჯისცემას იმ საშინელ დღეებში... გრძნობ იმასაც, რომ ეს საშინელი დღეები დიდი ეროვნული დღეებიც იყო — ერთი იმ საკვანძო, კულმინაციურ მომენტთაგანი, რომლებიც მთელ ერს აკავშირებს და დააფიქრებს თავის ბედ-იღბალზე, მომენტი, როდესაც მთელ ერს ერთი გული უძგერს (ყოველ შემთხვევაში, იმათ, ვინც შეიძლება ერს მიაკუთვნო). გაუთავებლად შემეძლო ამ წიგნის ფურცელა. აკაკი წერეთლის სიტყვას კი, რომელსაც ძალიან ხშირად ვუბრუნდებოდი, უცრემლოდ ვერ ვკითხულობდი. რა უკიდურესად უბრალო, როგორი მართალი და ამაღლევბელი სიტყვებია! ეს წიგნი ჩვენთვის პატრიოტიზმის უდიდესი გაკვეთილი იყო.

ასევე მიყვარდა აკაკი — „თორნიკე ერისთავი“, „ჩემი თავგადასავალი“, „ბაში-აჩუკი“ და, ალბათ, ყველაზე მეტად მისი გენიალური „განთიადი“, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ეს ჩვენი ეროვნული პოეზიის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალია და ისიც ისე მოქმედებდა ჩემზე, როგორც სიტყვა ილიას დასაფლავებაზე.

თავიდანვე ერთი საყვარელი მწერალთაგანი იყო დავით კლდიაშვილი — უკიდურესად უბრალო, მართალი და გულითადი. არ მიყვარდა ყაზბეგი. მგონი იმიტომ, რომ ერთფეროვნად მეჩვენებოდა, მოთხრობების სიუჟეტები და პერსონაჟები მერეოდნენ ერთმანეთში. სწორედ იმ ხანებში, ჩვენი მოწაფეობის დროს, გაიმართა ხანგრძლივი დისკუსია ალექსანდრეს ავტორობის შესახებ — მიხეილ ზანდუკელმა წამოაყენა დებულება, რომ ნამდვილი ავტორი დიმიტრი ყაზბეგი იყო და არა ალექსანდრე. ამან საზოგადოების მწვავე რეაქცია გამოიწვია. ალექსანდრეს დამცველად გამოვიდა ვახტანგ კოტეტიშვილი. იბეჭდებოდა დიმიტრის დის ელისაბედის მემუარები და სხვების ნაწერებიც. მაგრამ მიხეილ ზანდუკელს თავისი თეორია არასოდეს არ მოუხვევია ჩვენთვის თავზე — ეს იყო, რომ ახსენებდა მხოლოდ მწერლის გვარს, სახელს კი არა. ცოცხალ მწერალთაგან მაშინ უკვე პოპულარული იყო მიხეილ ჯავახიშვილი. ქართველ პროზაიკოსთაგან, მე მგონია, მას ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავდა საზოგადოების სხვადასხვა ფენაში. მის შესახებ ოჯახებშიაც მსჯელობდნენ, აზრთა სხვადასხვაობაც იყო, განსაკუთრებით „ჯაყოს ხიზნებისა“ და „თეთრი საყელოს“ შესახებ... შეფასების დროს ხშირად ისმოდა ასეთი გამოთქ-

მები: „ეს არ უნდა დაეწერა“, ან „რატომ არ უნდა დაეწერა“... ზოგს მიაჩნდა, რომ მწერალი სცილდებოდა „დასაშვების ფარგლებს“, იმიტომ, რომ ტრადიციული ქართული მწერლობისათვის სრულიად უჩვეულო ინტიმურ ამბებსაც ეხებოდა... ან რომ მის ნაწერებში ზოგი რამ ქართველ კაცს ამცირებდა, და სხვა. ყოველ შემთხვევაში, მისი რომანები უმეტესად მწვავე სოციალურსა და მორალურ პრობლემებს ეხებოდა და ყოველთვის მკითხველთა აქტიურ რეაქციას იწვევდა. ყველაფერი არა, მაგრამ ზოგი მისი ნაწერი უკვე მაშინ წავიკითხე და ყველაზე მეტად ამაღელვა „ტყის კაცმა“.

ჩემ საყვარელ მწერლად იქცა იმ დროიდანვე ნიკო ლორთქიფანიძე. ეს სიყვარული დღემდე შემომრჩა. როგორი დახვეწილი გემოვნების ოსტატია, როგორი მახვილი, შეუცდომელი თვალი აქვს, როგორი ლაკონიზმით, ლელარქნის გარეშე, თითქოს შეუმჩნეველი საშუალებებით აღადგენს ისტორიულ გარემოს, „ნანგრევთა სურნელებას“! (ასე ერქვა მის ერთ-ერთ კრებულს. ყდაზე ლეჩაქიანი ქალი ეხატა). პირველი წაკითხვისთანავე გამაოცა ჭოლა ლომთათიძემ, რომელიც, ჩემი აზრით, არ არის ისე დაფასებული, როგორც იმსახურებს.

სკოლის წლებში კონსტანტინე გამსახურდიასი არაფერი წამიკითხავს. მაშინ მას გამოქვეყნებული ჰქონდა მხოლოდ ნოველები და „დიონისოს ღიმილი“. ჩემი ხნის მოსწავლისთვის ეს რომანი არც იქნებოდა მისაწვდომი. იმ დროს გამსახურდია უკვე ცნობილი იყო არა მარტო როგორც მწერალი, არამედ როგორც თავისებური პიროვნებაც, რომელიც ჩვეულებრივ ნორმებს არ ექვემდებარებოდა და ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად ავლენდა თავის მოუსვენარ ხასიათს. მე მგონია, მისი ნამდვილი სამწერლო პოპულარობა უფრო „მთვარის მოტაცების“ შემდეგ დაიწყო. და მაინც, ჩემი აზრით, გამსახურდიას დიდი სახელი ჩვენი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მის ისტორიულ რომანებთან არის დაკავშირებული. მახსოვს, როგორი გამოძახილი ჰქონდა „დიდოსტატის მარჯვენას“ — ეს ბევრად უფრო გვიან იყო, 1939 წელს. ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, კონსტანტინე გამსახურდიას ხშირად შევხვედრივარ, ბევრჯერ მომისმენია მისი საჯარო გამოსვლა — ზოგი გულს ხვდებოდა, ზოგს შეიძლებოდა არც დათანხმებოდი, მაგრამ მისი საზოგადოებრივი აქტივობა გულგრილად არავის სტოვებდა; ხოლო მისი თხზულებები, რა თქმა უნდა, დიდად უწყობდა ხელს პატრიოტული შეგნებისა და გრძნობების გაღვივებას.

არაჩვეულებრივი გატაცებით წავიკითხე გამოქვეყნებისთანავე

(1926 წელს) შალვა დადიანის ისტორიული რომანი „გიორგი რუსი“ (მაშინ მას „უბედური რუსი“ ერქვა).

მაშინ, ჩემი მოწაფეობის წლებში, კიდევ ერთი ლიტერატურული ფაქტი, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, იყო ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა დემნა შენგელაიას „სანაეარდო“ — იგი მიჩნეულ იქნა ახალ სიტყვად ქართულ პროზაში. მე იმდენად ჩემი საკუთარი შთაბეჭდილება კი არ მახსოვს, რამდენადაც მამაჩემის აღტაცება დიდად ნიჭიერი მწერლის გამოჩენის გამო.

როცა გალაკტიონის კითხვა დავიწყე, რა თქმა უნდა, უძლიერესი შთაბეჭდილება დატოვა „მესაფლავემ“, „მთაწმინდის მთვარემ“, „მერიმ“, „ლურჯა ცხენებმა“, „თოვლმა“. პირადად მას გვიან გავეცანი. მხოლოდ ვესალმებოდით ერთმანეთს. რატომღაც არ მიცდია და არც მქონია სურვილი მისი ახლო გაცნობისა. ჩემთვის საკმარისი იყო მისი პოეზია. მისდამი ჩემი დამოკიდებულება (შეიძლება არა მარტო ჩემი) ცოტა არ იყოს უცნაური იყო. ჩემთვის ცოცხალი („მატერიალური“) გალაკტიონი და მისი შემოქმედება სრულიად განცალკევებით არსებობდნენ. როცა მას ვხვდებოდი, ჩემში არ იბადებოდა ფაქრი (განცდა!), რომ ეს არის კაცი, რომელმაც დაწერა ის საკვირველი ლექსები, დაწერა „დედაო ღვთისა, მზეო მარიამ“ — კიდევ უფრო საკვირველი და განუმეორებელი სტრიქონები.

მისი პოპულარობა უსაზღვრო იყო. მაგრამ — ეს არის ნიშანდობლივი — არა მარტო პოპულარობა, არამედ ლიტერატურული პრესტიჟიც (თორემ პოპულარობას ხშირად საკმაოდ მდარე ხელოვანიც აღწევს!). ჩვენი საზოგადოებისათვის არსებობდნენ აღიარებული მწერლები — კარგებიც, გამოჩენილნიც, და არსებობდა კიდევ — ცალკე, თითქოს განმარტოებით — გალაკტიონი, ყოველგვარ შედარებათა გარეშე.

და თუმცა, როგორც ვთქვი, ცოცხალ, რეალურ გალაკტიონთან ახლო არ ვყოფილვარ, დამენანა წვერი რომ მოუშვა. ნერვული გამომეტყველება ჰქონდა, მოუსვენრად მთრთოლვარე ტუჩები. წვერმა ეს ყველაფერი დაფარა და უფრო პროზაული იერი მიანიჭა მის სახეს.

იმ წლებში ძალიან გვიყვარდა გრიშაშვილი, მით უფრო, მისი „თბილისური“ ლექსები, „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“, ოვანეს თუმანიანის თხზულებათა მისი თარგმანი, რომელიც ერთბაშად ძალიან პოპულარული გახდა. ჩემთვის კი მთავარი ის იყო, რომ მიყვარდა თვით ცოცხალი გრიშაშვილი, ერთი პირველი მწერალთაგანი, რომელიც სტუმრად მოდიოდა ჩვენთან და რომელთანაც პირადი

ურთიერთობა მქონდა. დამრჩა მისი პორტრეტი, მისივე ხელმოწერით, რომელიც 1931 წელს ფანქრით დავახატე ნატურიდან, როცა ჩვენთან იყო. დარჩა (მამას და დედას არქივში) მისი რამდენიმე წერილი — ზოგი საქმიანი, ზოგი მოკთხვისა; დედას ახალგაზრდობიდანვე იცნობდა და ზოგჯერ ლექსებსაც უგზავნიდა; დარჩა ქალაქის ნაგლეჯზე ფანქრით დაჭლებილი „კალმის ნაეშმაკარიც“ — „მაჯამა ჩვენი კოპერატივის ნოქარს“:

ამ ღუქანში თუგინდ ოქრო ურიგოთ,
მე კი მაინც არ ვქცევი ურიგოთ,
და საქონელს არ წავიღებ ურიგოდ.



იოსებ გრიშაშვილი

1935. 29. XII“.

და კიდევ სრულიად მოულოდნელი ბარათი, ესეც უბრალო ქალაქის ნაგლეჯზე: „ვეჯოლ! ჩემს ბიბლიოთეკას ვუტოვებ ს. ს. ს. ს-ებას. გთხოვ, ცალკე ოთახი მიუჩინო, „გრიშაშვილის განყოფილება“ წარწერით. კატალოგი შეადგენინო და კიდევ: წიგნები სახლში არ წააღონ — და ვისაც წაღებული აქვს, საქართველოს მუზეუმში მოიტანონ. ი. გრ. 1929. 15 XI“. ოთხი „ს“ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“ უნდა ნიშნავდეს. ამ „ანდერძს“ მაშინ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ცალკე ფურცლებზეა კიდევ — ერთი ლექსის შავი, მეორე სახუმარო ლექსი მარჯანიშვილის მიერ დადგმული „არსენას ლექსის“ გამო.

გრიშაშვილი თავისებური და ძალიან საინტერესო კაცი იყო. გარეგნობაც დამახასიათებელი ჰქონდა: მაღალი, უკან გადაქანებული შუბლი, გვერდით გაყოფილი „გადაღესილი“ თმა, დიდი მანძილი ცხვირსა და ტუჩებს შორის, მკაფიოდ გამოკვეთილი ტუჩები და ნიკაპი. ქართული მწერლობის, ეურნალისტიკის, თეატრის შესახებ უამრავი რამ იცოდა — მარტო წიგნებს კი არ აგროვებდა (არასოდეს არ შემხვედრია ქუჩაში ისე, რომ ილღიაში წიგნები არ ჰქონოდა ამოჩრილი), არამედ ქართულ სათეატრო აფიშებს, პროგრამებსა და ბი-

ლეთებსაც. მგონი პირადად იცნობდა მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლების ქართული კულტურის ყველა დარგის ყველა მოღვაწეს — რომ აღარაფერი ვთქვათ ძველი თბილისის სამყაროზე. რა თქმა უნდა, არაქართულ ლიტერატურასა და პოეზიასაც კითხულობდა, მაგრამ საერთო განვითარების მხრივ უცნაური და მოულოდნელი ლაკუნები ჰქონდა. ძალიან უშუალო და ზოგ შემთხვევაში ბავშვივით გულუბრყვილო იყო და ესეც ბევრს მატებდა მის მომხიბვლელობას. ხომ ბევრი რამ მოასწრო, არა მარტო როგორც პოეტმა, არამედ როგორც მკვლევარმაც, მაგრამ, სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩა ზოგი რამ: ერთხელ მითხრა, მინდა დავეწერო „ქართული იუმორის ისტორია“ და „ძველი თბილისის ლექსიკონი“. მისგანვე ვიცოდი, რომ ამზადებდა ქართული თეატრის ისტორიას (მარჯანიშვილის გამოჩენამდე). და კიდევ დავიმახსოვრე მისივე ნაამბობი: ქუთაისში მისი საღამო უნდა გაემართათ (მისი ახალგაზრდობის დროს, მან ხომ ძალიან ადრე მოიხვეჭა პოპულარობა). რა თქმა უნდა, სათანადოდ ჩაცმული უნდა გამოსულიყო სცენაზე, მაგრამ ჰალსტუხის გაკეთება არ იცოდა. ამიტომ თბილისშივე გამოეწყო (ცხადია, ჰალსტუხიც გააკეთებინა) და ვაგონში მთელი ღამე დამჯდარმა გაათენა, რომ „ფორმა“ არ დაეკარგა. ერთი ზაფხული — 1926 წელს — ანაპაში ერთად გავატარეთ. მეუცხოებოდა პლაჟზე რომ ვხედავდი. იქ არ მოუწყენია. თუმცა მამას იქიდან წერდა, მე მაინც ჩემი წალვეერი მირჩევნიაო.

ვინც გრიშაშვილს მოესწრო და მისთვის მოუსმენია, სამუდამოდ დაამახსოვრდებოდა, როგორ კითხულობდა ის თავის ლექსებს. ეს იყო რაღაც საშუალო კითხვასა და სიმღერას შორის — თითქმის ყოველი სიტყვის ბოლო მარცვალს საოცრად აგრძელებდა: „აშპაშხანისკეეეენ, სადაც კლდის ქიმზეეეეე, დგას ნარიყალაააა, ჯავრით მზირალიიიი...“; თვალები დახუჭული ჰქონდა და ქანაობდა აქეთ-იქით. პირველად ეს გეუცხოებოდა, იმდენად მოულოდნელი იყო, მაგრამ მალე ეჩვეოდი და გრძნობდი, რომ ამგვარი კითხვა ბუნებრივია და არა ნაძალადევი, რომ იგი ორგანულად ეგუება გრიშაშვილის ლექსების ხასიათს. ამიტომ ასე კითხვა მხოლოდ გრიშაშვილს შეეძლო და მხოლოდ გრიშაშვილის ლექსებისა შეიძლებოდა. სხვას რომ ასე წაეკითხა, პირობა გამოვიდოდა. როცა მას ვუსმენდი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ კითხვის დროს გრიშაშვილი გონებით საღდაც სხვაგან იყო, საკუთარ სამყაროში, რაც სრულიად არ ამცირებდა დეკლამაციის გადამღებ ძალას. მაგრამ მაინც ეს დეკლამაცია შეიძლებოდა „მიგელო“, შეიძლებოდა — არა.

ძალიან არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საერთო განვითარებისა და ლიტერატურული ინტერესების გაფართოებისთვის იმასაც, რომ თანამედროვე ქართულ სამწერლო პერიოდიკას გაფაციცებით ვაღივებდი თვალს, ვიცნობდით „კავკასიონსა“ და „ახალ კავკასიონს“ (პავლე ინგოროყვა რედაქტორობდა), გერონტი ქიქოძისა და ვასო გიორგაძის რედაქციით გამოსულ „არიფონს“, ვიცოდით, რომ მათ თავს ესხმოდნენ „პროლეტარული“ კრიტიკოსები და შინაგანად გაკრიტიკებულთა მხარეს ვიყავით. არ გამოგვჩინია ფუტურისტების ორგანო H_2SO_4 , რომელმაც უზოპოდ გაგვაძხიარულა და შეგვიქცია. კვითხულობდით „მნათობს“, მაგრამ უფრო გვიყვარდა „ქართული მწერლობის“ ყვითელყდიანი, პატარა ფორმატის ტომები. ასე რომ, ლიტერატურული სამყაროს „ამბების კურსში“ ვიყავით და თანდათან გვიმუშავდებოდა საკუთარი დამოკიდებულება ლიტერატურულ-კულტურული მოვლენებისა და თვით მწერლების მიმართ.

რუს მწერალთაგან პირველად გოგოლს „შეხვდი“ და სამუდამოდ დავრჩი მის თაყვანისმცემლად. მისი თხზულებების ძველისძველა დიდი ერთტომეული გვექონდა სახლში, თავიდან ბოლომდე წავიკითხე და იმდენად ვიყავი „შეჰყრობილი“, რომ ლამის მამოდებდა. გამოაცა და აღმაფრთოვანა მისმა ფერადოვნებამ. სიმახვილემ, სახეების ძერწვის სტიქიურმა ძალამ, პიპერბოლებმა, მისტიკამ, უფრო კი იუმორმა, რომელიც ისეთ სიამოვნებას მგვრიდა, რომ ეს უკვე თითქმის ფიზიკური განცდა იყო. სკოლაშივე შეგუდექი ტოლსტოის „ომისა და მშვიდობის“ კითხვასაც, მაგრამ ცოტა უფრო გვიან მისი ნამდვილი გაგებისათვის საჭირო გახდა „მეორე ტურის“ ჩატარება.

აღბათ არ არსებობს ადამიანი, რომლისთვისაც მოვლენად არ გადაქცეულიყოს შექსპირთან და სერვანტესთან პირველი კონტაქტი. მაგრამ შექსპირთან პირველი შეხვედრა ჩემთვის მარცხით დამთავრდა: „პამლეტი“ დავიწყე, ვერაფერი ვერ გავიგე, ბოლომდე ვერც კი გავაღწიე და დარცხვენილმა და დაღონებულმა დავანებე თავი. დარცხვენილმა იმიტომ, რომ ეს ნაწარმოები, ლამის ყველაზე უფრო სახელმწიფოებრილი მსოფლიო მწერლობაში, ჩემთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. მაგრამ მეორე ცდის შემდეგ უკვე ამაყად ვგვრძობდი თავს: „პამლეტი“ ისე გამიტაცა და ამაფორიანა, რომ სხვაზე ველარაფერზე ვფიქრობდი, კითხვის დროს თითქმის ყოველი სცენისა და მონოლოგის შემდეგ უნდა შევჩერებულიყავი სულის მოსათქმელად. წავიკითხე ყველა სხვა პიესაც, რაც კი მაჩაბელს ჰქონდა ნათარგმნი, მაგრამ „პამლეტი“ მაინც ყველას ჩრდილავდა... ჩემთვის მაჩაბელი შექს-

პირისაგან განუყოფელი იყო და დღესაც არის, იგი არსებობს. როგორც დამოუკიდებელი ქართველი მწერალი, ურომლისოდაც ვერც კი წარმოვიდგენ გასული საუკუნის ბოლო ათეული წლების ჩვენს ეროვნულ კულტურას.

ნამდვილი ბედნიერება იყო „დონ-კიხოტის“ კითხვა — ისიც ქართულად წავიკითხე, ნიკოლოზ ავალიშვილის თარგმანი, 1905 წლის გამოცემა გიუსტავ დორეს უკვე კანონადქცეული ილუსტრაციებით.

ცოტა უფრო გვიან იყო, იქნებ უკვე პირველი კურსის სტუდენტიც ვიყავი, როცა გადავწყვიტე, რომ აუცილებელია დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ წაკითხვა. როგორც ცნობილია, ეს ადვილად საკითხავი წიგნი არ არის. დანტეს, შექსპირისა და სერვანტესისაგან განსხვავებით, სწავლობენ, პატივს სცემენ, ადიდებენ, მაგრამ ნაკლებად კითხულობენ. მე კი პრესტიჟის საქმედ მივიჩინე და ყოველ საღამოს, დძინების წინ, ნახევარი საათი „ჯოჯოხეთისთვის“ მქონდა გამოყოფილი. ქართული თარგმანი მაშინ არ არსებობდა, გვექონდა ძალიან „პარადული“ რუსული გამოცემა, უზარმაზარი და ყოვლად იოუხერხებელი ფორმატისა (არსად არ ეტეოდა), პარალელური რუსული და იტალიური ტექსტით, ესეც დორეს სახელგანთქმული ილუსტრაციებით... მაშინ მხოლოდ „ჯოჯოხეთი“ დავძლიე, სხვა წიგნები ვეღარა. და ზეპირად ვისწავლე იტალიურად ჯოჯოხეთის ბჰის წარწერა („აქ შემომსვლელო, იმედი დათმე სუყველაო...“).

ახლა, მგონი, ჩვენი ახალგაზრდობის ძიერ სრულიად დავიწყებულია, მაშინ კი დიდი გატაცებით, სულმოუთქმელად ვკითხულობდით ჰენრიკ სენკევიჩს — მის ტრილოგიას „ცეცხლითა და მახვილით“ და არანაკლებ სახელგანთქმულ რომანს „ვიდრე ხვალ, უფალო“ (Quo vadis) — მართლაც ოსტატურად დაწერილთ... სამოციან თუ სამოცდაათიან წლებში ეკრანებზე გამოჩნდა ტრილოგიის კინო-ვერსია, პოლონელების მიერ გადაღებული. მას ისეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორიც წიგნმა დატოვა — არ ვიცი, იმიტომ, რომ დამდგმელები ვერ გაუტოლდნენ მწერალს, თუ იმიტომ, რომ მე ცამეტ-თოთხმეტი წლისა აღარ ვიყავი.

კოტე ჯავრიშვილს, რომელიც დიდი სისწრაფით და რაოდენობით „ნთქავდა“ წიგნებს, უეჭველია წაკითხული ექნებოდა მთელი კლასიკური „საყმაწვილო ლიტერატურა“ — ფენიმორ კუპერიც, ვალტერ-სკოტიც, ალექსანდრე დიუმაც, ყიულ ვერნიც... მე ამ მხრე რატომღაც ჩამოვრჩებოდი. პატარაობისას წავიკითხე ფრანგული საბავშვო წიგნები, მათ შორის ჰექტორ მალოს თავის დროზე დიდად პოპულარ-

რული „უსახლკაროდ“, ხოლო ვინმე ელი ბერტეს „მიშელ მორენის თავგადასავალი“ ვთარგმნე კიდევ ქართულად, საერთო რვეულში „სუფთად“ გადავწერე თარგმანი და ილუსტრაციებიც დავურთე. მაშინ თერთმეტი თუ თორმეტი წლისა ვიყავი.

პატარაობისას ძალიან მიყვარდა, რა თქმა უნდა, შიო მღვიმელი. რომლის ლექსები და პოემები თხელ, პატარა დასურათებულ წიგნაკებად იყო დაბეჭდილი; ასევე მიყვარდა საბავშვო ჟურნალის „ჩე-ჩილის კითხვა; ჩემ დროს უკვე აღარ გამოდიოდა, მაგრამ გვქონდა ოცდახუთი წლის კომპლექტი, ასე რომ ჩემთვის ეს ამოუწურავი წყარო იყო. არ ვიცი, არის თუ არა ჩვენს პედაგოგიკურ ლიტერატურაში სათანადოდ შეფასებული ეს მშვენიერი, დიდად შინაარსიანი ჟურნალი, რომელშიც ორიგინალურის გარდა, ბევრი ნათარგმნი თხზულებაც იბეჭდებოდა. მაშინ გატაცებით ვკითხულობდით ახლა სრულიად გადავიწყებულ ნაწარმოებთ — „პატარა ლორდ ფონტლეროსი“, „ლედი ჯენს“ — სანტიმენტურ მოთხრობებს უსაზღვროდ კეთილშობილი ბავშვების შესახებ... რატომღაც დაბეჭდილი იყო ამერიკის პრეზიდენტის ჯეიმს გარფილდის ცხოვრებაც... პირველად „ჩეჩილიდან“ გავიგე, რა არის ანდაზები, გამოცანები, აკროსტიხები, რებუსები.

დიდი მადლობით ვიგონებ, რომ მაშინ არსებობდა მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა საბავშვო ადაპტაციები ქართულ ენაზე — მაგალითად, ცნობილი პედაგოგისა და ლიტერატორის ალექსანდრე მიქაბერიძის მიერ მისაწვდომად და საინტერესოდ დაწერილი „ტროადის ომი“ და „ოვიდიუსის მეტამორფოზები“, რომელთა წყალობითაც ბავშვებს საშუალოდ აღებეჭდებოდათ მეხსიერებაში მშვენიერი ელინური მითები... რატომ არ შეიძლება ამ წიგნების ხელმეორედ გამოცემა? (ახლაც მახსოვს, როგორ ურუანტელს მგვრიდა გამოთქმა „ელინთა ძღვევაჲსილი ლაშქარი“ და უფრო მეტად სიტყვა „ელვისისწრაფით“).

არსებობდა ასევე ცოცხლად, მიმზიდველად დაწერილი პოპულარული წიგნები მუსიკაზე — ია კარგარეთელისა, ჭადრაკზე — მიხეილ საყვარელიძისა... არც ამ, ან ამგვარი წიგნების ახლად გამოცემა აწყენდათ ჩვენს ბავშვებს... ან რატომ აღარავის არ ახსოვს უკვე ხსენებული დავით დონდუას და ლეო ქიაჩელის საბავშვო თხზულებები?

ასევე კეთილი გრძნობით ვიხსენებ კიდევ ორ გამოცემას: რევოლუციამდელი რუსული საბავშვო ენციკლოპედიის ათტომეულს, პედაგოგიური თვალსაზრისით ოსტატურად შედგენილს, და ბრემის

„ცხოველთა ცხოვრებას“. „აივენჰო“, „გრაფი მონტე-კრისტო“, უიულ ვერნი, კუპერი და სხვანი, ჩემდა სამარცხვინოდ, მხოლოდ უფრო გვიან, სტუდენტობის დროს წავიკითხე („პარიზის ღვთისმშობლის ტაძარიც“ კი!).

ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა ხასიათის ლიტერატურასთან პირველ გაცნობასაც, ჯერ კიდევ სკოლის წლებში. ეს იყო წიგნები საქართველოსა და ქართული კულტურის ისტორიის შესახებ მამას ბიბლიოთეკაში, წიგნები, რომლებიც ახლა კი არა, მაშინაც უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა: „Акты Кавказской археографической комиссии“, უშველებელი ტომები, რომლებიც XIX საუკუნის (ზოგს უფრო ადრინდელსაც) უამრავ უძვირფასეს ოფიციალურ საბუთს შეიცავდა; მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოების სერია „Материалы по археологии Кавказа“, რომლის რამდენიმე ტომიც ქართული ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილი; პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის წიგნები, თედო ჟორდანიას „ქრონიკები“, საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ყველაფერი, რაც ექვთიმე თაყაიშვილს ჰქონდა შედგენილი და გამოცემული — მისი „მოგზაურობანი“ ქართულად და რუსულად, „ძველი საქართველო“, „საქართველოს სიძველენი“, მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“; გამბას, დიუბუას, ბროსეს, მურავიოვის მოგზაურობანი. ალექსანდრე ცაგარლის, ნატროშვილის, ჯანაშვილის, საძაგლიშვილ-ივერიელის (კირიონის) შრომები, ნიკო მარის თხზულებები, მისი რედაქტორობით გამოსული სერიები „Христианский Восток“, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის პერიოდული გამოცემები, ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, სარგის კაკაბაძის ადრე გამოცემული წიგნები და კიდევ ბევრი სხვა რამ... ეს ნამდვილი განძი იყო. მაშინ მე ჯერ კიდევ შორიახლო ვუტრიალებდი ამ განძს, ზოგს რასმე ვკითხულობდი კიდევ, ზოგ წიგნს ვფურცლავდი, მაგრამ ესეც ძალიან არსებითი საზრდო იყო ჩემი ინტერესების გარკვეულად წარმართვისათვის, ერთგვარი, თუნდაც ქვეცნობიერი, მიახლოება იმასთან, რაც ჩემი ცხოვრების საქმედ იქცა. მერე, როდესაც ქართული ხელოვნების ისტორიკოსობის გზას დავადექი, მუშაობის დროს იშვიათად მჭირდებოდა ბიბლიოთეკაში წასვლა — თითქმის ყველაფერი ხელთ მქონდა... სანამ პატარა ვიყავი, საქართველოს ისტორიის გასაცნობად სხვა წყაროს მივმართავდი: სიმონ ქვარიანის „საქართველოს ისტორიას“, 1920 წელს გამოცემულ პოპულარულ წიგნს ქართველ მეფეთა

პორტრეტებით და სწვა ილუსტრაციებითაც. წიგნი გაზეთის ქალაღზე იყო დაბეჭდილი, სურათების უმეტესი ნაწილი ჭუჭყიანი ლაქებივით აჩნდა ფურცლებს, მაგრამ მეფეების — ფარნაოზის, მირიანის, ვახტანგ გორგასალის (იქ „გორგასლანი“ ეწერა) და სხვათა სურათები (შტრიხიანი კლიშეები) მაინც გაირჩეოდა. პრიმიტიული ნახატები იყო, ტექსტიც საკმაოდ ელემენტარული, მაგრამ მე კი მიზიდავდა, მხოლოდ ის ნაწილები, სადაც ქართველთა გამარჯვების ამბები ეწერა. დამარცხების ამბებს არც ვკითხულობდი. ალბათ მოქმედებდა ბავშვების „თავდაცვის ინსტინქტი“: ბავშვები ხომ ვერ იტანენ ისეთ მოთხრობას ან ზღაპარს, რომელსაც ცუდი დასასრული აქვს! სამაგიეროდ, რა სიამოვნებას მგვრიდა ეს გამოთქმები და წინადადებები: „ნორჩი მეფის საარაკო გმირობა“, „ქართველთა ვაჟკაცობა“, რომელმაც „შიშისზარი დასცა მტერს“; დავით აღმაშენებელი „ელვასავით გაჩნდა თრიალეთს, ჩუმად დაეცა ღამით თურქების ბანაკს და საშინლად დაამარცხა მტერი“, მტერმა „ველარ გაუძლო ქართველთა სიმამაცეს, იბრუნა პირი და გაკურცხლა“. აი, ამ სიხარულის წუთებისთვის მე მაინც მადლობით ვიგონებ ამ წიგნსაც.

დიდი სარგებლობა მომიტანა ენციკლოპედიურმა ლექსიკონებმა, რომელთა კითხვა და თვალთვლითა ჩემს საყვარელ საქმიანობას შეადგენდა. ჩვენ გვქონდა ორი რუსული ენციკლოპედია — „ბროკჰაუზ-ეფრონისა“ და „გრანატისა“; პირველი მაინც (მეორე, დაუმთავრებელი გამოცემა), ნამდვილი საგანძური იყო ინფორმაციისა. გვქონდა აგრეთვე „ლარუსის“ ფრანგული ენციკლოპედიის შვიდტომიანი გამოცემა ჩვენი საუკუნის დასაწყისისა, უამრავი ილუსტრაციით. საათობით შემეძლო ამ უშველებელი ტომების ფურცელა... დარწმუნებული ვარ, რომ ენციკლოპედიებთან გონივრული „ურთიერთობა“ მოწაფეობის წლებშივე უნდა დაიწყოს — ეს დიდად გააფართოებს ახალგაზრდის ჰორიზონტს... ასევე თარგმნითი ლექსიკონების ხმარების კულტურაც.

ჩვენ ერთმანეთს ეუხიარებდით შთაბეჭდილებებს წაკითხულის შესახებ. კოტე ჯავრიშვილი აშკარად გვჯობდა თანამედროვე რუსული და უცხოური ლიტერატურის ცოდნის მხრივ... პირველი თანამედროვე უცხოელი მწერლები, რომელთაც მე გავეცანი, იყვნენ ჯეკ ლონდონი, ბერნჰარდ კელერმანი, შტეფან ცვაიგი — სამივენი ძალიან პოპულარულნი იმ წლებში ჩვენი მკითხველი საზოგადოების წრეებში, ერის მარია რემარკი, უიულ რომენი, მერე — ანატოლ ფრანსი, ქართულად ნათარგმნი... პირველ და მეორე კურსზე ყოფნისას ინტენსიუ-

რად ვინაზლაურებდი „დანაკარგს“: რუსთაგან მაშინ დიდი გატაცებით წავიკითხე თითქმის მთელი ჩეხოვი, გერცენის განსაცვიფრებელი *Былое и думы*, ტურგენევი და თანამედროვენი — ტინიანოვი, პილნიაკი, კატაევი, და ფრანგულად — ძალიან ბევრი მოპასანი და ზოლა — ორივენი ალტაცებით. მაშინ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ზოლამ.

ჩვეულებად მქონდა წაკითხული წიგნების შესახებ მოკლე შთაბეჭდილების ჩაწერა. ჩემი ბიბლიოთეკის ანბანური კატალოგიც შევადგინე... ძალიან ვნანობ, რომ ზოგი რამ, რაც მაშინ მქონდა, სადღაც დაიკარგა. მაგალითად, ჟურნალ „მოგზაურის“ 1901 წლის ნომრები, ზემოხსენებული „ტროადის ომი“ და „ოვიდიუსის მეტამორფოზები“ და ბევრი სხვა. მწერლობისადმი სიყვარულის ერთი გამოვლენება ისიც იყო, რომ ფანქრით დავხატე ოცი თუ ოცდახუთი მწერლის პორტრეტი და ჩემი ოთახის კედელზე გავაკარი ყველა. რატომღაც მხოლოდ უცხოელების პორტრეტები იყო და სამი რუსისა — გოგოლის, პუშკინისა და ტოლსტოისა.

ოციან წლებს უკავშირდება მოგონება ორ ადამიანზე, რომლებიც სგანაც მე დიდად დავალბებული ვარ. ერთია ელისაბედ ორბელიანი, რომელთანაც ფრანგულსა და ინგლისურს ვსწავლობდი, მეორე — მუსიკის მასწავლებელი ევგენია ჩერნიაევსკაია.

ელისაბედ ორბელიანამდე ორი თუ სამი მასწავლებელი გამოვიცვალე, ერთი მათგანი ფრანგი ქალი იყო, არისტოკრატიული გვარისა, გრაფის შთამომავალი მაღამ დე მონესტიე-ლა ტრან (თანაც სამი სახელი ერქვა — მარგრიტ-ადელაიდ-მარი. ძალიან მომწონდა ხმაძაღლა ამ სახელებისა და გვარის წარმოთქმა). ცხადია, გაძვალტყავებული არისტოკრატიული ოჯახი უნდა ყოფილიყო, თუ ეს ჩემი მასწავლებელი სამშობლოდან ცხრა მთას იქით გადაიხვეწა ლუქმაპურის საშოვნელად... ორი თუ სამი წელი მასწავლიდა, შემდეგ მაინც დაბრუნდა საფრანგეთში და ტულუზიდან წერილიც მომწერა... იმ დროს ობილინსში რამდენიმე ასეთი „მადამი“ მოიძებნებოდა.

მერე მიმაბარეს ელისაბედ ორბელიანს. დიდად საინტერესო პიროვნება იყო: მამით — ერეკლე II-ის შვილიშვილისშვილი და ალექსანდრე ბატონიშვილის შვილიშვილი, იმ ალექსანდრესი, რომელიც არ შეურიგდა რუსეთს, მგონი სპარსეთშიაც ეძებდა დახმარებას, იყო დაღესტანშიაც და ისეთი ხმებიც დადიოდა თურმე, შამილი მისი შვილიაო; დედით — ალექსანდრე ქავკავაძის შვილიშვილისშვილი. მე მოვუსწარი დედამისს, თამარ ქავკავაძეს, დავითის ასულს... პა-

ტარა ტანის ცოტათი ელაში ქალი იყო, მშვენიერ დარბაისლურ ქართულს ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც ფრანგული ერჩივნა. დიდხანს ვეჩვეოდი იმ აზრს, რომ ეს ადამიანი, ჩემი თანამედროვე, რომელსაც მე ცოცხალს ვესაუბრებოდი, ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილია, ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეების ღვიძლი ძმისწული, რომ გრიბოედოვი მას ბიძად ერგებოდა, რომ 1854 წელს, ორი წლისა, იგი შამილმა გაიტაცა წინანდლიდან და ერთხანს მასთან იყო დატყვევებული. როცა გარდაიცვალა (1933 წელს), ვილაცას ელისაბედისთვის ეკითხა, მაინცდამაინც საეკლესიო წესით უნდა დაკრძალოთ? ელისაბედს ეპასუხნა — 81 წლისა იყო, Она всю жизнь была верующей, не могу-же я ее похоронить, как юного пионера! ელისაბედის მეუღლე მამუკა ორბელიანი ყოფილა, მდიდარი, მაგრამ, ეტყობა, სრულიად უმნიშვნელო პიროვნება, იმ ორბელიანთაგანი, რომელთაც თბილისში აბანოები ეკუთვნოდათ. აჲ არ ცვდები, მათი ერთ-ერთი მამული ვაშლოვანში უნდა ყოფილიყო (ბოლნისის გზიდან მარჯვნივ უნდა გაუხვიო იქ მისასვლელად). იქ დღემდე დგას 1811 წელს აგებული მრგვალი კოშკის ნანგრევი — წარწერაში თამაზ ორბელიანი იხსენიება მამულებლად, და ელისაბედის ვაჟსაც თამაზი ერქვა.

ელისაბედის მამა და თვით ელისაბედიც, როგორც მეფის პირდაპირი შთამომავლები, „გრუზინსკებად“ იწოდებოდნენ, ხოლო როცა საფრანგეთში ცხოვრობდა და სწავლობდა, Lise de Géorgie ერქვა. დიდხანს უცხოვრია ვენეციაშიც, მგონი, თავისი პალაცოც კი ჰქონდათ. ქართულისა და რუსულის გარდა, მშობლიურ ენასავით იცოდა ფრანგული და ინგლისური, იცოდა იტალიურიც. ახალგაზრდობიდანვე მწერლობდა, ფსევდონიმად ჰქონია Sazan d' Ary. ფრანგულად თარგმნა ლერმონტოვის „დემონი“ და ეს თარგმანი ცნობილი ფრანგი მწერლის ფრანსუა კოპეს წინასიტყვაობით გამოვიდა პარიზში 1900-იან წლებში (მითხრა, კოპე ავად იყო, საავადმყოფოში იწვა და წინასიტყვაობა იქ დაწერაო). აკაკი წერეთელმა ალბათ ამის გამო აჩუქა მას თავისი ფოტოსურათი ასეთი წარწერით: „ფრანციცულად გიყვარს წერა, რუსულს თარგმნი, ქართულს ვერა, მაგრამ შენი ქართველობა, გეფიცები, მაინც მჭერა“. რევოლუციის შემდეგ რედაქტორობდა თბილისის ფრანგულ გაზეთს, 1918 წელს კი მიწვეულ იქნა ჩვენს ახლად გახსნილ უნივერსიტეტში ფრანგული ენის ლექტორად.

ჩემ დროს ელისაბედი ცხოვრობდა წყნეთის (ახლა მელიქიშვილის) ქუჩაზე, ერთსართულიან სახლში (სახლი ახლაც დგას, მის წინ

სულ პატარა სკვერია, მაგრამ ერთი სართული აქვს დაშენებული). ერთი დიდი და ერთი პატარა ოთახი ჰქონდა. თავს ირჩენდა გაკვეთილებითა და თარგმანებით. ახლა უკვე ქართულიდან თარგმნიდა, მაგალითად, მიხეილ ჭავჭავიძის მოთხრობებს; რამდენადაც ვიცი, ზოგი თარგმანი პარიზის რომელიღაც გაზეთში დაიბეჭდა. უნდა ეთარგმნა „არსენა მარაბდელიც“ და ამასთან დაკავშირებით უჩვეულო, რამდენადმე ტრაგიკომიკური განცდები ჰქონდა: იყო ერთი თ-შვილის ქალი, თავადიშვილების ოჯახის შვილი, განათლებული და ქჟუიანი, ექიმი და სტენოგრაფიის მცოდნე, მაგრამ იმ ხანებში უკვე სულით ავადმყოფი. მისი ერთ-ერთი „პუნქტი“ 1832 წლის შეთქმულება იყო, რომელსაც მაშინ 100 წელი უსრულდებოდა. „არსენა მარაბდელის“ გამოსვლის შემდეგ აითვალისწუნა მიხეილ ჭავჭავიძე — ეს წიგნი თავადაზნაურობის დასაღუპავად არის დაწერილიო. გაზეთიდან შეეტყო რომ ფრანგული თარგმანი მზადდებოდა, მიუვარდა ელისაბედს და გამოუცხადა, თუკი იმ წიგნის თარგმნა გაბედეთ, მოვალ და ყუმბარას გესვრითო. ყუმბარას კი. ცხადია, არ მესვრის, მაგრამ სილას კი ნამდვილად გამაწნისო, — ამბობდა ელისაბედი. მაგრამ თარგმანი არ განხორციელებულა და ელისაბედიც გადაურჩა ხელახალ თავდასხმას. იმ ქალს კი მართლა ბევრი ცნობილი პირისთვის ჰქონდა სილა გარტყმული.

ელისაბედთან ერთად ცხოვრობდნენ, დედის გარდა, ვაჟი თამაზი — ინგლისურის ლექტორი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, უცოლშვილო კაცი, როგორც ჩანს, ჭამისა და სმის დიდი მოყვარული (მეორე ვაჟი, პიანისტი ერეკლე, რომლის მშვენიერი პორტრეტიც აქვს შესრულებული ქეთო მაღალაშვილს, საფრანგეთში ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა); ამას გარდა, ერთი ფრიად თავისებური სუბიექტი, ძველი, უკვე კარგა მოხუცებული, მოსამსახურე ლ. უცნაური ის იყო, რომ ლ-ს ჰყავდა ვაჟი, ცნობილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე, დიდად ინტელიგენტი კაცი; მაგრამ ლ-მ მასთან ცხოვრებას ორბილიანებთან დარჩენა არჩია; ელისაბედის დედას დიდი მოწიწებით უპყრობოდა და „დიდ ქალბატონს“ ეძახდა, ელისაბედს კი ავღუბულად ეკიდებოდა, ზოგჯერ შეუკუთონებდა კიდევ. ერთხელ ელისაბედმა სიცილით თქვა, დღეს ლ-მ მომადახა — „შენც გაწყდი და შენი პარტრეტიცაო“, მერე მითხრა, „შე იუდას კერძო“. ელისაბედს უფრო ის აცინებდა, რომ ლ-მ „პარტრეტი“ თქვა და არა „პორტრეტი“. მისი ბინის მოსახლეობას შეაღვენდნენ აგრეთვე შვიდი კატა და სამი ძაღლი, ყველა უჯიშო. ერთ კატას „თოვლიკო“ ერქვა, ალბათ, თავდაპირველი ფერის გამო, მეორეს — „პრენსეს“, მესამეს —

„დიუმეს“. „მთავარ“ ძალს კი, რომელიც სულ მაკედ იყო, „ღეზი“.

ელისაბედის ბინაც, მისი ოჯახის ცხოვრებაც ძველი ქართული არისტოკრატიის დეგენერაციის მძიმე სურათს წარმოადგენდა, თუმცა თვით ელისაბედს, ჩემ დროს სამოც წელს გადაცილებულს (ბევრად უფროსი ჩანდა), სავსებით სალი გონება და იუმორის მახვილი გრძობა ჰქონდა. ეს იყო ნიმუში ცხოვრების ახალ პირობებთან შეგუების სრული უუნარობისა. ეს ქალი, რომელსაც თურმე საქორწილოდ მთელი თეთრეული ჰოლანდიიდან გამოუწერეს და მრეცხავი ქალიც კი იქიდან ჩამოუყვანეს, ახლა წარმოუდგენელ ჭუჭყში იყო ჩაფლული. მშვენიერი ძველებური ავეჯი ჰქონდა (განსაკუთრებით მომწონდა და მართლაც შურის თვალით ვუყურებდი „გუთური სტილის“ წიგნის თაროს, ძალიან ფართო“ სართულებით“). მაგრამ ჩაგლეჯილი სავარძლებიდან ზამბარები იყო ამოჩრილი და მე ფრთხილად ვკვებოდი სავარძლის კიდზე, რომ ზამბარას არ წამოვგებოდი. ოთახებს არავინ არ გვიდა, ყველაფერს მტერის ფენა ედო. ლ. ისე იყო გამურული, რომ სახე ძლივს უჩანდა, თვით ელისაბედი, მე მგონია, თვეობით არ იკარებდა წყალს, ზამთარში კი შეეძლო ფეხსაცმელგაუხდელად ჩაწოლილიყო ლოგინში.

გაკვეთილებისა და თარგმანებისაგან საკმარისი შემოსავალი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ხარჯვაც არ იცოდა, მუდამ უფულოდ იჯდა. ზოგჯერ მამასთან გამატანდა წერილს (ქართულად, ძალიან გრძელი და 45°-ით დახრილი ასოებით ნაწერს) — მევალები მაწუხებენ და თუ შეიძლება, ფული წინასწარ გამომიგზავნეთ.

როცა მე მივიდოდი გაკვეთილზე, ელისაბედი პატარა ოთახში იჯდა მაგიდასთან, ხშირად პასიანსს აწყობდა; მის უკან ეკიდა მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული დიდი სურათი, ვენეციური სკოლის „ჯვარცმა“ (ბევრი სხვა კარგი სურათიც ჰქონდა). ელისაბედი ყავას სვამდა და განუწყვეტლივ სწევდა პაპიროსს — ერთს რომ ამთავრებდა, ზედვე უკიდებდა მეორეს, ფერფლი კი ყავაში ცვიოდა. გამხმარი, დანაოკებელი სახე და არაჩვეულებრივად სქელმინიანი სათვალე ჰქონდა, მობუზული იჯდა და სანამ დაილაპარაკებდა, მოჩვენებას ჰგავდა. სავარძლებში მშვიდად ეძინათ კატებს. ამ დროს შემოვარდებოდნენ ძაღლები, კატები თვალისდახამხამებაში საღდაც ქრებოდნენ, „თოვლიკო“ კი ასწრებდა იმ „ჯვარცმაზე“ აცოცებას და მოვარაყებულ ჩარჩოზე წამოწოლას. ამის გამო ელისაბედი ამბობდა: — Тавлико похожа на государя в литерной ложе.

ერთხელ, გაკვეთილზე რომ მივედი, ოთახებში ჩვეულებრივზე უფრო მძიმე ჰაერი დამხვდა და სული ძლივს მოვითქვი. თურმე ნავთქურა აბოლებულიყო. ელისაბედმა მითხრა — *Товлико закоптела*. კატა კი მართლაც გაშავებული იყო, მაგრამ გამურულობით არც ელისაბედი ჩამოუვარდებოდა.

მიუხედავად ამისა, მაინც მიყვარდა მასთან მისვლა. საინტერესო აღამიანი იყო, ბევრის მომსწრე და მნახველი, იცნობდა გამოჩენილ ქართველ და უცხოელ მოღვაწეებს, დაუზარებლად მიაშობდა ბევრ რასმე. ერთხელ მითხრა, მსოფლიოს ბევრი კომიკოსი მინახავს სცენაზე, მათ შორის გამოჩენილი ფრანგი მსახიობი კოკლენი, მაგრამ ვასო აბაშიძისთანა ნიჭიერი არავინ შემხვედრიაო. ჰქონდა ერთი ალბომი ავტოგრაფებისთვის, ყდაზე ინგლისურად ამოტვიფრული წარწერით: *The ornaments of a home are the friends, who frequent it* („ოჯახის სამკაულს წარმოადგენენ მეგობრები, რომლებიც მას ესტუმრებიან“). ბევრი სახელგანთქმული აღამიანის ავტოგრაფი იყო შიგ: აკაკისა, ვაჟა-ფშაველასი, ვასო აბაშიძის, კოტე მესხის, სუმბათაშვილის, კოტე ყიფიანის, გრიშაშვილის, აბაშელის; არაქართველთაგან — შალიაპინის, რახმანინოვის, ბალმონტის; მსოფლიო სახელის მქონე პიანისტების — გალტონისა და ჰოფმანის, დიდი მევიოლინის იან კუბელიკის, ფრანსუა კოპესი, რამდენიმე მხატვრის ჩანახატი.

ამ ალბომმა შურით ამავსო და გადავწყვიტე მეც გამეჩინა ასეთი რამ. გავიჩინე კიდევ და, ბევრი შესანიშნავი აღამიანი „მოვაგროვე“: ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, კოტე მარჯანიშვილი, ნუცა ჩხეიძე, შიო მღვიმელი, ლეო ქიაჩელი, თედო სახოკია, მელიტონ ბალანჩივაძე, იოსებ გრიშაშვილი, ნიკოლოზ ტიხონოვი, მიკოლა ბაჟანი და ბევრი სხვა (გრიშაშვილმა ჩამიწერა: „ლექსს ვერ გიწერ ჩემო ვახტანგ, ჩემი მუზა სადღაც გახტა“. მერე დაუმატა: „ქვეს მხოლოდ იმ ხეს ესვრიან, რომელიც ბევრ ხილს იხამს. ქალაქური ანდაზა“. „პოსტ სკრაპტუმად“ კი მიაწერა: „მერე იყოს. ცოტა კარგ ლექსს დაგიწერ, ისეთს, რომლის მოთავსებისთვისაც არ შერცხვებათ ჩემს რედაქტორებს შემდეგში“. ცხადია, ეს დაპირება დაპირებადვე დარჩა).

ელისაბედი არასოდეს არ უჩიოდა ბედს, არც რაიმე გაღიზიანება შემიმჩნევია მის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებათა გამო. ერთხელ ისიც კი თქვა სიცილით, რა მოსაწყენი იქნებოდა, მე რომ დედოფალი ვყოფილიყავიო. ერთხელ კი აშკარა სიამოვნებით მიაბზო — სასამართლოში ვინმე პარუნ-სარქისოვს ჰქონია საქმე (ეს უკვე საბჭოთა წლების ამბავი იყო), მოსამართლე კი სულ სარქისოვად უხმობდა. რამდენჯერაც ის სარქისოვს იტყოდა, იმდენჯერვე სარქისოვი წამოდგებოდა და თავის დაკვრით უსწორებდა — პარუნ-სარქისოვიო. ბოლოს მოსამართლე თურმე გაბეზრდა და წამოიძახა, რა გამიჭირე საქმე, რომელი ჯამბაკურ-ორბელიანი შენა მყავხარო. ახლანდელეებსაც ჰქონიათ იუმორიო, იცინოდა ელისაბედი.

რა თქმა უნდა, არავითარი პედაგოგიური ნიჭი არ გააჩნდა, არც არავითარი მეთოდოლოგია, მაგრამ მონდომებული კაცისთვის მასთან ურთიერთობა სასარგებლო იყო: ენის პრაქტიკამ (თანაც მშვენიერ ფრანგულს ვისმენდი), ელისაბედთან საუბრებმა ბევრი რამ მომცა...

ელისაბედთან სწავლა უკვე კარგა ხნის დამთავრებული მქონდა, როცა 1941 წელს მასთან კვლავ მომიხდა მისვლა: ქართულ ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომათა — „ქართული ხელოვნების“ — I ტომის ფრანგული რეზიუმეები დაგვჭირდა და ამისთვის მივაკითხე. ბინა კიდევ უფრო ჭუჭყიანი და გაპარტახებული დამხვდა, ოთახებში კი ისეთი მძიმე ჰაერი იყო, რომ ოც წუთზე მეტი ვერ გაეძელი, თვალები ამეწვა და ცრემლები წამომივიდა...

ელისაბედი ომის დროს გარდაიცვალა, სულ მარტო დარჩენილი — შვილიც დაეღუპა და აღარც ბებერი ლ. იყო ცოცხალი.

როგორ კონტრასტს წარმოადგენდა ელისაბედ ორბელიანთან ქართული სამეფო საგვარეულოს კიდევ ერთი „გადმონაშთი“ — მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი, თავის დროზე ფრიად ცნობილი საზოგადო მოღვაწე! მე სულ ერთხელ ვნახე, როცა უკვე ოთხმოცს გადაცილებული იყო და ასე მეგონა მოხუცებულ თამარ მეფეს ვხედავდი, ისეთი დიდებული სანახავი იყო, ისეთი გამორჩეული არისტოკრატიზმის ბეჭედს ატარებდა. ახლა ორბელიანთა გვარისა აღარავინ დარჩა.

ევგენია ვასილის ასული ჩერნიავესკაია იმსახურებს, რომ მისი სახელი პატივისცემითა და მაღლობით მოიხსენიოს ქართული ხელოვნების გულშემატკივარმა. საშუალო მუსიკალური განათლება მასთან მიიღო ჩვენი ეროვნული მუსიკალური კულტურის ბევრმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, კომპოზიტორებმა: ოთარ თავთაქიშვილმა, ოთარ

გორდელმა, ალექსანდრე შავერზაშვილმა: პიანისტებმა: მარინე მდივანმა და ალექსანდრე ნიჟარაძემ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგებმა: გივი ლორთქიფანიძემ, ელეონორა ექსანიშვილმა და ვიქტორია დარჩიამ; მასთანვე სწავლობდა ღირიყორი გივი აზმაიფარაშვილი. იგი ნახევარი საუკუნე ემსახურა თავის საქმეს, ემსახურა პირნათლად, თავდადებით და ღრმა გავლენა მოახდინა ყველა თავის მოწაფეზე, არა მარტო იმათზე, ვინც შემდეგში თავის ხელობად მუსიკა არჩია, არამედ იმათზეც, ვინც მუსიკას აღარ გააყოლია. გავლენა მოახდინა იმიტომ, რომ ძლიერი პიროვნება იყო, მაღალი ზნეობისა და მტკიცე პრინციპების მქონე, იშვიათი პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებული. მშვენივრად იცნობდა თეატრს (განსაკუთრებით მოსკოვის სამხატვრო თეატრის თაყვანისმცემელი იყო), კარგად ხატავდა. მისი ოჯახი დიდად მეგობრობდა დიმიტრი შევარდნაძესთან და გამოჩენილ მხატვართან, ჩვენი სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ დამაარსებელ ევგენი ლანსერესთან, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა თბილისში.

თვითონ ევგენია თბილისელი იყო, ბებია ქართველი ჰყავდა. ძალიან მძიმე წლები ჰქონდა გამოვლილი — სამოქალაქო ომში დაეღუპა სამი ძმა და მეუღლე. ოთხნი დანი დარჩნენ. ორი უფროსი გაუთხოვარი იყო — ოთხმოცდაათ წელს გადააბიჯეს. უმცროსს ორი შვილი ჰყავდა — ერთი სულით ავადმყოფი და მეორეც დიდად უცნაური და ახირებული. ევგენია იყო ყველას პატრონი... მაგრამ ვერასოდეს ვერ შეამჩნევდი, თუ რამე უჭირდა, თუ მძიმე განცდები ჰქონდა. მუსიკალური განათლებაც თბილისში ჰქონდა მიღებული. მისი მასწავლებლები იყვნენ შესანიშნავი ქართველი მუსიკოსი, რუბინშტეინის ნამოწაფარი ალოიზ მიზანდარი, შემდეგ კი პიშნოვი. ხელების ტკივილმა შეუშალა, რომ პიანისტი გამოსულიყო და ახალგაზრდობიდანვე პედაგოგობას მიჰყო ხელი.

მე მასთან 1922 წელს მიმავარეს, არა კერძოდ, არამედ ეგროთ წოდებულ მეორე კონსერვატორიაში, რომელიც პეტრე დიდის (ახლა ძერჟინსკის) ქუჩაზე იყო მოთავსებული იმ სახლში, რომელიც შემდეგ დიდხანს ეჭირა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. არ ვიცი, რატომ დაარსდა ეს მეორე კონსერვატორია, ან რატომ ღებულობდნენ მასში პატარა ბავშვებს. ასე იყო თუ ისე, მე დავიწყე სწავლა, ათი წლის შემდეგ დავამთავრე მუსიკალური ტექნიკუმი (ის მეორე კონსერვატორია მალე გაუქმდა, ჩვენი ტექნიკუმი კი ახლანდელი კონსერვატორიის შენობაში იყო შეკედლებული) და კიდევ რამდენიმე ხანს განვაგრძობდი ჩერნიავსკაიასთან მეცადინეობას — მუსიკოსო-

ბას არ ვაპირებდი, მაგრამ მასწავლებელთან განშორება მიჭირდა, იმდენად დავუშვებობრდით ერთმანეთს და იმდენად ბევრს ნიშნავდა ჩემთვის მასთან ურთიერთობა.

ჩერნიაევსკაიასთან გაკვეთილები ხან კონსერვატორიის შენობაში მქონდა, ხან მის ბინაზე, ჩულურეთში (ახლა იმ ქუჩას მოსე თოიძისა ჰქვია, ძველად კი მეთუნეთა ერქვა, მაგრამ ყველა „გონჩარნაის“ ეძახდა). თეორიული საგნები კი სალამოობით იყო კონსერვატორიაში. ელემენტალურ თეორიასა და სოლფეჯიოს გრიგოლ ჩხაკვაძე გვასწავლიდა, ჰარმონიას — შალვა მშველიძე, მაშინ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდები. მე თავი დიდად არ გამომიჩენია არც ერთთან, მაგრამ მათი გაკვეთილებიც და თვით მასწავლებლებიც მიყვარდა.

ოციან წლებში კონსერვატორიის პედაგოგთა შორის ქართველი სულ ცოტა იყო. ყველაზე ძვალსაჩინონი იყვნენ: ანა თულაშვილი და ანასტასია ვირსალაძე და ყველაზე ღრმა კვალიც ხომ მათ დააჩნინეს ჩვენი ეროვნული საშემსრულებლო სკოლის განვითარებას. ჩვენი ტექნიკუმის პედაგოგებს მათთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ, ჩერნიაევსკაია განსაკუთრებით: თულაშვილთან მეგობრობდა, მათი მუდმივი პროფესიული კონტაქტების გამოც. სხვა პროფესორებიც ნათლად ჩამრჩნენ მებსიერებაში, რაკი მათ ხშირად ვხვდებოდი — პიანისტები ლუციან ტრუსკოვსკი და ტერ-სტეპანოვა, მევიოლინეები ვილშაუ და გროსმანი, ვიოლონჩელისტი მინიარი, მომღერლები: ბახუტაშვილი-შულგინა, ვრონსკი და სხვანი — კონსერვატორიის მოღვაწეთა პირველი თაობა.

მაშინ კონსერვატორიის დიდი დარბაზი ჯერ კიდევ არ იყო აშენებული — მისი ადგილი პატარა ბაღს ეჭირა. მცირე დარბაზის სარკმლები, ამჟამად დახშული, ამ ბაღისკენ იყო მიმართული. ეს მცირე (ძალიან მცირე!) დარბაზი, არსებითად, თბილისის საკონცერტო ცხოვრების ერთი უმთავრესი ცენტრთაგანი იყო, თუ უმთავრესი არა. იქ ვისმენდით შესანიშნავ პიანისტს, ბეთჰოვენის ღრმა ინტერპრეტატორსა და ლისტის ტრანსკრიფციების ვირტუოზულად შემსრულებელს ევონ პეტრას, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა თბილისში — თბილისელებს ძალიან უყვარდათ, ჩერნიაევსკაია დიდად აფასებდა და თავის მოწაფეებსაც ჩაგვიწერა მისდამი სიყვარული; იქ მოვისმინე სახელგანთქმული ჩეხი მევიოლინე იან კუბელიკი და ბევრი სხვაც. პატარა მოსწავლეებს უჩეტესად ქანდარიდან გვიხდებოდა სმენა — იქ დარბაზებიანი სარკმლები იყო, სადაც მჭიდროდ შეეჭურდებოდით ხოლმე. საკმაოდ მოუხერხებელი კი იყო დგომა, მაგრამ სამაგიეროდ რა მუსიკას ვისმენდით!

ეს მყუდრო დარბაზი მოდერნის სტილისა (შენობა 1904 წელს დამთავრდა) ძალიან მიყვარდა. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩემზე კომპოზიტორთა ბიუსტები, რომლებიც დღესაც დგას მაღლა, საგანგებო კრონშტეინებზე. მაგრამ მაშინ დარბაზში დიდი ფოტოგრაფიებიც ეკიდა — ანტონ რუბინშტეინისა და თბილისში მუსიკალური განათლების დამფუძნებელთა და მოღვაწეთა — ხარლამპი სავანელისა, ალოიზ მიზანდარისა და ალიხანოვისა. ერთადერთ უსიამოვნო მოგონებად ამ დარბაზთან დაკავშირებით ის დამრჩა, რომ გამოცდები იქ გვექონდა და საკლასო კონცერტებზე გამოსვლაც იქ მიხდებოდა. ეს კი — მით უფრო კონცერტები — ახლაც კოშმარივით მაგონდება — ისე მეშინოდა.

ევგენიას სახლს კი ისე ვიყავი შეჩვეული, როგორც ჩემს საკუთარს. XIX-XX საუკუნეთა მიჯნის სახლია. თბილისური დია აივანი ეზოს მხრივ. ჩანს მთაწმინდა, ძველი თბილისი. ევგენიას ოთახი: ძველი, მასიური კარადები, პატარა საწერი მაგიდა — უჯრებიანი, „გამოყვანილი“ მრგვალი ფეხებით; კედლებზე და ტახტზე — ხალიჩები; წითლად შეღებილი და საღებავგადაცლილი იატაკი; მაღალი ზურგიანი სკამი და ორი თუ სამი სავარძელი — თითქოს დასაკეცი, ესენიც ხალიჩისებრი გადასაკრავებით. წიგნის კარადაში — გრაბარის „რუსული ხელოვნების ისტორია“, რომელსაც გულმოდგინედ ვათვალიერებდი ჩემი გაკვეთილის მოლოდინში; სხვა წიგნები და მონოგრაფიები მხატვრებზე; რუსი კლასიკოსები (ერთხელ ევგენიას გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ მე — ისევ გაკვეთილის მოლოდინში — სურათებს კი არ ვათვალიერებდი, არამედ გოგოლის ბიოგრაფიას ვკითხულობდი. მაშინ 10 თუ 11 წლისა ვიყავი). კედლებზე — ბავშვობიდანვე შეჩვეულ-შეთვისებული პორტრეტები (ფოტოგრაფიები და გრავიურების რეპროდუქციები) ძველებურ ჩარჩოებში: ბეთჰოვენი, შუბერტი, ლისტე, შოპენი, რუბინშტეინი, რახმანინოვი, მიზანდარი (მერე დაემატა ეგონ პეტრი და ევგენიას მოწაფეების რამდენიმე ფოტო)... ევგენიას მამამთილის კონსტანტინე ტიმოთეს ძე ვასილიევის პორტრეტი დიმიტრი შევარდნაძისა და „ლანსერეები“: თბილისი ზამთარში (დათოვლილი სოლოლაკის ქედი), კიკეთი, კიდეც კიკეთი, ევგენიას და მისი დედამთილის პორტრეტები (ახლა ყველაფერი ჩვენს ხელოვნების მუზეუმშია)... თვით ევგენიას მიერ გადმოხატული კუინჯის ერთი პეიზაჟი... და თაროები ნოტებით. შუაში — ბლიუტნერის როიალი.

საკვირველი მყუდროება იყო ყოველთვის ამ მზიან, თბილ ოთახ-

ში. მუდამ სრული წესრიგი. განწყობილება სწორედ მუსიკისთვის, შემოქმედებისათვის, გულთადი საუბრისთვის. ამ ოთახში საათობით ვსაუბრობდით ბევრად უფრო გვიანაც, როცა მე მასთან აღარ ვსწავლობდი და ბავშვობაც კარგა ხანია წარსულს იყო ჩაბარებული... ხშირად მოდიოდნენ მასთან სხვა ყოფილი მოწაფეებიც, როგორც მეგობართან და ცხოვრების მასწავლებელთან.

ევგენია მკაფიოდ გამოკვეთილი საკუთარი შეხედულებების და შეუმცდარი გემოვნების მქონე ადამიანი იყო, პირუთვნელი, პირში მთქმელი, უკომპრომისო; მომთხოვნი, მკაცრი და, იმავე დროს, უალრესად გულთბილი და მოსიყვარულე. ლოგიკურად აზროვნებდა და მოწაფეებსაც ასწავლიდა ნაწარმოების გაგებას, გონივრულად შესრულებას, რაც სრულიად არ უშლიდა წმინდა მუსიკალურ-ემოციურ მხარეს (აფექტაციისა და სანტიმენტების გარეშე). არასოდეს არ ყოფილა მხოლოდ მუსიკის მასწავლებელი — აღმზრდელი იყო... თვითონაც მაღალი საერთო კულტურა ჰქონდა და მოწაფეებსაც ფართო ჰორიზონტს უხსნიდა. ყოველი მუსიკალური შთაბეჭდილების შესახებ ვმსჯელობდით, ერთად „განვიცდილით“ გამოჩენილი პიანისტებისა და მომღერლების გამოსვლებს. მკაცრი შემფასებელი იყო, მაგრამ მღელვარედ განცდა და აღფრთოვანებაც შეეძლო. ეს საუბრები, მისი პედაგოგიური სისტემის განუყოფელი ნაწილი, ისე იყო წარმართული, რომ ახალგაზრდა მუსიკოსი შეჩვეოდა თავის შთაბეჭდილებათა შეგნებულ ანალიზს.

ე. ჩერნიავსკაიას მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა იყო მაღალი ნიმუში თავისი საქმისადმი უწმინდესი დამოკიდებულებისა, უანგარობისა, მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებისა. მისი პროფესიული დონე და ადამიანური თვისებები დიდად უწყობდა ხელს ჩვენი მუსიკალური ტექნიკუმის საერთო დონის ამაღლებასაც. ყველა ანგარიშს უწევდა და პატივს სცემდა — მოწაფეებიც და კოლეგებიც. მისი თანდასწრებით ვერავინ მისცემდა თავის თავს ნებას საქმისადმი ოდნავ მაინც არასერიოზული, „აგდებული“ დამოკიდებულება გამოეჩინა. თვით მისთვის ხომ წარმოუდგენელი იყო საქმის გაადვილება და „შემსუბუქება“. უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა. არავის ახსოვს, რომ მისი რომელიმე მოწაფე გამოცდაზე ან სასწავლო კონცერტზე კარგად მომზადებული არ გამოსულიყო. მე მაინც მოვახერხე, რომ წყალში გადამეყარა მისი ამაგი: ბოლო წელს, როცა უკანასკნელად ვუკრავდი მოწაფეთა კონცერტზე (შუმანის ერთ-ერთ ნოველტს), მესამე ტაქტიდან ყველაფერი ავურიე და მე თვი-

თონ არ ვიცი, როგორ გავაღწიე ბოლომდე. ამას არავითარი ტრაგედია არ მოჰყოლია. ჩერნიავესკაია და ტუქნიკუმის გამგე, დაუფიქსარი, ყველასთვის საყვარელი ელენე ქიქოძე მაშინვე გამოცვივდნენ დარბაზიდან, რომ ჩემთვის ნუგეში ეცათ, მაგრამ მე ნუგეში არ მქირდებოდა — სასაცილოდ მომეჩვენა ჩემი ასეთი საჯარო „ჩაფლავება“ და სამივემ ბევრი ვიცინეთ.

მაშინ მე უკვე თვრამეტი წლისა ვიყავი. ოციანი წლებს დასაწყისში კი ევგენია ჩვენთვის, პატარებისთვის, „სალამო-წარმოდგენებს“ აწყობდა თავის ბინაზე, მეორე, დიდ ოთახში. ვდგამდით შარადებს, პატარა სცენებს, მე ერთხელ მგელს ვთამაშობდი, ერთხელ ღორს — გვარჩევდნენ კოსტუმებს, ხატავდნენ დეკორაციებს, ევგენია ყოველი ჩვენგანისთვის ასურათებდა პროგრამებს — სათანადო მოქმედი პირის ნაბატით. ეს ნამდვილი დღესასწაული იყო ჩვენთვისაც და მისთვისაც.

ევგენია ჩერნიავესკაია 1972 წელს გარდაიცვალა, თებერვალში, ოთხმოცდასამი წლისა. მისი სიცოცხლის ბოლომდე ძველ მოწაფეებს მისთვის არ გვიღალატნია. სულ ბოლომდე მისი სახლი ჩემთვის ერთი ყველაზე მიმზიდველი კერათაგანი იყო თბილისისა. პანაშვიდებზე, გამოსვენების წინ, ალექსანდრე ნიჟარაძე უკრავდა ბეთჰოვენის სონატების ადაჯიოებს, მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსული მარინე მდივანი — ბრამსის ინტერმეცოს, ნორა ექსანიშვილი — სკრიაბინის ეტიუდს. კუკიის სასაფლაოზე გივი ჟორდანიამ, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა ჩერნიავესკაიას, გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა. იმავე წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა ევგენიას დაც, და ეს მშვენიერი ბუდე საბოლოოდ მოიშალა.

მუსიკას მე ვერაფრად გამოვადექი (ვინც მუსიკალურ სკოლაში სწავლობს, ყველა რომ პროფესიონალი მუსიკოსი გამოდიოდეს, ჩვენს საზოგადოებაში წონასწორობა დაირღვეოდა!), მაგრამ თვით ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მუსიკას რომ ვეზიარე. უამისოდ ბევრ რასმე დავკარგავდი ისეთს, რასაც სხვა ვერაფერო ამინაზღაურებდა — უფრო ღარიბი ვიქნებოდი. მე სამუდამოდ შემრჩა მუსიკის დიდი საყვარული, მუსიკის სმენის მოთხოვნილება. ეს კი დიდი ბედნიერებაა.

მიხეილ ზანდუკელისა და რამდენიმე სხვა მასწავლებლის გათავისუფლება 1929 წელს (ჩვენთვის ფრიად სამწუხარო), თუ შეიძლე-

ბა ასე ითქვას, „ისტორიულად“ კანონზომიერი იყო, თუ გავითვალისწინებთ რთულ ვითარებას ჩვენს სოციალურ ცხოვრებასა და იდეოლოგიურ ევოლუციაში, რომელსაც საქართველოში ადგილი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში. ბუნებრივი იყო, რომ წინა რიგებში გამოდიოდა ახალი ხალხი, სხვა სოციალური ფენა; კულტურის სფეროშიაც გარდატეხის ხანა იყო, ხანა ახალი, საბჭოთა იდეების ჩამოყალიბებისა და დანერგვისა, ახალი იდეოლოგიის დაფუძნების მიზნით — ახალი კადრებისთვის პოზიციების დაპყრობისა. ეს ექსპერიმენტებს ხანა იყო. კულტურის დარგში საბაზისის ძიებისას ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვნად ჩანდა, ადვილი იყო „დამამხობელი“ ლოზუნგების წამოსროლა, ხოლო პრაქტიკურა — ახლა რომ ვამბობთ ხოლმე, „კონსტრუქციულა“ — პროგრამის წარმოდგენა გაცილებით უფრო ძნელი... ისიც გასაგებია, რომ ბევრი ექსპერიმენტი, კერძოდ, სწავლა-განათლების დარგში, გაუპართლებელი აღმოჩნდა, გასაგებია ისიც, რომ „რევოლუციონერობას“, „რეფორმატორობას“ ხშირად იჩემებდნენ მიტმასნილი ადამიანები. ხოლო იმათგან, ვინც გულწრფელად ზრუნავდა სიახლ-საყვის, პეკრს აკლდა გამოცდილება, პროფესიული დონე, კულტურა. ბევრა რაჟული პრობლემის ამოხსნა გამართივებულად და სქემატურად ჰქონდათ წარმოდგენილი.

ჩვენი სკოლა უპირველესთაგანი იყო იმ ობ-ექტთა შორის, რომელნიც რეფორმას „მოითხოვდნენ“: მე ისე მივალწიე მეცარე ჯგუფს, რომ მთელ სკოლაში რამდენიმე კომკავშირელი იყო, ჩვენს ჯგუფში კი მხოლოდ სამნი, სამივენი (ეს დამახასიათებელია) სოფლებიდან ჩამოსულნი — ისინი მერვე-მეცხრე ჯგუფებში შემოგვემატნენ; პედაგოგთა შორის არც ერთი არ იყო პარტიის წევრი, ზოგნი თავისა ხანდაზმულობითაც კი იწვევდნენ ექვს, როგორც „ძველი იდეოლოგიის“ პოტენციური მატარებელნი. მაგრამ, საუბედუროდ, ეს გასაგები და მოსალოდნელი რეფორმა მოუფიქრებლად ჩატარდა და სახსებოთ მექანიკური, ნაძალადევი, ხასიათი მიიღო. სკოლას ახალ გამგედ დანიშნეს ოცდახუთი თუ ოცდაექვსი წლის ქალი, რომელსაც ის იყო დაემთავრებინა მოსკოვში რომელიღაც პედაგოგიური ფაკულტეტი. იგი ულტრა-რევოლუციური განწყობილებით შეუდგა ჩვენთან მოღვაწეობას. უპირველეს ყოვლისა, მას ყოვლად შეუწყნარებლად ეჩვენა ის „სოციალური თანხმობა“, რომელიც სკოლაში სუფევდა მოსწავლეთა შორის და აუცილებლად მიაჩნდა „კლასთა ბრძოლის“ გაჩაღება. ზემოთ ვწერდი, რომ სკოლაში მუშების შეილებიც სწავ-

ლობდნენ და ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, მაგრამ, ცხადია, არავითარი ანტაგონიზმი ჩვენ შორის არ არსებობდა — ყოველ შემთხვევაში ასე იყო ჩვენს სკოლაში. ახალმა გამგემ თვითონვე ითავა მოსწავლეების დაყოფა „კლასებად“ და ყველანი სამ „კლასად“ დაგვყო: ერთი იყო „მუშათა კლასი“, მეორე „არისტოკრატია“, მესამე — „ბურჟუაზია“. თუ პირველი ამთგანის გამოყოფა არ იყო ძნელი, ჩვენთვის გამოცანად დარჩა, რა ნიშნის მიხედვით განასხვავებდა იგი არისტოკრატიას ბურჟუაზიისაგან. ასე იყო თუ ისე, მე „არისტოკრატთა“ რიცხვში აღმოვჩნდი, ე. ი. აუცილებელი გახდა ჩემ წინააღმდეგ „კლასობრივი ბრძოლა“. დამღუპველი იყო სრულიად ყალბად გაგებული დემოკრატიზაცია სკოლისა, რასაც მხოლოდ დისციპლინის სრული დარღვევა მოჰყვა თან (ეს მაშინ საერთო მოვლენა იყო). ერთი ნიშანთაგანი ამ „რეფორმისა“ ის იყო, რომ გამოაცხადეს — როცა მასწავლებელი კლასში შემოვა, ფეხზე არ უნდა ადგეთო. როცა ერთმა ბავშვმა ჰკითხა გამგეს, მაშინ რაღა ვქნათ, როდესაც მასწავლებელს ვუპასუხებთო, გამგემ კიდევ ერთი სიბრძნე წარმოთქვა — მაშინ უნდა ადგეთ, მაგრამ იმისთვის კი არაა, რომ მასწავლებლისადმი პატივისცემა გამოხატოთ, არამედ იმისთვის, რომ მასწავლებელმა დაგინახოთო. გამგე არ ერიდებოდა ბავშვების წაქეზებას ერთიმეორის წინააღმდეგ, მათს ერთმანეთთან გადამტერებას. მაგრამ მოსწავლეთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მისი გარჯა ფუჭი გამოდგა, პირიქით, მან მიადწია იმას, რომ მოწაფეები აბუჩად იგდებდნენ, ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ თითქმის აღარავინ არ ესალმებოდა მას (გამგის ახალი მოადგილე ლუკა ციხისთავი, გონიერი კაცი, უშუდეგოდ ცდილობდა გამგის გაუთავებელ სისულელეთა ეფექტის შენელებას).

ამ ამბებს გულისტკივილით ვიგონებ, იმიტომ, რომ მაშინდელმა ექსპერიმენტებმა, რომლებიც უმადლეს სკოლებში ბევრად უფრო ფართო მასშტაბით გაიშალა და შეეხო თვით სწავლების საფუძვლებსაც, მძიმე ზიანი მიაყენა სკოლას, და ერთხელ გაფუჭებულის გამოსწორება შემდეგ ფრიად ძნელი გახდა.

ასეთი ვითარების გამო მამაჩემმა გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იქნება, თუ სკოლას ექსტერნად დავამთავრებ, გამომიყვანა მეცხრე ჯგუფიდან და საგამოცდოდ მომზადება დავიწყე. ჰუმანიტარულ საგნებს თვითონვე ვამზადებდი, ფიზიკას, მათემატიკასა და ქიმიას — მასწავლებლებთან. გამოცდები მესამე საცდელ-საჩვენებელ სკოლაში ჩატარდა და ჩემთვის მშვიდობიანად დამთავრდა: უმეტესად ხუთები მივიღე (ფიზიკაში — 4½. ფიზიკა „ბოლომდე“ მაინც არასოდეს არ მეს-

მოდა, არც ქიმიკა). ჩემთან ერთად ექსტერნადვე ჩააბარეს გამოცდები მიხეილ ზანდუჯელის ძმისწულმა თამარმა, რომელიც ახალმა გამგემ განსაკუთრებით შეაფიქროვა, და ნინო ჯავახიშვილმა — მომავალმა აკადემიკოსმა.

რა მოგვცა საშუალო სკოლამ, რანი ვიყავით მისი დამთავრების დროს?

სანამ „რეფორმა“ მოხდებოდა, ზანდუჯელის ხელში ჩვენ, შეიძლება ითქვას, „უკონფლიქტოდ“ ვარსებობდით, ჩვენ შორის და ჩვენ გარშემო „პარმონია“ იყო. შეიძლება ახლა, რეტროსპექციულად, ისიც კი მოეჩვენოს ვისმე, რომ „ორანჟერეაში“ ვიზრდებოდით. ერთხელ ისიც კი გავიგონე ყოფილი მოწაფისაგან — სკოლიდან ცხოვრებისთვის მოუმზადებლები გამოგვიშვესო. მე ვერ დავეთანხმები ამ აზრს. ჯერ ერთი, ჩვენ სრულებითაც არ ვყოფილვართ იზოლირებული რეალური ცხოვრებისაგან — ეს შეუძლებელიც იყო. ცხადია, სკოლის დამთავრებისას ჩვენ არ ვიყავით მზად ცხოვრების ყველა სირთულისა და სიძნელის დასახვედრად, მაგრამ რომელი ახალგაზრდა ამისთვის მზად სკოლის დამთავრებისას? ცხოვრება ხომ სპორტული შეჯიბრება არ არის, რომ გასამარჯვებლად წინასწარ ივარჯიშო გარკვეული წესების მიხედვით? ან ვის შეეძლო იმ ურთულეს ისტორიულ მოვლენათა გათვალისწინება, რომელთაც ჩვენ ცხოვრება გვიმზადებდა? მაგრამ ჩვენმა სკოლამ, ოჯახთან ერთად, მოგვცა მთავარი — მტკიცე ზნეობრივი კრიტერიუმები, რომელთა გამომუშავების საფუძველს შეადგენდა სკოლის ატმოსფერო, უფროსთა მაგალითი — დაწყებული სკოლის გამგითა და დამთავრებული მზარეულ არჩილ არჩვაძით, მასწავლებელთა აბსოლუტური და ექვემიუტანელი ზნეობრივი ავტორიტეტი. რა თქმა უნდა, რეალურ ცხოვრებაში ყოველ ჩვენგანს ადამიანთა საქციელის ბევრი სხვაგვარი მაგალითი შეგვხვდა, მაგრამ ამ საქციელის შეფასების საზომი ხომ მაინც ჩანერგილი გვქონდა სწორედ სკოლის წყალობით. სკოლამვე ჩაგვინერგა პატრიოტიზმის გრძნობა (რა თქმა უნდა, არამცირე იყო ოჯახის როლიც), რომლის ერთი „მატერიალური“ გამოვლინებათაგანი იყო დიდი პიეტეტი XIX საუკუნის ქართული მწერლობის წინაშე, საერთოდ, XIX საუკუნის ეროვნულ მოღვაწეთა წინაშე; ამითვე აიხსნებოდა ის განწყობილება, რომელსაც აღგვიძრავდა მეც და ჩემს ამხანაგებსაც მთაწმინდის პანთეონი, სადაც ბავშვობაში მამას დაეყავიდი ხანდახან. მაშინ იქ, გარდა სულ ადრე დაკრძალული გრიბოედოვისა, მხოლოდ დიმიტრი ყიფიანის, დავით ერისთავის, ილიასა და აკაკის საფლავები იყო (1928 წელს მათ შეემატა ნიკო ნიკოლა-

ძეც), სხვები—უცნობი პირები იყვნენ, რამდენიმე გენერალიც. აქ ასე-
ლისას ჩემი მღელვარება ფიზიკურ განცდას აღწევდა, სული ყელში მებ-
ჯინებოდა. ასე გრძნობს თავს, ალბათ, ღრმად მორწმუნე ადამიანი ძველ,
განსაკუთრებულ წმიდათაწმიდად მიჩნეულ ტაძარში. ილია ჭავჭავა-
ძის ნიკოლადისეულ ძეგლს, ცხადია, მე აღვიქვამდი არა როგორც ხე-
ლოვნების ნაწარმოებს, არამედ როგორც მაღალ ეროვნულ სიმბოლოს.
მართლაც სულიერი ამადლებისა და განწმენდის განცდა მიპყრობდა,
როცა იმ საფლავებს შორის დავდიოდი და როცა იქიდან თბილისს
დავყურებდი (ეს განცდა ზომ საერთოა ყველა ჩვენგანისთვის!)... ასეა
ახლაც*.

სკოლა გვიღვივებდა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნო-
ბას, უმაღლესსა და უმნიშვნელოვანესს ადამიანის გრძნობათა შორის,
განუყოფელს პატრიოტიზმისაგან. და ამიტომ, უმაღლესი სასწავლებ-
ლის მიჯნაზე ჩემი ამხანაგების უმეტესობა შინაგანად განწყობილი იყო
საზოგადო მოღვაწეობისთვის; მათ ამოძრავებდათ სურვილი და იმედი,
რომ რაღაც სარგებლობას მოუტანდნენ სამშობლოს. გავიდა წლები,
წლები რთული მოვლენებისა, რადიკალური ცვლილებებისა, განსაც-
დელისაც. და აღმოჩნდა, რომ ჩვენი სკოლის აღზრდილთა დიდმა უმე-

* ბევრმა არ იცის, რომ აკაკის საფლავის ძეგლის ავტორი დავით კაკაბაძეა. ისე
მოხდა, რომ ძეგლის დადგმის ორგანიზაცია მამაჩემს ხედა წილად. სწორედ მისი ნაა-
მბობისა და „დროის“ 1959 წლის მე-8 ნომერში დაბეჭდილი მისი პატარა წერი-
ლის მიხედვით ვიცი, „როგორ დაიდგა აკაკის ძეგლი მთაწმინდაზე“ (ასე ჰქვია
წერილს). 1928 წელს მოხდა ქიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოების
ლიკვიდაცია (ამ საზოგადოებას რუსულ შემოკლებულ სახელს „ჩემოს“ ეძახდა
ყველა). მამა მის თავმჯდომარესთან მისულა და უთხოვია, რაიმე დარჩენილი
თანხა გაეღო სამეცნიერო დაწესებულებათათვის. იმას უთქვამს, მცირეოდენი თან-
ხა დაგვრჩა, მაგრამ შემიძლია ნოგცეთ არა დაწესებულებებისთვის, არამედ საზო-
გადოებრივი მნიშვნელობის საქმისთვისო, და შეუთავაზებია აკაკის საფლავზე
ძეგლის დადგმა ითავეთო. მამას მოუწვევია მხატვრები და გაუცვინა საქმის ვითა-
რება. დავით კაკაბაძესა და ლადო გუდიაშვილს უთქვამთ, პროექტს უსასყიდლოდ
გავაკეთებთო. უიურის დავითის პროექტი აურჩევია. საბუთს 1928 წლის 7 მარტს
ხელი მოაწერეს ვახტანგ კოტეტიშვილმა, შალვა დადიანმა, ია კარგარეთელმა, ნიკო
ლორთქიფანიძემ, სანდრო შანშიაშვილმა, მელიტონ ბალანჩივაძემ და მამამ. ძეგლი
შეასრულა ცნობილმა ქეის ოსტატმა ნეოფიტე ალლაძემ. დიდხანს მოუნდნენ საფ-
ლავის უკან საყრდენი კედლის აშენებას (ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწევია
ინჟინერ გრიგოლ ქურდიანს). ძეგლი გაიხსნა 1931 წლის მაისში. ამ ასკეტურად
მკაცრი ფორმის საფეხურებიანმა პირამიდმა, რომელსაც აჩნია პარზიზიდან ახლად
დაბრუნებული დავით კაკაბაძის კუბისტურ-კონსტრუქტივისტულ მიდრეკილებათა
კვალი, მაშინ საზოგადოების ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია.



აკაკის საფლავის ძეგლის პროექტი ლ. გუდიაშვილისა, 1928 წ.

ტესობამ შეძლო თავისი ადგილი მოეძებნა საზოგადოებაში, თავისი ნიჭის მიხედვით რაღაც წვლილი მაინც შეეტანა ცხოვრების სასიკეთოდ; და ჩემთვის უეჭველია რომ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სკოლაში ჩაყრილ საფუძველს. სკოლას ვუმაღლი, რომ მეცა და ჩემს უახლოეს მეგობრებსაც — გოგის, კოტეს, ბევრ სხვასაც, საზოგადოებრივი აქტი-

ვობა გამოგვიმუშავდა, ჩაგვინერგეს სიძულვილი გულგრილი ადამიანებისადმი (ცნობისმოყვარეობაც გაღვივებული გვქონდა!).

მე ღიდად გამიღიმა ბედმა, რომ ასეთი ამხანაგები მყავდნენ. ამხანაგები, რომელთა ცხოველმყოფელ გავლენას ვგრძნობდი მაშინაც და შემდეგაც, მთელი ცხოვრების მანძილზე... ეს გავლენა არ შენელებულა არც მას შემდეგ, რაც ბევრი მათგანი (ყველაზე ახლობლები!) ნაადრევად წავიდა — ისინი მუდამ ჩემთან არიან, მე მუდამ ვგრძნობ მათს გულითად სიტბოს. ჩვენ ყველას ბევრი რამ გვქონდა საერთო ინტერესებისა და პრინციპების მხრივ. ერთი კი არის: იმათ (უმეტესობამ მაინც) ჩემზე მეტად „გამოიყენეს“ ბავშვობის წლები, უფრო სწორად, გამოიყენეს „ბავშვობა“: მეტი იცელქეს, მეტი ილაღეს, არ დაუკლიათ არც ზოგი „გადახვევა ნორმიდან“ (ცხადია, უწყინარი, მაგრამ მაინც „გადახვევა“, რაც მეტი თავისუფლების შეგრძნებას ბადებდა). ისინი ლაპარაკის დროს და წერილებში უარგონსაც მიმართავდნენ, ერთმანეთთან შეხუმრებული და ზოგჯერ შელაზღანდარებულნიც იყვნენ. ჩემთვის ამას ყველაფერს ტაბუ ჰქონდა დადებული. არა ვისიმე იძულებით ან მორიდებით, არამედ შინაგანი განწყობილებით. თანაც: იმათივე ჩანერგილი მქონდა განსაკუთრებული პიეტეტი, მორიდება ენის მიმართ, მისი ოღნავი „შებლავის“ შეუწყნარებლობის გრძნობა. ეს, ალბათ, მამაჩემის გავლენით იყო. საერთოდ მე „წესიერი“ ბავშვი ვიყავი, მშობლების კალთებს სხევებზე მეტად ამოფარებული, ვერიდებოდი „გადახვევებს“. არ ვბურთაობდი, არ ვკიდაობდი, არ ვლახტაობდი, ქალაქგარეთ ესკუტისიებზე არ მიშვებდნენ. ასეთი ბავშვები ჩვეულებრივ ამხანაგების გაღიზიანებას იწვევენ, მაგრამ მე არაფერი ამგვარი არ მიგვრძნია — მოწყალედ მეკიდებოდნენ.

და კიდევ სკოლის წლებიდანვე გამომყვა მეთოდურობა და სისტემატურობის სიყვარული... ალბათ ამით აიხსნება, რომ ვადგენდი ჩემი ბიბლიოთეკის კატალოგს, ვაწერდი შთაბეჭდილებებს წაკითხული წიგნების შესახებ, გულმოდგინედ ვავსებდი გრაფებს „მოსწავლის უბის წიგნაკში“, რომელიც ბექდურად იყო გამოცემული 1927 წელს და რომელშიაც იყო ასეთი საკითხებიც: „ჩემი ზომა და წონა (სიმაღლე, წონა, მკერდის მოცულობა, ფილტვების ტევადობა)“, „ჩემი ჭგუფის ამხანაგების სია“ მისამართებითურთ, „ჩემი საზოგადოებრივი მუშაობა“, „ვისი მმართველს მე (ვისგან ვისესხე, როდის, რამდენი), „ვის მართებს ჩემი“, „ვის ვათხოვე წიგნები“ და სხვა. ასევე პედანტურად ვასრულებდი საზაფხულო დავალებებს — იმ დაბის ან სოფლის აღწერას

(სტატისტიკური ცნობებითურთ), სადაც ზაფხულს ვატარებდი; ვიწერდი ვისთან რამდენი ხელი ვითამაშე ჭადრაკი, რამდენი მოვიგე და რამდენი წაგაგე; თეატრიდან დაბრუნების შემდეგ კი, შთაბეჭდილებების გარდა, ვინიშნავდი ყველა შემსრულებლის გვარს როლების მიხედვით. მიყვარდა „საბუთების“ შეგროვება — ვინახავდი ჩანაწერებს, გაზეთის ამონაჭრებს, მენანებოდა ძველი ნივთების გადაკვებაც. ამიტომ დედაჩემმა პლიუშკინი დამარქვა. კარგი მოწაფე ვიყავი, მაგრამ ხუთბალიანი სასტემა და მედლები რომ ყოფილიყო, თუ სამართლიანად დაწერდნენ ნიშნებს (რამაიაც ექვი არ მეპარება), მედალოსანი ვერ გავხდებოდი (ფიზიკა, ქიმიას!).

ჩემს უახლოეს მეგობრებს სკოლის დამთავრებისას მრავალგვარი ინტერესი ჰქონდათ, ისე, რომ, მომავალი ხელობის არჩევა ერთბაშად უჭირდათ კიდევ. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ლიტერატურული გატაცება და ინტერესი ხელოვნებისადმი, თუმცა მე თვითონ მწერლობაზე უკვე აღარ ვოცნებობდი (ეს გარდატეხა ერთბაშად მოხდა — ერთ მშვენიერ დღეს ჩემი თხზულებები უბადრუკ ბავშვურ ნაცოდ-ვილარად მომეჩვენა სავესებით სამართლიანად, და ჩემს თავს ვუთხარი — გათავდა-მეთქი! დავიტოვე მხოლოდ „დღიურები“). და მაინც აღმოჩნდა, რომ ფილოლოგობა სულ ორმა თუ სამმა კაცმა ისურვა. დიდი უმეტესობა სამშენებლო ინსტიტუტში შევიდა (მათ შორის რამდენიმე არქიტექტურის დარგზე), შეიძმა თუ რვამ გეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური აირჩია, თითო-ოროლამ სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები და სხვა ფაკულტეტები. არ ვიცი, დარჩა თუ არა ვინმე უმაღლესი განათლების გარეშე... მიუხედავად ასეთი დაქსაქსვისა სპეციალობის მხრივ, ჩვენი ჯგუფის ძირითადმა ბირთვმა შემდეგშიაც შეინარჩუნა ურღვევი მეგობრული კავშირი.

საექსტერნო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მე და ჩემი მშობლები ჯავას გავემგზავრეთ და დასასვენებელ სახლში დავბინავდით. ჩვენთან ერთად აღმოჩნდნენ მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის მსახიობები ივანე ბერსენევი, მისი მეუღლე სოფიო გიაცინტოვა, სერაფიმა ბირმანი და მისი მეუღლე იხტიოლოგი ალექსანდრე ტალანოვი. „მეორე მხატმა“, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ გააუქმეს, ის იყო გასტროლები დაამთავრა თბილისში. მე გამოცდების გამო მხოლოდ ორი სპექტაკლი ვნახე, მათ შორის ალექსეი ტოლსტიოს „იოანე მრისხანეს სიკვდილი“, რომელშიაც ძალიან ძლიერი შთაბეჭდილება

დატოვეს იოანეს როლის შემსრულებელმა ჩებანმა და ბერსენევმა — ბორის გოდუნოვმა.

ინტელიგენტი ადამიანები იყვნენ, საინტერესო მსახიობებიც, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდები — შემდეგ სამივემ დიდი სახელი და მაღალი ტიტულები მოიხვეჭა. მე მიზიდავდა მათთან ყოფნა. განსაკუთრებით ჩამოჩა მესხიერებაში ბირმანი, დიდად კოლორიტული ფიგურა გარეგნობითაც (ჩემსიმაღლე იყო, ე. ი. 1,80 მ მაინც, „შეკრეპილთმიანი, ულამაზო, მაგრამ ძალიან მეტყველი სახით) და „შინაარსითაც“: იუმორის მახვილი გრძნობა ჰქონდა. ამათგან, ბევრად უფრო გვიან, მხოლოდ გიაცინტოვას შევხვდი — 1970 წელს ერთად ვიმგზავრეთ რუმინეთში, როგორც საბჭოთა დელეგაციის წევრებმა. ყველაფერი გაიხსენა და მერე დიდხანს აღარ შეგვიწყვეტია მიწერ-მოწერა. ბირმანი მოსკოვის „ლენინური კომკავშირის“ თეატრში ვნახე ვასა ელეზნოვას როლში — ძლიერი მსახიობი იყო.

მერე მე და მანინა ხონში წავედით. ველოდი შემოდგომას — ინსტიტუტში ჩემი შესვლის საქმე უნდა გამორკვეულიყო. მიუხედავად ჩემი მკაფიოდ გამოვლენილი ჰუმანიტარული მიდრეკილებისა, მამას აფიქრებდა, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ფილოლოგიის ან ისტორიის ფაკულტეტზე ჩემ შეყვანას. უნივერსიტეტი უკვე აღარ არსებობდა — იგი უდღეურმა პედაგოგიურმა ინსტიტუტმა შეცვალა, იმ ვულგარიზატორ „მარქსისტთა“ წყალობით, რომელთაც მაშინ ხელთ ეპყრათ უმაღლესი სკოლის სადავეები. ჰუმანიტარული დარგი, უშუალოდ იდეოლოგიის მატარებელი და გამომაჩინებელი, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა (მომდევნო 1931 წელს ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ წერეთელი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, მიხეილ პოლიევქტოვი და კიდევ რამდენიმე თვალსაჩინო პროფესორი განდევნილნი იქნენ უმაღლესი სკოლიდან, როგორც შეუფერებელნი და მავნენი).

ამიტომ ჩემთვის სათანადო დარგის შერჩევა ბევრი ფიქრისა და ზრუნვის საგანს შეადგენდა. მე თვითონ ინიციატივას არ ვიჩენდი — 16 წლისა ვიყავი, ჯერ კიდევ დამოუკიდებლობას მოკლებული; თანაც, მამაჩემის აბსოლუტური ნდობა მქონდა. ჩემმა ბიძამ ვანო ბერიძემ, ქართველ ინჟინერთა უფროსი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა და ძველმა ტანმოვარჯიშემ, გიორგი ნიკოლაძის ახლო მეგობარმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩემი „საკითხის“ განხილვაში. რაკი მე ხატვის უნარს ვამყდავებდი, უფროსებმა გადაწყვიტეს, რომ არქიტექტურის დარგზე უნდა შევსულიყავი სამშენებლო ინსტიტუტში (თუმცა მაშინ ამ დარგსაც შეცვლილი ჰქონდა სახელი — „საბინაო-საზოგადო-

ებრივი მშენებლობის“ დარგი ერქვა; არ ვიცი, რატომ იყო ეს სახელი უფრო შესაფერისად მიჩნეული, ალბათ, ის უფრო „პრაქტიკულად“ ეღერდა, „ცხოვრებასთან უფრო ახლო“).

მაგრამ სექტემბერი დაიწყო, ნახევარი თვეც გავიდა და თბილისიდან არაფერი ისმოდა. თურმე არ მღებულობდნენ. მაშინ მისაღები გამოცდები არ არსებობდა, უმაღლეს სკოლაში „სოციალური ნიშნების“ მიხედვით იყო მიღება, მე კი ეს „ნიშნები“ არ გამაჩნდა — არც მუშის შვილი ვიყავი, არც გლეხისა. არც წლოვანება მქონდა შესაფერისი (სულ ცოტა 17 წლისა უნდა ვყოფილიყავი). სამი კვირის დაგვიანებით მაინც მიმიღეს, მგონი, მარიამ ორახელაშვილის დახმარებამ გაჭრა.

პირველად დედამ მიმიყვანა ინსტიტუტში — მე მეტისმეტად უმწყო ვიყავი. ზემო დერეფანში შეგვხვდა გიორგი ნიკოლაძე — დიდხანს დავდიოდით წინ და უკან საჭირო აუდიტორიის მოსაძებნად, მაგრამ იმ დღეს ვერაფერს ვერ მივაგენით. მაშინ გიორგი უკანასკნელად ვნახე — ხუთი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

და დაიწყო ინსტიტუტის წლები — ახალი თავი ჩემი და ჩემი ამხანაგების ცხოვრებისა, წლები ჩვენი სულიერი ჩამოყალიბებისა, ბევრი სიხარულისა და მძიმე განცდებისა, წლები, რომლებმაც შეძინა ახალი ამხანაგები და რამდენიმე ნამდვილი მეგობარი, რომელთაც შემდეგ ძალიან დიდი ადგილი დაიჭირეს და დიდი როლიც შეასრულეს ჩემს ცხოვრებაში.

4. ხ ო ნ ი

მე ქალაქელი ბავშვი ვიყავი, აღზრდილ, ჩვეულებებით, ცოდნის მარაგით, ფსიქოლოგიით. სოფლად არ მიცხოვრია, სოფლური ცხოვრების „გემო“ ჩემთვის უცნობი იყო. გლეხის შრომას, სოფლური ყოფის სიმძიმეს, გაჭირვებას მხოლოდ ქართველ მწერალთა თხზულებებიდან ვიცნობდი, რომელთაც სკოლაში ვსწავლობდით. ზაფხულობით ჩამიყვანდნენ ხოლმე სოფელში, სადაც დაახლოებით ერთი თვე ვრჩებოდი ბიძაჩემის (მამის ძმის) ოჯახში. ჩემთვის ის ერთი თვე მხოლოდ პოეზიით, რომანტიკით იყო აღსავსე.

ხონში სულ ადრე ორი სახლი გვქონდა: ერთი კუხში (ეს სოფლის სახელია, მაგრამ, არსებითად, უკვე ხონის უბანი იყო), ბერიძეებისა, მეორე — ქარჩხაბში (ეს ხონისავე მეორე უბანია, „ბაზართან“ და წმინდა გიორგის ეკლესიასთან უფრო ახლოს), დედაჩემის დედისა, რომელიც აბაშიძის ქალი იყო. მაგრამ ეს მეორე სახლი ჩვენებ-

მა 1926 წელს გაყიდეს და ამის შემდეგ იქ საცხოვრებლად აღარ ჩავსულვართ, მხოლოდ სტუმრად ვეწვეოდით აბაშიძეებს, ბებიანების ბიძაშვილთა ოჯახებს. კუხის სახლი კი, დაახლოებით ოცდაათიანი წლების ნახევრამდე, სანამ მამის ძმაც თბილისს არ გადმოსახლდა, კვლავ ჩვენს საზაფხულო სამყოფელად რჩებოდა.

რევოლუციამდელი ხონის ამბები მშობლებისაგან მქონდა გაგონილი. ორივე იქ იყო დაბადებული და იქვე გაატარეს ბავშვობის წლები; ახალგაზრდობაშიაც არ გაუწყვეტიათ მკიდრო კავშირი მასთან, მათთვის იქ ყველა და ყველაფერი ნაცნობი, ახლობელი იყო. მათი ნაამბობითაც ვიცოდი და მერე სხვა „წყაროებიდანაც“ შევიტყვე, რომ ხონი ერთი კულტურული ცენტრთაგანი იყო დასავლეთ საქართველოსი, იქ არსებობდა რამდენიმე სკოლა, სამასწავლებლო სემინარია, იყო ინტელიგენცია — ბევრი იქაური კაცი ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა, ზაფხულობით თავს იყრიდა სტუდენტობა; ბევრი მათგანი რევოლუციური მოძრაობის მონაწილეც იყო. იმართებოდა დისკუსიები პოლიტიკურ თემებზე, წარმოდგენები, ხშირად ჩადიოდნენ ქართული სცენის გამოჩენილი მსახიობებიც; აკაკი წერეთელს ხონელებმაც გადაუხადეს იუბილე — მე დღემდე შემომჩნა მაშინდელი ფოტოსურათი (გამოქვეყნებულიც იყო) — აკაკი ხონის საზოგადოებასთან ერთად. მარტო ამ ჯგუფის შემადგენლობა და სურათზე აღბეჭდილ პირთა გარეგნული იერიც მოწმობს, რომ ხონში მართლაც იყო „საზოგადოება“, მაშინდელ კვალობაზე იგი სრულიადაც არ ჩაითვლებოდა მიყრუებულ პროვინციად.

მე ის დრო არ მახსოვს. უადრესი მოგონებები ოციან წლებს მიეკუთვნება — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებს. მაშინ ქუთაისიდან ან სამტრედიიდან ხონამდე „დელეჟინით“ ვმგზავრობდით და გზას სამი-ოთხი საათი უნდებოდა. ბუნდოვნად მაგონდება, რომ უფროსები ხშირად ახსენებდნენ ასპარეზზე ახლად გამოჩენილ პირებს — რეკომის თავმჯდომარეს, იქაური პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს; ცოტა მოგვიანებით სალაპარაკო თემად იქცა აბრეშუმის ფაბრიკის მშენებლობა და ჩაის გაშენება — მაშინ ეს მნიშვნელოვანი ფაქტები იყო, რომელთაც გარკვეული ყვალი დააჩენიეს ხონელების ყოფას.

მაგრამ გლეხების ცხოვრებას არც მაშინ შეგხებია: მართალია, ბიძაჩემს გრიშას მიწის ნაკვეთიც ჰქონდა, მაგრამ ისიც და მისი მეუღლე აგრაფენაც პედაგოგები იყვნენ, ქართული ენის მასწავლებლები; მეზობლებიც, ჩვენი ნათესავეები, მეტ-ნაკლებად სოფლის ინ-

ტელიგენციას ეკუთვნოდნენ — ზოგი აგრეთვე მასწავლებლობდა, ზოგი მსახურობდა — ასე თუ ისე „გამოსული“ ხალხი იყო.

ბიძა და ბიძოლა ზრუნვასა და სიყვარულს არ მაკლებდნენ (თუმცა გრიშა, გულთბილი და სიტყვაძვირი კაცი, გრძნობების გამოძევუნებას ძნელად ახერხებდა). თანაც, იქ ცხოვრობდა ორად-ორი ბიძაშვილი — მიშა და აჩიკო — და მათთან ყოფნა განსაკუთრებულ სიამოვნებასა და სიხარულს მგვირდა. მიშა (რომელიც შემდეგ, როცა მერვე კვლევაში გადავიდა, თბილისს გადმოსახლდა და ჩვენთან ცხოვრობდა) ჩემი ტოლი იყო და ჩვენ მეტი რამ გვაკავშირებდა. პატარა აჩიკო გრძელი „წქნელით“ დაგვდედა და თუ თავს ვერ ვუშველიდით, გადმოგვიჭერდა კიდევ.

ხონი ქვემო იმერეთის ტიპური დაბა იყო — თავისი მდებარეობით, ბუნებით, კარ-მიდამოს თავისებურებით, საცხოვრებელი სახლებით. იგი ცხენისწყლის მახლობლადაა, მის მარცხენა ნაპირზე (გალმა უკვე სამეგრელოა), იქიდან ვიწრო არხები ჰქონდათ გამოყვანილი, რომლებიც ქუჩებს ორსავე მხარეს მიჰყვებოდა: ყოველი ჭიშკრის წინ პატარა კუზიანი ბოგირი იყო გაკეთებული.

ხონის ცენტრს შეადგენდა ე. წ. „ბაზარი“ — დუქან-სახელოსნოების რიგებით. ყოველ პარასკევს იქ მართლაც დიდი ბაზრობა იმართებოდა — ჩამოდრიოდნენ მყიდველ-გამყიდველნი მახლობელი სოფლებიდან, სამეგრელოდანაც (რევოლუციამდე ამ „პარასკევობას“ თავისებურ იერს ანიჭებდნენ „პირახვეული ქალები“ — მოვაჭრენი, რომლებიც პირისახეს იმაღავდნენ). იყო და დღესაც არის „ბულვარი“ მშვენიერი მრავალასწლოვანი ხეებით, იქვე — წმ. გიორგის ეკლესია, ადრინდელი ძეგლი, რომელიც დღემდე შეუსწავლელი დაგვრჩა... სასკოლო შენობები. თვით სოფელი ფართოდ იყო გაშლილი ვაკეზე ქუთაისისა და სამტრედიის გზების გასწვრივ.

ქვემო იმერული ეზოები... დიდი, მობიბინე კონინდრით დაფარული, ხის ღობით ან, ზოგჯერ, ქვის ვალაყითაც შემოზღუდული; „გადახურული“ ჭიშკრები; მეზობლის ეზოში გადასასვლელად კი — „აღაგე“.

და წაბლის ხის ოდა, სიძველისაგან ჩამუქებული კედლებით, იმერული ოდა მშვენიერი ფართო აივნით სახლის მთელ სიგრძეზე, ერთი დიდი და ორი პატარა ოთახით, რომლებსაც ბუხარი ათბობდა... რიკულებით, მოხარატებული სვეტებით, თაღოვანი სარკმლებით, ყავრის სახურავით... ამგვარივე სახლი გვქონდა ქარჩხაბშიაც.

გამოუთქმელი სილამაზე იყო ამ სახლების ხუროთმოძღვრებაში,

იშვიათი პარმონიულობა, დიდი ხნის გამოცდილებით შემუშავებული მიზანშეწონილობა, და კიდევ — სიტყვით ძნელად გადმოსაცემი რამ, რაც გაგრძნობინებდა მამა-პაპასთან, ამ მიწასთან, ამ ქვეყანასთან, „ფესვებთან“ კავშირს, ტრადიციის მიმდევრობასა და უწყვეტობას... ასეთი სახლის დანახვა ახლაც მალეღვებს, მაგრამ ბევრიღა დარჩა ძველებური ოდა ჩვენში? ცოტაც და, ალბათ, მათ სანახავად მხოლოდ თბილისის „ღია ცის ქვეშ მუზეუმში“ მოგვიხდება სიარული.

იქვე, ცოტა მოშორებით, სამზარეულო სახლი იდგა, მის წინ ჰა იყო — მის სიღრმეში ჩახედვა და იქ, შორს, წყლის შავი ლაპლაპა ზედაპირის დანახვა ურუანტელს მგვრიდა... ეზოს ერთ კიდეში ბებერი ხეები იდგა ჯგუფად, მგონი კოპიტები, და მათ შორის დიდი ქვევრი იყო წამოგორებული — მიწაში ჩაფლული კი არა, ზემოთ, „დედამიწის ზურგზე“ დარჩენილი. ღამით იმ ჩაბნელებული ხეებისა და ხახადაფრენილი ქვევრისკენ გახედვა მეშინოდა.

ეს ოდა, ალბათ, ბაბუაჩემმა მიხეილმა ააშენა, როცა ძმები ვაიყარნენ, ეს კი შეიძლება გასული საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში მომხდარიყო. მიხეილის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი. დაიბადა 1850 წელს, ახალგაზრდა გარდაიცვალა, როცა შვილები პატარები იყვნენ. ხონში, სახლის სხვენზე, ინახებოდა მისი ხანჯალი — მიშა მეუბნებოდა, ერთი მეტრია სიგრძითო, რის მიხედვითაც ასკვნიდა, რომ ბაბუა კარგა მოსული კაცი უნდა ყოფილიყო. ერთადერთი გადარჩენილი ფოტოგრაფია გახუნებული და გაყვითლებული იყო, ბევრს ვერაფერს გაარჩევდა კაცი.

ბებია, ანჯათფარიძის ქალი ქრისტინე (ქართულად იცვამდა, ჩიხტიკოპით იყო მოკაზმული ფოტოსურათის მიხედვით), აგრეთვე ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალა. ყურმოკვრით ვიცი, რომ მკაცრი, წესრიგის მოყვარული ქალი ყოფილა.

ჩვენი მეზობელი ეზოებიც ბერიძეებისა იყო. ოდესღაც ერთიანი, მოზრდილი მამული მერე დაიყო ძმებსა და ბიძაშვილებს შორის.

უშუალოდ ჩვენ გვერდით ცხოვრობდნენ მამას ბიძაშვილები, სამნი თხუთმეტათგან. სხვები — ზოგი აღრევე აფრინდა ბულიდან, ზოგი ცოცხალი აღარ იყო. იმათი მამა დავითი ბაბუაჩემზე ოცდაათი წლით უფროსი ყოფილა. 1820 წელს დაბადებულა! მე მისგან მხოლოდ ერთი თაობა მყოფს, რამდენი დრო კია გასული მას შემდეგ! მის შვილთაგან მე რვას მოვუსწარი. ფიზიკურად მათ შორის აშკარა „საგვარეულო“ მსგავსება იყო — პირველ შეხედვისთანავე თვალში

გვხვდებოდა, რომ ყველანი — ისინიც, მამაჩემიც და მისი და-ძმაც — ერთი ძირიდან იყვნენ აღმოცენებულნი, ერთ კლანს შეადგენდნენ (როცა მათ ერთად ვხედავდი, ფორსაიტები მაგონდებოდნენ). მათი ცხოვრების გზები სხვადასხვაგვარად წარიმართა, მათ კულტურულ დონეთა შორისაც დიდი ამპლიტუდა იყო — პრიმიტიულობიდან ნამდვილ ინტელიგენტობამდე. მაგრამ მაინც მათ სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავთ მკიდრო ნათესაური კავშირი, ერთიანობის გრძნობა. ჩემს თაობაში ეს ერთიანობა და, მით უფრო, მსგავსება უკვე საგრნობლად შესუსტდა, თუმცა ნათესაური გრძნობა მაინც შემოგვრჩა... მომდევნო თაობაში კი ბევრნი აღარც იცნობენ ერთმანეთს...

ის თაობა კი მაგარი თაობა იყო... ჩემთვის ცნობილ ბერიძეთაგან თერთმეტმა თუ თორმეტმა გადააბიჯა ოთხმოც წელს, სამმა თუ ოთხმა — ოთხმოცდახუთსაც.

დავით ბერიძის ოჯახის ევოლუცია დამახასიათებელია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX-ის დასაწყისის სოციალური ვიზაჟებისათვის საქართველოში, როცა დაიწყო ძველი ყოფის რღვევა, საფუძველი ეცლებოდა მიწასთან დაკავშირებულ თავადაზნაურობას, მით უფრო წვრილ აზნაურებს (გავიხსენოთ დავით კლიაშვილის გმირები!)... ამდენ შვილთაგან ხონს ბოლოს და ბოლოს ორი შერჩა... ორმა-სამმა შეძლო უმაღლესი განათლების მიღება და ინტელიგენციის ფენას შეუერთდა (გიორგი და ივანე თვალსაჩინო ინჟინრები გახდნენ; მე მათთან მხოლოდ თბილისური მოგონებები მაკავშირებს), ზოგმა ქართული ინდუსტრიის „პირმშოს“ — ქიათურას — დაუკავშირა თავისი ბედი და მცირერიცხოვანი ქართული ბურჟუაზიის რიგებში ჩადგა. მაგრამ მათი „კაპიტალისტური“ კარიერა ხანმოკლე გამოდგარევიკოლუციამ ადრევე მოუსწრო და, თუ „ნების“ პერიოდში „შავი ქვის მრეწველნი“ კიდევ ბოგინობდნენ, მერე ასპარეზის შეცვლა მოუხდათ და კვლავ სოფლის მეურნეობას დაუბრუნდნენ.

ჩემი ბავშვობისა და სტუდენტობის წლებში (ხონში უკანასკნელად 1933 წლის ზაფხული გავატარე) ხონში სამი ძმა ცხოვრობდა — ყველაზე უფროსი სოლომონი, გერასიმე და არტემი (სწორედ ეს ორი უკანასკნელი და კიდევ ორნი, ჩემ დროს უკვე გარდაცვლილნი, ადრე დაკავშირებულნი იყვნენ ქიათურასთან). იმათ დიდ ეზოში ორი სახლი იდგა: ძველში ცხოვრობდნენ სოლომონი და არტემი, მეორე გერასიმემ აიშენა თავისთვის. გერასიმეს საშუალო განათლებაზე მეტი არ ჰქონდა მიღებული (იქნებ, არც საშუალო), მაგრამ წიგნების დიდი მოყვარული და ნაკითხი კაცი იყო. იწერდა ქართულ ჟურნალ-გაზე-

თებს (მის სახლში როცა ვიყავი, ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო „კვალისა“ და „ივერიის“ გაყვითლებული ნომრების თვალიერება); მამასგან გამიგონია, რომ თვითონაც ბეჭდავდა კორესპონდენციებს თბილისის პრესაში... ვისთანაც არ უნდა მისულიყო სტუმრად, მოძებნიდა რაიმე წიგნს ან ჟურნალს, დაჯდებოდა ცალკე და იწყებდა კითხვას... რაკი მეც ასეთი ჩვეულება მქონდა, დედაჩემი „გერასიმე ბერიძეს“ მეძახდა...

განსაკუთრებით კოლორიტული ფიგურა იყო სოლომონი, უცოლ-შვილო მოხუცი, ჩემ დროს უკვე ოთხმოცს მიტანებული. პატარა ტანისა, ხმელი, ბეჭებში ცოტა მოხრილი, თხელი პატარა წვერით, სკლეროზული თვალებით, რომლებიც მუდამ ეცრემლებოდა. გულჩათხრობილი, გაუღიმარი კაცი იყო, ვერ ეგუებოდა ბავშვების ცელქობას, ბუზლუნებდა, ზოგჯერ გამოეკიდებოდა კიდეც და თავისებურად შეუჟურთხებდა. ბავშვებსაც მეტი რა უნდოდათ — განგებ აღიზიანებდნენ და აბრაზებდნენ. ესეც აბოროტებდა, არა მარტო ბავშვებს, არამედ მათი მშობლების წინააღმდეგაც: — მაგისტანა ბაღნები ცეცხლმა დაწვა ყველგი, თავუკულმა არიან მიწაში ჩასამარხიო, — ამბობდა ხოლმე აღშფოთებული. თუ უყვარდა ვინმე, მის შესახებ იტყოდა, დაწურული ოქროაო. უყვარდა მიშა, კეთილად იყო განწყობილი მამაჩემთან და ჩემთანაც, რაკი სრული პატივისცემით ვეკიდებოდი და საათობით ვესაუბრებოდი ხოლმე.

ახალგაზრდობაში ენერგიული მუშაკაცი ყოფილა, უმცროს ძმებსაც დიდად ეხმარებოდა. საღამოეამს სუფთად ჩაცმული, ჩოხითა და ფაფახით, „ბაზარში“ მიდიოდა და დიდხანს საუბრობდა ნაცნობ-მეგობრებთან. თბილისშიაც ყოფილა კავკასიის გამოფენაზე, რომელიც 1901 წელს მოეწყო — ერთხელ აღფრთოვანებით გვიამბო იმ გამოფენის ამბავი; მე მგონია, ეს მის ცხოვრებაში უდიდესი შთაბეჭდილება იყო. — აჰ, აგენი მიდღემჩი ვერ გააკეთებენ იმისთანასო.

მოხუცებულობაში სოლომონის მარშრუტი შემოიზღუდა — მხოლოდ მეზობლად მდებარე „მერაბეის დუქანში“ გადავიდოდა — ეს იმ უბნის თავისებური კლუბი იყო. ბოლოს კი, როცა უკანასკნელად ვნახე, მისი სამყარო ეზოთი იყო შემოფარგლული... მისი მომდევნო ძმა ილარიონი (ისიც ჭიათურის „მრეწველი“, შინაური განათლების მქონე, მაგრამ განვითარებული და ფხიანი კაცი. მისი ბიბლიოთეკიდან მამას დარჩა თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“), რომელიც მას ყველაზე მეტად უყვარდა, დიდი ხანია გარდაიცვალა. სხვებთან კონტაქტი უჭირდა და, ეტყობა, სრულიად

განმარტოებულად გრძნობდა თავს. გაზაფხულიდან დაზამთრებამდე ღია აივანზე ეძინა, ადრე დგებოდა და ადრე წვებოდა, ცალკე საუზმობდა და სადილობდა. უყვარდა პოლიტიკასა და ასტრონომიაზე საუბარი. სანამ თვალებმა არ უმტყუნა, გაზეთებს კითხულობდა, იცოდა, რომ „პოლონეთი უსაფრანგეთოდ ფენს არ გადადგამს“, ხოლო როცა ერთხელ ვუამბე „თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის“ შესახებ, მოვუყევი რა მოხდა გერმანიაში (პიტლერმა ის იყო ხელთ იგლო ძალაუფლება), რა ამბებია საფრანგეთში, იაპონიასა და სხვაგან, რატომღაც დაასკვნა: — კაი იქნება, მაგენი რო დეეტაკებოდნენ ერთმანეთსო.

ერთხელ აივნის კიბეზე ვნახე ჩამომჯდარი, საცვლების ამარა, დასაწოლად მომზადებული. ვარსკვლავებით მოჭედნილ ცას გასცქეროდა.

— არა, რა ვითხრა, იცი? — მომმართა მე, — ვერაკაცმა ვერ გეიგო ამ ცის ამბავი... მაგენი რო ამბობენ, ეს ასე იქნება და ეს ისეო, სულ ტყუილია მაგი... მასე ყოველი კაცი ქე იტყვის.

მე ვცადე მეცნიერების დაცვა, ვუთხარი, მაინც ბევრი რამ არის უკვე შესწავლილი, აი, მაგალითად, წინასწარ შეუძლიათ განსაზღვრონ როდის მოხდება მზის დაბნელება-მეთქი. მაგრამ მისი უნდობლობა მაინც ვერ შევარყიე:

— ხო, მაგი ქეა, მარა ისე მაინც არაფერი არ იციან მაგენმა... რას უნობ შენ? ამდენი მარსკვლავებითაა თელათ მოჭედილი ცა და ყველა ქეა დამაგრებული... მაგი დიდი ამბავია... იმისთანა თავი ჭერე არ გაჩენილა, მაგის ამბავი რო გეიგოს... რას უნობ შენ...

მისი სკეპტიციზმი საერთოდ ახალ დროებაზე ვრცელდებოდა. როცა ამბობდა „აგენი“ ან „მაგენიო“ (აგდებულად, ირონიულად) გულისხმობდა „ახლანდელებს“, განსწავლულთ, მისთვის და „მისი დროისთვის“ უცხო ხალხს, რომელიც სანდო არ იყო. გულისხმობდა, ცხადია, ახალ ხელისუფლებასაც, მისთვის ყოველმხრივ გაუგებარს. ერთხელ გამაკვირვა: გაზეთში იყო ცნობა, რომ სოხუმის მახლობლად თვითმფრინავი ჩაეარდა ზღვაში; ორი მგზავრი დაიხრჩო, დანარჩენი სამი, მემანქანე და მექანიკოსი გადაარჩნენ. ეს რომ სოლომონს ვუამბე, იკითხა:

— ორი დეიხჩვაო? სხვები რატო გადაარჩნენ? — ცურვა იცოდნენ და ნაპირამდე გაცურეს-მეთქი. — ყველა უნდა დამხვრჩვალყო იქინე და მადლი ის იყო... რო ველარ დეეტიენ მიწაზე, მოუხდებათ ასე...

ჩემთვის, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ყმაწვილისთვის, „სოლომო

ბიძია“ საინტერესო იყო, როგორც წარსულის ცოცხალი გადმონაშთი. თან მაკვირვებდა ამ უსწავლელი, გულჩათხრობილი, სამარის კარს მიწვენილი მოხუცის ემოციური დამოკიდებულება ბუნებისადმი, ვარსკვლავიერი ცისადმი, რომელიც მასაც აფიქრებდა და აღელვებდა.

ეს უკვე ჩემი სტუდენტობის დროს იყო — არტემმა მითხრა, ძველი საბუთები მაქვს და თუ გინდა ნახეო. დღემდის მახსოვს განსაკუთრებული სიხარულის განცდა, რომელიც იმ საბუთების ქექვამ მომგვარა. თუმცა ძალიან ძველი ვერაფერი ვნახე, ეს მაინც ნამდვილი საბუთები იყო, რომელთაც მე მაშინ პირველად შევეხე საკუთარი ხელით. თვით მიწერ-მოწერის საგანი იყო დამახასიათებელი და თან ჩვენი გვარის გენეალოგიის მასალაც აღმოჩნდა. საქმე ეხებოდა აზნაურობის დამტკიცებას: ილარიონს პეტერბურგის სენატში შეეტანა თხოვნა და საჭირო საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ აზნაურები ვყოფილვართ და შემდეგ უსამართლოდ დაგვიკარგავს ეს წოდება. ჩემი წინაპრების შესახებ ცნობებმა XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდის ჩამიყვანა, უფრო შორს არა: თურმე, ჩვენი გვარი მომდინარეობს გიორგი კაციას ძე ბერიძისაგან, რომელიც ხონის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეუწირავს სამეგრელოს მთავარს კაცია დადიანს (ბროსეს „გენეალოგიის“ თანახმად, ეს კაცია 1788 წ. გარდაიცვალა). ხონში ბერიძეების გვარი რატომღაც თითბერიძემ შეცვალა და, ალბათ, აზნაურობაც მაშინ დაეკარგათ.

მაგრამ აი ლევან დადიანის მიერ 1824 წელს გაცემული მოწმობა, რომელმაც, უქვევლია, უმთავრესი როლი შეასრულა აზნაურობის აღდგენის საქმეში:

„...გიორგი ბერიძე შემოწირულ არს ხონის წ-ის გიორგის ეკლესიისადმი მის პაპიჩემისაგან მისვე სახითა აზნაურობისათა... და მუნ ცხოვრებასა შინა შეცვლილა გვარნი ამათნი ბერიძეობისა სხვა გვარად, ესე იგი თითბერიძედ, რომელიცა ნამდვილ უქვეშარიტესად წარმოებს გვარნი ამათნი ბერიძეებად, რომელთაც მონათესავე ამათი ცხოვრობენ ჟამსა ამას შინა სამთავროსა შინა ჩემსა ლეჩხუმს“.

გიორგის სამი ვაჟი ჰყოლია: უფროსი ვაჟის სვიმონის შთამომავლები ვართ ჩვენ (სვიმონი დაიბადა 1782 წელს — მისი ვაჟი თამაზი 1799 წელს, ე. ი. როცა მამამისი ჩვიდმეტი წლისა იყო! თამაზის შვილები იყვნენ დავითი და ბაბუაჩემი მიხეილი).

და კიდევ ერთი საბუთი, რომელმაც ძალიან გამაშხიარულა: იმავე ლევან დადიანის წერილი სვიმონისადმი: „თქვენო კეთილშობილებავ ბერიძე სვიმონ (ცხადია, სწორედ ამ „კეთილშობილების“ გა-

მო იყო ეს წერილი ჩართული აზნაურობის მძივებელთა საბუთებში). ამას წინეთ ზალიკა ფაღავას პირით შემოგითვალე, რომ ორი ქვაბი გამიკეთებინეთქო და კიდევაც აღმიტქვი, გაგიკეთებინებო და ახლა შეჭირვება იმისთანა ორი ქვაბი ორორი ქილა რომ ჩაეტოს, იმისთანა ორი ქვაბი მომიტანე და შენც მოდი და ფასს მოგცემ. ლევან დადიანი“. სადადიანოში ქვაბის გამკეთებელიც აღარავინ ჰყავდათ? (რა დამახასიათებელია ამ ორი საბუთის ენა — ერთი ოფიციალური საბუთია, მეორე — კერძო წერილი).

ასე იყო თუ ისე, აზნაურობა დაგვიმტყიცდეს. შემდეგ, როდესაც იმ ასაკში შევედი, როცა უკვე ანკეტების შევსება მიხდებოდა, სოციალური წარმოშობის შესახებ კითხვას კარგა ხანს ასე ვუპასუხებდი ხოლმე: „ყოფ. აზნაური“.

როგორ ვატარებდი დროს ხონში? სანამ პატარები ვიყავით, მე და მიშა მთელი დღე ვთამაშობდით. მომდევნო წლებში, როცა წამოვიზარდეთ, საკმაოდ ბევრს ვკითხულობდი. თბილისიდანაც მიმქონდა წიგნები და ბიძაჩემსაც ბევრი საინტერესო გამოცემა ჰქონდა: განსაკუთრებით მიზიდავდა შექსპირისა და ბაირონის რევოლუციამდელი რუსული გამოცემები ბროკჰაუზ-ფერონისა — უხვად დასურათებული სხვადასხვა მხატვრის ილუსტრაციებით და იუგენდსტილის ყაიდაზე გაფორმებული მაგარი ყდებით. ერთხელ „ტარიელ გოლუა“ ენახე, იქაური დასის მიერ წარმოდგენილი; როგორც არქიტექტურის ღარგის სტუდენტმა და ძველთა მოყვარულმა, მოვალედ ჩავთვალე თავი ჩამეხატა წმინდა გიორგის ეკლესიის ძველი სამარეკლო. დიდი ადგილი ეჭირა, გარდა ბიძებთან საუბრებისა, მეზობელ-ნათესაებთან სტუმრობას, ყოველთვის ძალიან სასიამოვნოს. ერთხელ — ძხუთმეტიოდე წლისა ვიქნებოდი — „სატირალში“ წამიყვანეს: ჩვენს უბანში ერთი ღრმად მოხუცებული ქალი გარდაიცვალა. ჩემთვის მთელი ეს რიტუალი — ეზოში გამართული სუფრა, ხმამაღლა ტირილი ვრცელი ტექსტის წარმოთქმით, შეზარხოშებული კაცები, უამრავი საინტერესო ტიპი, მათი საუბარი (სატირალში ხომ ზოგჯერ დიდი ხნის უნახავი ნაცნობებიც ხვდებოდნენ ერთმანეთს) — სპექტაკლივით იყო. დღემდის ნათლად მახსოვს მიცვალებულის სიძე, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი შექეიფიანებული ხნიერი კაცი, რომელიც ბარბაციით ჩამოდიოდა კიბეზე, თეთრი წვერი და ლაქლაჟა სახე ჰქონდა, ფრიად მხიარული გამომეტყველება. ბარბაცითვე, სახეგაბრწყინებული მივიდა დედაჩემის ბიძასთან, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— რაჲა ხარ, ჩემო აპალონ, ა? რა-ვა ხარ, ა? უნდა ვიქეიფოთ

მე და შენ, რატო არ მოდიხარ ჩემთან? ყველა მოგასტავლის ჩემ სახლს...

— ეჰ, რაღას ვიქეიფებთ აწი, ორი ჭიქა რო დავლიოთ, დავთვრებით უკვე...

— აჰ, გლახა, ხარ ჩემო აპალონ, გლახა ხარ, აპალონი ნუ მომიკტება! მოდი ერთი ჩემთან და მაშინ პადლეცი ვიყო, თვარ ვიქეიფე ორი დღე...

მერე მიტრიალდა სახლისკენ და ყველასთვის მოულოდნელად ხმამაღლა დაიძახა:

— გამომიტანეთ აქანე მიცვალებული!

მეგონა, რომ ცოცხალ კირილე მიმინოშვილს ვხედავდი, მხოლოდ უკვე დაბერებულს.

ქარჩხაბი. იქ აბაშიძეების სამოსახლო იყო, იქ ცხოვრობდნენ დედაჩემის მშობლები — პასიკო და მისი ქმარი, ბაბუაჩემი კონსტანტინე ჩხეიძე, ჩასიძებული ობჩელი აზნაური. ოცდაჩვიდმეტი წლისა მომკვდარა, დედაჩემი ცხრა თვისა დარჩა. ამიერკავკასიის რკინიგზაზე ერთ-ერთი პირველი მემანქანე იყო. ეს რატომღაც განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით მავსებს. ფოტოგრაფიის მიხედვით, ლამაზი კაცი ყოფილა, წვეროსანი, სწორნაკეთებიანი, ევროპულად ჩაცმული. დედისაგან გამიგონია, რომ იმათ სახლში არწივის თუ ქორის ფიტული ინახებოდა — კონსტანტინეს მოუკლავს თავისი ორთქლმავლიდან! ე. ი. გაქანებული ორთქლმავლიდან ესროლა, მერე გააჩერა მატარებელი არწივის წამოსადებად! თურმე ისე დააქროლებდა, რომ ყველამ იცოდა, მატარებელი ჩხეიძეს მიჰყავსო. ალბათ განრიგს დიდად არ დაგიდევდათ, აზნაურიშვილი არ იყო! მისი ძმები, რომლებიც ობჩაში დარჩნენ საცხოვრებლად, ცნობილნი იყვნენ თავისი მოსწრებული ენით. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ მე ისინი არასოდეს არ მინახავს.

ბებია აღარ გათხოვილა. გაჭირვებით ზრდიდა ორ ქალიშვილს. უფროსის, ელენეს, სიკვდილისაც მოესწრო: ოცდაშვიდი წლისა გარდაიცვალა, ჯერ კიდევ ჩემ დაბადებამდე... ძალიან ლამაზი, არისტოკრატიული იერის მქონე, მომხიბვლელი ქალი იყო. დედაჩემს სულ ბოლომდე მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა მისი სიკვდილი. ბებია 1917 წელს გარდაიცვალა.

ჩვენს ეზოს ერთ მხარეს სასაფლაო ეკვროდა, მეორე მხარეს ერთმანეთს მისდევდა ბებიას ბიძაშვილების — ბესარიონის (ირაკლი

აბაშიძის მამის), აპოლონის, არისტოს, ვასილის კარ-მიდამოები... ბევრი გაჭირვება უნახავთ აბაშიძეებს, მით უფრო, ადრე გარდაცვლილი ბესარიონის ოჯახს (რვა შვილი დარჩა), მაგრამ ბევრი იყო სიხარულიც. აბაშიძეების უბანში უამრავი ბავშვი იყო (დედაჩემის თაობა, თუმცა ყველა — დედაზე უმცროსი), ყველანი ერთად იზრდებოდნენ და „ბევრი კარგი დრო უტარებიათ“. შემდეგ, როცა თბილისში ხვდებოდნენ ერთმანეთს, სევდანარევი სიხარულით იგონებდნენ იმ წლებს.

საიდან გაჩნდნენ ხონში აბაშიძეები? თურმე ბებიაჩემის პაპა ვახუშტი აბაშიძე გადმოსახლებულა იქ კაცხიდან. დედაჩემის ბიძა ვასილი, მაშინ სამოცდახუთი წლის ჭარმაგი კაცი, მხიარული, ქაქანა, მოლხენის მოყვარული, მიაშობდა (როცა ერთხელ სადილად ვეწვიეთ მე და დედა), რომ ვახუშტი აბაშიძე „ქნიაზა“ ყოფილა, რომ მთელა ქარჩხაბი ზანზარებდა მისი შიშით. ცოლის ნათესავენს შეეშინდათ, ეს კაცი კარგ დღეს არ დაგვავყრისო და მდინარეში დაახრჩვეს, მის შვილებს კი თავადობა წაართვეს და, ამრიგად, მისი შთამომავლობა გაააზნაურეს. ჰყავდა რამდენიმე ვაჟი, მათ შორის ბებიას მამა სისონა, აგრეთვე ქალიშვილი ქეთევანი, რომელიც ძალიან ლამაზი ყოფილა.

— მარა, რაფერი ქალი იყო, იცი? — ბობოქრობდა ვასილი — თამარ მეფე რომ გინახავს, ე იმფერი ქალი...

აბაშიძეებთან სტუმრობა ჩემთვის ნამდვილი დღესასწაული იყო, განსაკუთრებით ირაკლი აბაშიძესთან, ირასთან შეხვედრა (საშუალო სკოლის დამთავრებამდე იქ ცხოვრობდა). მგონია, ბევრი არაეინ მყვარებია ბავშვობის წლებში ირასავით. სხვებისგანაც რამდენი სითბო მახსოვს, რამდენი ალერსი! ჩემთვის ყველა ერთნაირად საყვარელი იყო და ერთნაირად ტკბილად მოსაგონარი. თუმცა იმ უბნის მკვიდრთა შორისაც მოიძებნებოდნენ თავისებური ტიპები, მაგალითად ერთ-ერთი გარდაცვლილი ძმის, პოლკოვნიკის, ქვრივი ელისაბედი, რომელიც მე უკვე ღრმად მოხუცებული მახსოვს, ისიც ბუნდოვნად. მაგრამ მეხსიერებაში ჩამრჩა დედაჩემის ნაამბობი მის შესახებ: თურმე იცოდა თქმა:

— ვაი, რა ნაცხოვრები ქალი ვარ მე! თერთმეტ საათზე რო ავდგებოდი (აპა, მანამდე რეიზა უნდა ავმდგარიყავი!), დრაზლოვ-სალდათი კუდში დამსდევდა, კოფე გინდა თუ კაკაოო (დროზლოვი ალბათ მისი ქმრის „დენჩინიკი“ იყო).

არ უყვარდა თავისი მაზლის ცოლი. და ერთხელ თურმე ასე და-

სწყევლა: — ღმერთო, ღმერთო, თუ სადმეა შენი სამართალი, რაც რამე ქონება აქვს, ერთ კვერცხად გაროუქციე (sic), მერე გააგდებინე ხელიდან ის კვერცხი და დოუმტვრიე!

ოციანი წლების ბოლოს დაიწყო გარდუვალი პროცესი: ბავშვები სკოლას ამთავრებდნენ თუ არა, ტოვებდნენ ხონს და თბილისს მოაშურებდნენ უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, და უკან აღარავინ ბრუნდებოდა... მერე მათ მშობლებიც მიყვებოდნენ, ვინც კი შეიძლებდა. თითო-ოროლალა დარჩა მოხუცთაგან, მაგრამ მათი გარდაცვალების შემდეგ შვილები ყიდნენ სახლებს, და უკვე კარგა ხანია აბაშიძეთაგან თითქმის აღარავინ დარჩა იქ.

დღედასთან ერთად უკანასკნელად 1933-ში ვიყავი ქარჩხაბში, „აბაშიძეებში“, მოვინახულეთ ვასილი, მისი სრული ანტიპადი აპოლონი (ნახევარი საუკუნე მსახურობდა სასამართლოში, ჩუმი, კეთილი, თავისთვის მოღიპარი კაცი, რომელიც თითქოს სითბოს აფქვევდა თავის გარშემო, მისი მეუღლე კესარია; ძალაუნებურად Афанасий Иванович-სა და Пульхерия Ивановна-ს მოგაგონებდნენ). ეს ორნი მარტო იყვნენ დარჩენილი, შვილები მხოლოდ ზაფხულობით ჩააკითხავდნენ ხოლმე. ერთხანს ესაუბრობდით, მერე მე ჩვენი ძველი ეზოსა და სახლის სანახავად წავედი. დედა არ წამოსულა, უმძიმდა იქით გახედვა, საფლავების მეტი აღარაფერი იყო იქ დარჩენილი. მოხუცები კი წამომყვნენ. გული დამწყდა, ჩვენს ეზოს რომ ჩავუარეთ. უზარმაზარი ცაცხვი, რომლის ჩრდილიც ნახევარ ეზოს სწვდებოდა, მოეჭრათ, ეზოში ყანა იყო.

გადავძვერით ეკლესიის გალავანში. შიტოვებული სასაფლაო... ზავით დაფარული საფლავის ქვები; ხის ეკლესია — პატარა, უგუმბათო, ხისავე სვეტებიანი გარშემოსავლელით (ასეთი ეკლესიებიც არსებობდა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ჩვენს დრომდე ცოტამ მოაღწია) — ესეც ხავსმოდებული, მინებჩამტვრეული... „შიგნით — ფიცრებისა და ხატების ნაგლეჯები იატაკზე; საკურთხეველთან ერთი დამტვრეული საფლავის ქვა: „კნიაზი კონსტანტინე. წულუკიძე“... ეზოში წელამდე ბალახი, ჰინჭარი, ანწლი... ეკლესიიდან რომ გამოვედი, ჩემი თანამგზავრები საფლავებთან იდგნენ. ორი გრძელი ქვა ერთიმეორის გვერდით, უწარწეროდ. ბებია და დეიდა...

— ეს აღექსანდრეა, — ამბობდა ვასილი, — აგერაა ბესარიონი... მაქანე იონაა... ა, ეს ჩემი ქალიშვილია...

— სალაცა ჩემი ბაღნები უნდა იყვნენ აქანე, — თქვა კესარიამ და ერთ ადგილს დააკვირდა...

— აჰ, მაქანე აბაშიძეებს რა უნდა, შენები აგერ არიან, ა, — დაიძახა ვასილმა.

— აჰა, მე რომ მოვკვდები, მაგათთან დამმარხეთ, იცოდე, — ითხოვა კესარიამ.

— მაი ჩვენ ვიცით, საცხა დაგმარხავთ, — მხიარულად თქვა ვასილმა და თვალი ჩამიკრა.

აპოლონი ჩუმად იდგა, მხოლოდ იღიმებოდა, მერე ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა:

— სულ აღარ მახსოვს არაფერი...

ეკლესიის წინ მწვანე მინდორი იყო და მის შუაში — დიდი კაქლის ხე.

— უწინ აქანე ჯარი იცოდენ, — მიხსნიდა ვასილი, — ხოხ, რანაირი ცეკვა-თამაში იყო!*

ახლა, როცა ათასში ერთხელ ხონში ჩავლივარ, გული მეკუმშება, ჩვენს დაცარიელებულ კუთხეს რომ ვხედავ. აქ სხვა ხალხია, ალბათ, კარგი ხალხი, მაგრამ როცა აქ სახლდებოდა, მას ამ კუთხესთან გრძნობები არ აკავშირებდა — მხოლოდ რეალური, მატერიალური ინტერესები... ამიტომ ჭრიდნენ ასწლოვან ცაცხვს, რომელიც სიმბოლოსავით იდგა, ამიტომვე ანგრევდნენ ძველ სახლებს და ახლებს აშენებდნენ ასე მოითხოვდა ცხოვრება.

5. მ ა მ ა რ ე ბ ი

მამას ძველ ქაღალდებში ვიპოვე 1906 წელს რუსულად დაწერილი ავტობიოგრაფია (ქვესათაურად მიწერილი აქვს: „ნაწყვეტი“). ეს ბელეტრიზებული თხრობაა 23 წლის ყმაწვილისა, რომელიც ეს-ესაა აპირებს ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოსვლას. დამთავრებული აქვს მხოლოდ ხონის სამასწავლებლო სემინარია და ჯერ კიდევ არ ჩაუბარებია საექსტერნო გამოცდები სიმწიფის ატესტატის მისაღებად. ამ თხზულებამ, რომელსაც თაბახის დიდი ფურცლების შვიდი გვერ-

* მურავიოვს თავის „გრუზია ი არმენიას“ III ტომში, რომელიც 1848 წელს არის დაბეჭდილი, აღწერილი აქვს გრანდიოზული სახალხო დღესასწაული ხონში, გიორგობა დღეს. როგორც ჩანს, შორეული კუთხეებიდანაც იყვნენ ჩამოსულნი მასში მონაწილეობის მისაღებად, აფხაზეთის მთავარიც კი ყოფილა იქ. წირვის შემდეგ გაუმართავთ ლელოს თამაში, რომელშიაც უამრავი ხალხი მონაწილეობდა — ქვეთინიც, მხედრებიც — და მოწინააღმდეგენი თავგამოდებით ებრძოდნენ ერთმანეთსო. დღესასწაული დოღით დამთავრებულა. ეს, ალბათ, ძველისძველი ტრადიცია იყო.

დი უჭირავს, გამაკვირვა: მშვენიერი, ჩამოყალიბებული ხელი, სრულიად შეუმცდარი ორთოგრაფია და ენის სრული დაუფლება! ეტყობა ძალიან მონდომებული და ბეჭითი იყო ბავშვობიდანვე.

ავტობიოგრაფიაში ბევრი ჩემთვის საინტერესო ყოფითი დეტალიც აღმოჩნდა. მაგალითად ის, რომ ბაბუაჩემმა მიხეილმა კარგად იცოდა ქართული წერა-კითხვა, გვარიანად—რუსულიც, უყვარდა საღმრთო წერილის კითხვა რუსულად და ცალკეული ადგილების თარგმნა ქართულად, რომ ურყევად ჰქონდა გადაწყვეტილი შვილისთვის განათლება მიეცა.

მამა დაიბადა 1883 წლის 3 თებერვალს ძველი სტილით, დღის 12 საათზე (ახალი სტილით 15 თებერვალი გამოდის — გასულ საუკუნეში განსხვავება ძველსა და ახალ სტილს შორის 12 დღე იყო და არა ცამეტი). იმავე წუთში — როგორც ეს მამას ავტობიოგრაფიაში წერია — ბაბუამ აიღო მაჭახელა, გაისროლა, ისე რომ, მეზობლები მოცივდნენ ამბის გასაგებად (სწორედ ასეთივე სცენით იწყება მამას უახლოესი მეგობრის ალექსანდრე ჯანელიძის მოგონებებიც — მისი დაბადების დროსაც მამამისს ასევე დაუცლია თოფი). უბის წიგნაკში კი ბაბუას ჩაუწერია: „ამადამ დღეს დაიბადა კოლია (ვუკოლი)“. სახელი ვუკოლი, სრულიად უჩვეულო, ცხადია, მღვდლის შერჩეული იქნებოდა და, ბუნებრივია, რომ „საშინაოდ“ უფრო ცნობილი კოლია აირჩიეს. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ასე მამას არასოდეს არავინ ეძახდა, არც ბავშვობაში.

შვიდ წლამდე უღარდელად ვცხოვრობდიო. შვიდი წლისა რომ გახდა, მამას მისი ქუთაისის წაყვანა მონდომებია სასწავლებელში მისაბარებლად, მაგრამ ამ განზრახვაზე ხელი აუღია ბებჯის კატეგორიული პროტესტის გამო — ამ სიშორეზე რომ ვუშვებთ (ხონიდან ქუთაისამდე 25 კილომეტრია!), ვის ხელში ჩავარდება, ვინ მოუვლის და ხაჭაპურს ვინ გამოუცხობსო. მაშინ გადაწყვიტეს ხონისავე ორკლასიან სასწავლებელს დასჯერდებოდნენ, მაგრამ როცა დილით მამას სკოლაში მიუყვანია, „სმოტრიტელს“ უარი უთქვამს — ახალი წესით სკოლაში მხოლოდ იმათი მიღება შეიძლება, ვინც რუსული წერა-კითხვა იცისო. ბაბუას ერთი ამბავი აუტეხია ამის გამო, ძლივს დაუშოშმინებიათ და ურჩევიათ, ახლა სამრევლო სკოლაში მიიყვანეთ, რუსული ანბანი შეისწავლოს და მომავალ წელს აუცილებლად მივიღებთო. ბაბუა დაპირებია მასწავლებლებს, გაისად თუ არ მივიღიათ, სუყველას თავებს წაგაცლითო.

მაგრამ ბაბუამ გაისამდე ვერ გაატანა — ორი თვის შემდეგ გა-

რდაიცვალა — მეზობლის ქორწილში გაციებულა, ალბათ ანთება და-
ეპართა და ველარ წამოდგა ფეხზე. ორმოცი წლისა იყო.

ოჯახს დიდად გაუჭირდა, ბებია თურმე ყოყმანობდა კიდეც, შვი-
ლი სკოლაში მივიყვანო თუ „პრიკაშიკიად“ მივებარო მდიდარ ვაჭარ-
სო — ჯამაგირიც ექნება და ოჯახსაც შეეშველებათ. მაგრამ გამოჩ-
ნდნენ კეთილი ადამიანები, ისე მოახერხეს, რომ მამა სწავლის ფუ-
ლისაგან გაათავისუფლეს და მან დაამთავრა ჯერ ის დაწყებითი სას-
წავლებელი, შემდეგ კი, 1902 წელს, ხონისავე სამსწავლებლო სე-
მინარია [სხვა საგნებთან ერთად სემინარიაში მუსიკასაც ასწავლიდ-
ნენ — მამას ჰქონდა მაშინდელი სანოტო რვეული, რომელშიაც მი-
სო ხელით გადაწერილი იყო ბევრი სასიმღერო და საცეკვაო მელო-
და (ვალსები და მახურკებიც) ვიოლინოზე შესასრულებლად. დარ-
ჩენილი იყო მაშინდელი ვიოლინოც და ხანდახან (ძალიან იშვიათად)
მამა იმ თავის საკუთარ ჩანაწერებს უკრავდა კიდეც. მუსიკის მასწავ-
ლებელი ხონშიაც კი ჩეხი იყო, გვარად ჰაუდეკი].

ამ სემინარიას „ქუთაისისა“ ერქვა, თუმცა კი ხონში მდებარეო-
ბდა. მისი დამთავრების შესახებ გაცემულ მოწმობას, სხვა მასწავლებ-
ლებთან ერთად, ხელს აწერენ პოლიკარპე ჩხიკვაშვილი, ძალიან პო-
პულარული ექიმი, რომელმაც მთელი ცხოვრება ხონში გაატარა და
შემდეგში მამას დიდად დაუმეგობრდა, და ცნობილი პედაგოგი ტრიფონ
თაბუკაშვილი. ხოლო მეორე გვერდზე, დირექტორ მოხირის ხელმო-
წერით ასეთი შენიშვნაა: ამა და ამ კანონის (ტომი ესა და ეს, მუხლი
ესა და ეს) ძალით ვუკოლ ბერიძე მოვალეა მასწავლებლად იმსა-
ხუროს არანაკლებ ექვსი წლისა, თუ არადა ხაზინაში უნდა შეიტანოს
550 მანეთი, ის თანხა, რაც დაიხარჯა მის შესანახად სემინარიაში.

მამამ მართლაც იმუშავა დაწყებითი კლასების მასწავლებლად
ქუთაისის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში 1902-დან 1908
წლამდე, 1907 წ. ჩააბარა სიმწიფის ატესტატის მისაღებად გამოცდე-
ბი ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში და ერთი წლის შემდეგ ჩაირიცხა პე-
ტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის ქარაუღლ-
სომხურ განყოფილებაზე. ამ დროს უკვე 25 წლისა იყო.

მამა და მამიდა, „მანიხად“ წოდებული, და მათი ორი ბიძაშვი-
ლი — გიორგი და ვანო (ინჟინერები) შეადგენდნენ უმაღლესი განათ-
ლების მქონე პირველ თაობას ჩვენს საგვარეულოში. მანიხა გვიან
შევიდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე —
როცა ოცდაათს გადაცილებული იყო (მამასგან გამიგონია, რომ ბავ-
შეობაში, ზედმიწევნით ბეჭითი და მეთოდური მოსწავლე ყოფილა და

მასწავლებლის ნათქვამს ურყევად ასრულებდა. ერთხელ თურმი მამამ გაიგონა, როგორ იზებებოდა რაღაც ტექსტს, რომელსაც ასე ამთავრებდა: «Иван книгу чи». მამამ ვერასგზით ვერ გადააბრუნებინა გვერდი, რომ დარჩენილი «тает»-იც წაეკითხა — მასწავლებელმა გვითხრა ამ გვერდის ბოლომდის ისწავლეთო და იქეთ აღარაო). კარგად მახსოვს, როგორ ემზადებოდნენ ერთად გამოცდებისთვის ის და მისი თანაკურსელი ვერა ბარდაველიძე, შემდეგში ცნობილი მეცნიერი-ენტოგრაფი. ერთხელ კითხულობდნენ კონსპექტში რომელიღაც ძველი ხელნაწერი წიგნის შესახებ, რომელსაც თავშიც აკლდა ფურცლები, ბოლოშიაც და შუაშიაც. მე გულწრფელად გამიკვირდა და ვიკითხე, თუ იმ წიგნს არც თავი აქვს, არც ბოლო და შუა ნაწილი, რაღა არის დარჩენილი-მეთქი... იმათგან გავიგონე პირველად კეკელიძის, ახვლედიანისა და შანიძის გვარები.

პეტერბურგში გატარებული წლები (1908-1912), რა თქმა უნდა, გადამწყვეტი იყო მამას, როგორც პიროვნების, ჩამოყალიბებისათვის — იქ შემუშავდა მისი მსოფლმხედველობა, მისი მოქალაქეობრივი ინტერესები, იქ ჩაეყარა საფუძველი მის სამეცნიერო-კვლევითს საქმიანობას.

ორ რასმე ჰქონდა მნიშვნელობა: ერთი მხრივ, პეტერბურგის უნივერსიტეტის საერთო მეცნიერულ დონეს, მისი პროფესორების შემადგენლობას (საკმარისია რამდენიმე გვარის დასახელება; ენათმეცნიერი ბოდუენ დე კურტენე, ორიენტალისტები: ზალემანი, ბარტოლდი, ჟუკოვსკი, ტურაევი, «კლასიკოსები»: ზელინსკი, ებელიოვი და სხვანი მრავალნი); მეორე მხრივ, თვით ქართული სტუდენტური კოლონიის შემადგენლობას: მამას დროს, ან ცოტა გვიან, სწავლობდნენ: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ჩუბინიშვილი, გიორგი ჩიტაია, სიმონ ყაუხჩიშვილი, კარპეზ დონდუა, თამარ და ნინო ლომოურები, გიორგი თარხნიშვილი, ვლადიმერ ფუთურიძე... და, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო არსებითი ის იყო, რომ ამ «კოლონიის» მოძღვრები იყვნენ ნიკო მარი და ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილი.

ნ. მარმა აქტიურად ჩააბა სტუდენტები სამეცნიერო მუშაობაში. ისინი სერიოზულად გაიწაფნენ ძველი ქართული ტექსტების კითხვასა და გაგებაში. მამას ორგვარი ინტერესი იმთავითვე გამოისახა, მაშინ გამოიკვეთა მისი მომავალი მეცნიერული მუშაობის ორი ხაზი. ერთი მხრივ, ეს იყო «ვეფხისტყაოსანის» კვლევა (როგორც ცნობილია, თვით ნ. მარი თავის ფილოლოგიურ კვლევა-ძიებაში დიდ აღ-

გილს უთმობდა „ვეფხისტყაოსანს“), მეორე მხრივ — ლექსიკოლოგია. რუსთაველის პოემის ტექსტს მამა შესანიშნავად იცნობდა, მე გონია, ზეპირადაც კი იცოდა იგი. შოთა ძიძიგურის მოწმობით ნიკო მარს მისთვის უთქვამს, „პეტერბურგის უნივერსიტეტის რუსთველოლოგიურ სემინარში წამოყენებული მრავალი ვუკოლისეული გონებამახვილური ინტერპრეტაცია პოემის ბნელი ადგილებისა ქუთაში დამჯდომია და კვლევა-ძიებაში გამომიყენებიაო“. როდესაც ოლივერ უორდროპმა თავისი დის მარჯორის მიერ ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად გამოცემის მომზადების დროს ნ. მარს დახმარება სთხოვა, უკანასკნელმა მამა ჩართო ამ საქმეში და სიტყვათა განმარტება მას დაავალა. მამა ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა 1911 წელს ქუთაისის გაზეთ „კოლხიდაში“ გამოაქვეყნა თავისი პირველი რუსთველოლოგიური ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ახალი ვარიანტის შესახებ, რომელსაც თვითონვე მიაკვლია. ნ. მარისავე ინიციატივით დაიწყო მამამ დასავლეთ საქართველოს ლექსიკის შესწავლა: 1911 წელს იმოგზაურა იმერეთსა და რაჭაში და დიდძალი მასალა მოაგროვა ხალხის ცოცხალი მეტყველების დაკვირვების შედეგად. ქვემო იმერულს ხომ თვითონაც მშვენიერად იცნობდა ბავშვობიდანვე, ამისთვის საკმარისი იყო ხონისა და მისი მეზობელი სოფლების — მათხოჯის, კონტუათის, საწულუკიძეთოს, კუხის, გუბისა და სხვათა — ენობრივი გარემო, კმაროდნენ საკუთარი ნათესავეები და მეზობლები (ლექსიკონის წინ დართულ მითითებაში „ზეპირი და წერილობითი წყაროების“ შესახებ ჩამოთვლილნი არიან მამას ბიძაშვილები და ნაცნობები, დედას ნათესავეები — ბევრ მათგანს მეც ვიცნობდი). ამის შედეგი იყო, რომ 1912 წელს პეტერბურგის „საიმპერატორო აკადემიის სტამბაში“ დაიბეჭდა მამას „სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, რომელიც VI წიგნად შევიდა მარის მიერ დაარსებულ სერიაში Материалы по яфетическому языкознанию“ (წიგნის რუსული სათაური აშკარად მარისავე შედგენილია: „Грузинский (картский) глоссарий по имерскому и рачинскому говорам“). წიგნში ორი ათასზე მეტი სიტყვა შევიდა.

რაკი მე ამ საკითხებში სრულიად არა ვარ კომპეტენტური, კვლავ შოთა ძიძიგურს დავიმოწმებ: „ვუკოლ ბერიძე პირველი მეცნიერია, რომელმაც გაავლო ხნული ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიის ყამირზე და შეგვძინა ფუძემდებელი წიგნი, რომელიც მასალის სიჯხლით, აგებულებით, განმარტებათა სიზუსტითა და ლაკონიურობით სანიმუშოა ჩვენს ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში...“

აქ წარმოდგენილია ორი დიალექტის — იმერულისა და რაჭულის — სიტყვობრივი საუნჯე, თავმოყრილია ძვირფასი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც არ არის აღნუსხული არც ერთ ქართულ ლექსიკონში და რომელთა გამომწეურებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს დიდი ქართული ლექსიკონის შესადგენად“ (1986 წ. გამოვიდა „სიტყვა კონის“ ახალი, ფოტოტიპური გამოცემა. ბევრად უფრო გვიან, 1938 წ., მამამ კვლავ ითავა დიალექტური ლექსიკონების გამოცემა. მისი რედაქციით გამოვიდა გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები გ. შარაშიძის, ბ. წერეთლისა და მიხ. ალავეძისა).

პეტერბურგში მამას მეცნიერული აქტივობა ამით არ ამოიწურებოდა: წერდა წერილებს ქართული კულტურის საკითხებზე რუსული ენციკლოპედიისათვის, უფრო გვიან მონაწილეობდა ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენაში ივანე ჯავახიშვილის რედაქციით; 1912 წლის ივნისში კი, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, გაემგზავრა პრაქტიკანტად ანისში, სადაც ნიკო მარი ძველი სომხური დედაქალაქის არქეოლოგიური გათხრების მეთერთმეტე კამპანიას აწარმოებდა. მაშინვე დაავალა მარმა მამას მოსამზადებელი მუშაობა ეწარმოებინა გეგუთის „ციხე-დარბაზის“ გათხრების დასაწყებად, მაგრამ საქმე ჩაიშალა, რადგანაც იქაურმა მიწისმფლობელებმა უარი თქვეს ნებართვა მიეცათ („ციხე-დარბაზი“ კერძო პირის, ადგილობრივ აზნაურ ჭოლოშვილის საკუთარ მიწაზე აღმოჩნდა!).

მამა ყოველთვის დიდი სიყვარულით იგონებდა სტუდენტობის წლებს, პეტერბურგის უნივერსიტეტს, თვით ქალაქს, რომელსაც კარგად იცნობდა. როცა მე, დედა და ჩემი ბიძაშვილი მიშა პირველად წაგვიყვანა ლენინგრადში 1929 წელს, აშკარად სიამაყის გრძნობით გვიჩვენებდა თავის უნივერსიტეტს — „თორმეტი კოლეგიის“ ძველისძველ შენობას, უგრძესი კორიდორით, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში აგებულს შვეიცარიელი დომენიკო ტრეზინის მიერ.

უნივერსიტეტი მამამ პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო პროფესორი ვალენტინ ჟუკოვსკი, ნ. მარის ცოლისძმა.

რუსეთიდან მამა ქუთაისს დაუბრუნდა და უფროს კლასებში დაიწყო მასწავლებლობა იქაურ ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1913 წელს ცოლად შეირთო დედაჩემი — ჩხეიძის ქალი. დღეს ძნელიც კი არის რეალურად გათვალისწინება იმ უდიდესი და უაღრესი მნიშვნელობისა, რომელიც თბილისისა და ქუთაისის ქართულ

გიმნაზიებს ჰქონდათ ჩვენი ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. ახლანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, ეს იყო ქართული ეროვნული კადრების, ქართული ინტელიგენციის ნამდვილი სამკედლო: უამრავი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, მწერალი და მსახიობი ამ გიმნაზიაში აღიზარდა, მათ სამუდამოდ შეინარჩუნეს თავისი სკოლებისა და მასწავლებლებისადმი დიდი მადლიერების გრძნობა. ეს არც არის საკვირველი, თუ გავიხსენებთ, რომ, მაგალითად, ქუთაისის გიმნაზიაში მასწავლებლობდნენ დიდი პედაგოგები — იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე წერეთელი, გიორგი ახვლედიანი

მამა ქართულ ენასა და ლიტერატურას და ისტორიას ასწავლიდა. როგორც მისი ყოფილი მოწაფეებისაგან მსმენია და წამიკითხავს კიდევ მათს მოგონებებში, მისი გაკვეთილები დიდად სცილდებოდა საშუალო სკოლის პროგრამას და თითქმის საუნივერსიტეტო ლექციების დონეზე იდგა: „ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები... ვ. ბერიძის გაკვეთილზე განიხილებოდა არა იზოლირებულად, არამედ მწერლის მთელ შემოქმედებასთან, ნაწარმოების წარმომშობ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან, ახლო და შორეულ ისტორიულ წარსულთან დაკავშირებით, რუსული, დასავლეთ-ევროპული და აღმოსავლური ლიტერატურის დიდ მხატვრულ ძეგლებთან პარალელების გავლებით. ვ. ბერიძის გაკვეთილებს თან ახლდა ექსკურსები ძველ ქართულ მწერლობაში, ისტორიაში, არქეოლოგიაში, ხუროთმოძღვრებაში, ქართულ ფოლკლორსა და ენოგრაფიაში“ (ვანო წულუკიძე).

ამას გარდა, მამას დაჰყავდა მოწაფეები ისტორიული ძეგლების, უბირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ბაგრატიის ტაძრისა და გელათის სანახავად. როგორც ჩანს, განსაკუთრებული გატაცებით ასწავლიდა „ვეფხისტყაოსანს“ და აგრეთვე ილიას „მგზავრის წერილებს“ — მეც კარგად მახსოვს, რომ ეს მისი საყვარელი ნაწარმოები იყო.

1916 წელს მიეკუთვნება ივანე ჯავახიშვილის წერილი იმერეთის ეპისკოპოს გიორგი ალადაშვილისადმი, რომლისთვისაც მამას უთხოვია ქართული ენის მასწავლებლის ადგილი სასულიერო სემინარიაში. სემინარიის გახსნას აპირებდნენ ქუთაისში. ეს სარეკომენდაციო წერილია: „რაკი ამ საქმის გადაწყვეტა თქვენზეა დამოკიდებული, გავკადნიერდები და თქვენს მეუფებას მოვახსენებ, რომ ვუკ. ბერიძე, ვითარცა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ქართულ-სომხურ განყოფილებაზე ნასწავლი, ქართული ენის სპეცია-

ლისტი გახლავთ, თავის საგნის მცოდნე და მოყვარული, თანაც მხნე მუშაკი და გულწრფელი მამულიშვილი... ამიტომ სრული სამართლიანობა იქნებოდა და თვით ძველ ქართულ მწერლობის შესწავლასაც სარგებლობას მოუტანდა, თუ რომ თქვენ კეთილინებებთ და ქართული ენის მასწავლებლობას სემინარიაში ვუკოლ ბერიძეს მიანდობთ. დარწმუნებული ვარ, რომ იგი თავის მოვალეობას სინდისიერად ასრულებს და დავალებულ საქმესაც პირნათლად გაუძღვება“ (წერილი გამოაქვეყნა პროფესორმა სოლომონ ხუციშვილმა).

მართლაც, 1917 წლის იანვარში გიორგი ეპისკოპოსმა მამა მიიწვია ქართულის მასწავლებლად „სასემინარიო კლასებში“, ხოლო იმავე წლის მაისში იმერეთის ეპარქიის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა ყრილობამ იგი აირჩია იმერეთის ეპარქიის სასწავლო საბჭოს თავმჯდომარედ.

ქუთაისში ყოფნის დროს მამას არ გაუწყვეტია კავშირი პეტერბურგთან. იქაურ ქართველოლოგიურ საქმიანობასთან. მის არქივში ინახება ნიკო მარის, იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის წერილები, რომლებიც სპეციალურ საენათმეცნიერო საკითხებს ეხება — ქართული ენის ნორმებისა და მართლწერის, გრამატიკული წესების საკითხებს და სხვ. 1913 წელს ნიკო მარმა და იოსებ ყიფშიძემ მას სთხოვეს მონაწილეობა მიეღო ძველი ქართული ლექსიკონის მომზადებაში და საამისოდ დაემუშავებინა მარის მიერ „Тексты и разыскания“-ს სერიაში გამოცემული ძველი ქართული ტექსტები. როდესაც 1916 წელს გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, მამამ მას ვრცელი რეცენზია უძღვნა გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ რამდენსამე ნომერში. რალა თქმა უნდა, რეცენზიაში ალტაცებით არის შეფასებული ახალი წიგნი, როგორც ქართული საისტორიო მეცნიერების დიდი მონაპოვარი და საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ „ბ. ივ. ჯავახიშვილის მიერ დაყენებით ქართულად წერა და ამით ეროვნული მეცნიერების მკვიდრად დაფუძნება განსაკუთრებით სადღესასწაულო და საზეიმოა“. ბოლოს კი ასეთი სიტყვებია: „მაგრამ თხზულების განხილვა გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია, და თუ ვისმე გასურს განცდად სიდიადისა მისისა, თავათვე ინებე წაკითხვა“ (აქ მამას რამდენადმე სახეშეცვლილად აქვს გამოყენებული მემატიანი: სიტყვები ბაგრატ III-ისა და მის მიერ აგებული ბედიის ტაძრის შესახებ).

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან მამა იყო წევრი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაარსებული „საქართველოს საისტორიო და

საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“, ხოლო 1913 წელს იგი აირჩიეს ქუთაისის განყოფილების გამგეობის მდივნად (თავმჯდომარედ — ტრიფონ ჯაფარიძე).*

მაგრამ მთავარი ამ დროს მაინც პედაგოგიური მოღვაწეობა იყო.

როგორც ჩანს, მამას ნამდვილი პედაგოგიური ნიჭი ჰქონდა. იცოდა მოწაფეების დაინტერესება და გატაცება, ახერხებდა მათთან ადამიანური კონტაქტის დამყარებას. ჩემი სიცოცხლის მანძილზე ხშირად მხვდებოდნენ მამას ნამოწაფარნი ქუთაისის გიმნაზიიდან და ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტიდან (მოკლედ „ზაკაუს“ რომ უწოდებდნენ), სადაც მამა 1922—1932 წლებში ასწავლიდა (უნივერსიტეტის პროფესორი 1932 წლიდან გახდა), თუ ქუთაისში მამას ბავშვებისთვის უხვდებოდა სწავლება, „ზაკაუსი“ მისი მსმენელნი უკვე სტუდენტის ასაკისანი იყვნენ, თითქმის ყველანი სოფლებიდან ჩამოსულნი. ეს სასწავლებელი ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს ამზადებდა. მამა, თავისი ძირებით სოფელთან დაკავშირებული, ძალიან ადვილად პოულობდა საერთო ენას სოფლელ ბიჭებთან, მამობრივად ზრუნავდა მათზე (ნივთიერადაც ეხმარებოდა ზოგჯერ) და იმათაც ჩვეულებრივი გატაცებით ასწავლიდა. და აი ამ მოწაფეთაგან, როგორც ქუთაისის გიმნაზიიდან, ისე „ზაკაუდანაც“, არ შემხვედრია არც ერთი, რომ ძალიან გულთბილად, მადლობით არ ეხსენებინა მამა და მოვალედ არ მიეჩნია თავი მის შესახებ რამე ეამბნა. რაღა თქმა უნდა, ჩემთვის ეს დიდად სასიხარულო იყო. თვითონ მამა ამაყობდა თავისი ყოფილი მოწაფეებით, და როცა ვინმეზე იტყოდა, ეს ჩემი ნამოწაფარიაო, სახეზე დაუფარავი სიამოვნება ეხატებოდა. „ნამოწაფარნი“ ბევრნი იყვნენ, სულ სხვადასხვა ხელობისა და რანგის ადამიანები. ერთხელ ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარმა გრიგოლ ჩხეიძემ მამას სიცილით უთხრა, მე მგონია, მხოლოდ ობერ-კონდუქტორი არ გყოლია მოწაფედ, თორემ სხვა ყველაო.

* ტრიფონ ჯაფარიძის მიერ ექვთიმე თაყაიშვილისადმი 1916 წლის მაისში გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ქუთაისის განყოფილებას განზრახული ჰქონდა მამა მიველინებინა ლაზეთსა და ტრაპიზონში, „რაკი იმ ადგილებში ქართველთა ბევრი სიძველე ინახება“. მას დაევალებოდა „ყველაფერი დაათვალიეროს, ასწეროს და რაც მოხერხდება წამოიღოს ჩვენი მუზეუმებისთვის“. ეს მივლინება არ განხორციელებულა. იმავე წერილიდან: „გამგეობა ეცდება ეუკოლ ბერიძესვე მიენდოს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისაგან ანკეტის მოხდენა დამშუულ ქანელთა შესახებ“ (იხ. როინ მეტრეველის წიგნი „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“).

ხუმრობა იქეთ იყოს და საამაყო მართლაც ჰქონდა, იმდენი სახელმძღვანელო კაცი გამოვიდა მის „ნამოწაფართაგან“. მათ შორის იყვნენ არნოდლ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია, დავით დონდუა, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, მგონი უშანგი ჩხეიძე... ძალიან ბევრი მეცნიერი, მწერალი...

და კიდევ ერთი კაცი, რომელსაც ასეთი დიდი სახელი არ დაუტოვებია, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით უნიკალური პიროვნება იყო — ნიკოლოზ გვეტაძე, რომელიც უკვე ოთხმოცს გადაცილებული გარდაიცვალა 1982 წელს. თავისი ცხოვრების ბოლო წლები, ათი-თხუთმეტი მაინც, მას შემდეგ, რაც პენსიონერი გახდა, მან მთლიანად შესწირა ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგების ხსოვნის უკვდავად. ყოფილ მოწაფეებს — თავის ამხანაგებსაც და სხვებსაც — თავი მოუყარა, რომელიღაც თარიღი აღანიშნინა, მოაგროვა ფული და დაუღალავი შრომითა და ღვაწლით მიაღწია იმას, რომ ქუთაისში, ყოფილი ქართული გიმნაზიის ეზოში, დაიდგა იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის ბიუსტები; თავი მოაბა ძველი პედაგოგისა და კომპოზიტორის (აგრეთვე ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებლის), რატომღაც ყველასგან დავიწყებული ნიკო შარაბიძის საიუბილეო საღამოს კონსერვატორიის მცირე დარბაზში, მისი დაბადების 90 წლის-თავის გამო; ხშირად დადიოდა ჩემთან, აგროვებდა ფოტოსურათებს, ამზადებდა რაღაც ალბომს, და ყოველი მოსვლის დროს იმეორებდა, თუ როგორ შეაყვარა მას და მის ამხანაგებს მამაჩემმა საქართველოს ისტორია, ჩვენი ისტორიული ძეგლები. ხოლო „ზაკაუს“ ყოფილმა სტუდენტმა ვარლამ გოლაძემ მამას დაკრძალვაზე წარმოთქვა არაჩვეულებრივად თბილი და ამბლელებელი სიტყვა... რამდენადაც ვიცი, პოპულარული იყო მამას ლექციები უნივერსიტეტშიაც, სადაც იგი რუსთველოლოგიას კითხულობდა და მის მიერვე დაარსებულ რუსთველოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ თბილისში 1918 წელს გადმოვედით. ჩვენი ოჯახის გადმოსვლა შემთხვევითი არ ყოფილა — კანონზომიერი იყო, როგორც რევოლუციის მიერ გამოწვეულ ცვლილებათა შედეგი. თბილისში იქმნებოდა ახალი სახელმწიფოებრივი დაწესებულებები, დაარსდა ეროვნული უნივერსიტეტი, ისახებოდა მომავალი პერსპექტივები. თბილისის ოციან წლებში დიდად ესაჭიროებოდა ეროვნული კადრები და ისინი მართლაც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან გამოეშურნენ დედაქალაქისკენ. განსაკუთრებით დიდი მსხვერპლი ქუთაისმა გაიღო, არსებითად, თავისი საუკეთესო ძალები დაუთმო თბი-

ლისს: იქიდან ჩამოვიდნენ დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ბევრი შესანიშნავი პედაგოგი, მსახიობი, მწერალი — მათ შორის „ცისფერყანწლები“, ნიჭიერი ახალგაზრდობა მიაწყდა უნივერსიტეტს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან მამას ცხოვრება დიდი ხნით დაუკავშირდა განათლების სახალხო კომისარიატს, სადაც იგი მანამდის არსებული განათლების სამინისტროდან გადავიდა. ჰერ, ცოტა ხანს, რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს გამგედ იყო, 1922 წლის აპრილიდან 1932 წლამდე კი განაგებდა სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს (რუსეთში ანალოგიურ განყოფილებას შემოკლებით „გლავნაუკას“ უწოდებდნენ).

დაისვა თუ არა მამაჩემის წინაშე პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი იმ გარდატეხის მომენტში? (მამა წინათ სოციალ-დემოკრატიკულ ტებს თანაუგრძნობდა, მაგრამ ამ დროს პარტიის წევრი არ იყო). ალბათ დაისვა, ისევე, როგორც მისი თაობის ყველა ადამიანისა და, კერძოდ, მისი კოლეგებისა და ამხანაგ-მეგობრების წინაშეც. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ არც მას, არც მის ახლო წრეს — ჩვენი უნივერსიტეტის დამაარსებელთა თაობას და მასთან ახლო მდგომთ — არ განუცდიათ ყოყმანი, უცხოეთს წავიდეთ, თუ შინ დავრჩეთ. არ განუცდიათ იმიტომ, რომ მათთვის სხვა საქართველო არ არსებობდა, და არც სხვა რაიმე საშუალება სამშობლოს სამსახურისა (ეს კი მათი ცხოვრების ერთადერთ აზრს შეადგენდა), თუ არა თავდადებული, უანგარო შრომა აქვე, სამშობლოს მიწაზე. ეს ასე იყო, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გასაგები და მისაღები იყო მათთვის პირველი ნაბიჯებიდან ახალი ხელისუფლების პროგრამის ესა თუ ის მხარე. გავიდა ხანი და თვალნათლივ დადასტურდა, რომ ყველანი ისინი ახალი საქართველოს წარმატებისთვის იღვწოდნენ და ყველამ — ვისაც როგორ დასცალდა — თავისი სასიკეთო წვლილი შეიტანა ამ წარმატებაში. მამების პოზიცია განმსაზღვრელი იყო ჩვენი საკუთარი მსოფლმხედველობისთვისაც (საბჭოთა საქართველოს პირველ ხელმძღვანელთა შორის უმეტესობა ჩემი მშობლების თაობისა იყო, ბევრთან მეგობრობდნენ კიდევ ახალგაზრდობაში და მათთან კონტაქტები ახლა სწრაფად განახლდა).

როგორც ზემოთ ვწერდი, სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს ევალეზობდა ბევრი რამ, რასაც ახლა კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო და კულტურის სამინისტრო განაგებენ: მის გამგებლობაში იყო არქივები და მუზეუმები, აგრეთვე

ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობა, მოგროვება. მაშინ ეს განსაკუთრებით ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე იყო. საბჭოთა მთავრობამ სახელმწიფო საქმედ აღიარა ძეგლების დაცვა და პატრონობა, ისევე როგორც სამუზეუმო ფასეულობისა. შეიქმნა სათანადო საადმინისტრაციო ორგანოებიც. მაგრამ პრაქტიკულად ამ საქმეს ბევრი რამ ეღობებოდა წინ — რად ღირდა თუნდაც სტიქიური ანტირელიგიური კამპანია, რომელსაც საქართველოს ზოგ კუთხეში, ადგილობრივი ულტრა-რევოლუციონერების წყალობით, ძველი ქართული ხელოვნების ბევრი ძეგლი ემსხვერპლა... ბევრი შესანიშნავი, მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოები ჯერ კიდევ ეკლესია-მონასტრებში იყო დარჩენილი, მიუხედავად იმ გრანდიოზული შრომისა, რომელიც ქართულ სიძველეთა მკვლევარებმა, უპირველეს ყოვლისა, ექვთიმე თაყაიშვილმა, გასწიეს... სრულიად მოუგვარებელი იყო მუზეუმების ორგანიზაციაც, ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ამ საქმეების მოგვარებასა და ფეხზე დაყენებას გიორგი ჩუბინიშვილმა, დიმიტრი შევარდნაძემ, მათმა თანამშრომლებმა და თანაშემწეებმა, ბევრმა ადგილობრივმა მოღვაწემაც, მაგალითად, ქუთაისში, ზუგდიდში.

მამა აქტიური მონაწილე იყო ამ საქმიანობისა. შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა სპეციალური სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობას, სამუზეუმო ნიმუშების მოგროვებას (მამამ გადაარჩინა ცნობილი ვანის სახარება, გადაწერილი და შემკული თამარ მეფის დროს. რევოლუციის წლებში ვიღაც ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სახარება ვანის ეკლესიიდან და მოასწრეს მისი ყდის განადგურება. ქურდები იპოვეს. მამა საგანგებოდ გაიგზავნა ვანში, მან შეძლო სახარების ჩამორთმევა და თბილისში ჩამოიტანა), გამოფენების გამართვას... ყოველგვარი ასეთი საქმის ხელისშემწყობი და პირველი მოსარჩლე იყო.

ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურულ (და პოლიტიკურ!) აქციათაგანი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ჰქონდა ადგილი — იყო რევოლუციამდე, სხვადასხვა დროს რუსეთში გაზიდულ სიძველეთა და საბუთთა რეევაკუაცია, ე. ი. დაბრუნება საქართველოში. ერთი მხრივ, ეს იყო არქივები და ნივთები, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დროს გადახიზნეს ჩრდილოეთ კავკასიაში — ეკატერინოდარში (ასლანდელ კრასნოდარში), პიატიგორსკში, გეორგიევსკში, სტავროპოლში, რომელიღაც სტანიცებში. მათ შორის იყო კავკასიის ნამესტნიკის უძვირფასესი არქივი, რომელიც შეიცავდა 1795-1910 წლების საქმეებს, სხვა დაწე-

სებულებათა საქმეებსაც, სულ 350 ათასზე მეტ საქმეს. ამ არქივების ჩამოსატანად 1923 წელს გაიგზავნა ისტორიკოსი, საქართველოს ცენტრ-არქივის დირექტორი სარგის კაკაბაძე, რომლის საანგარიშო მოხსენების პირი მამას არქივში აღმოჩნდა. ეს ნამდვილი ტრაგეული ეპოპეაა, რომელსაც აუღელვებლად ვერ წაიკითხავ... აღწერილია, როგორ დაიღუპა სამოქალაქო ომის წლებში ამ ძვირფას საბუთთა ნახევარზე მეტი, როგორ მიჰქონდა ნიავს უპატრონოდ დარჩენილი ძველი ქართული სიგელ-გუჯრები... მაგრამ რაც გადარჩა, ის მაინც დაუბრუნდა საქართველოს...

უფრო რთული იყო სიძველეთა, მათ შორის ძველ ქართულ ხელნაწერთა, დაბრუნება მოსკოვიდან და პეტროგრადიდან. ბევრი მათგანი იქ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ინახებოდა, ზოგი სააზიო მუზეუმში, ზოგი საჯარო ბიბლიოთეკაში, ზოგი კიდეც სხვა დაწესებულებაში. მათ შორის იყო ეპისკოპოსის პორფირი უსპენსკის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან წამოღებული ხელნაწერები, იმავე მონასტრიდან გიორგი ავალიშვილის მიერ 1820 წელს ჩამოტანილი ხელნაწერები, რომლებიც მან 1841 წელს სააზიო მუზეუმს დაუთმო; ე. წ. ტიშენდორფისეული ხელნაწერები, ბროსეს კოლექციის ხელნაწერები და თვით ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სანაფოსი საქართველოსას“ ხელნაწერიც — სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფასდაუღებელი მეცნიერული ღირებულების განძი.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1922 წლის ივლისში მამა დანიშნა „საგანგებო რწმუნებულად რუსეთიდან საქართველოს სიძველეთა გადმოტანისათვის“, ხოლო ამ საქმის მოსაგვარებლად შეიქმნა შერეული რუსულ-ქართული კომისია, რომელშიაც „სრულუფლებიანი კომისიის“ ოფიციალური წევრების გარდა, მეცნიერი ექსპერტებიც შედიოდნენ — საქართველოდან ესენი იყვნენ კომისიის წევრი დაიანე ჯგუშია და ექსპერტები აკაკი შანიძე, პავლე ინგოროყვა და კორნელი კეკელიძე. კომისიის საქმიანობაში მონაწილეობდნენ რუსეთის განათლების სახალხო კომისარის მოადგილე ისტორიკოსი პოკროვსკი (ზოვჯერ ლუნაჩარსკიც), აკადემიკოსები ოლდენბურგი და კრაჩკოვსკი, საჯარო ბიბლიოთეკისა და სააზიო მუზეუმის წარმომადგენლები და სხვანი.

1922 წელს რეევაკუაციის საქმეებთან დაკავშირებთ მოსკოვს იყვნენ მამა, კორნელი კეკელიძე და პავლე ინგოროყვა. საბუთები მოწმობს, რომ საორგანიზაციო საქმიანობასა და მთელი მუშაობის დაფინანსებას მამა ხელმძღვანელობდა. მამას არქივში არის დაცული

ოქმები, ხელნაწერები და ანგარიშები, რომლებიც ახლანდელ მკითხველს ღიმილს მოგვრის. მაგალითად „ოქმი დელეგაციის სხდომისა 1922 წლ. 22 აგვისტოს. დაესწრნენ: კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა და ვუკ. ბერიძე.

მოისმინეს: I. დელეგაციის წევრთა „დღიურების“ შესახებ ცნობა: როგორც კომისიის ოქმში იყო აღნიშნული (ოქმი № 1, 5 აგვისტოს), მოსკოვში სხვადასხვა უსაჭიროეს სანოვავის ფასი დღითი-დღე მატულობს და ამიტომ პირველ კრებაზე დადგენილი ნორმა „დღიურებისა“ უკვე საკმაო არ არის და საჭიროა მისი გადიდება... აგვისტოს ოციდან დაწყებული. დაადგინეს: ა). გადიდებულ იქნას „დღიურების“ რაოდენობა 25 მილიონამდე; ბ). მიეცეს თვითოეულ წევრს ამ რაოდენობით 20 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე, სულ 17 დღის 425 მილიონი (25 მილ. X 17).

კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ვუკ. ბერიძე“.

ოქმი მამას ხელით არის ნაწერი.

ან კიდევ: „მივიღე ვუკოლ ბერიძისაგან საქართველოს სიძველეთა გადმოშტანი კომისიის ხარჯებისათვის ერთი მილიარდი ხუთას ოთხმოცდაათი მილიონი მანეთი რუსული ბონებით. დ. ჯგუშია“.

რა თქმა უნდა, დიდად მნიშვნელოვანი იყო, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ პრინციპული თანხმობა განაცხადა ქართულ სიძველეთა დაბრუნებაზე. მაგრამ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებასა და მის განხორციელებას შორის დიდი მანძილი იღო. დაიწყო „ქონების გაყოფა“ გაუთავებელი მსჯელობა და ღვა იმის დასადგენად, თუ რა უნდა გადმოსცემოდა საქართველოს და რა უნდა დარჩენილიყო რუსეთში. ეს ყველაფერი ნაამბობია აკაკი შანიძის მოხსენებითს ბარათებში. მე მგონია, ფსიქოლოგიურად სავსებით გასაგები უნდა იყოს, რომ რუს მეცნიერებს დიდად უშეძლებდა ასეთი მეცნიერული განძის ასე უცებ დათმობა. ბევრ მათგანს ალბათ გულში არც სჯეროდა, რომ ამ აქციას სხვა რაიმე გამართლება აქვს, გარდა პოლიტიკურისა. პეტროგრადში მეცნიერება, მათ შორის აღმოსავლეთმცოდნეობა, მტკიცედ იყო დაფუძნებული, წარმოებდა ინტენსიური კვლევა-ძიება, იყვნენ მკვლევარნი... ახლა კი — სად მიჰქონდათ ეს უძვირფასესი ხელნაწერები, რა ბედი ელოდა მათ, ვინ მოუვლიდა ან ვინ შეისწავლიდა მათ? ხომ არ იქნებოდა ეს ბუდის ტყუილი მოშლა? მე მგონია, ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ რუს მეცნიერთა ნაწილი (ნიკო მარიც) წინ აღუდგა სიძველეთა რევეაკუაციას (რა თქმა უნდა, მათ შორის ისეთებიც ერივნენ, რომელთაც ისე-

თი „იდეური“ პოზიცია კი არ ეჭირათ, არამედ ელემენტალური შავ-რაზმელები იყვნენ). საქმე მაინც კეთილად დამთავრდა და საქართველოს კვლავ დაუბრუნდა თავისი ეროვნული განძის დიდი ნაწილი. მამას არქივში დაცულია სხვა საბუთებიც — განათლების კომისრის დავით კანდელაკისა და მამას წერილები საქართველოს სახკომსაბჭოსა და სხვა ინსტანციებისადმი, რომლებიც ეხება სიძველეთა დაბრუნების პრაქტიკულ საკითხებს. და კიდევ ერთი საბუთი: საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარისა და განათლების კომისრის წერილი აბელ ენუქიძის, ლუნაჩარსკისა და პოკროვსკის სახელზე — მადლობა რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ჩვენი ეროვნული სიძველეების დაბრუნებისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მეცნიერების მომავალი განვითარებისთვის... აღნიშნულია, რომ ეს არის მაჩვენებელი „საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკებს შორის უანგარო დამოკიდებულებისა, რომელიც ემყარება ერთობლივ მისწრაფებას დაძლეულ იქნას იმპერიალისტური წარსულის გადმოწმობა“.

ეს მცირე საბუთიც, ერთი მრავალთაგანი, არ არის ინტერესს მოკლებული: მამას წერილი „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს. გთხოვთ სათანადო ხელწერილით ჩაიბაროთ ჩვენი წარმომადგენლის დ. ჯგუშის მიერ რუსეთიდან ჩამოტანილი სამეფო გვირგვინი, ეტრატის ხელნაწერები და მინანქრები“.

მე მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ ბუნდოვნად მახსოვს ამ ამბის, ე. ი. ხსენებულ სიძველეთა დაბრუნების, შესახებ საუბარი ჩვენს სახლში — მაშინ ქართველი ინტელიგენცია ცხოვლად გამოეხმაურა ამ „რევეაკუაციას“.

ქართული კულტურის ძეგლებთან დაკავშირებით მაშინ სხვა რთული პრობლემებიც წამოიჭრა. როგორც ვთქვი, საბჭოთა მთავრობამ ჯერ რუსეთში, შემდეგ საქართველოშიაც, კულტურის ძეგლთა დაცვა სახელმწიფოს ზრუნვის დონეზე აიყვანა. მაგრამ ამ საქმის ორგანიზაციისას ბევრი ძნელად ამოსახსნელი საკითხი წამოიჭრა. ერთი მათგანი ყოფილა ამ ძეგლთა დაქვემდებარების საკითხი, რომელიც განუხილავს 1922 წლის თებერვალში სპეციალურ კონფერენციას «по урегулированию управления и финансирования научных учреждений, находящихся на территориях федеративных и независимых республик» (ეს ტერმინები ნუ ვაგაკვირვებთ — საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი კონსტიტუციურად). ამ კონფერენციას სასურველად უცვნია საბჭოთა რესპუბლიკების მთელი მც-

ნიერული მუშაობის ხელმძღვანელობის თავმოყრა მოსკოვში, ამას გარდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლების გადაცემაც იქაური ორგანოებისთვის. „ამრიგად მოსკოვს უნდა გადაეცეს საქართველოს მუზეუმი, საქართველოს ობსერვატორია, ხოლო ძეგლთაგან — თითქმის ყველანი: დრანდა, ბიჭვინთა, მოქვი, ბედია, ბაგრატიის ტაძარი, მარტვილი, ნიკორწმინდა, გელათი, მცხეთა, ზარზმა, საფარა, ატენი, ბოდბე და სხვ. და სხვ.“

რა თქმა უნდა, კონფერენციის ეს დადგენილება არ განხორციელებულა, ბუნებრივია, რომ მთავრობამ იგი არ დაამტკიცა. მაგრამ სანამ ეს გაირკვეოდა, ეტყობა, საჭირო გახდა ბრძოლა. ამ ბრძოლის ერთი საბუთია მამას წერილი ნიკო მარისადმი, დათარიღებული 1922 წლის 16 ივნისით. საკვირველი დოკუმენტია, ჩემი აზრით, მისი დაწერა და გაგზავნა მაღალი მოქალაქეობრივი აქტი იყო. როდესაც საქმე ჩვენი ეროვნული კულტურის ინტერესებს ეხებოდა, მამამ უკან დახევა არ იცოდა. წერილის საბაზი გამხდარა ნიკო მარის პოზიცია ამ საკითხში — ის თურმე ემხრობოდა ხსენებულ დადგენილებას. რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ უნდა ვიფიქროთ, რომ მარის ეს საქციელი, ისევე როგორც მისი თავდაპირველი უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენი უნივერსიტეტისადმი, მისი ანტიქართული განწყობილებით იყო ნაკარნახევი. ნ. მარს, ბუნებრივია, ეძნელებოდა მის მიერ განუზომელი შრომით, მართლაც წვითა და დაგვიტ შექმნილი პეტერბურგის ქართველოლოგიური კერის დაცარიელება — მან, ივანე ჯავახიშვილისა და მის მხარში მდგომთაგან განსხვავებით — მაშინ ვერ დაიანახა ქართული ეროვნული მეცნიერების პერსპექტივები ეროვნულ მიწა-წყალზე, ვერ იწამა, რომ აქ, საქართველოში, მეცნიერული კვლევა-ძიება მაღალ დონესა და პრესტიჟს შეინარჩუნებდა, არ დაკნინდებოდა... ამითვე უნდა აიხსნას მისი დამოკიდებულება ქართულ ძეგლთა და სამეცნიერო დაწესებულებათა მართვის ცენტრალაზაციის საკითხებისადმიც. მარი ორსავე შემთხვევაში ცდებოდა, მაგრამ მას არ შეიძლება (არამც და არამც)! რაიმე ბოროტი განზრახვა მივაწეროთ. უნდა გვახსოვდეს, რომ მიუხედავად ბევრი შეცდომისა თავის თეორიულ კონსტრუქციებში (ენათმეცნიერებაში, ქართული ხუროთმოძღვრების თავისთავადობის შეფასებაში) — სამწუხაროდ, მავნე შეცდომებისაც! — ნიკო მარი იყო ის კაცი, რომელმაც ძველი ქართული მწერლობის შესწავლა თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების ღონეზე აიყვანა, ის მეცნიერი, რომელმაც თავის დროზე ყველაზე მეტი გააკეთა ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ძეგლების საქვეყნოდ

გამოჩენისათვის, ქრისტიანულ კულტურაში საქართველოს კულტურის ადგილის დამკვიდრებისათვის, ასევე, უძვირფასესი მასალა შეგვიძინა შავშეთ-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებისა და იქაური ქართველების ყოფა-ცხოვრების, მათი ენის შესახებ.

მაგრამ იმ კონკრეტულ ვითარებაში ნიკო მარის პოზიცია, ცხადია, ხელს უშლიდა ქართული კულტურის საჭირობოროტო საკითხის სწორად გადაჭრას. და აი, მამამ არ დაინდო თავისი მასწავლებელი, რომელიც ძალიან უყვარდა და რომელსაც უმადლოდა თავის, როგორც ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის, ჩამოყალიბებას.

წერილი უღმობელია. ჯერ მოთხრობილია საქმის ვითარება და სასტიკად არის (დასაბუთებულად) გაკრიტიკებული იმ კონფერენციის დადგენილება. შეჰდეგ კი ნათქვამია (მე მხოლოდ ზოგ ადგილს ამოვიწერ): „გავათავე წერილი და შეიძლება შევეკითხოთ: ყველაფერი კარგი, მარა მე რა შუაში ვარო. სწორედ თქვენ ხართ შუაში: თქვენ ხომ იმ დაწესებულების, კოლექტივის ყველაზე მეტად გავლენიანი წევრი ხართ, რომელიც ასე თავგამოდებით არ გვაკლებს თავის მამა-შვილურ მზრუნველობას და წარმოუდგენელიც არის, თქვენდა დაუკითხავად აკადემიამ ან სხვა რომელიმე დაწესებულებამ გადადგას რაიმე ნაბიჯი ჩვენს მიმართ. და სწორედ აქ შეგიძლიათ თქვენ დაიცვათ ადამიანობა, სამართლიანობა. თქვენ შეგიძლიათ დაარწმუნოთ ყველანი, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც ისინი აწარმოებენ... არა მგონია საერთო კეთილდღეობისთვის საჭირო იყოს. თქვენ შეგიძლიათ შთააგონოთ მათ, საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა და საზოგადოდ კულტურის არსებობა არავისთვის არაა სახიფათო... (აქ მე მინდა ჩავუმატო: ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, რუსეთის საიმპერატორო აკადემიაში ბევრი იყო კონსერვატული ელემენტი, ზოგი, ალბათ, რეაქციულიც — ვ. ბ.)... თქვენ შეგიძლიათ... მაგრამ რას ვამბობ! თქვენ ხომ თვითონ სულის ჩამდგმელი ხართ ყველაფრის იმის, რაც დღეს ჩვენს წინააღმდეგ ხდება... და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ თქვენ ერთხელაც არ ინებეთ საქართველოში ჩამოსვლა, რომ უშუალოდ დარწმუნებულიყავით, თუ რა გააკეთა თავისუფალმა ერმა,... რა წარმატება გამოიჩინა მან თავისი ცხოვრების ყოველ დარგში, ყოველ სფეროში ისე, რომ ოდნავაც არ შეულახავს არავისი ინტერესები. მაშინ თქვენ. დარწმუნებული ვარ, სულ სხვაგვარად მოიქცეოდით, მაშინ ჩვენთან ერთად შეტევაზე გადახვიდოდით არამკითხე მზრუნველთა წინააღმდეგ“, და სხვა. წერილში არის უფრო მწვავე ადგილებიც.

მაგრამ, მართლაც, გავიდა ცოტა ხანი და ნიკო მარმა სავსებით რეალურად შეაფასა თბილისის უნივერსიტეტიც, საერთოდ თანამედროვე ქართული მეცნიერება და მისი აქტიური თანამგრძნობი გახდა.

მარმა მამას წერილი დაუბრუნა, თავისი პასუხიც მოაყოლა, რომელშიაც წერდა, რომ არავითარი კავშირი არა აქვს იმ მართან, რომლის შესახებაც იქ არის ლაპარაკი. არსებითად, ეს არც იყო პასუხი. მაგრამ შიგ არის ერთი კუროზული ციტატი ფრანგი მეცნიერის დ'არბუა დე ჟიუბენვილის წიგნიდან: „მოწაფეების დიდი ნაწილი თითქმის ყოველთვის მასწავლებელთა მტრად იქცევა. ეს ფსიქოლოგიური კანონია; კონვენტის წევრები, რომელთაც ამდენი მღვდელი აიყვანეს გილიოტინაზე, ყველანი სასულიერო პირთა მოწაფეები იყვნენ; საიმპერატორო უნივერსიტეტის მოსწავლენი 1814 წელს აშკარა როიალისტები აღმოჩნდნენ, 1830 წელს კი სამეფო უნივერსიტეტის სტუდენტები ტაშით შეეგებნენ შარლ X-ის ჩამოგდებას. ჩვენი მტერი — ჩვენი მასწავლებელიაო, თქვა დიდმა ფრანგმა მოიგავარაკემ (ლაფონტენი, იგავ-არაკები, წ. VI, არაკი მერვე)“.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მამა ნიკო მარს შეხვდა, ამ ამბის შესახებ არც ერთს ხმა არ ამოუღია. მამას ძველებურად უყვარდა თავისი მასწავლებელი. პირველად ნ. მარი 1928 წელს ვნახე, როდესაც თბილისში ჩამოვიდა და „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ მიწვევით კონსერვატორიის დარბაზში წაიკითხა მოხსენება «Почему так трудно стать лингвистом-теоретиком». გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ მისი ჩამოსვლის ამბავს, იბეჭდებოდა მისი პორტრეტები, მასთან საუბარი. მარი ოფიციალურად დიდად დაფასებული იყო. ორი წლის შემდეგ, 1930 წელს თბილისში ყოფნის დროს მარი ჩვენთან მოვიდა სახლში, ვახშმად. მასთან ერთად იყო მისი ვაჟი, ცნობილი ირანისტი იური, რომელიც აბასთუმანში ცხოვრობდა — ტუბერკულოზი სჭირდა. მამას დიდი მეგობარი იყო, უნიჭიერესი და საოცრად მომხიბვლელი კაცი, რომელიც ორმოცდაათნი წლისა გარდაიცვალა: ნიკო მთელი საღამო იაფეტურ თეორიასა და სპეციალურ ლინგვისტურ საკითხებზე ლაპარაკობდა, ყველანი თავს უქნევდნენ, მაგრამ, მე მგონია, არავის, ან თითქმის არავის, არაფერი არ გაეგებოდა (სხვა სტუმრებიც იყვნენ). ერთადერთხელ გადაუხვია თემას, როცა საცივს ჭამდა — რა კარგი იქნებოდა რომ კაცს უფრო გრძელი ყელი ჰქონდეს, რომ უფრო დიდხანს გრძნობდეს საცივის გემოსო.

მე მგონია, იმავე 1930 წელს იყო, საქართველოს მეცნიერებათა-

აკადემიის დაარსება რომ განიზრახეს. მის პრეზიდენტად სწორედ ნიკო მარი ივარაუდებოდა. მოესწრო კიდევ მარის ერთი ბროშურის გამოცემა ქართულად ამ აკადემიის სახელით. მაგრამ საქმე ამას აღარ გასცილებია და ის აკადემია ჩანასახშივე ჩაკვდა.

უფრო გვიან, მარის გარდაცვალების შემდეგ, მამამ მას რამდენიმე წერილი უძღვნა (დაიბეჭდა თბილისსა და ლენინგრადში), მათ შორის ძალიან ცოცხლად, საინტერესოდ დაწერილი მოგონებები მის შესახებ.

1930 წელს გერმანიის ქალაქებში მოეწყო ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშების გამოფენა. ეს იყო ჩვენი განათლების სახალხო კომისარიატისა და გერმანიის „აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოების“ („ოსტ-ოიროპა-გეზელშაფტ“) ერთობლივი ღონისძიება. კარგად მახსოვს საუბრები ამ ამბის შესახებ. ცხადია, გამოფენის მოწყობა ყველას დიდად აინტერესებდა და აღელვებდა — ეს ხომ ქართული ხელოვნების პირველი „ნივთიერი“ გასვლა იყო დასავლეთ ევროპის ასპარეზზე. წაიღეს ფრესკების პირები, არქიტექტურის ძეგლთა ფოტოსურათები, ოქრომჭედლობის, ნაქარგობის, მგონი ხელნაწერთა რამდენიმე ნიმუში. გერმანულად გამოიცა კატალოგი (გერმანიაში), შედგენილი გ. ჩუბინაშვილის მიერ. მამა, შალვა ნუცუბიძე და სხვები ხშირად ახსენებდნენ მოხუცი პროფესორის „შმიდტ-ოტის სახელს — მგონი ეს იყო იმ „აღმოსავლური საზოგადოების“ თავმჯდომარე. გამოფენას თან გაჰყვნენ გიორგი ჩუბინაშვილი, რომელიც იქ ლექციებს კითხულობდა ქართული ხელოვნების შესახებ, და შალვა ნუცუბიძე (სამწუხაროდ, სანამ ჩვენი ხელოვნება კვლავ გავიდოდა საერთაშორისო ასპარეზზე, ორმოც წელზე მეტმა განვლო!).

მამა, რა თქმა უნდა, უშუალოდ იყო დაკავშირებული ამ გამოფენის ორგანიზაციასა და გამგზავრებასთან (ბევრი რამ გააკეთა მაშინ დიმიტრი შევარდნაძემ). რა გახარებული იყო, როცა გერმანიიდან გამოფენისა და ჩუბინაშვილის ლექციების წარმატების ამბავი მოვიდა! ჩუბინაშვილის სახელი, ცხადია. მანამდეც გავიანილი მქონდა, ვიცოდი, რომ მამას ბიბლიოთეკაში არის მისი „რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან“, მაგრამ ამ დროიდან იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაინც უფრო საფუძვლიანად დამკვიდრდა ჩემს ცნობიერებაში.

მამას, როგორც სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს უფროსისა და ქართულ სიძველეებზე მზარუნველის მოღვაწეობას დაუკავშირდა ერთი ფაქტი, რომელიც დღეს საყოველთაოდ

არის ცნობილი, უფრო სწორად, ცნობილია ის, რაც მას მოჰყვა რამდენიმე წლის შემდეგ.

1935 წელს, ერთ მშვენიერ დღეს, მამამ პარიზიდან მიიღო ექვთიმე თაყაიშვილის წერილი. იგი ეხებოდა 1921 წელს მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში გატანილ ქართულ განძს — ხელნაწერებს, ოქრომჭედლობის ნივთებს, მინანქრებს, რომელთა ბედი კრიტიკული გამხდარიყო მას შემდეგ, რაც მენშევიკური საქართველოს წარმომადგენლებს ოფიციალური სტატუსი დაეკარგათ. როგორც ცნობილია, ე. თაყაიშვილი სწორედ ამ ნივთებს გაჰყვა საფრანგეთში და 24 წლის განმავლობაში ცერბერივით იცავდა მათ, მიუხედავად საშინელი სიძნელებისა და გასაჭირისა, რაც მას თავს გადახდა.

1927 წლის 15 თებერვალს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებით დაარსდა „სპეციალური კომისია“ ამ სიძველეთა შესაფასებლად მამას თავეჭდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ გიორგი ჩუბინაშვილი, სურათების ეროვნული გალერეის დირექტორი დიმიტრი შევარდნაძე, საისტორიო მუზეუმის დირექტორი სერგი გორგაძე, მხატვრები პენრიკ ჰრინევსკი და იოსებ შარლემანი, ზოგ სხდომას ესწრებოდნენ საეკლესიო მუზეუმისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ყოფილი გამგეები დავით კარიჭაშვილი და მოსე ჯანაშვილი. კომისიამ შეისწავლა კატალოგები და მთელი არსებული ლიტერატურა გატანილი ნივთების შესახებ, დაათვალიერა ადგილობრივი მუზეუმები, გამოჰკითხა სხვადასხვა პირს და ამის შემდეგ წარადგინა თავისი ანგარიში. ე. თაყაიშვილმა ალბათ იცოდა ამ კომისიის ამბავი და ამიტომ მიმართა სწორედ მამას. ექვთიმე წერდა: „ნივთები უპატრონოდ არის გამოცხადებული. მე აღარა მაქვს საშუალება და უფლება ნივთების დაცვასა და ჭეროვნად შენახვას მეთვალყურეობა გავუწიო. ნებაც რომ მქონდეს, ფიზიკური მდგომარეობა არ მაძლევს ამის საშუალებას, მოვხუციდი, ფეხიც დამიშავდა, ძლივს დავდივარ, დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები და ჩემთვის მეორე სიკვდილი იქნება, თუ ის ნივთები ან მისი ნაწილი დაგვეკარგა. თქვენ უწყით, თუ რა წილი მიდევს მი მათ შეკრებაში და მათი დღევანდელი მდგომარეობა მტანჯავს, ვერ დავმშვიდდები, სანამ ის ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდება და მუზეუმს არ ჩაბარდება“. ექვთიმე სთხოვდა მამას ემუშაემდგომლა საქართველოს მთავრობის წინაშე, მიეღოთ საჭირო ზომები. აღნიშნული იყო ის თანხაც, რომელიც უნდა გადაეხადათ ნივთების შესანახად.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ აგვალეღვა ამ წერილმა. მე გა-

დაწერე იგი, ორიგინალი კი მამამ მთავრობას წარუდგინა (მგონი, ფილიპე მახარაძეს). ეს ორიგინალი, ცხადია, აღარ მინახავს, სამწუხაროდ, ჩემი გადმონაწერიც დამეკარგა „უამთა ვითარებისაგან“. მხოლოდ ბევრად უფრო გვიან კვლავ შევძელი წერილის წაკითხვა, როცა იგი შალვა ამირანაშვილმა გამოაქვეყნა თავის ნარკვევში ამ ნივთთა დაბრუნების შესახებ, რაც მისი მონაწილეობით მოხდა 1945 წელს. მთელი ეს ეპოპეა დაწვრილებით გამოიკვლია პროფესორმა გივი ჟორდანიამ (იხ. მისი წიგნი „დაბრუნებული საუწყე“, 1983 წელი).

საბედნიეროდ, ექვთიმე თაყაიშვილი მოესწრო ამ ნივთთა დაბრუნებას საქართველოში, თვითონაც მოესწრო სამშობლოს ნახვას. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

მამა ადრევე იყო დაკავშირებული სატერმინოლოგიო მუშაობასთან, 1926 წლიდან კი, როდესაც დაარსდა სახელმწიფო ტერმინოლოგიური კომიტეტი და მისი სამუშაო აპარატი — ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიური კომისია, მამა ამ უკანასკნელის თავმჯდომარედ დაინიშნა. შემდეგ ეს კომისია განყოფილების სახით შევიდა ჯერ ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის, შემდეგ კი ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მამა ოცდაათ წელზე მეტ ხანს ედგა სათავეში ამ საქმეს და, შემოიძლია ვთქვა, თავგანწირვით, თავდაუზოგავად ემსახურებოდა მას. ერთხანს კომისიის თანამშრომლები იყვნენ არნოლდ ჩიქობავა და სოლომონ იორდანიშვილი — ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები. ცხადია, ახსნა-განმარტება არ ესაჭიროება ტერმინოლოგიური ლექსიკონების მნიშვნელობას ეროვნული მეცნიერების ჩამოყალიბების დროს. უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდათ მათ, რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც, ჩვენი ქართული უმაღლესი სკოლისათვის, საშუალო სკოლისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგისათვის. მამას რედაქციით ძალიან ბევრი დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონი გამოვიდა, მგონი, ოცზე მეტი. მათ შორის ბევრი იყო ტექნიკის ცალკეული დარგისა, სანამ საერთო ტექნიკური ტერმინოლოგია გამოვიდოდა. მე თვითონ მახსოვს, როგორ მოდიოდნენ მამასთან სახლშიაც საკონსულტაციოდ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ინსტიტუტის განყოფილებაში ხომ წლების მანძილზე იკრიბებოდნენ მამასთან ინჟინრები, ექიმები, ენათმეცნიერები, ბოლოგები, ბოტანიკოსები, ბიბლიოთეკათმცოდნეები (სპორტის ტერმინოლოგიაზედაც მუშაობდნენ). მეც მომიხდა, ჩემს ამხანაგებთან

ერთად, მამას ხელმძღვანელობით მუშაობა არქიტექტურის ტერმინოლოგიაზე და მაგონდება, როგორ შექმნა მან ჩვენ თვალწინ რამდენიმე ტერმინი, რომელთაც მალე საბოლოოდ მოიკიდეს ფეხი (მაგალითად, ტერმინი „განაშენიანება“ — застройка, რომელმაც შეცვალა სულ სხვა აზრის მქონე „გაშენება“).

მძიმე სამუშაო იყო ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე მუშაობა, მძიმე და გამოუჩენელი. ამ საქმისთვის ამდენი დრო და ძალა რომ არ მიეძღვნა, მამას, რა თქმა უნდა, ბევრად მეტი შეეძლო გაეკეთებინა „თავისთვის“, ე. ი. მეტი „საკუთარი“ გამოკვლევა დაეწერა და დაებეჭდა. უთქვამს ხოლმე, ლექსიკონზე მუშაობას ქვის კოდვა სჯობსო. მაგრამ მას უყვარდა ეს საქმე, იმიტომ, რომ ესმოდა მისი ეროვნული მნიშვნელობა და იმიტომ, რომ თავდავიწყებით უყვარდა ქართული ენა. ენის ბრწყინვალე მცოდნე იყო, ჰქონდა ენის საკვირველი ალღო, რაც, რა თქმა უნდა, დიდად შველოდა ტერმინოლოგიურ მუშაობაში. კომისიისა და განყოფილების სხდომები, როგორც გამიგონია, ცოცხლად, საინტერესოდ და ხალისიანად ტარდებოდა, იყო კამათიც, სერიოზული მსჯელობა და „აღმოჩენის სიხარულიც“, როცა მარჯვე ტერმინს მიაგნებდნენ. ამ სხდომათა მონაწილენი მხიარულად იგონებდნენ ხოლმე — როცა ახალი ტერმინი, მიუჩვევლობის გამო, გვეხაპუშებოდა, ბატონი ვუკოლი გვეტყოდაო — ნახევარი საათი იარეთ ოთახში დიაგონალურად, კუთხიდან კუთხეში და იმეორეთ ეს ტერმინი, ნახევარი საათის შემდეგ მოგეწონებათ და მოგაჩვენებთ, რომ მას უკვე დიდი ხანია იცნობთო. მამას შემოღებულია რამდენიმე ახლა უკვე საესეებით შეთვისებული ტერმინი — საშვები, მივლინება, შვებულება (ანეკდოტივით მიაშბეს ერთი კაცის ამბავი: ქუჩაში მამამ ჩაიარა და იმ კაცის ნაცნობმა, რომელიც მამას მიესალმა, მას უთხრა — ამისი მოგონილია სიტყვა „შვებულებაო“. იმას უპასუხნია, მაგას რომ „შვებულება“ არ გამოეგონა, ოტპუსკში ვერ წავიდოდი, თუო?).

1971 წელს ვლადიმერ მაჭავარიანმა „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდა წერილი „ფხიზლად — უარგონი“, სადაც ძალიან გულთბილად მოიხსენია მამას ეს ღვაწლი: „ბატონი ვუკოლი რომ არა, გვექნებოდა ახლა ჩვენი მეცნიერების, კულტურის მრავალი დარგის ტერმინოლოგია? სანამ პროფ. ვუკოლ ბერიძე ცოცხალი იყო, მე პირადად მშვიდად ვიყავი, თუ გამიჭირდებოდა, მას მივმართავდიო“. და თითქოს ეს აზრი გააგრძელა ალექსანდრე ლლონტმა თავის წერილში, რომელიც 1983 წელს გამოაქვეყნა იმავე გაზეთში მამას

დაბადების 100 წლის თავზე: „ის ცოდნის მრავალი დარგის მუშაკის შეუცვლელი კონსულტანტი და „გაპირვების ტალკვესი“ იყო: ყველას დაუზარებლად უზიარებდა თავის საგულისხმო დაკვირვებებსა და მდიდარ გამოცდილებას. მისი ბინის ტელეფონი ამიტომ „ტერმინოლოგიურ ცნობათა ბიურო“ უფრო იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ტელეფონი“.

ეს რომ წაეციოთხე, სასაცილო შემთხვევა გამახსენდა: ერთხელ გრიშაშვილმა დაურეკა მამას და ჰკითხა — ამა და ამ ლექსში ეს სიტყვა მაქვს ნახმარი და ხომ არ იცი რას ნიშნავსო?

ჩემთვის დიდი სიხარული იყო, როცა ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი გამოცემის გამო მამას (სიკვდილის შემდეგ), ავტორთა მთელ ჯგუფთან ერთად, გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია მიანიჭეს.

ბევრი იმუშავა მამამ ენის ნორმების დამდგენ კომისიებშიაც. გეოგრაფიული ნომენკლატურის დადგენაზედაც. როცა მამას 100 წლის-თავზე გაზეთებში წერილები დაიბეჭდა, დამირეკა უცნობმა მანდილოსანმა, ქსენია ქაჯაია-ბახტაძე ვარო, და მითხრა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ვმუშაობდი, როცა იქ სატრანსკრიფციო კომისია არსებობდაო. კომისია ამზადებდა მასალებს 1949 წელს გამოსული წიგნისათვის „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“. ბატონი ვუკოლი ყველაზე აქტიურად მუშაობდა და ბევრი რამ გააკეთაო. თუ კიდევ რასმე დაწერენ, ან სხვაგვარად აღნიშნავენ თარიღს. ამ ღვაწლსაც ნუ დაუკარგავენო.

ქართული კულტურის ისტორიაში ღირსშესანიშნავი თარიღი იყო დადგენილება რუსთაველის იუბილეს ჩატარების შესახებ, რომელიც მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1934 წლის ზაფხულში. როგორც ცნობილია, თვით იუბილე 1937 წლის ბოლოს მოეწყო და ეროვნულ ზეიმად იქცა, ზეიმად, რომლის მასშტაბიც გასცდა საქართველოს ფარგლებს. ამ იუბილესა და მის მომზადებას ქვემოთ დაეუბრუნდები, აქ კი მინდა ხაზი გავუსვა თვით ამ დადგენილებას, რადგანაც მას დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, იგი მოასწავებდა გარდატეხას ეროვნული და, საერთოდ, კლასიკური მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების მხრივ — ამ დამოკიდებულებას მანამდის ამღვრევდნენ გარკვეული ლიტერატურული და მხატვრული წრეები, რომელთა თარეშს საზღვარი დაუდო 1932 წლის 23 აპრილის ცნობილმა დადგენილებამ.

მახსოვს, როგორ იყვნენ ფრთაშესხმულნი მამა, მისი მეგობრები, მისი თაობის ქართული ინტელიგენცია. რა თქმა უნდა, რუსთაველს პატივი ადრეც არ აკლდა. თუ რევოლუციამდე ის მაინც მხოლოდ ქართული საზოგადოების „კერძო საკუთრება“ იყო, რევოლუციის შემდგომ საქართველოში დედაქალაქის მთავარ ქუჩასა და პირველ ეროვნულ სახელმწიფო თეატრს მისი სახელი ეწოდა, „ვეფხისტყაოსანი“ რამდენიმეჯერ გამოიცა სხვადასხვა მკვლევარის რედაქციით, ხოლო უკვე 1921 წელს, როცა თბილისში პირველი ძეგლების დადგმა განიზრახეს, საამისოდ შემდეგი „ობიექტები“ დაისახა (დამახასიათებელია!): „თავისუფალი საქართველო“, „კარლ მარქსი“, „პარიზის კომუნა“ და „შოთა რუსთაველი“! (ერთ-ერთ საგაზეთო შენიშვნაში ამის გამო ეწერა, „მართალია, შოთა რუსთაველი პროლეტარული პოეტი არ ყოფილა“, მაგრამ მისი ძეგლის დადგმა მაინც მიზანშეწონილად იქნა ცნობილი). ახალმა დადგენილებამ სულ სხვა მასშტაბები დასახა — აქ არაფერს ვიტყვი ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების, ძეგლებისა და გამოფენების შესახებ, მაგრამ საკუთრივ ლიტერატურასა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში მიღებული ღონისძიებები ასეთი იყო: უნივერსიტეტში არსდებოდა რუსთველოლოგიის კათედრა, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტს („ელხი“), ახლანდელი ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის წინამორბედს, ეწოდა რუსთაველის სახელი, გადაწყდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი აკადემიური გამოცემისა და სხვა ენებზე მის თარგმანთა მომზადება.

მამას ცხოვრებაშიაც ამის შემდეგ ახალი ეტაპი დაიწყო: ცოტა ხნის შემდეგ ის სათავეში ჩაუდგა რუსთველოლოგიის კათედრას, მთავარი კი ის იყო, რომ არაჩვეულებრივი ინტენსივობით განაახლა მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის დარგში. თითქოს რაც წლების მანძილზე დაუგროვდა, რასაც ფიქრობდა პოემის — მისი შინაარსის, ლექსთწყობის, პოეტიკის, პოეტის მსოფლმხედველობის — შესახებ (როგორც ჩანს, სულ ფიქრობდა და შინაგანად „მობილიზებული“ იყო, თუმცა არ წერდა არაფერს), ახლა პოულობდა გამოსავალს. მან გამოაქვეყნა ბევრი ნარკვევი, რომლებიც უფრო გვიან შევიდა ცალკე ტომში („რუსთველოლოგიური ეტიუდები“, 1961 წ., ი. მეგრელიძის რედაქციით), წერდა და აქვეყნებდა პოპულარულ წერილებს რუსთაველზე ქართულსა და რუსულ პრესაში (თბილისში, რუსეთში), კითხულობდა საჯარო ლექციებს ათასგვარ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მონაწილეობდა მწვავე დისკუსიებში, რომლებიც იმარ-

თებოდა პოემის ტექსტის შემადგენლობისა და ცალკეული ადგილის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით (ერთი ასეთი დისკუსიათაგანი იყო განათლების მუშაკთა სახლში კონსტანტინე ჭიჭინაძისეული გამოცემის გამო), წაიკითხა ლექცია რუსთაველზე ერევანშიაც, იქაური კოლეგების მიწვევით (მეორე მომხსენებელი ილია აბულაძე იყო, თუ არ ვცდები, სომხურად წაიკითხა. მე და დედაც „ავეკიდეთ“ მამას, მაშინ პირველად ვნახე ერევანი). არც მას და არც მის კოლეგებს არ მოსწონდათ ლადო გუდიაშვილის ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისთვის“, ჩვენ, ახალგაზრდებს — მოგვწონდა (მართალი რომ ვთქვა, აღარც მახსოვს, მაშინ მართლა მოგვწონდა, თუ მხოლოდ სხვების ჭიბრზე... ეს კი მაინც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს პოემის პირველი ილუსტრაციებია, შესრულებული ქართველი მხატვრის მიერ XVII საუკუნის ხელნაწერთა სურათების შემდეგ და, საერთოდ, პირველი ილუსტრაციები ზიჩის შემდეგ). შინ და გარეთ მაშინ ყველა შოთას იუბილეზე ლაპარაკობდა, ინტელიგენციის თითქმის ყველა ფენა იყო ჩართული მოსამზადებელ საქმიანობაში. თბილისში გახშირდა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელთა და მკითხველთა ჩამოსვლა, ზოგი მათგანი ჩვენთანაც იყო სტუმრად და ამ სტუმრობის კვალი ჩემს ავტოგრაფების ალბომშიაც დამრჩა — მიკოლა ბაჟანისა და სურენ ქოჩარაიანის ჩანაწერები (ქოჩარაიანმა მაშინ საკონცერტოდ მოამზადა პოემის მონტაჟი)*. რალა თქმა უნდა, ყველასათვის დიდზე დიდი სიხარული იყო თვით საიუბილეო დღეები, ახალი ხალხის გაცნობა, რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსების მოსმენა სხვადასხვა ენაზე.

მამას შემდეგაც არ შეუწყვეტია მუშაობა, დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებს, რომელთა დამთავრება ვერ მოასწრო. რაც ჰქონდა შედგენილი, უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ, 1974 წელს გამოვიდა სარგის ცაიშვილისა და გურამ შარაძის რედაქციით.

* ბაჟანის სტუმრობა კარგად მახსოვს, იმ საღამოს (1937 წლის იანვარში) ჩვენთან, მასთან ერთად, იყვნენ ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, შალვა ნუტუბიძე, რუსუდან ნიკოლაძე და, ცხადია, ჩემი კოტე ჭაერაშვილი. საინტერესო, ცოცხალი და მხიარული საღამო იყო. მიკოლა ბაჟანი — მაშინ 32—33 წლისა, ელეგანტური, თავდაპირველი, გულთბილი ყმაწვილი კაცი ყველას ძალიან მოეწონა და შემდეგ, რამდენიმე დღე, ამ შთაბეჭდილებას ეუზიარებდით ერთმანეთს. ალბომში კი უკრაინულად ჩამიწერა: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“.

„ვეფხისტყაოსანი“ იყო მამას უდიდესი სიყვარული. უსასრულოდ შეეძლო მის შესახებ საუბარი. პოემასთან დაკავშირებულ ბევრ სხვა საკითხთან ერთად, მას ძალიან აღელვებდა ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონის წინ დასმული „და“ კავშირის საკითხი. მას მიაჩნდა, ბევრი სხვა მკვლევარისაგან განსხვავებით, რომ ამ „დას“ დეკორაციული დანიშნულება კი არა აქვს, არამედ აზრობრივი, კონსტრუქციული, რომ იგი ტექსტის ორგანული ნაწილია და რომ მისი გამოტოვება პოემის კითხვის დროს დაუშვებელია, რადგანაც იგი ყოველი სტროფის დასკვნითი წინადადების წინ არის ჩასმული, როგორც მთელ სტროფთან დამაკავშირებელი... მგონი, სპეციალისტების მიერ აღიარებულია მამას ნარკვევების ღირსება, კერძოდ იმ ნარკვევთა, რომლებიც შოთას პოეტიკისადმია მიძღვნილი...

მამა ერთხანს ლექციებს კითხულობდა ბათუმშიაც, რამდენიმეჯერ იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. მე მგონია, ლმობიერი გამომცდელი იქნებოდა.

სამოცდაათ წლამდე, როცა ინსულტი დაემართა, მამას სიბერისა არაფერი ეტყობოდა. ჩასკვნილი, „შეკრული“ კაცი იყო, სწრაფი, ენერგიული სიარული იცოდა, ტემპერამენტიათი, ექსპანსიური, ფიციბი და კეთილი იყო, უსაზღვროდ კეთილგანწყობილი ადამიანებისა და, მით უფრო, ახალგაზრდების მიმართ (როცა ახალგაზრდებს ესაუბრებოდა, მისი ჩვეულებრივი საალერსო მიმართვა იყო: „შე თათარო!“). მეტისმეტად იშვიათად თუ მოიხსენიებდა ვისმე ცუდად. ვისზედაც უნდა მეკითხა (მქონდა ასეთი ჩვეულება), პასუხი თითქმის ყოველთვის ერთნაირი იყო — ძალიან ნიჭიერია, ძალიან კარგი ბიჭიაო, და სხვ. ერთხელ ვუსაყვედურე კიდევ, როგორ შეიძლება ყველა ნიჭიერი და ყველა კარგი იყოს-მეთქი. ზედმიწევნით აკურატული და მოწესრიგებული კაცი იყო. ცუდად გაპარსულს ან დაუდევრად ჩაცმულს ვერ ნახავდი — მუდამ გაქათათებული დადიოდა; დაპირების შესრულება იცოდა, თუ დროს დაგინიშნავდა შეხვედრისთვის — არ გადაადგენდა, თავის თავსაც მკაცრი დისციპლინა გამოუმუშავა და სხვებსაც ამასვე სთხოვდა; მაგრამ ადვილად იცოდა „შეწყნარება“ და პატიება. განსაკუთრებით ვაფასებდი მის ერთ (სამწუხაროდ, საერთოდ არც მაინცდამაინც გავრცელებულ) თვისებას: არავისი არ შურდა და სხვისი წარმატება უხაროდა. რაც მახსოვს, სანამ ფეხზე იდგა, სულ ვილატას ეხმარებოდა და ვინმეზე ზრუნავდა, ისევე როგორც დედა. ხან სოფლიდან ჩამოსული ნათესავები ან ნაცნობები იყვნენ, ვისაც გზის გაკვლევა ესაჭიროებოდა; ხან ვილაც ავად იყო და წაპალი

და ექიმი უქირდა; ზოგს, მართლაც ნიჭიერსა და ხელმოკლეს, სამუშაოს ან სამსახურის შოვნაში შეველოდა, ზოგს — რაიმე მიზეზის გამო შერისხულსა და შევიწროებულს — უმართავდა ხელს... მოხუც მოსე ჯანაშვილი 1927 წელს სწერდა თავისი გამოუქვეყნებელი ნაშრომების შესახებ: „მოგმართავ, როგორც სახელოვან მოღვაწეს, მირჩიო, როგორ მოვიქცე, რომ ჩემს ნაშრომებს ელირსოთ სანათლის ნახვა“.

მის არქივში არის მადლობის წერილები ფრიად სახელმოხვეჭილი ადამიანებისა („ბევრი კარგი მახსოვს თქვენგან; ახალგაზრდა რომ ვიყავ, დახმარება გაგიწევიათ არაერთგზის და ზრუნვა გამოგიჩენიათ. ეს კარგი მე არასოდეს არ მაგიწყდება და ყოველთვის მადლობით ვიგონებ მას“... ან: „მე არასოდეს არ მაგიწყდება თქვენი გულთბილი დამოკიდებულება ჩემდამი, უფრო გულთბილი, ვიდრე ზოგჯერ სისხლით მონათესავე ადამიანებისა“ და სხვ). ხანდახან კურობული თხოვნითაც მიმართავდნენ: ერთხელ ხონელი მეზობლის შვილი მოადგა კარს — მოხუცი მამა გარდაცვლოდა, რომელსაც მამაჩემი ბავშვობიდან იცნობდა, და სთხოვა — გასვენებაზე „რჩი“ უნდა ვუთხრა და დამიწერო“ (დაუწერა).

ძალიან ადვილად ამყარებდა კონტაქტს და განსაკუთრებით უყვარდა ხელოსნებთან ან გლეხებთან გამოლაპარაკება — რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე იცოდა მათი სახელი, გვარი, წარმომავლობა, საქმიანობა. ბუნებრივი, ძალდაუტანებელი იუმორი ჰქონდა, საუბრის დროს არ ელეოდა სასაცილო შემთხვევები და ამბები წარსულიდან, რომლებიც ამ საუბრის თემასთან დაკავშირებით აგონდებოდა შესაძარებლად, ანალოგიებისთვის. ასე იყო მუშაობის პროცესშიაც. ძალიან უყვარდა ძველი ხონის, იჭაური ტიპების, მათთან დაკავშირებული ანეკდოტური ამბების, ხონური „დილაქტის“ გახსენება. ამ ამბებს ხალისიანად და სასაცილოდ ჰყვებოდა (იშვიათი მეხსიერება ჰქონდა!). გაჯავრება და აყვირებაც იცოდა, მაგრამ მალე გადაუვლიდა და გულში არ იტოვებდა ცუდ კვალს. მისი გავლენა ჩემზე, რა თქმა უნდა, გადაწყვეტი იყო. არასოდეს არავითარ „ჩაგონებას“ არ მიმართავდა, ჰკუთის დარიგებასაც ერიდებოდა. მაგრამ ამაზე ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ატმოსფეროს, რომელიც ჩემს გარშემო იყო ოჯახში, მის ინტერესებს, რომლებიც ჩემთვის ყოველთვის გარკვეული იყო, მის დამოკიდებულებას საქმისადმი, მოვლენებისადმი, ეროვნული კულტურისა და, საერთოდ, ეროვნულ პრობლემებისადმი, მის პატრიოტიზმს დეკლარაციების გარეშე... პირველ

ხანებში, როცა წერილებისა და ნარკვევების გამოქვეყნება დავიწყე — წინასწარ მას წავაკითხებდი ხოლმე. ქართული ენის საკითხებში ჩემთვის ის უმაღლესი ავტორიტეტი და საბოლოო ინსტანცია იყო. ძალიან იშვიათად თუ გამისწორებდა რასმე.

ავად გახდა 1953 წლის მარტში. ძლივს მომჯობინდა, მაგრამ მარჯვენა კიდურების მოძრაობა შეეზღუდა, კოჭლობით დადიოდა, წერა უჭირდა, უარესი კი ის იყო, რომ მეტყველებაც გაძნელებული ჰქონდა — ლექციების კითხვა აღარ შეეძლო. რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველდღე დადიოდნენ ექიმები ნიკოლოზ (კაკო) გამრეკელი და კოტე მაჭარაშვილი. ორივე მამას თაობისა იყო. ორი ინტელიგენტი სპეტაკი ადამიანი, თავისი საქმისადმი უწმინდესი დამოკიდებულების მქონე. მართლაც მკურნალნი იყვნენ და იმათ დააყენეს მამა ფეხზე, არა წამლებით, არამედ სიკეთით, გულითადობით.

როცა წამოდგა, მაგრამ სახლიდან ჯერ კიდევ ვერ გადიოდა. ყოველ საღამო რამდენიმე საათს ეუკითხავდი რასმე, რომ როგორმე შემექცია და გამეხალისებინა. ყველაზე მეტად ო' ჰენრის ნოველების მოსმენა უყვარდა. შემდეგ სამსახურში სიარულს დაიწყო, ცოტ-ცოტა მუშაობასაც დაუბრუნდა. კოლეგები სიბოროსა და სიყვარულს არ აკლებდნენ. ავადმყოფობის დროსაც, ორ თავის კოლეგასთან, ორ ცნობილ ქართველ მეცნიერთან ერთად, დიდი უსიამოვნება შეხვედა გაუგებრობის გამო — რთული, „გარდამავალი“ წლები იყო. ესეც მხნედ გადაიტანა; მერე, შედარებით მალე, „გამოიღარა“ და ოთხმოც ბევრი აღარაფერა აკლდა, როცა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებაც მიანიჭეს (მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად კი 1946 წლიდან იყო).

გარდაიცვალა 1963 წლის II მაისს. მეორე დღეს, პანაშვიდის შემდეგ, შუალამეზე, გარდაიცვალა დედაც: სისხლი ჩაექცა და ნახევარ საათში გათავდა ყველაფერი. ორმოცდაათი წელი იცხოვრეს ერთად თანხმობით. დედა გონიერი ქალი იყო, მტკიცე ხასიათის ძლიერი პიროვნება. მოსიყვარულე, მაგრამ პირში მთქმელი. სალი, რეალისტური განსჯა ჰქონდა, მაღალზნეობრივი მოთხოვნილებები. მისი მაგალითიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. მისი არსებობა მარტო, მეუღლის გარეშე, მეტიც მეტად სამძიმო იქნებოდა, იმდენად იყვნენ შესისხლხორცებულნი. მეორე დღით, ადრე, პირველი მოვარდა აღექსანდრე ჯანელიძე. ასე აღლევებული არასოდეს მენახა. მითხრა — შენ ნუ მიწყენ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ მისთვის ასე სჯობდაო. ორივენი ერთად დავკრძალებთ დიდუბის პანთეონში. უამ-

რავი ხალხი იყო. ყველა აადრეღვა ამ ტრაგიკულმა, მაგრამ თავისებურად „ამაღლებულმა“ წასვლამ.

ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო, რომ მისი დაბადებიდან ასი წლისთავზე მამა გაიხსენეს და მისი ღვაწლი კეთილად მოიხსენიეს. მით უფრო სასიხარულო იყო, რომ თავმდაბალი კაცი იყო, სიცოცხლეში პატივი არ უძებნია და მაინცდამაინც არც ოფიციალურ დაფასებას მოსწრებია. ძალიან გულითადი წერილები დაბეჭდეს შოთა ძიძიგურმა, სარგის ცაიშვილმა, როგნედა ლამბაშიძემ, ალექსანდრე ლლონტმა. დიდად მესიამოვნა ქუთაისისა და ცხინვალის გაზეთებსა (პროფ. შამელაშვილის წერილები) და მამას სამშობლოს — წულუკიძის (ხონის) რაიონული გაზეთის (გიორგი ბახტაძის წერილი) გამოხმაურება. ამ წერილებში ნათლად გამოჩნდა, როგორი იყო იგი როგორც პაროვნება და როგორც ეროვნული კულტურის ერთგული მუშაკი.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ი

I. სტუდენტობის წლები

სამშენებლო ინსტიტუტი, ერთ-ერთი „შედეგი“ მანამდის არსებული პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაშლისა, მდებარეობდა მახათას (არსენალის) მთაზე, ყოფილი სომხური სასულიერო სემინარიის („ნერსესიან სემინარიის“) შენობაში. მაშინ იქ დადიოდა (მილოლავდა) ტრამვაი № 17 — ერთი ვაგონი საბჭოს ქუჩიდან რკინიგზის ლიანდაგამდე, მეორე — ლიანდაგს იქით, თვით ინსტიტუტის შენობამდე. ძველისძველი, შელახული ვაგონები იყო, სტუდენტთა უნდო დამოკიდებულებასა და ირონიას იწვევდა. ამბობდნენ, ერთხელ როცა ვაგონი საბჭოს ქუჩისკენ ეშვებოდა, დაღმართზე დაგორდა, ლიანდაგს ასცდა და იქვე, პირდაპირ მდებარე აფთიაქში შეიჭრაო. იქნებ ეს შეთხზულიც იყო. არსებობდა მეორე, უფრო მოკლე გზაც — მახათას მთის ბილიკით, ეზოებითა და ვიწრო შუკებით, მარქსის ხიდის მხრიდან. ზამთარში, თოვლში, ეს მოგზაურობა ხანგრძლივი და მომჭანცველი იყო. მაგრამ ამ მოკლე გზაზე ერთი თავისებური „ნომერი“ გვხვდებოდა: ხანშიშესული გადარეული ქალი ყოველდღე იდგა თავისი ეზოს კიშკართან, ერთ-ერთ ვიწრო აღმართზე, და წარმოთქვამდა გრძელ სიტყვებს ისე, თითქოს მთელი ქუჩა მისი მსმენელი ხალხით იყო სავსე. გამვლელ-გამომვლელთა შენიშვნებსა და კომენტარებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. თემა ერთი ჰქონდა მუდამ: დაშნაკების წინააღმდეგ ილაშქრება.

სომხური სემინარიის შენობა პირველ მსოფლიო ომამდე აშენდა. მის არქიტექტურაში გამოყენებულია ძველი სომხური ფორმები და მოტივები. არ ითქმის, რომ მემკვიდრეობის „ათვისება“ მაინც-დამაინც წარმატებით იყოს განხორციელებული (ერთ-ერთი ავტორი, თუ ერთადერთი არა, იყო მიხეილ ნეპრანცევი, რომელმაც საბჭოთა

წლებში თბილისში რამდენიმე დიდი, უმსგავსო შენობის აგება მოასწრო). მაგრამ როგორც სასწავლო შენობა, უოიგო არ იყო: შიგ ფართო, ნათელი დერეფნები და დიდი აუდიტორიებია. ჩვენ ზემო სართულში ვიყავით, ქვემო, თუ არ ვცდები, ენერგეტიკულ ინსტიტუტს ეკირა.

ჩემს პირველ გამოჩენას დედასთან ერთად ალბათ საკმაოდ ირონიული დამოკიდებულება უნდა გამოეწვია. თანაც — გამხდარი და უშნოდ აწოწილი ვიყავი, ჩექმები და „გალიფე“ მეცვია... მაშინ ტანსაცმლის დიდი არჩევანის საშუალება არ გვქონდა. აღმოჩნდა, რომ ჩემს ჯგუფში ორი გოგონა ნაცნობი ოჯახებიდან იყო — მანანა კანდელაკი და იაკობ ნიკოლაძის ქალიშვილი თეონა. სულ მალე ორივეს დაუუმეგობრდი. დანარჩენებს შორისაც გამოჩნდნენ ისეთნი, ვისთანაც ადვილად გამოვძებნე საერთო ენა. მაგრამ მაინც, პირველ ხანებში, თითქმის ორი წლის განმავლობაში, არსებობდა პრობლემა ერთმანეთთან „შეგუებისა“, ან თუნდაც შერჩევისა. ეს პრობლემა შემთხვევითი არ ყოფილა — იგი იმ დროსთან იყო დაკავშირებული. უმაღლეს სკოლას სწორედ იმ წლებში ძალიან ინტენსიურად მიაწყდა მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული ახალგაზრდობა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ (ჩვენს ინსტიტუტში მაინც) ეს თითქმის მთლიანად სოფლელი ახალგაზრდობა იყო. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, ორგანიზებული იყო და მეთოდურად ხორციელდებოდა — ზემოთ უკვე ვთქვე, რომ ინსტიტუტში უგამოცდოდ ღებულობდნენ სწორედ მუშებისა და გლეხების შვილებს, კურსიდან კურსზე გადასვლა უგამოცდოდ ხდებოდა — საჭირო და აუცილებელი იყო სტუდენტთა სოციალურ შემადგენლობაში მკვეთრი გარდატეხის მოხდენა და საამისოდ არ ერიდებოდნენ უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვისა და სწავლის პროცესის გაადვილებასაც. „ინტელიგენციის“ შვილები, სულ რამდენიმე კაცი, გაჭირვებით და პროტექციით ვიყავით მიღებულნი. ზოგიერთს საამისოდ მოუხდა ერთ-ორ წელიწადს შავ მუშად ემუშავა. ცალკე ჯგუფები გაიხსნა სამშენებლო პრაქტიკის მქონე პირთათვისაც — ესენი ჩვენზე ბევრად უფროსნი იყვნენ წლოვანებით — ტექნიკოსები, ათისთავები და სხვანი. მათს ჯგუფს „სამუშაოს მწარმოებელთა“ ჯგუფი ერქვა.

რა თქმა უნდა, ეს გაყოფა „ქალაქელებად“ და „სოფლელებად“ ადამიანური თვალსაზრისით ხელოვნური იყო. როგორც „ქალაქელებს“, ისე „სოფლელებს“ შორის ერივნენ ყოველად სიმპათიური ახალგაზრდებიც და ყოველად უსიამოვნონიც. და ჩვენი ურთიერთდაახლოებაც, ბოლოს და ბოლოს, ამ ნიშნების მიხედვით ხდებოდა. მაგრამ, როგო-

რიც უნდა ყოფილიყო, ეს გაყოფაც არსებობდა. არსებობდა თუნდაც იმიტომ, რომ დასაწყისში მაინც „მშრომელთა შვილები“ ჩვენ ეჭვით გვიყურებდნენ, როგორც სწორედ იმ „ბურჟუაზიის“ წარმომადგენლებს, რომლის შესახებაც მათ მტკიცედ შემუშავებული წარმოდგენა და არანაქლებ მტკიცედ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება ჰქონდათ... ერთმა მათგანმა, ეტყობა, „კეთილისმსურველმა“, სხვისი პირით შემომითვალა, პალსტუხს ნუ ატარებს — ბურჟუაზიული სუნი ასდისო... მეორემ ჩემკენ გული მოიბრუნა მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ მე ყოველდღე ვკითხულობ გაზეთებს — მან ეს ჩემი პოლიტიკური შეგნებულობის ნიშნად ჩათვალა... ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელობა — კომკავშირის მდივანი და პროფორგანიზაციის თავმჯდომარე — კარგა ხანს მხოლოდ სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდებისგან შედგებოდა... ჩვენ კი, არც მე, არც სხვა „ქალაქელები“, ცხადია, სრულიად არ ვგრძნობდით თავს „ბურჟუებად“ — არც „იდეურად“ და არც მატერიალურად (ზოგს უჭირდა კიდევ). ჩვენ შორის თუ იყო განსხვავება — კულტურული დონის მხრივ იყო და არა „კლასობრივი ინტერესების“ გამო. რამდენიმე ყმაწვილს მაინც, მიუხედავად ამ „კლასობრივი“ ვითომ ანტაგონიზმისა, სრულიად ძალდაუტანებლად და ბუნებრივად დაუფახლოვდი და ახლაც გულითად გრძნობით ვიგონებ მათ (სამწუხაროდ, უმეტესობა აღარ უნდა იყოს ცოცხალი).

მესამე კურსზე რომ გადავედით, ერთგვარი რეფორმა მოხდა, კვლავ აღდგა „არქიტექტურის სპეციალობა“. ზემოთ ვთქვი, რომ დასაწყისში ჩვენს ჯგუფს „საბინაო-საზოგადოებრივი მშენებლობის სპეციალობა“ ერქვა, იყო სხვა ამდაგვარი სპეციალობებიც. ამის შემდეგ ჩვენი ჯგუფი თითქოს ავტომატურად გაიციხრილა. ვისაც არ აღმოაჩინდა შემოქმედებითი უნარი (ამის დასადგენად პირველი ორი კურსი სავსებით საკმარისი იყო), ყველა გადავიდა „სამუშაოს მწარმოებელთა“ ჯგუფში, სხვა ჯგუფებიდან კი ჩვენთან მოიყარა თავი ყველამ, ვისაც ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნებისკენ მიუწევდა გული. მაშინ საბოლოოდ დადგინდა ჩვენი „შემადგენლობა“, დადგინდა ახლო მეგობრების წრეც. მანანა კანდელაკისა და თვონა ნიკოლაძის გარდა, ჩემთან ერთად სწავლობდნენ რუსუდან გვერდწითელი — შემდეგში ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა რესტავრაციის ცნობილი სპეციალისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე: ნიუტა გოგელია, რომელიც აგრეთვე ძეგლთა რესტავრაციის დარგში მოღვაწეობდა დიდხანს, რუსუდან მეფისაშვილი — შემდეგში არქიტექტურის დოქტორი და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის

ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი. კოტე მელითაური, რომელმაც შემდეგში თავისი საქმიანობა მიუძღვნა გამოქვამულ კომპლექსთა კვლევას, ერთხანს ვარძიას მუზეუმის დირექტორადაც იყო და აგრეთვე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გახდა; სერგო ყუბანეიშვილი, რომელსაც სამხატვრო აკადემიის გრაფიკული ფაკულტეტი ჰქონდა უკვე დამთავრებული, ნიკიერი და უშუალო ადამიანი (ომში დაიღუპა); რომან დავლიანიძე, რომელმაც შემდეგში მოქანდაკის გზა აირჩია; იური კასრაძე, ნიკოლოზ ჩუბინიშვილი, ვახტანგ ფეიქრიშვილი — ამათაც არ უღალატეს ხეროთმოძღვრულ პრაქტიკას, ხოლო სერგომ და იურიმ რამდენიმე მნიშვნელოვანი შენობაც ააგეს თბილისში; ძალიან თავისებური და გულითადი არჩილ ციცავი, ჩემი ერთ-ერთი ახლო მეგობარი, რომელიც 26 წლისა გარდაიცვალა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე; კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა, ვინც შემდეგ სახეროთმოძღვრო გეგმარებას ჩამოსცილდა და მშენებელი გახდა. მე ჭგუფში ყველაზე უმცროსი ვიყავი, ყველაზე უფროსები კი იყვნენ გოგი ჭანდიერი, უკვე სამხედრო სამსახურგამოვლილი, და ნიკოლოზ ჩხარტიშვილი — ინსტიტუტში შემოსვლისას ორივენი ოცდაათს უახლოვედობდნენ. გოგი ჭანდიერი ნამდვილი არისტოკრატი იყო სულითაც, გარეგნობითაც, იშვიათი კეთილშობილების ადამიანი, რომელიც ყველას განსაკუთრებით გვიყვარდა; კოლია ჩხარტიშვილს დიდხანს ეჭირა ჭგუფის ხელმძღვანელის თანამდებობა და სიკეთას გარდა მისგან არავის არაფერი უნახავს — გულთბილი და მზრუნველი უფროსი ამხანაგი იყო ყველასთვის. იყვნენ სხვებიც — ქალებიც, ვაჟებიც, რომლებიც დამეკარგნენ მხედველობიდან.

ჯერ კიდევ პირველ კურსზე ვიყავით, როდესაც გავეცანით ჩვენზე რამდენიმე კურსით უფროსებს — აწ განსვენებულთ: ბეჟან ლორთქიფანიძეს, ლონგინოზ სუმბაძეს, ვალერიან კედიას და ლეო რჩეულიშვილს, რომელნიც სულ მალე ისე დაგვიახლოვდნენ, რომ ჩვენ უკვე ერთ წრეს შევადგენდით. ამ წრეში, ამ ოთხისა და ჩემ გარდა, შემოდიოდნენ ორივე რუსუდანი, მანანა, თეონა და ნიუტა გოგელია, ზოგჯერ სხვებიც, ვინც ზემოთ ჩამოვთვალე. ჩვენ ხშირად ვიკრიბებოდით ინსტიტუტის გარეთაც — ხან ერთთან, ხან მეორესთან — ლეოსთან, ჩემთან, მანანასთან, რუსუდან მეფისაშვილთან და მხარულად ვატარებდით დროს. ამ წრეს სახუმარო სახელიც კი ეწოდა — „ლუფტ-კომპანია“, ჩვენს შეკრებებს კი „ლუფტ-ჩაი“. სახელწოდება ასე წარმოიშვა: ერთხელ, როცა ინსტიტუტიდან ერთად ვბრუნდებოდით, ლეომ ყველანი შინ მიგვიპატიყა. ჰკითხეს: რომ გვაპატიყებ, სა-


კმელი თუ გაქვს რამეო. თურმე არაფერი მოეძევებოდა. ვილაცამ წაშიდახა, „ლუფტი“ ყოფილაო. Luft გერმანულად ხომ ჰაერს ნიშნავს. შემდეგ ამ ლუფტ-ჩაისთვის სამ-სამ ან ხუთ-ხუთ მანეთს ვაგროვებდით და ეს შეკრებები ტრადიციად იქცა, ხოლო ბეჟანი, ლონგინოზი (ლონგო), ლეო და ვალერიანი ჩემთვის გადაიქცნენ უახლოეს და უძვირფასეს მეგობრებად, რომლებთანაც მრავალი წლის მანძილზე მაკავშირებდა საერთო საქმეც.

პირველ კურსზე დიდი ადგილი ექირა მათემატიკურსა და წმინდა საინჟინრო საგნებს. ახლა მიკვირს და თითქმის დაუჭერებლად ძეჩვენება, რომ მე ვსწავლობდი: და ვაბარებდი დიფერენციულსა და ინტეგრალურ აღრიცხვას, თეორიული მექანიკის ნაწილებს — სტატიკას, დინამიკასა და კინემატიკას, მასალათა გამძლეობას, ნაშენთა სტატიკას, რკინაბეტონის, ლითონისა და ხის კონსტრუქციებს... მაგრამ ეს ყველაფერი მართლაც ვისწავლე და მართლაც ჩავაბარე სათანადო დიაგრამებითა და ეპიურებით... მაგრამ ყოველგვარი სიამოვნების გარეშე... ამ საგნების უმეტესობას კარგი ლექტორები გვიკითხავდნენ: მირონ წულეისკირი (რკინაბეტონის კონსტრუქციებს), რომელსაც გერმანიაში ჰქონდა განათლება მიღებული. ვალენტინ ვართაპეტოვი (მასალათა გამძლეობა), რომელიც ახერხებდა ძალიან ნათლად და გასაგებად თხრობას, თუმცა ქართული კარგად არ იცოდა, ცნობილი ინჟინერი, შემდეგში მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი მუხაძე (ნაშენთა სტატიკას), კაცი დიდად ნიჭიერი, მაგრამ დაუდევარი — ძალიან პოპულარული იყო თავისი უკიდურესი დემოკრატიზმისა და სიკეთის გამო და, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ლექტორის ნამდვილი ნიჭი ჰქონდა...

პირველ პედაგოგთა შორის იყო აგრეთვე ძველი, დიდად დამსახურებული ინჟინერი გრიგოლ ქურდიანი („მასალათა ტექნოლოგია“).

ხოლო სპეციალური საგნების ჩვენი პირველი პედაგოგები იყვნენ არქიტექტორები ივანე ყირქესალი — ძირითადი საგნის, გეგმარების მასწავლებელი, ცოტა ხნის წინათ ჩამოსული მოსკოვიდან; გერმანიიდან დაბრუნებული ალექსანდრე ნიკოლაიშვილი (მგონი, შარლოტენბურგში სწავლობდა) — ქალაქთგეგმარების სპეციალისტი, და მიხეილ შავიშვილი („შენობათა ნაწილები“), ჩვენივე პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული. მათ შორის ყველაზე უფროსი, შავიშვილი, მხოლოდ ოცდათექვსმეტი წლისა იყო. ხატვას კი გვასწავლიდნენ ცნობილი ჰენრიკ პრინცესკი, ჩემ მიერ უკვე არაერთხელ ნახსენები, შალვა მამალაძე და მოქანდაკე გიორგი სესიაშვილი (იშ-

ვითად შემხვედრია ისეთი დაუმრეტელი ენერჯის კაცი, თავისი საქმის ისეთი ფანტიკოსი, როგორც მიხაკო შავიშვილი იყო. თან ასეთი ფიცხი: ინსტიტუტშიაც და სამსახურშიაც — საქმომუნპროექტში, სადაც მე პრაქტიკის დროს ვხვდებოდი მას, ხშირად ისმოდა მისი ყვირილი — თავის შეკავება არ შეეძლო. მაგრამ, არსებითად, კეთილი კაცი იყო და მის მღელვარებასაც ყოველთვის საქმის ინტერესები იწვევდა).



აკაკი წერეთლის საფლავის ძეგლის პროექტი დავით კაკაბაძისა, 1928 წ.

ცხრილი ისე იყო შედგენილი, რომ ხანდახან დღეში ორჯერ გვიხდებოდა არსენალის მთაზე ასვლა და ზოგჯერ რვა-ცხრა საათს ვისმენდით ლექციებს, რაც, რა თქმა უნდა, არ უწყობდა ხელს სავნების კარგად შეთვისებას. სამეცადინოდაც ცოტა დრო გვრჩებოდა. ბევრი დრო მიჰქონდა კრებებს, რომელთა უმთავრეს საგანს შეადგენდა ლექციების გაცდენის საკითხი, სასჯელების გამოტანა და სხვ. სარგებლობა არ მოუტანია არც უცნაურ ექსპერიმენტებს, მაგალითად, ეგრეთ წოდებულ „ბრიგადულ მეთოდს“, როდესაც კურსი იყოფოდა ოთხ-ხუთ-კაციან „ბრიგადებად“ და გამოცდას მთელი ბრიგადის „სახელით“ აბარებდა მხოლოდ ერთი სტუდენტი. ნიშანი კი ყველას ეწერებოდა.

პირველი და მეორე კურსის შემდეგ, ზაფხულობით, სამშენებ-

ლო პრაქტიკა გვქონდა: პირველი კურსი რომ დავამთავრეთ — ბორჯომში, მეორე კურსის შემდეგ — თბილისში, „ზარია ვოსტოკას“ შენობის უკანა კორპუსის მშენებლობაზე. ნამდვილი სიამოვნებით ვიგონებ ბორჯომის „პრაქტიკას“ — ჩემთვის უცნობი და საინტერესო სამყარო გადაიშალა ჩემ თვალწინ — თვით მშენებლობა, მუშები, ხელოსნები (ათასნაირი ტიპი!), ათისთავეები და ტექნიკოსები, საერთო ატმოსფერო მშენებლობისა.

შენდებოდა დიდი სასტუმრო — ახლა რომ ქვემო სასტუმროს უწოდებენ და პატარა მდინარის ნაპირზე რომ დგას. 1931 წლის ზაფხულზე, როცა მე, ჩემი თანაკურსელი ზურაბ წულუკიძე და ლეო რჩეულიშვილი ჩავედით ბორჯომში, სასტუმროს კედლები მთლიანად აყვანილი იყო, მეორე სართულზე უკვე პარკეტსაც აგებდნენ, მაგრამ ზემოთ არც სართულშუა გადახურვები იყო, არც ოთახების გამყოფი ტიხრები, არც სახურავი და არც კარ-სარკმლები. მშენებლობას ხელმძღვანელობდა გამოცდილი ინჟინერი ივანე პეტრეს ძე კოლჩინი, რომელმაც საშუალება მოგვცა პრაქტიკანტებს მშენებლობის ყველა უბანს, ყველა სახეობას გავცნობოდით — კედლის წყობას, საშენი მასალების შემზადებას, ხის ნაწილების გაკეთებას და სხვ.

მე კეთილსინდისიერად ვასრულებდი სამსახურის მოვალეობას, ყოველდღე დაუგვიანებლად ვცხადდებოდი მშენებლობაზე, თვალყურს ვადევნებდი მუშების საქმიანობას (ათისთავად ვიყავი გაფორმებული), მართლაც მაინტერესებდა შენების პროცესი, იმის თვალყურის დევნება, თუ როგორ ღებულობდა ამოდენა ნაგებობა თანდათან დასრულებულ სახეს. ვღებულობდი ჩემს მცირე ხელფასს და ულუფას (გაჭირვებული წლები იყო — დღეში ერთ გირვანქა შავ პურს გვაძლევდნენ). მაგრამ თავისუფალი დრო მაინც მრჩებოდა — ამოვირჩევდი რომელსამე კუნჭულს და ვკითხულობდი. ახლაც მახსოვს, როგორ სულმოუთქმელად და რა მღელვარებით წავიკითხე ფიცრებზე ჩამომჯდარმა დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“. მალე დავუმეგობრდი მუშებსა და ხელოსნებს, შესვენების დროს ვსაუბრობდით ხოლმე, მთავარი კი ის იყო, რომ დავიწყე მათი ხატვა. აი მაშინ კი ვიჭერე გული პორტრეტების ხატვით! ამ საქმიანობამ ისე გამიტაცა, რომ ვეღარ ვიკავებდი თავს, ყოველი ახალი საინტერესო ტიპის დანახვაზე ჩავავლებდი ხელს ქაღალდის ნაგლეჯს, რაც კი მომხვდებოდა, ვთხოვდი ჩემს მოდელს ცოტა ხნით გაუნძრევლად დამჯდარიყო და ვიწყებდი ხატვას — ჯიბეები მუდამ გამოტენილი მქონდა ფანქრებით... ნახატები პატარა ზომისა იყო და ყოველ მათგანს

თხუთმეტ-ოც წუთს თუ ვანდომებდი, იშვიათად ცოტა მეტს... აქამდე ცოცხლად წარმომიდგება ის სცენები, ეფექტი, რომელსაც ჩემი პორტრეტები ახდენდა ამ უბრალო, გულუბრყვილო და დიდად კეთილგანწყობილ ადამიანებზე. რა თქმა უნდა, ეფექტს (ძალიან დიდს!) ახდენდა არა ნახატის ღირსება, რომელიც მას არც გააჩნდა და რომლის შეფასება მათ არც შეეძლოთ, არამედ დამსგავსების ფენომენი. მართლაც ისე გამოვიდა, რომ ყველა პორტრეტი ძალიან ჰგავდა ორიგინალს, და უნდა გენახათ, რა უშუალო რეაქცია იყო, როგორი შეძახილები და მეტყველი ქესტიკულაცია, ნამდვილი სიხარული, რაც, რა თქმა უნდა, მეც დიდ სიხარულს მანიჭებდა. ბოლოს ერთმა მუშამ თუ ხელოსანმა მითხრა — რად გინდა აქ რომ წვალობ, წადი, პარკში დაჭეჭი, ხატე და დღეში სამ თუმანს გააკეთებო.

სასტუმროს მშენებელთაგან რატომღაც განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში დარაჯი ლუკა დ., მოხუცი ჩია კაცი, რაჭველი. მის მოვალეობას ის შეადგენდა, რომ ზარის ნაცვლად ჩამოკიდებულ ბუფერს ურტყამდა რკინას და ამით დასვენების დაწყებასა და დამთავრებას აცნობებდა იქაურობას. ახალგაზრდა მუშები აწვალებდნენ, მე თავაზიანად ვეჭეცოდი და ამიტომ ჩემთან საუბრობდა ხოლმე. მიაბზო, რომ 1905 წელს ბაქოში მზარეულად მსახურობდა მდიდარ სომეხ სოლომონოვთან. იმ დროს სომეხ-თათართა ქლეტა ატყდა, სოლომონოვები სადღაც გაიხიზნენ, მაგრამ წასვლის წინ ლუკას სთხოვეს, თათრები თუ მოვლენ, „რაც მოუნდეთ, სუყორიფელი გაატანე, ნურაფერს ნუ დაუკავებ, მარტვა სარკეებს და ჭაღებს ნუ დამტვრევენო... ძაან სარკეები ქე იყო... ამსიმაღლე, სულ გადაბრიალებული! ჭაღები ეკიდა ზევით, შენ ხარ ჩემი ბატონი, სულ კისაიები ქონდა გრულიაშემო, ბუზებს რომ არ დაესვარათ, აპა!“ — თათრები მართლაც მივიდნენ, ლუკამ უთხრა, გურჯი ვარო და არაფერი არ დაუშავეს. ბედად, ერთი ნაცნობიც იყო მათ შორის, იმას შეეხვეწა და მართლაც, არც სარკეებს ახლეს ხელი და არც ჭაღებსო. — „მერე გვეიდენ პერედნაში, გვიძვრეს თავისი, რაც ეცვათ, ამხელა ბეწვებიანი შუბები ჩეიცვეს და კარებში კი აღარ გვეიდნენ — აპა! მიღეწეს ფანჯარა და გადაძვრენ ისე... მერე შევიდნენ დოხტურის ბინაში ჩვენ გვერდით და არ დოუტოვებიათ არაფერი, ისე დაღეწეს, მუხლამდე იდგა დამტვრეულებიო“. შემოდგომაზე სოლომონოვები დაბრუნდნენ და როცა ოთახებში შევიდნენ — „ა-თქვა, მე ვუთხარი, ხომ ხედავ, რავე შეგინახე სახლი-თქვა, კაი, აპა ახლა აქ ნახე, რავე დაღეწეს-თქვა და შევიყვანე დოხტურის ოთახებში. ხო და ეს რო ნახა სოლომონოვმა და, ვაი საყვარელოვო

თქვა და ზელიც ქე ჩამომართვა, აბა!“. საწყალი ლუკას ცხოვრებაში
ეს, ეტყობა, ყველაზე ღირსსახსოვარი მოვლენა იყო.

მეორე წლის პრაქტიკა ნაკლებ საინტერესო გამოდგა: არც მშენებ-
ლობას მოუცია ჩემთვის არაფერი ახალი, ვერც მშენებლობის მონაწი-
ლენი შეედრებოდნენ მრავალფეროვნებით ბორჯომელებს. მაგრამ ერ-
თი ტიპი მაინც ჩამრჩა მეხსიერებაში — შავი მუშა მიხო, ყოფილი ყა-
საბი, უკვე შუახანს გადაცილებული, ელაში, ოდესღაც, ეტყობა ძა-
ლიან მსუქანი, მაშინ უკვე გვარიანად შეფერთხილი. გასაოცრად ბნე-
ლი კაცი იყო, მაგრამ დიდი გატაცებით ისმენდა, თუკი რასმე უამ-
ბობდი, განსაკუთრებით ასტრონომიის საკითხებზე. საინტერესო იყო
მისი რეაქცია, როდესაც ჩვენ ერთად შევედით სტამბაში და ვნახეთ.
როგორ „აცხობდა“ საროტაციო მანქანა გაზეთს:

— არა, შენ იმ კაცის გონება თქვი, ვინც ეს მაიგონა! კაცის ჭკუა
ბევრნაირია, რას არ გამოიგონებს! ზოგიერთები კიდე იძახიან, იმათ
დიდი ჯამაგირები რათა აქეთო! შე ოხერო, ერთი იმის გონებასაც მი-
ხედე! მა იმის ჭკუა და ჩემი ჭკუა ერთია? მეც კაცებში ვარ და ისიცა!
ხოლო როდესაც ვუთხარი, რომ ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვა,
გულწრფელი გაკვირვებით წამოიძახა:

— ვაჰ, მაშ ეს მამაძალი ანგლია ამიტომ არის, რომ ამდენ მეი-
მუნს ინახამს? აქ რომ იყო, რამდენი ჰყავდა, იცი?

უსაზღვროდ იყო გაოცებული, როცა გაიგო, რომ დედამიწა მრგვა-
ლია და ბრუნავს, რომ მზეს უვლის გარს, უკვირდა, რომ „ცა ამდენ
ხანს დგას და როგორ არის, რომ არ ჩამოწვება“. მერე დაასკვნა, „არა,
მე და ჩემმა ღმერთმა, მე რომ ნასწავლი ვიყო, უეჭველში ჭკუიდან
ავიწეოდით“. ბოლოს კი მკითხა: „კარგი, მაგრამ შენ საიდან იცი ამ-
დენი რამეები? თუმცა შენ სხვა დარდი არაფერი გაქვს, სულ ერთთა-
ვად წიგნებს კითხულობ და კითხულობ — შენი ლოთობაც ეგ არის“.
და როცა მე ვთქვი, რატომ, მიხო, დარდი ყველას აქვს-მეთქი, იმან
ნაღვლიანად მიპასუხა: „მართალია, ყველას აქვს, მაგრამ ჩვენი დარდი
მაინც სულ სხვა არის: ჩვენ ვიყავით და აღარა ვართ!“... სანუგეშო
გერაფერი ვუთხარი. ასეთი „ყოფილა ხალხი“ მაშინ ჯერ კიდევ ბევრი
იყო.

უმაღლეს სასწავლებელში ჩემი სწავლის პირველი წლები, რო-
გორც ვთქვი, კულტურისა და განათლების დარგში რთული და ძნელი
გარდატეხის ხანას დაემთხვა. ეს იყო ხანა ჯერ ექსპერიმენტებისა,

რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს უმაღლეს სკოლას, შემდეგ ამ ზიანის გამოსწორებისათვის ბრძოლისა. ჰუმანიტარული მეცნიერების, მწერლობისა და ხელოვნების დარგში თუმცა ბევრი რამ მნიშვნელოვანი და საინტერესო იქმნებოდა, ნორმალურ განვითარებას მაინც დიდად უშლიდა ის, რომ სადავეები ხშირად და მეტწილად ვულგარიზატორებსა და დოგმატიკოსებს ეპყრათ ხელთ — ისინი თავის თავს ნებას აძლევდნენ მარქსისტული იდეოლოგიის დამცველებად და გამტარებლებად გამოეცხადებინათ თავი, ნამდვილად კი, საუბედუროდ და საქმის საზიანოდ, ბევრი მათგანი ძალიან ზერელედ ნასწავლი (თუ მთლად უწიგნური არა) „უნიტერი პრინციპები“ იყო, რომელსაც ხელთ კომბალი ეპყრა და მოურიდებლად იქნედა აქეთ-იქით. ასეთი იყო, მაგალითად, მით უფრო მისი „მოღვაწეობის“ ბოლო ხანებში, ე. წ. „რაპის“ და მისი შესაბამისი რესპუბლიკური ორგანიზაციების მოქმედება. მათ არ ჩამორჩებოდნენ არც სხვადასხვა კატეგორიის „რევოლუციონერი“ მხატვრები. ასევე მოქმედებდნენ „მეცნიერი“ ვითომ მარქსისტებიც, რომლებიც განსაკუთრებით მძვინვარებდნენ ისტორიულ-ფილოლოგიურ და საენათმეცნიერო, ეკონომიკურსა და, ცხადია, ფილოსოფიის დარგებში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერთი უდიდესი მონაპოვართაგანი რევოლუციისა, ქართველ მეცნიერთა და მთელი ქართული ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგად შექმნილი, გაუქმდა და ადგილი დაუთმო ოთხწლიან პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომელშიაც სწავლებისა და სწავლის დონე ერთბაშად დაქვეითდა.

ცუდი დღე დაადგა უმაღლეს სამხატვრო განათლებას, რომელმაც „საწარმოო ხელოვნების“ მომხრეთა სასტიკი შემოტევა განიცადა. ეს ვითომ რევოლუციონერები, რომლებმაც თავდაპირველად თავი მოიყარეს მოსკოვში შექმნილ ჭგუფ „ოქტომბერში“, უარყოფდნენ დაზგურ სურათს, როგორც დრომოქმულს; მათ მიაჩნდათ, რომ ახლა უნდა ვითარდებოდეს „საგნების მკეთებელი ხელოვნება“ — პოლიგრაფია, მხატვრული წარმოება, ფოტომონტაჟი და სხვ. ე. ი. ხელოვნების იდეურსა და ზნეობრივ ფუნქციას ისინი წმინდა ტექნიკურ-უტილიტარული ფუნქციით ცვლიდნენ. ასეთი იდეების შედეგი იყო, რომ მოსკოვის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი გაუქმდა და ფაკულტეტის სახით შეუერთდა რომელიღაც სხვა ინსტიტუტს. რა თქმა უნდა, ვერც თბილისის სამხატვრო აკადემია გადარჩა. ჩვენნივე საკუთარი თავგამოდებული, მაგრამ ყოვლად უმეცარი „რეფორმატორების“ წყალობით, 1929 წლიდან დაიწყო მისი დარბევა: დაისვა საკითხი, რომ

სულ მოესპოთ დაზგური ფერწერის სწავლება, გრაფიკის ფაკულტეტი გადაეკეთდა პოლიგრაფიულად, ზოგ ფაკულტეტზე შემოიღეს სამწლიანი სწავლება, სადიპლომო ნაშრომები გაუქმდა, გადაწყდა, რომ სასწავლო დროის თითქმის ნახევარი საწარმოო პრაქტიკას დათმობოდა. ამას ყველაფერს თავისი დასაბუთებაც ახლდა: ხელოვნების დაახლოება ცხოვრებასთან. მაგრამ ის აღარ ესმოდათ, რომ ცხოვრებასთან დასახლოებელი აღარაფერი რჩებოდა, რაკი ყველაფერი ისე იყო წარმართული, რომ თვით ხელოვნება გაუქმებულყო. ბოლოს ესეც აღარ იკმარეს, სამხატვრო აკადემია საერთოდ გააუქმეს და მის ნაცვლად პედაგოგიურ ინსტიტუტში შექმნეს სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი, რომელსაც არც არავითარი ბაზა გააჩნდა და აღარც მასწავლებლები... ხოლო სამხატვრო აკადემიის შენობაში რომელიღაც ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი მოეწყო. სარკეებიან დარბაზში რამდენიმე ათეული საწოლი იყო ჩამწყობებული, როგორც ლაზარეთში.

დაიშალა პოლიტექნიკური ინსტიტუტიც და მის ნაცვლად დაარსდა დარგობრივი ინსტიტუტები — სამშენებლოსა და ენერგეტიკულის გარდა, სამთო-მეტალურგიული, ქიმიურ-ტექნოლოგიური და სხვები. რა თქმა უნდა, არც ეს დაქუცმაცება აღმოჩნდა გამართლებული...

ახლა რომ წაიკითხოთ ზოგი მაშინდელი „იდეოლოგის“ ნაწერი, თმები ყალყზე დაგიდგებათ. ზემოთ უკვე ვთქვი, როგორ იხსენიებდნენ ილია ჭავჭავაძეს. უშვარი სიტყვებით ლანძღავდნენ თანამედროვე მწერლებს, მეცნიერებს, რომელთა შრომები და საქციელი სულ ადვილად ცხადდებოდა ანტისაბჭოურად და კონტრრევოლუციურად, მაშინ, როცა სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ იყო. ხელოვნების კრიტიკოსები ასევე წერდნენ, რომ პეიზაჟისა და ნატურმორტის ხატვა აპოლიტიკურობაა, უფრო მეტიც — პროლეტარიატისადმი მტრული დამოკიდებულების ნიშანია.

იმავე დროს, ახლა დიმილის გარეშე ვერ წაიკითხავ ზოგი მაშინდელი სოციოლოგის თხზულებას, კერძოდ, ლიტერატურისა და ხელოვნების ფაქტების ანალიზს (მაგრამ მაშინ ეს სულ არ იყო სასაცილო). ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, მაგალითად, რუსულ „ლიტერატურული ენციკლოპედიის“ VI ტომში დაბეჭდილმა წერილმა ჰენრიხ მანის შესახებ, რომელშიაც მწერლის ისტორიული ადგილი ასეა განსაზღვრული (ეს 1932 წელს იბეჭდებოდა): «...Представитель сходящей со сцены при господстве монополистического капитализма старой торговой буржуазии, в своем процессе деградациии смыкающейся с паразитической буржуазией эпохи загнивающего капитализма, с одной стороны, и с мелкобуржуаз-

ნომ აქტივიზმომ ს დროი, მანი ხარაქტერი ნემეციი «ლემო»-ბურჟუაზნიი პისათელი ეპოი იმპერიალიზმი. იზობრაჟა ბურჟუაზნიი დეკადანს. მანი სამ ბლუჟდათ ვ ეო ტუპიკე.» აი ასეთი ბოდვა ცხადდებოდა მარქსისტულ ანალიზად. იმავე ენციკლოპედიის თანახმად (წერილის ავტორი ქართველი იყო), ვასილ ბარნოვი «Происходит из состоятельной родовой семьи проникнутой традициями феодальной старины».

კუტიროზული შედეგი გამოდიოდა, როდესაც ძველი, დამსახურებული ავტორებიც მოისურვებდნენ არ ჩამორჩნოდნენ ამგვარ „მარქსისტებს“ და თავს იჩენდნენ „მეფეზე უფრო როიალისტებად“. ასე მოუვიდა ანტიკური ხელოვნების ცნობილ მკვლევარს ბორის ფარმაკოვსკის, რომლისთვისაც ნიკო მარს უჩვენებია მორის რენალის წიგნი ლადო გუდიაშვილზე. მან რატომღაც საჭიროდ მიიჩნია წერილის დაბეჭდვა თავის შთაბეჭდილებათა შესახებ და დაიწყო იმის გამოძიებით, თუ რომელ სოციალურ კლასს ემსახურება გუდიაშვილი, რა შეადგენს მისი ხელოვნების სოციალურ საფუძველს. გუდიაშვილის სურათებში ტრაგიკული განწყობილებაა, რომელიც შეუძლებელია საბჭოთა ნიადაგზე აღმოცენდეს. ეს არის პირველი დასკვნა. მაგრამ ავტორს გასაწირავად არ ემეტება გუდიაშვილი (იქნებ ნიკო მარის ხათრით). ამიტომ იგი ასე ავითარებს თავის დებულებას: „Психика, которая выявляется у Гудиашвили, не национальная. Наоборот, она — порождение строя жизни, сравнявшего все национальности... Сама суть содержания искусства Гудиашвили... не грузинская и только энергия, с которой преподносится это содержание может быть отнесено за счет его национальности“. მართალია, გუდიაშვილი რადიკალია, იგი აკრიტიკებს თანამედროვეობას, რომელიც მისი წარმოდგენით კოშმარია, მაგრამ გამოსავალს ვერ გვთავაზობს: „Искусство Гудиашвили есть выражение психологии исторического тупика“.

რა თქმა უნდა, იმ წლებში ნამდვილად პროფესიული და სერიოზული ნაშრომებიც ქვეყნდებოდა, მაგრამ წარმმართველი ასეთი ხასიათის ნაწერები იყო, ეს კი გამოუვალ ხლართს ქმნიდა, დიდად ართულებდა მუშაობას ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის დარგში, და ცხადია, ვნების ვარდა არაფერი მოჰქონდა მწერლობისა და ხელოვნებისთვის.

ასეთი ვითარება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და არც გაგრძელებულა. შემობრუნების პირველი ნიშანი იყო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება 1932 წლის 23 აპრილისა შემოქმედებითი კავშირების რეორგანიზაციის შესახებ. ამ

დადგენილებამ, რომლის შემდეგაც ყოველ დარგში შეიქმნა ერთიანი შემოქმედებითი კავშირი (მხატვართა, კომპოზიტორთა, არქიტექტორთა), ალაგმა „რაპის“ და სხვა დარგებში არსებული ანალოგიური ორგანიზაციების თარეში და პოლიციური მეთოდები. რა თქმა უნდა, ეს დადგენილება იმ დოგმატიკოსებსა და ვულგარულ სოციოლოგებს ვერ გარდაქმნიდა (თუმცა ზოგმა კი აიფარა ნიღაბი), ისინი კიდევ კარგა ხანს არსებობდნენ, შემდეგ მათი ახალი თაობებიც გაჩნდნენ, რომელთაც განსაკუთრებით იჩინეს თავი ომის მომდევნო წლებში. მაგრამ დადგენილების კეთილისმყოფელი შედეგები აშკარა იყო, მით უფრო, რომ იგი მარტო ამ ორგანიზაციული ზომებით კი არ იფარგლებოდა, არამედ გულისხმობდა მკვეთრ შემობრუნებას კლასიკური მემკვიდრეობის უსაზღვრო და უსასრულო სიმდიდრისაკენ, მის მიმართ მანამდის არსებული ნიჰილიზმის აღკვეთას. ამ თვალსაზრისით საქართველოსთვის დიდმნიშვნელოვანი იყო მწერალთა I საკავშირო ყრილობაზე (1934 წელს) ქართული ლიტერატურისადმი მიძღვნილი მოხსენება ძველ ქართულ მწერლობაზე და ილია ჭავჭავაძისადმი დამოკიდებულების შეცვლა (ასე ვთქვათ, მისი რეაბილიტაცია)*. როგორც გვირგვინი ყველაფერ ამისა იყო ზემოთ უკვე მოხსენებული დადგენილება რუსთაველის იუბილეს ჩატარების შესახებ. ცხადია, ამ გადაწყვეტილებათა რეზონანსი დიდად სცილდებოდა მხოლოდ მწერლობის ფარგლებს. იმავე დროს სწრაფად ჩატარდა დარღვეული უმაღლესი სკოლების აღდგენაც: აღდგა უნივერსიტეტი (ამან განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია, იმიტომ რომ უნივერსიტეტს ქართული საზოგადოება თავიდანვე ისე ეპყრობოდა, როგორც ეროვნულ წმიდათაწმიდას), აღდგა სამხატვრო აკადემია და პოლიტექნიკური ინსტიტუტიც, თუმცა მაშინ მას „ინდუსტრიული“ დაარქვეს.

რა ვითარება იყო იმ დროს ქართული ხუროთმოძღვრების დარგში? სრულიად სპეციფიკური. მას საკუთარი პრობლემები და სიძნეელები ჰქონდა, რამდენადმე განსხვავებული ხელოვნების სხვა დარგთა პრობლემებისაგან.

* თვალწინ მიდგას სურათი: რუსთაველის პროსპექტზე, სახელგამის წიგნის მაღაზიის ვიტრინასთან, დგანან მამაჩემი და მისი მეგობრები, ცნობილი ლიტერატორები ქრისტეფორე რაჭველიშვილი და მიხეილ საყვარელიძე. გაცხოველებით საუბრობენ, სახეები გაბრწყინებული აქვთ: საუბრის თემა მთავრობის ახლად გამოტანული დადგენილება ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნის შესახებ.

პრობლემა პირველი: ეროვნული კადრები. ახლა ეს უცნაურად გვეჩვენება, მაგრამ სიმონ კლდიაშვილის (უნივერსიტეტის შენობის ავტორის) გარდაცვალების შემდეგ (1920 წელს) პროფესიონალი ქართველი არქიტექტორი აღარავინ დარჩენილა. მიხეილ მაჭავარიანი არ იყო აქტიური შემოქმედი და თითქმის მთლიანად პედაგოგიურ მუშაობაზე იყო გადასული. ორიოდე მშენებელი ინჟინერი, რომელთაც ადრე სახლებიც ჰქონდათ აშენებული, არსებითად სურათს ვერ ცვლიდა. არქიტექტურული შემოქმედება ოციანი წლების განმავლობაში და ნაწილობრივ ოცდაათიანის დასაწყისშიაც რამდენიმე მეტ-ნაკლებად გამოცდილი რუსი და სომეხი ხუროთმოძღვრის „ხელში“ იყო. ესენი იყვნენ ანატოლი კალგინი, რომელსაც სახელად და დამსახურებად ისიც ჰყოფნიდა, რომ ქართული საადგილმამულო ბანკის (ახლანდელი რესპუბლიკური ბიბლიოთეკის) შენობის, საბჭოთა წლებში კი ზაპესის ნაგებობათა ავტორი იყო; ნიკოლოზ სევეროვი, რომელმაც ოციან-ოცდაათიანი წლების მიჯნაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაგებობა შექმნა და, იმავე დროს, ძალიან აქტიურად თანამშრომლობდა გიორგი ჩუბინაშვილთან, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა მეცნიერული აზომვის საქმეში; მიხეილ კალაშნიკოვი, მიხეილ ნეპრინცევი, მიხეილ ბუზოლი, გაბრიელ ტერ-მიქელოვი და კიდევ სამი-ოთხი კაცი (ტერ-მიქელოვმა თავისი საუკეთესო შენობები, რომლებიც მართლაც მაღალი პროფესიული დონით გამოირჩევა, რევოლუციამდე შექმნა: სასტუმრო „მაჟესტიკი“ — ახლანდელი „თბილისი“, რომელიც რუსთაველის პროსპექტს ამშვენებს, და საცხოვრებელი სახლი მახარაძის ქუჩაზე. ოციან წლებში კი მისი პროექტით აშენდა ბანკის მუშაეთა საცხოვრებელი სახლი დავითაშვილის ქუჩაზე).

ოცდაათიანი წლების მიჯნიდან სურათი ერთბაშად შეიცვალა — ქართველ ხუროთმოძღვართა მთელი რაზმი გაჩნდა: ჩვენი სამხატვრო აკადემიისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის დარგები დაამთავრეს მიხეილ შავიშვილმა, არჩილ ქურდიანმა, ქეთევან ფორაქიშვილ-სოკოლოვამ, ბორის გოქაძემ, სანდრო თევზაძემ, მიხეილ ჩხიკვაძემ; მოსკოვიდან ჩამოვიდნენ იქაური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი: ივანე ყირაქესალი, სანდრო ინწყირველი, გიორგი ხიომიაშვილი, შალვა თავაძე; გერმანიიდან დაბრუნდა ალექსანდრე ნიკოლაიშვილი.

რა თქმა უნდა, ეს არქიტექტორები არც თავისი ნიჭით, არც პროფესიული მომზადებით, არც მორალური თვისებებით ერთი დონისანი არ ყოფილან, ერთმანეთთან დამოკიდებულების მხრივაც ერთიან



არჩილ კურდიანი



მიხეილ კალაშნიკოვი



სანდრო ინჭვირველი



ვიაჩესლავ კორკაშვილი

ბირთვის არ ქმნიდნენ, მაგრამ ეს მაინც ეროვნული კადრების მთელი თაობა იყო, რომელსაც სულ მალე, ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარშივე, შეემატნენ ჩვენი მეგობრები ბეჟან ლორთქიფანიძე, ლონგო სუმბაძე, ვალერიან კედია და ლეო რჩეულიშვილი, და მათივე ტოლნი, ან ერთი-ორი წლით უფროს-უმცროსნი, მიხეილ მელია, ალექსა მიმინოშვილი, სერგო დემჩინსკი, ლეო ხარაშვილი, ცილა გაბაშვილი, მიხეილ ქოჩაკიძე, ქუჩუ დგებუაძე, მიხეილ ლომიძე, ნელი ციციშვილი, სოსო ზაალიშვილი, გიორგი გოგავა, ვიაჩესლავ (ბიჭიკო) ქორქაშვილი, შალვა თულაშვილი (ეს ორნი სულ ახალგაზრდები დაიღუპნენ ომში), ზაქარია ქურდიანი, ვანო ჩხენკელი, ლევან ჯანელიძე, ლეო მამალაძე და სხვანი. ისინი თავიდანვე აქტიურად ჩაებნენ შემოქმედებითს ცხოვრებაში და ბევრმა მათგანმა იმთავითვე შეძლო თავის გამოჩენაც — საამისო საშუალება იმ წლებში მართლაც არსებობდა. რამდენიმე ამათგანი პედაგოგიურ საქმიანობაშიაც ჩაერთო ჩვენსავე ინსტიტუტში. მომდევნო წლებში ეს პროცესი — ეროვნული ხუროთმოძღვრების ძალების ზრდისა და მატებისა — ბუნებრივად გრძელდებოდა. ასე რომ, ეს პრობლემა უკვე ოცდაათიანი წლების დასაწყისშივე გადაწყდა.


რა თქმა უნდა, უფრო რთული იყო მეორე პრობლემა: თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი გზების ძიებისა. ამ მხრივ ქართული არქიტექტურა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელი საბჭოთა არქიტექტურის განვითარებასთან, მასთან საერთო საზრუნავიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ არსებობდა ძიების სპეციფიკური, განსხვავებული ასპარეზიც.

აქ გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა მარაგით და ბაგაჟით მოაღწია ქართულმა ხუროთმოძღვრებამ რევოლუციის წლებამდე. ისევე, როგორც რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში, ჩვენშიაც XIX საუკუნე, გარდა პირველი ათეული წლებისა, ეკლექტიკური არქიტექტურის ხანა იყო. გასული საუკუნის ოციანი-ოცდაათიანი წლებიდან ჩამოყალიბებული ქალაქური საცხოვრებელი სახლები თბილისში, თელავში, სიღნაღში, ქუთაისში, სხვა ქართულ ქალაქებში, ეროვნული ხუროთმოძღვრების უკანასკნელი ორიგინალური გამოვლინება იყო. ძველი მონუმენტური ხუროთმოძღვრების ეროვნული თემები — ეკლესია, სათავდაცვო შენობები, ციხე-დარბაზი — ბუნებრივად მოკვდა XIX საუკუნის დასაწყისიდანვე (თითო-ოროლა ეკლესია თუ აშენდებოდა ტრადიციულად). საუკუნის ბოლო ათეულ წლებში გამეფდა ბურჟუაზიული „შემოსავლიანი სახლის“ არქიტექტურა, რომელსაც თბილისში პი-

რობითად შეიძლება „სოლოლაკის არქიტექტურა“ ვუწოდოთ. სახლების ფასადები სხვადასხვა ევროპული სტილის უერაყული მიბაძვა იყო, თუმცა კი პროფესიულად თითქმის ყველა რიგიან დონეზე იდგა. ისევე, როგორც ზოგ სხვა ქვეყნებში, ჩვენშიაც ხუროთმოძღვრება კოსმოპოლიტურ სახეს ღებულობდა, მაგრამ ისევე, როგორც სხვა ქვეყანაში, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აშკარად გამოისახა ეროვნული მოტივების აღდგენისა და დანერგვის ტენდენციაც (ქართული ბანკი, ქვაშვეთის ეკლესია, ზოგი უფრო ადრინდელი შენობაც, რომელთა ფასადებზეც ძველი ქართული ჩუქურთმა იყო გამოყენებული). საქართველოში ეს, ცხადია, დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზრის საერთო განვითარებასთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გაღვივებასთან. ეს დამახასიათებელი მოვლენა



ლონგინოზ სუმბაძე



ალექსი მიმინოშვილი

იყო, მაგრამ იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ ისევე ორგანულად, როგორც იყო ქართული მწერლობა, რომლის ტრადიციაც არასოდეს შეწყვეტილა და რომლის ეროვნულობის უეჭველობასაც ენა განსაზღვრავდა; არც იმდენად ორგანულად, როგორც უკვე იყო ახალი ქართული ფერწერა.

და, აი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში

არქიტექტურაში ეროვნული სახის ძიების პრობლემამ ახალი ძალით „იფეთქა“. უკვე 1923 წელს, როდესაც ჯაქართველოს მუზეუმის ფასადისთვის კონკურსი გამოცხადდა, პროექტების უმეტესობას ქართული (ან ქართულად მიჩნეული) მოტივები ედო საფუძვლად. თუ როგორი შეუსაბამობა იყო სურვილებსა და მათი განხორციელების რეალურ შესაძლებლობათა შორის, თუ რამდენად ზერელე და შინაგანად მოუზნადებელი, გულუბრყვილო იყო ამ საკითხისადმი დამოკიდებულება, მოწმობს ფრიად პატრიოტული, მაგრამ სრულიად ფანტასტიკური დადგენილება, 1926 წელს მიღებული თბილისის ქალაქის აღმასკომის მიერ: „ამიერიდან ქალაქში ყოველგვარი შენობა უნდა აიგოს ქართული სამოქალაქო არქიტექტურის სტილზე... მნიშვნელოვანი შენობების ფასადები გადაკეთებული უნდა იქნეს ქართულ სტილზე“... ამ დადგენილების აზრი ის არის, რომ „ქალაქს მისცეს ეროვნული ელფერი და აღადგინოს ქართული ხუროთმოძღვრული სტილი“.

ამ დადგენილების განხორციელებას მართლაც შეუდგნენ, მით უფრო, რომ ეროვნული ფორმის ძიება ამ დროს სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი იყო. მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ მცირე გამონაკლისით (საქართველოს მუზეუმის ფასადი ნ. სევეროვისა, ზაქისის შენობები ა. კალგინისა), არავითარ შემოქმედებითს ძიებას არ ჰქონია ადგილი, არამედ სრულიად მექანიკურად დაიწყეს „ეროვნულ“ ფორმათა ასორტიმენტის — თაღების, კოშკების კბილანების, ვიწრო სარკმლების, ცალკეული ჩუქურთმის — გამოყენება. და აშენდა არა ერთი ბუტაფორიული, ოპერული (თუ ოპერტული) ქართული სახლი, რომლებმაც სამართლიანი რეაქცია გამოიწვია — თუ ეს არის ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრება — დაგვანებეთ თავიო. რეაქცია მით უფრო გასაგები, რომ ეს ეროვნული ფორმები შენობათა ფუნქციური გადაწყვეტის ხარჯზე იყო გამოყენებული. შეიძლებოდა ზოგი ნიმუშის დასახელება: დანგრეულ სახლებს ხალხი ადვილად იფიქსებს, მაგრამ ჭერჭერობით უფროს თაობას მაინც ანსოვს, ალბათ, საცხოვრებელი სახლი ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების გასაყარზე — მის ადგილას აშენდა ფილარმონიის დარბაზი; ტრამვაელთა საცხოვრებელი სახლების კომპლექსი კი დღესაც დგას პლენანოვის პროსპექტისა და ტელმანის ქუჩის კუთხეში; პრინციპულად მათივე კატეგორიისაა სახვინმრეწვის ძველი შენობაც, პლენანოვის პროსპექტზე-30.

იმავე დროს, ეს ხომ იყო ხანა კონსტრუქტივისტულ-ფუნქციონა-

ლისტური არქიტექტურის განვითარებისა მთელ მსოფლიოში და რუსეთში, სადაც ეროვნული ფორმის ძიების საკითხი, ასეთი მტკივნეული საქართველოსთვის, სრულიადაც არ ისმოდა. ამ ნაკადს ვერც საქართველო გაექცეოდა: მართლაც შეუძლებელი იყო სრული გამოთიშვა და კარჩაეცილობა, თვალის დახუჭვა იმ რაციონალურ, აზრიან საწყისებზე, რომლებიც იმ ახალ ხუროთმოძღვრებას ჰქონდა. ჩვენშიაც დაიწყო კონსტრუქტივისტული მშენებლობა და ზოგი რამ სავსებით რიგიანი აშენდა... ახლა, როდესაც ოციანი წლებისა და ოცდაათიანის დასაწყისის თბილისურ შენობებს გადავხედავთ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ერთი და იგივე არქიტექტორი თითქმის ერთდროულად აშენებდა ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს სახლს ჩიტაძის ქუჩაზე (ახლა რომ პარტიის თბილისის კომიტეტი) და საქართველოს მუზეუმის ფასადს (ნ. სევეროვი), ტრამვაელ მუშათა საცხოვრებელ სახლს პლებანოვის პროსპექტის ბოლოში და „ზარია ვოსტოკას“ შენობას რუსთაველის პროსპექტზე (არქ. ჩისლიევი — სურათის სისრულისთვის შეიძლება დაეუმატოთ, რომ პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში მანვე ააშენა ოფიცერთა სახლი რუსთაველის პროსპექტზევე — კლასიკური ბერძნული არქიტექტურის სტილიზაცია).

საქმეს ის ართულებდა, რომ განვითარების იმ ეტაპზე ახალი ევროპული არქიტექტურის ტენდენციები და ეროვნული ფორმის ძიება ერთმანეთს დაუპირისპირდა და თითქმის არავის არ უტყდია ეს ორი ხაზი ორგანულად დაეკავშირებინა, ე. ი. არ უზრუნია იმისათვის, რომ ახალი ქართული არქიტექტურა სამუზეუმო სტილიზაციისაგან გაეთავისუფლებინა და მის ორგანულ გათანამედროვეებაზე ეფიქრა. მაშინ ეს, ეტყობა, ნაადრევი იყო...

ზემოთქმულს უნდა დაეუმატოთ კიდევ ერთი მაშინდელი ტენდენცია, რომელიც აგრეთვე მოწმობდა, რამდენად დოგმატური (და, რა თქმა უნდა, გულუბრყვილო!) შეხედულება ჰქონდა ზოგიერთ „თეორეტიკოსს“ ახალი საბჭოთა ყოფის, კოლექტივიზმისა და, ამასთან დაკავშირებით, ახლებური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურის შესახებ. ამის წარმოსადგენად დიდი ახსნა-განმარტება არ დამკვირდება — საკმარისი იქნება ერთი ამონაწერი ჟურნალ „დროშის“ 1930 წლის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი წერილიდან. იგი ეხებოდა მუშათა საცხოვრებელ სახლებს, რომელთა შენგბაც 1922 წლიდან წამოიწყეს „ფიქრის გორაზე“. ავტორს მიაჩნდა: ამ სახლების „მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ სრულებით არ არის მხედველობაში მიღებული ახალი ყოფაცხოვრების საკითხები... ბინები თანამედროვე მო-

თხოვნილების მიხედვით კი არ არის აშენებული, არამედ ძველი, დამყაყებული ტრადიციების, ბურჟუაზიული გემოვნებისა და სულისკვეთების მიხედვით“. ავტორი აღშფოთებულია: „ვინ შეიმუშავა, ვინ დაამტკიცა და ვინ მოიყვანა სისრულეში ისეთი გეგმა, რომლის მიხედვით ცალკე ბინა განხორციელებაა ოჯახის სრული, აბსოლუტური დამოუკიდებლობის, გეგმა, რომელიც სრულიად არ უწყევს ანგარიშს ახალ ყოფაცხოვრებას, ამ ყოფაცხოვრების სოციალისტურ სარჩულს“. მაინც რა არის დამყაყებული ბურჟუაზიული სულისკვეთების მაჩვენებელი ამ სახლებში ავტორის აზრით? აი რა: „ბევრი შეუგნებელი მობინადრე იკვებნის კიდევ — ჩემს მეზობლებთან მხოლოდ საერთო სახურავი და ეზო მაკავშირებსო. საკუთარი სამზარეულო, საკუთარი აბაზანა, საკუთარი საპირფარეშო, საკუთარი დერეფანი, საკუთარი შესასვლელი და გამოსასვლელი. არავითარი ურთიერთობა მეზობლებთან... და ეს იმ დროს, როდესაც იდგა კოლექტივიზმისა, კოლექტიური შრომისა და ნაშრომის განაწილებისა ხორცს ისხამს და ფეხს იკიდებს არა თუ ქალაქად... არამედ სოფლად, ღარიბ და საშუალო გლეხობას შორისაც კი“.

მე არ ვიცი, ვინ იყო ამ წერილის ავტორი (იგი ფსევდონიმს ამოფარა), მაგრამ საინტერესო იქნებოდა კაცს ენახა, როგორ გაატარებდა დროს ამ თავისი „იდევების“ თანახმად“ აგებულ სახლში რომ ეცხოვრა — საერთო სამზარეულოთი, საერთო აბაზანით, საერთო საპირფარეშოთი, საერთო დერეფნით, საერთო შესასვლელითა და გამოსასვლელით... ზოშიჩენკოს მოთხრობები მაინც არ ჰქონდა წაკითხული?

ასეთი „ხუროთმოძღვრული ფონი“ გვექონდა ჩვენ, პირველი კურსების სტუდენტებს, როდესაც გეგმარების სწავლას ვიწყებდით. არსებითად სრული დაბნეულობა სუფევდა. ხუროთმოძღვრულ ანბანს არ გვასწავლიდნენ, კლასიკური არქიტექტურული ფორმების სწავლება განდევნილი იყო, კონსტრუქტივიზმსაც ჩვენ მზამზარეული რეცეპტების სახით ვღებულობდით, უპარესად სქემატური ფორმულებით. შენობის მთელ გარეგნულ არქიტექტურას, რომელიც თავისუფალი უნდა ყოფილიყო დეკორაციული ტვირთისაგან, ძალიან ადვილად „ვაცხოვდით“ რაისშინით: ორი პარალელური ჰორიზონტალური ხაზი, რამდენიმეჯერ განმეორებული, ქმნიდა სართულთა კედლებს და მათ შორის მოქცეულ ერთიან შემინულ ზოლებს, ხოლო პერპენდიკულარულად „ჩაწყობილი“ მოკლე ვერტიკალური ხაზები აღნიშნავდა შემინული ზოლის დანაყოფებს. კიდევ ერთი შემინული ზოლი, ამჯერად შვეული — აღნიშნავდა კიბის უჯრედს... ეს იყო და ეს. არც პრო-

პორციები, არც შენობის მასების ურთიერთშეფარდება და წონასწორობა... თუ რამე გამოვიდოდა ასე თუ ისე „შესაწყნარებელი“, მხოლოდ ინტუიციით იყო. უკეთეს შემთხვევაში შეგვეძლო გეგმა მეტნაკლებად ლოგიკურად და მიზანშეწონილად გადაგვეწყვიტა ფუნქციური თვალსაზრისით. როცა ვცდილობდით თავი დაგვეღწია სქემისაგან, „კლასიკური მემკვიდრეობის“ გამოცდილებისათვის მიგვემართა, მისი რამდენადმე მოდერნიზებული ინტერპრეტაციით, სწორედ ამ მემკვიდრეობისა და პროფესიული საფუძვლების ცოდნა გვაკლდა. არ გაგვაჩნდა — უმეტესობას მაინც — გრაფიკული ოსტატობაც (ამ მხრივ გამოირჩეოდა მხოლოდ რამდენიმე კაცი ჩვენზე უფროსი კურსებისა — ლეო მელეგი, ლევან ჭანელიძე, ლეო მამალაძე — ეს ორი კარგი აკვარელისტი იყო). ჩვენს მასწავლებლებს, ჭერ კიდევ ახალგაზრდებს, პედაგოგიკური გამოცდილებაც არ ჰქონდათ. არსებითი კი ის იყო, რომ არავის არ ჰქონდა მტკიცე იდეურ-ესთეტიკური პოზიცია. ქალაქთგეგმარების საგანი, რომელსაც ნიკოლაიშვილი გვასწავლიდა (შედრწუნებული იყო სტუდენტთა საერთო დაბალი კულტურული დონით, ხელოვნებასა და ისტორიის დარგში ელემენტარული ინფორმაციის უქონლობით), უშუალოდ მაინც არ ეხებოდა ამ მტკივნეულ საკითხებს. არც ხელოვნების ისტორია ისწავლებოდა, მის ნაცვლად პირველ ორ კურსზე შემოღებული იყო რაღაც ნაძალადევი „ხელოვნების სოციოლოგია“; მას კითხულობდა უმეცარი ყმაწვილი კაცი, რომელიც პროლეტარულ არქიტექტორთა ასოციაციაში იღვწოდა, უფრო გვიან კი თავისი დონის შესაფერი „ძეგლებით“ დაამშვენა საქართველოს ბევრი დაბა და ქალაქი — პრაქტიკული სიმარჯვე არ აკლდა. მისი გამონათქვამები ანეკდოტებივით ვრცელდებოდა სტუდენტებს შორის. ზოგი მათგანი დღემდის მახსოვს, მაგრამ მათი მოტანა უხერხულად მიმაჩნია. რა თქმა უნდა, არავინ არ გვასწავლიდა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიასაც.

1933-34 წლებიდან, საერთო ვითარების ცვლასთან ერთად, ჩვენს ინსტიტუტსაც სწავლების მხრივ გარკვეული პროგრესი დაეტყო. აღდგენილ იქნა არქიტექტურის დარგი. პარტიის XVII ყრილობაზე ერთ-ერთ მოხსენებაში ითქვა, რომ არქიტექტურის სწავლების ხარისხს განსკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ინსტიტუტში ხმები დადიოდა — ჩვენი სპეციალობა დეფიციტურად არის გამოცხადებულიო, ცოტანი ვართ და მეტი უნდა ვიყოთო. ამის გამო ჩვენი ამხანაგ-გიგა ბუქია, რომელიც სამუშაოს მწარმოებელთა ჯგუფში სწავლობდა, გვეხუმრებოდა, აწი თქვენი გამოწერა ორდერებით იქნებაო. გარ შემოც მეტი შესაძლებლობა ჩნდებოდა ცოდნის წყურვილის დაკმა-

ყოფილებსა. კარგი ის იყო, რომ ასეთი წყურვილი ჩვენ მართლაც გვექონდა და ყველა ღონეს ვხმარობდით, რომ ამ მხრივ რაიმე წარმატებისათვის მიგვეღწია. 1934 წელს, თებერვალში, მოხერხდა გიორგი ჩუბინაშვილის მოწვევა (ჩვენი დაყინებითი მოთხოვნისა და ბრძოლის შემდეგ). მან ხელოვნების ისტორიის ზოგადი კურსის კითხვა დაიწყო III კურსზე (მე უკვე მეოთხეზე ვიყავი). ეს წინ წადგმული ნაბიჯი იყო და ერთგვარი მიჯნა ჩემს საკუთარ ცხოვრებაშიც: არქიტექტურული გეგმარების კათედრის გამგემ ივანე ყირქესალმა, ჩვენმა „შეფმა“, მე მომანდო პრეპარატორობა: უნდა დავსწრებოდი ჩუბინაშვილის ლექციებს, დავხმარებოდი სურათების ჩვენებაში, და როგორც მერე აღმოჩნდა, ქართულად უნდა მეთარგმნა სტუდენტებისთვის მისი ლექციის მოკლე შინაარსი, რაკი უმეტესობას ცუდად ესმოდა რუსული. ამით უკვე თითქოს ისახებოდა ჩემი მომავალი მუშაობის ხასიათი და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მე თვითონ კი ამ დროიდან მოყოლებული ინტენსიურად დავიწყე სპეციალური ლიტერატურის კითხვა ხელოვნების ისტორიაში, თუმცა დასაწყისში ეს კითხვა მაინც უსისტემო იყო.

ჩვენმა „ლუფტ-კამპანია“ ხუროთმოძღვრების ძეგლების სანახავად მოგზაურობასაც მიჰყო ხელი — პირველი ექსკურსიები მოვაწყვეთ შიო მღვიმეში, ატენსა და მცხეთის ჯვარზე; რა თქმა უნდა, თან აღბომები მიგვექონდა და ძეგლებს ვიხატავდით. ასე დავამყარეთ პირველი ცოცხალი კონტაქტები ძეგლებთან, პროფესიული თვალთ შევხედეთ მათ. ეს 1933 წელს ხდებოდა. რკინიგზის სადგურებიდან ძეგლებამდე ფეხით გავდიოდით (სად იყო მაშინ მანქანები!), ატენში ლამისთევით ვიყავით წასული, ერთ ღღეში ამ მარშრუტის დაძლევა შეუძლებელი იყო.

მესამე კურსიდან პრაქტიკა საპროექტო ინსტიტუტებში გვექონდა. მე ე. წ. კომუნბინშემწეში ვმუშაობდი. ეს უკვე მოასწავებდა ბევრად უფრო მჭიდრო კონტაქტს ცოცხალ არქიტექტურასთან. ვმონაწილეობდი ნახაზების შესრულებაში, ერთხელ თუ ორჯერ ქალაქთა გენერალური პროექტების განმარტებითი ბარათების შედგენაშიაც ჩამრთეს, ხოლო 1934 წელს ფოთის გენერალური პროექტის შედგენისას ფოთის ისტორიული ნარკვევის დაწერაც დამავალეს. ეს ჩემი პირველი „გამოკვლევა“ იყო (კონსულტაციისთვის მიემართე გიორგი ჩიტაიას — ფოთის ყოფილ „ქალაქისთავს“, და რუსუდან ნიკოლაძეს, რაკი ნიკო ნიკოლაძესთან დაკავშირებულია ამ ქალაქის ისტორიის მთელი საფეხური).

ამასობაში საქართველოს „ხუროთმოძღვრულ ცხოვრებაში“ დიდი

გამოცოცხლება დაიწყო: ერთი მხრივ, ეს იყო ჯერ თბილისის და შემდეგ სხვა ქალაქების გენერალური პროექტების შედგენა. თბილისის გენერალური პროექტის შემდგენელთა შორის, მოწვეულ უკრაინელ სპეციალისტებთან ერთად, უკვე ქართველებიც გაერჩენენ — ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები და ახლად ფეხადგმულნი — შაქრო ქურდიანი და გიორგი (აგულია) გოგავა. ცოტა მოგვიანოდ კი სხვა ქალაქების პროექტებისთვის მიწვეულნი იყვნენ ივანე ყირქესალი და ალექსანდრე ნიკოლაიშვილი. ყირქესალმა თანავეტორებად აიყვანა ბეჟან ლორთქიფანიძე და ლონგო სუმბაძე, რომელთაც ის იყო დამთავრეს ინსტიტუტი და რომელთაც, არსებითად, დააწვათ პროექტის შედგენის მთელი სიმძიმე... თანდათან ამ საქმიანობაში სხვა ახალგაზრდებიც ჩაერთნენ. მეორე მხრივ, ეს იყო რამდენიმე დიდი საზოგადოებრივი ობიექტის პროექტებისთვის გამოცხადებული კონკურსები და ზოგი ობიექტის მშენებლობა. აი ეს ობიექტები: საქართველოს მთავრობის სახლი, რომლის აგებაც გადაწყდა 1930 წელს დანგრეული სამხედრო ტაძრის ადგილას, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობა, „დინამოს“ სტადიონი, ქართული პავილიონი მოსკოვში, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, მთაწმინდის ზედა შენობა, კინოთეატრ „რუსთაველის“, ბალნეოლოგიური კურორტისა და ცირკის შენობები... ქალაქის რეკონსტრუქციის ობიექტთაგან მთავარი იყო ახლანდელი „გმირთა მოედნის“ კვანძი — ლენინის ქუჩის გაგრძელება, თვით ეს მოედანი, ქუჩის გაყვანა ამ მოედნიდან მტკვრისკენ, და საამისოდ კლდის გაკვეთა, ჩელუსკინელების ხიდის აგება და ამავე სახელობის ქუჩის შექმნა... ეს ყველაფერი ჩვენს ცხოველ ინტერესს იწვევდა (მე და კოტე ჭავჭავაძე იყავით კარგა ხანს, ზამთრის თვეებში, ყოველ საღამოს ათ საათზე მივდიოდით „საექსკურსიოდ“ ამ მშენებლობის სანახავად. გვანტერესებდა როგორ იბადებოდა ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი ახალი ცენტრი, თუმცა მაშინ რას წარმოვიდგენდით, რა შორს გაიჭრებოდა იქით, საბურთალო-დელისისკენ, ახალი უბნები?). მაგრამ ყველაზე მეტი მღელვარება, მსჯელობა და კამათი მაინც კონკურსებთან, უპირველეს ყოვლისა, მთავრობის სახლის კონკურსთან იყო დაკავშირებული. მასში მონაწილეობდნენ არა მარტო თბილისელი ხუროთმოძღვრები, რაკი კონკურსი საკავშირო იყო. ლელვისა და დისკუსიის უმთავრეს საგანს მომავალი სასახლის მხატვრული სახე შეადგენდა. „ეროვნულობის“ პრობლემა კვლავ ცოცხალი იყო („დინამოს“ სტადიონი არჩილ ქურდიანისა სრულიად აშკარად ისახავდა ამგვარ ამოცანას. ვისაც ახსოვს, როგორი იყო სტადიონი გადაკეთება-გაფართოებამდე, ისიც ემახსოვ-

რება, რომ მისი „ქართული“ საზე ერთი უკეთეს ცდათაგანი იყო, განხორციელებული ამ ძიებათა გზაზე). კონკურსი რამდენიმე ტურად გაიმართა. ეწყობოდა საკონკურსო პროექტების გამოფენები და განხილვები. ქრელი სურათი იყო, არა მარტო შხატვრული ხარისხის, არამედ შენობის სახის გადაწყვეტის მხრივაც. ზოგი პროექტი კლასიკურ ტრადიციებს ეყრდნობოდა, ზოგი ამ „კლასიკურისა“ და აღმოსავლურს (ე. ი. ვითომ ქართულის) ნახავი იყო. ახალგაზრდა ქართველი არქიტექტორების უმეტესობა კი (ეს კონკურსი გადაიქცა მათ პირველ „შაირებულ“ გამოსვლად) დემონსტრაციულად მიმართავდა ეროვნულ ფორმებს. ამ პროექტათაგან ზოგი გარეგნულად ძალიან ეფექტური, მაგრამ არარეალური იყო (მაგალითად, ლევან ჯანელიძისა). ზოგი პროფესიულად უსუსური, მაგრამ ყურადღებას იპყრობდა მკაფიოდ გამოსახული ტენდენციით. ახლა, რა თქმა უნდა, აღარავის ახსოვს, რომ საკონკურსო პროექტთა ავტორებს შორის დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი და ვ. სიღამონ-ერისთავი იყვნენ, რომელთაც არქიტექტორებთან ერთად შეადგინეს პროექტი (მგონი, მხოლოდ ფასადებისა). „არაქართულ“ პროექტთა შორის ბევრი იყო ეკლექტიკური და ძალიან მდარე გემოვნებისა. მაგრამ ჩვენს ყველაზე დიდ აღშფოთებას იწვევდა კოკორინის პროექტის პირველი ვარიანტები. ბოლოს სასახლე მაინც მისი პროექტით აშენდა, მაგრამ ეს პროექტი საგრძნობლად განსხვავდებოდა თავდაპირველისაგან.

1934 წელს დაარსდა საქართველოს არქიტექტორთა კავშირი. პირველი ყრილობა 15 თებერვალს გაიხსნა საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში. ჩვენ, უფროსკურსელები, ცხადია, არ ვაყენდით არც ერთ სხდომას. ყრილობაზე ჯერ კიდევ აშკარად ჩანდა ვათიძეობა, დაჯგუფებები. მაგრამ არ ჩანდა, რომ ამ ჯგუფებს შორის დაპირისპილების საფუძველი პრინციპული და შემოქმედებითი ხასიათისა ყოფილიყო. იყო ზოგადი დეკლარაციები იმის შესახებ, რომ „მომავალი საბჭოთა არქიტექტურა უნდა იყოს შესაფერი და გამომხატველი ჩვენი ეპოქისა“ და სხვა, თუმცა, რა თქმა უნდა, რაიმე გარკვეული რეკომენდაციები და, მით უფრო რეკეტები. არც მოსალოდნელი იყო და არც სასურველი. ერთ-ერთი საკითხი, რომელზედაც ბევრნი ლაპარაკობდნენ მწვავედ — მთავრობის სახლის კონკურსი იყო. გამოთქვამდნენ აზრს, რომ ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებდნენ ქართველ ხუროთმოძღვრებს, რომ ჩვენ პროვინციად მივაჩნევართ, და სხვ.

დიდ ინტერესს იწვევდა იმ წლებში მსოფლიო კონკურსი მოსკოვის „საბჭოების სასახლის“ პროექტის შესადგენად, საბჭოთა კავში-

რის სხვა რესპუბლიკების არქიტექტურული პრაქტიკიდან კი — ერევანის მშენებლობა, მისი მთავრობის სახლი და ოპერის შენობა. ერევანის გენერალური გეგმაც და ორივე შენობაც დააპროექტა ა. თამანიანი, არქიტექტურის აკადემიკოსმა, რომელსაც უკვე რევოლუციამდე ჰქონდა სახელი მოხვეჭილი რუსეთში. მისი ავტორიტეტი და გავლენა სომხური საბჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბების წლებში გადამწყვეტი იყო. იგი იქ ლიდერად იყო მიჩნეული და მის მიერ დასახულმა მიმართულებამ დიდი ხნით განსაზღვრა ეროვნული არქიტექტურის მომავალი განვითარება. ძნელი სათქმელია, ცუდი იყო, თუ კარგი, რომ ჩვენს არქიტექტურას არ ჰყოლია ასეთი ერთპიროვნული მეთაური. ყოველ შემთხვევაში, მაშინდელ ქართულ პრესაში („ლიტერატურულ საქართველოში“ შეხვედბოდით წერილებს, რომლებშიც გამოთქმული იყო აზრი, რომ „ჩვენთვის სამაგალითო და მისაბაძი ხდება განსაკუთრებით აკადემიკოს თამანიანის მუშაობა ქ. ერევნის გარდაქმნისათვის. ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ამ ქალაქის ხელახლა შექმნისათვის“. მაგრამ ავტორი ვერ ითვალისწინებდა, რომ ახალი ერევანი თითქმის ცარიელ ადგილზე იქმნებოდა, თბილისი კი უკვე ჩამოყალიბებული სახის ქალაქი იყო, რომლისთვისაც აუცილებლად უნდა გაეწიათ ანგარიში.

მთავრობის დადგენილებამ რუსთაველის 750 წლის იუბილეს ჩატარების შესახებ, რომელიც ზემოთ არაერთხელ ვახსენე, ქართული შემოქმედებითი საზოგადოების ყველა ფენა აამოძრავა. ეს მხოლოდ პატრიოტული რეაქცია კი არ იყო, არამედ პრაქტიკულიც, რაკი ის დადგენილება ითვალისწინებდა რეალურ ნაბიჯებს მწერლობასა და ხელოვნების ყველა დარგში: გადაწყდა თბილისში რუსთაველის ძეგლის დადგმა და გამოცხადდა ღია კონკურსი; გამოცხადდა კონკურსები შოთას სახელთან დაკავშირებული პიესის, მუსიკალური ნაწარმოების, ოპერის დასაწერად, რუსთაველის პორტრეტის დასახატავად, კინოფილმ „ვეფხისტყაოსნის“ სცენარიის შესადგენად. პრემიების თანხა ღალი იყო — ოპერისთვის პირველი პრემია 40 000 მანეთი, კინოსცენარისთვის — 30 000 (კოტე ჯავრიშვილმა, რომელსაც არ ელგოდა ხუმრობის სურვალი, შემომთავაზა, მოდი, დავწეროთ პიესა და ვანეცხადოთ, რომ თანახმა ვართ მესამე პრემიისა, ოღონდ იმ პირობით, თუ აუცილებლად მოგვცემენო). ზემოთ უკვე ვთქვი, რომ მაშინვე დაიწყო სამზადისი ახალი აკადემიური გამოცემისა და სხვა

ენებზე პოემის თარგმნისათვის, ამასთან დაკავშირებით მხატვრებს მიეცათ დავალება ახალი ილუსტრაციები შეესრულებინათ (კონსტანტინე ჭიჭინაძისეული გამოცემა გუდიაშვილის ილუსტრაციებითაა წინ უსწრებდა სხვებს — 1934 წელს მიეკუთვნება) — ამის შედეგი იყო დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი სერიები სერგო ქობულაძისა (როპელიც, სამწუხაროდ, ტრეტიაკოვის გალერეის საცავებშია დამალული), თამარ აბაკელიასი, ირაკლი თოიძისა. გაზეთმა „კოლექტივიზაცია“ გამოაცხადა „შოთას სახელობის კულტლაშქრობა“ — იძახებდნენ გლეხ-მოლექსეებს, გამოაქვეყნეს პორტრეტი ერთი გლეხისა, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. იმ პირველ ცდას „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაციისას წარმატება არ მოჰყოლია: არმახსოვს, მაშინ თუ რამე მნიშვნელოვანი გაკეთდა მუსიკის დარგში... ახალ ფერწერულ პორტრეტთა შორის ბევრი სუსტი გამოვიდა, ზოგი შედარებით უკეთესი (ყველას — შინაგანი განწყობილებისა და პროფესიული დონის მხრივ — უჩა ჯაფარიძისა ჯგობდა), ძეგლის საკონკურსო პროექტებიც, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას (ეს პროექტები საქართველოს მუზეუმში იყო თავმოყრილი. ერთი პროექტის თანახმად, ძეგლის კვარცხლბეკი მაღალი მრგვალი სვეტი იყო, რომელზედაც მუხლმორთხმული შოთა იჯდა. ივანე ჯავახიშვილმა გაიღიმა და თქვა — ეს სვიმეონ მესვეტე ხომ არ არისო; თითქმის ყველა პროექტი, გარდა თვით პოეტის ფიგურისა, ითვალისწინებდა ვეფხვების ფიგურებსაც — ზოგთ ხახადაფხენილთ, ზოგთ — არა). მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიღწეულ შედეგებს კი არ ჰქონდა — არც იყო შესაძლებელი და მოსალოდნელი, რომ რუსთაველთან პირველივე შექიდება სრული წარმატებით დამთავრებულიყო: შოთას სახე ფერწერასა და ქანდაკებაში, შოთას ძეგლი, მისი პოემის აღექვატური დასურათება — ეს პრობლემები კიდევ დიდხანს იარსებებს: მთავარი და გადამწყვეტი ის იყო, რომ ამ მიმართულებით მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რომ მოისინჯა საკუთარი ძალები ურთულეს ამოცანათა ამოხსნის გზაზე. ცხოველმყოფელი იყო შექმნილი ატმოსფერო, ეროვნული შემოქმედებითი საუნჯისადმი ახლებური დამოკიდებულება. ისიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ილუსტრაციები, უპირველეს ყოვლისა, სერგო ქობულაძისა და თამარ აბაკელიასი, ახალ სიტყვას წარმოადგენდა ქართული გრაფიკის ისტორიაში. ქობულაძემ, რომელიც ამ ნახატების შესრულებისას 26—27 წლისა იყო, ბევრად უფრო გვიან მიგზობო, რომ მაშინ ერთი შეიღმეტრიანი ბნელი ოთახი ჰქონდა, რომელ-

შიც ძლივს შემობრუნდებოდა კაცი, მაგრამ მუშაობდა გატაცებულად: თავდადებით. მან მართლაც შექმნა ილუსტრაციები, რომელთაც შეიძლება შეედავო ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, — ეს გარდუვალია, როცა საქმე „ვეფხისტყაოსნის“ გრაფიკულ ხორცშესხმას ეხება, — მაგრამ რომლებიც აოცებს კაცს შესრულების ვირტუოზული ოსტატობით, ჩანაფიქრის მთლიანობით. სამწუხაროდ, ამ ვირტუოზულობას საუკეთესო რეპროდუქციებიც ვერ გადმოგვცემს. 1966 წელს, როცა რუსთაველის მეორე იუბილე გაიმართა, მე ვხელმძღვანელობდი სერატების გალერეაში მოწყობილ გამოფენას, სადაც პოემის ილუსტრაციებიც გვქონდა წარმოდგენილი, მათ შორის ქობულაძე-სეულე-ბიც. მას დიდი ხანია — ალბათ ოცი-ოცდახუთი წელი მაინც — არ ენახა თავისი ეს ნამუშევარი. ქუჩაში შემხვდა, როცა ვალაჩისკენ მიდიოდა მათ სანახავად. სერგომ, ჩვეულებრივ, ექსპანსიურად, ხმამაღლა იცოდა თავისი განცდების გამოხატვა. ახლა კი ხმას არ იღებდა, მაგრამ ვასაოცრად ღელავდა — ეშინოდა შეხვედრა თავის ახალგაზრდობისდროინდელ ნაწარმოებთან, რომელსაც დიდი სიყვარული ჩააქსოვა და რომელსაც თავის დროზე დიდი გამოძახილი ჰქონდა... მერე კი — რა ბედნიერი იყო! ვერ ფარავდა სიხარულს. ისიც მითხრა, რომ მცოდნოდა, ეს გამოფენა ასეთი კარგი გამოვიდოდა, ახალ ნამუშევრებსაც დანამთავრებდიო.

დიდად სასარგებლო და ხელშესახები შედეგები მოჰყვა საიუბილეო სამზადისს სამეცნიერო-კვლევითს სფეროში. აქ აღარაფერს ვიტყვი თვით „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის შესახებ, ეს სცილდება კიდევ ჩემს კომპეტენციას. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მუშაობას ნივთიერი კულტურის ძეგლთა შესწავლისათვის, რომელიც იმ წლებში ჩატარდა და რომლის უშუალო მიზანი იყო მასალის მოგროვება დიდი გამოფენისათვის XI—XII საუკუნეების ქართული კულტურის შესახებ. ამ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგა სათავეში, მის გარშემო კი შემოიკრიბნენ მისი კოლეგები და ახალგაზრდობა — არქეოლოგები, ისტორიკოსები, ხუროთმოძღვრები. განსაკუთრებით აქტიურ როლს, როგორც კონსულტანტი, თამაშობდა გიორგი ჩუბინაშვილი. საკმარისია მხოლოდ ჩამოვთვალოთ, რაც მაშინ ვაკეთდა: მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია ბოლნისში, სადაც გაიწმინდა და გაითხარა სიონის ტერიტორია. აღმოჩნდა, ბევრ სხვა ფრაგმენტთან ერთად, დამატარილებელი წარწერა, რომელშიც ირანის მეფე პეროზია ნახსენები; მოეწყო ექსპედიცია დმანისში — გაითხარა ნაქალაქარი (ორივე ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ლევან

მუსხელიშვილი, დიდად განათლებული ისტორიკოსი და არქეოლოგი, რუსთაველის მუზეუმში ივანე ჯავახიშვილის უპირველესი თანაშემწე და მარჯვენა ხელი, რომელიც 1942 წელს გარდაიცვალა ორმოცდობრი წლისა). შედეგები: ლევან მუსხელიშვილის ორი გამოკვლევა — „ბოლნისი“ და „დმანისი“, გიორგი ჩუბინაშვილის მონოგრაფია „ბოლნისი“, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანთაგანი მის ნაშრომთა შორის; შესწავლილ იქნა სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი (გათბრას ხელმძღვანელობდა შალვა ხიდაშელი), დაიწყო გეგუთის სასახლის გათბრა, გაიხონა ბესლეთის ხიდი... დაიწყო ძველი ქართული კოსტუმის მეთოდური შესწავლა და ამ მიზნით შესრულდა ფრესკებისა და მინიატურების პირები...

მთელი ეს მუშაობა, რომელიც გატაცებით, აღფრთოვანებით წარმოებდა, თვით გამოფენის სამზადისი, მით უფრო მხვდებოდა გულს. რომ მის მონაწილეთა შორის ჩვენი ამხანაგებიც ერივნენ — ნიკო ჩუბინაშვილი, ლეო რჩეულიშვილი, ცილა გაბაშვილი, შალვა ხიდაშელი, რომელსაც ჯერ კიდევ სკოლიდან ვიცნობდი (სამი ჯგუფით იყო ჩემზე წინ), შაქრო მაისურაძე, სხვებიც. ამას დაემატა ლექციების ციკლი, რომელსაც კითხულობდნენ ივანე ჯავახიშვილი და გიორგი ჩუბინაშვილი (ჩუბინაშვილმა ჯერ კიდევ 1933 წელს წაიკითხა რამდენიმე ლექცია ჩვენი ინსტიტუტის ლექტორებისა და ასისტენტ-ასპირანტებისთვის — ქართული ხელოვნების ისტორიიდან. „დაწინაურებული“ სტუდენტებიც ვესწრებოდით). ამ ლექციებს მით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ის წიგნები, რომლებშიც წმდგომში მათი მონათბრობი შევიდა. რუსთაველის საიუბილეო გამოფენა 1937 წელს გაიმართა, სოლო მანამდის, 1935 წლის მაისში, როცა მე უკანასკნელ კურსზე ვიყავი, საქართველოს მუზეუმის შენობაში (პირველ სართულზე, მარჯვენა დარბაზებში) გაიხსნა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა, რომლის მომწყობი და ხელმძღვანელი გიორგი ჩუბინაშვილი იყო. დაიბეჭდა გამოფენის ვზისმკვლევაც, ასევე, 32-გვერდიანი ბუკლეტი. რომელიც მოცემულია გამოფენილი ექსპონატების სია ძეგლების თარიღებითურთ. გამოფენის ორგანიზატორები აყვნენ არქიტექტორთა კავშირი და ხელოვნების მუზეუმი, რომელსაც მაშინ „მეტეხი“ ეწოდებოდა. გადაუჭარბებლად შემოიძლია ვთქვა, რომ გამოფენაც და ვზისმკვლევაც ნამდვილი ნოვლენა იყო ქართული ხელოვნების მეცნიერული შესწავლის დარგში, მოვლენა იყო ჩვენს ცხოვრებაში. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა ერთხელ ადრეც მოაწყო ექვთიმე თაყაი-

შვილმა, მაგრამ ახლა შეუდარებლად მეტი ძეგლი იყო წარმოდგენილი და ექსპოზიცია ჩვენი შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების უმთავრეს საფუძვრებს მოიცავდა. არსებითად, ამ გამოფენისა და მისი კატალოგის წყალობით ჩვენ თვალწინ პირველად გადაიშალა ეროვნული არქიტექტურის განვითარების ისტორიული ეტაპები, მისი მთლიანი სახე, სიმდიდრე და თავისებურება... მაშინ ხომ ჯერ კიდევ არ იყო გამოხული ჩუბინაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორიის“ I ტომი და არც მისივე „ქართული არქიტექტურის გზები“. ჩვენ ველარ ვცილდებოდით იმ გამოფენას, თითქოს ერთბაშად ვიგრძენით ფეხქვეშ მკვიდრი საფუძველი... ცოტა წინ გავუსწრებ მოვლენებს: ხსენებული „ქართული არქიტექტურის გზები“ იყო მოხსენება, რომელიც ჩუბინაშვილმა წაიკითხა საქართველოს არქიტექტორთა ყრილობაზე 1936 წლის 21 თებერვალს, ხელოვნების მუშაკთა სახლის დარბაზში. დიდხანს კითხულობდა, სამ საათს მაინც (მოკლე მოხსენებების კითხვა საერთოდ არ იცოდა). გვიჩვენებდა დიაპოზიტივებს (ცხადია, შავ-თეთრს, მაშინ ფერადი სლაიდები არ გვქონდა). კითხულობდა ტემპერამენტით, შინაგანი დაძაბულობით, ნერვით... ჩემი სიცოცხლის მანძილზე იშვიათად განმიცდია ასეთი ამაღელვებელი წუთები... ის, რაც მანამდის გამოფენაზე ვნახეთ, აქ თითქოს გაცოცხლდა, ამაღლდა, კიდევ უფრო მეტი სილამაზითა და სიღრმით აივსო... როცა გელათის ანსამბლი გამოჩნდა ეკრანზე, მღელვარებამ მწვერვალს მიაღწია... რა თქმა უნდა, ამ მღელვარებას კიდევ უფრო აღვივებდა პატრიოტული სიამაყის გრძნობაც, სავსებით გამართლებული და გადაუჭარბებელი...

ოცდაათიან წლებში ჩვენი ინტერესების თავისებური გამოვლინება იყო ერთი კეთილი წამოწყება, რომელიც მაშინ, სამწუხაროდ, უშედეგოდ დამთავრდა, და რომლის ხორცშესხმა, უკვე სხვა ორგანიზაციულ საფუძველზე, გაცილებით უფრო გვიან დაიწყო.

საქმე ეხებოდა ძველ თბილისს, ჩემი და ყველა ჩემი მეგობრის სიყვარულის საგანს. ეს 1933 წლის მაისში იყო. ერთ დღეს ჩვენი პედაგოგი ალექსანდრე ნიკოლაიშვილი — ქალაქთგვეგმარების სპეციალისტი, ლეო რჩეულიშვილი, ბეჟან ლორთქიფანიძე, ლონგო სუმბაძე და მე სწორედ ძველ თბილისზე ვსაუბრობდით და ამ საუბარში ასეთი აზრი დაიბადა: ძველი თბილისი ინგრევა და მალე მისგან აღარაფერი დარჩება; ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობა განსაკუთრებით დააჩქარებს მისი განადგურების პროცესს. თუ ძველი თბილისი შესწავლილი არ იქნა და რაიმე სახით არ მოხდა მისი ფიქსაცია, ისტორიისათვის იგი სრულიად დაიკარგება. ჩვენ ყველას გვაქვს მუშაობის

სურვილი. ჩვენ ვიკისრებთ ძველი თბილისის აღწერა-აღწერას — ეს პრაქტიკული ნაბიჯი იქნება ამ მიმართულებით. მუშაობა მაშინ ასეთი სახით წარმოგვიდგა: ძველი თბილისის გეგმის შედგენა და მისი შესწავლა ქალაქთმშენებლობისა და ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით. ტიპური კვარტალების, ქუჩებისა და მოედნების კვლევა, დამახასიათებელ შენობათა აზომვა და ნახაზების შესრულება. შემდეგ ამ მასალის გამოცემა დიდი ალბომის სახით, სათანადო ტექსტის დართვით. უნდა გაცეთებულიყო შენობათა გრაფიკული რესტავრაცია, და სხვა და სხვა.

ამ აზრმა დიდად გაგვიტაცა, გადაწყდა, რომ საქმეს სათავეში ჩაუდგებოდა ქალაქთგეგმარების კათედრა და მოიწვევდა დაინტერესებულ ორგანიზაციებსაც. მე მამას ვუამბე ამის შესახებ, ის ელაპარაკა გ. ჩუბინაშვილსა და დ. შვედარდნაძეს, ჩვენ კი გვირჩია შეგვედგინა ტექსტი მოხსენებითი ბარათით. შემდეგ განათლების კომისარიატში მოწვეული იქნება სამეცნიერო სექტორის კრება და საბოლოოდ გამოირკვევა, რა მიმართულება და მასშტაბი მიეცემა ამ საქმესო.

ეს კრება მართლაც სულ მალე, იმავე თვეში მოეწყო ხსენებული სამეცნიერო სექტორის მდივან ხარლამპი ღლონტთან. ინიციატორთა და ღლონტის გარდა, მამაც ესწრებოდა. ეს წინასწარი და არაოფიციალური სხდომა იყო, რომელმაც მოისმინა ღლონტისა და ჩემ მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი. გადაწყდა დაარსებულიყო მუდმივი კაბინეტი, რომელსაც დაერქმეოდა „საქართველოს ქალაქთმშენებლობის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-საკვლევო კაბინეტი სამშენებლო ინსტიტუტის ქალაქთგეგმარების კათედრასთან“. კონსულტანტებად ივარაუდებოდნენ გიორგი ჩუბინაშვილი და ნიკო ბერძენიშვილი. ხარლამპი ღლონტმაც და მამამაც ეჭვი გამოთქვეს, ამ საქმეში შეიძლება ბევრმა კონკურენტმა წამოჰყოს თავი და მოისურვოს საქმის ხელში ჩაგდება. ამიტომ აუცილებელია ჩვენი კოლექტივის მტკიცე ორგანიზაცია, მას უნდა მიეცეს იურიდიული სახე და გატარდეს სამეცნიერო სექტორის რეგისტრაციაში, როგორც სრულუფლებიანი სამეცნიერო ერთეულიო.

შემდეგ კრებას ოთხ ივნისს ჩუბინაშვილიც დაესწრო. მე წავიკითხე კაბინეტის დებულება — თითქმის უცვლელად მიიღეს. ჩვენ აღგზნებულნი ვიყავით სიხარულით, მაგრამ ჩვენზე არანაკლებ გახარებული, მართლაც აღფრთოვანებული იყო ხარლამპი ღლონტი, რომელმაც უკვე მაშინ შესწირა ჯერ კიდევ არარსებულ კაბინეტს ერთი წიგნი — Старый Воронеж.

მამასა და ღლონტის წინასწარმეტყველება გამართლდა — ჩვენს „კაბინეტს“ კონკურენტებიც აღმოუჩნდნენ და მოწინააღმდეგეებიც, სამწუხაროდ, უპირველეს ყოვლისა, თვით სამშენებლო ინსტიტუტში (სხვა კათედრებსაც ვაუჩნდათ ამბიციები). ბრძოლა „საკუთარ სახლში“ ძნელი იყო; ალექსანდრე ნიკოლაიშვილი, დიდად ინტელიგენტი და მცოდნე კაცი, მეტისმეტად მოკრძალებული, თავმდაბალი და გულუბრყვილო, ხომ სულ არ იყო მებრძოლი. და ეს კარგი საქმე, რომელიც დღესაც აქტუალურია, მაშინ დასაწყისშივე ჩაკედა (აქვე არ შემოძლია დიდი გულისტკივილით არ ვთქვა, რომ ნიკოლაიშვილის ღვაწლი ჩვენ ვერ დავაფასეთ: არსებითად, ის იყო ქალაქთგეგმარების დარგში პირველი მასწავლებელი და პიონერი, ბევრი რამ სასარგებლო გააკეთა და იმე წავიდა, უკვე 75 წელს გადაცილებული, რომ სიცოცხლეში ხმამაღლა თქმული მადლობის სიტყვა არ მოუხმენია).

რახან ხარლამში ღლონტი ვახსენე, არ შემოძლია მის შესახებ ორი-ოდე სიტყვა არა ვთქვა. უსამართლობად მიმაჩნია, რომ ამ კაცს ჩვენი საზოგადოება დღეს ძალიან ნაკლებად იცნობს, ახალგაზრდობას კი მისი სახელი საერთოდ არ გაუგონია. 1980 წელს გაზეთ „თბილისში“ წასწმენიერი წერილი უძღვნა აკადემიკოსმა ლეო გაბუნიაშვილმა, შემდეგ კიდევ შემხვდა ერთი მოგონება მის შესახებ. ეს არის და ეს. ხარლამში ღლონტი კი სრულიად უჩვეულო ბიოგრაფიის მქონე კაცი იყო, საკვირველი აღმამანი. ალბათ ერთი ყველაზე საკვირველთაგანი იმით შორის, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი და ვიცნობ. იგი ოდესის უნივერსიტეტიდან, სადაც საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა, გარიცხეს სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის; გაემგზავრა პარიზს, ისმენდა ცნობილი მეცნიერების ლექციებს, დაუახლოვდა იმხანად იქ მცხოვრებ ქართველ მოღვაწეებს. კვლავ ოდესის უნივერსიტეტს დაუბრუნდა; თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მეგობრობდა შიო ჩიტაძეს, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში, აქვეყნებდა წერილებს საშუალო განათლების რეფორმის შესახებ, აარსებდა გამოცემლობას, ჟურნალებს, კითხულობდა საჯარო ლექციებს. 1906 წელს, გინაზიის დარბევისა და ჩიტაძის მოკვლის დროს მძიმედ დაჭრილს აპატიმრებენ, შემდეგ სამუშაოდ გადადის ბაქოში, მაგრამ მისი საზოგადოებრივი აქტივობა იქაც ეჭვს იწვევს, გადაჰყავთ ვორონეჟში, სადაც მას რევოლუციამ მოუხსწრო. იქ იგი სულ მალე გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ფიგურად კულტურის ფრონტზე — იყო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი, გუბერნიის პროფგანათლების განყოფილების გამგე, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, შიმშილთან ბრძოლის კო-

მისი ხელმძღვანელი; მისი ინიციატივით არსდება სხვადასხვა კვრ-
სები, მეზეუმი, მონაწილეობს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამო-
ფენის მოწყობაში. საქმე იმით თავდება, რომ მისი სახელი ერქმევა
ეთრონების საწარმო-ეკონომიკურ ტექნიკუმს (ეს ყველაფერი ლეო
გაბუნიას წერილში ამოვიკითხე). საქართველოში დაბრუნების შემდეგ
(1925 წელს) მისი მოღვაწეობა ასევე მრავალფეროვანია: განათლების
სახალსო კომისარიატი, გამომცემლობა, სამეცნიერო ინსტიტუტები, მის
მიერვე ჩამოყალიბებული პოლიტექნიკური მეზეუმი, სხვადასხვა სა-
მეცნიერო და პედაგოგიკური კომისია — აი მისი მუშაობის ასპარეზი.
ხელმძღვანელობს და აყალიბებს ბიოლოგიურ დაწესებულებებსა და
სადღურებს, მონაწილეობს უამრავი გამოფენის მოწყობაში, წერს
მთავრობის სახელზე მოხსენებებით ბარათებს სულ სხვადასხვა საკითხზე,
იმიტომ, რომ უსაზღვროდ აინტერესებს და აღელვებს ყველაფერი,
რაც კი საქართველოს, მისი კულტურის წინსვლასა და სიკეთეს ემსა-
ხურება. განათლების კომისარიატის სამეცნიერო სექტორში მუშაობამ
ხ. ლონტი დაახლოვა ჰუმანიტარულ სფეროსთან, ჩვენს მეზეუმებ-
თან, საქართველოს წარსულის კვლევის საკითხებთან.

მამა მას კარგად იცნობდა — მეგობრები იყვნენ. მეც მამამ გამაც-
ნო. ჯერ ხომ იმ ჩვენი „კაბინეტის“ გამო ვხვდებოდი, 1937 წელს კი,
როცა რუსთაველის საიუბილეო გამოფენა ეწყობოდა, სულ იქ ტრია-
ლებდა. ხშირად ვხვდებოდი „მეტესშიც“. მაშინ სამოცი წლისა არც
იყო, მაგრამ მეტისა ჩანდა. მისი გარეგნობა აუცილებლად მიიპყრობ-
და ყურადღებას. პირველად რომ ვნახე, არც კი მეგონა, თუ ვისმე მი-
ეკარებოდა და ხმას გასცემდა. მუდამ ჩაფიქრებული დადიოდა, ბეჭებ-
ში ოდნავ მოხრილი და თავჩაღუნული, თითქოს გარეშე სამყარო არც
კი არსებობდა მისთვის. ჰალარა წვერი და თეთრი, დაბურული, მრის-
ხანე წარბები ჰქონდა, თვალები კი შავი და ნაღვლიანი. შეხვედრისას
ოდნავ დაგიკრავდა თავს, არც გაიღიმებდა, არც შემოგხედავდა. ნამ-
დვილად კი ეს ჩუმი და გულჩათხრობილი ადამიანი ვასაოცრად გულ-
მხურვალე იყო, ადამიანთა ბედ-იღბლით დაინტერესებული (რასაც მისი
ბიოგრაფიაც მოწმობს), ენთუზიასტი, იდეალისტი და ოპტიმისტი. გან-
საკუთრებით განიცდიდა ყოველ წინ წადგმულ ნაბიჯს, თუნდაც მცი-
რეს; ბავშვივით უხაროდა და ამ დროს რომ გენახა, თითქოს სხვა ადა-
მიანი იყო — მისი უღრანი წარბების სიღრმიდან თითქოს შუქი ანა-
თებდა, მკლავში წაგავლებდა ხელს, მიგიზიდავდა, მიდიოდა, თან მი-
გათრევდა, აღტაცებული გაიბოზბდა, ან გისმენდა: სადღაც ახალი ინ-
სტიტუტი იხსნება, სადღაც ახალი მეზეუმი, ვიღაც ახალგაზრდამ შე-

სანიშნავი გამოკვლევა დაწერა, ვილაცამ ბრწყინვალე პროექტი შეადგინა... რაც უნდა იყოს, მაინც წინ მივდივართ, უწინ ზომ თითქმის არაფერი არ გაგვაჩნდა. სულ ახალი იდეები და პროექტები უტრიალებდა თავში. საიუბილეო მზადების დღეებში მხატვრებს უჩიჩინებდა — იუბილეს დღეებისთვის რუსთაველის პროსპექტი ერთიანად გამოფენად უნდა აქციოთო — მაღაზიების ვიტრინებში სურათები, ფოტოგრაფიები, პოემის გამოცემები უნდა გამოიფინოს, ამონაწერებითა და ჩუქურთმებით მოირთოსო. მუზეუმში დიდი-დიდი ათასი კაცი მოვიდეს, აქ კი მთელი ქალაქი ნახავსო... თანხმობის ნიშნად თავს უქნევდნენ, მაგრამ ასეთი არაფერი გაუკეთებიათ.

შეიძლება მისი ინტერესების მეტისმეტი სიფართოვის გამოც იყო, რომ მთელი ძალა ერთი მიმართულებით ვერ წარმართა და ბევრი მისი მშვენიერი იდეა ხორცშეხსნელი დარჩა.

ცხოვრების ბოლო წლებში როგორღაც გაირიყა. მე მას ვეღარ ვხვდებოდი. არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ მან თავისი სურვილით არჩია შიომღვიმის მონასტრის მეთვალყურეობა, იქ დასახლდა განდევნილი და, რა თქმა უნდა, მძიმე პირობებში ცხოვრობდა. და მაინც, თურმე იქაც ვერ ისვენებდა და ცდილობდა მონასტრის ახლომახლო ხეხილის რომელიღაც იშვიათი ჭიშები გაეხარებინა — ბოლომდე არ უღალატა თავის თავს. ეტყობა, შინაური პატრონი არავინ გამოუჩნდა. ისე გარდაიცვალა, რომ პრესაში მის შესახებ ერთი სტრიქონი არსად დაბეჭდილა. ხარლამპი დღონტი კი დიდი პატრიოტი და დიდი მოქალაქე იყო.

ინსტიტუტს, იქაურ წრესა და ახალ მეგობრებს ჩემთვის ხელი არ შეუშლიათ, რომ სკოლის მეგობარ-ამხანაგებთან შემენარჩუნებინა სიახლოვე. უფრო მეტიც, ჩვენი ძველი მეგობრობა იმ წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა და გაღრმავდა, თითქოს უფრო შეგნებული და გააზრებული გახდა. ჩემს ჯგუფელებს სკოლა ჩემზე ერთი წლით გვიან უნდა დაემთავრებინათ, რაკი მაშინ მეათე კლასი შემოიღეს. მაგრამ რატომღაც შემოდგომაზე მეათე კლასების მეცადინეობა შეწყვიტეს და ჩემი ჯგუფი (ისევე როგორც მისი პარალელური) უკვე ნოემბერში გამოუშვეს. სკოლის დამთავრების დღედ ჩემმა ამხანაგებმა 11 ნოემბერი დაადგინეს. დავთქვით, რომ ამ დღეს ყოველწლიურად შევიკრიბებოდით, „თერთმეტნოემბრობა“ ჩვენს საკუთარ დღესასწაულად იქ-

ცა რამდენიმე წლის მანძილზე. ოცი ან მეტი კაცი მაინც გროვდებოდა და ძალიან მხიარულად ვატარებდით დროს.

1932 წლის შემოდგომა იყო, როცა კოტე ჯავრიშვილის ინიციატივით ძველმა ამხანაგებმა დაეაარსეთ ეგრეთ წოდებული „ხელოვნებისა და მეცნიერების წრე“ — ზემოთ ეს უკვე ვთქვი. მიზანი ის იყო, რომ დროდადრო შეგკრებილიყავით და წაგვეკითხა მოხსენებები სხვადასხვა საკითხზე — საკითხები მწერლობასა და ტექნიკასაც ეხებოდა. სულ შვიდნი ვიყავით — კოტე ჯავრიშვილი, გოგი ლომთათიძე, ეკა გოგიჩაიშვილი და კოტიკო ჭიჭინაძე (ეს ოთხნი უკვე აღარ არიან), გიორგი ჭოდოშვილი, რომელსაც შინაურობაში კინოს ვეძახდით, იური ეაჩნაძე და მე. ჩვენს სხდომებს სხვა არავინ ესწრებოდა. თავმჯდომარე არ გვყავდა, მდივანი კი, რა თქმა უნდა, კვლავ კოტე იყო. ის წერდა ოქმებს და აწარმოებდა „საქმეს“. ვიკრიბებოდით უმეტესად ეკასთან ან ჩემთან (ეკა — ფილიპე გოგიჩაიშვილის უმცროსი ქალიშვილი და — დედის მხრივ — ილია ჭავჭავაძის თანამოღვაწის ნიკოლოზ ცხვედაძის შვილიშვილი, ცხოვრობდა ამჟამად ჯავახიშვილის სახელის მატარებელ ქუჩაზე. ცალკე მყუდრო ოთახი ჰქონდა. ეკას მშობლებისა და დებისაგან ბევრი ყურადღება და სიბო მახსოვს, ძალიან გვიყვარდა იმათთან სტუმრობა). ჩვენ სრული სერიოზულობით მოვეკიდეთ ჩვენს „შინაურ აკადემიას“. არც ერთი ჩვენგანი არ იზღუდებოდა ერთი დარგით, მით უფრო, იმ დარგით, რომელსაც უმაღლეს სკოლაში სწავლობდა. კინო ჭოდოშვილმა, მაგალითად, ერთი ფრიად ვრცელი მოხსენება უძღვნა კოსმოგონიურ ჰიპოთეზებს, მეორე — ვაგნერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (კინო მოსკოვში სწავლობდა, მაგრამ არ იზარებდა მოხსენებების ტექსტის გამოგზავნას. რა თქმა უნდა, გაცხოველებული მიწერ-მოწერაც გვქონდა); ჩემი ორი თემა „ხუროთმოძღვრული“ იყო — „როგორ შენდება სახლი“, „არქიტექტურულ სტილთა განვითარება“, ერთი — ლიტერატურული: ემილ ზოლას ცხოვრება და შემოქმედება... გოგიმ, როგორც გეოლოგმა, ერთხელ თემად აირჩია „დედამიწის ასაკი“, მეორედ გოლზუორთის შემოქმედება, კოტემ — „გეოლოგიის ადგილი მეცნიერებაში“; იურიმ წაგვიკითხა „პიერ დე ფერმას დიდი თეორემა“ (ფერმა XVII საუკუნის ფრანგი მათემატიკოსი იყო, ანალიზური გეომეტრიისა და რიცხვთა თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი. ცხადია, მისი თეორემისა არც არაფერი მახსოვს და არც რა გამეგება — ისიც არ მაგონდება, მაშინ გავიგეთ თუ არა, რაც იურიმ წაგვიკითხა). ყველა მოხსენების ტექსტი დაწერილი გვქონდა...

ჩვენმა „ხ. მ. წ.“-მ რამდენიმე წელიწადი იარსება და ყველას კეთილ-
მოსაგონრად დაგვრჩა.

მაგრამ ჩვენი აქტივობა ამითაც არ იფარგლებოდა. კოტე, გოგი და
მე ვცდილობდით ნელ-ნელა დავახლოებოდით მწერლობასა და თვით
მწერლებს, იმავე დროს, კვლავ გატაცებულნი ვიყავით თეატრით, გან-
საკუთრებით მარჯანიშვილის თეატრით, და მღელვარედ განვიციდიდით
მის ყოველ წარმატებასა და მარცხს, თვით მარჯანიშვილის გარდაცვა-
ლების შემდეგ.

ყველაზე რეალური ნაბიჯები კოტე ჯავრიშვილმა გადადგა: უკვე
1933 წლიდან მან დაიწყო თანამშრომლობა „ზარია ვოსტოკას“ სალა-
მოს გამოშვებაში, ბეჭდავდა რეცენზიებს, ქართული მოთხრობების
თარგმანებს, აქვეყნებდა სტატიებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიც.
გოგი, რამდენადაც მახსოვს, დოს-პასოსს თარგმნიდა ინგლისურიდან.

ჩემი ლიტერატურული ინტერესებისა და ოცნებების გაღვივებას
დიდად უწყობდა ხელს გივი გაჩეჩილაძესთან დამეგობრება 1932 წლის
ზაფხულში (ის ზაფხული ერთად გავატარეთ სურამში). იმის შემდეგ
ძალიან ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, გაუთავებლად ვსაუბრობ-
დით პოეზიაზე, მწერლებზე, ერთად ყოფნის მოთხოვნილება გვქონდა,
თუშკა ერთმანეთისაგან სრულიად (დიამეტრულად!) განსხვავებულნი
ვიყავით. თვრამეტი-ოცი წლის გივი პოეტური და რომანტიკული ბუ-
ნების ჭაბუკი იყო, უყვარდა ბაირონი, ბოდლერი, ვერლენი, რემბო,
გალაქტიონი, არ უყვარდა რეალისტები და არც პროზა... მისი წლოვა-
ნებისთვის ბუნებრივი იყო, რომ მას მათი არა მარტო შემოქმედება
მოსწონდა, არამედ მათი ლოთფოთური, ბოჰემური ცხოვრებაც, მძაფ-
რი განცდები — აღფრთოვანებიდან სასოწარკვეთილებამდე, ცხოვრე-
ბის ნორმების აბუჩად აგდება, მორალის ფეხქვეშ გათელვა და, რო-
გორც კონტრასტი — უსრულესი ჭენტლმენობა... ის უცხო გრძნობა,
როცა ხედავ, რომ ქვეყანას შენ ვერ გაუგებარ და ამიტომ შენი ეში-
ნია, შენ კი არაფრად აგდებ მას... ხანდახან ასირებულ გუნებაზე დგე-
ბადა და ამბობდა, ხუთ წუთში შემიძლია დაწვირო ლექსიც, პროზაც
და სამეცნიერო გამოკვლევაც, არაფრად არ მიღირს არც ერთი მათგა-
ნი, მაგრამ არც ერთს არავითარი ფასი არა აქვსო. მაგრამ ეს, ცხადია,
მხოლოდ სიტყვები იყო, ცოტა „თამაშიც“ — ნამდვილად გივი სულ
არ იყო თავზეხელაღებული, მხოლოდ ემოციებისა და გატაცების კაცი
იყო და, რა თქმა უნდა, პოეზიას მისთვის დიდზე დიდი ფასი ჰქონდა.
თვითონაც კარგ ლექსებს წერდა, უკვე მაშინ მშვენივრად თარგმნიდა
რუსულსა და ინგლისურ პოეზიას და თარგმანებს ხშირად ბეჭდავდა

კედეც. გივიმვე გამაცნო გიორგი შატერაშვილი და გრიგოლ აბაშიძე, რომელთაც იმ ხანებში, აგრეთვე ხშირად ვხვდებოდი. კარგად მახსოვს, რომ ერთხელ გრიგოლმა ქალაქის ერთ-ერთ ბაღში წამოკითხა თავისი ახლად დაწერილი პოემა „გიორგი VI“ — მე ერთადერთი მსმენელი ვიყავი. შემდეგ გრიგოლს დაეუახლოვდი და დავემეგობრდი. იმავე დროს, მოვუხშირე მწერალთა კავშირში სიარულსაც. ვესწრებოდი დისკუტებს, ზოგჯერ დღისითაც მივდიოდი — თვით მწერლები მაგნიტივით მიზიდავდნენ..

მაჩაბლის ქუჩაზე, დავით სარაჯიშვილისეულ სახლში, რომელიც თბილისის ერთ-ერთ ყველაზე მიმხიდველ კულტურულ კერად იქცა, შეხვდებოდი შალვა დადიანს, ალექსანდრე აბაშელს, მიხეილ ჯანაშიაშვილს, ნიკო ლორთქიფანიძეს, ლეო ქიაჩელს, გერონტი ქიქოძეს. გალაკტიონ ტაბიძეს, იოსებ გრიშაშვილს, კონსტანტინე ქიქინაძეს. კონსტანტინე გამსახურდიას, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, ვახტანგ კოტეტიშვილს, გიორგი ლეონიძეს. სანდრო შანშიაშვილს, ალექსანდრე ქუთათელს, სერგო კლდიაშვილს. სიკო ფაშალიშვილს, ხარითონ ვარდოშვილს, დემნა შენგელაიას, ჯავით კასრაძეს, დავით გაჩეჩილაძეს, ნიკოლოზ ჩაჩავას, მარიჯანს, ილო მოსაშვილს, ლევან ასათიანს, ბესარიონ ჟღენტს, სიმონ ჩიქოვანს, ირაკლი აბაშიძეს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, კარლო კალაძეს, ალიო მაშაშვილს (მირცხულავას), სხვა ახალგაზრდა პოეტებს, პროზაიკოსებს, ჩემს ტოლებს, რომლებიც ახლახან მოვიხსენიე. ზოგს მინასკან ეიცნობდი, ზოგი ახლად გავიცანი. იმავეითვე განსაკუთრებით მიყვარდა მყუდრო სარკეებიანი დარბაზი მოვარაყებულ ჩარჩოებში გიგო გაბაშვილისეული პორტრეტებით და, მგონი, კიდევ უფრო მეტად, მწვენიერი პატარა ბაღი — ეს იყო მწერლების ინტიმური საუბრებისა და „საკულუარო“ დისკუსიების ადგილი.

მაგონდება მღელვარე დისკუტი 1934 წლის მარტში მარჯანიშვილის თეატრში „ნინოშვილის გურიის“ დადგმის გამო. იქაურობა გაქედილი იყო მწერლებითა და მსახიობებით, ესწრებოდა „გარემე საზოგადოებას“ (როგორც აღნიშნავდნენ ხოლმე ძველად ოქმებში). რა თქმა უნდა, სიტყვების შინაარსი არ მახსოვს, გარდა ცალკეული აზრისა. ბესარიონ ჟღენტი ამბობდა, „გადამწყვეტი მნიშვნელობა სპექტაკლის შეფასებაში ჩვენთვის აქვს იმას, თუ მიიღებს მას აუდიტორია, ფართო მასა... თუ სპექტაკლი იზიდავს მასას, რასაკვირველია, არა წერაღებურ-ეჭუაზიული იაფფასიანი ეფექტებით, მაშინ იგი გამარჯვებულია. „ნინოშვილის გურიას“ კი დიდი რაოდენობით ეტანება არა

მარტო ჩვენი ახალგაზრდობა, სტუდენტობა, არა მარტო მშრომელი ინტელიგენცია, არამედ თვით ქარხნის მუშებიცო“. ვილაცამ თქვა, მასობრივ სცენას აკლია რეჟისორის მტკიცე ხელიო, ზოგმა კი — „არ არის კარგი, რომ ამ წარმოდგენის დროს მაყურებლები ტირიანო, ეს მსახიობთა ნიჭის მაჩვენებელია, მაგრამ ამგვარი მეთოდი (?) კი მიუღებელია“. შალვა დადიანმა ილაპარაკა, თუ როგორ მუშაობდა ინსცენირებაზე და იმით დაამთავრა, რომ ნება ითხოვა, მუხლს მოვიდრეკინინოშვილის წინაშეო. მუხლი, ცხადია, არ მოუდრეკია, მაგრამ მისი პორტრეტის მიმართულებით დახარა თავი.

იმ საღამოს ჩემთვის თვით დისპუტზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი ის იყო, რომ შინ ვბრუნდებოდი ლეო ქიაჩელთან, ნიკო ლორთქიფანიძესა და შალვა დადიანთან ერთად. ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს ამ სახელოვან საზოგადოებაში, მაგრამ ვერც ვცილდებოდი მათ. შალვა დადიანი კმაყოფილი იყო და ღიმილი არ შორდებოდა სახიდან (თუმცა, მგონი, არც არასოდეს მინახავს გაუღიმარი), ლეო ქიაჩელი, ჩვეულებისამებრ, დინჯად ლაპარაკობდა, თითქოს ხმამალა ფიქრობდა... ნიკო ლორთქიფანიძე, როგორც ყოველთვის, თავადერილი მოდიოდა, ჩუმად, დიდი ნაბიჯებით (მაღალი იყო), შორს იყურებოდა ფიქრებში წასული, გეგონებოდა, გარშემო ვერაფერს ამჩნევსო (ასეთი იყო ყოველთვის).

— ის რა უცნაური აზრი მოუვიდათ, ტირილი არ ვარგაო, — თქვა ლეო ქიაჩელმა... — არაა, მე მგონია, ეს სწორი (საუბრისას ყოველ გამოთქმულ აზრს მუდამ თან ატანდა — „მე მგონია“, „ჩემი აზრით“, „თქვენ რას იტყვით?“).

— რასაკვირველია, არაა სწორი, — ჩაუბრუნა შალვა დადიანმა, — თუკი მსახიობი კარგად თამაშობს, რა უშავს, მაყურებელმა რომ იტიროს?

და უცებ მოისმა ნიკო ლორთქიფანიძის ხმა:

— ოტირე, შე ცივანო, ვიცილია ბილეთი, დაჯექი და იტირე!

ჩვენ სიცილი აგვიტყდა, ნიკოს კი სახეც არ შეცვლია. შემდეგ ქიაჩელმა განაგრძო:

— რამდენად არის ეს წარმოდგენა მარჯანიშვილის მეთოდით დადგმული? მე რომ ვუყურებდი, წარმოიდგინეთ, ვიგრძენი ძველი თეატრი... თქვენ როგორ გგონიათ?

— პირადად მე, შალვა დადიანს, ეს მიხარია, იმიტომ, რომ ავტორი: უფრო მოჩანს ამ შემთხვევაში.

რუსთაველის პროსპექტზე რომ გამოვედით, იგი მიუბრუნდა ქიაჩელს:



ბესარიონ ელენტი



შალვა ლაღიანი

— ბატონო ლეო, თქვენ სახლში მიბრძანდებით?

— არა, ბატონო, მე ოცმანეთიანი კომპანიის წევრი ვარ... მხოლოდ იცოდეთ, მეტი არ დამახარჯვინოთ, თორემ ძალიან დავღონდები... და სამივემ „ორიანტისკენ“ ჩაუხვია.

ამ სამთავან მე უფრო ახლო ლეო ქიაჩელთან ვიყავი. მისი მეუღლე ექიმი ვერა კაკაბაძე, რომელიც 1933 წელს ვარდაიცივალა, დედაჩემის ბავშვობის ამხანაგი იყო. ლეო მოდიოდა ხოლმე სტუმრად, მეც ვყოფილვარ მასთან. ძალიან უყვარდა ჭადრაკის თამაში და თუ წააგებდა, ვერ მოიხვეწებდა, სანამ „შურს არ იძიებდა“. იშვიათი ადამიანური მომხიბვლელობა ჰქონდა. გარეგნულად რამდენადმე თითქოს ფლეგმატური იყო, მშვიდი და თანაბარი, ყოველ შემთხვევაში იმ წრესა და გარემოში, სადაც მე მას ვხვდებოდი — მწერალთა კავშირში (რამდენადაც მახსოვს, „მნათობის“ კონსულტანტი თუ განყოფილების ვაწვე იყო), უფრო გვიან — ქვიშხეთის დასასვენებელ სახლში. განსაკუთრებით მიზიდავდა მისი „ჩუმი“, შემპარავი იუმორი. არც ილიმეზოდა, მხოლოდ თვალები აუციმციმდებოდა ეშმაკურად (მაგრამ მაინც კეთილად) და ერთბაშად შეიძლება ვერც მიმხვდარიყავი, სერიოზულად ღუპარაქობს, თუ ირონიით, ხუმრობით. მწერალთა კავშირში მეორე სართულზე იჯდა, კიბის მარცხნივ რომ ოთახია, იქ მას მუდამ



ლეო ქიაჩელი

გარს ებვიენენ, მასთან ყოფნა და საუბარი ყველას იზიდავდა. ერთხელ ვნახე, რომ ასევე რადენიმე კაცი იდგა მის მაგიდასთან და ერთი ხანდაზმული ლიტერატორი, რომელიც არც მხატვრულ ნაჭათ გამოორჩეოდა და არც გონების სომახვილით, დიდი ტემპერაჰენტით, ალგუნებულად აპტიცებდა რადაცას (ეს რუსთაველის იტბილეს წინა ხანები იყო). თურმე საკუთარი თეორია ჰქონია — რუსთაველი ფსევდონიმია, რომელიც ასე იწიფრება: რუსთა ველი, ე. ი. რუსებს ველოდებიო, რადგანაც პოეტი გოორგი რუსის მომხრე იყო. ყველანი დაუფარავი ირონიით შეხედნენ ამ მოსაზრებას, ზოგმა დაცნვით დაუდასტურა კიდევ, მაგრამ ავტორი ისე იყო გატაცებული, რომ ირონიას ვერ ამჩნევდა.

მხოლოდ ქიაჩელი იჭდა აუღელვებლად და როცა შეძლო სიტყვის ჩართვა, სავსებით სერიოზული სახით ჰკითხა იმ პოეტს:

— როგორ გგონიათ, ხომ არ შეიძლება კიდევ ერთი ვარიანტი რომ წამოვყენოთ — რუს თაველი, რუ და თაველი? — რასაკვირველია, შეიძლებაო, წამოიძახა პოეტმა და კმაყოფილი წავიდა.

იქ მყოფნი გამხიარულდნენ, იცინოდნენ, ენამახვილობდნენ, ლეო კი სულ ოდნავ შესამჩნევად, თვალებით იღიმებოდა. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა მისი „ნატახტარის საიდუმლოება“, „ოთარეკო, ხლვა და მზე“, შემდეგ მისი მშვენიერი ნოველები, განსაკუთრებით „თავადრის ქალი მათა“ და „ჰაკი აძბა“, რომელიც 1933 წ. დაიბეჭდა. თავის დროზე მე და ჩემმა ამხანაგებმა დიდი ინტერესით წავიკითხეთ მისი რომანი „სისხლი“, რომელიც მას შემდეგ აღარასოდეს არ შემხვედრია — ნუთუ აღარც ერთხელ აღარ დაუბეჭდავთ? ქიაჩელი, რა თქმა უნდა, ერთი ყველაზე ინტელიგენტთაგანი იყო ქართულ მწერალთა შორის, კარგი გემოვნება და ზომიერების გრძნობა ჰქონდა.

მაგონდება სხვა იმდროინდელი შეხვედრებიც მწერლებთან. მაგა-

ლითად ერთი, როცა სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, ილო მოსაშვილი, ბორის ჩხეიძე და მე თითქმის შუალამემდე ვიდევით თავისუფლების (ახლანდელ ლენინის) მოედანზე და ვსაუბრობდით წაკითხულსა და წასაკითხზე — ვასილ ბარნოვის „მიმჭრალ შარავანდედსა“ და „ისნის ცისკარზე“, რომლებიც ყველამ შედეგებად მიიჩნია, სტენდალზე, მერიმეზე, კახიმირ ელშმიტზე, ანრი დე რენიესა და ვილიე-დე-ლილადანზე... ვსაუბრობდით გატაცებით. ყველაზე აქტიური სიმონ ჩიქოვანი იყო, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა... მერე კი, როცა მე და ბორის ჩხეიძე მარტო დავრჩით, მან სინანულით თქვა:

— რო ვიფიქრებ, რამდენი რამეა კიდევ წასაკითხი, გული გამისკდება..!

და კიდევ ერთი „ლიტერატურული“ მოგონება, ცოტა უფრო გვიანდელი. „ჩვენი ხასიათისა — იეთიმ-გურჯის დაკრძალვა 1940 წლის ივლისში... ჩვენი სახელი ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის გრიშაშვილის წიგნის წყალობით გახდა ცნობილი. ცოცხალ იეთიმ-გურჯის არ შეგხედრებია. მაგრამ ყველას გვიყვარდა და გვადლეუვებდა მისი მართლაც შესანიშნავი, თითქოს სტიქიურად ძიხეთქილი ლექსი „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო“. ხარფუხელები და ავღაბრელები მისდევდნენ კუბოს, თითო-ოროლა მწერალი და მსახიობი. მე და სამხატვრო აკადემიის დარაჯი ხეჩო ერთად მივდიოდით:

— მაგისი ხაზი ეგ იყო, მინამ ერთი კვარტი ღვინო არ დაელია, არაფერს არ დასწერდა, — მეუბნებოდა ხეჩო, — მე რომ შვილი გარდამეცვალა, მინდოდა ერთი კარგი რამე დამეწერინებინა. მიველ და დალია თუ არა, ხელათ ისეთი რამ თქვა, კაცს რო წაეკითხა, ცრემლი მოუვიდოდა... საზანდრები არ მოვიდნენ... მეზურნეებმა კი კარგი პატივი სცეს — თავისთან წაიყვანეს, იმათ კანტორაში იდო. გრიშაშვილმაც დიდი ამაგი დასდო, ეგ იყო მაგისი ავანჩაუანი...

ჩემი ბავშვობისა და სიჭაბუკის დროს, ოციან-ოცდაათიან წლებში, ლიტერატურული „პარნასის“ ფარგლებს გარეთ მწერლების კიდევ ერთი კატეგორია არსებობდა — ძველი მუშა-პოეტები, ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოსულნი ასპარეზზე (ქალაქელ პოეტ „აშულთაგან“, თუ არ ვცდები, უკანასკნელი სწორედ იეთიმ-გურჯი იყო). ესენი იყვნენ გიგო ხეჩუაშვილი, შაქრო ნავთლუღელი, ბეგლარ შინატეხელი და სხვანი.

ბუნებრივია, მათ მაშინ დიდად უწყობდნენ ხელს, მათ შესახებაც წერდნენ და მათს ლექსებსაც ბეჭდვდნენ, თუმცა ამ გულუბრყვილო და გულწრფელ ლექსებს ფორმა პრიმიტიული ჰქონდა. მთავარი იყო

მათი შინაარსი და ავტორთა სოციალური ვინაობა. მეხსიერებას შემორჩა ერთი გრძელი პოემის დასაწყისი (პოემას ერქვა „სახლიდან ქარხანამდე“ და „კომუნისტის“ ორ თუ სამ ნომერში იბეჭდებოდა ოციანი წლების დასაწყისში):

მინდა ავიღო კალამი,
ჩახან დამკრა ზუზამ,
ზომ-ტევით, თუ ძალიან
ჯარგად ვერ შევოხუზამ.

კეთლ მხარეს შევიყვარებ,
მეც სიკეთეს ვუზამ,
ბოროტ მხარეს შევიძულებ
ერთ-ორს მაინც ვღრუზამ.

1934 წელი ჩემთვის ღირსსახსოვარია. იმ წელს დაიბეჭდა ჩემი პირველი წერილები. ერთი იყო რეცენზია თედო სახოკიას მიერ ნათარგმნ ბოროზდინის წიგნზე „სამეგრელო და სვანეთი“. დაიბეჭდა „მნათობის“ № 7—8-ში (იქვე იყო დაბეჭდილი ედგარ პოქსის „ზარები“, გივი გაჩეჩილაძის ნათარგმნი). მისი დაწერა დამავალა ლევან ჯიანმა, ის იყო ჩემი „ნათლია“. ვისაც ეს გაძოჴცდია, ყველა გამიგებს, რა გრძნობა აქვს ავტორს, როცა თავის პირველ დაბეჭდილ თხზულებას იხილავს, რავინდ უმნიშვნელოც უნდა იყოს იგი. ჩემი სისარული იმანაც გააძლიერა, რომ თვით თედო სახოკიამ მადლობა გადამიხადა და შემაქო კიდევ — გამოცდილი კაცის ნაწერს ჰგავსო. თედო სახოკია მამას მკვებობდა და საკმაოდ ხშირად დადიოდა ჩვენთან სტუმრად. მას ჰყავდა ახლობელი ადამიანები, უმეტესად თავისივე ტოლები, ან უფროსები, რომლებსაც ყოველ კვირა, დანიშნულ დღეებში ესტუმრებოდა. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ვასილ ბარნოვი, კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე, ალექსანდრე მიქაბერიძე. ეს უკანასკნელი ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდა და თედო სახოკია ჩვენთან გზად შემოივლიდა ხოლმე.

იმავე წლის „ლიტერატურული გაზეთის“ ერთ ნომერში დაიბეჭდა „მომავალი ტფილისი“ — მოკლე მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორი სახე უნდა მიიღოს ჩვენმა დედაქალაქმა ახალი გენერალური პროექტის მიხედვით, მეორეში კი ბიბლიოგრაფიული ნარკვევი — „უცხოელი და რუსი ავტორები ტფილისზე“. მადლობით ვივინებ გაზეთის მაშინდელ მდივანს ნიკოლოზ ჩაჩავასა და თანამშრომელს პოეტ დავით გაჩეჩილაძეს, რომლებიც, ისევე როგორც ლევან ასათიანი, განსაკუთრებული მზრუნველობითა და გულითადობით მეკიდებოდნენ მე, ოცი წლის ყმაწვილს, გულწრფელად ცდილობდნენ ჩემს წახალისებას (ყოველთვის მიკვირდა, რომ ნიკოლოზ ჩაჩავა, ეს სათნო და საყვარელი კაცი, სულ რამდენიმე წლის წინათ ყველაზე ექსცენტრუ-

ლი და აგრესიული ფუტურისტი ნიოგოლო ჩაჩავა იყო!). ჩემი მომდევნო წერილებიც, სულ სამი-ოთხი, რომლებიც 1935-სა და 1936 წლებში დაიბეჭდა, კვლავ თანამედროვე ქართულ არქიტექტურას ეხებოდა, ან სხვადასხვა ინფორმაციას შეიცავდა „არქიტექტურული ცხოვრების“ შესახებ. მერე კარგა ხნით, 1942 წლამდე, შევწყვიტე ბეჭდვა და განვახლე მხოლოდ მაშინ, როცა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომების „ქართული ხელოვნების“ პირველი ტომი გამოვიდა (ჩემი განზრახვა, რომ ალექსანდრე დიუმას „კავკასიაში მოგზაურობა“ მეთარგმნა, განუხორციელებელი დარჩა. მოვასწარი მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტის გადმოქართულება). „ლიტერატურული გაზეთის“ ის ნომერი, რომელშიაც ჩემი პირველი წერილი დაიბეჭდა, მთლიანად თბილისისადმი იყო მიძღვნილი (ძალიან შინაარსიანი ნომერია). სხვა წერილებთან ერთად, გამოქვეყნებულია კოტეჯაკერიშვილის პატარა ფელეტონი „ქუჩის ქართული“, რომელსაც, სამწუხაროდ, დღესაც არ დაუქარგავს აქტუალობა. იგი ეხება იმ ხალხს, „რომელმაც შექმნა თბილისის მალაზიების ფირნიშების ჩიქორთული. მათ შექმნეს „კამპეტი რღზით“ და „წიგნაკთა პერერეგისტრაცია“. მათ მოიგონეს ახალი საესტრადო უანრი „სიმღერები გიტარის ქვეშ“, ამოაგდეს ქართული ანბანიდან „ჰაე“ და მის მაგიერ საბოლოოდ „განი“ დააფუძნეს“. კოტეჯ, მეც, გოგიც მწვავედ განვიცდიდით ქართული ისაღმი ამგვარ ბარბაროსულ დამოკიდებულებას. მაგალითი სხვაც ბევრი იყო: „9 ნოემბერს მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობაში ინსცენირებული ოპერეტა. მონაწილეობით სიდორა ვასილევია სმირნოვა და ტამარა ვასილევანა ვალოშინოი“. სამწუხარო ის არის, რომ ამ მხრივ დღესაც ბევრი ცოდავს.

იმ ხანებს მიეკუთვნება პირველი ცდა ქართული ენციკლოპედიის შექმნისა. მას საბოლოო შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ გარკვეული მუშაობის ჩატარება მაინც მოესწრო. მამამ მე და გოგი ლომთათიძე მიგვიყვანა სიმონ ყაუხჩიშვილთან, რომელიც, ეტყობა, ენციკლოპედიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო (იქვე მუშაობდა ილია აბულაძეც — რედაქცია საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში მდებარეობდა). მოგვცეს სათარგმნი მასალა: მე გიორგი ჩუბინაშვილის წერილები ქართულ ხუროთმოძღვრებაზე, გოგის რალაც ინგლისური ტექსტები... პირველი. ჰონორარი რომ ავიღე, სიამაყით ავივსე, მგონი უფრო იმიტომ, რომ ჰონორარის რიგში ჩემთან ერთად რამდენიმე ცნობილი მეცნიერი და ლიტერატორი იდგა.

1933 წელი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტით დამამახსოვრდა. უმეტესობა სამწუხარო იყო: კოტე მარჯანიშვილის, ზაქარია ფალიაშვილისა და ვიქტორ დოლიძის გარდაცვალება; ერთი — გასახარელი: „მეტეხის“ საპატიმროს გაუქმება და მისი გადაქცევა მუზეუმად.

მარჯანიშვილის სიკვდილი მე და ჩემმა ამხანაგებმა ისე განვიცა-ცადეთ, როგორც ახლობელი ადამიანის დაკარგვა. არსებითად, ასე განიცადა მთელმა ქართულმა საზოგადოებამ. აღარ მახსოვს, ლექციებზე დავდიოდი და საერთოდ რასმე ვაკეთებდი თუ არა — რამდენიმე კვირა, სანამ მოსკოვიდან ჩამოასვენეს, სანამ მისი ფერფლი დაკრძალეს, და შემდეგაც კიდევ კარგა ხანს ჩვენი ფიქრები მთლიანად მარჯანიშვილით იყო სავსე.

კოტე მარჯანიშვილს პირადად არ ვიცნობდი, ზაქარია ფალიაშვილს კი ვიცნობდი და რამდენიმეჯერ შევხვედრივარ კიდევ, თუმცა ეს მხოლოდ შორეული ნაცნობობა იყო. გარეგნულად არტისტული და მით უფრო რომანტიკული არაფერი არ ჰქონდა. სრულიად მელიორი იყო, გაპარსული, სახე აწითლებული. პენსნეს ატარებდა. ლაპარაკობდა სწრაფად და არც მაინცაღამაინც მკაფიოდ. ხშირად იცოდა აღელვება და მაშინ „დედაია, დედაიას“ იძახდა. თავაზიანი შეხვედრა იცოდა და მოსალმებისას ყოველთვის ერთნაირად იღიმებოდა.

ერთხელ „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმის სანახავად წავედი. ფრიად თავისებური დადგმა იყო. რეჟისორს განეზრახა ოპერის რამდენადმე მაინც „დემოკრატიზაცია“. სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, აბიო „ჩამოაქვეითა“ — მეფე აღარ იყო, არამედ მხოლოდ თავადი. ამიტომ მეორე მოქმედებაში, სადაც სტუმრობა და ზეიმი, იგი ტახტზე აღარ იჯდა. იმის ნაცვლად, რომ სტუმრები მისულიყვნენ მასთან თაყვანისსაცემად, ისინი (ე. ი. გუნდი) უძრავად იდგნენ, სამაგიეროდ თვით აბიო გაუთავებლად გარს უვლიდა სცენას და ყოველ ნაბიჯზე თვითონ უკრავდა თავს სტუმრებს... საკმაოდ უჩვეულო და მოსაბეზრებელი სანახაობა იყო.

ზაქარია სწორედ ჩემ წინ იჯდა და მოუსვენრად ფაცურებდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა, მე მომიბრუნდა (რაკი ახლომახლო სხვა ნაცნობი არავინ იყო) და აღშფოთებულმა საკმაოდ ხმამაღლა წამოიძახა:

— დედაია, დედაია, это хождение меня с ума сведет.

როგორც ცნობილია, შემდეგ დადგმებში აბიოს კვლავ დაუბრუნეს მეფის ხარისხი.

ფალიაშვილი დიდხანს ავადმყოფობდა და ყველამ იცოდა, რომ

განწირული იყო. მაგრამ მაინც, როცა რადიომ გამოაცხადა მისი გარდაცვალების ამბავი (ეს 6 ოქტომბერს იყო), თითქოს ელდა მეცა.

კონსერვატორიის დარბაზში ესვენა, იყო პანაშვილები ყველა აუცილებელი ატრიბუტით — ორკესტრით, გვირგვინებით, საპატიო ყარაულთ... მაგრამ მართლაც ამადლელებელი და საზეიმო განწყობილება შეიქმნა, როდესაც მეორე პანაშვილზე ორკესტრმა, გუნდმა და ნიკო ქუმსიაშვილმა „აბესალომის“ მესამე მოქმედება შეასრულეს მთლიანად. ამ განწყობილებას ისიც უწყობდა ხელს, რომ დირიჟორობდა ივანე ფალიაშვილი (თვითონ ამის შემდეგ ნახევარი წელიწადი იცოცხლა მხოლოდ). ქუმსიაშვილს ხომ ლამაზი და ძლიერი ხმა ჰქონდა, იქ კი, შედარებით მცირე დარბაზში, მისი ხმა ერთიანად ავსებდა იქაურობას. ახლაც მახსოვს, როგორ მივლიდა ჟრუანტელი. ფალიაშვილი დაკრძალეს, როგორც დიდი ეროვნული მოღვაწე...

ვიქტორ დოლიძეს კი დიდუბემდე სულ რამდენიმე კაცი მიჰყვა, დანარჩენები გზაში მიმოიფანტნენ. ეს ჩემთვის გაუგებარი იყო. მისი „ქეთო და კოტე“ ყველას უყვარდა, მის მელოდიებს ხალხი მღეროდა... მაგრამ თვითონ ვერ იქცა „ფიგურად“! იყო ერთი ჩია, მოძრავი, მხიარული და მოხიბვითე კაცი, რომელსაც ბევრნი ალბათ სერიოზულად არც უყურებდნენ. და უცებ გაქრა, სულ ხუთი დღე იავადმყოფა. ორმოცდასამი წლისა იყო. მისი დაკრძალვის დროს დიდუბეში რატომღაც მეზურნეები და მედუდუკეები აღმოჩნდნენ (სხვის საფლავზე იყვნენ). მივიდნენ და იკითხეს, ვინ არის აქ უფროსიო; ეს ის კაცია, „ქეთო და კოტე“ რომ დასწერა? მაშ, თუ შეიძლება, ნება მოგვეცით, ცოტა რამე დაეუკრათო.

და ასე, ზურნა-დუდუკით ჩაუშვეს საფლავში. „ქეთო და კოტეს“ პირველი დადგმის შემდეგ კი სამოცზე მეტი წელი გავიდა. იგი კვლავ ცოცხალია და უკვე შორეულ ასპარეზზეა გასული.

„ძველი მეტეხი მოკვდა, გაუშარჯოს ახალ მეტეხს“; „დღეიდან ყოფილი მეტეხის ციხე ხელოვნების მუზეუმი“; „სალამი ქართული საბჭოთა კულტურის ახალ კერას“! „24 ნოემბრიდან ყოველდღე 11 საათიდან 4 საათამდე მეტეხის ციხე ღია იქნება მნახველთათვის“. ეს მაშინდელი გაზეთებიდანაა. მართლაც დიდი ამბავი იყო. ქალაქს უბრუნდებოდა ერთ-ერთი უმშვენიერესი და დამახასიათებელი კუთხე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გამოთიშული იყო მისგან, მრავალტანჯული მეტეხის ტაძარი აღდგებოდა, როგორც ჩვენი ხუროთ-

მოძღვრების შესანიშნავი ძეგლი (რა არ გამოსცადა მან საუკუნეთა მანძილზე!), იქმნებოდა შესაძლებლობა ხელოვნების მუზეუმის დაბინავებისა.

და, აი, ერთ კვირა დღეს გოგი ლომთათიძემ, გივი გაჩეჩილაძემ და მე განვიზრახეთ ამ „ახალი მეტეხის“ დათვალიერება. რა თქმა უნდა, ყველაფერი უაღრესად გვაინტერესებდა, ერთგვარი ამღლებული განწყობილებითაც კი მივდიოდით. ინტერესის მხრივ მოლოდინი სავსებით გაგვიმართლა — ეკლესიამაც დატოვა შთაბეჭდილება (თუმცა შიგნით ჯერ კიდევ პატიმართა სასპორტო დარბაზის სახე ჰქონდა), იწიდან გადმოსახედმაც, სხვა შენობების ნახვაც არ იყო უინტერესო; მაგრამ განწყობილება კი რამდენადმე „ჩამოგვიქვეითდა“, რაკი უამრავ მნახველს შორის ბევრი აღმოჩნდა ყოფილი პატიმარიც, იმ კატეგორიისა, რომელთა წარწერებითაც აქრელებული იყო ახლად დაცლილი საკნები: „სვანეთისუბნელი ალექსანდრე“, „ჰავლაბრელ პატარა სირუნოვს მისჯილი ჰქონდა 5 წელი“, „Здес сидел Серож и Завен статни за 142“. ეს ალექსანდრე და სირუნოვები დარბოვდნენ აქეთ-იქით, უძახდნენ თავის ნაცნობებს, მოდიოთ, გაჩვენოთ რომელ საკანში ვისხედითო, ხილო როცა ჩვენ სამნი მოწიწებით მივუახლოვდით „შუშანის საფლავს“, ვილაც მათგანმა თითქოს ცივი წყალი გადაგვასხა: მხსაოულად წამოიძახა — აფსუს შუშანიკ!*

რომ აღარაფერი ითქვას ამ ფაქტის სიმბოლურ მნიშვნელობაზე, მეტეხის გათავისუფლებას რეალური თვალსაჩინო შედეგებიც მოჰყვა. ყოფილი საპატიმროს შენობები შეკეთდა და შიგ გადავიდა სურათების გალერეა, რომელსაც ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“ ეწოდა. რა თქმა უნდა, სამუზეუმოდ არც ეს შენობა კმაროდა, მაგრამ სულ არაფერს მაინც სჯობდა. მტკვრის მხარეს შენობათა ნაწილი დაინგრა და ეკლესია ერთბაშად აქტიურად ჩაერთო ძველი ქალაქის უმშვენიერეს ანსამბლში. მერე ხომ იქაურობამ სულ იცვალა ფერი და თანდათან დღევანდელი სახე მიიღო.

2. სტუდენტობის წლები თბილისში

ამგვარად, სტუდენტობის წლებში მე და ჩემი ამხანაგები უსაქმოდ არ ვყოფილვართ. რიგიანად ვსწავლობდით, დატვირთულნი ვიყავით ლექციებით, პროექტებით, ნახაზებით, გვექონდა სხვა ინტერესებიც —

* შუშანიკი მართლა არის მეტეხის ტაძარში დაკრძალული? — ეს შეცნობილად არ დადასტურებულა.

ლიტერატურული, თეატრალური, მუსიკალურიც. მაგრამ, იმავე დროს, ეს დაეპყვების, დაუქმყოფილებლობის, მომავალზე ფიქრისა და ოცნებების წლებიც იყო. ხშირად მალეღებდა ეს საკითხი: რა გამოვალ, გამოვა კი ჩემგან არქიტექტორი? მაშინებდა ინსტიტუტში სწავლების დონე, ვფიქრობდი, ნუთუ ორი-სამი წლის შემდეგ, როცა დიპლომს მივიღებ, მართლაც მეცოდინება რამე, თუ ინსტიტუტიდან სავსებით დილექტანტური ცოდნით გამოვალ-მეთქი... გამოვიჩინ რაიმე შემოქმედებითს უნარს, თუ სადმე საპროექტოს ჯურღმულში დავრჩები ჩვეულებრივ, რიგით არქიტექტორად-მეთქი. ვფიქრობდი, რომ არც არაფერი ვიცოდი და ვერც ვერაფერს ვისწავლიდი. რა გასაკვირველია, რომ მეც და ჩემს ამხანაგებსაც, მაშინ, როცა თვრამეტი-ოცი წლისანი ვიყავით, რალაც უჩვეულო და განსაკუთრებული მომავალი გვენატრებოდა და სიტყვა „ჩვეულებრივი“ გვძულდა... სურამში, ზაფხულში, მე და გივი გაჩეჩილაძე ხშირად მივეცემოდით ხოლმე ოცნებებს. ის სულ გენიოსებზე ფიქრობდა, ყველაზე მეტად ბაირონზე, შენატროდა მას, რაკი მან შეძლო მთელი ახალი მიმდინარეობის შექმნა, შენატროდა მის გენიოსობას.

მე უკვე მაშინ ვფიქრობდი, რა ბედნიერება უნდა ყოფილიყო არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიის კითხვა... მაგრამ ეს ზღაპარით მეჩვენებოდა, ის კი ხშირად მაფიქრებდა (კარგად მახსოვს), ნუთუ დადგება დრო, როდესაც მე შევძლებ დამოუკიდებლად აზროვნებას, შევძლებ საკუთარი აზრის გამომუშავებას, თუკი მეცნიერებას მოვკიდებ ხელს, მით უფრო, საკუთარი სიტყვის თქმას-მეთქი. ხანდახან სჯვა სურვილებიც წამომივლიდა: იგორ გრბარის მონოგრაფიამ რეპინის შესახებ ამიშალა საღერღელი და მხატვრობა მომინდა (ეს სურვილი შინაგანად ისედაც მწიფდებოდა). ისიც კი გადავწყვიტე, რომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამხატვრო აკადემიაში შევსულიყავი.

1935 წელს მიეკუთვნება რამდენიმე ფაქტი, რომლებიც გარკვეულ მიჯნას აღნიშნავდა ჩემს ცხოვრებაში და რომლებმაც უფრო რეალურ ნიადაგზე დამაყენა: ა) დავამთავრე ინსტიტუტის თეორიული კურსი და შევეუდექი სადიპლომო პროექტზე მუშაობას (თემად მქონდა საოპერო თეატრი საზამთრო და საზაფხულო დარბაზებით); ბ) ბეჟანმა, ლეომ, ლონგომ, ვალერიანმა და მე, მამას ხელმძღვანელობით, დავიწყეთ ხუროთმოძღვრული ტერმინოლოგიური ლექსიკონის შესადგენად მუშაობა; გ) მე ჩამრიცხეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში ასპირანტად ხელოვნების ისტორიაში (მიუხედავად იმისა, რომ ჯერ დიპლომი არ

მქონდა. მაშინ არც მისაღები საასპირანტო გამოცდები იყო; დ) წლის ბოლოს დამევალა ხელოვნების ისტორიის კითხვა ჩვენსავე ინსტიტუტში, პირველ კურსზე.

ჩვენი „სატერმინოლოგიო კომისია“ ჩვენს სახლში იკრიბებოდა საღამოობით. ბევრი ტერმინი ამოვიწერეთ სპეციალური ლიტერატურიდან, შევადგინეთ ბარათები; ყველანი დიდი ხალისითა და ინტერესით ვმუშაობდით, ვმსჯელობდით, ვკამათობდით. „არბიტრი“ მამაჩემი იყო, მისი აზრი წყვეტდა სადავო საკითხებს. ძალიან მენანება, რომ ეს საქმე ბოლომდის ვერ მივიყვანეთ და სრული ხუროთმოძღვრული ტერმინოლოგია დღესაც არა გვაქვს. მაგრამ ის საღამოები ჩემთვის სამუდამოდ დაუვიწყარი დარჩა. მუშაობას რომ მოვრჩებოდით, იწყებოდა „მეორე განყოფილება“: ჩვეულებრივ მე ვუკრავდი (მაშინ ჭერ კიდევ ვახერხებდი რალაცას), თუმცა ფრიად შეზღუდული რეპერტუარი მქონდა. ჩემს მსმენელებს მუსიკა ძალიან უყვარდათ, მკაცრი მსაჯულები არ იყვნენ და სიამოვნების მიღებასაც კი ახერხებდნენ, ხოლო ემოციური და ძალიან უშუალო ლონგო სუმბაძე ექსპანსიურადაც გამოხატავდა თავის გრძნობებს.

მაშინ ჩვენ კიდევ უფრო მეტად დავუახლოვდით ერთმანეთს. მე ყველაზე უმცროსი ვიყავი მათ შორის და ჩემთვის მათთან კონტაქტი, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო აუცილებლობად იქცა. მათთან ყოფნისა და ურთიერთობის დროს მე იმ ატმოსფეროს ვისუნთქავდი, ურომლისოდაც უკვე აღარ შემეძლო არსებობა. უფრო გვიან, როცა ცხოვრების ფერხულში ჩავებით, ცხადია, ჩვენ აღარ შეგვეძლო ყოველდღე ერთად ყოფნა, მაგრამ სიახლოვე და ღრმა მეგობრული გრძნობა ბოლომდის შეგვრჩა. ხოლო იყო წლები, ოცდაათიანი წლების ბოლოს, როდესაც მე მარტო, უმშობლებოდ დავრჩი და ჩემთვის ბეჟანის ოჯახი იყო მთავარი თავშესაფარი (ბეჟანმა ცოლად შეირთო ჩვენივე მეგობარი რუსუდან გვერდწითელი).

ბეჟანი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, არჩილ ჯორჯაძისა და გიორგი ლასხიშვილის მეგობრის, ვლადიმერ ლორთქიფანიძის შვილი იყო. მამა აღრე მოუკვდა. როცა მე გავიციანი, დედამისი — პედაგოგი, წულუკიძის ქალი, რომელსაც ყველა დიდი პატივისცემით იგონებდა, ახალი გარდაცვლილი იყო. სანამ ცოლს შეირთავდა, ბეჟანი თავის უფროს და-ძმასთან ერთად ცხოვრობდა ძველებურ აივნებიან სახლში, სწორედ მთაწმინდის ძირში, ფუნდუკულიორის ქვემო სადგურიდან ორ ნაბიჯზე. ჩემი ცხოვრების გზაზე იშვიათად შემხვედრია ასეთი მიმზრდველი ადამიანი, რომელსაც ერთბაშად, პირველი შეხვედრისთანავე

ასე შეძლებოდა ადამიანის გულის მონადირება, თუმცა საამისოდ არაფერს არ აკეთებდა. ჰარმონიული კაცი იყო, აღზრდილთა და ბუნებრივად დახვეწილი ინტელიგენტი, მაღალი კულტურის მქონე, მშვიდი, გაწონასწორებული და „თანაბარი“. რომ გაიცინებდა — ნათელი გადასდიოდა სახეზე, მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ ასე გულშიად სიცილი. ცხოვრების მძიმე წუთებში მასთან ყოფნა მამშვიდებდა და იმედს მინერგავდა. ძალიან ჭკვიანი იყო და შეუმცდარი ტაქტი ჰქონდა. ყველა ეს თვისება აშკარად იჩენდა თავს, როდესაც ბეჟანს — უკვე ომის შემდეგ — დიდი თანამდებობები ეჭირა: მინისტრიც იყო, არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარეც, დიდი ინსტიტუტის დირექტორიც. 1938 წლის ზაფხული მე და ბეჟანმა ერთად გავატარეთ სავანეში — ვზომავდით ეკლესიას, რომელიც ჩემი საკანდიდატო დისერტაციის თემას შეადგენდა. უიმისოდ, ცხადია, ვერაფერს ვერ გავაკეთებდით. იქიდან ყვირილის ხეობის ზოგი სხვა ძველიც მოვინახულეთ. ომის დროს ბეჟანი მობილიზებული იყო და რაკი გერმანული კარგად იცოდა (გერმანული საშუალო სკოლა დაამთავრა თბილისში), მთარგმნელად მუშაობდა ტყვეებთან. იქიდან წერილებს მწერდა. აი ნაწყვეტი ერთ-ერთი წერილიდან: „29. 12. 44. ძვირფასო ვახტანგ, შენმა წერილმა ჯერ კიდევ უნგრეთში მომისწრო. როგორც ჩანს, ახალ წელს, კიდევ ერთ წელს, ოჯახის გარეთ, ამ ქვეყანაში შევხვდებით. სახლი, თბილისი, ჩემი უწინდელი საქმიანობა შორეულ სიზმრად მეჩვენება. ყვირილას ხეობა, კაცხი, წერილში რომ მოიხსენე, ხომ რაღაც სულ მიუწვდომელ და არარეალურ, ბედნიერ სიზმრად დამრჩა მოგონებაში. ამ ერთი წლის განმავლობაში, მართალი ხარ, ბევრი რამ ვნახე და უფრო მეტი განვიცადე. უკრაინა, რუმინეთი, ახლა მომავალში კიდევ ვინ იცის რომელ ქვეყანას ვინახულე. ამგვარად, ჩემი ცნობისმოყვარეობა სავსებით დაკმაყოფილებულია. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ნანახში საშინელება და სამწუხარო უფრო მეტია, ვიდრე სასიამოვნო... ყოველ უნგრულ ქალაქს ამერიკელთა და ინგლისელთა საჰაერო თავდასხმის კვალი აჩნია. სადგურებისა და ქარხნების მახლობელი უბნები ჩვეულებრივად მიწასთან არის გასწორებული. მხოლოდ ამ ერთი კვირის წინათ ვიდექით ვიღაც უნგრელი მემამულის დიდ სახლში. სახლი ძველია, ვფიქრობ, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის გერმანული ბაროკოა, ოღონდ შიგნით ახლად გადაკეთებული... კიბის უჯრედში და დარბაზში — წინაპართა პორტრეტების გალერეაა, სავკარეულო ჰერალდიკა და სხვა. კარგი ავეჯი და ბიბლიოთეკა. სწორედ ამ სახლში ყოფნის დროს ბევრი თავისუფალი დრო მქონდა, და სამი დღის განმავლო-

ბაში ამ წიგნის თაროებს დავტრიალებდი. გასაოცრად ბევრი წიგნი იყო ხელოვნებამცოდნეობის დარგში, სამწუხაროდ, ყველაფერი უნგრულ ენაზე. საკითხავად რამდენიმე დეტექტიური რომანი ამოვირჩიე, ბ. კელერმანის „სულელი“ და ორი ისტორიული რომანი, ყველა ეს გერმანულ ენაზე...“

მეორე წერილიდან: „...ქვემეხებისა და კატიუშების გრიალი არ ცხრება არც დღისით, არც ღამით. ჰაერში ისეთი ორომტრიალია, რომ ძალი პატრონს ვერა სცნობს. ყუმბარების აფეთქებისაგან მიწა ზან-ზარებს და ჩვენი „ბიძია თომას ქოხი“, პატარა ფაცხა საცაა თავზე წამოგვექცეს. გუშინდამ საუბარი „კლიენტთან“ ისე გამიგრძელდა, რომ მეც და იმასაც არაქათი გამოგველია. ხან მე ჩამეძინებოდა და ხან იმას. კიდევ კარგი, თავზე მეავტომატე გვადგა, რომელსაც დავავალე მუჯლუგუნი წამკრას ხოლმე, თუ ჩათვლემილს დამინახავს. მიუხედავად ასეთი დღე ღამე გადაბმული მუშაობისა, თავს ფიზიკურად მშვენივრად ვგრძნობ და გათენებისას, როცა ბრძოლის გრიალი ცოტა ხნით შენელებს, სიამოვნებით ვუგდებ ყურს ბულბულების გალობას, რომლებიც მრავლად არიან აქვე ქალაქში დაბუდებული...“ და კიდევ: „...ესტერჰაზის სასახლეში ერთ-ერთ დიდ დარბაზში, ალბათ, ოდესღაც ბიბლიოთეკის დარბაზში, იატაკზე მოფენილი წიგნებისა და ქაღალდების ხროვაში, მშვენიერ წიგნებს შორის (XVII—XVIII საუკუნეების იტალიური, ფრანგული და უნგრული გამოცემები) მრავალი შესანიშნავი გრავიურა ვიპოვე, როგორც ჩანს, მდიდარი კოლექციის ნაშთები. მათ შორის ერთი გრავიურა ხეზე წარწერით: Albrecht Dürer Original. ათიოდე ნაკლებად დაზიანებული გრავიურა ამოვარჩიე — ვფიქრობ კარგი საჩუქარი იქნება ჩვენი მუზეუმისათვის“...

როგორ ვლინდება ადამიანი ამ მოკლე ამონაწერებშიც!

ბეჟანი ერთი პიონერთაგანი იყო ქალაქთგვემარებისა საქართველოში. მისი მონაწილეობით შედგა ბათუმის, გორის, სხვა ქალაქების გენერალური პროექტები (ის და ლონგო სუმბაძე ერთად მუშაობდნენ). წერილებსაც აქვეყნებდა ქართული ხუროთმოძღვრების საკითხებზე... და დიდი ხნის განმავლობაში ღირსეულად ეჭირა მაღალი თანამდებობები... 1968 წლის შემოდგომაზე თანამშრომლებმა და მეგობრებმა დიდი სიყვარულით აღვნიშნეთ მისი დაბადების 60 წლისთავი. ამის შემდეგ სულ რამდენიმე თვე იცოცხლა. 1969 წლის იანვარში გარდაიცვალა.

ვალერიანმა კიდევ უფრო ნაკლებხანს გაძლო. ომმა მას მძიმე კვალი დააჩნია. იქიდან დაბრუნებული ვერ იქნა და ვერ მომჯობინდა სა-

ბოლოოდ, თუმცა ძალიან ინტენსიურად კი მუშაობდა და ბევრიც მო-
ასწრო, როგორც არქიტექტორმა და როგორც უმაღლესი სკოლის პე-
დაგოგმა. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ბევრი კუ-
რორტის გენერალური პროექტის შედგენა და წყალტუბოს რამდენიმე
დიდი სანატორიუმის შენობა, რომლებშიც აშკარად მელანდებდა მისი
ინტერესი ქართული ხასიათის ძიებისადმი. ვალერიანი ზუგდიდიდან
იყო ჩამოსული. ბუნებრივი კულტურა ჰქონდა, გონიერება და სერიო-
ზულობა. ჩუმი და სიტყვაძვირი კაცი იყო, ხმას არ აუმაღლებდა, არ
აჩქარდებოდა, სიარულიც აუჩქარებელი იცოდა. ემოციების გამოხატ-
ვის მხრივ თავშეკავებული იყო, მაგრამ იგრძნობოდა მისი შინაგანი ძა-
ლა. ჩვენ შორის ის იყო ყველაზე ღიანი და აუღელვებელი, ამ მხრივ
გამორჩეოდა კიდევ. სიცილიც ჩუმი იცოდა, თითქოს „შინაგანი“. არ
უყვარდა საჯარო გამოსვლები და მით უფრო თავის გამოჩენა. იყო
თავისთვის, გატაცებით მუშაობდა, სხვის საქმეში არ ჩაერეოდა, მაგ-
რამ თუ პრინციპული რამ საკითხი იყო — იქ დათმობა არ იცოდა... და
სულ აბოლებდა. ცხოვრების თანამგზავრი მანაც, როგორც ბეჟანმა,
ჩვენივე წრიდან აიჩრია — თონა ნიკოლაძე. ნიჭიერი იყო როგორც
შემოქმედი და ძალიან დაკვირვებული, გულისხმიერი, როგორც არქი-
ტექტურული გეგმარების მასწავლებელი... არ მეგულება კაცი, ვისაც
ვალერიანი არ უყვარდა და ვინც მას პატივს არ სცემდა. ორმოცდა-
ჩვიდმეტი წლისა გარდაიცვალა 1968 წლის 5 მაისს. ჩვენ ძალიან მძი-
მედ განვიცადეთ, ეს ორი უძვირფასესი მეგობარი რომ გამოგვეცალა
ხელიდან სულ რამდენიმე თვის განმავლობაში.

ლონგომ ვალერიანსა და ბეჟანზე ბევრად მეტ ხანს გასტანა — 76
წელს მიადწია და სულ ახლახან, 1984 წლის 15 ოქტომბერს გარდაიც-
ვალა, მას შემდეგ, რაც მთელი თავისი სიცოცხლე დაუღალავად, შე-
მიძლია ვთქვა, ფანატიკური სიყვარულით იშრომა და იღვაწა ეროვნული
საქმისათვის. ლონგო თელაველი იყო, იქვე დაამთავრა საშუა-
ლო სკოლა. მისი თანაკლასელებისაგან ვიცი (ლეო რჩეულიშვილიც
მასთან ერთად სწავლობდა), რომ იმთავითვე ამჟღავნებდა იმ თვისე-
ბებს. რომლებიც ბოლომდე ჰქონდა შერჩენილი: ცოდნის დაუფლების
დაუცხრომელ წყურვილს, განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობას,
სურვილს, რომ არავის არ ჩამორჩენოდა სწავლასა და საქმის ერთგუ-
ლებაში. იმავე დროს, პოეტური და რომანტიკული ბუნების კაცი იყო,
ახალგაზრდობაში კარგ ლექსებსაც წერდა; სკოლის დამთავრების შემ-
დეგ ერთხანს მთის რომელიღაც მიყრუებულ სოფელში მასწავლებ-
ლობდა თვითონაც ჭერ კიდევ ბავშვი. მამა ადრე გარდაეცვალა, დედა

მძიმე შრომით გაზარდა სამი ვაჟი (ლონგო შუათანა იყო) და სამივე ფეხზე დააყენა — სამივე ძმამ უმაღლესი განათლება მიიღო.

ის და ბეჟანი ინსტიტუტის პირველი კურსიდანვე დამეგობრდნენ და მას შემდეგ განუყრელნი იყვნენ — ერთად დგამდნენ პირველ ნაბიჯებს ქალაქთგეგმარების დარგში, ერთად შეადგინეს ბათუმისა და გორის გენერალური პროექტები. განსაკუთრებით დიდი ენერგია და სიყვარული შეაღია ლონგომ გორის რეკონსტრუქციის პროექტს; მისი ხელი განსაკუთრებით დაეტყო გორის ახლანდელ ცენტრალურ ანსამბლს; მან წიგნიც გამოსცა გორის შესახებ; ბეჟანთან ერთად აქვეყნებდა წერილებს ჩვენი ქალაქთგეგმარებისა და არქიტექტურის საკითხებზე. შემდეგ დაინტერესდა ქართული ხალხური საცხოვრებელი სახლის პრობლემებით და რამდენიმე ათეული წელი შეაღია ჯერ დარბაზის ტიპის, შემდეგ კი საერთოდ ქართული გლეხური საცხოვრებლის კვლევის საქმეს. ბევრი ნაშრომიც გამოაქვეყნა. ღია ცის ქვეშ მუზეუმიც, რომელიც თავს უყრის საქართველოს ყველა კუთხის საცხოვრებელთა ნიმუშებს, ლონგოს პროექტით გაშენდა. გადაუჭარბებელი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ დარგში — ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების მეცნიერული კვლევის საქმეში — არავის არ მიუძღვის ისეთი ამაგი, როგორიც ლონგოს. რამდენი ათეული ძეგლი გაზომა თავისი ხელით, რამდენი ნახაზი, ნახატი და მშვენიერი გრაფიურა შეასრულა, როგორი დაჟინებით იკვლევდა ვიტრუვიუსის ლათინური ტრაქტატის ცნობებს კოლხური საცხოვრებელი სახლის შესახებ, რომ დაეზუსტებინა ტექსტის გაგება და ინტერპრეტაცია, როგორი თავდაუზოგავი შრომა იცოდა, რამდენი ღამე უთენებია ამ შრომაში — ამას ჩვენ, მისი ახლობლები ვხედავდით, სხვებმა შეიძლება არც კი იცოდნენ. თითქმის ნახევარი საუკუნე ეწეოდა ლონგო პედაგოგიურ მუშაობას ჯერ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, შემდეგ სამხატვრო აკადემიაში: ასწავლიდა გეგმარებასა და არქიტექტურის საფუძვლებს. ამ მსრივაც დიდი ღვაწლი მიუძღვის, ამ საქმესაც ისევე ერთგულად ემსახურებოდა. როგორც ყველა სხვას.

ჩვენ შორის ლონგო ყველაზე უფრო ექსპანსიური და ტემპერამენტური იყო, იმპულსიურიც; ალტაცებით იცოდა ყველაფრის განცდა — მუსიკისაც, ლექსისაც, მით უფრო — სუყველაფრისა, რაც არქიტექტურას ეხებოდა, ძველსა თუ ახალს, აშკარად არღვევდა ჩვეულებრივ წარმოდგენას კახელების სიდინჯესა და აუჩქარებლობაზე. ბავშვივით ალალი, ზოგჯერ გულუბრყვილოც კი, პირში მოურიდებლად მთქმელი იყო და ამის გამო ზოგი მომღურავიც ჰყავდა. მაგრამ მის გულწრფე-

ლობაში ექვს ვერავინ შეიტანდა — რასაც იწამებდა, იმისთვის კი გამ-
მაგებით იბრძოლებდა. საიბედო, უღალატო მეგობარი იყო, ნახევარ
საუკუნეზე მეტ ხანს ვმეგობრობდით და ეს მეგობრობაც სამუდამოდ
ნათელ მოგონებად დამრჩება.

ამ ოთხთაგან უკანასკნელი ლეო რჩეულიშვილი დაგვმორდა —
1986 წლის 23 იანვარს. გული კარგა ხანია აწუხებდა, იმ დღეებში შე-
ტევაც ჰქონდა, რატომღაც არ მოერიდა, ადგა, საქმეზე წავიდა, ქუჩა-
ში: ცუდად გახდა, აფთიაქში შესვლა ძლივს მოასწრო, წაიქცა და იქვე
გათავდა. ერთი თვის შემდეგ, 27 თებერვალს, სამოცდაჩვიდმეტი წლი-
სა უნდა გამხდარიყო (მან ამ „მოგონებების“ წაკითხვაც კი მოასწრო,
როცა უშრინაღში იბეჭდებოდა).

ყველასთვის, ვინც კი მას თუნდაც შორიდან იცნობდა, ლეო კე-
თილშობილებას განასახიერებდა. მოკრძალებული კაცი იყო, თავის
ჯანოჩენა არ უყვარდა. არც არავითარი პატივმოყვარეობა არ ჰქონდა,
იბდენიც კი არა, რომ მხოლოდ სარგებლობა მოეტანა მისთვის და გან-
საკუთრებით ჩვენი საერთო საქმისათვის. უხმაუროდ იღვანა ნახევარ
საუკუნეზე მეტ ხანს. მხოლოდ მისი გარდაცვალების დღეებში გამოჩ-
ნდა, როგორ იცნობდა და აფასებდა თურმე საზოგადოება, როგორი
საყოველთაო გულწრფელი გულისტკივილი გამოიწვია მისმა სიკ-
ვდილმა. სამხატვრო აკადემიიდან გავასვენეთ, დიდი პროცესია იყო და
ამ პროცესიას არავინ ერია შემთხვევით მოსული და გულგრილი —
უამრავმა ხალხმა თავის მოვალეობად მიიჩნია უკანასკნელი პატივი
ცა მისთვის.

ლეოს მამა ძველი, გამოცდილი ინჟინერი იყო, დედა — ივანე ჯა-
ვახიშვილის და; ძმა მიხეილი (გურამ რჩეულიშვილის მამა) — მეცხო-
ველეობის ცნობილი სპეციალისტი. საშუალო განათლება ლეომ თე-
ლავეში მიიღო. თბილისში იმავე სახლში ცხოვრობდა, რომელშიც ივა-
ნე ჯავახიშვილი — კათოლიკეების ეკლესიის პირდაპირ, კალინინისა
და ახლანდელი ჩუბინაშვილის ქუჩების კუთხეში. ნახევარსარდაფის
სართულში ჰქონდათ ბინა. პრაქტიკოს-ხუროთმოძღვრად ლეომ ცოტა
ხანს იმუშავა, მაგრამ მაინც იმუშავა და რამდენიმე შენობის დაპრო-
ექტება და აგებაც კი მოასწრო. შემდეგ კი მთელი თავისი ცხოვრება
ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლას მიუძღვნა. რა თქმა უნდა,
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის (იქნებ გადამწყვეტიც!) გიორგი
ჩუბინაშვილთან დაახლოებას (შემდეგ გიორგის ქალიშვილი შეირთო
ცოლად — ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი მეგობარი რუსუდანი,

რომელიც 1975 წელს გარდაიცვალა). ლეოს დიდი დამსახურება მიუქლოდა ქართული ძეგლების მეცნიერული აზომვის საქმეში; სხვა რომ არაფერი ვახსენოთ, მისი გაზომილია, ნიკო ჩუბინაშვილთან ერთად, თვით სვეტიცხოველი (ძნელი და სახიფათო საქმე იყო: ერთხელ სახურავზე ფეხი დაუცდა, დაგორდა და, არც ვიცი, რამ გადაარჩინა). მისი ნაშრომების რიცხვი დიდი არ არის, მაგრამ რაც დაწერა და განოაქვეყნა — წიგნებიც და წერილებიც — მნიშვნელოვანია, ყოველთვის საინტერესო აზრებით დატვირთული, მაღალი პროფესიონალიზმით აღბეჭდილი. ეს არის ნაშრომები აფხაზეთის ძეგლებზე, თიღვის ტაძარზე (მისი საკანდიდატო დისერტაცია), გვიანა ფეოდალური ხანის სასახლეებსა და სხვა საერო შენობებზე, ადრეული შუა საუკუნეების განათხარ საცხოვრებელ სახლებზე... და რამდენიმე ნარკვევი და წიგნი — ტემპერამენტით დაწერილი, მხატვრული ანალიზის სიმახვილით გამორჩეული — თანამედროვე ქართველ მხატვრებზე.

ლეო კახურად დინჯი კაცი იყო, რამდენადმე ნელიც, ერთი შეხედვით აღუშფოთებელიც, ნამდვილად კი ძალიან მღელვარე დამოკიდებულება ჰქონდა მოვლენებისადმი, ადამიანებისადმი, რომელთა ბედობალი ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდა. მღელვარებამ და განცდებმა, რომლებიც ბოლო ხანებში შეხვდა, მოუსწრაფა კიდევ სიცოცხლე.

განუზომელია ლეოს ამაგი ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნეთა აღზრდის საქმეში, რომელსაც რამდენიმე ათეული წელი ემსახურა, მას შემდეგ, რაც სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიის სპეციალობა დაარსდა. ლეო სათავეში ჩაუდგა კათედრას, შეარჩია პედაგოგთა შემადგენლობა, შექმნა ნამდვილი მეგობრული კოლექტივი; ღრმად გააზრებული ჰქონდა პროგრამები, საგნები, რომლებიც უნდა ესწავლებინათ (ბრძოლის გადახდაც უხდებოდა თავისი შეხედულებებისა და პრინციპების დასაცავად). თავისი იშვიათი სიკეთისა და ტაქტის წყალობით ადვილად ინადირებდა ადამიანის გულს — უსაზღვროდ კეთილგანწყობილი იყო და სრულიად (აბსოლუტურად!) მოკლებული შურის გრძნობას. სტუდენტებისათვის უკეთეს, უფრო გულთბილ მზრუნველს ვერ ინატრებდა ადამიანი... მის ხელში გამოიარა იმ ახალგაზრდობამ, რომელსაც შემდეგ ჩვენ ვღებულობდით ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში — ყველას ეტყობოდა, რომ ნამდვილი სკოლა ჰქონდათ გამოვლილი...

ასევე, დიდზე დიდია ლეოს ღვაწლი ძეგლთა დაცვის საქმეში. თუმ-

ცა თვითონ რესტავრაციის პროექტებს ნაკლებად ადგენდა, მაგრამ მის ავტორიტეტულ სიტყვას ყოველთვის სარგებლობა მოჰქონდა.

ლუოს გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო ჩვენი საქმისთვის, ჩემთვის კი დიდი პირადი უბედურება. თუ ბეჯანთან, ვალერიანთან და (ნაწილობრივ) ლონგოსთანაც მე სამსახურის საქმიანობით მხოლოდ „შორიახლოდან“ ვიყავი დაკავშირებული, მე და ლეომ, ინსტიტუტის დაარსების დღიდან, ერთიმეორის მხარდამხარე, ხელიხელჩაკიდებულად გამოვიარეთ ჩვენი ცხოვრების გზა — 45 წელი, მის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე... თუ გაცნობის დღიდან ვიანგარიშებ — 56 წელი. ის იყო ჩემი თანამოაზრე, თანამებრძოლი (იმიტომ, რომ ჩვენ შემდეგ ბევრჯერ მოგვიხდა ბრძოლის გადატანა!), ჩემი დასაყრდენი, მრჩეველი და გამამხნეველებელი... მისი დაკარგვა ჩემთვის ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობაა... და ასევე დარჩება სულ ბოლომდე...

ტერმინოლოგიაზე მუშაობამ მაინც გარკვეული სარგებლობა მოიტანა. რამდენიმე საჭირო ტერმინი მაშინ შემოვიდა და ნელ-ნელა დამკვიდრდა, ჩვენც, ამ საქმიანობის უშუალო მონაწილეებმა, ბევრი რამ შევიძინეთ.

თუმცა მე ნამდვილი ინტერესით და მონდომებით ვმუშაობდი ჩემს სადიპლომო პროექტზე (აღრევე, ასევე მიტაცებდა საკურსო პროექტებზე მუშაობაც), მაინც მეტყობოდა, რომ შინაგანად უკვე ვცილდებოდი პრაქტიკულ შემოქმედებითს საქმიანობას და ხელოვნების ისტორიისაკენ ვიხრებოდი სულ უფრო და უფრო. მამაც ხელს უწყობდა ამ „გადახრას“. 1935 წლის იანვრიდან დავიწყე სიარული სამხატვრო აკადემიაში, სადაც შალვა ამირანაშვილმა ხელოვნების ისტორიის კათედრასთან შექმნა ჯგუფი, რომელსაც შემოდგომიდან ოფიციალური ასპირანტურის სახე უნდა მიეღო. ამ ჯგუფს შეადგენდნენ უმეტესად ახალგაზრდა, მაგრამ ჩემზე უფროსი ინტელიგენტი ქალები, ხელოვნების მოყვარულნი, რომელთაც არ ჰქონდათ პრეტენზია „ოფიციალური გაფორმებისა“ — მათი შეკრება ხელოვნების საკითხებზე ზოგადი საუბრით იფარგლებოდა. ასპირანტად, რამდენადაც მახსოვს, მართო მე ვიყავი ჩარიცხული. ბევრად უფრო გვიან შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ რეკომენდაცია ჩემთვის დავით კაკაბაძეს მოუცია. ეს, ცხადია, „ავანსი“ იყო, იმიტომ, რომ მაშინ დავითი არ მიცნობდა (მხოლოდ მესალმებოდა) და არც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა ჩემ შესახებ.

ასპირანტურაში ჩარიცხვა იმას ნიშნავდა, რომ ჩემი მომავალი გარ-

ავეულ, ხელშესახებ, თუ შეიძლება ითქვას, „მატერიალიზებულ“ სახეს ღებულობდა. მაშინ გულუბრყვილოდ მეგონა, რომ შეუძლებელი იქნებოდა საკმის შეთავსებას. დამრჩა მაშინდელი ჩანაწერი. თითქოს ერთგვარი დეკლარაცია საკუთარი თავისთვის. პათეტიკური და მაღალფარდოვანი, რაც ჩემი ხნის კაცს (მაშინ რომ ვიყავი), თანაც აღფრთოვანებულს, ეპატიება (შემდგომში ყოველთვის დაუზოგავად ვებრძოდი ამ მაღალფარდოვნებას): „ამგვარად, მე ვიმუშავე ხელოვნების ისტორიის დარგში, შევისწავლი ქართული არქიტექტურის ისტორიას! ჩემმა ბუნებამ მაინც იჩინა თავი და მაინც გადამძლია ჰუმანიტარულმა მეცნიერებამ. მაგრამ მე არასგზით არ დავანებებ თავს გეგმარებას... ხუროთმოძღვრული შემოქმედება არც ისეთი რამ არის, რომ ასე ადვილად დაუტრა მას თავი... და მე მგონია, რომ სწორედ ამ შეთავსებაში — ხუროთმოძღვრისა და ხუროთმოძღვრების ისტორიკოსისა — კარგი ნაყოფი უნდა გამოიღოს. მე ბევრს, ძალიან, ძალიან ბევრს ვიმუშავე, არ დავზოგავ თავს, ოღონდ კი ქართული არქიტექტურის ისტორიის შესწავლისათვის რაიმე სასარგებლო გავაკეთო. მე ენერჯიას მიათქცეებს ღრმა რწმენა ჩვენი ხუროთმოძღვრების დიდი მნიშვნელობისა. მე მჯერა: დადგება დრო, როცა ყველა დაინახავს, რომ ქართული ხუროთმოძღვრება, ჩვენს ლიტერატურასთან ერთად, არის უშესანიშნავესი და უძვირფასესი რამ, რაც კი თავისი არსებობის მთელ მანძილზე შეუქმნია ქართულ შემოქმედებითს გენიას, ყველა დაინახავს, რომ წარსულში ჩვენს ქვეყანას უშვია ხუროთმოძღვრების რუსთაველნი, რომელთაც საქართველო აუვისათ ქვის „ვეფხისტყაოსნებით“. და მაშინ ყველა შეიგნებს იმასაც, რომ ის ხალხი, რომელმაც ასეთი პოეტური ძეგლები შექმნა, მომავალშიაც შეძლებს მხატვრული შემოქმედების მაღალ საფეხურზე ასვლას და თავისი ნიჭის ძლიერ გამომუშავებას არანაკლებ სრულყოფილი ქმნილებებით“.

ამ პასუხის წაკითხვა მე თვითონაც გამიჭირდა, სწორედ მისი მაღალფარდოვნების გამო. მაგრამ არსებითად სადავო არაფერი მაქვს ამ აზრებთან. პირიქით, მიხარია, რომ ზოგი რამ მაინც, რაც აქ იმედის სახით არის გამოთქმული ქართული ხუროთმოძღვრების მომავალი შეფასების შესახებ, განხორციელდა კიდევ. რასაკვირველია, სულ მალე გამოირკვა, რომ მე საბოლოოდ და გამოუბრუნებლად უნდა „დავუტრა თავი“ ხუროთმოძღვრულ შემოქმედებას. ჩემი სადიპლომო პროექტი, კეთილსინდისიერად შესრულებული (სიბეჯითე ნამდვილად არ მაკლდა), ჩემი უკანასკნელი პროექტი აღმოჩნდა (დიპლომი 1936 წლის გაზაფხულზე დავიცავი. დაცვამ მშვიდობიანად ჩაიარა. განსა-

კუთრებულს; არაფერი მომხდარა და მე უფრო დამამახსოვრდა ერთი კურობი: ჩემთან ერთად იცავდა ორი კაცი. ერთ მათგანს სასტუმროს პროექტი ჰქონდა გაკეთებული. საგამოცდო კომისიის რომელიღაც წევრს აზრად მოუვიდა ეკთხა მისთვის, რა სტილისა არის თქვენი შენობაო. პასუხი ასეთი იყო: „რევერანსის სტილისა“.

3. ასპირანტურის წლები. ინსტიტუტის დაარსება

ახლანდელი ასპირანტები და ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები ვერც წარმოიდგენენ, რამდენად ძნელი იყო მაშინ ჩვენს დარგში სამეცნიერო მუშაობის დაწყება. ბიზანტიურისა და დასავლური ხელოვნების შესასწავლად ასე თუ ისე რასმე იშოვნიდი კაცი, თუმცა ილუსტრაციების მხრივ დიდი გაჭირვება იყო (ახლანდელი ფერადრეპროდუქციებიანი ალბომების მსგავსი მაშინ თითქმის არაფერი მოიძებნებოდა). ქართული ხელოვნების შესახებ კი, თუ არ ჩავთვლიდით XIX საუკუნისა და XX-ის დასაწყისის ავტორთა არქეოლოგიურ მოგზაურობებს, გამოქვეყნებული შრომების რიცხვი თითებზე ჩამოითვლებოდა, ხოლო ქართული ხელოვნების ისტორიკოსთა ჩამოსათვლელად ერთი ხელიც საკმარისი იყო: გიორგი ჩუბინაშვილი, რომლის ძირითადი გამოკვლევები ჯერ არ იყო გამოსული, დიმიტრი გორდევი, რომელიც უმეტესად მაინც იკონოგრაფიის საკითხებით იყო დაინტერესებული, და ახალგაზრდები — შალვა ამირანაშვილი (პროფესორის წოდება ჰქონდა უკვე), რენე შნერლინგი, რომლის ყველა შრომაც (ერთის გარდა) უფრო გვიან გამოქვეყნდა.

მე ისიც მირთულებდა საქმეს, რომ ხელოვნების ისტორიის საუნივერსიტეტო კურსიც არ მქონდა გავლილი, ჩემი მცირე ცოდნა ფრაგმენტული იყო, მკვიდრ საფუძველს მოკლებული. ამიტომ ძალიან მიჭირდა, მით უფრო, რომ ერთბაშად, მომზადების გარეშე კონდაკოვისა და აინალოვის წიგნების დაძლევა (პატარა თეთრ-შავი ილუსტრაციებით, რომლებიც შორეულ წარმოდგენასაც ვერ მოგცემდა რეალური ძეგლების შესახებ). მეტისმეტად მოსაწყენიც იყო და უნაყოფოც.

ასპირანტურაში ყოფნის დროს ხელოვნების ისტორიაში უმეტესად დამოუკიდებლად ვმუშაობდი. ამას გარდა, რამდენიმე სხვა სავანსაც ვსწავლობდით — დიალექტიკურ მატერიალიზმს, ძველ ქართულ ენასა და პალეოგრაფიას. ამისთვის თვით აკაკი შანიძე იყო მოწვეული. ასე რომ, მე მისგან ვისწავლე (ვატაკებით და სიხარულით) ძველი ქართუ-

ლი დამწერლობა. რა კარგი იქნებოდა, რომ მას საშუალო სკოლაშიც ასწავლიდნენ და ყველა ქართველმა იცოდეს ისე, რომ გაშტერებული არ უყურებდეს ასომთავრულ წარწერას, თითქოს ჩინური იყოს! დიდი შრომა დამჭირდა მაშინ XIX საუკუნის ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური ლიტერატურის დასაძლევად: მე თვითონ უნდა წემესწავლა საქართველოს ისტორია, მისი წყაროები, ძველი მწერლობა, გავცნობოდი მოგზაურთა თხზულებებს, ხელნაწერთა აღწერილობას, იმავე დროს, მსოფლიო ხელოვნებათმეცნიერების განვითარების ეტაპებსაც. ზოგჯერ საკონსულტაციოდ დავდიოდი გიორგი ჩუბინაშვილთანაც, რომელიც დიდი ხალისით მაძლევდა რჩევა-დარიგებას. ოღონდ კი ვინმე ენახა ქართული ხელოვნების ისტორიით დაინტერესებული და დახმარებას როგორ დაიზარებდა! საკანდიდატო დისერტაციის თემაც მან მიჩია — საენის წმინდა გიორგის ეკლესია, ზუსტად დათარიღებული და ბევრი საყურადღებო წარწერით აღჭურვილი მშვენიერი ძეგლი. თარიღიც წარწერაშია — 1046 წელი. ამას გარდა, იქ მოხსენიებულნი არიან ისტორიული პირები, იმათაც „მოვლა“ ესაჭიროებოდათ. ასე რომ, გარდა „წმინდა“ ხელოვნების ისტორიისა, აქ ფილოლოგიაც იყო და ისტორიც, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ძეგლისადმი ინტერესს და ახალგაზრდა მკვლევარსაც ასპარეზს აძლევდა თავისი საკვლევადიებო უნარის გამოსაჩენად.

ჩემთვის აუცილებელი იყო უმთავრესი ძეგლები მენახა, შეძლებ-სდაგვარად ვმოგზაურობდი, ვიწერდი, ვიხატავდი, მთავარი კი ის იყო, რომ ვეჩვეოდი ძეგლებთან „ურთიერთობის“ დამყარებას, ძეგლის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, შეიძლება ითქვას, როგორც „სუბიექტის“ გაცნობას, ან იქნებ უფრო სწორი იყოს რომ ვთქვა, შეცნობას. თუ ძეგლთან ასეთი „ურთიერთობა“ არ დამყარდა, ისე მისი ცქერა ფუჭია, მით უფრო, თუ მის შესწავლას აპირებ. ხელოვნების ისტორიკოსი, ცხადია, უნდა ახერხებდეს ძეგლის ობიექტურად შეფასებას, უნდა შეეძლოს მისი ანალიზური განჭვრეტა, მაგრამ არა მგონია აუცილებელი იყოს „ცივი ანალიზი“, სიყვარულისა და მღელვარების გარეშე. ძეგლის „შეყვარება“ ჩემი დარგის კაცისთვის ძნელი არ არის. ეს გრძნობა იმ დროიდან მოყოლებული მიღვივდებოდა და ისიც ბუნებრივია, რომ ჩემთვის, ისევე როგორც ჩემი კოლეგებისთვის, ძეგლთან ყოფნა, მასთან კონტაქტი — ნამდვილი ბედნიერებაა. რატომღაც არ მახსოვს პირველი განცდა მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის წახვისას. როგორც ჩანს, ჩვენ ყველანი ამ ძეგლებს ისე ვართ შეჩვეულნი, როგორც ახლობელ ადამიანებს, მშობლებსაც კი, და ისეთი

გრძნობა გვაქვს, რომ მათდამი სიყვარულს დასაწყისი არ ჰქონია — თითქოს ამ გრძნობით დავიბადეთ. მაგრამ მახსოვს რამდენიმე „შოკი“, როდესაც ქეგლის პირველმა ნახვამ გულისძგერა ამიტეხა და სუნთქვა შემიკრა. ასე იყო, როცა 1939 წელს პირველად შევედი წრომის ტაძრის შიგნით, როცა ვნახე ბოლნისი, სამწევრისი, ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, ბაგრატიის ტაძარი, კუმურდო, ალავერდის შიდა სივრცე, გელათი... და ბევრი სხვაც....

ასპირანტურაში ყოფნის პირველი წელი განსაკუთრებით მძიმე იყო, იმიტომ, რომ პარალელურად სადიპლომო პროექტიც უნდა მეკეთებინა. ამას ისიც დაერთო, რომ ერთ მშვენიერ დღეს შალვა ამირანაშვილმა გამომიცხადა, მე ლექციების კითხვა ინდუსტრიულ ინსტიტუტში არ შემიძლია (იხანად მიიწვიეს) და ჩემ ნაცვლად შენ უნდა წაიკითხოო. სხვა ლექტორი ვერავინ იპოვეს და სხვა გზა არ იყო, უნდა დავთანხმებულყავი. ლექციები არქიტექტურის დარგის პირველ კურსზე 1935 წლის 3 დეკემბერს დავიწყე — ეს თარიღი კარგად მახსოვს. აი მაშინ კი დამადგა ჯაფა! იხანად შეიდღლიანი კვირის ნაცვლად ექვსდღიურები იყო შემოღებული. ლექცია სამსაათიანი იყო! არ გინდოდა ამოდენა მასალის მომზადება! მე ხომ სინამდვილეში თითქმის არაფერი არ ვიცოდი და პირველად მაშინ გავიარე სისტემურად ხელოვნების ისტორიის კურსი (ისიც არა მთლიანი, რაკი ბოლომდე ვერ გავაღწიე, ვერ შევძელი მასალის ისე განაწილება, რომ მთელი პროგრამა მომესწრო). იმ ექვსდღიურიდან სამ დღეს ვანდომებდი ჩემს სადიპლომო პროექტს, სამ დღეს კი ჩემი სამსაათიანი ლექციის მომზადებას. ლიტერატურის დიდ ნაწილს (დასაწყისში — ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს შესახებ) მე თვითონ მაშინ ვეცნობოდი პირველად, ყველაფერი მაინტერესებდა, ყველაფერი მინდოდა ლექციაში ჩამეტია, მასალას ვერ ვცხრილავდი, ხელოვნების ნაწარმოებთა ანალიზის ნაცვლად დიდი ადგილი ეჭირა ისტორიას, მითებს — ამის საწინააღმდეგო კი სტუდენტებს არაფერი არ ჰქონდათ. ლექციის მთელ ტექსტს თავიდან ბოლომდე ვწერდი — ჩვეულებრივ რვეული ან რვეულნახევარი ივსებოდა, და როცა ბოლოში გავიდოდი, მთელი ტექსტი, 24—30 გვერდი, ზეპირად მახსოვდა. ლექციაზე სიტყვა-სიტყვით ვიმეორებდი ამ ტექსტს, მხოლოდ ვცდილობდი, გაზეპირებულის შთაბეჭდილება არ დარჩენილიყო. რა თქმა უნდა, საილუსტრაციო მასალა მდარე მქონდა — უმეტესწილად წიგნებში დაბეჭდილი პატარა-პატარა რეპროდუქციები. მათ საჩვენებლად აუდიტორიაში სიარული მიხდებოდა მერხების გასწვრივ.

ცხადია, ლექციების ღირსება მაღალი ვერ იქნებოდა... მაგრამ ამ ნაკლის ერთგვარი კომპენსაცია იყო ჩემი ენთუზიაზმი, ცოტა არ იყოს „აწეული ტონი“ თხრობისა. თარიღებსა და საკუთარ სახელებს ადვილად ვიმახსოვრებდი და ზოგჯერ ამითაც ვიწონებდი თავს. ლექცია სულ ერთხელ მქონდა კვირაში, მაგრამ ძალიან მეხალისებოდა სტუდენტებთან ყოფნა, ექსკურსიებსაც ვმართავდით — სვეტიცხოველში, მცხეთის ჭვარზე, უფრო შორსაც — ხცისში, წრომში; ჩამოვყალიბეთ სამეცნიერო წრე, რომლის სხდომებზედაც სტუდენტები ხალისით კითხულობდნენ დიდი მინდომებით მომზადებულ რეფერატებს არქიტექტურის ისტორიის საკითხებზე (მაგალითად, გუთურ არქიტექტურაზე, წმინდა პეტრეს ტაძარზე, როკოკოს ხელოვნებაზე და სხვ.). ერთხელ, მცხეთაში რომ ვიყავით, სტუდენტებმა ცოცხალი სურათებიც დადგეს და ფოტოსურათებიც გადაიღეს — თემები იყო მირონის „დისკობოლი“ და „ათენა და მარსიასი“, ლეონარდოს „საიდუმლო სერობა“ (ერთგვარი „სახალისო ხელოვნების ისტორია“ გამოდიოდა). დიდ კმაყოფილებას მანიჭებდა ის, რომ სტუდენტების უმეტესობა ძალიან კეთილსინდისიერად ეკიდებოდა საგნის მომზადებას, მეც არ მეზარებოდა გამოცდაზე ჯდომა, მით უფრო, როცა კარგად მიპასუხებდნენ. ასე რომ, ზოგჯერ თითო კაცის გამოკვდა 40 წუთს და ერთ საათსაც კი გრძელდებოდა (ახლა უკვე ამის აღარც საშუალება მაქვს და აღარც თავი!). მაგრამ იყო უცნაური კუროზებიც, როდესაც გამოცდაზე მოდიოდნენ ეგრეთ წოდებული „ექსტერნები“ (ახლა ამ სიტყვის ნაცვლად „დაუსწრებელი“ იხმარება). ზოგიერთის პასუხი იმდენად ფანტასტიკური და ანეკდოტური იყო, რომ ახლაც, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგაც, მახსოვს (ასეთი მაგალითები სამხატვრო აკადემიაშიაც შემხვედრია უფრო გვიან): ერთმა, მაგალითად, თქვა, რომ ფიდიასის მთავარი ნაწარმოები არის მირონი. მეორემ, როდესაც იმედგადაწყვეტილმა ვკითხე, ვინ იყვნენ მირონი, პოლიკლეტე, ფიდიასი, პრაქსიტელე, სკოპასი და ლისიპე-მეთქი, გახარებულმა მიპასუხა (იფიქრა, ეს მაინც ხომ ვიცო), ექვსივენი ფარაონები იყვნენო. ყველას მაინც სჯობდა ლეონარდოს „საიდუმლო სერობის“ აღწერა: „აქ წარმოდგენილია ქრისტე და მისი მოწაფეები ქრისტეს წამების წინა დღეს. მაგიდასთან ზილარიენ — შუაში ქრისტე და კრუჯომ მოწაფეებიო“...

მაგრამ ეს ანეკდოტური შემთხვევები, რა თქმა უნდა, არ ცვლიდა საერთო სურათს — სტუდენტების სეროზული დამოკიდებულებისას საგნისადმი. იმ ლექციებმა მე თვითონ მეტი სარგებლობა მომიტანა,

ვიდრე სტუდენტებს; მაგრამ ეს კია, რომ ჩვენ შორის კონტაქტი დამ-
ჯარდა, სამსაათიან ლექციას უძლებდნენ, თავიდანვე „მიმილეს“, რო-
გორც ლექტორი. ჩემთვის ეს მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ
ბე სულ ორი-სამი ან სამი-ოთხი წლით ვიყავი ჩემს მსმენელებზე უფ-
როსი, რამდენიმე კაცი კი სამი-ოთხი წლით ჩემზე უფროსიც იყო. რამ-
დენი დრო გავიდა მას შემდეგ — ნახევარ საუკუნეზე მეტია უკვე —
მაგრამ იმ „ჩემი“ პირველი ჯგუფის (და აგრეთვე ორი მომდევ-
ნო ჯგუფის) მიმართ განსაკუთრებული გრძნობა შემრჩა. გამორჩეული
მეგობრული გრძნობით ვიგონებ მაშინდელ სტუდენტებს, რომელთა-
გან ზოგს შედარებით ხშირად ვხვდები, ზოგს ძალიან იშვიათად (ზოგი
ცოცხალიც აღარ არის), აგრეთვე მადლობის გრძნობითაც, იმიტომ,
რომ იმათგანაც ბევრი სითბო მიგრძენია... თანაც, ჩვენ ზომ ერთნაი-
რად ახალგაზრდები ვიყავით და ერთად ვიზრდებოდით.

ინდუსტრიულ ინსტიტუტში მუშაობას 1938 წელს დავანებე თავი,
რადგანაც სამხატვრო აკადემიასთან შეთავსება აღარ მოხერხდა.

1937 წლიდან, როდესაც სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის
ფაკულტეტი აღადგინეს, იქაც მომიხდა მუშაობის დაწყება — ჯერ გი-
ორგი ჩუბინაშვილის ასისტენტად, მერე უკვე დამოუკიდებელი ლექ-
ციები მომცეს სხვა ფაკულტეტებზეც.

ფაკულტეტის ხელმძღვანელი და გვემარების კათედრის გამგე იყო
ნიკოლოზ სევეროვი, ადამიანი, რომელსაც დიდი პატივისცემით, სიყ-
ვარულით და მადლობით ვიგონებ.

თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მან საქართველოში გაატარა და
თავისი მოღვაწეობით თვალსაჩინო კვალიც დატოვა. ჭკვიანი, გაწო-
ნასწორებული კაცი იყო და როგორც არქიტექტორი, აგრეთვე, უპირ-
ველეს ყოვლისა, ჭკვიანი (ამ დარგის მოღვაწისათვის განსაკუთრებით
სასარგებლო თვისებაა). საქართველოს მუზეუმის ფასადი აშკარად
ყველაზე უკეთ გააზრებული ცდაა საზოგადოებრივ-კულტურული და-
ნიშნულების, ეროვნული მნიშვნელობის ნაგებობის მხატვრული სახის
შექმენისა; ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს (ახლა — პარტიის თბილისის
კომიტეტის) შენობა გარეგნობითაც გამოირჩევა თავის სიმარტივით,
სასიამოვნო პროპორციებით და — ეს არის მთავარი — ზედმიწევნით
მზანაშეწონილი გეგმით; ასეთივეა მისი კინოთეატრი „რუსთაველი“
თბილისში, მის მიერ შედგენილი გენერალური პროექტები კურორტე-
ბისა, საცხოვრებელი და დასასვენებელი სახლები, მათ შორის გაგრი-

სა — ერთ-ერთი უკეთესი საკურორტო ნაგებობა საქართველოში. სევეროვმა პედაგოგიური მოღვაწეობა უკვე 1922 წელს დაიწყო, იგი ერთი პირველი პროფესორთაგანი იყო ახლად გახსნილი ეროვნული სამხატვრო აკადემიისა — უკვე მაშინ ედგა სათავეში არქიტექტურის ფაკულტეტს. როგორც პროფესორი, თავისი ხსენებული თვისებების წყალობით, სტუდენტებს აჩვენდა ლოგიკურ აზროვნებას, არქიტექტურული ამოცანის მიზანშეწონილად ამოხსნას. დიდხანს ხელმძღვანელობდა სევეროვი ჩვენს არქიტექტორთა კავშირს, როგორც მისი თავმჯდომარე. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ძველი ქართული ხე-როთმოდღვრების ძეგლთა მეცნიერული ფიქსაციის საქმეშიც. იგი თავიდანვე მხარში ამოუდგა გიორგი ჩუბინაშვილს, მასთან ერთად შემოიარა საქართველოს მთა-ბარი და მრავალი დიდად მნიშვნელოვანი ძეგლი აზომა. მთავარი კი ის იყო, რომ მან გამოიმუშავა ანაზომების გრაფიკული გამოსახვის მეთოდები — ვგულისხმობ, უმთავრესად, ფასადებისა და განაკვეთების ნახაზებს. ანაზომებს სხვებიც ასრულებდნენ, მაგრამ სევეროვი პირველი იყო, რომელმაც მოგვცა, ერთი მხრივ, ძეგლთა ანალიზური გრაფიკული ასახვა — მათი ისტორიული ფენების ჩვენებით, მეორე მხრივ, ძეგლთა სტილისტიკური სახე — ერთნაირად გამოსახავდა კლასიკურ სამწევრისს, ჯვარს, წრომს, და სხვანაირად — სევეტიცხოველსა და ქვათახევს. ის გულგრილად, მექანიკურად კი არ ასრულებდა ნახაზებს, როგორც ტექნიკურ დოკუმენტს, არამედ განიცდიდა და გრძნობდა ძეგლს, მის სულს. მშვენიერი, „გემრიელი“ ხელი ჰქონდა, რასაც მოწმობს მისი თბილისური ჩანახატებიც, უმეტესად აკვარელები (არქიტექტურული, სამხატვრო განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული). ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში სევეროვი დიდხანს განაგებდა ხე-როთმოდღვრების განყოფილებას.

მასთან ურთიერთობა ადვილი და სასიამოვნო იყო. არ უყვარდა არავითარი გართულება. როცა მოხსენებას კითხულობდა ძველი ძეგლების შესახებ, ან სხვა რაიმე საკითხზე, ძალიან მარტივად გამოთქვამდა სათქმელს. ასევე უბრალოდ წყვეტდა პრაქტიკულ საკითხებსაც. ყველაფერში გარკვეულობა და სინათლე ერჩინა (ისევე, როგორც თავის შენობებში). იუმორის გრძნობა ჰქონდა, სახე კი ისეთი, თითქოს სულ მზად იყო გასაცინებლად: აპრეხილი ცხვირი, წვრილი, ძალიან ეშმაკური თვალები (მაინც კეთილისმსურველი გამომეტყველება) და წარბებიც კიდებდაპრეხილი. საკმაოდ მასიური კომპლექცია ჰქონდა, მოძრარბა — აუჩქარებელი; სანამ საქართველოში იყო (მერე აღარ მი-

ნახავს), ახალგაზრდულ იერს ინარჩუნებდა, ექსპედიციებში რომ ვიყავით ერთად, არავის არ ჩამორჩებოდა სიარულში, თუმცა წლოვანებით მაშად გვეკუთვნოდა.

ის და გიორგი ჩუბინაშვილი ნამდვილი მეგობრები იყვნენ და დიდად აფასებდნენ ერთმანეთს, თუმცა კი სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სევეროვის მიდრეკილება გამარტივებისადმი განსხვავდებოდა ჩუბინაშვილის სტილისაგან — ჩუბინაშვილს, როგორც გეცნეირს, ცხადია, სხვა სიღრმე ჰქონდა, ამას გარდა, მან რთული პერსონალობით იცოდა წერა და საუბარიც, საქმის გადვილებაც არ ეხერხებოდა. ხოლო თუ იხუმრებდა, ეს ხუმრობა პატარა გამოკვლევას ჰგავდა. სევეროვი უფრო „კონტაქტური“ კაცი იყო და როცა ისინი სადმე ექსპედიციაში იყვნენ, „საგარეო ურთიერთობა“ მას უფრო ეპარჩევებოდა. სევეროვი ძალიან თბილად (ზედმეტი სანტიმენტალობის გარეშე) გვეპყრობოდა ახალგაზრდებს, ხუროთმოძღვრული აზომვის საფუძვლები და აზომილის გრაფიკული გამოსახვა ჩვენ ყველამ მისგან ვისწავლეთ.

ჩვენთვის ყველასთვის საწყენი და გაუგებარიც იყო სევეროვის გადაწყვეტილება, რომ კიევს გადასახლებულიყო 1948 წელს, უკვე 61 წლისა. საქართველო მას გულწრფელად უყვარდა, ასევე უყვარდა ქართული ძეგლები. აქ ტოვებდა თავისი შემოქმედების ნიჟურებს, მეგობრებს, მოწაფეებს... შეიძლება გარკვეული როლი ითამაშა ოჯახმა. იქნებ იმანაც, რომ მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა ქართველი არქიტექტორები წამოიზარდნენ, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა რამდენადმე შეიზღუდა. კიევში მას შესთავაზეს უკრაინის არქიტექტურის აკადემიის აკადემიკოს-მდივნის თანამდებობა. მაგრამ არა მგონია, რომ ის მართლაც შეთვისებოდა იქაურობას. ვინც კი იგი იქ ინახულა, მეუბნებოდა, რომ მის ბინაში მხოლოდ საქართველოს სურათები იყო. არ დამავეიწყებდა, როგორი თვალცრემლიანი გამომეთხოვა... რამდენიმე წლის შემდეგ ავადმყოფობა შეეპარა, მერე, მგონი, ინსულტიც დაეცმართა. 1957 წლის იანვარში კიევში მისი დაბადების სამოცდაათი წლისთავი აღნიშნეს. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა დელეგაცია გაგზავნა — რენე შმერლინგი, თინა ვირსალაძე, შაქრო მაისურაძე, რუსუდან მეფისაშვილი (მე, სამწუხაროდ, ვერ წავედი). ჩაუტანეს საჩუქრები, მიულოცეს — ეს იყო თურმე მისთვის ყველაზე დიდი სიხარული. მესამე დღეს კი, როცა მასთან შინ მივიდნენ გამოსამშვიდობებლად, იგი გარდაცვლილი დახვდათ. და რენე შმერლინგს სიტყვის წარმოთქმა მოუხდა მის დასაფლავებაზე.

მას შემდეგ მე პედაგოგიური მუშაობა აღარ შემიწყვეტია — სამხატვრო აკადემიაში დღემდის ვკითხულობ ლექციებს. მაშინ, ოცდაათიანი წლების ბოლოს, სულ ცოტა ხანს ვასწავლიდი მარჯანიშვილის თეატრის სტუდიაში და ჩვენი კინოსტუდიის სასწავლებელში. 1939 წელს კი აკაკი ფაღავამ მიმიწვია ახლად გახსნილ თეატრალურ ინსტიტუტში. იქ რვა წელიწადი ვიმუშავე და იმ წლებმაც არსებითი კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში.

1937 წლის ივნისში მოსკოვში შედგა ხუროთმოძღვართა პირველი საკავშირო ყრილობა. ინსტიტუტმა მე გამაგზავნა „სტუმრად“. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ ყველა ჩემი ნაცნობი იქ იყო, ყოველ შემთხვევაში, ჩემი უახლოესი წრე თითქმის მთლიანად იყო „წარმოდგენილი“. ვცხოვრობდით რომელიღაც ყოფილი სემინარიის შენობაში, რომელსაც ცაკის მესამე სახლი ერქვა მაშინ, თვით ყრილობა კი კავშირების სახლის „სვეტებიან დარბაზში“ გაიმართა. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესო იყო სპეციალურად მოწყობილი ხუროთმოძღვრული გამოფენის ნახვა (ფომინი — შჩუკო — შჩუსევი — ვესნიინები და სხვანი), მუზეუმებისა და მოსკოვის სიახლოვეს მდებარე ძეგლების დათვალიერება (მოსკოვის მეზემები, კაცმა რომ თქვას, პირველად მაშინ დავათვალიერე „შეგნებულად“, გააზრებულად) და, ცხადია, გამოჩენილი არქიტექტორების ნახვა „ცოცხლად“. გარდა რუსებისა (ახლახან რომ ჩამოვთვალე) იყვნენ უცხოელებიც, მათ შორის ფრანგი ფრანსის ჟურდენი, უკვე მოხუცი, და ამერიკელი ფრანკ ლოიდ რაიტი, ერთი უდიდესი ხუროთმოძღვართაგანი XX საუკუნისა — მის გამოჩენას ყველანი გულისფანცქალით მოველოდით.

ძალიან საინტერესო მოსასმენი გამოდგა ფრანსის ჟურდენის სიტყვა. ახლა შეიძლება მის სიტყვებში ორიგინალური არაფერი გვეჩვენოს, მაგრამ ეს ხომ ნახევარი საუკუნის წინათ იყო, როდესაც საბჭოთა არქიტექტურის შემოქმედებითი გზების შესახებ სრულიად არ არსებობდა ჩამოყალიბებული აზრები, პირიქით, დიამეტრულად საწინააღმდეგო შეხედულებებიც კი ვლინდებოდა. ამას გარდა, თვით გადმოცემის ფორმა იყო მახვილი და ფრანგულად ელეგანტური.

მთავარი დებულებები ასეთი იყო: ჩვენ დღევანდელი დღის მოთხოვნებით უნდა ვცხოვრობდეთ. ყველა დროის დიდი ხუროთმოძღვრება თანამედროვე ხუროთმოძღვრება იყო. შუა საუკუნეების ტაძრებს იწყებდნენ ერთი სტილით; დრო გადიოდა, აგრძელებდნენ

სხვაგვარად... ასევე: პორტრეტთა ანტიურაჟი — სხვადასხვა ეპოქის პორტრეტებში პერსონაჟი სხვადასხვა ხუროთმოძღვრულ გარემოცვაშია ნაჩვენები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარსული უგულებელვყოთ. წარსული საზრდოა ჩვენი. და როგორც საზრდო, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, გარეგნულად არ ვვაჩნია, მისი სუბსტანცია კი ჩვენს სუბსტანციადა, ჩვენს სისხლად და ხორცად იქცევა, ერთვის ჩვენს ორგანიზმს, წარსულის მემკვიდრეობაც ასევე უნდა იქცეს ჩვენი ორგანიზმის შემადგენელ ნაწილად. იგი ამდიდრებს გონებას, სულს... მაგრამ ტრადიცია წინ უნდა მიიწევდეს და არა უკან. წინააღმდეგ შემთხვევაში დღევანდელი ადამიანი წინაისტორიულ გამოქვაბულში იცხოვრებდა... ყველაზე უკეთესი რამ, რაც შეიძლება გვასწავლოს ჩვენ დორიულმა, იონიურმა ან კორინთულმა კოლონამ: ნუ გააკეთებთ ნურც დორიულს, ნურც იონიურს, ნურც კორინთულს... და როცა საჭიროება არ მოითხოვს, კოლონას სრულიად ნუ გააკეთებთ, რადგანაც კოლონა, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკური საშუალებაა, იგი. ისევე როგორც კამარა, საჭიროების ფუნქციაა... თქვენ, ცხადია, უნდა გამოიყენოთ კაპიტალიზმის მემკვიდრეობა. მარქსი: პროლეტარიატი კაპიტალიზმის მემკვიდრეა. მაგრამ, მარქსივე: პროლეტარიატი კაპიტალიზმის მესაფლავეა. და თქვენც ნუ დაივიწყებთ თქვენს მესაფლავეობასო.

ახლა რომ ვიგონებ ამ სიტყვებს, ჩემთვის ნათელია, რომ მათი წარმოთქმა სრულიადაც არ ყოფილა ზედმეტი. ვინც იცნობს საბჭოთა არქიტექტურის ისტორიას ბოლო ათეული წლების მანძილზე, იცის ისიც, რომ ფრანსის ჟურდენის სიტყვის შემდეგ ათ წელზე მეტი არ იყო გასული, როდესაც სწორედ დორიულმა, იონიურმა და კორინთულმა კოლონებმა თითქმის წალეკეს ჩვენი არქიტექტურა — რუსეთში კიდევ უფრო მეტად, ვიდრე საქართველოში...

რიატის სიტყვა რატომღაც კარგად არ მახსოვს. მე მგონია, ყველა ისე იყო გატაცებული მისი ცქერით, რომ მაინცდამაინც არც ისმენდა მის სიტყვებს (მით უფრო, რომ, ცხადია, ინგლისურად ლაპარაკობდა). ეფექტური გარეგნობა ჰქონდა: მაღალი, ხმელი, გამართული მოხუცი (მაშინ სამოცდაათს უახლოვდებოდა), კეთილშობილი და ამაყი სახით, სუფთად ვაპარსული, თოვლივით თეთრი ლაშაზი შეველურით. ელვანტურად ჩაცმული, მაღალი გახამებული საყელოთი, რომლის მსგავსსაც, მე მგონია, უკვე აღარავინ ხმარობდა. ცოტა არ იყოს, დედაბერს კი ჰგავდა. მის სიტყვაში ჩანდა, რომ მტკიცედ შემუშავებული პრინციპები აქვს და მათს სისწორეში ეჭვი არ ეპარება. როცა დაამ-

თავრა, რატომღაც დარბაზში ჩამოვიდა, გაიარა თავიდან ბოლომდე, გასასვლელთან შემობრუნდა და ორივე ხელი გაშალა. მთელი დარბაზი, ფეხზე ამდგარი, დიდხანს უკრავდა ტაშს. არ შეიძლებოდა არ აღეღებულყოფი. ვალერიანმა კი ჩუმად ამოიხრა:

— კაცი თუ იქნები, რამე უნდა იყო მართლა, თუ არადა სულ არაფერი.

მაშინ პირველად ვნახე რუსული ხუროთმოძღვრების ძეგლები მოსკოვსა და ლენინგრადს გარეთ. დიდი შთაბეჭდილება დატოვა კალომენსკოემ, ძეგლებმაც, ბუნებამაც, მათმა ურთიერთშეხამებამაც. ვნახეთ ფილიც, ვსესვიატსკოეც, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ქალაქგარეთ იყო. მთავარი: პირველად ვნახე ხელოვნებათმცოდნის (თუნდაც დამწყების) თვალით ევროპული მხატვრობის ორიგინალები და ქანდაკებათა პირები. მაშინ ჯერ კიდევ ცალკე არსებობდა დასავლეთ ევროპის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი — შჩუკინისა და სხვათა უმდიდრესი კოლექცია, რომელიც შემდეგ პუშკინის სახელობის მუზეუმსა და ერმიტაჟს შორის განაწილდა. მოთავსებული იყო კროპოტკინის ქუჩაზე, იმ სახლში, სადაც ახლა სამხატვრო აკადემიაა... ასე რომ, ეს მოგზაურობა ჩემთვის პროფესიულადაც ძალიან სასარგებლო იყო და ძალიან სასიამოვნოც, მით უფრო, ერთად რომ ვიყავით ყველანი.

თეატრალურ ინსტიტუტში, რომელსაც თავიდანვე სათავეში ჩაუდგინენ აკაკი ხორავა და აკაკი ფაღავა (პრორექტორი იყო), პედაგოგთა ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა: „გარედან“ მიწვეულები აყვნენ არნოლდ ჩიქობავა, რევაზ ნათაძე, რომელიც ყოველთვის იტაცებდა მსმენელებს, და ქართული მწერლობის ისეთი მაღალინიჭიერი მკვლევარი, გამოჩენილი პიროვნება და პედაგოგი, როგორიც იყო გრიგოლ კიკნაძე — ასწავლიდა ქართულ ლიტერატურას; ჩვენ იქ დავმეგობრდით, შემდეგშიაც, როცა აღარც ერთი აღარ ვმუშაობდით თეატრალურ ინსტიტუტში, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს — მისი ნახვა ყოველთვის მახარებდა, მასთან საუბარი დიდ შინაგან კმაყოფილებას განიჭებდა; მან ღრმა კვალი დატოვა თავისი მოღვაწეებითაც და აღმართის თვისებებითაც; დღემდის ვინახავ მის მიმართ სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობას; იყო კიდევ რამდენიმე სხვა ლექტორიც (ახლა ყველა აღარ მაგონდება); ხოლო სპეციალურ საგნებს — მსახიობის ორატორიას, რეჟისურას, სასცენო მეტყველებას, რიტმიკას, სასცენო მოძრაობას, ფარიკაობას, გრიმს — ასწავლიდნენ: ჩემი ძველი მეგობა-



დოდო აღეკსიძე — სამხატვრო ხელმძღვანელი — ისმენს ქართული დრამატურის ახალ პიესას.



რი დიმიტრი ალექსიძე, რომელიც ასე უეცრად გამოგვეცალა ხელი-
დან 1984 წლის დეკემბერში, გიორგი ტოვსტონოგოვი, აკაკი ვასაძე,
კუკური პატარიძე, ერმილოვი, იაკუბოვსკაია, მალიკო მრეველიშვილი,
რომელმაც დიდი ამაგი დასდო სასცენო მეტყველების საგნის სწავლე-
ბას (ძალიან დამწყვიტა გული მისმა გარდაცვალებამ 1984 წლის პირ-
ველსავე დღეებში — მეგობრები ვიყავით), ლადო ადამიძე, ვალენტი-
ნა გამსახურდია (ცირკის ძველი მოღვაწის რომან გამსახურდიას ქა-
ლიშვილი, ცოცხალი, მხიარული, გულღია ადამიანი), ვალენტინა ყლენ-
ტი, გიორგი სარჩიმელიძე, კოწო ბადრიძე. თეატრის ისტორიას უძღვე-
ზოდა დიმიტრი ჯანელიძე, რომელმაც დიდად წასწია წინ ძველი ქარ-
თული თეატრის კვლევის საქმე. მასთან მე ადრევე მაკავშირებდა მე-
გობრობა — გავიცანი და დავუახლოვდი სამხატვრო აკადემიაში, ას-
პირანტობის დროს. სასწავლო ნაწილს უცვლელად განაგებდა საშა
კეკელიძე, რომელიც ორმოც წელზე მეტ ხანს ერთგულად, სიყვარულით
ემსახურა ინსტიტუტს. ერთი ყველაზე კოლორიტულ ფიგურათაგანი
პედაგოგთა შორის იყო რუსუდან მიქელაძე — რუსულის ლექტორი
და, იმავე დროს, ბიბლიოთეკის გამგე, ძველი თაობის რაფინირებული
ინტელიგენტი, მაღალკულტურული ოჯახიდან გამოსული (აკადემიკოს
ირაკლი მიქელაძისა და ძალიან ადრე დაღუპული გეოლოგისა და აღ-
პინისტის დევი მიქელაძის და იყო). ინსტიტუტის ბიბლიოთეკას მან
ჩაუყარა საფუძველი, მანვე მოუყარა თავი მის მდიდარ ფონდებს. რო-
გორც პედაგოგი, არა მგონია, რომ მეთოდური და პედანტური ყოფი-
ლიყო, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ შეეძლო დაინტერესებული (მა-
ინც გარკვეული კულტურული დონის მქონე) მსმენელი მართლაც
ეზიარებინა რუსული მწერლობისათვის (ალბათ, უფრო პოეზიისათ-
ვის — რატომღაც ასე მგონია). ახმატოვა, ბლოკი, ბრიუსოვი, ბალმონ-
ტი, სხვები მისთვის სრულიად ცოცხალი ფიგურები იყვნენ, სწორედ
მაშინ ცხოვრობდა და სწავლობდა პეტერბურგში, როდესაც მათი შე-
მოქმედება იფურჩქნებოდა. ბევრის მომსწრე და მნახველი იყო, გასა-
ოცრად გონებამახვილი და ენამოსწრებული ქალი, თითქოს მუდამ
ერთიულად მოლაპარაკე, მაგრამ სიკეთით სავსე. მარტოხელა იყო,
მაგრამ უამრავი მეგობარი ჰყავდა — მათ რიცხვს ამრავლებდნენ მისი
მოწაფეებიც. ცხოვრობდა ერთ ძველებურ სახლში, კვალისა და გერ-
ცენის ქუჩების კუთხეში, და მისი მყუდრო ბინა მუდამ იზიდავდა ხე-
ლოვნების, მწერლობისა და მეცნიერების მოღვაწეებს. ინსტიტუტში
ყველას განსაკუთრებით უყვარდა. გარდაიცვალა 1982 წელს, ოთხ-
მოცდაათ წელს მიტანებული. ძალიან დასანანია, რომ მოგონებები არ

დაუწერია. მშვენიერი მთხრობელი იყო და მოსათხრობიც ბევრი ჰქონდა.

ხორავა მტკიცე ხელით მართავდა ინსტიტუტს. იმპოზანტური ფიგურა იყო, გარეგნულადაც დიდად შთამბეჭდავი, იშვიათი სილამაზის ხმა ჰქონდა — ესეც არამცირე როლს თამაშობდა საერთო შთაბეჭდილების შექმნისათვის. მისი ემინოდათ სტუდენტებსაც და, მგონი, პედაგოგებსაც. მაგრამ, ცხადია, არსებითი იყო მისი, როგორც შემოქმედის, ავტორიტეტი — მისი დიდი მსახიობობა ურყევად სწამდათ.

აკაკი ფალავა თეატრის ფანატიკოსი იყო. როგორც ყოველ სასწავლებელში, აქაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ერთი პედანტი მაინც, რომელმაც სასწავლო პროცესის ყოველი წვრილმანი იცოდა და ყოველ საქმეში წესიერებასა და სიზუსტეს მოითხოვდა. თეატრალურ ინსტიტუტში ასეთი სწორედ აკაკი ფალავა იყო.

მსახიობის ოსტატობის პედაგოგთაგან ყველაზე ახლო გიორგი (კოკა) ტოვსტონოგოვთან ვიყავი (დედამისი პაპიტაშვილის ქალი იყო, ჯედაჩემის ძველისძველი ნაცნობი). მაშინ შედარებით ბევრი დრო მქონდა, ვესწრებოდი მის რეპეტიციებს, როცა „ჩემს“ სტუდენტებთან დგამდა სპექტაკლს, რეპეტიციების შემდეგ ყველანი ერთად დაეხეტი-ალობდით ქუჩებში. ეს რეპეტიციები გასაოცრად საინტერესო იყო, უბირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ უკვე მაშინ ტოვსტონოგოვს შესწევდა იშვიათი უნარი ნაწარმოების მთლიანად დანახვისა, მის არსში ჩაწვდომისა, უნარი უმთავრესის გამოყოფისა, ალღო სახეების „გახსნისა“. ეს მახვილი თვალის მქონე კაცი, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, ურყევი თანმიმდევრობით, „რკინის“ ლოგიკით წარმართავდა მეცადინეობას. ნათლად უსახავდა ამოცანას ყოველ მონაწილეს. ასე რომ, ყველა სტუდენტი სავსებით შევნებულად მოქმედებდა, და არა მხოლოდ ინტუიციას მინდობილი. იმავე დროს, ტემპერამენტიანი იყო და სწორედ ეს შეხამება — ანალიზური განჭვრეტის უნარისა და ემოციურობისა — იძლეოდა შესანიშნავ შედეგს. მას იმთავითვე ჰქონდა რეჟისორისათვის ფრიალ ძვირფასი თვისება — ყოველთვის გარწმუნებდა, მისი ყოველთვის გჯეროდა, იმიტომ, რომ სცენაზე სიმართლე იყო და არასოდეს არავითარი სიყალბე. ტოვსტონოგოვის მოღვაწეობამ ჩვენს ინსტიტუტში დრმა კვალი დატოვა და დიდი გავლენა მოახდინა ქართველ რეჟისორთა და მსახიობთა რამდენიმე თაობაზე. სამუდამოდ დამრჩა, როგორც ნათელი მოგონება, მის მიერ დადგმული სპექტაკლები — შექსპირის „ფუჟი აურზაური“, გოლდონის „ქორიკანა ქალეზი“, პრისტლის „დრო და კონვეის ოჯახი“, ბრუშტეინის „ცისფერი და

ვარდისფერი“ — ამ სპექტაკლებში პირველად გამობრწყინდა ბევრი ახალგაზრდა, რომლებმაც შემდეგ დაამშვენეს ჩვენი სცენა და დიდი სახელიც მოიხვეჭეს (მახსოვს სხვა პედაგოგთა დადგმებიც, მაგ., გ. ერისთავის „ძუნწი“, რომელშიც იშვიათი კომედიური სიმასვილით თამაშობდნენ ვახტანგ გოგეშვილი, გაბო დემეტრაშვილი და გიგა ავალიანი). ყოველი სტუდენტური წარმოდგენა, თუკი კარგად იყო პედაგოგის მიერ მომზადებული, დღესასწაულად იქცეოდა — თეატრში ხომ ღელვაც უფრო მწვავეა და სიხარულიც, ცრემლიც ბევრია და ბედნიერების განცდაც.

ყველასათვის, ვინც იმ წლებში სწავლობდა და ასწავლიდა თეატრალურ ინსტიტუტში, დაუვიწყარი იქნება 1942 წლის 30 იანვრის დღე, „ცისფერისა და ვარდისფერის“ მეორე წარმოდგენა, რომელსაც აკაკი ხორავამ ნამდვილი გალა-სპექტაკლის სახე მიანიჭა. დარბაზში ისეთი საზოგადოება შეიკრიბა, რომელსაც ყოველი თეატრი ინატრებს, მაგრამ ძნელად თუ ეღირსება. ინსტიტუტის თანამშრომელთა გარდა, ერთი მხრივ, ესენი იყვნენ ქართული კულტურის მოღვაწენი: იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, ნატო ვაჩნაძე და ნიკოლოზ შენგელაია, შალვა ღამბაშიძე, ნატალია ჯავახიშვილი; მეორე მხრივ — ჩამოსული ხალხი: მხატვრული კითხვის ოსტატი სურენ ქოჩარიანი, მოსკოვის სამხატვრო თეატრისა და მცირე თეატრის სახელმძღვანელო მსახიობები: თარხანოვი, კაჩალოვი, ლიტოვცევა, ხალიუტინა, მასალიტინოვა, კლიმოვი, გამოჩენილი მოცეკვავე სემიონოვა — ყველანი თბილისში გადმოხიზნულნი ომის დაწყების შემდეგ.

ამ პიესაში, რომლის მოქმედებაც რევოლუციამდელ სკოლაში წარმოებდა, თამაშობდნენ: მედეა ჩახავა, სალომე ყანჩელი, ნათელა იასლაშვილი, კატო ვაჩნაძე, მიხეილ გიჟიმყრელი, ნელი ქუთათელაძე, ვახტანგ სულაქველიძე, სერგო ისნელი, დავით ქუთათელაძე, კიდევ რამდენიმე სტუდენტი. ეს სახელები დღეს ცნობილია. თამაშობდნენ საკვირველი სიმართლითა და გულწრფელობით, ისე, რომ, გულგრილად არ შეიძლებოდა მათი ყურება. წარმოდგენის დაწყებამდე ცოცხალ-მკვდრები იყვნენ შიშისა და ღელვისაგან. იშვიათი ზეიმი იყო, როცა-მთელი დარბაზი აღტაცებით უკრავდა ტაშს, როცა კაჩალოვი ავიდა სცენაზე და მოკლე მისალოცი სიტყვა თქვა, ყველანი აცვივდნენ სცენაზე და იყო ხვევნა-კოცნა და სიხარულის ცრემლების ფრქვევა... ასეთი რამ ხომ მხოლოდ თეატრში ხდება...

ინსტიტუტულ სტუდენტებს ძალიან დაუუმეგობრდი და ეს მეგობრობა ბევრთან დღემდის შემომჩნა. აქ ეს ურთიერთობა რამდენადმე

განსხვავებული იყო, ვიდრე სხვა სასწავლებლებში — მსახიობების მე-ტრი: ემოციურობისა და მეტი უშუალოების გამო. გრძნობები „შენახული“ კი არ იყო, არამედ დაუფარავად გამოვლენილი. მე ლექციების შენდევაც ვრჩებოდი მათთან საღამოობით, ვსაუბრობდით, ვუკრავდით. მე ვხატავდი კარიკატურებს — პედაგოგებისა და სტუდენტებისას (მთელი ერთი ალბომია), ჩემთან სახლშიაც მოდიოდნენ სტუმრად... მერე ომი დაიწყო და ბევრნი ფრონტზე წავიდნენ. არ დამავიწყდება გამოთხოვება, შემდეგ მათი წერილები სამხედრო სკოლიდან — ისეთი გულთბილი და ამაღელვებელი, რომ ძნელია უცრემლოდ მათი წაკითხვა... აქ დარჩენილები საღამოობით, მეცადინეობა რომ დამთავრდებოდა, ხშირად მივდიოდით ვერის პარკში და დიდხანს ვსაუბრობდით იქაც, მთვარის შუქზე — ქალაქი ჩაბნელებული იყო. ომში წასულთაგან ბევრი აღარ დაბრუნებულა. დიდი გულისტკივილით ვიგონებ მათ... მართალი, გულწრფელი ყმაწვილები იყვნენ და ზოგი მათგანი შესანიშნავი მსახიობიც შეიძლებოდა დამდგარიყო. რამდენი ასეთი ნიჭიერი და უნიჭიერესი ახალგაზრდა შეიწირა ომმა... და როგორი შეუკავებელი, შეიძლება ითქვას, აწყვეტილი სიხარულით აღინიშნა ომის დამთავრება იმავე თეატრალურ ინსტიტუტში! სტიქიური მხიარულება იყო. ყველაზე მეტად აღმებეჭდა დოდო ალექსიძე, რომელიც, რაღაც უცნაური კოსტუმით მოსილი, გრიგალივით შემოიჭრა იმ ოთახში, სადაც შეკრებილნი ვიყავით (სწორედ შემოსრიალდა გაპრიანებულ პარკეტზე, ოთახის ერთი თავიდან მეორემდე), არ მახსოვს რა თქვა ან რა გააკეთა, მაგრამ ერთბაშად კი ასწია დღესასწაულის ტონუსი (მას ხომ იუმორის მახვილი გრძნობა და უშრეტი ხალისი ჰქონდა).

თეატრალური ინსტიტუტის წლებს ყოველთვის თბილი გრძნობით ვიგონებ... იმიტომ, რომ ჩემთვის საინტერესო და მიმზიდველი იყო თეატრალურ სამყაროსთან კონტაქტი, და იმიტომაც, რომ მაშინ იქ პედაგოგთა მშვენიერი კოლექტივი მუშაობდა საქმის სიყვარულით, იმიტომ, რომ იგრძნობოდა სტუდენტური ერთუზიანში, და კიდევ იმიტომ, რომ ახალი მეგობრების შექმნა ყოველთვის გამდიდრებს ადამიანს.

ჩემი საკანდიდატო დისერტაციის დასაწერად აუცილებელი იყო საგანის ეკლესიის შესწავლა და მისი აზომვა. ჩემთვის მართლაც ბედნიერება იყო, რომ ბეჟან ლორთქიფანიძემ მოისურვა ამ ექსპედიცია-


ში მონაწილეობა — უკეთეს თანამგზავრსა და თანამონაწილეს ვერც ვინატრებდი. ის ჩემზე ყოველმხრივ უფრო გამოცდილი იყო; ადამიანური თვისებები კი ისეთი ჰქონდა, რომ მასთან ყოფნა სრული სულიერი სიმშვიდის, თუ შეიძლება ითქვას, სულიერი სტაბილურობის განწყობილებას მიქმნიდა. დედამ აღმოაჩინა თავისი ძველი ნაცნობების ნათესავები, რომლებიც სავანეში ცხოვრობდნენ და საქმე ისე მოეწყო, რომ ჩვენ იქ ვიცხოვრებდით „სრულ პანსიონზე“.

და, აი, 1938 წლის 12 ივლისს მე და ბეჟანმა ჩავალწიეთ სავანეს. გზა საჩხერიდან სავანემდე ფეხით გავიარეთ, ბარჯი კი ორ იქაურებრავლს მოჰქონდა, სადგურზევე დავიჭირავეთ.

ჩვენი მასპინძელი აბაშიძეების ოჯახი იყო. უფრო სწორად, რაც იმ ოჯახისაგან დარჩა. მამაკაცი აღარავინ ჰყავდათ — უფროსი გარდაცვლილიყო, უმცროსი შორს იყო გადაკარგული. ჩვენ დავგვხვდნენ ამ უკანასკნელის მეუღლე და სამი პატარა შვილი — რვა-ცხრა წლის ბიჭები და დაახლოებით ერთი წლის გოგონა, ამას გარდა, სამი მოხუცი ქალი — სამოცდაათი წლის თეკლე აბაშიძე (თვითონ ჭაფარიძის ქალი), არისტოკრატიული გარეგნობის სათნო მანდილოსანი (მისი განსვენებული ქმარი, კაპიტანი, რუსეთ-ოსმალეთის ომის მონაწილე ყოფილიყო), მისი მული — აბაშიძის ქალი პეპელა, თეკლეზე რამდენიმე წლით უფროსი, შესახედავად უფრო დაბალი რანგისა, მაგრამ მკვეთრი, დამახასიათებელი პროფილით, რომელიც დანტეს პროფილს მოგაგონებდა, ოჯახის მთავარი მუშა-ძალა, ცოცხალი, ენერგიით სავსე, და მგონი მისი ბიძაშვილი, კატო აბაშიძე, უკვე ოთხმოცს გადაცილებული, პატარა, ელამი, ძალიან ხალისიანი და ენამოსწრებელი. მეზობლად ცხოვრობდა ამ სახლის პატრონის ძმა გრიშა აბაშიძე, რომელიც სკოლაში გერმანულს ასწავლიდა, ერთი ჩასკენილი, ლოყაწითელი კაცი, ზედმიწევნით გულდია, კეთილისმსურველი — ის გახდა ჩვენი მთავარი პატრონი და მეგზური იმ არემარეში.

იმ მოხუც ქალებს სულ მალე ისე შევეჩვიეთ, როგორც ახლობელ ნათესავებს. „ზალაში“ დავაბინავეს, ჩვენზე ისე ზრუნავდნენ, როგორც საკუთარ შვილებზე, გვაჰყვებდნენ, გვასმევდნენ, სალამოს კი, ჩაის შემდეგ, თუ დრო გვქონდა, ე. ი. თუ არ ვხაზავდით ან არ ვწერდით, დიდხანს ვსაუბრობდით, დიდი სიამოვნებით ვუსმენდით მათს მონაყოლს. როგორც ცოცხალი სურათი, ისე ჩამრჩა მეხსიერებაში კატოს ნამბობი გიორგი წერეთლის მამის ექვთიმეს შესახებ:

— ნამეტანი მორწმუნე კაცი იყო სწორედ, მეტიც მეტი მორწმუნე... სულ არ იშორებდა საღვთო წერილს... ჯორი ჰყავდა ერთი, დაჯდებო-



ვეკოლ ბერიძე



ალექსანდრე ჯანელიძე



გიორგი ხეჩინაშვილი



გიორგი ნაზარიშვილი



იოსებ ასლანიშვილი



ტაქნიკური ტერმინოლოგიის შექმნის
საინიციატივო ჯგუფი. 1919 წელი I რი-
გი: ივანე ბერიძე, დ. ბერეკაშვილი; II
რიგი: ვასილ კაკაბაძე, რუსუდან ნიკო-
ლაძე, გიორგი ვედვეანიშვილი; III რი-
გი: მიხეილ შალამბერიძე, გიორგი ნი-
კოლაძე, ირაკლი მკედლიშვილი.



მიხეილ პოლივექტოვი



მელიტონ ბალანჩივაძე



ქეთევან მალალაშვილი. მხატვარ დიმიტრი შევარდნაძის პორტრეტი



პენრიც პრინევსკი




დავით კაკაბაძე
ავტომობილტრეტო



დავით გველესიანი. მხატვარ თედორე ჩუდვეციის პორტრეტი

ქარგასლა მეტეხის ძირში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე



შაჰ-ისმაილის მიხედვით XVI საუკუნისა
შეტების ხელთან



ქალაქის კომუნდატორის (ძველი პაუტე-
ვატის) შენობა რუსთაველის პროს-
პექტზე, კინოთეატრ „რუსთაველის“ იდ-
გილზე



ძველი თბილისური სახლი ბარათაშვილის ქუჩაზე (ალარ არსებობს)




ძველი ფოსტის შენობა რუსთაველის პროსპექტზე, იქ, სადაც ამჟამად ახალი მოედანია



XIX საუკუნის 50-იან წლებში აგებული ქარვასლა საოპერო თეატრის დარბაზით ერევის (ახლანდელ ლენინის) მოედანზე



სამხედრო ტაძრის შენობა რუსთაველის პროსპექტზე, ახლანდელი მთაწარმის სასახლის ადგილზე.



სერათების ეროვნული გალერეა (ყოფ. „კვარტლის ტაძარი“) ძველი გალავნითურთ
რუსთაველის პროსპექტზე



I საცდელ-სამეცნიერო შრომის სკოლის VII-ბ კვლევი სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ
მეორე რიგში: მასწავლებლები ივანე ნიკორაძე, მალაქია სირაძე, დავით დონდია, ტერე-
ვეფხვაძე, იაკობ ზედგინიძე, სკოლის გამგე მიხეილ ზანდუელი, ვასილ ამღმელიშვილი, I-
15, VI. ფოტო ევანისი



ვასო აბუშელიაშვილი



დავით დონდუა



მიხეილ ზანდუკელი



იაკობ ზედგენიძე



1 სკდელ-სახეუბელი შრობის სკოლის ეფთვილი პედაგოგები და მოწაფეები ივანე რატ-
შვილის საფლავის ძეგლის გახსნაზე. 1962, 28, V.



კოტე ჯავრიშვილი



გიორგი ლომთათძე



იოსებ გრიშაშვილი



ელისაბედ ორბელიანი



კონსტანტინე ჩხეიძე



ევენია ჩერნიავსკაია
თავის მოწაფეებთან ერთად



ზონი, 1915 ან 1916 წელი.
ბერიძეების საკვარეულო



ვეკოლ ბერიძე უნივერსიტეტის დამოა-
ვრების წელს. პეტერბურგი, 1912 წ.

ვეკოლ ბერიძე და მისი მეუღლე
კატო ბერიძე



ნიკო შარი
დამიანე ჯგუშია
ივანე ყირქესალი





ალექსანდრე ნიკოლაიშვილი



ზაქარია ჭერდიანი



ხარლამპი ლლონტი

მიხეილ შავიშვილი




ჩვენი „ხელოვნებისა და მეცნიერების წრე“. I რიგი: გიორგი ლომთათიძე, ეკა გოგიჩაიშვილი, ვახტანგ ბერიძე, კოტე კვიციანიძე; II რიგი: გიორგი ვაჩნაძე, კოტე ჯავრიშვილი, გიორგი ჭოლოშვილი.






საქართველოს შთავრების სახლის საკონკრეტო პროექტი არქ. ლევან ჩანელიძისა, 1934 წ.



საქართველოს შთავრების სახლის საკონკრეტო პროექტი არქ. ვ. კოკორაინისა

საქართველოს შთავრების სასახლის საკონკრეტო პროექტი არქ. შ. ჩხევიძისა, 1933 წ.





ბეკან ლორთქიფანიძე
ვალერიან კეღია
ლონგინოს სუმბაძე





რუსუდან მიქელაძე

თამარ შაქვარიაძე

გივი ვაჩეჩილაძე

გრიგოლ კინცაძე



ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორის თანამშრომლების ჯგუფი. I რიგი: ვახტანგ ბერიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, თინათინ ვირსალაძე; II რიგი: ვახტანგ კინცაძე, რუსუდან მეფისაშვილი, რენე შმერლინგი, პარმენ ზაქარაია, ლეო რჩელიშვილი





გიორგი ჩუბინაშვილი 1942 წ.



ივანე ჯავახიშვილი



სიმონ განაშია

არნოლდ ჩიქობავე

ლევან მცხებელიშვილი



ილია აბულაძე

ნიკო ბერძენიშვილი

სიმონ ყაუხიშვილი





გიორგი წერეთელი



ირკოლონ სონდულაშვილი



რენე შმერლინგი



გიორგი ერისთავი



თინათინ ვირსალაძე



ლეო რჩეულიშვილი



სარა ბარნაველი



ზაქარია შაისურაძე



გიორგი ჩუბინაშვილი და
აკაკი შანიძე



ექვთიმე თაყაიშვილი



ნიკოლოზ ღებროვსკი




გიორგი ჩუბინაშვილი და
გიორგი ლომთათიძე



დემიტრი ხახუტაშვილი. უხუცესი ქართველი მხატვრები: სხედან იაკობ ნიკოლაძე, მოსე თოიძე, იოსებ შარლემანი; დგანან: ალექსანდრე ციმაყურიძე, ბორის შებუვევი, ნიკოლოზ კანდელაკი



იაკობ ნიკოლაძე



თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტორის კოლეჯის წევრები 1947 წ. სულან გ. გოლქელიანი, გიორგი მუხაძე, ნიკოლოზ სვეერიძე.



ვასტანგ გიორგობიანი იოსებ შარლემანის პორტრეტი



ნიკოლოზ სვეერიძე



ალექსანდრა წაჩეველი



ნიკოლოზ ჯანდელაია



ვალენტინ თოფერიაძე




სერგო კობულაძე



შოთა შიქვატაძე

ლადო გრიგოლია


უჩა ჯაფარიძე და
ვახტანგ ბერიძე



ალექსანდრე ჯავჭავაძის სახლი ქვექავაძის ქუჩაზე, 1843 წლის პროექტი. არქ. იაკ. ივანოვი





თბილისური საცხოვრებელი სახლის პროექტის ნიმუში 1842 წლისა



თბილისური საცხოვრებელი სახლის პროექტის ნიმუში 1875 წლისა



საცხოვრებელი სახლი ძველ თბილისში



რუსთაველის თეატრის შენობის პროექტი. არქიტექტორები: ტატიშჩევი და შიკ-
კეიჩი (მარცხენა მხარე და მარჯვენა მხარე)



საცხოვრებელი სახლი ძველ თბილისში



ლენის აღმართი


ქუჩა ძველ თბილისში



„მოდერნი“ სტილის
საცხოვრებელი სახლი
კონქაძის ქუჩაზე



დავით სარაჯიშვილისეული სახლი აშკა-
თად მწერალთა ქვეშირის შენობა) შახ-
ბლის ქუჩაზე



„სოლოლაკის არქიტექტურის“ ნიმუში,
სახლი ვნგელსისა და გალაკტიონის ქუ-
ჩების კუთხეში



პარიზში აღუქმებლად მიხედვით,
1959 წლის სექტემბერი



მზია გვირსავე



ირინე შიქელაძე

ლევან გოთუა

ნიკო კაცხოველი



რუსთაველის საიუბილეო დღეები 1966 წელს ზვიმის მონაწილენი ვარძიაში. წა-
ნა პლანზე. მარცხნიდან: ფრანგი მწერლები: პიერ გამარა და ივ. ვანდოზი, კს.
პანელი პოეტი ქალი მარია ტერეზა ჯეონი



1966 წლის სექტემბერი. რუსთაველის საიუბილეო დღეები. ფრანგი ქართველო-
ლოგი და ბასკოლოგი რენე ლაფონი ხელნაწერთა ინსტიტუტში



1966 წლის სექტემბერი, რუსთაველის დღეები ვარძიაში: მადლენ ბრონი, ვახტანგ ბერიძე, მარია ტერენჯა ლვონი



ნატ. ფალავანდიშვილი,
კეთილ მალალაშვილის პორტრეტი



ნატ. ფალავანდიშვილი,
ელენე ახვლედიანის პორტრეტი




ვარტან ავაკიანი



ივანე გოგინეიშვილი

ბერგამო, ქალაქის მოედანი.
მარცხნივ „პალაცო და რაჯონე“, XII ს.






ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოყენის გახსნა ქ. ბერგამოში, 1974 წლის 28 ივნისი




ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოყენის კატალოგის ყდა, ბერგამო, 1974



ძველი ქართული ხელოვნობების გამოფენა კ. ბერგაშვილი „პალატა დი ტა-
კონეში“. 1974 წლის ივნისი



ძველი ქართული ხელოვნობების
გამოფენა ქალაქ ლეჩეში,
1975 წლის იანვარი



ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა ქ. ბარიში, 1975, თებერვალი

ძველი ქართული ხეროთმოძღვრების
ვაკოფენა რომში, 1979 წლის
ზაფხული, აფიშა



ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმის მონ-
წილენი გელათში, 1977 წლის მაისი





მხატვარი ნ. მალაზონია. ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმის აფიშები

და ზედ, გაშლიდა წიგნს, მირეკავდა ნელ-ნელა და კითხულობდა... სწორედ ასე მახსოვს მე ექვთიმე, კი, შენ ნუ მომიკვდევ...

ასევე ცოცხლად იგონებდნენ მოხუცები სხვადასხვა „ჟანრულ“ სცენას თავისი წარსულიდან.

ძალიან ინტენსიურად ვმუშაობდი. გასაკეთებელი ბევრი რამ იყო: ძეგლის აზომვა, უამრავი ჩუქურთმის გადმოხატვა, წარწერების გადმოწერა და გაშიფრვა, ფოტოსურათების გადაღება. მთავარი კი იყო, რა თქმა უნდა, ძეგლის გააზრება, ზემოთ თქმულისა არ იყოს, მისი „შეცნობა“, მისი ისტორიული ფენების დადგენაც. ასე რომ, საფიქრალი არ მაკლდა, დაძაბული, „გაბმული“ ფიქრი იყო საჭირო. სურათებს ბეჟანი იღებდა და იქვე ამულავენებდა, რასაც ვავზომავდით, იმავე დღეს ვხაზავდით შესამოწმებლად, მაგრამ მაინც გვრჩებოდა დრო წიგნებისთვის, თხილიანში თავის შესაქცევადაც. ამას გარდა, ერთიორი „გასვლაც“ მოვაწყვეთ მეზობელ სოფლებში — ვავზომეთ ეხვევისა და სპეთის „ზედა მაცხოვრის“ ეკლესიები... რა აღმართებში არ ვიარეთ, რა ხეები არ გადავლახეთ, რამდენი ოფლი არ ვღვარეთ, მაგრამ რა სიხარული და ბედნიერება იყო ეს ხეტიალი იმ უმშვენიერეს ბუნებაში, რომელიც ყოველთვის ამაღლეებლად ლამაზი იყო — დილითაც, შებინდების დროსაც, მზეშიაც, წვიმაშიაც და ბურუსშიაც, დამის თევა მთის მიყრუებულ სოფლებში, სადაც ვინმე გლახი შეგვიკედლებდა ხოლმე, უცნობ ძეგლთა „აღმოჩენა“, თუნდაც ხის პატარა, ხანგრძლივი საშლოცველოებისა სადმე ტყეში, მთის კეხზე, მიტოვებული სასაფლაოების წარწერაგადაღებული ლოდებით...

ჩვენი ჩასვლის ამბავი სწრაფად მოედო სოფელს და განსაკუთრებით ხანში შესული ქალების დიდი ინტერესი გამოიწვია. ხმა გავარდა, რომ ეკლესიების აღსადგენად ვიყავით მისული. გვჭირდებოდა დიპლომატიური საუბრის გამართვა, რომ იმ მოხუცი ქალებისთვის გული არ დაგვეწყვიტა და არც არავითარი დაპირება არ მიგვეცა — რას უნდა დაეპირებოდით? ზოგიერთებმა ჩვენს მასპინძლებსაც კი მიმართეს, ვეიშუამდგომლეთ თქვენს სტუმრებთან, იქნებ წირვა-ლოცვა აღგვიდგინოთო. პეპელა სიცილით კვდებოდა — ვინ კითხავს, ბატონო, ამათ მღვდლის მოყვანას, რომელი ეპისკოპოსები ესენი არიანო.

ეკლესიების დიდი ნაწილი მოუვლელი იყო, შიგნით ნაგავი — ძველი ხატებისა და წიგნების ნაფლეთებიდა ეყარა. როცა ეხვევაში გრიშა აბაშიძემ ერთ გლახს უსაყვედურა, რატომ არ მოუარა სოფელმა ეკლესიას, რატომ დაკარგეთ ძველი წიგნები, ეს ხომ ისტორიული ძეგლიაო, იმან უპასუხა: — ახლა რომ ასე გველაპარაკებით აქ, ჩემო ბა-

ტონო, უწინ იმისთანა ხალხი იყო მთავრობად, რომ მაგას ვერ გააცხადებდნი... რა მოხელე ნაჩაღნიკია ეს რომაა აგერ, ეს ნახატებიო (ქარის საპირეზე მიგვითითა), დავანგრიოთ და გავაფუჭოთ სუყორიფელიო... გახსნეს და გეიტანეს წიგნებიც... ზოგი ქვე დაქარგეს და ზოგ-ზოგი ქვე აქვთ გადამაღული.

რა უნდა გვეთქვა, არგუმენტაცია საფუძვლიანი იყო (იმ გლეხს უცნაური სახელი ერქვა — მანძულა). მაგრამ ამ მიტოვებულ ეკლესიებში ზოგჯერ შეიძლებოდა საინტერესო რამ აღმოგეჩინა. იმავე ზაფხულს, როცა სავანეში მუშაობა მოვათავეთ და საჩხერის ზემოთ აუუყევით სოფლებს ყვირილის ასწვრივ, სოფელ ღონასთან დავინახეთ პატარა ეკლესია, რომლის შესახებაც არავითარი ცნობა არ გავგაჩნდა. რა გვექნა, გვერდს ხომ ვერ ავუვლიდით, ავედით იმ საკმაოდ მალალ ბორცვზე ხვნეშითა და ვივაგლახით (სასტიკად ცხელოდა) და ძალიან დავლონდით, როცა XIX საუკუნის ყოვლად უინტერესო, ხისკამარინი სამლოცველო შეგვჩაჩა. შიგნით აქაც ნაგვის მთელი პირამიდი იყო. გაბრაზებულმა ბეჟანმა ფეხი ჰკრა ამ პირამიდს და იქიდან გადმოვარდა მაგარ შავ ყდაში ჩასმული და მშვენიერად შენახული წიგნი. აღმოჩნდა — არც მეტი და არც ნაკლები — ვახტანგ VI-ის სტამბაში 1710 წელს დაბეჭდილი „კონდაკი“, ქართული სტამბის პირველი ოსტატის „მიხაილ სტეფანესშვილის უნგრო-ვლახელის“ წინასიტყვაობით და მისივე ცნობილი რუმინული მინაწერით (ისიც ქართული ასოებითაა). მერე თბილისში რომ მოვიკითხე ბიბლიოგრაფიულ ცნობარებში, გამოიჩინა, რომ ამ წიგნის ტირაჟისა დღემდის მხოლოდ შვიდი გადარჩენილი ცალია აღნუსხული. თვით სავანის ეკლესიაში ვიპოვეთ ზიარებათა დავთრიდან ამოგლეჯილი ფურცლები. ერთ-ერთზე სწორედ ჩვენი მასპინძლები და მათი ოჯახის სხვა წევრები აღმოჩნდნენ. მოხუცი კატო კმაყოფილი დარჩა: აღარც კი მახსოვდა, რა ხნის ვიყავი და ახლა შევიტყვეო. თანაც ბევრი იცინა, რა მეშველება, რომ გამამხილეთ, ხომ აღარავინ მითხოვსო.

მაგრამ ჩვენი ძველი ეკლესიების დოკუმენტაციის, კერძოდ, დაბადება-გარდაცვალების დავთრების ასეთი განიავება სრულიად არ არის სასაცილო. ევროპაში ხომ ამ დავთრების მიხედვით შეგიძლია აღადგინო ოთხასი-ხუთასი წლის წინანდელი და კიდევ უფრო აღრინდელი ფაქტები, საინტერესო ისტორიულ პირთა ბიოგრაფიის მომენტები... ჩვენთან კი მასალის დიდი ნაწილი გამოუბრუნებლად დაიქარგა...

საინტერესოა ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულება ძეგლებზე, გადმოცემები, ლეგენდები. რომ გაცხრილო, ზოგჯერ მოიძებნება

რეალური ფაქტების ანარეკლი. სავანის ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში ნათქვამია, რომ ეკლესიის მშენებელმა გიორგი ერისთავთ-ერისთავმა „ამის ეკლესიისა ნახევარი“ სავანის სოფელს მისცა, რადგანაც შენების დროს სოფელი მას „თანადაუდგა“, ე. ი. ნივთიერად დაეხმარა. აღმოსავლეთის ფასადზე, სწორედ ამ წარწერის ქვემოთ, ორი ბრტყელი ორნამენტული დისკოა ამოკვეთილი. აი რა სახე მიიღო ამ ფაქტებმა ხალხურ გადმოცემაში (ეს პეპელამ მიაძმო): თურმე, ამ ეკლესიას რომ აშენებდნენ, ხალხს მოჰქონდა შესაწირავად, ვისაც რა ჰქონდა... ერთი დედაბერი ყოფილა, ქვეყანაზე არაფერი არ გააჩნდა, მაგრამ მაინც უნდოდა იმასაც რამე მიეტანა. გაუკეთებია ხაჭაპურები და მიუტანილა. „ჰოდა იმ ბერძენს ქე გამოუჰქანდაკებია ის ხაჭაპურები კედელზე“. კი მაგრამ, რატომ მაინცაღამაინც „ბერძენს“-მეთქი, რომ ვკითხე, მიპასუხა — აბა ჩვენებურს საიდან ეცოდინებოდა იმ დროს მაგის გაკეთებო. დამახასიათებელი არ არის ეს თავისებური ქედმოდრეკა უცხოელისა და უცხოურის წინაშე? ეს ფსიქოლოგიური ფენომენიც ცალკე კვლევის ღირსია!

სავანიდან წამოსვლა გვიძძიმდა, ისე შევეჩვიეთ იქაურობასა და იქაურებს. თუ რამე მაქვს ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული სიბოთი და სიყვარულით მოსაგონარი, ერთი უპირველესთაგანი სავანეში იმ წელს გატარებული სამი კვირაა.

იქიდან რამდენიმე დღით საჩხერეში გადავბარგდით კინო ჰოლოშვილის მშობლების სახლში. მიყრუებული სავანის შემდეგ იქ უკვე ქალაქში ვიგრძენით თავი. კინოს მამა სევერიანე ჰოლოშვილი ცნობილი და დიდად პატივცემული ექიმი იყო. ერთსართულიანი მშვენიერი სახლი ჰქონდათ — დიდი ოთახებით, სარდაფით, ქალაქურად გამართული. კინოც იქ იყო. იმ რამდენიმე დღეს განსაკუთრებული ყურადღება არ მოგვკლებია. საჩხერიდან ყოველდღე დავდიოდით ძეგლების სანახავად. საკმაოდ შორს გვიწევდა წასვლა, რა თქმა უნდა, ფეხით. ბატონი სევერიანე თან გვატანდა ერთ მოსუც კაცს, რომელსაც ხურჯინით მოჰქონდა ჩვენი საგზალი. ძალიან საინტერესოდ და სასარგებლოდ გავატარეთ ის დღეები. ჯერ ხომ თვით საჩხერე იყო დიდად მიმზიდველი — წერეთლების ძველებური სასახლეებით. მხოლოდ დაუდევრობა კი არა, დანაშაულია, რომ ეს სასახლეები ჩვენს დროს გაპარტახდა და დაინგრა. მათი გამოყენება ხომ პრაქტიკულადაც შეუძლებოდა, ამას გარდა, ეს ხომ ჩვენებური საცხოვრებელი სახლის ისტორიული განვითარების გარკვეული საფეხურის შესანიშნავი ნიმუშები იყო. გადარჩა მხოლოდ აკაკისეული სახლი სხეიტორში, ისიც

ინიტომ, რომ აკაკისა იყო. მაშინ, 1938 წელს, ჯერ კიდევ სულს ღაფავდა რამდენიმე ასეთი სასახლე.

იმ ხუთ თუ ექვს დღეში ბევრი საყურადღებო რამ ვნახეთ: ჭალაში აბაშიძეების პატარა სამლოცველო მე-16 საუკუნის დასაწყისისა, შიგნით ერთიანად ავსებული აბაშიძეთა პორტრეტებით. რა მეტყველი, რა ცოცხალი პორტრეტებია, რა დამახასიათებელი სახეებია — დაჭყეტილი თვალებით, ყურებამდე გადაგრეხილი უღვაშებით, ქალები ნაწნავეებით და ლამაზი თვალ-წარბით! გამომეტყველება — სიამაყისა და გულუბრყვილო კმაყოფილების შეზავება... და მიუხედავად მხატვრის შემზღუდველი კანონებისა და რეცეპტებისა, ყველა რომ ინდივიდუალიზებულია, ყველას თავისი სახე რომ აქვს!.. აბაშ აბაშიძე, ლომინ აბაშიძე, იანქო აბაშიძე, კეკელუცა, გულნარა... იქიდან წამოსვლა აღარ მინდოდა და სულ ვცდილობდი წარმომედგინა ის წუთები, როდესაც ახლად მოხატულ კარის ეკლესიაში, რომლის კედლებსაც ჯერ კიდევ საღებავის სუნი ასდიოდა, პირველად შევიდნენ საკუთარი ხატების სახილველად ოჯახის მეთაური თავადი აბაში, მისი ოჯახის წევრნი და ამაღა. როგორი რეაქცია უნდა ჰქონოდათ, როგორ მოეწონათ თავისი თავი მანდილოსნებს, ხომ არ ჩაესახა რომელიმე მათგანს შური — ის ქალი ჩემზე უფრო ლამაზად არის დახატულიო? რა უთხრეს მხატვარს, ან ვინ იყო თვით ის მხატვარი?

ვნახეთ ჭალის მეორე ეკლესიაც, ვიყავით მღვიმევეში, კაცხში (რომელსაც მე 1945 წელს დავუბრუნდი), ჯრუჭის მონასტერში, რომელიც ძალიან ლამაზი ხეობის სიღრმეში მდებარეობს. ეს ჯრუჭულას ხეობაა. იქიდან ვზა რაჭაში გადადის. ქვემოთ, მონასტრის ძირში, სამი მდინარე ერთვის ერთმანეთს: ჯრუჭულა, ფასკანარა, წყალფენილა. გარშემო ტყით დაფარული მთებია. საჩხერიდან 10—12 კილომეტრი გავიარეთ ადვილად, დაუღლელად. ჯრუჭის ეკლესია ბევრჯერ არის გადაკეთებული, ძალიან ნაწვალები და ძნელად გასაგებია. დღემდის არ არის შესწავლილი. წინათ ცოცხალი ცენტრი იყო, წერეთლებისა და ფალავანდიშვილების საგვარეულო სამარხი, მონასტერი. იმ დროს უკვე მიტოვებული და ერთი მცველის ამარა დარჩენილი. დღემდის გაკვირვებით ვიგონებ იმ მცველს, 82 წლის სპირიდონ სიუსივაძეს, ლამაზ, მხნე, გონებაგახსნილ კაცს, მშენებელ ოსტატს, იქაური სამრეკლოს ამგებს. სა-საუზმოდ სწორედ იმ სამრეკლოს მეორე სართულზე ავძვერით — ჩვენ გაკირვებით, ის სულ ადვილად (კიბე არ იყო). კინო სადღეგრძელოებს წარმოთქვამდა — ძველი ოსტატებისას, რომლებიც ასეთ ეკლესიებს აშენებდნენ საქართველოში, იმ მიცვალებულთა მოსახსენებელს, ვინც

რქ არის დასაფლავებული. სპირიდონმა ჩაურთო ერთი წინადადება, რომელმაც გამოაცხადა: „გაუმარჯოს კარგ, გრძნობიერ ოსტატს“. ეს „გრძნობიერი ოსტატი“ ძალიან მკაფიოდ აღმებეჭდა მეხსიერებაში — მრავლისმეტყველი სიტყვები იყო. იმ სპირიდონის ბედი მაინტერესებდა. თურმე ოთხმოცდაათს გადაცილებული გარდაიცვალა: შექვიფიანებული ყოფილა და ბონდიდან მდინარეში ჩავარდნილა.

ის ზაფხული, ასე ბედნიერად გატარებული, ჩემთვის ცუდად დამთავრდა. მე და ბეჟანი 11 აგვისტოს დავბრუნდით თბილისში. თვის ბოლოს კი მამა და დედა დააპატიმრეს. თითქოს 1937-მა წელმა კიდევ ერთხელ მოიქნია კული. იმ ორი წლის განმავლობაში, სანამ ისინი დაბრუნდებოდნენ (დედა 1940 წლის აგვისტოში დაბრუნდა, მამა — შვიმოდგომამზე), ჩემი ცხოვრება, რა თქმა უნდა, სულ სხვაგვარად მიმდინარეობდა. მე ვცხოვრობდი მანინასთან, რომელიც ყოველთვის ძალიან ახლობელი იყო ჩემთვის, მაშინ კი დედობაც გამოიწია და მამობაც. ის რომ არა, არ ვიცი, როგორ წავიდოდა ჩემი საქმე. ის წლები მისთვის, ცხადია, განსაკუთრებით მძიმე იყო — სკოლაში ყოველდღიურ სიარულს ემატებოდა ჩემზე ყოველდღიური ზრუნვა, რომ აღარაფერი ითქვას სულიერ განწყობილებაზე. მაგრამ მის სამსახურებრივ საქმიანობას ეს ოდნავაც არ დასტყობია. მანინა პედაგოგთა იმ კატეგორიას (იმ თაობას!) ეკუთვნოდა, რომლისთვისაც მასწავლებლობა უწმინდეს მოვალეობას შეადგენდა, სკოლა კი წმინდა ტაძარი იყო. პასუხისმგებლობის გრძნობა უკიდურესად ჰქონდა გავლენიანი. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურა სკოლას და, დარწმუნებული ვარ, არასოდეს გაუცდენია გაკვეთილი, არც დაუგვიანია გაკვეთილზე, თუ მძიმედ არ იყო ავად, არასოდეს გულგრილად არ მოპყრობია არც ერთ სასკოლო დავალებას, არასოდეს არ უცდია ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა ან სასხვათაშორისოდ მოჰკიდებოდა თავის მოვალეობას. როგორ იკადრებდა თავისი პედაგოგიური „მიღწევების“ უკეთ წარმოსაჩენად, უკეთესი „აკადემიური შედეგებისათვის“ რაიმე შეღავათი მიეცა მოწაფისთვის, როგორმე გაეადვილებინა გამოცდები! რაც უფრო ჰეტად უყვარდა მოწაფე, მით უფრო მეტს სთხოვდა მას. მოწაფეები კი მართლაც განსაკუთრებით უყვარდა, მოწაფეებით ამავობდა. ხშირად მაჩვენებდა ხოლმე მათს საკონტროლო ნამუშევრებს — ადვილად დარწმუნდებოდა, რა მაღალი იყო მისი აღზრდილების წიგნიერების დონე, იგრძნობოდა ნამდვილი პროფესიონალი პედაგოგის ხელი; ხელ-

მღვანელობდა სასკოლო საღამოებს, ხელნაწერი კრებულებისა და ჟურნალების გამოცემას (მე. დამრჩა ერთი ასეთი კრებული „ხევსურები და ხევსურეთი“, მოწაფეთა მიერ შედგენილი სერიოზული ეთნოგრაფიული ნარკვევით და შალვა ძნელაძის ძალიან თავისებური ილუსტრაციებით — შალვა ხატვას ასწავლიდა მესამე საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში). შეიძლება ითქვას, რომ მთელი თავისი ცხოვრება მანინამ სკოლას შესწირა*.

მეც განვაგრძობდი სამსახურს — ლექციების კითხვას სამხატვრო აკადემიასა და თეატრალურ ინსტიტუტში, თავაულებლად ვმუშაობდი დისერტაციაზე. ვმუშაობდი სახლში და საჯარო ბიბლიოთეკაში, რაკი მამას ბიბლიოთეკა აღარ მქონდა, ჩემი წიგნები კი დახვავებული იყო ერთ ჯურღმულში, რომელიც მომიჩინეს ჩვენი ბინის ნაცვლად. ბიბლიოთეკაში ისეთი მრჩეველი და მზრუნველი მყავდა, რომ მის ამაგს ვერასოდეს დაევიწყებ. ეს იყო ყოველი ქართველოლოგის მეგობარი და პატრონი — თამარ მაჭავარიანი, ქართული წიგნისა და პერიოდიკის დარგში ენციკლოპედიური ცოდნის მქონე, ჩვენი ეროვნული კულტურის უანგარო, დიდად დასაფასებელი მოღვაწე. ამხანაგებისა და მეგობრებისაგან სითბო და ხელისშეწყობა არ მომკლებია, ყველაზე ხშირად კი იმ წლებში ბეჟანისა და რუსიკოს ოჯახში ვაფარებდი თავს. ასევე მუდამ მხარში მედგა ჩვენი ოჯახის ახლობელი და საყვარელი მეგობარი ინჟინერი გრიგოლ ჩხეიძე.

მამინ ჩემთვის გაჩნდა მიზიდულობის კიდევ ერთი ცენტრი — ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“, სადაც გიორგი ჩუბინაშვილი არქიტექტურის განყოფილების გამგედ დაინიშნა. იქ უკვე თავი მოიყარეს ჩემმა მეგობრებმა და ამხანაგებმა — ლეო რჩეულიშვილმა, რუსუდან მეფისაშვილმა, ვახტანგ ცინცაძემ, ნიკო ჩუბინაშვილმა — გიორგის ვაჟმა; მათთანვე იყო რენე შმერლინგი — იგი იქ გავიცანი და იმ დროიდან დავუმეგობრდი, ისევე როგორც თინა ვირსალაძეს, რომელიც ფურწერის განყოფილებაში მუშაობდა. არსებითად ეს იყო ის ბირთვი, რომელმაც შემდეგ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი შეაღგინა. ყველანი ინტენსიურად და მეთოდურად მუშაობდნენ და მათთან ურთიერთობა (თითქმის ყოველდღიური) ჩემთვის ყოველმხრივ მნიშვნელოვანი და არსებითი იყო (ჩვენი საერთო მეგობრები იყვნენ მუზეუმის დირექტორის მოადგილე ბოდლო ემსვარი, დიდად თავაზი-

* მამიდა გარდაიცვალა 1959 წლის აპრილში, ხანგრძლივი გტანჯველი ავადმყოფობის შემდეგ — პარკინსონის დაავადება სჭირდა და აგონია ორ თვეს გავრძელდა.

ანი და კეთილგანწყობილი კაცი, და საქმეთა მმართველი ვერა აგრბა, იშვიათი სიკეთისა და გულისხმეირების აღამიანი — შემდეგ ენიმკის ბიბლიოთეკაში იყო თანამშრომლად).

„სავანე“ იყო ჩემი პირველი მეცნიერული ნაშრომი, ხოლო თვით სავანის ტაძარი — პირველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც გამოვიკვლიე. ავია თუ კარგია, ის ნაშრომი მაინც პირველია და განსაკუთრებული გატაცებით ვწერდი.

დისერტაციის დაცვა 1940 წლის 22 ივნისს შედგა უნივერსიტეტში, 103-ე აუდიტორიაში. ხალხი ბევრი მოვიდა: ჩემი სკოლისა და ინსტიტუტის ამხანაგები, „მეტეხელები“, არქიტექტორები, მხატვრები, ნათესავები, მამას კოლეგები, სხვა ნაცნობები. ოპონენტებად იყვნენ გიორგი ჩუბინაშვილი და შალვა ამირანაშვილი, სამეცნიერო ხარისხის მქონე ორად-ორი ქართველი ხელოვნების ისტორიკოსი. ჩემი დისერტაცია პირველი საკანდიდატო დისერტაცია იყო ხელოვნების ისტორიის დარგში. შალვა ამირანაშვილს შედარებით მოკლე რეცენზია ჰქონდა, გიორგი ჩუბინაშვილმა, რომელსაც არავითარი შეღავათი არ სწამდა არასოდეს — საათი და ოცი წუთი ილაპარაკა ფრიად საფუძვლიანად. სწორედ ამიტომ, დაცვამ სერიოზული ხასიათი მიიღო. ახლაც სიამოვნებით და სიამაყითაც ვიგონებ, რომ დაცვას ესწრებოდნენ ივანე ჯავახიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ნამორაძე (თავმჯდომარეობდა), სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჩიტაია, ნიკო ბერძენიშვილი, თამარ ლომოური, იასე ცინცაძე, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი.

ოპონენტების შენიშვნები არ ეხებოდა ძირითად დებულებებს. ზოგ: რამ მათ არც შეეძლოთ შეენიშნათ: ბევრად უფრო გვიან მე თვითონ აღმოვაჩინე, რომ ერთი თუ ორი წარწერა სწორად არ მქონია გადმოღებული, იმიტომ, რომ გადმოწერისას კიბე ვერ ვიშოვე და ქვემოდან ზოგი რამ რიგიანად ვერ გავარჩიე. საერთო კეთილგანწყობილებას, ალბათ, ხელს უწყობდა ჩემი მაშინდელი მდგომარეობაც. ჩემი სკოლის ამხანაგები კი განსაკუთრებით მხიარულად მომაცილებდნენ უნივერსიტეტიდან. ვახტანგ გომელაურმა ლექსიც კი გამოთქვა იქვე, ქუჩაში: „უკან მოგვდეკს დისერტანტი, ჰკვიანია, როგორც კანტი“. ყველაზე მეტი იმ საღამოს განიცადა, რა თქმა უნდა, მამიდაჩემმა, მაგრამ ყველაზე ბედნიერიც ის იყო.



ივანე ბერიტაშვილი



ლევან გოციელი

როცა ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარს ვიხსენებ, ერთი სასიამოვნო მოგონებათაგანია რამდენიმე ზაფხული, გატარებული ციხისძირში, უნივერსიტეტის დასასვენებელ სახლში, რომელსაც „კასტელამ-მარე“ ერქვა. შავი ზღვის სანაპიროზე, ალბათ, ბევრი არ არის ასეთი ლამაზი ადგილი. მაღალი, შვეული კლდოვანი ნაპირი და ზედ დაკიდული სახლი. ჯერ მხოლოდ ძველი პატარა სახლი იყო, მერე უფრო დიდი კორპუსიც ააშენეს. ძნელი წარმოსადგენია ბუნების სილამაზის უფრო მაღალი გამოვლინება, ვიდრე ზღვაზე მზის ჩასვლაა — ასეა იქაც, ციხისძირშიც. მარტო ამის სანახავად ღირდა იქ ყოფნა... და ის უხვი, სტიქიურად მოხეტიაელი მცენარეულობა, რომლითაც სანაპიროა დაფარული — იქაურობა ბუნების სასწაულად მეჩვენებოდა.

მაგრამ ციხისძირში, სადაც მე ჩემ მშობლებთან ერთად ვიყავი

1935-37 წლებში, მარტო ბუნების სილამაზე კი არ მიზიდავდა. იქ ძალიან საინტერესო ხალხი იყრიდა თავს: მეცნიერთა უფროსი თაობა — იუსტინე აბულაძე, ლეონ მელიქსეთ-ბეგი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ნიორაძე, ივანე ბერიტაშვილი, სიმონ ყიფშიძე, უფრო ახალგაზრდენი — არნოლდ ჩიქობავა, კოტე ბაქრაძე, გიორგი წერეთელი, პაატა გეგუშვილი, ლევან გოკიელი, სოლომონ იორდანიშვილი, კიდევ უფრო ახალგაზრდები — ილია ვეკუა, გოგი გვახარია, დავით დოლიძე, ალექსი ვორგიძე, შოთა ძიძიგური... ესენი ყველანი ერთადროულად არ ყოფილან, მაგრამ ყოველ ზაფხულს მაინც ხალისიანი კომპანია იყრიდა თავს. იყვნენ ჩემი ტოლებიც. როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, იყო გაუთავებელი ხუმრობა, მხიარულება, მახვილსიტყვაობაში შეჯიბრება. შალვა ნუცუბიძეს თავისი ენამახვილობისთვის ფართო ასპარეზი ჰქონდა, კოტე ბაქრაძე „სპორტული პროგრამის“ (ფრენბურთის) შთამაგონებელი იყო; ლევან გოკიელის გულიანი ხითხითი ახლაც ყურში ჩამესმის (თვითონაც ჰქონდა იუმორის გრძნობა, უყვარდა სასაცილო ამბების მოყოლა, ბავშვივით მხიარულობდა — როგორი მშვიდველი კაცი იყო, როგორი ღრმა კულტურა და განათლება ჰქონდა!); ილია ვეკუას, რომელიც ჯერ კიდევ დოცენტი იყო, მისივე კოლეგები საგანგებოდ იხსენიებდნენ, როგორც ვამორჩეული ნიჭის ადამიანს. ივანე ბერიტაშვილი არავის არ ეკარებოდა, თავისთვის დადიოდა ჩუმად. ერთადერთხელ ვნახე გაზალისებული, როდესაც ვიღაც ბავშვმა ერთი გომბეშო უპოვა — თურმე საგანგებოდ საინტერესო ეგზემპლარი ყოფილიყო ექსპერიმენტისთვის. იმდენად იყო გახარებული, რომ ეზოდან საგანგებოდ ამიყვანა მეორე სართულზე (მარტო მე — სხვა არავინ შეხვდა იმ წუთში) იმ გომბეშოს საჩვენებლად: სახეგაბრწყინებულმა შემხვდა მხოლოდ, არაფერი უთქვამს.

იუსტინე აბულაძე ანეკდოტურად დაბნეული კაცი იყო, რაც, ცხადია, აგრეთვე იწვევდა მხიარულებას. ერთხელ ვიღაცამ ჰკითხა: — ბატონო იუსტინე, თქვენ ვაყს რა ჰქვია? — რომელს ბატონო, ვასიკოს? ვასიკო ჰქვია, ბატონო... — ერთხელ გიორგი ნიორაძისთან ერთად დიდხანს იჯდა ზღვის ნაპირას და ჩუმად გაპყურებდა ბათუმს, რომელიც იქიდან შორეულ ბურუსში ჩანს; კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ კი დაასკვნა: — ძალიან ქალაქია ეს სტამბოლი... მერე, შორს კი არაა, ჩვიდმეტე კილოგრამი იქნება სულ!

მე იქაც, ბორჯომისა არ იყოს, ვიჯერე გული პორტრეტების ხატვით, ბევრი ვხატე კარიკატურაც — საამისოდ იქ მშვენიერი ობიექტები იყვნენ (მარტო ბერიტაშვილი რად ღირდა!). ამასაც თავისებური

წვლილი შეჰქონდა საერთო მხიარულებაში... ერთხელ თუ ორჯერ იქიდან გურიაშიც ვიმგზავრეთ, ვნახეთ შემოქმედის მონასტერი, ვიყავით ქობულეთშიაც, სადაც „ლინეიკით“ გადავსერეთ მთელი მთავარი მრავალკილომეტრიანი ქუჩა და ეს ექსკურსანტი დოცენტები და პროფესორები ისეთ ყრიაშულში იყვნენ (ლევან გოკიელმა თქვა — ვისაც რა უნდა, ის იმდეროს და, ვნახოთ, რა გამოვაო), რომ იქაური მოსახლეობა განცვიფრებული გვაყოლებდა თვალს. მერე, 1939—1940 წლებში, მე კიდევ ორჯერ ვიყავი ციხისძირში, უკვე მარტო. ყველაფერი მომწონდა იქ, მხოლოდ ისტორიული ძეგლები მაკლდა. ციხისძირის ციხე, რომელიც მიჩნეულია პეტრას ციხედ, ამორფული მასაა, გაუთხრელად უინტერესო. თანაც — უყეთესი ვერაფერი მოიფიქრეს და ზედვე მან შენეს ლიმონარიუმი.

რა სამწუხაროა, რომ ბევრი მაშინდელი ნაცნობი და მეგობარი აღარ არის, რომ ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ახალგაზრდა დაგვშორდა, ან, თუ ახალგაზრდა არა, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში.

იმავე ხანებს, ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარს, უკავშირდება აგრეთვე რამდენიმე ფრიად სასიამოვნო თეატრალური მოგონება — მარჯანიშვილის თეატრის ზოგი სპექტაკლი, დადგმული ვასო ყუშიტაშვილის მიერ: რუი-ბლაზი, „ჩატეხილი ხიდი“ (რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ვასო გოძიაშვილის ისედაც დიდი პოპულარობის უფრო მეტად გაზრდას — მის მიერ შესრულებული ლუარსაბ თათქარიძის როლი ყველას ემახსოვრება, ვისაც კი უნახავს), განსაკუთრებით კი „ფიგაროს ქორწინება“, სტილის მახვილი გრძნობით ხორცშესხმული. ყუშიტაშვილი სწორედ იმ ხანებში, მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ, დაბრუნდა უცხოეთიდან, სადაც კარგა ხანს მოღვაწეობდა (საფრანგეთსა და ამერიკაში). მარალი კულტურისა და დახვეწილი გემოვნების კაცი იყო, პირად ურთიერთობაში — მომხიბვლელი, ძალიან თავისებური იუმორის მქონე. გავიცანი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, როცა ინსტიტუტში მივიწვიეთ კონსულტანტად — საკურსო პროექტის თემად თეატრის შენობა გვქონდა და საქმის მცოდნე გვჭირდებოდა. მარჯანიშვილის თეატრს მან უეჭველად კეთილი კვალი დაამჩნია, მაგრამ მე მგონია (და ძალიან მენანება!), რომ მას — ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო — არ მიეცა შესაძლებლობა მთლიანად გამოემყდენებინა თავისი ნიჭი. ადრეც გარდაიცვალა, სამოცზე ცოტა მეტი წლისა.

ჩემი და ბევრი ჩემი მეგობრის მაშინდელი „კულტურული ცხოვრების“ კიდევ ერთი აუცილებელი კომპონენტი იყო სიმფონიური კონ-

ცერტები ოპერის თეატრში, ყოველ ორშაბათს. ახალგაზრდები ქანდა-
რაზე ვიყრიდით თავს, მუსიკასაც ხომ ვისმენდით, და დროსაც მზა-
რულად ვატარებდით. მაშინ ეს „ორშაბათები“ მტკიცე ტრადიციად
იყო დამკვიდრებული, სიმფონიურ მუსიკას თავისი ერთგული აუდი-
ტორია ჰყავდა, დარბაზში ცარიელ ადგილს ვერ ნახავდი. სამწუხაროა,
რომ ეს ტრადიცია გაწყდა და დღეს სერიოზული მუსიკის კონკერტზე
დარბაზის შევსება პრობლემად იქცა!

1940 წლის მეორე ნახევარი პირადად ჩემთვის სასიხარულო იყო,
მაგრამ ჩვენს საზოგადოებასა და კულტურას მან დიდი მწუხარება
მოუტანა: 18 ნოემბერს გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი. ეს ადამი-
ანი. განსაკუთრებული პატივისცემისა და სიყვარულის შარავანდით მო-
სილი, ადამიანი, რომელსაც ყველა შეჰყურებდა, როგორც მსწავლე-
ბულს, როგორც ჩვენი მეცნიერების პატრიარქს, სულ სამოცდაოთხი
წლისა იყო. ოცდათორმეტი წლისამ მან გამოსცა „ქართული ერის
ისტორიის“ I ტომი, რომლითაც ახალი ეტაპი დაიწყო ქართულ ისტო-
რიოგრაფიაში; ორმოცდაორი წლისამ დააარსა ჩვენი ეროვნული უნი-
ვერსიტეტი; თავისი სიცოცხლის მანძილზე, როგორც მეცნიერმა და
საზოგადო მოღვაწემ გააკეთა იმდენი, რამდენიც მთელ თაობას ეყო-
ფოდა. რა თქმა უნდა, თავისი პიროვნული თვისებებითაც იგი განსა-
კუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა. ახლა რამდენიც უნდა ვწეროთ
მის შესახებ, მის ღვაწლს კი აღვწერთ და დავაფასებთ, მაგრამ მიახ-
ლოებითაც ვერ გადმოვცემთ მის მომჭადოებელ ძალას, მის სულიერ
სიმდიდრესა და სილამაზეს. ივანე ჯავახიშვილის სიკვდილი მთელმა
ქართულმა საზოგადოებამ განიცადა, როგორც ეროვნული უბედურე-
ბა... მაგრამ მისი ნაშრომისა და ნაღვაწის გავლენა მას შემდეგ ოდნავ არ
შენელებულა და არც შენელებდა. იგი 21 ნოემბერს დაკრძალეს, ერ-
თი კვირის შემდეგ კი, 28-სა და 30 ნოემბერს, გაიხსნა არმაზის ნეკრო-
პოლის აკლდამები, რომლებშიაც დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი
ნივთები აღმოჩნდა. იმ წუთებში, როდესაც იქ თავმოყრილი ხალხი
ჭერ გულისფანცქალით ელოდა აკლდამების გახსნას, შემდეგ კი გო-
ცბელი და აღფრთოვანებული შესცქეროდა იმ ნივთებს, რომელთაც
თარამეტი საუკუნის შემდეგ პირველად იხილეს მზის სინათლე, რა
თქმა უნდა, ყველას ივანე ჯავახიშვილის სახე ედგა თვალწინ. რა უსა-
მართლოება იყო, რომ ის ვერ მოესწრო ამ ნივთების ნახვას და ვერ გა-
ნიცადა ის სიხარული, რომელიც მას ყველაზე მეტად ჰქონდა დამსა-
ხურებელი.

როცა ამ ადამიანს ვახსენებ, არ შემიძლია არ მოვიგონო 1938 წლის

25 მაისის საღამო, რომელიც მიედევნა უნივერსიტეტის დაარსების 20 წლისთავს. ივანე ჯავახიშვილმა (მას მთელი დარბაზი აღფრთოვანებით შეეგება) წაიკითხა დიდად საინტერესო და ამაღელვებელი მოხსენება. მე იმავე საღამოს ჩავიწერე მისი ეს სიტყვები, რომლებიც განსაკუთრებით მომხვდა გულს: „მე არასოდეს არ მწამდა და არც ახლა მწამს ხელისშემშლელი პირობები. როცა ადამიანს სურს რისამე გაკეთება, როცა მას უყვარს თავისი საქმე და თავისი ხალხი, იგი არ შეუშინდება არავითარ დაბრკოლებას, არავითარ სიძნელეს და მწოლიარე ავადმყოფიც რომ იყოს, მაინც მიალწევს მიზანს. ხოლო თუ ადამიანს არ უყვარს თავისი საქმე, თუ ადამიანი გულცივია, იგი ვერასოდეს ვერაფერს ვერ გააკეთებს“ (კრების დამთავრების შემდეგ საპროფესოროში, სადაც ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი, შალვა ნუცუბიძე ამბობდა: — საქართველოში რომ კაცმა მოხსენება წაიკითხოს იმისთანა საქმის შესახებ, რომელიც თავიდან ბოლომდე მისი ხელითაა გაკეთებული, და არც ერთხელ არ ახსენოს თავისი თავი!).

არქიტექტურის დარგში მაშინ ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა მეტეხის მუზეუმის პროექტის კონკურსი. პროექტები, არსებითად მეტეხის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის (დარეჯანის სასახლის ჩათვლით) რეკონსტრუქციას ითვალისწინებდა. ჩვენი ცხოველი დაინტერესება იმითაც იყო გამოწვეული, რომ კონკურსში სევეროვთან, კალაშნიკოვთან და სხვა ავტორებთან ერთად, ჩვენი ამხანაგებიც მონაწილეობდნენ, ე. ი. ქართველი არქიტექტორების ახალი თაობა: მიხეილ ჩხიკვაძე, ლონგო სუმბაძე, ვიაჩესლავ ქორქაშვილი, ვანო ჩხენკელი, ეახა ჯავახიშვილი, დიმიტრი ლეჟეთაძე. გაიმარჯვა გიორგი ლეჟეთას პროექტმა, რომელიც ალბათ, მართლა სჯობდა ყოველს. მაგრამ კარგია, რომ არც ის განხორციელებულა. დღეს ჩვენ სულ სხვაგვარად ვუყურებთ ისტორიული უბნების ხელშეუხებლობის საკითხს. იმ პროექტით კი ძველ თბილისს, რომელიც ისედაც საკმარისზე მეტად დაზარალდა, უპნიშვნელოვანესი ნაწილი გამოაკლდებოდა.

მე ჯერ დისერტაცია არ მქონდა დაცული, როდესაც უკვე დავიწყებ მოშობა ახალ თემაზე. მას ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებასთან კავშირი არ მქონდა. ეხებოდა სიმონ კლდიაშვილს, ევროპული განათლების მქონე პირველ ქართველ ხუროთმოძღვარს, რომელმაც თავისი სახელი უკვდავყო ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის, ე. ი. ჩვენი უნივერსიტეტის, შენობის აგებით. მას ბევრი საცხოვრებელი სახლიც

პრონდა აშენებული, მათ შორის ილია ჭავჭავაძის სახლიც ახლანდელ
ორჯონიძის ქუჩაზე; მისივე სამხატვრო აკადემიის შენობის მარცხე-
ნა ნახევრის (ქობულაშვილებისეული ნახევრის) გადაკეთებული ფასა-
ლი. პროექტების უმეტესობა კი რატომღაც განუხორციელებელი დარ-
ჩა. ამას გარდა, ის ექსპედიციებში ახლდა ექვთიმე თაყაიშვილს და
სამხრეთ საქართველოს ბევრი ძეგლი გაზომა, მათ შორის ბანას ტაძარ-
იც, იყო მასთან ერთად სვანეთშიც. ყველა, ვინც მას იცნობდა. ერთ-
ხმად ამბობდა, რომ არაჩვეულებრივად სიმპათიური კაცი იყო (მისი
ოჯახიდან სხვა მოღვაწეებიც გამოვიდნენ — მისი ძმა იყო ქიმიკოსი
საბა კლდიაშვილი, რომელიც ოდესაში მოკლეს და რომლის დაკრძალ-
ვაც ქუთაისში მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციად იქცა; და
წევითლინე იყო, დედა კი ცნობილი ქველმოქმედი და სცენისმოყვარე
ფერო კლდიაშვილი, ყიფიანის ქალი). სიმონი ახალგაზრდა გარდაიც-
ვალა. ორმოცდათხუთმეტი წლისა, 1920 წელს.

მისი ღვაწლი და მისი ბედი ისედაც მიზიდავდა, ხოლო რაკი საიუ-
ბლეო თარიღიც სრულდებოდა — გარდაცვალების ოცი წელი, გადავ-
წყვიტე რაიმე დამეწერა. შემოვიარე მისი ნაცნობები — მაშინ ჯერ კი-
დეც ბევრი იყო ცოცხალი, მათ შორის კათალიკოსი კალისტრატე ცინ-
ცაძე, რომელიც ოდესღაც ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა (მასთან
იროდიონ სონდულაშვილმა მიმიყვანა) — მან საინტერესო მასალები
მომცა; ვიყავი მის დასთანაც. ვისაც კი შეეძლო, ყველა ხალისით მეხ-
მარებოდა. ფილიპე გოგიჩაიშვილის მეუღლემ — ნიკო ცხვედაძის ქა-
ლიშვილმა ელენემ, ჩვენი ეკას დედამ, მომცა ფოტოსურათები შენო-
ბის ფასადთა ნახაზებისა, კლდიაშვილის ორი წერილი, რაღაც ხარჭთ-
ადრიცხვა. ბევრი ვიმუშავე თბილისის საქალაქო არქივში, სადაც მის
რამდენსამე პროექტს მივაგენი. მერე ქუჩებში დაეხეტიალობდი და ამ
პროექტების მიხედვით აშენებული ორიოდვე სახლიც აღმოვაჩინე. მა-
გალითად სახლი № 17 მელიქიშვილის ქუჩაზე. არქივის დირექტორი
ნათლად დალაგებული ჭკუის კაცი არ იყო. ჯერ დამტანჯა ბიუროკრა-
ტიული გართულებებით, მთხოვდა „ზემდგომი“ ორგანოების ნებარ-
თვას („საშიში საქმეა, რა ვიცი მე, რამდენი კაცი რა მოხსენებას წაი-
კითხავს ამ ჩვენი მასალებით... მერე რო გამოეკიდოს პარტია და ხე-
ლისუფლება, რა ექნა მე? აჰ, დამეთხუე, თუ ძმა ხარ, რას მერჩი?“).
როცა მივუტანე, ჩემს განცხადებას დაადო რეზოლუცია — რატომღაც
რუსულად — რომლის მსგავსიც არც მანამდის მენახა და არც შემდეგ
მინახავს. თანაც ისე კი არ დააწერა, როგორც ჩვეულებრივ აწერენ
ხოლმე — ზემო კუთხეში, 45°-ით დახრილად; ჩემი განცხადება შეაბ-

რუნა 90°-ით და მთლიანად „გადაუარა“ მას: „Прекратить все работы по архиву и переключиться на обслуживание товарища Беридзе“. ამ რეზოლუციამ შემაფიქრინა, მაგრამ მერე ყველაფერი მშვიდობიანად ჩატარდა, დირექტორი „დამიმეგობრდა“ და ზოგჯერ თავის შინაურ ამბებსაც კი მანდობდა (ვინმე რომ მოიცილდეს და რეზოლუციების კოლექციას მოაგროვებდეს, ალბათ ბევრ საინტერესო რასმე წააწყდებოდა). მოხსენება 1941 წლის აპრილში წავიკითხე არქიტექტორთა კავშირის მიერ მოწვეულ კრებაზე ხელოვნების მუშაკთა სახლში. ბევრი ხალხი მოგროვდა, მათ შორის კლდიაშვილის ნაცნობები და თანამშრომლებიც. კრება ჩუბინაშვილმა გახსნა შესავალი სიტყვით, ჩემ შემდეგ კი დიმიტრი ეპიტაშვილმა წაიკითხა მოგონებები. ძალიან გამახარა პროფესორმა პოლიევექტოვმა, იშვიათი გულისხმიერების ადამიანმა, რომელმაც არ დაიხარა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ დაერეკა ჩემთვის და გამამხნევებელი სიტყვები ეთქვა — ბევრი გომრომიანო. ნაშრომის გამოქვეყნება დაგვიანდა — მოკლე წერილი „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა 1945 წელს, სიმონის გარდაცვალების 25 წლის თავზე, მთელი ნარკვევი კი, რომელიც საარქივო მასალასაც შეიცავს, 1948 წელს უნივერსიტეტის „შრომებში“.

იმხანად არქიტექტორთა კავშირის კარგი ტრადიცია ჰქონდა: ექსკურსიებს აწყობდა ხურმოთმოძღვრულ ძეგლებზე, არა მარტო თბილისის ახლომახლო, არამედ დასავლეთ საქართველოშიც — ქუთაის-გელათში, ნიკორწმინდაში. ნიკორწმინდაში ოქტომბრის მიწურულში თუ ნოემბერში წავედით, და არ ვიცი რამ უფრო ამაღელვა — თვით ტაძარმა, თუ ნაქერალას ქედმა — ტყე ერთიანად წითელი და ოქროსფერი იყო. იშვიათად მინახავს ასეთი ფანტასტიკური სილამაზე. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სამშვილდის პირველმა ნახვამ. „ჩვენ“ თითქმის სრული შემადგენლობით ვიყავით — ლეო, ბეჟანი, რუსიკო, რუსუდან მეფისაშვილი, ნიუტა გოგელია, თინა ვირსალაძე, რენე შპერლინგი და, ამათ გარდა, უფროსები — ლეონ მელიქსეთ ბეგი, მუდამ ცოცხალი, მოძრავი, ფაცურა, დიმიტრი გორდევი და ანატოლი კალგინი. ვისაც სამშვილდე უნახავს, დამეთანხმება, რომ გარდა თვით ნაქალაქარის ანსამბლისა და დიდებული სიონისა, საკვირველია თვით ბუნებაც — მკაცრი, გრანდიოზული, შვეული კლდეებით, ორი მდინარის ღრმა კანიონებით. იმ დღეს განსაკუთრებით დამამახსოვრდა კალგინი, რომელიც ყოველთვის იხყრობდა ყურადღებას თავისი გარეგნობითაც და ქცევითაც. კალგინს ძალიან დიდი დამსახურება აქვს ქართული ხელოვნების წინაშე. გარდა იმისა, რომ ის არის ავტორი რევო-

ლუციამდელი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაგებობისა, მისი განაშენიანება ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციებში ტოკლარჯეთის უმნიშვნელოვანესი ძეგლები—ბანა (კლდისაშვილის შემდეგ), ოშკი, იშხანი, ხახული, ბევრი სხვა. ჩვენს დროს, გარდა ზაპესის კომპლექსისა, მას, მგონი, არც არაფერი აუშენებია, მაგრამ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, ბევრ ახალგაზრდას უწევდა კონსულტაციას საპროექტო ინსტიტუტში, კონკურსებშიაც იღებდა მონაწილეობას. თვითონ კალგინი ვერ ხაზავდა ძლიერი სიბეცის გამო — ძალიან სქელმინიან სათვალეს ატარებდა — მისი ანაზომების მიხედვით ნახაზები სხვისი შესრულებულია. ცოლი ქართველი ჰყავდა, ლიტერატორი ქალი დარია ვედრებისელი. შვილი არ ჰყოლიათ.



ანატოლი კალგინი

მაღალი და მასიური კაცი იყო, სრულიად მელოტი, მოგრძო თავის ქალით, მოკლე ჭადარა უღვაშებითა და ბულანყეთი. თვალები იმ სათვალის უკან არც უჩანდა, მაგრამ რაც ჩანდა — ორი წვრილი ზოლი იყო მხოლოდ. გადაკვრა უყვარდა, ლაპარაკში შეეძლო ბილწისიტყვაობაც შეერია, ძლიერი ტემპერამენტი და „ფეთქალი“ ხასიათი ჰქონდა. ქართული ძეგლები აშკარად უყვარდა (არ შეიძლებოდა, რომ არ ჰყვარებოდა) და ყოველთვის, როცა ძეგლთან ვიყავით, ძალიან ექსპანსიურად გამოხატავდა თავის განწყობილებას. ასე იყო ბოლნისში, რომელიც, ცხადია, ბევრჯერ ჰქონდა ნანახი და მაინც ვერ ფარავდა აღფრთოვანებას მისი კედლების ფერის გამო. სამშვილდეში კი, სიონთან რომ მივედით, როცა მე ვუთხარი — Анатолий Николаевич, не правда-ли, чудесная вещь?, თითქოს მართლაც აფეთქდა: — Поразительная! Изумительная! Смертельная! და პაუზის შემდეგ: — Ой-ой-ой, матушки! სრულიად გასაგები რეაქცია იყო, მისი გამოხატვა კი საესეებით კალგინისეული. არც ისე ხნიერი იყო, როცა გარდაიცვალა, სამოცდარვა წლისა, 1943 წლის აპრილში. მე მომიხდა,

ჩემს სიცოცხლეში პირველად, სიტყვის წარმოთქმა გამოსვენების წინ. მცხეთაში წავასვენეთ და სამთავროს ტაძრის გალავანში დავეკრძალეთ მეუღლის გვერდით. თვითონ ისურვა ასე. არ არის ცუდი განსასვენებელი ადგილი ძველი ხუროთმოძღვრების მოყვარულისა და რომანტიკოსისთვის!

1941 წელს, ომის დაწყებამდე ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო, რა თქმა უნდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება, თებერვლის თვეში. ბუნებრივია, რომ ყველა დიდად იყო დაინტერესებული აკადემიკოსთა პირველი შემადგენლობით, აკადემიის წინამდებარე საქმიანობით: ყველას ესმოდა, რომ ქართული მეცნიერების წინაშე ახალი პერსპექტივები ისახებოდა.

პირველი სესია, რომლის პირველი სხდომაც აკადემიის საზეიმო გახსნას მოასწავებდა, 27 თებერვალს შედგა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში. დარბაზი ერთიანად ავსებული იყო; პრეზიდიუმში, ჩვენებთან ერთად, ისხდნენ მოსალოცად ჩამოსულნი ოტო შმიდტი, იოსებ ორბელი, უკრაინელი პალადინი, აზერბაიჯანელი თოფჩიბაშევი. საზეიმო განწყობილება იყო, და როდესაც ნიკო მუსხელიშვილმა გამოაცხადა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ სესიას გახსნილად ვაცხადებო, მთელი დარბაზი წამოდგა და ოვაცია დიდხანს გრძელდებოდა. ღირსსახსოვარი დღე იყო. და ყველა ივანე ჯავახიშვილზე ფიქრობდა.

ორი დღის შემდეგ კი, სამხატვრო აკადემიაში, ლექცია რომ დაამთავრა, ჩუბინაშვილმა შემომთავაზა მუშაობა ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორში, რომლის დაარსებაც უკვე გადაწყვეტილი იყო (თავდაპირველად, სანამ ინსტიტუტად გადაკეთდებოდა, ასე იწოდებოდა). გავიდა კიდევ ოცი დღე და კვლავ სამხატვრო აკადემიაში მანვე მითხრა, როგორც ჩემთვის ცნობილი რამ, ნამდვილად კი სრულიად მოულოდნელი ამბავი: რომ ჩემი დანიშვნა სექტორის სწავლულ მდივნად უკვე შეთანხმებული იყო სათანადო ინსტანციებში.

ამით გადაიშალა ახალი ფურცელი ჩემს ცხოვრებაში. ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ხანგრძლივი.

1. ჩვენი ინსტიტუტი. პირველი წლები

ახლად შექმნილ მეცნიერებათა აკადემიაში რამდენიმე ჰუმანიტარულ ინსტიტუტთან ერთად შეიქმნა ორი სექტორი — ფსიქოლოგიისა, რომლის ხელმძღვანელადაც დაინიშნა დიმიტრი უზნაძე, და ქართული ხელოვნების ისტორიისა, გიორგი ჩუბინაშვილის მეთაურობით.

ჩვენი სექტორი ერთგვარი შერწყმის შედეგი იყო: მასში შევიდა მანამდის არსებული რუსთაველის მუზეუმი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ედგა ლევან მუსხელიშვილი; მას ეწოდა მატერიალური კულტურის განყოფილება. მის შემადგენლობაში, მუსხელიშვილის გარდა, რომელიც, ბუნებრივია, გამგედ დაინიშნა, შედიოდნენ ელენე ეგნატაშვილი, სარა ბარნაველი, შალვა ხიდაშელი, ვახტანგ ჯაფარიძე და ფოტოთეიის გამგე ირინე ჯაფარიძე; იქიდანვე გადმოვიდნენ ბულალტერი ვანო შაფაქიძე, მოლარე თამარ ნოდია და შიკრიკი — მოხუცი არშაკა, რომლის გვარიც აღარ მახსოვს. მცორე განყოფილება, საკუთრივ ხელოვნების ისტორიისა, შედგენილი იქნა ხელოვნების მუზეუმ „მეტეხიდან“ გადმოყვანილი თანამშრომლებისგან. ესენი იყვნენ რენე შმერლინგი, თინა ვირსალაძე, ლეო რჩეულიშვილი, რუსუდან მეფვისაშვილი და ვახტანგ ცინცაძე. ამ ორ კოლექტივს „გარედან“ დავემატე მე. ბიბლიოთეკის გამგედ მოიწვიეს ნატალია ელიავა, გიორგი ჩუბინაშვილის ნაცნობი და მეგობარი ჯერ კიდევ პეტერბურგის დროიდან, პეტრე და სერგო ქავთარაძეების და, ძალიან პატარა, გასაოცრად დინამიკური ქალი, თუმცა კი უკვე ხანდაზმული. მალე შემოგვემატნენ ნიკო ჩუბინაშვილი, ზაქარია მაისურაძე და საქმეთა მმართველი ბაბო აღნიაშვილი. ზაქარია, რომელსაც ყველანი შაქროს ვეძახდით, და ვახტანგი ფრონტუზედაც იყვნენ, მაგრამ დაუბრუნდნენ ინსტიტუტს, ვახტანგ ჯაფარიძე და შალვა ხიდაშელი კი

სამხედრო სამსახურის შემდეგ ჩვენთან აღარ დაბრუნებულან — ვახტანგი არქეოლოგიას გაჰყვა და დღესაც წარმატებით მოღვაწეობს შუა საუკუნეების ნივთიერი კულტურის კვლევის დარგში, შალვა კი თავის თავდაპირველ სპეციალობას — ფილოსოფიას — დაუბრუნდა და ბევრი რამ გააკეთა ძველი ქართული ფილოსოფიური აზროვნების შესასწავლად.

ჩვენმა სექტორმა ბინა თავიდანვე საქართველოს მუზეუმის შენობაში დაიდო. დროთა განმავლობაში, შექმნილი ვითარების მიხედვით, ხან წინა — საგამოფენო — კორპუსში ვიყავით და პირველი სართულის მარჯვენა ორი დარბაზი გვეჭირა, ხან უკანაში, კეცხოველის ქუჩის მხარეს, სადაც მუზეუმის დირექცია, მეცნიერ მუშაკთა ოთახები და საცავებია.

ინსტიტუტის (სექტორის) დაარსების ოფიციალურ თარიღად 1941 წლის პირველი აპრილი ითვლება (შემდეგ ხუმრობით ხშირად ვამბობდით ხოლმე, რომ ჩვენ სიმართლისათვის ვიბრძვით, თუმცა კი ტყუილის დღეს ვართ დაბადებულნი). მაგრამ ნამდვილად მუშაობას 19 აპრილს შევუდექით; იმ დღეს მე, მანამდის განებივრებული საკმაოდ თავისუფალი რეჟიმით, დილის ცხრის ნახევარზე გამოვცხადდი ჩემს ახალ რეასათიან სამსახურში. უნდა გამოვტყდე, რომ იმ პირველ დღეს — გვიან აღგომას რომ ვიყავი მიჩვეული — მთელი დღე მეძინებოდა. თანაც მდივნის თანამდებობაც მაშინებდა... მაგრამ ყველაფერს მალე მივეჩვიე, ამ ახალმა დიდმა საქმემ ყველანი ჩავვითრია. გიორგი ჩუბინაშვილმა მოგვიყარა თავი და გაგვაცნო ჩვენი სამუშაო გეგმა, რომელმაც იმთავითვე ენთუზიაზმი შთაგებერა: ექსპედიციები, მასალის დამუშავება, გამოკვლევების წერა, საქართველოს ძეგლთა სრული კარტოთეკა, ქართული წარწერების კორპუსი, საკუთარი ნაბეჭდი ორგანო...

ინსტიტუტის დაარსების შემდეგ ორმოც წელზე მეტი გავიდა და ახლა გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ბევრი რამ, რაც თავიდანვე დაისახა — შესრულდა კიდევ. ექსპედიციებიც ყოველწლიურად ეწყობოდა, უამრავი ახალი ფაქტი იქნა მოპოვებული, ბევრი მონოგრაფია და განმარტებული ხასიათის ნაშრომიც დაიწერა, ინსტიტუტის ნაბეჭდი ორგანოც დაარსდა, ეწყობოდა სამეცნიერო სესიები და კონფერენციები... ინსტიტუტი გაიზარდა, მისი მუშაობის მასშტაბი გაფართოვდა და უკვე ბევრი რამ ისეთიც არის მიღწეული, რაზედაც მაშინ, ინსტიტუტის დაარსებისას, ჩვენი პატარა კოლექტივი ოცნებასაც ვერ გაბედავდა.

თუ ინსტიტუტის სიცოცხლის უნარი აღმოაჩნდა, თუ მან იხარა, ეს იწითაც აიხსნება, რომ ის ცარიელ ადგილზე არ შექმნილა, მისი დაარსება მომწიფებულიც იყო და აუცილებელიც — მას ნიადაგიც მომზადებული ჰქონდა და ფესვებიც გადგმული. უკვე XIX საუკუნის მეცნიერებმა ჩაუყარეს საფუძველი ქართულ სიძველეთა კვლევას — ქართველებმა, უცხოელებმა, შემდეგ რუსებიც ჩაერთნენ ამ საქმიანობაში... საქმარისია რამდენიმე სახელის გახსენება: დიუბუა დე მონპერე, მარი ბროსე და მისი მულმივი თანაშემწე და კორესპონდენტი დიმიტრი მელვინეთსუცისისშვილი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, გრიგოლ გაგარინი, ნიკოდიმე კონდაკოვი, პრასკოვია უვაროვა, არქიტექტურის აკადემიკოსი პავლინოვი, თედო ყორდანი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი და სხვა ქართველი ისტორიკოსები, რომლებიც წერილობით საბუთებს უყრიდნენ თავს... მერე საეკლესიო მუზეუმი, მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოება და მისი ნაბეჭდი სერია *Материалы по археологии Кавказа*, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაარსებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, სხვა ქართული საზოგადოებები... ვინ მოთვლის მათს ფასდაუდებელ ღვაწლს, ან ვის შეუძლია მთლიანად დახატოს თუნდაც მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილის თავდადება, მისი გიგანტური შრომა სამშობლოსათვის... მეცნიერთ უნდა დაეუმატოთ ის არქიტექტორებიც, რომელთაც თავის დროზე ბევრი ქართული ძეგლი აზოღეს და რომელთა ნახაზებსაც დღეს, მრავალ შემთხვევაში, პირველი წყაროს მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე ის ფოტოგრაფებიც, რომელთა უამრავი ძვირფასი ფოტოდოკუმენტით შეგვინარჩუნეს ქართულ ძეგლთა სახე — უპირველესად, ალექსანდრე როინაშვილი და დიმიტრი ერმაკოვი...

მათი ნაშრომ-ნაღვაწის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა შემდგომი ნაბიჯების გადადგმა და ქართული სიძველეთმცოდნეობის აყვანა ხელოვნებათმცოდნეობის დონეზე. რევოლუციამდელი ავტორების ნაშრომთა დიდი ნაწილი კი სწორედ სიძველეთმცოდნეობას განეკუთვნებოდა: ქართული ძეგლები უმეტესად ისწავლებოდა არა როგორც ხელოვნების ნიმუშები, რომლებსაც სპეციფიკური სტილისტიკური ნიშნები და ესთეტიკური ღირებულება აქვს, არამედ მხოლოდ როგორც ისტორიის საბუთები. ამიტომ, ბუნებრივია, მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ძეგლების კედლებზე შემონახული ისტორიული შინაარსის წარწერები. ბროსე წერდა კი-

დეც, მე ხელოვანი არა ვარ და ძეგლი იმდენად მაინტერესებს, რამდენადაც წარწერებს. შეუძლიათ რაიმე ცნობა მოგვაწოდონ ისტორიისთვისო. ქართველ მკვლევართ, რომელთაც უამრავი ფასდაუდებელი ცნობა შეკრიბეს და შემოგვინახეს ცალკეულ ძეგლთა შესახებ, არ უცდიათ მასალის განზოგადება, ქართული ხელოვნების საერთო სურათის დანახვა; მეტიც შეიძლება ითქვას: მათს ნაშრომებში, არსებითად, ჩვენ ვერც შევხვდებით ქართული ხელოვნების ცნებას, იქ საუბარი შეეხება მხოლოდ ქართულ ძეგლებს.

ამგვარი ვითარება მარტო იმას კი არ მიეწერება, რომ ყველა ეს ქართველი მკვლევარი ისტორიკოსი ან ფილოლოგი იყო, და არა ხელოვნებისმცოდნე. მნიშვნელობა ჰქონდა ხელოვნების ზოგად ისტორიაში, კერძოდ დასავლურ ხელოვნებათმცოდნეობაში, იმ დროისთვის დამკვიდრებულ დოგმებსაც, რომელთა თანახმადაც წარსულში არსებობდა, ერთი მხრივ, ძირითადი, „შემოქმედი“ და წარმმართველი ცივილიზაციები — ეგვიპტური, ირანული, ბერძნული, რომაული, ისლამური, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა, ბიზანტიური და ზოგი სხვაც; მეორე მხრივ — ქვეყნები და ერები, რომელთაც ბედმა არგუნა მხოლოდ სხვისი გავლენის შემთვისებელნი და მატარებელნი ყოფილიყვნენ. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ სქემაა, რომლის შიგნითაც უფრო რთული სურათი (თუ სურათები) იხატებოდა, იყო აზრთა სხვადასხვაობაც კერძო საკითხების შესახებ, მაგრამ ძირითადი „განაწილება“ მაინც ურყევი რჩებოდა. ამ სქემის მიხედვით ჩვენი ხელოვნება მეორე ჯგუფში იყო მოქცეული, იგი ბიზანტიის გავლენის სფეროსათვის იყო მიკუთვნებული; ქართული ხელოვნების ფაქტებს ევროპელი მეცნიერნი არ იცნობდნენ, თუ საქართველოს საერთოდ ახსენებდნენ — მხოლოდ ზერელედ ყურმოკრულის მიხედვით, და არავის არ მოუვიდოდა აზრად, რომ ქართულ ხელოვნებაში შესაძლებელია რაიმე საკუთარი, დამოუკიდებელი არსებულებაც. სამწუხაროდ, იმ ორად-ორმა ევროპელმა — ჯერ შვეიცარიელმა დიუბუამ XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში, შემდეგ ავსტრიელმა სტრიგოვსკიმ XX ს-ის ათიან წლებში, რომლებიც სხვებზე შედარებით უკეთ იცნობდნენ ქართულ ხუროთმოძღვრებას და რომელთაც მოესურვათ მისი ზოგადი შეფასება და კვალიფიკაცია, ამ ორად-ორმა კაცმა სრულიად გააუკუღმართა საქმე: დიუბუამ — მაინც ფაქტების არასაკმარისი ცოდნისა და თვით ხელოვნებათმეცნიერების მაშინდელი დონის წყალობით, სტრიგოვსკიმ კი, რომელიც მუდამ ახალი თეორიული კონსტრუქციების შექმნით იყო გატაცებული, აკვიატებული იდეების შედეგად — ქართული ხუროთ-

მოძღვრება სომხურისგან წარმომდგარად მიიჩნეეს. უფრო მეტიც, სტრიგოვსკი ქართულ ძეგლებს საერთოდ სომხურად მიიჩნევდა, არც შეუწუხებია თავი, რომ მათი ეროვნული ინდივიდუალობა დაენახა, თუმცა მისი რანგის ხელოვნების ისტორიკოსს ეს მოეთხოვებოდა (პროფესიულადაც და ეთიკურადაც). მას აინტერესებდა მხოლოდ თავისი აპრიორული კონსტრუქცია, რომელშიაც ნაძალადევად სჩრიდა არსებულ და, მისი აზრით, ოდესღაც არსებულ ტიპებს. ძეგლების ტიპოლოგიურ დაჯგუფებასა და ევოლუციას იგი არც გასცილებია. ქართულ მეცნიერთ ეს აზრი არ გაუზიარებიათ, მაგრამ ბიზანტიური დომინაციის პრესს, შეიძლება ითქვას, ჰინპოზს, იმათაც ვერ დააღწიეს თავი — იმდენად ძლიერი იყო „ბიზანტინოცენტრიზმის“ პრესტიჟი და სიმძიმე. დიუბუას და შემდეგ სტრიგოვსკის „თეორიებმა“ კი დიდი გავლენა მოახდინეს ევროპულ ავტორებზე.

ვისაც ქართული ხელოვნების ისტორიის ისტორიასთან არ ჰქონია საქმე, იმან არც იცის და ვერც წარმოიდგენს, რამდენი ანეკდოტური რამ, რამდენი სისულელე იწერებოდა ქართული ხელოვნების შესახებ ხელოვნების ზოგადი ისტორიის სქელტანიან კურსებში, რომლებსაც სოლიდური ევროპელი მეცნიერები აქვეყნებდნენ, ცხადია, მათ არ ჩამორჩებოდნენ არც მოგზაურები და ჟურნალისტები: „სვეტიცხოვლის პორტალი, სვეტისთავები, კარნიზები მორთულია... გუთური ხასიათის სკულპტურებით“ (გამბა, 1826); „XI საუკუნეში, როდესაც საქართველო, ბაგრატ II-ის (sic!) დროს, აფხაზეთთან შეერთების შედეგად გაძლიერდა, სომხურმა სტილმა თავის აყვავებას მიაღწია... სომხური სტილის განვითარება თავის მწვერვალს აღწევს საქართველოს ყველაზე სახელმწიფო ეკლესიაში — ქუთაისის ბაგრატის ტაძარში“ (შნააზე, 1869); „ცნობილია, რომ ქართველი ხალხი თავისი სილამაზით გამოირჩევა, და რომ ქართველი ქალიშვილები უკვე მრავალი საუკუნეა ამშვენებენ ჰარამხანებს. ღირსშესანიშნავია, რომ ამ მხრივ ბუნებამ გავლენა ვერ მოახდინა ხელოვნებაზე“ (იგივე ავტორი. აქ ცნობას — ქართველები ლამაზები არიანო, უფრო მეტიც, ყველაზე ლამაზებიც ქვეყანაზეო, ბევრ ძველ ევროპულ ენციკლოპედიაში შეხვედებით. ზოგან მხოლოდ ამით ამოიწურება ინფორმაცია ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ). შუაზის ფრიად ცნობილ წიგნში („ხუროთმოძღვრების ისტორია“, 1889) საქართველო საერთოდ არ იხსენიება, ბაგრატის ტაძარი, სამთავისი, ბიჭვინთა, მოქვი დასახელებულია, როგორც სომხური არქიტექტურის ნიმუშები, უკანასკნელის შესახებ კი ნათქვამია, რომ მას „შერეული — ნახევრად ირანული და ნახევრად

ბიზანტიური ხასიათი აქვს“. ხოლო ვერმანის არანაკლებ პოპულარულ სამტომეულში, რომელიც გასული საუკუნის ბოლოს ითარგმნა რუსულადაც, შეხვდებით ასეთ სიბრძნეს: „რა ხალისით ითვისებდნენ ამერიიდან (XI ს-ის დასასრულიდან — ვ. ბ.) არაბულ ორნამენტებს, ამას მოწმობს 1063 წლის კუფური წარწერა ერთ-ერთი ეკლესიის პორტალის თავზე გელათში, საქართველოში“. ვერმანმა, ცხადია, არ იცის, რომ ეს წარწერა ამკობს დიმიტრი I-ის მიერ ჩამოტანილ ნადავლს — განჯის კარს!

XX საუკუნის დამდეგს ზოგი ევროპელი მეცნიერი რამდენადმე თითქოს დააეჭვა ქართული ხელოვნებისადმი ასეთმა ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ, მაგრამ, არსებითად, საქმე ამ დაეჭვებას არ გასცილებია. ნიკო მარმაც ვერ შემატა (ან არ შემატა) რაიმე ქართული ხუროთმოძღვრების ეროვნულ თავისებურებათა გარკვევას, თუმცა კი ძვირფასი ფაქტობრივი მასალა მოიპოვა (გავიხსენოთ მისი მოგზაურობა შავშეთ-კლარჯეთში). პირიქით, იგი მუდამ ქართულ-სომხური ერთიანობის ძიებაში იყო და არ აინტერესებდა ამ ორი კულტურის დიფერენცირება (ჰქონდა ასეთი აკვიატებული აზრიც — შუა საუკუნეების საქართველოში უპირატესად პოეზია განვითარდა, სომხეთში კი ხუროთმოძღვრებაო).

ასეთი სურათი იყო, როცა თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა და როდესაც 1918 წლის შემოდგომაზე მის წიაღში შეიქმნა ხელოვნების ისტორიის კათედრა და ხელოვნების მეცნიერების კაბინეტი. ორივეს სათავეში ჩაუდგა პეტროგრადიდან ახლად ჩამოსული 33 წლის გიორგი ჩუბინაშვილი; გარეგნული მონაცემებით — წლოვანებით, გამოქვეყნებული შრომების რაოდენობით — ის ჯერ კიდევ დამწყები მკვლევარი იყო; მაგრამ ნამდვილად უკვე მაშინ იგი წარმოგვიდგება, როგორც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც გარკვევით ჰქონდა ჩამოყალიბებული მთელი თავისი ცხოვრების სამოქმედო პროგრამა, ადამიანი, რომელმაც იმთავითვე იცოდა — რა მისია ჰქონდა ამქვეყნად, რა მოვალეობა ეკისრებოდა თავისი სამშობლოს წინაშე. გიორგი ჩუბინაშვილი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ პატრიოტი იყო, ღრმად გამსჭვალული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით, პატრიოტი საქმით და არა დეკლარაციებით. საერთოდაც არ იყო სანტიმენტური კაცი და სამშობლოს სიყვარულიც ასეთი ჰქონდა — ზედმეტად სანტიმენტალობისა და აფექტაციის გარეშე. მაგრამ ეს ღრმა, მაღალი სიყვარული იყო, რომელმაც რუსეთსა და გერმანიაში აღზრდილი ადამიანი საქართველოში ჩამოიყვანა. ვინც მის ღვაწლს იცნობს,

ვინც მას პირადად იცნობდა, ისიც იცის, რომ სხვა გზას იგი ვერ და არ აირჩევდა, თუ არა თავის მამა-პაპათა მიწაზე ჩამოსვლისა და ამ მიწის სამსახურის გზას (გ. ჩუბინაშვილი ცნობილი ლექსიკოგრაფის, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის დავით ჩუბინაშვილის შვილიშვილი იყო. მის წინაპართა შორის ქართული კულტურის სხვა მოღვაწეებიც იყვნენ). გ. ჩუბინაშვილი პეტერბურგში დაიბადა (1885 წელს), იქვე დაამთავრა გერმანული საშუალო სასწავლებელი, შემდეგ გერმანიაში გაემგზავრა, სწავლობდა ლაიფციგის უნივერსიტეტში — არა ხელოვნების ისტორიას, არამედ ხალხთა ფსიქოლოგიას. სადოქტორო დისერტაციის თემად ციმბირელი შამანების ფუნქცია ჰქონდა. მაგრამ, ბუნებრივია, ხელოვნების ისტორიისადმი სერიოზულ ინტერესს იმთავითვე იჩენდა, უსმენდა ცნობილ ხელოვნებისმცოდნეთ, ეცნობოდა მუზეუმებსა და ძეგლებს; პეტროგრადში დაბრუნებულმა კი საბოლოოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება ქართული ხელოვნების მეცნიერულ კვლევას. ისმენდა რუსი სპეციალისტების ლექციებს, მეცადინეობდა და თანამშრომლობდა ნიკო მართან, ერთხელ ანისში დამოუკიდებლადაც უხელმძღვანელა საზაფხულო კამპანიას. საქართველოს და მის ძეგლებს მაშინ ის მხოლოდ რამდენიმე მოგზაურობის წყალობით იცნობდა, მაგრამ უკვე შესწავლილი ჰქონდა მთელი ლიტერატურა, თავისი პაპის ბიბლიოთეკა და ხელნაწერები, და უადრესად ცხოველ ინტერესს იჩენდა თვით ცოცხალი, თანამედროვე საქართველოს მიმართ (თავის სიცოცხლის ბოლომდე სიყვარულით და მადლობით იხსენიებდა პეტერბურგელ სტუდენტს გოგლო ყაზახაშვილს, რომელიც მიიწვიეს მისთვის ქართულის სასწავლებლად. მან გააცნო და შეაყვარა გიორგის საქართველო და ღრმა კვალი დააჩნია მისი პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს დიდად ნიჭიერი ყმაწვილი, რომელიც ლიტერატორიც იყო, სულ ახალგაზრდა გარდაცვლილა). ეჭვი არ მეპარება, რომ პეტრეს ქალაქში გიორგი ჩუბინაშვილს უფრო ადვილი სამეცნიერო გზა და უფრო სწრაფი წარმატებაც ელოდა, მაგრამ მან უყოყმანოდ არჩია ახალგაზრდა ეროვნული მეცნიერების უღელში მებმულ იყო თავის თანატოლებთან ერთად*.

* ჩუბინაშვილს მუსიკალური განათლებაც ჰქონდა მიღებული — მოწაფეობისას ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდა. მისი მასწავლებელი იყო ის ლეოპოლდ აუერი, რომლის მოწაფეებიც იყვნენ მირონ პოლიაკინი, ეფრემ ციმბალისტი და იაშა ხეიდუცი მუსიკის დიდი სიყვარული ბოლომდე შერჩა, მაგრამ ახალ მუსიკას ვერ ეწეობოდა. ამას არც ფარავდა. მაგალითად, არ უყვარდა პროკოფიევი — ამ საკითხში ვერასგზით ვერ ვრიგდებოდით.

ახლა ეს ადვილი სათქმელია, მაგრამ თუ დაუფიქრდებით — რა უზარმაზარ ამოცანას შეეჭიდა თავისი მეცნიერული კარიერის დასაწყისშივე ეს ახალგაზრდა კაცი! მით უფრო ძნელს, რომ ჩვენს უნივერსიტეტში იგი თავისი დარგის ერთადერთი წარმომადგენელი იყო (თუმცა, რა თქმა უნდა, პირველი ნაბიჯებიდანვე გრძნობდა თავისი კოლეგების, უპირველეს ყოვლისა, ივანე ჯავახიშვილის, თანადგომას). ამოცანა კი მართლაც უზარმაზარი იყო: ხელოვნებათმეცნიერების ახალი დარგის — ქართული ხელოვნების ისტორიის — შექმნა; არც მეტი და არც ნაკლები. ეს კი გულისხმობდა ჩვენი ეროვნული ხელოვნების უამრავი ფაქტის (წინა თაობების მეცნიერთა მიერ უკვე მოპოვებულთა და ახლად მოსაპოვებელთა) სისტემატიზებას, ქრონოლოგიურ დაბინავებას, მათს დაკავშირებას წარმომშობ ისტორიულ ნიადაგთან და ვითარებასთან, რაც მანამდის არც უცდიათ და არც მოუსურვებიათ უცხოელ ხელოვნების ისტორიკოსებს; გულისხმობდა იმის დასაბუთებულ ჩვენებას, რომ ჩვენი ეროვნული ხელოვნება ჩვენივე ეროვნული ისტორიის ორგანული ნაწილი და შედეგია (ისევე, როგორც ყოველი სხვა ქვეყნის ხელოვნებაც), გულისხმობდა ევოლუციის საფეხურებისთვის თვალის გადვენებას, ე. ი. ქართული ხელოვნების ისტორიული განვითარების ჩვენებას საუკუნეთა მანძილზე. ზაზს ვუსვამ: სწორედ ხელოვნებისა, და არა სიძველეთა. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავდა ამ ძეგლთა ანალიზს სპეციფიკური კუთხით, მათს დანახვას ხელოვნებათმცოდნის თვალთ, თვით ძეგლთა ენის გაგებას, ისე, როგორც მინდიას ბუნების ენა ესმოდა (ეს არავის საწყენად არ ითქმის, ამას თავისი კანონზომიერი ახსნა აქვს, მაგრამ, არსებითად, ჩვენი სიძველეების წინანდელი მკვლევრებისთვის დამათარიღებელ წარწერას მოკლებული ძეგლი უტყვი იყო. ამიტომ იყო შესაძლებელი, რომ სვეტიცხოველი ზოგთ V საუკუნისთვის მიეკუთვნებინათ, ზოგთ კი XV-სთვის; ამიტომ იყო ქაოსი ბევრი სხვა ძეგლის ქრონოლოგიაშიც — ეს იყო შედეგი ან წერილობით საბუთთა უქონლობისა, ან მხოლოდ წერილობით საბუთებზე დაყრდნობისა). საჭირო იყო ქართული ძეგლების მიმართ სტილის კატეგორიების გამოყენება, რაც მანამდის აგრეთვე არავის უცდია, არა მარტო ქართული, არამედ თითქმის არც ბიზანტიური ხელოვნების შესწავლის დროსაც.

საგნისადმი ასეთი მიდგომის გარდუვალი შედეგი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდევ ქართული ხელოვნების ეროვნული თავისთავადობის წარმოჩენა და სხვა ქვეყნების ხელოვნებასთან მისი ნამდვილი მიმართების დადგენა. ისიც საგანგებოდ სათქმელია, რომ ამ კვლევა-ძი-

ებაში აპრიორული არაფერი იყო (აპრიორულად ექვს არ იწვევდა მხოლოდ ის, რომ იმ ქვეყნის ხელოვნება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე არსებობდა და კულტურის ყველა დარგში ინტენსიურ შემოქმედებითს ცხოვრებას ეწეოდა, არ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სხვა ქვეყნების ხელოვნების ანარეკლი, მხოლოდ უცხო გავლენათა შვემთვისებელი). ყველაფერი ემყარებოდა ფაქტობრივ მონაცემებს, ფაქტების ანალიზს, ყველა არსებული წერილობითი ცნობის (როგორც ქართულის, ისე უცხოურის) გათვალისწინებასა და შეჭერებას. იმავე დროს, თავიდანვე ურყევე წესად იყო მიღებული კვლევის სისტემურობა, პრობლემათა წამოყენების თანმიმდევრულობა და კანონზომიერება. ყოველი ახალი პრობლემა უნდა მომწიფებელიყო წინარე კვლევის შედეგად. ამიტომ შეუდგა გიორგი ჩუბინაშვილი ჯერ ხუროთმოძღვრების კვლევას, რაკი შუა საუკუნეებში ის იყო წამყვანი დარგი და ეროვნულადც ყველაზე გამოკვეთილი; ამიტომ იყო, რომ ეს კვლევა დაიწყო შუა საუკუნეებით, რომლის ძეგლებიც უკეთეს იყო გადარჩენილი და ეროვნული თვალსაზრისითაც უფრო ჩამოყალიბებული, ვიდრე ადრინდელები; დაიწყო საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებით, რაკი შუა საუკუნეებში მათ უმთავრესი ადგილი ეკირათ იდეური და მხატვრული მნიშვნელობის მხრივ: მათს მაგალითზე უფრო ნათლად შეიძლებოდა ევოლუციის საფეხურების დანახვა, ვიდრე საერო ან სათავდაცვო შენობათა მაგალითზე (იმაზე თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ეს შენობები გაცილებით უარესადაც არის შემონახული). თუმცა, იმავე დროს, ყურადღება გამაზვილებული იყო ეროვნული მონუმენტური ხუროთმოძღვრების ხალხურ საწყისებსა და წინაქრისტიანულ ძირებზე (რამდენი უხამსობა არ იკადრეს და რამდენი ტალახი არ დაიშურეს ამის გამო ასეთი საქმეების სპეციალისტებმა! არ ერიდებოდნენ პროვოკაციებსაც — ჩუბინაშვილი განგებ არ სწავლობს საერო არქიტექტურას, მხოლოდ საეკლესიოს სცნობსო!); ამიტომ იყო, რომ შუა საუკუნეების ძეგლთა შესწავლაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაიწყო: ჯერ ბაზილიკები (ბოლნისი!), მერე მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლები, მერე წრომი და ასე შემდეგ; დასასრულ, ამიტომვე მიიზიდა ჩუბინაშვილის ყურადღება თავიდანვე კახეთის ძეგლებმა — იქ უადრესი საეკლესიო შენობებია გადარჩენილი და მათი კვლევა საწყის ეტაპებთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემების გაშუქების საშუალებას იძლევა...

მე მახსოვს, რომ ოცდაათიან წლებში, როცა ჩუბინაშვილი საჯარო ლექციებს კითხულობდა ქართული ხელოვნების შესახებ, საკმაოდ გა-

ნათლებული მსმენელების გაკვირვებასა და შეშფოთებასაც კი იწვევდა მისი სიტყვები — არ არსებობს „ქართული სტილი“, არამედ არსებობს „ქართული ხუროთმოძღვრება“, რომელმაც განვითარების გზაზე სწავლასხვა სტილისტიკური საფეხური გაიარაო. ნამდვილად კი ცხადზე უცხადესი და ერთადერთი მართებული დებულება იყო იმის დადასტურება, რომ ქართული ხელოვნებაც, ისევე როგორც დროში განფენილი ყოველი კულტურული ფენომენი, ისტორიული კატეგორიაა, რომ ის უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული კი არ არის, არამედ ისტორიის სვლასთან ერთად ევოლუციას განიცდის და იცვლება. გ. ჩუბინაშვილს იმ წლებში უხდებოდა იმის ხაზგასმაც, რომ ერთი და იმავე ეპოქის საერო და საეკლესიო ძეგლები სტილისტიკურად ერთი ხასიათისაა, რომ მათ შორის განსხვავება მხოლოდ ფუნქციითაა ნაკარნახევი... ასეთ ელემენტარულ, თითქოს აპრიორულად მისაღებ დებულებებსაც მტკიცება ესაჭიროებოდა, მათ უნდა შეჩვენოდნენ.

ინსტიტუტის დაარსების შემდეგ ჩვეულებად დაწესდა პირველი აპრილის აღნიშვნა. იქვე ვიკრიბებოდით თანამშრომლები, რომელთა რაოდენობა დასაწყისში ორ ათეულსაც ვერ აღწევდა, ზოგჯერ ჩვენი უახლოესი მეგობრები და თანამოაზრენიც შემოგვიერთდებოდნენ ხოლმე. წარმოითქმებოდა რამდენიმე სიტყვა და სადღეგრძელო, გამოითქმოდა კეთილი სურვილები და მომავლის იმედები, რაც განსაკუთრებით ბუნებრივი იყო ომის წლებში. მაგიდაზე იდო იმდენი ვაშლი, რამდენი წლისაც იყო ინსტიტუტი. სამი თუ ოთხი წლისთავის აღსანიშნავად რომ მოვიყარეთ თავი, ნიკოლოზ სევეროვმა წარსული გაიხსენა და დაიწყო ამ სიტყვებით, რომლებიც მეხსიერებაში ჩამრჩა: — Когда мы оглядываемся назад, вддали виднеется одинокая фигура Георгия Николаевича. ზემოთ მეც ეს აღვნიშნე, რომ ჩუბინაშვილი მარტო იწყებდა. და პირველი ადამიანი, რომელიც მას მხარში ამოუდგა — ესეც უკვე ითქვა — სწორედ სევეროვი იყო, ერთ-ერთი იმ არქიტექტორთაგანი, რომელთაც იკისრეს თაყაიშვილის ექსპედიციების ხუროთმოძღვრულ ანაზომთა გრაფიკული შესრულება. არ ვიცო, რა ბედი ეწიათ სხვებს — კერნს, რიაბოვს, სევეროვი კი, რომელმაც რამდენიმე წელი კავკასიის ფრონტზე მესანგრეთა ჯარში გაატარა (:ხალი დაბრუნებული იყო), თავის მშობლიურ თბილისში დარჩა და დაიწყო ხუროთმოძღვრად მუშაობა ხელოვნების მეცნიერების კაბინეტში. გიორგი ჩუბინაშვილი სევეროვისადმი მიძღვნილ წერილში (1964 წელს) აღნიშნავდა, რომ პირველი ექსპედიციების მოწყობა მათ

ძალიან ძნელ პირობებში უხდებოდათ. უმეტესად ფეხით დადიოდნენ, მძიმე ტვირთსა და ზურგჩანთებს დაათრევდნენ, ზოგჯერ უსიამოვნებასაც გადაეყრებოდნენ, მაგრამ სევეროვი მუდამ მზად იყო სიძნელეთა დასაძლევად, მუდამ ხალისიანი და მხიარული. პირველ წლებში ისინი დიდ ადგილს უთმობდნენ ქართლის „დარბაზის“ კვლევას, მისი ნიმუშების აზომვას (ჯერ დილომში, მერე სხვაგანაც), აგრეთვე ადრე-ფეოდალური ხანის ეკლესიებს (მცხეთის ჯვარს, შიომღვიმეს და სხვ.). სამხატვრო აკადემიის დაარსების შემდეგ ექსპედიციებში სტუდენტო არქიტექტორებიც მონაწილეობდნენ (თვით სევეროვმა მიაშპო ერთხელ — მგონი ეს კახეთში შეემთხვათ, თელავის მახლობლად, 1922 წელს. ის, ჩუბინაშვილი და ფოტოგრაფი თეოდორ კიუნე „ლინეიკით“ მიემგზავრებოდნენ რომელიღაც ძეგლის სანახავად. ისინი შეაჩერეს შეიარაღებულმა პირებმა, ალბათ მილიციელებმა, და დაუწყეს გამოკითხვა, ვინა ხართო. ჩუბინაშვილი, ჩვეულებისამებრ, ჩუმად იყო, სევეროვმა კი უთხრა — ეს პროფესორი ჩუბინაშვილია, მე არქიტექტორი სევეროვი ვარ, ეს კი ფოტოგრაფი კიუნეაო. მაგრამ კიუნე, საკმაოდ ახირებული კაცი, თურმე სრულებით ვერ იტანდა, როცა მას ფოტოგრაფს უწოდებდნენ, და სევეროვის სიტყვების გაგონებაზე იფეთქა — ფოტოგრაფი კი არა, მხატვარი ვარო. იმ შემმოწმებლებსაც მეტი რა უნდოდათ — ნახეს, რომ ორი კაცის „ჩვენება“ ერთმანეთს ეწინააღმდეგება და სამივენი მილიციაში წაიყვანეს. დეტალები აღარ მახსოვს, მაგრამ საქმე, ცხადია, კეთილად დასრულდა).

სანამ ჩვენი ინსტიტუტი დაარსდებოდა, ქართული ხელოვნების კვლევამ რამდენიმე კერა გამოიცვალა. უნივერსიტეტის პარალელურად, 1922 წელს, ეს იყო საქართველოს სამხატვრო აკადემია (მისი პირველი რექტორი აგრეთვე ჩუბინაშვილი იყო); შემდეგ ჩუბინაშვილი, რომელიც 1930 წელს უნივერსიტეტსაც ჩამოაშორეს და აკადემიასაც, ერთხანს საქართველოს მუზეუმში მუშაობდა, მერე, როგორც უკვე აღვნიშნე, ხელოვნების მუზეუმ „მეტეხში“. მისი პირველი ასპირანტი უნივერსიტეტში შალვა ამირანაშვილი იყო, ერთ-ერთი პირველი მოწაფე — რენე შმერლინგი, რომელმაც სამხატვრო აკადემია დაამთავრა (მას ქვემოთ დავუბრუნდები); „მეტეხში“ კი მის გარშემო უკვე ახალგაზრდა თანამშრომელთა მთელმა ჯგუფმა მოიყარა თავი — ისინი უკვე ჩამოვთვალე ზემოთ. ოციან-ორმოციან წლებში, ინსტიტუტის დაარსებამდე, ჩუბინაშვილმა მოასწრო გამოქვეყნებინა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა მეცნიერულ პერიოდიკაში („Христианский Восток“-ში, „თბილისის უნივერსიტეტის მოაზრებები“, „სა-

ქართველოს მუზეუმის მოამბეში“, კრებულ „არილში“), მათ შორის მონოგრაფია შიომღვიმის ლავრის შესახებ, ფუძემდებელი მნიშვნელობის მქონე ნარკვევი შუა საუკუნეების სამი მთავარი კათედრალის (ალავერდის, ქუთაისის ბაგრატის ტაძრისა და სვეტიცხოვლის) შესახებ, „ქართული ხელოვნების ისტორიის“ პირველი ტომი და „ქართული ხუროთმოძღვრების გზები“; დიდ მონოგრაფიათაგან მხოლოდ „წრომი“ და „ბოლნისი“ იყო დაბეჭდილი, სხვები კი, მათ შორის „ჯვარის ტიპის ძეგლები“, „კახეთის ხუროთმოძღვრება“, „ქართული ოქრომჭედლობა“ ათეულწლობით იყო დაუბეჭდავად (ზოგი მათგანის გამოქვეყნებას აქტიურად უშლიდნენ ხელს დაინტერესებული პირები).


მაგრამ გარდა ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ბოზიტიური“ შრომებისა, რომელთაც საფუძველი დაუდეს ქართული ხელოვნების მეცნიერულ ისტორიას, ჩუბინაშვილს უხდებოდა სხვა ხასიათის წერილებიც — კრიტიკული ნაშრომების — წერაც, იმ ფესვგადგმულ ყალბ კონცეფციათა დასარღვევად, რომლებიც ამახინჯებდნენ ქართული ხუროთმოძღვრების არსს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო მისი ვრცელი, ვერმანულად დაბეჭდილი რეცენზია ხსენებული ვენელი პროფესორის იოზეფ სტრიგოვსკის წიგნზე, რომელსაც ეწოდება „სომხური ხუროთმოძღვრება და ევროპა“ (გამოიცა 1918 წელს). აი ასეთი „ორ ფრონტზე ბრძოლა“ თავიდანვე გარდუვალი გახდა და იგი გრძელდებოდა ჩვენი ინსტიტუტის დაარსების შემდეგაც, რადგანაც ქართული ხელოვნების შესახებ უმართებულო აზრები კვლავ ბოგინობდა არა-ქართველ ხელოვნებისმცოდნეთა ნაწერებში: ერთხელ შეთვისებულსა და დაჩემებულს ჭიუტად ებლაუჭებოდნენ და ვერ თმობდნენ!

ორმოციანი წლების დასაწყისისთვის „ახალი ქართული ხელოვნება-მცოდნეობის“ ბაგაჟს, გარდა ჩუბინაშვილის გამოკვლევებისა, შეადგენდა, აგრეთვე დ. გორდევის, შ. ამირანაშვილის, ლ. მაცულევიჩისა და რ. შმერლინგის ნარკვევები ქართული მხატვრობის, მინიატურების, ოქრომჭედლობისა და გამოყენებითი ხელოვნების ზოგი ნიმუშის შესახებ.

ბუნებრივია, რომ ინსტიტუტს უნდა გაეგრძელებინა ის, რასაც ჩუბინაშვილმა ჩაუყარა საფუძველი, მაგრამ, ამას გარდა, უნდა განევრცო კვლევა-ძიება „დროსა და სივრცეში“: მონოგრაფიულად და განზოგადებულად გამოსაკვლევნი იყო განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურა, შესასწავლი იყო კიდევ უამრავი ძეგლი, მთელი ისტორიული პროვინციები, საერო და სათავდაცვო მშენებლობა;

კვლევა-ძიების ფარგლებში უნდა მოქცეულიყო, ერთი მხრივ, წინა-ქრისტიანული ხანა, მეორე მხრივ, XIX საუკუნე და საბჭოთა ხელოვნება, რომელიც, რაც დრო გადის, მდიდრდება და ვითარდება, უნდა მოქცეულიყო, ხუროთმოძღვრების გარდა, მონუმენტური მხატვრობა და მინიატურები, რომელთაც სტილისტიკური ანალიზი თითქმის არ შეხებოდა; ბევრი რამ იყო საკვლევი დეკორაციული ქანდაკების, ოქრომჭედლობისა და გამოყენებითი ხელოვნების დარგებში... და სწორედ ამას მიუძღვნა ინსტიტუტმა თავისი საქმიანობა. გარდა გიორგი ჩუბინაშვილის გამოკვლევებისა (მისი კვლევის უმთავრესი საგნები იყო ხუროთმოძღვრება და ოქრომჭედლობა), არსებითად გაამდიდრა ჩვენი სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერება მისი თანამშრომლებისა და მოწაფეების შრომებმაც. ეს ყველაფერი ემსახურებოდა მთავარ მიზანს — ქართული ხელოვნების საკუთარი ეროვნული სახისა და მსოფლიო ხელოვნებაში მისი წვლილის დასაბუთებულად ჩვენებას. და ასევე ბევრი რამ გააკეთა ინსტიტუტმა (მგონი, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ბევრი!) ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისთვის შინ და გარეთ... მაგრამ ეს ყველაფერი ერთბაშად ვერც გაკეთდებოდა და არც გაკეთებულა. ამას დროც ბევრი მოუწია, ძალ-ღონეც, ეს ყველაფერი თანდათან მწიფდებოდა. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ინსტიტუტის დაარსებისას გიორგი ჩუბინაშვილი 56 წლისა იყო. ახლა რომ ამ ხნის ადამიანებს ვუყურებ, ყველანი ახალგაზრდებად მეჩვენებიან, ჩუბინაშვილზე კი შესახედავად ვერ იტყვოდი ახალგაზრდააო. შეიძლება იმიტომაც, რომ წვერი ჰქონდა მოშვეებული. მაშინ კი წვერიან კაცს ბევრს ვერ შეხვდებოდი; საშუალოზე დაბალი ტანისა იყო, ბეჭებში ოდნავ მოხრილი. ძალიან ლამაზი სახე ჰქონდა და ძალიან მნიშვნელოვანიც. არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიეპყრო. ეს სხვისებით „აკადემიური“ გარეგნობა იყო, მოაზროვნე ადამიანის გარეგნობა. გამომეტყველება, ჩვეულებრივ, მკაცრი, თვალეზი გამმსჭვალავი. მაგრამ გულიანი გაცინება იცოდა არც ისე იშვიათად. გარდა იმისა, რომ ძალიან მაღალი, საფუძვლიანი კულტურა და ძალიან ფართო განათლება ჰქონდა, ფრიად საღად და რეალისტურად მოაზროვნე ადამიანიც იყო, თუმცა საყოფაცხოვრებო საკითხებში ნაკლებად ჩახედული და გამოუცდელი (ეს საკითხები მას ნაკლებადაც ეხებოდა). საქმეში, პრინციპების დაცვისას უშიშარი იყო, ადამიანთა, უპირველეს ყოვლისა, თავისი თანამშრომლების შეფასებაში ერთი საზომი ჰქონდა — საქმის სიყვარული და ერთგულება; მათ შორის, ცხადია, ზოგს განსაკუთრებით აფასებდა, ზოგთან მეტ სულიერ სიახლოვეს გრძნობ-



გიორგი ჩუბინაშვილი

და, ვიდრე ზოგ სხვასთან; მაგრამ არასოდეს არ ჰყოლია „გამორჩეული“ საყვარელი თანამშრომლები, არასოდეს არ დაუპირისპირებია ერთი თანამშრომელი მეორისთვის, მის გარშემო ვერ იხარებდა ენატანიობა და ინტრიგები; და მართლაც, არაფერს ამის მსგავსს ადგილი არც ჰქონია. ინსტიტუტი თავიდანვე იყო და დარჩა თანამოაზრეთა კოლექტივად ამ ცნების ნამდვილი მნიშვნელობით.

ჩვეულებრივ, თავისი პირადი გრძნობებისა და განცდების გამოხატვისას, ფრიად თავშეკავებული იყო, ერთგვარად „ჩაკეტილიც“, გულჩათხრობილი თუ არა. მაგრამ მისი სიტბო — ღრმად შენახული, წაინც იგრძნობოდა. სინამდვილეში ემოციურიც იყო და ძლიერი ტემპერამენტიც ჰქონდა და ზოგჯერ უეცარი აფეთქებაც შეეძლო. სასხვათაშორისოდ არაფერს ეკიდებოდა, ყველაფერს საფუძვლიანად აკეთებდა, მშვენივრად იცოდა თავისი ფასი, მაგრამ — ბევრი სხვა ცნობილი პიროვნებისაგან განსხვავებით — თავის თავზე არასოდეს ლაპა-

რაკობდა, განდიდების მანია არ სჭირდა; ბუნებრივი იყო, არავითარი კაპრიზები არ ჰქონდა და არც „გამოჩენილ ადამიანთა უცნაურობა“, მით უფრო, აზრად არ მოუვიდოდა „ეთამაშა“ ასეთი უცნაურობა (ბევრი შემხვედრია ამის მცდელი და მოყვარული — გამოგონილ ნიღაბს რომ ატარებს მთელი თავისი სიცოცხლე); მისთვის ორგანულად უცხო იყო ყველაფერი იაფფასიანი, მით უფრო, იაფფასიანი რეკლამა, ყველაფერი გარეგნული და მოჩვენებითი. თვით ინსტიტუტის გარეგნული სახეც, მისი კეთილმოწყობა, მისთვის მეორეხარისხოვან როლს ითამაშობდა, საკუთარი კაბინეტისა ხომ მით უფრო.

გიორგი ჩუბინაშვილმა სკოლა შექმნა. როგორი პედაგოგი და აღმსრდელი იყო? — ვერ ვიტყვი, რომ სტუდენტებისთვის იდეალური ლექტორი ყოფილიყოს. უფრო მომზადებული პირებისთვის კი — ასპირანტებისთვის, ახალგაზრდა მკვლევართათვის — მისი მოსმენა, მასთან ყოფნა არსებითი მნიშვნელობისა იყო. არავითარი დიდაქტიკა და „ზოგადი“ დარიგება არ იცოდა. ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკის წყრთნა იყო მის სამეცნიერო ნაშრომებში შეტანილი შესწორებები, ზოგჯერ არსებითიც — რა თქმა უნდა, ამ შესწორებათა დასაბუთებით; და კიდევ უფრო მეტად მსჯელობა, რომელიც მოხსენების წაკითხვის შემდეგ იმართებოდა. თვით ჩუბინაშვილი ბოლოს ლაპარაკობდა, აჯამებდა მსჯელობას, აფასებდა ნაშრომს. ცხადია, მოსაწონს იწონებდა, შექებაც იცოდა (ყოველთვის დასაბუთებული), საერთოდ კი მკაცრი და პირუთენელი შემფასებელი იყო, ვისი ნაშრომიც არ უნდა შეეფასებინა, ზოგჯერ დაუზოგავიც. ისეთი შემთხვევებიც მახსოვს, როცა თავისი მსჯავრის სიმკაცრეს ვერ მოზომავედა ხოლმე. ერთხელ, როდესაც სხდომა დამთავრდა, ვუთხარი კიდევ — უნდა გაითვალისწინოთ, როგორი წონა და მნიშვნელობა აქვს თქვენს ყოველ სიტყვას, რომ მომხსენებელი მეტისმეტად არ დაითრგუნოს-მეთქი. მაგრამ, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო მისი მკაცრი შეფასებაც კი ვისმეს სწყენოდა — არავის ხომ ეჭვი არასოდეს არ შეეპარებოდა, რომ ამ შეფასებაში რაიმე პირადული ერია, ისეთი, რაც საგნის არსისგან არ გამომდინარეობდა. აი ამ მსჯელობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლისას ბევრი რამ პრინციპულად არსებითი ითქმოდა, როგორც კონკრეტული საკითხების შესახებ, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც. სწორედ ასეთ მეცნიერულ დისკუსიებში იზრდებოდნენ და იწრთობოდნენ ახალგაზრდა მკვლევარნი.

პირველ წლებში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ჰქონდა მსჯელობას ქართული მონუმენტური ფერწერის შესახებ: თუ არქიტექტურის



„ქართული ხელოვნების ისტორიკოსთა საიუბილეო პარადი“, 1942 წ.

კვლევის დარგში, ჩუბინაშვილის შრომების წყალობით, გზა გაკვალული იყო და ამოცანას შეადგენდა შემდგომი ნაბიჯების გადადგმა ახალი ძეგლების, ანსამბლების, კომპლექსების, პერიოდების, თუნდაც ახალი პრობლემების „დასაპყრობად“, ფერწერის დარგში პრინციპული ხასიათის ნაბიჯები ახალა უნდა გადადგმულიყო: აქ ამოცანად ისახებოდა წმინდა იკონოგრაფიული კვლევის სალტისაგან თავის დაღწევა და სტილის ანალიზის „ათვისება“, მისი ევოლუციის ჩვენება. თვით ჩუბინაშვილს ფერწერის შესახებ ერთი ნაშრომი ჰქონდა — „დავით გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები“, რომელიც მხოლოდ 1948 წელს გამოვიდა ცალკე წიგნად. ახლა ინსტიტუტში ბევრი თანამშრომელი მუშაობს ფერწერის შესწავლის დარგში, უკვე დამსახურებულნიც და სრულიად ახალგაზრდებიც. მაშინ კი ეს სიმძიმე ერთი ადამიანის მხრებს აწევებოდა — ეს იყო თინათინ ვირსალაძე, ამ საქმის პიონერი ჩვენს ინსტიტუტში, ამჟამად კი საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტი. დასაწყისში მას უმძიმდა, შემდეგ კი მისმა შრომებმა არსებითი

როლი შეასრულა ძველი ქართული ფერწერის ისტორიის შესწავლის საქმეში*.

ჩუბინაშვილის სალაპარაკო ენა რუსული იყო. ის ხომ რუსულენოვან გარემოში დაიბადა და გაიზარდა. ქართული მშვენიერად ესმოდა, ძალიან ლამაზი ხელით წერდა ქართულად, შეეძლო თანამშრომელთა ქართული ნაწერის გამო შენიშვნის გაკეთებაც. თავისთავად ცხადია, ძველი ქართული წყაროებით სარგებლობაც მისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა. ლაპარაკიც შეეძლო, მაგრამ ერიდებოდა, რადგანაც ვერ იქნა და ვერ დასძლია ძლიერი აქცენტი (ამას განიცდიდა — ეს არაერთხელ უთქვამს). ინსტიტუტის საქმის წარმოება რომ ქართულად უნდა წარმართულიყო და შრომებიც (მცირე გამონაკლისით) ქართულად დაწერილიყო, ეს, ცხადია, მისთვის თავისთავად იგულისხმებოდა.

ჩვენს ინსტიტუტს დიდხანს არ ეწერა მშვიდობიანი ცხოვრება. სამი თვეც არ იყო გასული მისი დაარსების დღიდან, ომი რომ დაიწყო. ინსტიტუტის თანამშრომელთაგან ფრონტზე, როგორც ვთქვი, სულ რამდენიმე კაცი გაიწვიეს და, მაღლობა ღმერთს, ყველა ცოცხალი დაბრუნდა. ინსტიტუტს კი, ისევე როგორც მთელ მეცნიერებათა აკადემიას, ომის წლებშიაც არ შეუწელებია ინტენსიური საქმიანობა, მიუხედავად მძიმე პირობებისა. 1942 წლიდან ექსპედიციებიც განახლდა.

ომის დაწყებამდე ათიოდე დღით ადრე გაიმართა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სესია, რომლის ერთი სხდომაც — 11 ივნისის საღამოს — ჩვენს სექტორს დაეთმო (ინსტიტუტის საკუთარი სესიების გამართვა ჩვენ მხოლოდ 1946 წლის იანვრიდან დაიწყო; მანამდის, ისევე როგორც ჰუმანიტარული დარგის სხვა ინსტიტუტები, ამგვარ საერთო სესიებში ვმონაწილეობდით). ჩვენთვის ეს ღირსსახსოვარი დღე იყო — ქართველ ხელოვნების ისტორიკოსთა სკოლის პირველი საჯარო გამოსვლა: ანგარიშიც და გამოცდაც. სესია საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში მოეწყო. თავმჯდომარეობდა გიორგი ახვლედიანი. ხალხი ბევრი მოგროვდა. აუდიტორია „სამინე-

* მართლაც აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო მისი გარდაცვალება (1985 წლის 29 ოქტომბერს). გამორჩეულად ნიჭიერი იყო, დიდი ცოდნა ჰქონდა, ძალიან მაღალი, შეიძლება ითქვას, „შთამომაჯობით“ საერთო კულტურა, მახვილი ხედვისა და ანალიზის და, იმავე დროს, ფართო განზოგადების უნარი, ზედმიწევნით ნათელი, ლოგიკური აზროვნება... ვატყებთ და — შეიძლება ითქვას — აღფრთოვანებით ეწაფებოდა თავის საქმეს. ინსტიტუტის საქმიანობისთვის, მისი პრესტიჟისთვის ჩვენ შორის თინა ვირსალაძის ყოფნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ლი“ იყო — ის ადამიანები, რომელთა აზრიც ჩვენი მეცნიერული წრეების მსჯავრს გამოხატავდა. იმ წლებში ჩვენს სესიებს მარტო მონათესავე დარგთა სპეციალისტები — ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოგრაფები, ფილოლოგები და ენათმეცნიერები — კი არ ესწრებოდნენ, არამედ სულ სხვა სპეციალობის წარმომადგენლებიც. კარგად მახსოვს, მაგალითად, როგორი ინტერესით ისმენდნენ ჩვენი თანამშრომლების მოხსენებებს ალექსანდრე ჯანელიძე, ლევან გოციელი, ექიმები, იხუინრები, იურისტები. ჩვენ ოთხი მოხსენება გვქონდა — ლეო რჩეულიშვილის „ატენის მცირე გუმბათიანი ტაძარი“, რენე შმერლინგის „ხცისი“, ჩემი „ეხვევის ტაძარი დედა-ღვთისა“ და გიორგი ჩუბინაშვილის „ქართული ოქრომჭედლობის თავისებურების საკითხისათვის X და XI საუკუნეთა მიჯნაზე“. პირველი სამი მოხსენების (ე. ი. ახალგაზრდების მოხსენებების) შემდეგ საერთო კამათი გაიმართა — თუმცა ეს კამათი არც იყო — სიმონ ჯანაშიამ და შალვა ამირანაშვილმა თქვეს ორიოდ სიტყვა, შეგვაქვს, ძალიან ნასიამოვნები დავრჩითო, სხვებიც გვილოცავდნენ. ჩუბინაშვილმა მოხსენება თორმეტის ნახევარზე დაიწყო და თუმცა ელვის სისწრაფით კითხულობდა, მაინც მხოლოდ დამის პირველ საათზე დაამთავრა. ამიტომ, მისი განხილვა მეორე საღამოსთვის გადაიდო. იმ დღეს დიდად განარებულები ვბრუნდებოდით ღინ, რაკი ჩვენი დებიუტი წარმატებით დამთავრდა. სესიის შესახებ ცნობა ყველა გაზეთში დაიბეჭდა. ლეო იცინოდა, ჩვენი სახელი „ბერდანკასავით“ გავარდაო.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში, გარდა თანამშრომლებისა (ჩუბინაშვილი — თავმჯდომარე, მე — მდივანი, ნიკოლოზ სევეროვი, ლენკო მუსხელიშვილი, თინათინ ვირსალაძე, ლეო რჩეულიშვილი, რენე შმერლინგი), შემოდოლდნენ აგრეთვე სიმონ ჯანაშია და შალვა ამირანაშვილი. ერთი საკითხთაგანი, რომელიც საბჭომ განიხილა (შემოდგომაზე), ინსტიტუტის სამეცნიერო ორგანოს სახელწოდება იყო. მისი ამორჩევა ძალიან გაგვიძნელდა. „შრომები“ და „მოამბე“ ყველას მობეზრდა. რაიმე ორიგინალური გვინდოდა. ბევრგვარი წინადადება წარმოიშვა: „კამარა“, „ცადაქნილი“ (ეს სიტყვა პირველად გავიგონე სიმონ ჯანაშიასაგან), „არმაზი“, „ბოლნისი“, „არილი“, „გვირგვინი“, „ბომლი“ და „ალაზანიც“ კი. ვერაფერი ვერ გადავწყვიტეთ. იმ დღეებში არნოდლ ჩიქობავა შემხვდა და შევჩვივე ჩვენი გაჭირვება. მან მცირე ჩაფიქრების შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა: „არს გეორგია“. ეს ჩუბინაშვილს გადავეცი და საკითხი იმ წუთშივე გადაწყდა: მას შემდეგ ჩვენი პერიოდული ორგანოს ტიტულსა და კონტრტიტულზე

ქართული ხელოვნება

მაკოვლი ხელოვნების მემორიის
სამეცნიერო ცენტრი

1

ასე წერია: „ქართული ხელოვნება“ და „Ars Georgica“. პირველი ტომი, დიდი სიძნელების გადალახვის შემდეგ, 1942 წელს გამოვიდა.

სიმონ ჯანაშია ჩვენი ინსტიტუტის ნამდვილი მეგობარი და მისთვის მზრუნველი იყო. უფრო მეტიც: ის, რომ ახლად დაარსებულ მეცნიერებათა აკადემიაში თავიდანვე ხელოვნების ისტორიის საკვლევი სა-
ნეცნიერო ცენტრიც შეიქმნა, უეჭველად მისი დამსახურებაც იყო. მას დიდი გავლენა ჰქონდა, მის სიტყვას ყველა ინსტანცია უწევდა ანგარიშს. ამის წყალობით ბევრ კარგს საქმეს ჩაუყარა საფუძველი და გაუხსნა გზა. ამ ადამიანმა, რომელიც 47 წლისა გარდაიცვალა, ღრმა კვალი დატოვა, როგორც მეცნიერმა და, იქნებ კიდევ უფრო ღრმაც, როგორც საზოგადო მოღვაწემ, რომელსაც ბედმა არგუნა ქართულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სათავეში მდგარიყო თითქმის ათი წლის მანძილზე. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის პიროვნულ თვისებებს. ძალიან ჰკვირვნი და შორსმჭვრეტელი, დიდი ტაქტის მქონე, გასაოცრად თავდაპირილი და გაწონასწორებული ადამიანი იყო, დიდი მასშტაბის საქმეებისთვის გაჩენილი, ორგანიზატორის იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული. დიდი პირადი მომხიბვლელობაც ჰქონდა: მშვენიერი ვარეგნული იერი — ძალიან დახვეწილი და ინტელიგენტური; სკულპტურულად გამოკვეთილი სახის ნაკეთები, ლამაზი, ღრმა თვალები. თავის წლოვანებასთან შედარებით ყოველთვის მეტად სოლიდური და დინჯი ჩანდა. ბუნებითაც ასეთი იყო, მაგრამ, მე მგონია, ამ მხრივ გავლენას ახდენდა მისი ჯანმრთელობაც. ახალგაზრდობიდანვე გულით იყო დაავადებული და თითქოს ამიტომაც ჰქონდა ნელი, თითქოს ფრთხილი მოძრაობა. ყოველგვარ სიტუაციაში ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, დაძაბულსა და მწვავე მომენტებშიაც სახეს არ შეიცვლიდა, არ გამოაჩენდა შინაგან მღელვარებას.

სულ ახალგაზრდა იყო, 36 წლისა, როდესაც დანიშნეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის („ენიმკის“) დირექტორად. მისი მოღვაწეობა ამ თანამდებობაზე, ჩემი აზრით, შეიძლება მივიჩნიოთ მთელ ეტაპად ქართველოლოგიის განვითარებაში. მისი დამსახურებაა, რომ ყოფილი „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი“ (КИАИ) გადაიქცა ქართველოლოგიის მნიშვნელოვან კერად, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩვენი მეცნიერებათა აკადემიისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. აქ თავს იყრიდნენ სხვადასხვა თაობის ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერნი — უფროსები, თვით სიმონის მას-

წავლებლები, მისი ტოლები და სულ ახალგაზრდები, დამწყებნი, რომელთაც იგი საგანგებო შერჩევით უყრიდა თავს. უფროსიც და უმცროსიც ყველა ერთნაირად აფასებდა და პატრუს სცემდა, ყველა გრძნობდა, რომ საქმეს საიმედო მეთაური ჰყავდა, რომელიც თავს პასუხისმგებლად გრძნობდა მთელი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის, არ ეშინოდა და არასოდეს არ გაუბოდა პასუხისმგებლობას. შემთხვევითი არ იყო, რომ როდესაც გამოოცა ვინმე ტოკარსკის უხამსი წიგნი სომხური ხუროთმოძღვრების შესახებ, რომელშიაც ტაო-კლარჯეთის მთელა არქიტექტურა სომხურად იყო გამოცხადებული, სწორედ სიმონ ჯანა-



სიმონ ჯანაშია

შიამ აღიმაღლა ხმა: მან ცალკე ბროშურად დაბეჭდა თავისი პასუხი „*Он одном примере искажения исторической правды*“, რომელშიც ნათლად იყო ნაჩვენები, რომ ტოკარსკის ნაწერს საერთო არაფერი ჰქონდა ისტორიულ სინამდვილესთან (ტოკარსკის თხზულებამ ვერც სომეხი სპეციალისტების მხარდაჭერა პოვა). სხვა შემთხვევაშიაც ის დარაჯად ედგა ქართული კულტურისა და მეცნიერების ინტერესებს. მისი ზრუნვა საზოგადო საქმეებსაც სწვდებოდა და ადამიანებსაც — უფროსებსაც და ახალგაზრდებსაც. გორგი ლომთათიძეს განსაკუთრებით სათუთად ეპყრობოდა, როგორც საკუთარ შვილს, ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ მძიმე განსაცდელის დროს მან შეუნარჩუნა სიცოცხლე. დიდად აფასებდა ჩუბინაშვილს და აფიქრებდა მისი ჯანმრთელობა. ერთხელ მითხრა, რა ბედნიერება იქნება, ეს კაცი ხუთი წელიწადი მაინც რომ ვაცოცხლოთ. ჩუბინაშვილმა კი სიმონის გარდაცვალების შემდეგ ოცდახუთ წელიწადზე მეტი იცოცხლა. სიმონ ჯანაშიას პიროვნება ინსტიტუტში ყველაფერს აწევდა კვალს. ვისაც მაშინდელი ენიმკი ახსოვს, ისიც ემახ-

სოვრება, როგორ იყო შერჩეული არა მარტო სამეცნიერო, არამედ საერთოდ მთელი პერსონალი, მაგალითად, საქმეთა მმართველობა. შესვლისთანავე, როდესაც სოფიო მაჭავარიანსა და თამარ მაისურაძეს შეხვდებოდი და გამოესაუბრებოდი, — ინსტიტუტის გაცნობა კი მათგან იწყებოდა, — თავს ერთბაშად იგრძნობდი მაღალი კულტურისა და ადამიანური მყუდროების ატმოსფეროში. ხოლო ვინც თვით სიმონს იცნობდა, მას არ დაავიწყდება მისი სიტბო და ალერსიანი მოპყრობა.

სიმონ ჯანაშიას ნაადრევი სიკვდილი ყველამ მძიმედ განიცადა. ადამიანურ წუხილს საყვარელი და ახლობელი ადამიანის დაკარგვის გამო სხვა განცდაც ემატებოდა: ისეთი გრძნობა გვქონდა, თითქოს საყრდენი გამოგვეცალა. როცა დაკრძალვის წინა დღეს ბინიდან ოფიცერთა სახლში გადავასვენეთ, ისე მოხდა, რომ მე და ნიკო ბერძენიშვილი ერთად აღმოვჩნდით დარბაზში. დიდხანს ვიდექით ჩუმად, მერე კი ნიკომ მარცხენა ხელი ჩაიჭნია (მისი დამახასიათებელი ექსტი იყო) და ამოიოხრა: ახლა ყველა ვიგინდარა წამოყოფს თავსო. მაშინ დავეფიქრდი, რა მშვიდად გრძნობდა ყველა თავს სიმონის ზურგს ამოფარებულნი, რამდენი შესაძლებელი უსიამოვნებისგან იფარავდა სიმონი ყველას, როგორი არსებითი იყო მისი ყოფნა ყოველი სასიკეთო საქმისთვის. ახლა, როცა სიმონ ჯანაშიაზე ვფიქრობ, ამ ფიქრს ახალი ტკივილი ემატება — რა უღმერთობაა, რომ მისი ვაჟი ლაშაც, რომელიც გასაოცრად ჰგავდა მამას გარეგნობით და თვითონაც გამორჩეული პიროვნება იყო, ასე უღროოდ გამოგვეცალა ხელიდან. ესეც აუნაზღაურებელი დანაკლისია.

სიმონ ჯანაშიაზე უფრო ადრე, 1942 წლის ზაფხულში, სულ ახალგაზრდა, 42 წლისა გარდაიცვალა ლევან მუსხელიშვილი (ახლობლებისთვის — „ლენკო“). ტუბერკულოზი სჭირდა. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ის წამლები, რომლებიც სულ მალე შემოვიდა ხმარებაში, ცხოვრების პირობები კი 42 წელს განსაკუთრებით მძიმე იყო. ჩვენს ინსტიტუტში, სადაც იგი, როგორც უკვე ითქვა, მატერიალური კულტურის განყოფილებას განაგებდა, მან მსოლოდ ერთი წელიწადი იმუშავა და მე მასთან პირადი დაახლოება ვერც მოვასწარი. მაგრამ ის ერთი წელიწადი სრულიად საკმარისი იყო, რომ დამეფასებინა მისი ზნეობრივი სისპეტაკე, საქმისთვის თავდადება და ძალიან მაღალი კვალიფიკაცია. მან მოასწრო ბევრი რამ გაეკეთებინა შუა საუკუნეების ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლთა არქეოლოგიური შესწავლისათვის (გათხრები დმანისში, ბოლნისში — სადაც აღმოჩნდა სამშენებლო წარწერა, გუდარების ნამონასტრალში). მან დაადგინა საბოლოოდ

სვეტიცხოვლის აშენების თარიღი (1010—1029 წლები) და მისი ხუროთმოძღვრის სახელი — არსუკისძე (ნაცვლად არსაკისძისა, როგორც მანამდის იყო მიჩნეული), მანვე დაადგინა, ცნობილი წარწერის ახლებური ინტერპრეტაციით, სამშვილდის სიონის თარიღიც — VIII საუკუნე (მანამდის ბროსე მას XIV საუკუნეს მიაკუთვნებდა, ე. თაყაიშვილი — მეათეს), რაც სავსებით ეთანხმება თვით ძეგლის ხუროთმოძღვრულ ხასიათს; გამოსცა ძველი ტექსტები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან ტერმინებსა და ცნობებს მშენებლობის შესახებ („ვაჰანის ქვაბთა განგება“, ტბელი აბუსერისძის თხზულება ბოლოკ-ბასილის მშენებლობაზე), გამოაქვეყნა „არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში“, რომელშიაც ბევრი მანამდის უცნობი ხუროთმოძღვრული ძეგლია განხილული. რაც ძალიან თვალსაჩინო წვლილია ჩვენი ეროვნული ხუროთმოძღვრების კვლევის საქმეში (ეს კი მხოლოდ ერთი მხარე იყო მისი მოღვაწეობისა. ისიც ცნობილია, რომ ინსტიტუტის დაარსებამდე, რუსთაველის მუზეუმში, ლენკო ნამდვილი მარჯვენა ხელი იყო ივანე ჭავჭავიძისა, რომელსაც იგი განსაკუთრებით უყვარდა).

მისი გარდაცვალების შემდეგ მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგედ ჩუბინაშვილმა მოიწვია ილია აბულაძე — ადამიანი, რომელსაც მე არა მარტო დიდი პატივისცემით ვიგონებ, არამედ გაოცებითაც. უშუალოდ ჩვენს დარგთან, საერთოდ, ნივთიერი კულტურის კვლევასთან, ილიას კონტაქტი არ ჰქონდა. ფილოლოგი იყო, ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა მკვლევარი, იმავე დროს არმენისტი; ბევრი რამ გააკეთა ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის შესასწავლად. ჩვენთან მას დაევალა მიეხედა და მოეგლო რუსთაველის მუზეუმისგან მემკვიდრეობით მიღებული მასალებისთვის — ეს იყო საღეჭსიკონო მასალა, ძველი წყაროებიდან ამოკრებილი და ბარათებზე გადატანილი ტერმინები (უამრავი). ამას გარდა, ჩვენს თანამშრომლებს ილია ძველ ქართულს ასწავლიდა. მისი ძირითადი სამსახური საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში იყო, ხოლო ხელნაწერთა ინსტიტუტი რომ დაარსდა, მის დირექტორად დაინიშნა. ჩვენთან მუშაობდა რამდენიმე წლის განმავლობაში. მისი წასვლის შემდეგ ინსტიტუტის სტრუქტურაში ცვლილება მოხდა, მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილება გაუქმდა და შეიქმნა არქიტექტურის, სახვითი ხელოვნებისა და მკირე, ანუ გამოყენებით ხელოვნებათა განყოფილებები.

ილია საშუალო ტანის, ქერათმიანი, ცისფერთვალება კაცი იყო,

სქელი, ცოტა წინ წამოშვერილი ტუჩები ჰქონდა; თავისი საქმის უდიდესმა მცოდნემ, მან დიდად შეუწყო ხელი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო აღიარებას; უცხოელ ქართველოლოგთა შორის ურყევი ავტორიტეტი ჰქონდა; ხელნაწერთა ინსტიტუტი მისი წყალობით გადაიქცა მაღალი პრესტიჟის მქონე სამეცნიერო ცენტრად. და, აი, ეს დიდი, ევროპული მასშტაბის მეცნიერი სრულებით მოკლებული იყო „ქალაქურ“, „ევროპულ“ პეწს, და არც არასოდეს უცდია, რომ ეს პეწი მოსცხებოდა. სულ ბოლომდის შერჩა მეტყველებაში ძლიერი ზემოიმერული ინტონაციები (ზედა საქარაში დაიბადა); არ გააჩნდა „ფართო“ კულტურული ინტერესები; მისთვის არ არსებობდა არც თეატრი, არც კინო, არც კონცერტი, არც რაიმე გართობა, არც დასვენება (მე მგონია, ამას ყველაფერს რამდენადმე ირონიულადაც კი უყურებდა); არსებობდა მხოლოდ თავისი მეცნიერება. ალბათ ასეთები იყვნენ შუა საუკუნეთა ასკეტი და ფანატიკოსი ბერები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე, სენაკში ან სკრიპტორიუმში გამოკეტილნი, თხზავდნენ, თარგმნიდნენ, ან უზარმაზარი ფოლიანტების გადაწერას სწირავდნენ მთელ სიცოცხლეს. ილიაც სწორედ ფანატიკოსი და ასკეტი იყო, და რომ არ ჰქონოდა კიდევ ერთი საზრუნავი და სატეივარი — უმამოდ დარჩენილი ძმის ოჯახი — იმათსავით ისიც შეიძლება სენაკში გამოკეტილიყო, ხელნაწერებში თავჩარგული. რა თქმა უნდა, როგორც სრული პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი, იგი ყოველ მოვალეობას უაღრესი კეთილსინდისიერებით ასრულებდა — ასეთი იყო, როცა უნივერსიტეტში დეკანის თანამდებობა ეჭირა, ასეთი იყო, როგორც პედაგოგი: გაგიკვირდებოდა, როგორი გატაცებით (და აღტაცებითაც!) იცოდა ძველი ქართულის სწავლება. გეგონებოდა, რომ ეს მისი პირველი გაკვეთილია: იმდენად უყვარდა თავისი საგანი, თავისი საქმე, რომ არ შეიძლებოდა ერთი წუთითაც კი მობეზრებოდა — ახლაც თვალწინ მიდგას მისი ანთებული თვალები, სიხარულის ღიმილი, როცა გრამატიკულ წესებს ხსნიდა. წარმოუდგენელი ნებისყოფა და შრომის უნარი ჰქონდა. ძალიან ბევრიც გააკეთა, დიდი მემკვიდრეობა დატოვა, თუმცა სრული სიმწიფის ასაკში გარდაიცვალა, როცა ჯერ კიდევ ბევრის შექმნა შეეძლო. ჩვენთან, ინსტიტუტში, ყველას უყვარდა — იმ წლებში ხალისიანიც იყო, დახმარებას ხომ (სპეციალურ საკითხებში) არასოდეს დაიზარებდა — უფრო სანდო და საიმედო მრჩეველს ვერც ინატრებდი.

ინსტიტუტთან თავიდანვე დაახლოებული იყო სიმონ ყაუხჩიშვილი, რომელიც შემდეგ სამეცნიერო საბჭოშიაც ავირჩიეთ და მის წევ-

რად დარჩა გარდაცვალებამდე. ჩვენთან მას საქმიანი ურთიერთობაც ჰქონდა — თუ არ ვცდები, ისიც სალექსიკონო მასალაზე მუშაობდა. ყოველ შემთხვევაში — ეს კი კარგად მახსოვს — კვირა არ გაივლიდა, ერთხელ-ორჯერ მაინც არ შემოველო და ბარათებზე არ ემუშავა.

მასთან სხვაგვარადაც ვიყავი დაკავშირებული — მამაჩემთან მეგობრობდა და ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, განსაკუთრებით ცხოვრების ბოლო წლებში, მისი ავადმყოფობის დროს. მისი მოსვლა მამას ყოველთვის ახალისებდა და ამხნევებდა.


გასაოცრად ორგანიზებული, „აწყობილი“ კაცი იყო, რასაც მოწმობს მისი ფრიად ვრცელი მეცნიერული მემკვიდრეობაც — გარდა გამოკვლევებისა, ცნობილი „გეორგია“, ყველა ქართველოლოგის სამაჟდლო წიგნი, „ქართლის ცხოვრების“ ტომები, მისი რედაქციით გამოცემული თხზულებები სხვა ავტორებისა, აგრეთვე პედაგოგიური მოღვაწეობაც თბილისსა და ქუთაისში — მან დიდი როლი შეასრულა ძველი საბერძნეთისა და ბიზანტიის ქართველ მკვლევართა სკოლის ჩამოყალიბებისათვის. მისი რამდენიმე ნარკვევი ძველი ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლებსაც ეხება.

ჩემი ახალგაზრდობის დროს ყოველთვის მზრუნველად მეკიდებოდა, ხოლო როდესაც მოსკოვში ვიცავდი სადოქტორო დისერტაციას, არ დაიზარა იქ ჩამოსვლა, რომ ოპონენტობა გაეწია, და თავისი მონაწილეობით, რა თქმა უნდა, დიდად დაამშვენა დაცვა.

ყოველთვის მაღლობით ვიხსენებ, როგორც ჩვენი ინსტიტუტის მეგობრებს, მისი სიკეთისათვის მზრუნველთ, ნიკო ბერძენიშვილსა და გიორგი წერეთელს. ნიკო 1951-57 წლებში იყო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, გიორგი — 1967-70 წლებში. მაგრამ მათი დამოკიდებულება ინსტიტუტთან, მათი კეთილგანწყობილება სრულიად არ ყოფილა დაკავშირებული მხოლოდ თანამდებობებთან, ოფიციალურ მდგომარეობასთან. ისინი, უპირველეს ყოვლისა, აფასებდნენ ინსტიტუტის საქმიანობას, ჩუბინაშვილისა და მის თანამშრომელთა შრომას, როგორც ქართული მეცნიერების დიდი მოღვაწენი, რომელთათვისაც ღვიძლი იყო ყოველი ნაბიჯი, გადადგმული ჩვენი კულტურის სასიკეთოდ. სწორედ ამიტომ, მათ ნათლად ჰქონდათ გათვალისწინებული ინსტიტუტის მნიშვნელობა და ადგილი ეროვნული ხელოვნების, ე. ი. მთელი ეროვნული კულტურის, გამოშვეურების, მეცნიერულად დაფუძნებული კვლევისა და პროპაგანდის საქმეში.

ნიკო ბერძენიშვილი ძალიან კოლორიტული ფიგურა იყო. ჭმუხი, შესახედავად ყოველგვარ ელეგანტობას მოკლებული; თავისი იმპულ-

3. XII. 1947. ჩინოსანებზე ვხვდებით ადამიანთა ანა-საყვირებს ხელთ "მწიფი-ბუცი" მისი შეხარბვით...



ნიკო ბერძენიშვილი



კიორგი წერეთელი

სიურობით, გარეგნულადაც გამოვლენილი ემოციურობითა და ტემპერამენტით სრულ კონტრასტს შეადგენდა სიმონ ჯანაშიასთან. მის მეტყველ სახეზე ყოველი ფიქრი და განცდა მყისვე აღიბეჭდებოდა — სიხარულიც, უკმაყოფილებაც, დაეკვებაც, დაუფარავი ზიზღიც კი. ეს ეა, რომ ზოგჯერ, როცა მოხსენებას კითხულობდა ან სიტყვას წარმოთქვამდა, მისი უკმაყოფილო გამომეტყველება სრულიად არ შეესაბამებოდა ტექსტის შინაარსს.

მე ყოველთვის განსაკუთრებით მიზიდავდა მისი იშვიათი ნიჭიერება და მახვილგონიერება. საქართველოს ისტორიის უამრავ ფაქტსა და საბუთს ინახავდა მესხიერებაში. და ჰქონდა ისტორიკოსისათვის შესაშური უნარი: ამ საბუთებს იქით ისე ცოცხლად შეეძლო წარმოდგინა რეალური ისტორიული ვითარება, თითქოს თვითონ ყოფილიყოს მაშინდელი ამბების მომსწრე და მონაწილე. საკმარისი იყო რაიმე გეკითხა საქართველოს წარსულის შესახებ და — თითქოს ნაპერწკალი მოხვდაო — აენთებოდა, იწყებდა ხმამაღლა ფიქრს და მსჯელობას (ყოველთვის ზედმიწევნით ლოგიკურს) და ისეთ თხრობას, გეგონებოდა თვალწინ ცოცხალ სურათებს ხედავსო. მთავარნებულ იმპროვიზაციასავით იყო და მაშინ მის სმენას არაფერი სჯობდა.

გიორგი წერეთელს იმ დროიდან ვიცნობდი, ლენინგრადიდან რომ დაბრუნდა (იქ სწავლობდა ასპირანტურაში დიდ რუს ორიენტალისტებთან — კრაჩკოვსკისა და კოკოვცევთან). უფრო ადრე კი მის შესახებ მამაჩემის მონაყოლით ვიცოდი (მამაჩემი კარგად იცნობდა და მეგობრობდა გიორგის მამას, თავის დროზე ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ვასილ წერეთელს). მისგან თავიდანვე ყველა ძალიან ბევრს მოელოდა და სულ ახალგაზრდას უკვე მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. ჩვენი გაცნობა უცნაურად მოხდა: მამასგანვე გავიგე, გოგი ჩამოვიდაო. ერთ დღეს ვერის დაღმარაზე მივიდიოდი ქვემოთკენ. ქვემოდან კი ნელა მოემართებოდა გამხდარი, ცოტა ბეჭებში მოხრილი, ფრიად ინტელიგენტური გარეგნობის ყმაწვილი კაცი. არ ვიცი რა იყო, მაგრამ ჩვენ მივესალმეთ ერთიმეორეს, თუმცა მანამდის ერთმანეთი არ გვენახა, და მე ერთი წუთითაც ეჭვი არ შემპარვია, რომ ეს გოგი წერეთელია. მერე საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. 1935 წლის აგვისტო ერთადაც გავატარეთ ციხისძირში.


რა თქმა უნდა, ბევრი არ გვყოლია ისეთი ფართო განათლებისა და ღრმა კულტურის მქონე, ისეთი პროფესიული დონის მეცნიერი, როგორც გიორგი წერეთელი იყო. სახელიც დიდი მოიხვეჭა, დამსახურებულად იყო აღიარებული მთელი საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობის მეთაურად. მე გულწრფელად მიყვარდა, ხშირად ვიგონებ ხოლმე მას და განსაკუთრებით მწყდება გული, რომ ბოლო წლებში მაინც, როგორღაც „მძიმედ“ ცხოვრობდა, თუ შეიძლება ასე ითქვას. ფიცხი და ნერვული იყო, მე მგონია, ხშირად მოვლენებს, მით უფრო, თავისადმი დამოკიდებულებას, გადაჭარბებით „მუქად“ ხედავდა, თუმცა სინამდვილეში პატივი და დაფასება არ აკლდა. ისიც შემოქმედებითი სიმწიფისა და აქტივობის დროს წავიდა სრულიად მოულოდნელად (მძიმე, მტანჯველი ავადმყოფობის შემდეგ!), მაგრამ ღრმა კვალი კი დატოვა. საერთოდ, წერეთლების ოჯახი ნიჭიერებით გამოირჩეოდა: გიორგის და თინათინიც (თიკო) ხომ მნიშვნელოვანი პიროვნება და გამოჩენილი მეცნიერი იყო, თანაც ქალისთვის ისეთ უჩვეულო დარგში, როგორც იურისპრუდენციაა.

აქვე მინდა გავიხსენო კიდევ ერთი წასული ადამიანი — ჩემთვის და ყველა ჩემი ინსტიტუტელი ამხანაგისთვის (საერთოდ, ყველასთვის, ვინც ჩვენს დარგში მუშაობდა) დიდად ახლობელი, საყვარელი და პატივსაცემი კაცი, რომელმაც წარუშლელი ხსოვნა დაგვიტოვა თავისი ღვაწლითაც და ადამიანური თვისებებითაც. ეს ადამიანი იროდიონ

სონღულაშვილია. მან საბუნებისმეტყველო განათლება მიიღო ოდესის უნივერსიტეტში, მაგრამ მისი მოღვაწეობა სულ სხვა გზით წარიმართა: 1910 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრად აირჩიეს და ამის შემდეგ მან თავისი ცხოვრება ეროვნულ სიძველეთა კვლევასა და მოვლას მიუძღვნა. იმხანად დაარსდა საზოგადოების სიძველეთა მუზეუმი და იროდიონს დაევალა კოლექციების დაცვა და დამუშავება. იგი განაგებდა საზოგადოების სამკითხველოსაც. იმ დროიდან დაიწყო მისი მეგობრობა ექვთიმე თაყაიშვილთან, რომელიც ამ საზოგადოების თავმჯდომარე იყო. ჩვენ ყველანი ამ საკვირველი მეგობრობის მოწმენი ვიყავით მას შემდეგ, რაც თაყაიშვილი საფრანგეთიდან დაბრუნდა 1945 წელს. იროდიონი იყო მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი, უიმისოდ ერთ დღესაც ვერ ძლებდა. იროდიონი, უკვე სამოცს გადაცილებული, ისე ექცეოდა ექვთიმეს, როგორც საკუთარ მამას, დღეღამ მისთვის ზრუნავდა. აუღელვებლად ვერ უყურებდი მათს ურთიერთობას (ორივე ჭიუტი იყო და, ალბათ, ზოგჯერ დაეტაკებოდნენ კიდევ ერთმანეთს. ერთხელ ექვთიმემ თქვა მის შესახებ — У него гвоздь в голове!). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა სამუზეუმო საქმის რეორგანიზაცია მოხდა, იროდიონი სათავეში ჩაუდგა საქართველოს მუზეუმის ხელოვნების განყოფილებას და ენერგიულად შეუდგა ფონდების მოწესრიგებას. შემდეგ დიდი წვლილი შეიტანა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოფენის მოწყობაში (ქართული საყოფაცხოვრებო ტანსაცმლის გამოფენა 1932 წელს, რუსთაველის საიუბილეო გამოფენა 1937-ში — აქ ის მხარში ედგა ხელოვნების გამოფენის მოწყობის ხელმძღვანელს ვიორგი ჩუბინაშვილს). როცა ჯერ 1941-ში, შემდეგ კი 1946 წელს ვიორგი ჩუბინაშვილის საერთო გეგმით საქართველოს მუზეუმის სეიფში გაიმართა ქართული ოქრომჭედლობისა და მინაწერის გამოფენა, იროდიონმა თავისი მხრებით ზიდა მისი მოწყობის მთელი სიმძიმე. შემდეგ ეს გამოფენა ხელოვნების მუზეუმს გადაეცა და გადაიქცა იმ შესანიშნავ „სეიფად“, რომელიც დღესაც (სხვა ექსპოზიციით) განაგრძობს არსებობას და უკვე საქვეყნოდ აქვს სახელი მოხვეჭილი. ბუნებრივი იყო, რომ მაშინ სეიფის გამგედ სწორედ იროდიონი დაიწინა. ამ „ოქროს სეიფს“ იგი სიკვდილამდე აღარ მოშორებია და ძნელი წარმოსადგენიც კი იყო სეიფი უიროდიონოდ და თვით იროდიონიც ამ ძვირფასი ნივთების — ოქროსფრად მოელვარე ხატების, ჯვრების, ნაქარგობის, მინაწერების — გარეშე. როცა იქ არ დამხვდებოდა, მეგონა, რომ „ოქროს სეიფს“ სული აღარ ედგა — თითქოს თვით



დობიტრი გორდევი



ბორის კუვტანი

იროდიონი იყო იმ საოცარ ნივთთა სული. იროდიონი, რომლის გადარჩენილი და მოპოვებულია ბევრი შესანიშნავი ექსპონატი, თავს ევლებოდა და ელოლიავებოდა „თავის“ ნივთებს, როგორც ცოცხალ არსებათ, იცოდა ყოველი მათგანის თავგადასავალი, თავისებურებები. ყოველდღე რომ მათთან იყო და მათ აკვირდებოდა, ბევრ რასმე ისეთს შენიშნავდა და აღმოაჩენდა, რაც უცხო თვალისთვის მიუწვდომელი რჩებოდა. მას შეეძლო, ამ დაკვირვებათა შედეგად, განცალკევებული ღრამენტები, რომლებიც სხვადასხვა ნივთისა ეგონათ, ერთი ნივთის ნაწილებად ეცნო და მათი შეერთებით აღედგინა მხატვრული ძეგლი; მას შეეძლო შეენიშნა, რომ სამცხის ათაბაგთა XIII—XIV საუკუნეების პორტრეტებზე ნაჩვენებია ოქროს ღილები, რომლებიც ტიბროვანი მინანქრითაა შემკული; შეეძლო თითქოს მეორეხარისხოვანი წვრილმანების შესწავლით გადაეთარილებინა ცნობილი ფსალმუნის მრწინატურები. ამას ყველაფერს მოხსენების სახით აცნობდა სპეციალისტების წრეს ან, უფრო ზშირად, სეიფში შესულ ყოველ ადამიანს უზიარებდა თავის აღმოჩენას. შრომების დასაწერად ვერ იცლიდა და ესეც იყო, რომ სულ არ აინტერესებდა თავისი ავტორობა, თავისი სახელი და პრიორიტეტი. მიაჩნდა, რომ ეს ცოდნაცა და აღმოჩენის სიხარულიც არა მარტო ყველასთვის საერთო უნდა ყოფილიყო, არამედ

ყველასთვის სავალდებულოც: ბიჭი იყავი და არ გავხარებოდა, როცა თვითონ გატაცებით და ტემპერამენტით გიამბობდა აღმოჩენის ამბავს (გამოქვეყნებული მას სულ ორიოდე ნაშრომი დარჩა).

ქართული სიძველეები, „თავისი“ სეიფი, მუზეუმი იროდიონს თავდავიწყებით უყვარდა. და მაინც, ბოლო ათეულ წლებში მთელი თავისი ძალღონე ამ საქმეს რომ შესწირა, მის მხრივ მიძიმე მსხვერპლის გაღება იყო. იროდიონი ხომ მწერალი და ჟურნალისტიც იყო რევოლუციამდე — ბეჭდავდა მოთხრობებს, რედაქტორობდა გაზეთებსა და ჟურნალებს. ახლა კი ეს ყველაფერი დათმო... თუმცა მთლიანად თურმე მაინც არ დაუთმოა... მაინც წერდა და ბევრს არავის უმხელდა. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1965 წელს, გამოვიდა მისი მთავარი მხატვრული ნაწარმოები, დიდი ისტორიული რომანი „მირანდუხტ იაღნობილი“. XI საუკუნის ამბავია, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი (ესეც დამახასიათებელია, სწორედ ეს თემა რომ აირჩია)... გმირები — კეთილშობილი რაინდები არიან, სამშობლოსათვის თავგანწირულნი, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ იროდიონის გმირები.

„მირანდუხტ იაღნობილს“ ეს სიტყვები უძღვის წინ: „უძღვნი ჩემს ძმადნაგულევს გიორგი ჩუბინაშვილს“. ასეთ მიძღვნას კაცი სხვათა შორის, უგულოდ ვერ დაწერს. მათ მართლაც უყვარდათ ერთმანეთი, დიდ პატივს სცემდნენ და აფასებდნენ ერთიმეორეს. საქმეც საერთო ჰქონდათ, ცხოვრების იდეალებიც, და დიდხანს სწევდნენ ერთად ეროვნული ხელოვნების მოვლისა და პატრონობის ჭაპანს. 1956 წელს, როცა იროდიონს 75 წელი შეუსრულდა, მისმა „ძმადნაგულევმა“ მას მშვენიერი, გულთბილი წერილი უძღვნა „ლიტერატურულ გაზეთში“.

იროდიონ სონღულაშვილი უყვარდა ყველას, ვინც მას იცნობდა. ეს საკვირველი კაცი იყო, ისეთი, როგორც ძნელად თუ შეგხვდება ცხოვრების გზაზე. უნიკუმების რიცხვს მიეკუთვნებოდა. მაღალი, გამხდარი და ძარღვიანი, მოკლე ჭაღარა წვერითა და შეველურით; სახე კი ისეთი ჰქონდა, რომ ძველი ქართული ფრესკიდან ჩამოსული გეგონებოდა. იმ ძველ ფერმწერლებს, როცა სულით ძლიერ, შინაგანი ცეცხლით აღვზნებულ წმინდანებს ხატავდნენ, ალბათ ასეთი სახეები ჰქონდათ თვალწინ. ფანატიკოსი იყო, ძალიან ფიცხი, მღელვარე, ტემპერამენტიანი... აფეთქება და გაბუტვაც იცოდა... და, იმავე დროს, უჩანკო ბავშვივით ალალი, ალერსიანი, გულუბრყვილო და მიმნდობი. კაცი, რომელსაც პირადი ცხოვრება არც ჰქონია, კაცი, რომელსაც არასოდეს მოსვლია აზრად საკუთარი სიკეთისა და სახელისათვის

ზრუნვა. საქართველო, მისი კულტურა, მისი ბედნიერება — ეს იყო მისი ცხოვრების ერთადერთი აზრი. ჩვენ ყველანი განუზომლად ვიყავით მისგან დავალებულნი. რჩევასა და დახმარებას არასოდეს გვაკლებდა, მე კი განსაკუთრებით შემინჯო ხელი, როცა „გარდამოხსნებზე“ დავიწყე მუშაობა მის საცავში. გარდაიცვალა 1958 წლის იანვარში. დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით (ექვთიმე მაშინ იქ ესვენა). ურიგო არ იქნებოდა მისი გამოუქვეყნებელი გამოკვლევების მოძიება. იქნებ ზოგი რამ მეტ-ნაკლებად დამთავრებული სახითაც დარჩა. იქ ბევრი რამ შეიძლება იყოს საგულისხმო.

კიდევ ერთი კაცი, რომელიც ასევე სიყვარულით და პატივისცემით უნდა მოვიხსენიო, ერთი ღირსეული ქართველი ინტელიგენტი, რომელსაც დიდი სახელი არ დაუტოვებია, მაგრამ დასაფასებელი წვლილი კი შეიტანა ეროვნული კულტურის სასიკეთოდ — თავისი ღვაწლითაც და პიროვნული თვისებებითაც: მხატვარი გიორგი ერისთავი, აგრეთვე ჩვენი „მეზობელი“ და მეგობარი. რაც მე მახსოვს, დიდხანს იყო დაკავშირებული რუსთაველის მუზეუმთან და საქართველოს მუზეუმთან. იგი რევოლუციის წინა ხანებში და თვით რევოლუციის წლებში ასპარეზზე გამოსული ქართველი მხატვრების — დიმიტრი შევარდნაძის, დავით კაკაბაძის, ქეთევან მაღალაშვილის, შალვა ქიქოძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის — ახლო მეგობარი და თანამოაზრე იყო (ქეთომ მისი პორტრეტიც შეასრულა ოციან წლებში). 1891 წელს დაბადებული, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული გარდაიცვალა, როცა აქ მოხსენებულ მხატვართაგან აღარც ერთი არ იყო ცოცხალი.

გიორგი არისტოკრატიულ ოჯახში დაიბადა. მამამისი კონსტანტინე ერისთავი დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის მარშალი იყო, მოწინავე ქართველთა წრესთან დაკავშირებული, თვითონაც ლიტერატორი — მისი ზოგი ლექსი პოპულარულ სიმღერად იქცა. მე სულ ერთხელ მოვკარი თვალი ქუჩაში. გასაოცრად „ჯიმიანი“ გარეგნობა ჰქონდა, ძველი ქართველი თავადიშვილის მშვენიერი ნიმუში იყო.

მაგრამ გიორგის არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია თავისი „მაღალი“ წარმოშობისადმი, მისი მისწრაფებები იმავეითვე დაკავშირებული იყო ჩვენი საუკუნის პირველი ათეული წლების, უშუალოდ რევოლუციის წინა ხანების, პროგრესული ქართული ინტელიგენციის მისწრაფებებთან: ცხადია, იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ გარშემო შესაფერისი ატმოსფერო სუფევდა: ბავშვობის წლები მან ქუთაისში გაატარა, ქუთაისში, რომელიც სწორედ იმხანად თავს უყრიდა მოწი-

ნავე ქართველ მწერლებს, ჟურნალისტებს, პედაგოგებს, პუბლიცისტებს, მსახიობებს; ეს ის ატმოსფერო იყო, რომელსაც ჰქმნიდნენ ლადო მესხიშვილის თეატრი, რევოლუციური ახალგაზრდობის წრეები, განსაკუთრებით აქტიურნი 1905 წლის რევოლუციის ხანებში, გიორგი ზდანოვიჩი, იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე, ქართული გიმნაზიის მასწავლებლები, ლიბერალური ინტელიგენცია, ეს ის ქუთაისი იყო, სადაც დაიბადა პოეტად გალაკტიონ ტაბიძე და სადაც იშვნენ „ცისფერყანწელები“. უმაღლესი განათლება გაიორგიმ პეტერბურგსა და კიევიში მიიღო — დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი.

მაგრამ მაინც ხელოვნების სიყვარულმა სძლია, რამაც იგი მხატვარ ეისნერის სახელოსნოში მიიყვანა. ეს შეხვედრა — თავისი „შორეული მძღვევებით“ — გიორგისათვის გადაწყვეტი და არსებითი გამოდგა: ეისნერი იცნობდა ქართულ ფრესკებს, მათი პირებიც ჰქონდა შესრულებული და სწორედ იმ ხანებში, როცა გიორგი მასთან სწავლობდა, რამდენიმე წერილიც გამოაქვეყნა ქართული კედლის მხატვრობის (კერძოდ, ზარზმის ფრესკების) შესახებ. ეტყობა, გიორგი მაშინ დაინტერესდა ძველი მხატვრობის პირების გადმოღებით — უფრო გვიან ეს იქცა მის მთავარ საქმედ.

1916 წლიდან გიორგი უკვე საქართველოშია და მთლიანად, „სულთ და ხორციით“, ხელოვნებას ეკუთვნის: მხარში უდგას დიმიტრი შევარდნაძეს ჯერ „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა“ და შემდეგ სურათების ეროვნული გალერეის დაარსებისას, მონაწილეობს ნაბახტევის ექსპედიციაში, რომელიც იქაური ფრესკების გადმოსაღებად მოაწყვეს ხსენებულმა „ხელოვანთა საზოგადოებამ“ და „საისტორიო ჯა საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“, ერთი იმათგანია, ვინც ზრუნავს და იღვწის სამხატვრო აკადემიის გასახსნელად, მერე თვითონაც სწავლობს ამ აკადემიაში, შემდეგ ხატვას ასწავლის უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, და მხოლოდ ამის შემდეგ აგნებს თავის ნამდვილ „მოწოდებას“ — რუსთაველის მუზეუმში იწყებს მუშაობას ივანე ჯავახიშვილთან, როგორც მხატვარი-კოპიისტი. ამ მუზეუმის მიზანს ხომ შეადგენდა ყოველმხრივი დოკუმენტაციის მოგროვება ქართული ნივთიერი კულტურის შესახებ, ფრესკებში დაცული ისტორიული პორტრეტები კი ამ მხრივ უმდიდრესი „ინფორმაციის“ შემცველია, თუნდაც ქართული ტანსაცმლის ისტორიისათვის.

საქართველოს მუზეუმის ქვემო (სამუშაო) კორპუსის მეორე სართულზე, სადაც ჩვენი ინსტიტუტიც იყო შეკედლებული, გრძელი შუადერეფნის კედლები თავიდან ბოლომდე შევსებულია პირებით, რო-

მკლთა შორის ბევრია გიორგი ერისთავის მიერ შესრულებულიც. გიორგის „ერგო“ დასავლეთ საქართველოს XVI—XVII საუკუნეთა პორტრეტები — მეფეებისა, ფეოდალებისა, აზნაურებისა გელათიდან, გეგუთიდან, დერჩიდან, ცაიშიდან, წალენჯიხიდან, შემოქმედიდან, ხობიდან, ბედიიდან... რა საინტერესო და კოლორიტული გალერეაა, როგორ იგრძნობა ამ, თითქოს პირობით, გარინდებულ ფიგურებსა და სახეებში ეპოქის ფსიქოლოგიური ატმოსფერო! ამ სერიის შესრულება მართლაც დიდი საქმე იყო.

აღრე, „წინაისტორიულ“ ხანაში, ჯერ კიდევ მარჯანიშვილის გამოჩენამდე, გიორგის ქართულ თეატრშიაც უმუშავებია — ჭაბადარის სტუდიაში, ალექსანდრე წუწუნავასთან, ბაქოში, მოსკოვში... ეს ცნობები მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გამოჩნდა საღლაც საბუთებში, თორემ სანამ ცოცხალი იყო, არსებითად მისმა ახლობლებმაც კი ძალიან ცოტა რამ იცოდნენ მისი შრომისა და ღვაწლის შესახებ.

იშვიათად შემხვედრია საკუთარი სახელისა და პატივისაღმე ამდენად ინდიფერენტული კაცი. ქართული კულტურის წინსვლითა და წარმატებით სუნთქავდა და სულდგმულობდა, სხვისი კარგი გულწრფელად უხაროდა, თვითონ კი ყოველთვის ჩრდილში იყო, იმდენად, რომ ბევრს, დარწმუნებული ვარ, ეგონა, ეს უდარდელი კაცია, რომელიც საქმისათვის დიდად არ იწუხებს თავსო. და არც არავის მოსვლია აზრად (სამწუხაროდ და სამარცხვინოდ!), მის სიცოცხლეში აღენიშნათ მისი ღვაწლი. ამ მხრივ მართლაც უდარდელი კაცი იყო — ჩრდილში ყოფნა ბუნებრივად ეჩვენებოდა, არავითარი პრეტენზია არასოდეს არ ჰქონია. ხელმოკლედ ცხოვრობდა. სულ ბოლომდის შეინარჩუნა „ფორმა“, კაფანდარა კაცი იყო, ელეგანტური (თუმცა კი უბრალოდ ჩაცმული, ხშირად — გაცვეთილი ტანსაცმლითაც), სუფთად გაპარსული — რაღაცით ინგლისეგს მოგავიწყებდათ. ზედმიწევნით უბრალოც იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორგანულად უბრალო. მისი ნამდვილი სულიერი არისტოკრატიზმი სწორედ ამ უბრალოებაში მქდავანდებოდა. არასოდეს არ მახსოვს სულით დაცემული, თუმცა სიმწარეც ბევრი გამოსცადა. სახე მუდამ უცინოდა, ყოველი ადამიანის შეხვედრა უხაროდა, ახალისებდა, ყველასათვის სითბოს აფრქვევდა. და გასაოცარი ენამახვილობით გამოიჩინებოდა, რაც დიდად მატებდა მომხიბვლელობას და მიმზიდველ ძალას. ეს მისი ენამახვილობაც ბუნებრივი, სპონტანური და იმპროვიზაციული იყო და არა ისეთი, „პროფესიონალ“ ენამახვილებს რომ აქვთ (მისი ხუმრობა და ენამახვილობა, რომელთაც არასოდეს არ ერიათ არავითარი შხამი, არაფერი საწყენი, ზეპირად

ვრცელდებოდა. აქ ერთს გავიხსენებ: გიორგი და მისი კარგი ნაცნობი, ძველი ბოლშევიკი, ბარონ ბიბინიევილი, იმხანად საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ერთდროულად გამოვიდნენ ქუჩაში, გიორგი მუზეუმ-მოდან, ბიბინიევილი ბიბლიოთეკიდან, რომელიც ქუჩის მეორე მხარეს მდებარეობს. გიორგი ქუდის მოხდით მიესალმა, მაგრამ ბარონმა დაუძახა, მოდი, გიორგი, ხელი ჩამოგართვაო. გიორგის პასუხი: ბოლშევიკებმა ყველაფერი ჩამომართვით და ახლა ხელის ჩამორთმევაც გინდაო? (ამის მეტად გიორგის, მგონი, არც არასოდეს გახსენებია თავისი „ქონება“).

გიორგი იმ ძველ სასაფლაოზე დავკრძალებთ, მთის ფერდობზე რომ არის, გოგებაშვილის ქუჩის ზემოთ, თავისი მშობლების საფლავები-იან. მიტოვებული, დაბურული და დახავსებული, მუდამ მღუმარებით მიცული, თითქოს მივიწყებული ადგილია... სრულიად ბუნებრივად მეჩვენა ამ საუკუნეს მიღწეული, რაფინირებული კულტურის ადამიანისათვის სამუდამო განსასვენებლად ამ ადგილის შერჩევა.

თვით ჩვენი ინსტიტუტის დამფუძნებელ თანამშრომელთაგან, ლენკო მუსხელიშვილის შემდეგ, ყველაზე ადრე დაგვშორდა რენე შმერლინგი, რომელთანაც მხარდამხარ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ვიმუშავეთ. მამამისი ცნობილი მხატვარი — კარიკატურისტი ოსკარ შმერლინგი (ო. შლინგი) იყო, რევოლუციამდელი თბილისური პრესის აქტიური თანამშრომელი, ძველი თბილისის ტიპების მთელი ნახატი გალერეის შემქმნელი, პედაგოგი, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა თბილისში სამხატვრო განათლების გავრცელების საქმეში. დედა რენეს ნახევრად ფრანგი ჰყავდა. თვითონ თბილისში იყო დაბადებული და გაზრდილი, მთლიანად და სავსებით თბილისთან, საქართველოსთან, უპირველეს ყოვლისა, ქართულ ხელოვნებასთან იყო დაკავშირებული. ქართული თავისუფლად ესმოდა, ლაპარაკობდა კიდევ, ძველი ქართული პალეოგრაფია ხომ იცოდა და იცოდა — ეს მისი სპეციალობა იყო.

ცხოვრობდა სასამართლოს ქუჩის დასაწყისში, მთავრობის სახლის პირდაპირ. არ გათხოვილა. მამამისს მე პირადად არ ვიცნობდი, დედას კი მოვუხწარი — ის და რენე ერთად ცხოვრობდნენ. დამახასიათებელი გარეგნობა ჰქონდა: თხელი იყო, ვიწრო მხრებიანი, ძალიან გამხდარი, ბეჭებში საგრძნობლად მოხრილი, ქერა, ძალიან ღიაფერის თვალებით. ჩემზე ბევრად უფროსი იყო (1901-ში დაიბადა), მაგრამ ეს განსხვავე-

ბა არასოდეს არ მიგრძენია. ხელოვნების ისტორიამ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გაიტაცა, როცა სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. ესწრებოდა არქიტექტურის ფაკულტეტის ლექციებსაც. იმ დროიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე გიორგი ჩუბინაშვილის ერთგული თანამშრომელი იყო, ილია აბულაძისა არ იყოს, ესეც თავისი საქმის ფანტიკოსი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს არ უშლიდა მის ინტერესებს ლიტერატურისა და სხვა ხელოვნებათა სფეროშიაც. როგორც გრაფიკოსს — ვირტუოზული ტექნიკა ჰქონდა, მასავით არავეს შეეძლო ქართული ხუროთმოძღვრული ჩუქურთმის გრაფიკულად გადმოცემა; როგორც ხელოვნების ისტორიკოსს — ფართო ერუდიცია. მისი კვლევის საგანი ორი იყო — შუა საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრება, უპირატესად ხუროთმოძღვრული დეკორი, და ძველი ქართული ხელნაწერების მორთულობა. როგორც ერთ, ისე მეორე დარგში მან კაპიტალური ნაშრომები დაგვიტოვა (დიდი მონოგრაფია ქართული კანკელების შესახებ, ორტომიანი გამოკვლევა „ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმება IX—XI საუკუნეებში“, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, ნარკვევები სამთავროს, ხცისის და სხვა ძეგლთა შესახებ, გზისმკვლევები თბილისის მიდამოებისა და საქართველოს სამხედრო გზის ძეგლთა შესახებ — ეს ორი უკანასკნელი თანაავტორებთან ერთად), ზოგი მათგანი — ფუძემდებლური მნიშვნელობისა. თითქმის მთელი საქართველო ჰქონდა მოვლილი, დაუღალავი მოსიარულე იყო, უამრავი ძეგლი ნახა, ყოველი მათგანის დაწვრილებითი აღწერა და მშვენიერი ჩანახატები შექმნდა უბის წიგნაკებში, რომლებიც, სწორედ ამიტომ, ძვირ-



გიორგი შუბინაშვილი

ფას ფაქტობრივ მასალას შეიცავს. წერდა მიკროსკოპულად წერილი, სრულიად თანაბარი და უცვლელი ხელით. გატაცებით უყვარდა ჩვენი ჭიკეყნის ბუნება და ცხოველთა სამყარო — ჩიტები, კატები, რომლებიც დიდი რაოდენობით ბუდობდნენ მის ბინაში*.

რენეს ყოფნა ძალიან აჩნდა ინსტიტუტს, გარკვეულ გავლენასაც ასდენდა მის საქმიანობაზე. თავისი ღრმა ცოდნისა და იშვიათი ნიჭიერების წყალობით მას დიდი სარგებლობა მოჰქონდა კოლეგებისთვისაც და, მით უფრო, ახალგაზრდებისთვის — როცა ინსტიტუტში ასპირანტებიც გაჩნდნენ.

მაგრამ, იმავე დროს, რენე რთული და ძნელი ადამიანი იყო: მძიმე, წონასწორობას მოკლებული, მფოთიანი ხასიათი ჰქონდა, თავის შეკაცება არ იცოდა, ხშირად ძნელი გასათვალისწინებელი იყო მისი რეაქცია ამა თუ იმ მოვლენაზე, ან სრულიად უბრალო ფაქტზე. მოხსენებების განხილვის დროს ჩვეულებრივ პრინციპულსა და სამართლიან შენიშვნებს გამოთქვამდა, მაგრამ — მით უფრო, თუ მომხსენებლის მიმართ რატომღაც გაღიზიანებული იყო — ისეთი გაწიწმატებით და ისე მკვახედ, რომ მძიმე განწყობილება იქმნებოდა; გეგონებოდა, სიამოვნებას ჰგვრის ადამიანის დაგესლვაო. არ მახსოვს შემთხვევა, რომ ინსტიტუტის თანამშრომელთაგან ვინმესთან მაინც არ ყოფილიყო უბ-

* ჩიტებისადმი რენეს სიყვარულმა ერთხელ ფათერაკს გადაჰყიდა. არქიტექტორების ჯგუფთან ერევანს მივემგზავრებოდი — ტრადიცია გვქონდა, ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ხუროთმოძღვართა შეხვედრა ეწყობოდა რიგრიგობით თბილისში, ბაქოსა და ერევანში. რენემ მთხოვა ლიდია ღურნოვოსთან ჩიტების საკვებს გაგატანო (ლ. ღურნოვო, ძველი მხატვრობის ცნობილი სპეციალისტი, ერთი უწყინარი მოხუცი ქალი, ერევანში ცხოვრობდა და ისიც ჩიტებს მფარველობდა, განსაკუთრებით დაპირით და ავადმყოფთ). მე, ცხადია, დავეთანხმე და გამოვართვი. ყურადღება არ მიმიქცევია, რომ იმ მუყაოს კოლოფს, რომელშიც საკვები იყო, ნაწერებები ჰქონდა. დილით რომ გავიღვიძე (უკვე ერევანს ვუახლოვდებოდით), დავინახე, რომ საწოლზე რაღაც ძალიან წვრილი მატლები დალოდადნენ — თურმე ის საკვები ცოცხალი ყოფილა და ნაწერებებიდან გამოძვრალა. გამყოლმა ქაღალც ნახა ეს ჭიები, როცა ლოგინს ალაგებდა. ერევანის სადგურში რომ შევედი, დავინახე შესახვედრად მოსული მასპინძლები და ლიდია ღურნოვოც, რომელიც ვაგონის კარისკენ მობოდა. ყველანი ჩამოვედი, მასპინძლები დიდი ამბით დაგვედნენ, მანქანებისკენ მიგვიყვით, მაგრამ მე მომიახლოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი (ფორმა ეცვა) და მთხოვა ღურნოვოსთან ერთად გაყოლოდი მას. შეგვიყვანეს რომელიღაც ოთახში და დაიწყო დაკითხვა: — ეს რა მატლებია, საიდან არის, თქვენ ვინა ხართ და სხვა (ვაგონის გამცილებელს გაეფრთხილებინა). მე ვუთხარი ვინც ვიყავი, რისთვის ვიყავი ჩასული. ჩაიწერეს პასპორტის ნომერი და გამომიშვეს. ღურნოვოს კი საათზე მეტი მოუხდა იქ ყოფნა, სანამ ზოოპარკის თანამშრომელი არ მოვიდა და არ დაადასტურა, რომ ეს უენებელი ჭიები იყო.

რად — ამის მიზეზი უმეტესად გაუგებარი რჩებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ზოგს ურიცხვობა, ზოგს — არა. რა თქმა უნდა, ასეთი „ამოჩემება“ გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა მის კოლეგებს. მაგრამ მისი პიროვნების სირთულესა და უცნაურობას სწორედ ის შეადგენდა, რომ ყველა ამ თვისებასთან ერთად, მას — თუ მოისურვებდა — შეეძლო ადამიანი მოეხიბლა (მოეჭადოებიანა კიდევ). საამისო მონაცემები არ აკლდა — მაღალი კულტურა, მრავალმხრივი განათლება, იუმორის მახვილი გრძნობა; საინტერესო თხრობა იცოდა, საუბრის ოსტატი იყო, შეეძლო პოეტური და ლირიკული ყოფილიყო, ხოლო თუ „იუმორისტულად“ დაიწყებდა „კბენას“, საინტერესო და სახალისოც იყო მასთან შეხება. თუ ვისმე სასიკეთოდ „ამოიჩემებდა“ — თან გადაჰყვებოდა. მე და რენეს „უარეს პერიოდებში“ მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი. „უკეთეს პერიოდებში“ კი მეგობრული ურთიერთობა გვქონდა; ბევრი სიტბოც მასხოვს მისგან, თუმცა მისი დაშოშმინება და მის „აფეთქებათა“ „შედეგების ლიკვიდაცია“ ხშირად ძნელი ამოცანების წინაშე მდგომარეობდა, ყოველთვის დიდად ვაფასებდი მას, როგორც შესანიშნავ მეცნიერსა და ინსტიტუტის ერთ-ერთ ბურჯს; როგორც უნდა ყოფილიყო მისი განწყობილება ამა თუ იმ კოლეგის მიმართ, ინსტიტუტისადმი მისი ერთგულება და სიყვარული ყოველთვის შეუვალე რჩებოდა.

მისი სიჭიუტე და სიკერპე (ესეც სჭირდა — იმის საწინააღმდეგო რამ უნდა გაეკეთებინა, რასაც სხვები ურჩევდნენ) მისთვისვე გამოდგა საბედისწერო: ბოტკინის დაავადება დაემართა და იმის ნაცვლად, რომ თავისთვის მიეხედა, სრულიად გაყვითლებული დადიოდა ინსტიტუტში. ავადმყოფობასაც არ ეპუებოდა და არც იმაზე ფიქრობდა, რომ სხვებსაც საშიშროებას უქმნიდა. ტყუილი იყო მისთვის რჩევა, რომ ექიმისთვის მიემართა. როცა ავადმყოფობა ისე მოერიო, რომ იძულებით ლოგინად ჩააგდო, უკვე გვიან იყო. გარდაიცვალა 1967 წლის 18 თებერვალს. ინსტიტუტიდან გამოვასვენეთ. მისი ბინა ისეთ მდგომარეობაში იყო იმ ჩიტებისა და კატების გამო, რომ იქ არ შეისვლებოდა — რენეს ბინისა და მათი მოვლის თავი აღარ ჰქონდა. ჩვენმა ხელოვნებათმეცნიერებამ მისი გარდაცვალებით დიდი ძალა დაკარგა.

მაგონდება ერთი ზაფხულის დღე ომის პირველ წელს, როცა ინსტიტუტის ოთახში სამნი ვიყავით — ლეო, რენე და მე... ბუნებრივია, ღაშინი საერთოდაც მძიმე განცდა გვქონდა, ზოგჯერ კი განცდები ძალიან გვიმძაფრდებოდა... იმ დღესაც ჩვენი ფიქრები ომზე იყო, მის უაზრობაზე... და რენე ამბობდა:

— ნეტა ვიცოდე, რისთვის არის გაჩენილი ომი ადამიანები ხომ ერთმანეთისთვის ახლობლები არიან, ძნელი წარმოსადგენიც კი არის, ისეთი ახლობლები! აი, ვინმე ჩვენი ტოლი ინგლისელი ან ფრანგი რომ დასვათ ჩვენ გვერდით, ხომ შეიძლება ისინი ჩვენ განუყრელ მეგობრებად იქცნენ არ შეიძლება ჩვენ დავიხოცოთ, უნდა ვიცოცხლოთ, უნდა ვიცოცხლოთ! Я страшно, я безумно люблю жизнь!

და მერე ოცნება დავიწყეთ.

რა გულდასაწყვეტია, რომ ასევე, როგორც უდროოდ წასულს, უნდა ვიგონებდეთ შაქრო მისიურაძეს, რომელმაც მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს (1944-დან 1971-ის იანვრამდე, გარდაცვალებამდე) იმუშავა ჩვენს ინსტიტუტში და მისი ერთი უერთგულესი მუშაკთაგანი იყო. მშაქრომ სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტი დაამთავრა. ოცდაათიან წლებში, როცა ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით რუსთაველის საიუბილეოდ სამზადისი დაიწყო, იგი არქეოლოგიურ კვლევადიებაში ჩაება და ამ საქმესაც ისევე გულმხურვალედ, გატაცებით ეკიდებოდა, როგორც ყოველ სხვა საქმეს. ი. ჯავახიშვილთან, ლ. მუსხელიშვილთან, მერე გ. ჩუბინაშვილთან თანამშრომლობამ, რა თქმა უნდა, დიდი კვალი დააჩნია მშაქროს ჩამოყალიბებას. როგორც მკვლევარი, ის იყო პიონერი შუა საუკუნეების ქართული კერამიკის ტექნოლოგიის შესწავლისა. როგორც შემოქმედი, თავისი ძირებით დაკავშირებული იყო ქართულ ფოლკლორთან, ხალხურ ზღაპრებთან, რომელთა მოქმედი პირები მისი მთავარი პერსონაჟებიც იყვნენ. ჩვენმა კერამიკამ შემდეგ სულ სხვა გზით დაიწყო განვითარება და შაქრო, თავისი თემატიკითა და ნაწარმოებთა ხასიათით, მიმდევართა გარეშე, განმარტოებული დარჩა. მით უფრო საყურადღებო და დასაფასებელია ის, რაც მან თანამედროვე ქართულ კერამიკას შესძინა. იგი საერთოდ დიდი სიყვარულით ეკიდებოდა ქართულ ხალხურ ხელოვნებას, ბოლო წლებში სწავლობდა ქართულ ქსოვილებს, ხალიჩებს, ხალხურ ჩუქურთმას.

შაქრო ჯმუხი კაცი იყო, ფიზიკურად არაჩვეულებრივად ძლიერი, თავისი საქმის დიდი ენთუზიასტი, პრაქტიკული ალღოს მქონე და ყველაფერში დახელოვნებული. ყველაფერი გამოუდიოდა ხელიდან, რაც ჩემზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა, რაკი ამ მხრივ მე მასთან სრულ კონტრასტს წარმოვადგენდი. დიდი მშრომელი კაციც იყო, დღე და ღამე შეეძლო გაესწორებინა მუშაობაში. შაქროს რომ ვუყურებდი, მით უფრო, როცა წინსაფარაფარებული, ხელში სამუშაო იარაღით თავის დაზვასთან ან ღუმელთან იდგა, ასე მეგონა, რომ

მას, როგორც შუა საუკუნეების ან რენესანსის ოსტატებს, თავისი ბოტეგა უნდა ჰქონოდა, სადაც შეგირდებით გარშემორტყმული, ხელბდაკაპიწებული იმუშაებდა და იმუშაებდა თავდავიწყებით. იმავე დროს შაქრო ოჯახის ერთგული, თავისი მეუღლის, ჩვენივე თანამშრომლის ირინე ჭაფარიძის ნამდვილი მეგობარი, ამხანაგების მოყვარული, გულითადი, ტემპერამენტიანი და მღელვარე ადამიანი იყო. მისმა ნაადრევმა და სრულიად მოულოდნელმა სიკვდილმა (ყველაზე უფრო ჯანმრთელი ჩანდა ჩვენ შორის) ძალიან დაგვალონა. ინსტიტუტში მისი საქმის გამგრძელებელიც ჯერჯერობით არავინ გამოჩნდა. მენანება, რომ მისი საქმე ასე შუაგზაზე შეფერხდა.



სერგი ჭიჭია

1941 წელს, ბუნებრივია, ექსპედიციები არ შემდგარა. მე კაცხში უნდა წავსულიყავი და რაკი ეს აღარ მოხერხდა, თემა შევიცვალე — თბილისის „ლურჯ მონასტერს“ მოვიკიდე ხელი — ბევრჯერ გადაკეთებულსა და ნაწვალებ შენობას, რომელიც XIX საუკუნეში ისე დაამახინჯეს, რომ ახლა — თუ ახლო არ მიხვედი და რამდენიმე გადარჩენილი ფრაგმენტი (მათ შორის გრძელი და საინტერესო წარწერა) არ დაინახე — საერთო იერით ვერასგზით ვერ წარმოიდგენ, რომ ეს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების (თანაც, თამარისდროინდელი) ძეგლია.

ზამთარში ძნელი იყო ინსტიტუტის გათბობა. ყველანი ერთ ოთახში ვიყავით დავმოყრილნი ხან შუაში დადგმული ერთადერთი რკინის ღუმელის (საწვავად ნახერხი გვქონდა), ხან კედლის ღუმელის იმედით. თუ ოთახი ასე თუ ისე გათბებოდა, ჩვენ-ჩვენს მაგიდებს ვუსხედით და მიანიც ვმუშაობდით, თუ არადა იმ ღუმელს შემოვუსხდებოდით

სულის მოსაბრუნებლად. ხშირად იყვნენ ხოლმე ჩვენთან „გარეშე“ პირებიც, ჩვენი მეგობრები — ცნობილი არქეოლოგი მიხეილ ივაშჩენკო (სარა ბარნაველის სტუმარი), მხატვარი მაქს ლარიბჯანიანი (რენესანსანაგი აკადემიიდან და მისი სტუმარი), ნუმისმატი დავით კაპანაძე, ჩემი გოგი ლომთათიძე, გიორგი ტყეშელაშვილი; ხშირად შემოგვივლიდა იროდიონ სონღულაშვილი. მართალია, ჩვენს ინსტიტუტში არ მსახურობდა, მაგრამ ჩვენთან იჭდა და მეცადინეობდა ნაპო ზაქარაია... თუთი თავისუფალი იყო, ღუმელს არ შორდებოდა ბუღალტერი ვანო შაფაქიძე — მობუზული იდგა, ხელები ცეცხლისკენ ჰქონდა მიშვერილი, პალტოს საყელო აწეული... ვანო მარტოხელა კაცი იყო, კრისტალურად პატიოსანი, ნერვული, მყვირალა, ზოგჯერ ისტერიული, თავის საქმეში ყოველგვარ დასაშვებ ელასტიკურობასაც მოკლებული, მაგრამ საქმის დიდი ერთგული, გულწრფელი პატრიოტი... ხანდახან შევეჯახებოდით ხოლმე, მაგრამ ყველას გვიყვარდა. ღუმელთან ან ევროპის რუქასთან შეეწლო მთელი საათი მდგარიყო გაუნძრევლად. მისი კიდეც ერთი საყვარელი „პოზიცია“ ასეთი იყო: თავის მაგიდას უჭდა, უჭრა გამოწეული ჰქონდა და კითხულობდა რატომღაც იმ უჭრაში ჩაღებულ წიგნს. ხანდახან თავისთვის ლაპარაკი იცოდა. ერთხელ შევესწარი, როცა ენციკლოპედია ჰქონდა გადაშლილი, ჩერჩილის ბიოგრაფიას კითხულობდა და ხმამაღლა ამბობდა:

— უყურე შენ! მე ოთხმოცი წლის მეგონა და აი არ ყოფილა თლა ბებერი! — უცებ გაჰკრა-გამოჰკრა „ჩოთქზე“, რომელიც იქვე ედო, და დაასკვნა: — ტისიაჩუ დევიაცოტ სოროკ ადინ, დალოი ტისიაჩუ ვასემსოტ სემდესიატ ჩეტირე, იტავო შეზდესიატ სემ ლეტ! (პროფესიის დაღის კიდეც ერთი მაგალითი მახსოვს ჩვენივე ინსტიტუტიდან: მე და შიკრიკი არშაკა, რომელიც მანამდის რუსთაველის მუზეუმში, ადრე კი სასამართლოში მუშაობდა შიკრიკადვე, და ამ საქმეში უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი სტაჟი ჰქონდა, ერთხელ რალაცაზე ვლაპარაკობდით და სიტყვა ივანე ჯავახიშვილზე ჩამოვარდა. არშაკამ თქვა:

— ძან კაი კაცი იყო ჯავახიშვილი, დიდი სალამ-ქალამის კაცი... ყოველ თვე ჯამაგირი ამქონდა იმასთან... — მერე შეჩერდა და თითქოს საზეიმოდ დაუმატა: — ნიკალავესკი შეზდესიატშესტ! — როგორც ჩანს, მისთვის ადამიანისა და მისი მისამართის ცნებები უკვე ერთმანეთს ემთხვეოდა).

ომმა ყველას ბევრი მწუხარება მოუტანა. დროდადრო ვგებულობდით ხან ერთი ნაცნობისა და მეგობრის ან ნათესავის დაღუპვის ამბავს, ხან მეორისას. სხვაც ბევრი იყო სამწუხარო და საზრუნავი. დიდი გაჭირვება გადავიტანეთ, როცა ჩვენს კორპუსში ლენინგრადიდან ევაკუირებული სახელოსნო სასწავლებელი შეასახლეს, ჩვენ კი რუსთაველის პროსპექტის კორპუსში მოგვინდა გადაბარება, არა მარტო ინსტიტუტის ნივთებით, არამედ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენის ექსპონატებითაც — გამოფენა მომზადებული იყო გასახსნელად. მაგრამ მუშაობა გვშველოდა, თანაც ახალგაზრდები ვიყავით და რაიმე კომპენსაცია გვჭირდებოდა, გვჭირდებოდა სიხარული, მზიარულება. ხანდახან ავიწყვდით ხოლმე და სამსახურის დრო რომ გათავდებოდა, დავიწყებლით სახუმარო ცეკვას, რაღაცას მაზურკის მაგავსს, რომელშიაც თითქმის ყველანი მონაწილეობდნენ, თვით დინჯი, მეტისმეტად მოკრძალებული სარა ბარნაველი* და ვანო შაფაქიძეც კი (მის ცეკვას დაერქვა „პაღე შაფი“). მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ხანმოკლე და იშვიათი ეპიზოდები იყო. უფრო სტაბილური ხასიათი ჰქონდა ჩემს კარიკატურებს, რომელთაც მაშინ ძალიან ინტენსიურად ვხატავდი — ხან კრებებზე, ნატურიდან, ხან მეხსიერებით, ზეპირად. კარიკატურები პორტრეტული იყო, უმეტესად კი — სცენები ჩვენი სექტორის (შემდეგ ინსტიტუტის) ცხოვრებიდან. მე მგონი, დაუხატავი არ დამრჩენია არც ერთი აკადემიკოსი, არავინ, ვინც კი ჩვენთან შემოიხედავდა, ჩვენი მეზობლებიც — მუზეუმის თანამშრომლები (უფრო გვიან, წლების განმავლობაში, მათ მიემატნენ მწერლები, არქიტექტორები, სხვებიც). ჩემი მთავარი და ყველაზე ხშირი ობიექტები იყვნენ ლეო რჩეულიშვილი და თინა ვირსალაძე; თანდათანობით ბევრი

* ეს „მოგონებები“ უკვე დამთავრებული და სასტამბოდ გადაცემული იყო, როცა 1984 წლის ილისის დასაწყისში სარა ბარნაველი გარდაიცვალა, 82 წლისა. სარა ვაჟილ ბარნოვის ქალიშვილი იყო. თავისი უკიდურესი თავმდაბლობისა და მორიდებულობის გამო სარა ეუღლამ ჩრდილში რჩებოდა; ბევრად უფრო ფართო განათლება ჰქონდა, ვიდრე აჩენდა, განსაკუთრებით კარგად იცნობდა ძველი აღმოსავლეთის ისტორიას. მნიშვნელოვანი შრომები შექმნა — მონოგრაფია ძველ ქართულ დროშებზე (დღემდე ერთადერთი), გამოკვლევები ქართული გლიტიკის შესახებ, გამოსცა ბევრი ღირსშესანიშნავი საბუთი, რომლებიც ძველი ქართული მშენებლობისა და მატერიალური კულტურის საკითხებს აშუქებს. იშვიათი ბუნების ადამიანი იყო — უსაზღვროდ კეთილგანწყობილი, ბავშვებით მიმნდობი და გულუბრყვილი. ვისიმე ავკაცობის ან უწესო საქციელის ამბავს რომ გაიგებდა, გულწრფელად უკვირდა, იმდენად უცხო და გაუგებარი იყო ეს მისთვის. მისი ყოფნა აკეთილშობილებდა და „ათბობდა“ გარემო ატმოსფეროს და მისმა წასვლამ ძალიან დაგვალბა.

აღბომი დამიგროვდა, პირველ აღბომს კი, რომელშიაც 1941-42 წლების ნახატებია, ერქვა „დღენი ჩვენი სექტორისა (ჩვენ და ჩვენი ნაც-ნობ-მეგობრები)“. რეალური სცენების გარდა („სექტორი ზამთარში ანუ ზამთარი სექტორში“; „მუზეუმის ეზო ქვეწარმავალთა ესტაფეტის დროს“ — ზოოლოგიის განყოფილების გადასახლება ერთი კორპუსიდან მეორეში; „საპირფარეშოს საზეიმო გახსნა ჩვენს სექტორში“, „ჩვენ საერთო კრებას ვესწრებით აკადემიაში“, „ჩვენ ვსაუზმობთ“ და სხვ.), იყო ფანტაზიებიც, მაგალითად, „ქართული ხელოვნების ისტორიკოსთა საიუბილეო პარადი“, „იბნ-ალი-არშაკის მოხეტიალე დასი“ (არშაკა არღანზე უკრავს, ლეო გიტარაზე, თინა ბოშა ქალივით ცეკვავს დაირით ხელში, რენე თოკზე დადის, მე ყირაზე ვდგავარ). „ლეოკონი“ და „აპოლონი“ (ლეო ლაოკონისა და ბელვედერის აპოლონის სახით — პირველი ლეოს გამოხატავდა დისერტაციის დაცვამდე, მეორე — დისერტაციის დაცვის შემდეგ), „ნაპოლონი“ (ორსახა კაცი იანუსივით — ერთი სახე ნაპოსი ჰქონდა, მეორე ლეოსი, ქული საერთო, ნაპოლონისა). ეს კარიკატურები მაშინ ძალიან გვახალისებდა, ძალიან მხიარულობდა მათი ნახვისას სიმონ ჯანაშია, რომელიც, აგრეთვე იყო იმ სცენების ერთ-ერთი მოქმედი პირი. ახლა, ორმოცზე მეტი წლის შემდეგ, კარიკატურები ჩვენი მაშინდელი ცხოვრების თავისებურ მატრიანესავით არის. თანაც, მათ რომ ვათვალიერებ, განსაკუთრებით ნათლად ვგრძნობ, როგორ გამოვიცვალეთ მას შემდეგ, როგორ დავბერდით.

მთავარი, ცხადია, მაინც ის იყო, რომ ჩვენი სექტორი ახერხებდა ინტენსიურ მუშაობას. ჩუბინაშვილი გვიკითხავდა თავის ნარკვევებს ქართული სიძველეების შესწავლის ისტორიის შესახებ, თანამშრომლებიც კითხულობდნენ მოხსენებებს სექტორის სხდომებსა და აკადემიის სესიებზე. მოხსენებებს ყოველთვის ბევრი ხალხი ესწრებოდა, ინტერესით ისმენდნენ, იყო კამათიც — აშკარად იგრძნობოდა და თვალნათლივ ჩანდა, რომ ჩვენი ხელოვნება გზას იკაფავდა ჩვენს საზოგადოებაში. რენე შმერლინგმა 1942 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „სამთავრო — XI საუკუნის ძეგლი“, ლეო რჩეულნიშვილმა 1943 წელს — „თიღვის ტაძარი“ (დავით აღმაშენებლის ასულმა, შარვანის დედოფალმა თამარმა ააშენა 1152 წელს), მე დავამთავრე ჩემი „ლურჯი მონასტერი“ და დავწერე რეცენზია იურგის ბალტრუშაიტისის წიგნზე (ქართულსა და სომხურ ხუროთმოძღვრებას რომ უძღვნა), დავიწყე მასალების მოგროვება „მალალანთ ეკლესიისათვის“, დავიწყე ფიქრი და სამზადისი „სამცხის ხუროთმოძღვრებისათ-

ვის“, დაწერე კრიტიკული წერილი „ქართული ხელოვნება უკანასკნელი 25 წლის სპეციალურ ლიტერატურაში“, რამდენიმე კაცმა გავზომეთ თბილისის „მეტეხი“. ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა ჩვენთვის მაშინ მაინც ინსტიტუტის შრომების („ქართული ხელოვნება“ — „Ars Georgica“) პირველი ტომის გამოსვლა იყო 1942 წელს. მაისის დასაწყისში სასიგნალო ცალი მივიღეთ, 11 ივნისს კი წიგნი ბაზარზედაც გამოვიდა. წიგნში დაბეჭდილი იყო მნიშვნელოვანი ნარკვევები: გ. ჩუბინაშვილის ქსნის ხეობის VIII—IX საუკუნეთა ძეგლებზე, ლეო რჩეულიშვილის „ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია“, რენე შმერლინგის დისერტაცია („სამთავრო“) და მისივე „ჩხოროწყუს ოქროს თასი“, ლენკო მუსხელიშვილის ზემოთ ნახსენები გამოკვლევა სვეტიცხოვლის წარწერების შესახებ, რომელშიც დადგენილია ძეგლის თარიღი, ხუროთმოძღვრის სახელი, და გარკვეულია ზოგი სხვა საკითხიც. ამავე ტომში გამოქვეყნდა ჩემი პირველი სამეცნიერო ნაშრომები — სავანისა და ეხვევის ტაძრების შესახებ. ომის პირობებში, ცხადია, ძნელი იყო ასეთი დასურათებული წიგნის გამოცემა, მაგრამ მწესაძლებლობის კვალობაზე პოლიგრაფიულ ხარისხს მაინც არა უშავდა რა. გარკვეული თვალსაზრისით იქნებ უინტერესო არ იყოს იმის აღნიშვნა, რომ ლეო რჩეულიშვილისა და ჩემი ნარკვევები, რომლებიც ამ პირველ ტომშია მოთავსებული, ქართულ ენაზე დაწერილი პირველი მეცნიერული სახელოვნებათმცოდნეო ნაშრომებია ხუროთმოძღვრების ისტორიის დარგში: გ. ჩუბინაშვილი რუსულად წერდა და მისი „ქართული ხელოვნების ისტორიის“ I ტომიც და „ქართული ხუროთმოძღვრების გზებიც“ სხვებმა თარგმნეს (ცუდად); ასე რომ, ჩვენ პიონერები ვიყავით და არამცირე სიძნელეთა გადალახვა გვჭირდებოდა, თუნდაც ტერმინოლოგიის მხრივ.

სექტორის ამ პირველმა „ოპუსმა“ ინტერესი გამოიწვია — საზოგადოებამ იგი კარგად მიიღო. წიგნის გამოსვლის მეორე დღეს შემხვდა არნოლდ ჩიქობავა, რომელსაც არასოდეს არ რჩებოდა უყურადღებოდ არაფერი, რაც ჩვენი კულტურის სფეროში ხდებოდა, ჩვენს მუშაობას კი განსაკუთრებული გულისყურითა და სიმპათიით ეკიდებოდა. აღტაცებით მელაპარაკა ჩვენი „არსის“ შესახებ: ამ ბოლო დროს ისეთი არაფერი არ მომხდარა, რაც შეიძლება ამ წიგნს შეეძაროს თავისი მნიშვნელობით ქართული კულტურისთვისო... ეს წიგნი დროშასავით წაგვიძღვება წინო... დღეს „ქართული ხელოვნების“ პირველი ტომი (სხვა ტომებიც) უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

1942 წელი საინტერესო იყო მხატვრული ცხოვრების თვალსაზრისითაც. მაშინ თბილისში ევაკუირებულნი იყვნენ რუსული ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები — მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები. საკმაოდ ხშირად იმართებოდა მათი კონცერტები და გამოფენები. რა თქმა უნდა, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს პროკოფიევმა, რომელიც საკუთარ თხზულებებს უკრავდა, კაჩალოვმა, ტარხანოვმა, საინტერესო იყო ნემიროვიჩი-დანჩენკოს მოსმენა — მთელი საღამო თავისი მოგონებების ნაწყვეტებს ყვებოდა. ჩვენს მეზობლად, გრიგოლ ჩხეიძის ბინაში, ცხოვრობდა კომპოზიტორი მიასკოვსკი, დიდად ინტელიგენტი, თითქოს საკუთარ თავში ჩაქეტილი ადამიანი... გრიბოდონისა და ჭავჭავაძის ქუჩების. კუთხეში — ცნობილი გრაფიკოსი და გრაფიორი ივანე პავლოვი; ჩამოსული იყვნენ აკვარელისტი ვასილ სვაროვი და იგორ გრაბარი, XX საუკუნის რუსული მხატვრული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა — ფერმწერი, საწიგნურმო და სარესტავრაციო საქმის ორგანიზატორი, რუსული ხელოვნების პირველი მეცნიერული ისტორიის შექმნის მოთავე და ხელმძღვანელი, კრიტიკოსი, მკვლევარი — უკვე სამოცდაათს გადაცილებული იყო, მაგრამ დაუღალავად მუშაობდა და ლამაზი ქართველი მანდალოსნების მთელი გალერეის შექმნა მოასწრო. უშრეტეი ენერჯისა და ტემპერამენტის კაცი იყო. რამდენიმეჯერ შევხვდი მას. ერთხელ მოსტაკოვიჩზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აღშფოთება გამოთქვა, რომ მას ერთხანს თავს ესხმოდნენ, და განსაკუთრებული აღზნებით წამოიძახა:

— ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ ახალგაზრდობაში ცოცხალ ჩიკოვსკის შევხვედრივარ... და ასევე ბედნიერებად მიმაჩნია, რომ წილად მხვდა დღეს მოსტაკოვიჩის თანამედროვე ვიყო.

პავლოვთან მეცადინეობდა რამდენიმე თბილისელი მხატვარი და მათთან ერთად ჩვენი ვახტანგ ცინცაძე — ხეზე გრაფირებას სწავლობდნენ. ერთხელ მეც ვიყავი მასთან (იმ წელს სამოცდაათი წელი შეუსრულდა და ჩვენს სურათების გალერეაში იუბილევ გადაუხადეს. ჩუბინაშვილმა და ი. გრაბარმა წარმოთქვეს სიტყვები). ჯმუხი და დამძიმებული, უკბილო მოხუცი იყო. დიდად ნაშრომ-ნაღვაწი, მაგრამ საუბრისას საკმაოდ პრიმიტიული კაცის შთაბეჭდილება დატოვა. შესაძლებელია, ეს „აღმზრდელობითი“ მიზნით იყო, რომ ახალგაზრდებისთვის ეჩვენებინა, რა კარგია ბეჯითი შრომა, მაგრამ მთელი საღამო კი განუწყვეტლივ იქებდა თავს და საკმაოდ ბანალურ აზრებს გამოთქვამდა (თან თავის გრაფიურებს გვიჩვენებდა, რომელთა შორის ზოგს, ცო-

ტა არ იყოს, ხელოსნური ბეჭედი აჩნდა, მაგრამ ბევრი იყო მართლაც პოეტური, განცდილი). — Шесть тысяч гравюр за свою жизнь исполнил... А листов сколько выпустил! Несколько миллионов! Азбуки, буквари, картинки! И не устал! Вон какой работник! И выпивальщик здоровый.

მასთან მეცადინეობამ კი მართლაც სარგებლობა მოუტანა ჩვენს მხატვრებს.


1942 წელი ჩემს პირად ცხოვრებაშიაც მნიშვნელოვანი იყო: ოჯახს მოვეკიდე. ცოლად შევიერთე ნატო ფალავანდიშვილი, ჩემივე სტუდენტი სამხატვრო აკადემიაში — გრაფიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვიგონებ ჩემი მეუღლის მამინაცვალს პროფესორ ნიკოლოზ დუბროვსკის. ბევრი არ შემხვედრია ასეთი ნიჭიერი და ფართოდ განათლებული კაცი. ადრე ჟურნალისტობდა კიდევ, ერთხანს ბაქოში ცხოვრობდა და იქაურ უნივერსიტეტს ედგა სათავეში, შემდეგ კი — ჩემს დროსაც — თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა დასავლეთ ევროპის ისტორიის კურსს. დედა ქართული ჰყავდა, მამის დედაც აგრეთვე (ამილახერის ქალი), თვითონაც იცოდა ქართული, თუმცა არც ისე თავისუფლად, როგორც რუსული. ბრწყინვალე ლექტორი იყო, არაჩვეულებრივად საინტერესო მოსაუბრე, მახვილგონიერი, კეთილგანწყობილი და კეთილმოსურნე. განათლება გერმანიასა და იტალიაში ჰქონდა მიღებული და, რამდენადაც ვიცი, მისი საკვლევი სპეციალობა იტალიის რენესანსის ეპოქა იყო. მაგრამ იმ დროს უკვე მთლიანად პედაგოგიკურ მოღვაწეობაზე იყო გადასული (ქუთაისშიაც კითხულობდა ლექციებს), მეცნიერულ მუშაობას აღარ ეწეოდა, იმიტომ, რომ, არსებითად, მოწყვეტილი იყო თავისი კვლევის საგანს. სულ მალე შევეჩვიე მას, მასთან ყოფნა და მისი მოსმენა მიყვარდა. ბევრის მომსწრე და მნახველი იყო. ძალიან ვნანობ, რომ დიდხანს არ დამცალდა მასთან ურთიერთობა. მალე გარდაიცვალა, 1943 წლის დეკემბერში, თუმცა არც იმდენად მოხუცებული იყო — 69 წლისა. მიკვირს და მწყინს, რომ მის შემკვიდრეებს უნივერსიტეტში ერთხელაც არ გახსენებიათ ეს კაცი, რომ როგორმე მაინც აღენიშნათ მისი ხსოვნა — ის კი მუდამ ზრუნავდა ახალგაზრდებზე და ხელს უწყობდა მათ.

მისი მეუღლე, ბარბალე ყიფიანი, თავის დროზე ცნობილი პედაგოგის პეტრე ყიფიანის ძმისწული და დიმიტრი ყიფიანის შორეული ნათესავი, რამდენიმე ათეული წელი მსახურობდა საქართველოს საგეგმო კომიტეტში. გამოცდილი და დამსახურებული ეკონომისტი იყო, კოლეგების მიერ დიდად დაფასებული. ჩემი მშობლების გარდაცვალები-

ზის შემდეგ დიდხანს ცხოვრობდა ჩვენთან. დიდი მეგობრები ვიყავით. გარდაიცვალა 1976 წელს, 85 წლისა.

მე და ნატომ „ხელი მოვაწერეთ“ აგვისტოს ბოლოს, ათიოდე დღის შემდეგ კი გავემგზავრეთ წინარეხს — ეს ექსპედიციაც იყო (მაღალაანთ ეკლესიის“ შესასწავლად) და ჩვენი საქორწინო მოგზაურობაც. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე რუსულდან მეფისაშვილი, ვახტანგ ცინცაძე და ნაპო ზაქარაია. თბილისში მაშინ ძალიან დაძაბული მდგომარეობა იყო — გერმანელების თვითმფრინავები გამოჩნდებოდნენ ზოლმე, განგაშიც ცხადდებოდა, საზენიტო არტილერიაც ისროდა... კავთისხევის სადგურიდან წინარეხამდის ფეხით ავედით, მხოლოდ ბარგისთვის ვიშოვეთ რალაც ურემი. გლეხები ექვის თვალთ გვიყურებდნენ, როცა ბინის დაქირავება გვინდოდა — ეგონათ, რომ აღარ წავიდოდით იქიდან, სულ იქ დავრჩებოდით. მაინც ვიშოვეთ ორი ოთახი და დავბინავდით. მერე დედაჩემიც ჩამოვიდა და ბოლომდის დარჩა ჩვენთან, რითაც დიდად შეგვიმსუბუქა სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტა. საკმელი გვიქირდა, რაკი კოლმეურნეობას, რომელშიც მართო ქალები და მოხუცი კაცები იყვნენ დარჩენილნი, ბევრი არაფერი გაჩნდა. ჩვენი მთავარი საკვები ხილი იყო: სახლიდან ეკლესიისკენ მიმავალი გზის გასწვრივ დიდ ბაღებს ჩაუველიდით და იქ განუკითხავად ვარღვევდით საკოლმეურნეო საკუთრების კოდექსს. თბილისიდან თითქმის ყოველდღე ისმოდა ყრუდ არტილერიის ხმა, მაგრამ თვით წინარეხში, შუაგულ ქართლის ტიპურ სოფელში, რომელიც კავთურის ულამაზეს ხეობაში მდებარეობს, საკვირველი მყუდროება სუფევდა ოქტომბრის იმ თბილ, მზიან დღეებში. ის ბაღებიც, მთებზე შეფენილი ტყეებიც — ყველაფერი შემოდგომის ფერებით იყო აჭრელებული. როცა ვუყურებდი ამ ბუნებას, პატარა მწყემსებს სალამურებით, აბგებითა და კომბლებით, ცხვრებს, ხარებს, ამაყად მოსეირნე ბუღას, შეჭიდებულ ყოჩებს, დიდ მურას — ხანდახან დაუჯერებლად მომეჩვენებოდა, რომ ქვეყნად საშინელი უბედურება ტრიალებდა, რომ ხალხი იძლიტებოდა, სოფლები და ქალაქები პარტახდებოდა... მაგრამ ეს იდილია მოჩვენებითი იყო — თვით სოფელს, შინ დარჩენილთ დიდად აჩნდათ ომის დაღი.

ეკლესია და კოშკები შედარებით ადვილად გავზომეთ. ვახტანგმა და რუსულანმა ქვათახევის ტაძრის გაზომვაც მოასწარეს — ქვათახევი იმავე ხეობის სიღრმეშია, მაღალაანთ ეკლესიიდან შვიდი-რვა კილომეტრის დაშორებით. გარშემოც ბევრი ვიხეტილეთ ფეხით (კიდევ რომ მოგვესურებინა, არავითარი ტრანსპორტი არ ჰქაჟანებდა). ვიყა-



მალაანთ ეკლესია. ჩუქურთმები

ვით გუდალეთში, ნიჩბისში, გომისცვარში, სასხორში... რა სიხარული იყო ყოველი ახალი, თუნდაც უმნიშვნელო ძეგლის აღმოჩენა! წინარეხიდან, გარდა ანაზომებისა, ჩამოვიტანე ჩანაწერები, რომლებიც შემდეგ რამდენიმე პატარა ნარკვევისთვის გამომადგა.

ომის წლებში მოწყობილი სხვა ექსპედიციებიც მკაფიოდ აღმებეჭდა მეხსიერებაში: ერთი, 1943 წლის აგვისტო-სექტემბერში, ზობის ექსპედიცია იყო, მეორე, 1944 წლის აგვისტოში — დმანისისა.

ამ ორი ექსპედიციის ამოცანები განსხვავებული ხასიათისა იყო: პირველს საგნად ჰქონდა ერთი ძეგლი, უკვე ცნობილი და პოპულარულიც, რაკი მასთან ბევრი ისტორიული მოგონება და ბევრი ისტორიული პიროვნების სახელია დაკავშირებული. ეს ძეგლი, ზობის სახელგანთქმული მონასტრის ეკლესია და მისი სიძველეები — წარწერები, ხელნაწერები, ხატები — ისტორიულ-არქეოლოგიურ ლიტერატურ-

რაში არაერთხელ ყოფილა მოხსენებული, მაგრამ სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი მას არ შეხებია — საკვლევე კი ბევრი იყო, როგორც ხუროთმოძღვრების, ისე კედლის მხატვრობის თვალსაზრისით.

მეორე ექსპედიციას ერთი გარკვეული ძეგლის შესწავლა არ ჰქონია მიზნად დასახული. იგი მიემგზავრებოდა დმანისის (მაშინ ბაშქიჩეთისა ერქვა) რაიონში, ისტორიულ ზურტაკეტის ველსა და მის მიდამოებში შემორჩენილი ძეგლების მოძიებისა და გამოვლინებისათვის. ექვთიმე თაყაიშვილმა ეს კუთხეც მოიარა, ოციოდე ძეგლი მოინახულა და წარწერებიც გამოაქვეყნა, მაგრამ იმედი გვქონდა, რომ ჯერ კიდევ უცნობი ძეგლებიც აღმოჩნდებოდა. იმავე დროს, ცნობილი ძეგლებიც ხუროთმოძღვრების მხრივ შეუსწავლელი იყო, თაყაიშვილის ინფორმაცია კი დიდად აღვივებდა მათდამი ინტერესს: რამდენიმე მათგანს ნეტერთმეტე საუკუნის წარწერები ჰქონდა, რომლებშიაც კლდეკარის ერისთავები იყვნენ მოხსენიებულნი, ერთს კი თამარ მეფისა და დავით სოსლანის სახელების შემცველი წარწერაც.

ხოზის ექსპედიციაში ემონაწილეობდით ნიკოლოზ სევეროვი, რენე შმერლინგი, ვახტანგ ცინცაძე, ლეო რჩეულიშვილი, თინა ვირსალაძე, ფოტოგრაფი ყორა ბარტიშევსკი, რომელმაც კარგა ხანს იმუშავა ჩვენს ინსტიტუტში, და მე.

ბევრი გაჰირვება გადაგვხდა, განსაცდელიც კი: მატარებლით მგზავრობა მაშინ ძნელი (ზოგჯერ საშიშიც) იყო — ვის არ შეხედებოდა: ვაგონებში. იქიდან თბილისს რომ ვბრუნდებოდით, სადგურ ხეთაში უნდა დაეხედროდით მატარებელს. არც დაპირებული მანქანა გამოგვიგზავნეს, არც ბილეთები გვქონდა. ჩვენი ბარგიანად ძლივს შევახტით ვაგონებს და ერთხანს საფეხურებზე ვეკიდეთ. იქ, ადგილობრივ, გადაადგილებაც გავციკირდა — ხოზის სადგურიდან სოფელ ნოჯიხევამდე (სადაც მონასტერი მდებარეობს) რამდენიმე კილომეტრია და ბარგის გადაზიდვისთვის აუცილებელი იყო, სხვა თუ არაფერი, ურემი მაინც. სოფლის საბჭოს თავმჯდომარე (ახალგაზრდა, გამჭრიახი კაცი) ძალიან დაგვეხმარა, ძეგლის მახლობლად დაგვაბინავა ორ სახლში.

რა თქმა უნდა, საყოფაცხოვრებო პირობები ექსპედიციის დროს სახარბიელო არ იყო, უფრო სწორად — საკვების მოპოვება გვიძნელებოდა. მე, როგორც ექსპედიციის ადმინისტრატორს, ხშირად მიზღებოდა სამეურნეო „ლშქრობის“ მოწყობა — ხან სოფლის საბჭოში, ხან რაიონის ცენტრშიაც. მაგრამ ამ უსიამოვნებათა საკომპენსაციოდაც ბევრი რამ გვქონდა: ჯერ ერთი, იქაური გარემო; მე პირველად

ვიყავი სამეგრელოში და გამაოცა ბუნების უსაზღვრო სიუხვემ, მცენარეულობის სიმდიდრემ, კოლხეთის ველის შორეული ხედების სილამაზემ; თვით სოფელმა, სუფთამ, მწვანეში ჩაფლულმა, ყოველი სახლის წინ — ქათქათა კოინდარი იყო... მასპინძლები, თუნდაც ჩვენი სახლის პატრონი, ოთხი შვილის დედა, საწყალი ქვრივი ქალი, თავაზიანად გვექცეოდნენ, კეთილად იყვნენ განწყობილნი... მთავარი კი თვით ძეგლი იყო: თავსატეხი საკითხების აღმძვრელი — თავისი უცნაური, სრულად უჩვეულო ხუროთმოძღვრული მასით, სხვადასხვა დროინდელი მინაშენით, სხვადასხვა დროინდელი ფრესკებით, ფრესკებზე გამოსახული ისტორიული პირებით, რომელთა ვინაობა და ცხოვრების დროც არ იყო უტყუარად დადგენილი, საინტერესო გრძელი წარწერებით... იმავე დროს, პირველი ნახვისთანავე გამოჩნდა, რომ მხატვრული თვალსაზრისითაც ეს მნიშვნელოვანი ძეგლია...

არაჩვეულებრივად ლამაზია თვით ძეგლის ეზო-გალავანიც: საცხოვრებელი სახლის ნანგრევი, ძალიან დიდი სამრეკლო, გარედან მიშენებული კიბით... ყველაფერი სუროთი დაფარული... უჩვეულო პერსპექტივებსა და რაკურსებს ქმნის ეკლესიის ღია თაღოვანი გარშემოსავლელი, რომელიც შენობის ორ მხარეს უვლის გარს, თაღებს შუაღ სანტერესო სანახაობა „ჯდება“. ერთხელ ბარტიშევსკი ფოტოაპარატს აყენებდა იმ გარშემოსავლელში და უცებ მისი შეძახილი გავიგონეთ: — Боже мой, боже мой! შემკრთალებმა მივიხედეთ მისკენ: — Какое освещение, какой кадр! მაგრამ ჩვენში, ალბათ, არც მოიძებნება ძეგლი, რომლის ნახვამაც ასეთი გულიანი შეძახილი არ გამოიწვიოს...

ერთ დღეს რაიონის ხელისუფლება გვეწვია მონასტერში. იმ შეხვედრას რომ ვიგონებ, არ შემიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნო, რომ ძეგლებისადმი ადგილობრივი ხელმძღვანელების დამოკიდებულების მხრივ ძალიან დიდი პროგრესია მიღწეული. ახლა მე არც შეგულება ჩვენი ქვეყნის რომელიმე კუთხე, რომლის მეთაურებსაც შეგნებული არ ჰქონდეთ იქაური ძეგლების კულტურული ღირებულება, მათი ღაცვისა და პროპაგანდის საჭიროება. იმ ჩვენმა სტუმრებმა კი არაფერი არ იცოდნენ ისეთი პირველხარისხოვანი, მართლაც საამაყო ძეგლის შესახებ, რომელიც იქვე, ყურისძირში მდებარეობდა (ბევრად მეტი იცოდა და მეტ ინტერესს იჩენდა მათი მანქანის მძღოლი), იქნებ მანამდის არც არასოდეს ენახათ... შემოვატარე იქაურობა, ვუხსნიდი, ჯუამბობდი დადიანების შესახებ (წარწერებშიაც დადიანები იხსენიებიან და პორტრეტებიც დადიანებისა), მინდოდა ეგრძნოთ, რა ძეგლი

აქეთ, იქნებ მეტად მიხედონ-მეთქი... არ ვიცი, რა შედეგი გამოიღო ჩემმა ცდამ, ეს კია, რომ ასომთავრული წარწერის წაკითხვამ მათზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. თითქოს იეროგლიფები ამომეხსნას პირველად.

იმ მძლოლმა გვითხრა, სოფელ ბიაშიაც არის ეკლესიაო. წავედით, თექვსმეტ-ჩვიდმეტი კილომეტრი მაინც გავიარეთ იქით-აქეთ. ეკლესია („მთავარანგელოზი“) მთის კეხზეა, საკმაოდ მაღლა. ზოგნი შემოვლით წავიდნენ, სვეროვი, რენე და მე კი პირდაპირ „ვეძგვრეთ“ აღმართს. მეგონა, ტროპიკულ ჯუნგლებს მივარღვევდი: ბალახი, გვიმრა, ყვავილები, დაბურული ეკლიანი ბუჩქები მხრებამდე გვწვდებოდა, ზოგან სულ ვიფარებოდით მცენარეულობით... იქ, ზემოთ, ერთ მხარეს ერთიანად კავკასიონს ეჭირა ჰორიზონტი — წინა მთები მას თითქმის არ ფარავდა, იგი თითქოს ძირიდანვე ჩანდა, უზარმაზარი და თავბრუდამხვევი... მეორე მხარეს კი — ასეთი რამ არასოდეს მენახა — ივალუწვდენელი, უსაზღვრო ველი იყო, ლამის მთელი კოლხეთი, და იქით, სულ ბოლოს, ძალიან შორს, ბურუსში — ზღვის ზოლი. ეკლესია უინტერესო აღმოჩნდა, მაგრამ ამ სანახაობით გაბრუებულნი დავბრუნდით შინ.

ხობის ნახაზები ჩვეულებისამებრ ოსტატურად შეასრულა სევეროვმა. ბევრად უფრო გვიან დაიბეჭდა ჩემი დაწერილი „ხობის ტაძრის ისტორიისათვის“ — ერთი თავი კოლექტიური ნაშრომისა, რომელიც უნდა დაგვეწერა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდის ვერ მოვაბით თავი ამ საქმეს. ძეგლი კი, რა თქმა უნდა, იმსახურებს სერიოზულ მონოგრაფიას.

ზურტაკეტის ექსპედიცია მაგონდება, როგორც რომანტიკული, ერთგვარი ილუმალეებით მოსილი მოგზაურობა. ჩვენი უფროსი ლეო რჩეულიშვილი იყო, ვმონაწილეობდით: რენე, თავის თხუთმეტი წლის ძმისწულ ალასთან ერთად, ვახტანგ ცინცაძე, ნაპო ზაქარაია, ბაბო აღნიშვილი და მე. [ჩვენს შემადგენლობას უჩვეულო ხასიათს ის ანიჭებდა, რომ რენეს გალიაში ჩასმული ჩიტი მოჰყავდა თან — შინ რომ დავტოვო, კატა შეჰამსო. მთელი ის დრო, რაც ექსპედიციაში ვიყავით, ის გალია არ მოუშორებია — ეს გლენების გაოცებასა და ჩვენს ფარულ (რენეს რომ არ სწყენოდა) მხიარულებას იწვევდა. თბილისში დაბრუნების მეორე დღესვე ჩიტი მაინც შეჰამა კატამ]. კიდევ კარგი, ჩემმა ბიძაშვილმა მიშამ მოგვცა სატვირთო მანქანა და იმით ვიმგზავრეთ დმანისამდე. მეორე დღეს ერთი თივიანი ფურგონი ვიშოვეთ, გზად ლამის გასათევად სოფელ ახაში შევჩერდით, და საშინელი

ნჯღრევის შემდეგ, მესამე დღეს, როგორც იქნა, ჩავალწიეთ დიდ გომარეთამდე. ეს ჩვენი მთავარი ადგილსამყოფელი უნდა ყოფილიყო. იქ საეკიმო პუნქტის მენობაში დაგვაბინავეს. ყველანი ერთ ოთახში ვიყავით, ქალებიც და კაცებიც, კეთილმოწყობის მხრივ — პირველყოფილ დონეზე.

დიდი გომარეთი მართლაც დიდი სოფელია, მთის კალთაზე შეფენილი ამფითეატრივით. და, აი, ამ ერთ სოფელში ხუთი ძველი ეკლესიაა დარჩენილი. გარშემოც — სხვა სოფლებში, მინდვრებში, ნასოფლარებში უამრავი ნაშთია (ამ მხარეში რომ ბევრი ნასოფლარია, ეს არავის გაუკვირდება, ვინც იქაურობის მძიმე ისტორიული წარსული იცის). თითქმის დღე არ გავიდოდა, ხუთი-ექვსი ძეგლი რომ არ გვენახა. ეკლესიები უგუმბათოა — ერთნავიანი, სხვადასხვაგვარი მინაშენით, ორნავიანი, არის ბაზილიკაც, სამეკლესიანი ბაზილიკაც, არის რსეთებიც, რომლებიც გარკვევით ერთ რომელსამე ტიპს არ მიეკუთვნება... პირველსავე დღეებში გამოჩნდა ზოგი ადგილობრივი თავისებურება: საშენი მასალა — არაჩვეულებრივად ნასვრეტოვანი, თითქოს „ნაყვავილარი“, რუხი-მოშავო ქვა, ბაზალტი; მორთულობის სიძუნწე; იმავე დროს, შეგნებული ზრუნვა ფერადოვან ეფექტზე — მოწითალო ქვების ჩართვა წყობაში; უშველებელი ქვები, განსაკუთრებით შესასვლელების თავზე. გალანის ნაცვლად — ყირაზე დაყენებული გაუთლელი ლოდების მწყრივი — შორიდან კრომლეპი გეგონება (ამ კუთხისთვის დამახასიათებელი მეგალითური კულტურის შორეული გამოძახილი); მარტივი ჯვრები შესასვლელების თავზე, რელიეფები და ჩუქურთმა, რაც არის — ტლანქი ნახელავია. სარკმელთა საპირეებში, გრეხილების დამუშავებაში, ორნამენტულ მოტივებში — ყველაფერში ჩანს „გადახვევა“ ნორმებისგან. ცალკე არც ერთი ძეგლი არ არის მხატვრულად ღირსშესანიშნავი, მაგრამ მთელი იმ კუთხის ძეგლებს ერთად თუ ავიღებთ — საინტერესო სურათია, ჩვენი ხუროთმოძღვრების ისტორიის თავისებური ფურცელი, რომელიც გვიჩვენებს ისტორიული პროვინციის საკუთარ (სწორედ პროვინციულ) სახეს ეროვნული არქიტექტურის განვითარების დიდ ეპოქაში.

ბევრი ეკლესია, უკვე დიდი ხნის მიტოვებული, მცენარეულობით იყო დაფარული. ერთ ეკლესიაში — სოფელ ეგრისის „ღვთისმშობელში“ (იქ ასეთი სახელწოდების სოფელიც არის), ნახევარი საათი კაცის სიმაღლე ჭინჭართან ბრძოლას მოუენდით, სანამ აზომვის დაწყებას შევძლებდით. იქაურ ძეგლთა შორის თავისი ზომით მაინც გამოირჩევა: რევაზაშენის ბაზილიკა, ალბათ, VIII ან IX საუკუნის ძეგლი; ხა-

სიათით კი მკვეთრად გამოიყოფა ე. წ. „ლამაზი საყდარი“, რომელიც მდინარე ყარაბულახის ხეობაში, ციცაბო კალთის ტერასაზე მდებარეობს. სწორედ მის წარწერაში არიან მოხსენებულნი თამარი და დავით სოსლანი. ძეგლი მაშინდელი ხუროთმოძღვრების „გენერალურ ხაზს“ მისდევს. მართალია, უგუმბათოა, ერთნაფიანი, მაგრამ შესრულების ხარისხით, მდიდარი ორნამენტაციის სახეებითა და ხასიათით ქართლის ცნობილი ძეგლების (ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი და სხვ.) ჯგუფს მიეკუთვნება. ალბათ, იმიტომაც დაარქვეს „ლამაზი საყდარი“, რომ იქაურ პროვინციულ, „პლებეურ“ ძეგლებს შორის არისტოკრატიულად გამოიყურება. ამას, ცხადია, ახლაც კარგად ამჩნევდა მოსახლეობა. ერთი მეველე შეგვხვდა, ჯერ გვითხრა:

— თქვენ ჩვენი ძმები ხართ და გკითხავთ, რა მიზანი აქვს თქვენს სიარულსო. — მერე კი დაუმატა: ფიტარეთი და ლამაზი საყდარი ერთი ქარხნისა არიან, ერთი ადგილიდან უზიდიათ ქვაო. ფიტარეთი რომ ნაზო, იტყვი, რა ხელმა გააკეთათ...

კიდევ ერთი, სრულიად უმნიშვნელო, ეკლესიის წარწერაში იხსენიება თამარი: „თამარ ღვთისა სწორისა სამწირველი“. ეს ეგრეთ წოდებული „სეიფანთ საყდარია“. გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყო ეს თამარის „სამწირველი“.

ზურტაკეტის პლატოს ორი მდინარე ჩაუდის — ქცია და ყარაბულახი. ორივე არაჩვეულებრივად ღრმა კანიონშია. მე მგონია, ჩემს სიცოცხლეში არც ასეთი დაღმართები ჩამივლია (მეგონა ქვესკნელში ჩავდიოდით) და არც ამოდენა აღმართებზე ავსულვარ. ამ აღმა-დაღმა სიარულს იქაც გვიმსუბუქებდა ბუნების იშვიათი სილამაზე, უპირველეს ყოვლისა, საოცარი ტყე — თითქოს საგანგებოდ მოვლილი და ღვკრიალებული. ხეობების სიღრმეშიაც ბევრი ძველი ნაეკლესიარია — ესენიც დიდი ხნის მიტოვებული და მცენარეებით გადაბურული, ზოგი — სოფლებისაგან ძალიან დაშორებულ, სრულიად უდაბურ ადგილებში. ერთ-ერთ ასეთ ადგილს შოშილეთი ჰქვია. იქ რომ მივდიოდით, გზად ორი ქალი შემოგვხვდა. გაიკვირვეს, მართო ხართ, მცველების გარეშო? აქ ყაჩაღად გავარდნილი დეზერტირები დაძრწიანო (ერთმა ესეც გვითხრა — აი, სულ დადიხართ, მიდიხართ-მოდინხართ და მღვდლები კი ვერ მოგვიყვანეთო. — მღვდლის მოყვანას ჩვენ ვინა გვკითხავს-მეთქი. გაეცინა: — მაინც კარგია, რომ საყდრები გაგახსენდათ. ახლა, მაშ, დადიხართ და შინჯამთ, როგორი ნომრისა არიან, არა?). ჩვენ მაინც განვაგრძეთ გზა, დავეშვიტ ბილიკით, რომელსაც ბოლო აღარ უჩანდა... გარშემო დაბურული ბუჩქნარი იყო — შვინდი,

თხილი, ასკილი, კვრინჩხი, ზღმარტლი, ეკალ-ბარდები... კაცის ქაჭანება არ იყო გარშემო, ყარაბულახს რომ მივაღეკით. ერთი ცხენი გვყავდა, ეს იყო მთელი ჩვენი სატრანსპორტო პარკი. მდინარეში გადასასვლელად ლეო და რენეს ძმისწული ამხედრდნენ — რიგრიგობით ვაპირებდით გასვლას. მაგრამ ცხენი დაუჭედავი იყო, შუა მდინარეში წაიფორთხილა და მხედრებმა ზღართანი მოაღინეს წყალში... რალა უნდა გვექნა, იმ ყინულივით ცივ მდინარეში ფეხით გავტოპეთ...

მგონი არასოდეს არ მინახავს ეკლესია ასეთ მიყრუებულ, უკაცრიელსა და გაუღაბურებულ ადგილას. იქვე უზარმაზარი ხეები იყო და ისეთი ხშირი ეკლიანი ბუჩქები, რომ ძლივს მივიკვლევდით გზას... გარშემოც — უღრანი ტყით დაფარული მთები. და სრული შთაბეჭდილება, რომ იქ მართლაც ყაჩაღები აფარებდნენ თავს; ჩანდა ადამიანთა ნაკვალევი: თივა, ნახევრად ჩანახშირებული ჭირკები, ჩაფერფლილი კოცონი. რენეს ძმისწული გოგონა კი ნატრობდა: — რა საინტერესო იქნება, ნეტა ყაჩაღები დაგვესმოდნენ თავს, ჯერ არასოდეს არ მინახავს ყაჩაღებით. მაგრამ ჩვენ გულს მოგვეშვა, იქაურობას რომ გავეცალეთ... ისევ ის გაყინული მდინარე გადმოვლახეთ ვაივაგლახით. მე და რენე წყალში ერთად მივდიოდით. ხელისხელგადახვეულნი, ხელში ჭოხებით, რომლებიც იქვე მოვტეხეთ. ლეო იცინოდა — ბრეიგელის „ბრმებს“ ჰგავდითო, მაგრამ ჩვენზე ნაკლებ სასაცილოები არც სხვები იყვნენ (შემდეგ, თბილისში, ამ მოგზაურობის შედეგად კარიკატურების კიდევ ერთი სერია იშვა). გზად, „ლამაზ საყდართან“, კოლმეურნეობის ბოსტნებში შევიარეთ. ორი მოხუცი კაცი იყო მებოსტნედ, ორივე დავრდომილი და დასუსტებული. ერთი მათგანი პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ ყოფილიყო უნგრეთში, „გუდაპეშტის“ მახლობლად. ეტყობა, ვიღაც მდიდარ მაგნატთან მუშაობდა მზარეულად. და ახლა, გაჭირვებული და დამშეული რომ იყო (მთელი ზამთარი ბალახს ვჭამდითო), ჩიოდა, რატომ მაშინ არ მოვკვდიო.

გომარეთის გარშემო ხეტილის დროს გაჭირვებასა და მწუხარებას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდით. ხალხს შიოდა. ომმა თავისი კვალი დააჩნია ყველაფერს. ერთი ყმაწვილი შეგვხვდა, თვალცრემლიანმა შემოგვიჩვილა:

— ვინ გადმოგყარა აქ ქართველები! რაც ჩვენ გაჭირვებაში ვართ აქა! კაცი რომ თავის სიცოცხლეში პურით ვერ გაძღეს, ეგ სიცოცხლეა?..

სხვაგან გზაზე არაჩვეულებრივად გამხდარი და სისუსტისაგან

თითქმის დამბლადაცემული მოხუცი ქალი ვნახეთ: — შიმშილისაგან გული მიწუხს, შვილო... პური არ გვაქვს, პური, გავწყდითო...

გომარეთში ერთი ადგილია, სოფლელები „კვირაცხოველს“ ანუ ქვაჯვარებს უწოდებდნენ: რამდენიმე ძველი ქვის სვეტი იყო თავმოყრილი და ძალიან დაბალი ქვისავე გალავნით შემოფარგლული. იქ ვიყავით სამუშაოდ მისულნი. მოხუცმა გლებმა ჩამოიარა: ამას თუ ძალა აქვს, ახლა ვნახავო, თქვა. შვილი ჰყავდა ჯარში, სამი წელიწადია აღარაფერი ვიციო... ჩვენ კი აღარა ვართ ცოცხლები და ახლა თუგინდ მთელი ქვეყანა მაჩუქეთ. იმ ერთის მეტი არავინ გყავდა, დავრჩით მოხუცებული დედ-მამაო. ეს გალავანი მე შემოვაველე, სულ ნათხოვარი ურმით ჩამოვზიდე ზემოდან ქვა... სიზმარი ვნახე, გალავანი უნდა შემომერტყაო.

სხვაგან, როცა რომელიღაც ეკლესიასთან ვმუშაობდი, მოხუცი ქალი ლოცულობდა. ცრემლს ვერ იმაგრებდა. იმასაც შვილები ჯარში ჰყავდა, ერთ-ერთი ირანში იყო.

— იცი ირანი? კარგი სოფელია?

ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ გულამღვრეულები ვიყავით, ხმის ამოღება აღარ გვინდოდა... მაგრამ, გარდა ომის მძიმე დღისა, იმ კუთხის საერთო ჩამორჩენილობაც ეცემოდა კაცს თვალში. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, იმ წლებში კი ძალიან მიყრუებული მხარე იყო. სანამ იქ ვიყავით, ორი კვირა მაინც, არც გაზეთი გვინახავს თვალით და არც რადიოსთვის მოგვისმენია. იქაურმა ექიმმა ქალმა გვითხრა, გომარელებმა ომის დაწყება სამი დღის შემდეგ გაიგეს და მობილიზაციით რომ მიჰყავდათ ხალხი, ეგონათ კროსში მონაწილეობისთვის მიდიანო. ეს, ალბათ, გადაჭარბებულია, მაგრამ მაინც ერთგვარად დამახასიათებელი... მით უფრო საკვირველ კონტრასტს წარმოადგენდა გომარეთთან და სხვა სოფლებთან მისგან სულ ახლო მდებარე სოფელი კაკლიანი, სადაც, აგრეთვე გვეგულებოდა ძველი ეკლესიები. ხალხი აქ არც დამშუული იყო და არც დაბეჩავებული. ჰქონდათ ფერმა, ჰქონდათ რძეც, ყველიც, კარაქიც და თაფლიც — იქაურებმა მარჯვე, მუყაითი ადამიანების შთაბეჭდილება დატოვეს. ქალი, კაცი, ბავშვი ყველა მონდომებით მუშაობდა, მეგობრულად გვხვდებოდნენ, არავინ არ ჩიოდა. კალო ჰქონდათ შემოღობილი — თივისა და პურის დიდი ზვინებით. მაშინ იქ 23 კომლი სახლობდა, ერთი კომლის გარდა, სულ ედიშერაშვილები.

დასაბინავებლად და მოსაწყობად კოლმეურნეობის თავმჯდომარე უნდა გვენახა. გვითხრეს „ბინაზეა“ წასული, „წვერის წმინდა გიორ-

გისკენო“. ჯერ სოფლის ეკლესია ვნახეთ — „ღვთისმშობელი“; პატარა, ერთნავიანი, ესეც დიდი ლოდებით ნაშენი, მხატვრულად უმნიშვნელო, მაგრამ, ალბათ, XI საუკუნისა. ასომთავრული წარწერა ჰქონდა: „ქრისტე, შეიწყალე იოანე ერისთავთ-ერისთავი“. ყველაზე მეტი შთაბეჭდილება იქ დატოვა უზარმაზარმა მუხამ, რომელიც შენობის კუთხეში იდგა და თავისი ტოტებით მთლიანად ფარავდა ეკლესიას, თითქოს ფრთა იყო გადაფარებული.

მერე გავუდევით გზას „ბინისაკენ“ და შევყევით ტყეს. ესეც გასაოცრად ლამაზი ტყე იყო: წიფელა, მუხა, რცხილა და უამრავი და უთვალავი მაცვლის ბუჩქი. მგონი, არც ერთი ბუჩქი არ დაგვიტოვებია ხელშეუხებლად და შეუმჩნევლად მივაღწიეთ „ბინას“, რომელიც, იმავე დროს, ფერმაც იყო.

ბოლოს ტყე შეთხელდა და იმის იქით, ტყიანივე დაბალი ქედის კეხზე ამოზიდული რაღაც შევნიშნეთ. ჯერ გუმბათიანი ეკლესია გვეგონა, მაგრამ რომ მივუახლოვდით, სულ სხვა რამ აღმოჩნდა: სულ პატარა, მუშტისოდენა კლდე — ვარდისფერი, ბზარებიანი და საფეხურებიანი — თითქოს იქ ვულკანმა ამოხეთქა და ლავის ნაგლეჯი დატოვა; და ამ კლდეზე — ერთი ციციქნა სამლოცველო, იმავე კლდის მონატეხებით ნაშენი. იატაკიც იგივე კლდე იყო, მოუსწორებელიც კი. კედლის ქვა — მღიერმოდებული. წყობა უწყესრიგო, მაგრამ შესასვლელის თავზე აქაც დიდი გათლილი ქვა იდო, გრეხილებითა და ჯვრით მორთული... შიგნით — შეწირულებანი: რკინის ხელები (!), ხის კოვზები, დიდი ქვევრიც; ეკლესიის გარშემო შემოვლებული ძაფი, ქათმის ბურტყელი... იმ მძიმე წლებში, ალბათ, რამდენი დედა და მამა, ცოლი და შვილი მივიდოდა იქ, იმედით შემეყურე... ეს იყო სწორედ „წვერის წმინდა გიორგი“... როგორი სხარტი და მეტყველი სახელების შერჩევა იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა!..

იმ კლდიდან ჩრდილოეთით მთელი წალკა ჩანდა, აღმოსავლეთით — თეთრი წყაროს მხარე. ეს ყველაფერი მოლანდებას ან სიზმარს ჰგავდა. მაგრამ იმ დღეს სხვა შთაბეჭდილებებიც გველოდა: იმ „წვერის წმ. გიორგის“ რომ ვხატავდით, ხევ-ხევ შემოგვეპარა ნისლი, სრულიად დაფარა იქაურობა და ჩვენკენ წამოვიდა უზარმაზარი თეთრი კედელივით. შემდეგ ტყეში შემოიჭრა, ჩვენ გამოვრბოდით, ის კი თითქოს საგანგებოდ ჩვენ მოგვდევდა...

ფანტასტიკური დღე იყო.

ზურტაკეტის ექსპედიციამ ბევრი რამ მოგვცა — არა მარტო ბევრი, მანამდის ჩვენთვის უცნობი ძეგლი ვნახეთ და შევისწავლეთ, არამედ

ზოგადი წარმოდგენაც შეგვექმნა მთელი ისტორიული კუთხის მშენებლობის თავისებურების შესახებ. მაგრამ იქ მოგროვილმა მასალამაც მთლიანი მონოგრაფიის სახე ჯერჯერობით ვერ მიიღო.

ომის დამთავრებამდე მე კიდევ ორი შრომის დაწერა მოვასწარი. ორივე „არაარქიტექტურული“ იყო. ერთი ეხებოდა სვეტიცხოვლის ტაძრის შიგნით მდებარე „სვეტის“ XVII საუკუნის მონატულობას, რომელშიც ქართლის მოქცევის სცენებია წარმოდგენილი — ეს ნაშრომი 1948 წელს დაიბეჭდა; მეორე — ქართულ გარდამოხსნებს, რომელთა ოცდაათამდე ნიმუშია გადარჩენილი (უძველესი XV საუკუნისა). ამ „გარდამოხსნებმა“ განსაკუთრებით დაძაბული მუშაობა მოითხოვა — სრულიად ხელუხლებელი თემა იყო. ქუთაისის მუზეუმშიაც მომიხდა მასალის გაცნობა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ორმოც წელზე მეტი გავიდა, სანამ ეს გამოკვლევა დაიბეჭდებოდა.

2. პირველი წლები ომის დამთავრების შემდეგ

ომის დამთავრება დიდი ბედნიერება იყო. შინ და გარეთ, ქუჩაში, მოედნებზე, ყველგან სტიქიურად გამოიხატებოდა სიხარული. თეატრალურ ინსტიტუტში არაჩვეულებრივად მზიარული ბანკეტი მოეწყო, ინსტიტუტშიაც პატარა ზეიმი გაემართეთ, „მეტეხის“, ვარძიის მეზეუმისა და საქართველოს მუზეუმის თანამშრომლებიც შემოგვიერთდნენ.

მაგრამ ამ დიდ სიხარულს დიდი გულისტკივილიც ახლდა თან... რამდენი აღარ დაბრუნდა, რამდენი ნიჟით სავსე ახალგაზრდის სიცოცხლე წეწყდა და რამდენი ოჯახი გაუბედურდა სამუდამოდ... აღარ დაბრუნდნენ ჩემი კლასელი ამხანაგები — კოტე ჭიჭინაძე, ამირან შალამბერიძე, გოგი კლდიაშვილი, ვანო მქედლიშვილი... ინსტიტუტელი ამხანაგები — არქიტექტორები: შალვა თულაშვილი... ბიჭიკო ქორქაშვილი, ირმა ლომიძე, ზაქრო ციციავი და ბევრი სხვა... ჩემი ყოფილი სტუდენტები თეატრალურ ინსტიტუტიდან, რომლებიც სამხედრო სასწავლებლიდან ფრონტზე წასვლის წინა დამეს წერილებს მწერდნენ — ვახტანგ თითბერიძე, თემო სიმონიშვილი, გიგა ავალიანი, ვალოდია კაკაბაძე (არაჩვეულებრივად ნიჭიერი, მოპხიბვლელი ყმაწვილი), დავით ჩიტაია, ბორის ტყეშელაშვილი... ომის ბოლო დღეებში დაიღუპა ჩემი ორი ბიძაშვილი — ძმები დათიკო და გოგი ბერიძეები.

მაშინ, როცა ომი დამთავრდა, როცა ცხოვრებამ კალაპოტში დაიწყო ჩადგომა, განსაკუთრებით მკაფიოდ, უღმობელი სიცხადით იგ-

რძნობოდა ომის სისაძაგლე, ამდენი ოცნების, ამდენი ტალანტის და-
ლუპვის უაზრობა და უღმერთობა...

რა თქმა უნდა, ომის დამთავრების შემდეგ თანდათან, მაგრამ გა-
ნუხრელად უმჯობესდებოდა, ცხოვრების პირობებთან ერთად, სამეც-
ნიერო მუშაობის ორგანიზაცია. შესაძლებლობა მოგვეცა უფრო ფარ-
თოდ და სისტემურად მოგვეწყო ექსპედიციები საქართველოს სხვა-
დასხვა კუთხეში; მძიმედ, მაგრამ მაინც დაეტყო უკეთესობა საგამომ-
ცემლო საქმეს. 1948 წელს, ექვსი წლის ინტერვალის შემდეგ, გამო-
ვიდა ჩვენი „ქართული ხელოვნების“ II ტომი, 1950-ში — მესამეც.
რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურა გამდიდ-
რდა გიორგი ჩუბინაშვილის ფუძემდებელი მონოგრაფიებით, რომლე-
ბიც მანამდე ათეული წლობით იღო უძრავად — არა მარტო მათი გა-
მოცემის ტექნიკური სიძნელეების გამო. მისი ზოგი წიგნის, კერძოდ,
„ჯვარის ტიპის ძეგლებისა“, გამოცემას აქტიურად ეწინააღმდეგებოდ-
ნენ პირები, რომელთაც არ სურდათ, რომ ამ შესანიშნავ გამოკვლევას
მზის სინათლე ეხილა: ჩუბინაშვილი უდრეკი კაცი იყო, დაუფარავად
და მოურიდებლად გამოთქვამდა თავის აზრებსა და შეფასებებს — ეს
კი იმ პირებს თვალში არ მოსდიოდათ. წიგნი მაინც გამოვიდა 1948
წელს; იმავე წელს გამოქვეყნდა „დავით გარეჯის გამოქვაბული მონას-
ტრები“, რომელშიც წარმოდგენილია შუა საუკუნეთა საქართველოს
ამ უმნიშვნელოვანესი კულტურული კერის მთელი ისტორიული თავ-
გადასავალი, მისი არქიტექტურისა და თავისებური კედლის მხატვრო-
ბის ანალიზი; ორმოცდაათიან წლებში — ჯერ მონუმენტური ალბომი
„ქართული ოქრომჭედლობა“ ხუთენოვანი მოკლე შესავალი ტექსტით,
შემდეგ კი დიდი გამოკვლევა ამავე თემაზე. ორივე ეს წიგნი, რომელ-
თაც დააფუძნეს ჩვენი ეროვნული ხელოვნების უმნიშვნელოვანესი
დარგის ისტორია, დაიბეჭდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკა-
ში — ფერადი ილუსტრაციები არ არის, მაგრამ ტაბულების ხარისხი
მაღალია, თანაც, ბევრი ნივთი ნატურალური ზომით არის რეპროდუ-
ცირებული (გამოცემის ძნელ საქმეს უძლევბოდა ვახტანგ ცინცაძე).

ამ ნაშრომებს დიდი რეზონანსი ჰქონდა. ევროპელი და საბჭოთა
სპეციალისტების დიდი უმეტესობისთვის ქართული ოქრომჭედლობა
„აღმოჩენა“ იყო. მათ შორეული წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რა
სიმიდრე ინახებოდა ჩვენს მუზეუმებში, რა მაღალი იყო ხელოვნების
აქ დარგის მხატვრული დონე საქართველოში. ჩვენ ხომ ძალიან ჩა-
მორჩენილი ვიყავით საინფორმაციო და პოპულარული ლიტერატურის
გამოცემის მხრივ: არ გვექონდა გამოქვეყნებული საქართველოს მუზე-

უმების გზისმკვლევეები, ბუკლეტები, ღია ბარათები სამუზეუმო ექსპონატების რეპროდუქციებით (სამწუხაროდ, ეს ჩამორჩენა არც დღეს არის დაძლეული). ასე რომ, ვერც ვერავის დავემდურებით, რატომ არ იცნობთ ჩვენს ძეგლებსო. კანდაკოვისა და ბაქრაძის ცნობილი წიგნი „Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии“, გამოცემული 1890 წელს, უკვე დიდი ხანია ბიბლოგრაფიულ იმვიათობად იყო ქცეული და ბევრს აღარავის ჰქონდა ნანახი. ჩუბინაშვილის წიგნების გამოსვლამდე, უშუალოდ ომის შემდეგ, თბილისში ჩამოვიდა მცირე ხელოვნებათა ამერიკელი მკვლევარი მარვინ როსი, რომელსაც მანამდე ნაშრომებითა და მიწერ-მოწერით ვიცნობდით. ზაფხული იყო, „მკვდარი სეზონი“. ჩუბინაშვილმა მთხოვა თბილისში წამოვსულიყავი რამდენიმე დღით და როსისთვის მიმეხედა. მას სწორედ ხელოვნების მუზეუმის სეიფის გაცნობა აინტერესებდა. შიგ რომ შევედით, ერთი კი შეავლო თვალი ექსპონატებს და ეს ხანდაზმული, ფრიად თავშეკავებული და სიტყვაძნეწი კაცი ჩემ თვალწინ შეიკვალა. თვალები გაუფართოვდა, ნამდვილი კვნესა აღმოხდა, მერე დარბოდა წინ და უკან და იმეორებდა, მინანქრების სიმდიდრით, ვენეციის სან-მარკოს შემდეგ, არსად ამის მსგავსი არაფერი მოიძებნებოა, საერთოდაც ეს ზღაპრული სიმდიდრეაო, სადა ხართ ამდენ ხანს, რომ ეს ქვეყანას ვერ გააგებინეთო. სანამ იქ იყო, მისი აღტაცებული შეძახილები არ გათავებულა.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ომამდე ურთიერთობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან ძალიან შეზღუდული იყო; უცხოურ ლიტერატურას თითქმის არ ვღებულობდით (ან მხოლოდ კანტიკუნტად); ჩვენს გამოცემებსაც ვერ ვაწვდიდით უცხოელ კოლეგებს. ომის შემდეგ, პირველსავე წლებში, ამ მხრივაც გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, შემდეგ კი კონტაქტები გაფართოვდა და სასურველ მასშტაბს მიაღწია.

ჩვენმა რამდენიმე თანამშრომელმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, გახშირდა ჩვენი მიწვევა სხვადასხვა დაწესებულებაში ქართული ხელოვნების შესახებ ლექციების წასაკითხად. ასპარეზზე გამოვიდნენ ჩვენს ინსტიტუტში აღზრდილი პირველი ასპირანტები — გაიანე ალიბეგაშვილი, ნათელა ალადაშვილი, ანელი ვოლსკაია, ვახტანგ დოლიძე.

1948 წელს გამოვიდა ჩემი ორი წიგნი: ერთი მოსკოვში (საკმაოდ თხელი) — „Архитектура Грузии“, (სერია: Очерки по истории архитектуры народов СССР), ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ზოგადი მიმოხილვა; მეორე თბილისში — „Против искажения исто-

რის გრუზინსკოგო ისკუსსტვა“, რომელშიაც ვეცადე მეჩვენებინა ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლისა და გაშუქების ბედი დასავლეთ-ევროპულ სპეციალურ ლიტერატურაში დიუბუდან ბალტრუშაიტისამდე. ეს იყო გაგრძელება „მეორე ფრონტზე“ ბრძოლისა, რადგანაც მცდარი ცნობები ჩვენი ხელოვნების შესახებ, მისი ყალბი ინტერპრეტაცია კვლავაც გრძელდებოდა (ზოგჯერ ახლაც გრძელდება). სანამ წიგნად გამოვიდოდა, ეს ტექსტი რამდენიმეჯერ წავეკითხე საჯაროდ; დაიბეჭდა კიდევ რამდენიმე ნაკვეთი — 1948 წელი გამოცემების მხრივ უხვმოსავლიანი გამოდგა მთელი ჩვენი ინსტიტუტისთვის.

1946-1949 წლები ჩემთვის იმ მხრიავეც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, რომ მე ყოველ ზაფხულს ვაწყობდი ექსპედიციებს სამცხეში, განზრახული შრომისათვის მასალის მოსაგროვებლად. დაუფიქარი ექსპედიციები იყო: უამრავი ახალი ძეგლი, ძალიან საინტერესო საკვლევადი და გარკვეული განზოგადებული დასკვნების გამოსატანად; ერთი ულამაზესი კუთხეთაგანი საქართველოსი, რომელიც თითქმის სულ ფეხით შემოვიარეთ.

მაგრამ ომის მომდევნო ხანებში ჩვენ სხვაგვარი „მოღვაწეობაც“ მოგიხდა, სხვაგვარი საზრუნავიც გავგიჩნდა. იმ წლებში განსაკუთრებით ხშირი იყო სხვადასხვა კამპანია იდეოლოგიურ ფრონტზე, მაგალითად ფორმალიზმის წინააღმდეგ ხელოვნებაში და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ. იყო სხვებიც. ამ კამპანიებს, თუნდაც ფორმალიზმის წინააღმდეგ მიმართულს, უშუალო საბაბად ჰქონდა კონკრეტული ფაქტები, გარკვეულ პირთა ესა თუ ის ნაწარმოები, რომელიც მიუღებლად იყო მიჩნეული. კონკრეტულ მაგალითებს თან მოჰყვებოდა „განზოგადება“ და სწორედ ეს „განზოგადება“ ქმნიდა ფართო ასპარეზს ყოველგვარი გადაქარბებისა და დამახინჯებისთვის. მას შემდეგ ამ მხრივ ბევრი რამ შეიკვალა სასიკეთოდ. რეალიზმის მაშინდელი ვიწრო, დოგმატური გაგება დაგმობილ იქნა (ეს აღრე თუ გვიან გარდუვალად უნდა მომხდარიყო), რაც მაშინ ფორმალიზმად ცხადდებოდა, დღეს აღარ არის მიჩნეული ფორმალიზმად; ბევრ ხელოვანს, მაშინ შერისხულს, დრომ თავისი ღირსეული ადგილი მიუჩინა. საკმარისია გავიხსენოთ პროკოფიევი და შოსტაკოვიჩი, გუდიაშვილი და დავით კაკაბაძე. ისიც ცხადია, რომ კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის დროს ბევრი უდანაშაულო, პატიოსანი მუშაკი დაზარალდა. მაგრამ ეს ჩვენ ახლა ვიცით. მაშინ კი ამის გარჩევა და განკითხვა არ არაებობდა. პირიქით, სავალდებულოდ იყო მიჩნეული ყველგან („ადგილებზე“) აღმოეჩინათ და „გამოემქლავნებინათ“ „ფორმალისტებისა“ და „კოსმო-

პოლიტიკების“ სავალდებულო რაოდენობა, მიუხედავად იმისა, ისინი სინამდვილეში არსებობდნენ თუ არა. გეგმა უნდა შეესრულებინათ.

ყველაზე უარესი ის იყო, რომ ხელში იარაღი ეძლეოდა ბევრ უღირსსა და უმეცარს, რომ პირადი ანგარიში ესწორებინათ და საკუთარი კარიერა ეკეთებინათ. გასაქანი ეძლეოდა ბევრს, პროფესიულად არაფრის მცოდნეს, რომელსაც რატომღაც დაჩემებული ჰქონდა იდეოლოგიური სიწმინდის გუშაგის უფლებები და თავი გამოცხადებული ჰყავდა მარქსისტად (რა თქმა უნდა, არა ნამდვილი რწმენით, რადგანაც იმათ არავითარი რწმენა არ შეიძლებოდა ჰქონოდათ, არამედ იმისათვის, რომ თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა განემტკიცებინათ). არავითარი პოზიტიური ღირებულება იმათ ნაწერ-ნალაპარაკეც არ გააჩნდა და ახლა არც აღარავის ახსოვს, თუმცა მას შემდეგ მხოლოდ ოცდაათ წელზე ცოტა მეტი გავიდა; მაგრამ ისინი მუდამ ბრალმძებლების როლში გამოდიოდნენ — ეს ბევრად უფრო ადვილი და მომგებიანი იყო. დაგაბრალდნენ, არა ხარ რეალისტიო, არა ხარ მარქსისტიო, და იმათ კი არავინ სთხოვდა ბრალდების დასაბუთებას — შენ უნდა გეპართლებინა თავი. შეეძლოთ დაებრალდებინათ რაც მოეპრიანებოდათ. ერთი და იგივე ადამიანი ერთსა და იმავე დროს შეეძლოთ კოსმოპოლიტადაც გამოეცხადებინათ და ნაციონალისტადაც.


ასეთი „კამპანები“ დაიწყო ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის დარგში, დაიწყო, რა თქმა უნდა, სახვითი ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების დარგშიც. უმაღლეს სკოლებში, შემოქმედებითს ორგანიზაციებში იმართებოდა კრებები, თუ თავისი მომხსენებელი არ ჰყავდათ, გარედან იწვევდნენ ამ საქმის „სპეციალისტებს“, „ამხელდნენ“ საექვო პირთ, ლაფში სვრიდნენ მათ. ამის შესახებ იწერებოდა პრესაშიც.

გარკვეულმა ჯგუფმა ჩვენი ინსტიტუტიც ამოიღო მიზანში. ორიოდ იხეთიც იყო, რომელთა ძირითად საქმიანობას წლების მანძილზე ჩუბინაშვილის ლანძღვა-თრევა შეადგენდა. ამ პირებს არ დავასახელებ — რა სახსენებელნი არიან! ზოგი აღარც არის ცოცხალი. მაგრამ მათი ზნეობრივი დონის საჩვენებლად ზოგი მაგალითი ღირს რომ გავიხსენო (საერთოდაც, განა შეიძლება ამაზე თვალის დახუჭვა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ამბები უკვე წარსულს ეკუთვნის?). ისინი არ ერიდებოდნენ ბინძურ პროვიკაციებსაც. ერთი მათგანი, რომელიც თავმჯდომარეობდა კრებას სამხატვრო აკადემიაში, ვითარცა აკადემიის ღირეპტორი, ყვიროდა ხელეზის ქნევით: — ვისთვის წერდა ჩუბინაშვილი წიგნებს გერმანულ ენაზეო! მეორემ, რომელიც მონაწილეობდა დისკუ-

სიაში, ჩვენ წინააღმდეგ მომართული ერთი საგანგებო წერილის შემდეგ ჩვენსავე ინსტიტუტში რომ გავმართეთ, ვერ მოასწრო თავისი სიტყვის წაკითხვა (სადაც მიემგზავრებოდა) და სხვას დაუტოვა შემდეგ სხდომაზე გამოსაქვეყნებლად. ეტყობა, ველარ მოიფიქრა გადაეთვალეირებინა მაინც თავისი გადაბეჭდილი ტექსტი, რომელშიაც აღმოვაჩინეთ ასეთი ადგილები (წინასწარ დაბეჭდილი, მაგრამ ჭერ კიდევ წაუკითხავი!): — მართალია, ინსტიტუტის თანამშრომლები მიშლიან ლაპარაკს, მაგრამ მე მაინც ვიტყვი ჩემს სათქმელსო...

იმათთვის რისამე შესმენა და დამტკიცება ტყუილი იმედი იქნებოდა და ამას არც არავინ მოელოდა ორი მიზეზის გამო: იმიტომ, რომ სრულიად არ აინტერესებდათ ჰეშმარიტების დადგენა, აზრი წინასწარვე ჰქონდათ შემუშავებული, მიზანი კი ერთი იყო — ჩვენი განადგურება; იმიტომ, რომ სრული პროფესიული უმეცრების გამო მათ არ შეეძლოთ ელემენტარული რამ გაეგოთ. ხელოვნების ნაწარმოების პროფესიული ანალიზი, რომელშიაც ნახსენები იქნებოდა პროპორციები, კოლორიტი, შესრულების მანერა, ტექნიკა — დანაშაულად ცხადდებოდა. ეს ყველაფერი მათი გაგებით ფორმალიზმი იყო. ერთ-ერთ კრებაზე, როცა ერთი ორატორი ამგვარი ბრალდებით გამოდიოდა, არნოლდ ჩიქობავა, რომელიც თავისი აზრის გამოთქმისას უკან არასოდეს არ დაიხევდა, წამოდგა და წარმოთქვა ერთადერთი წინადადება — ნამდვილი რეზიუმე ამ ბრალმდებლების მოქმედებისა: — აქ ერთმანეთში ურევენ ფორმალიზმსა და ფორმის ანალიზსო.

ჩვენ რამდენიმეჯერ მოგვიხდა ბრძოლის გადახდა 1949 წლიდან 1952-მდე: პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიაში, ხსენებული დისკუსიის დროს, რომელიც 1952 წელს ჩვენს ინსტიტუტში გაიმართა. 1953 წელს ერთ ყურნალში გამოქვეყნდა წერილი გიორგი ჩუბინაშვილისა და დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. მას ხელს აწერდა ფრიად მაღალი თანამდებობის პირი, დიდი უფლებების მქონე კაცი, რომელსაც (თავის უფროსთან ერთად) პოლიტიკური მოღვაწის მთავარ მოწოდებად მიაჩნდა მეეზოვეების ყრილობის მოწვევა და საფურთხებლის გადაბრუნებისთვის ადამიანის გასამართლება, ხოლო ინტელიგენციას ეპყრობოდა ისე, როგორც მთვრალი ხულიგანი ან ყაჩაღი. ეს წერილი, რომლის ნამდვილი ავტორის გამოცნობა არ გაგვიძნელებია, წარმოადგენდა ქუჩური ლანძღვა-გინების კრებულს. ის კაციც და ის მაშინდელი ხელმძღვანელობაც, შემთხვევით ამოტივტივებულნი, სულ მალე გააძევეს, მათი სამარცხვინო მოქ-



დimitრი უზნაძე

მედების გამო, მაგრამ იმ წერილმა მაინც მოასწრო ბოროტი თესლის დათესვა*.

1953 წლის შემდეგ ასეთი ამბები არ განმეორებულა. მე ახლა, ერთი მხრივ, ზიზღით ვიგონებ იმ „დისკუსიებს“, მეორე მხრივ კი კმაყოფილებითაც: არ შევაკმევინეთ თავი, უკან არ დაგვიხევია და პირში ჩალაგამოვლებული დაეტოვეთ ის გმირები. დრომ ამ შემთხვევაშიაც ყველას თავ-თავისი ადვილი მიუჩინა დამსახურებისა-მებრ: ჩუბინაშვილსაც, ჩვენს შრომასაც და იმ სუბიექტებსაც. ჩვენთვის ეს მაინც ერთგვარი წრთობა იყო, გარკვეული დასკვნებიც უნდა გამოგვეტანა შემდგომი მუშაობისათვის.

* დ. უზნაძისა და გ. ჩუბინაშვილის „გაერთიანება“ იმ სამარცხინო წერილში ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა. ქართული ფსიქოლოგიის სკოლაც, რომელმაც დღეს უკვე საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ისევე, როგორც ჩვენ, ერთი გარკვეული ჯგუფის თავდასხმის საგანს შეადგენდა. 1952-სავე წელს, გაზაფხულზე, განათლების მუშაკთა სახლში გაიმართა დისკუსია ფსიქოლოგიის საკითხებზე. იგი „კრიტიკოსთა“ სრული მეცნიერული და მორალური მარცხით დამთავრდა. დimitრი უზნაძე მაშინ ცოტა ხნის გარდაცვლილი იყო, მაგრამ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანაშრომლებმა ერთსულვნად და ნამდვილი შემართებით დაიცვეს თავისი პოზიციები. ჩვენ ყველანი ვესწრებოდით ამ დისკუსიას. ზოგი რამ ნათელი და გასაგები იყო, ზოგი სპეციფიკური პროფესიული ნიუანსი შეიძლება გაუგებარიც დარჩენილიყო ჩვენთვის, მაგრამ საერთო სურათი ძალთა ურთიერთშეფარდებისა ექვს არ იწვევდა. ჩემზე, როგორც დამკვირვებელზე, ბევრმა რამემ დატოვა შთაბეჭდილება: ერთი მხრივ, ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა მაღალმა პროფესიულმა დონემ და ზოგადად განათლებამ, მკვერტეყველებამ, მეორე მხრივ, გარკვეულ პერსონაჟთა საქციელმა: როგორ ჩამოეხადათ მათ ნიღაბი, როგორ გამოაშკარავდა მათი ნამდვილი ზნეობრივი სახე. ეს დისკუსია დამთავრებული არ იყო, როცა ერთ-ერთ გაზთეში გამოქვეყნდა გვერდნახევრიანი წერილი ჩვენი ინსტიტუტის შესახებ, რომელმაც გვაიძულა დაგვენიშნა ჩვენსავე ინსტიტუტში ხსენებული დისკუსია ქართული ხელოვნების შესწავლის საკითხებზე. ასე რომ, ჩვენ ფსიქოლოგებისგან მივიღეთ ესტაფეტა.

აქ მე ქრონოლოგიას დავარღვევ — უფრო ბუნებრივად მეჩვენება იმ მოვლენების გახსენება, რომლებიც ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარს მიეკუთვნება, ორმოციანი წლების დასასრულს კი შემდეგ დაეუბრუნდები. ეს მოვლენები, უფრო სწორად, მოვლენა, ის იყო, რომ სახვითი ხელოვნების დარგში თვალსაჩინო და ცხოველყოფილი შემობრუნება მოხდა. გაკვირთ ეს ზემოთ აღვნიშნე. ოცდაათიანი წლების ბოლოს და, მით უფრო ორმოციანის მეორე ნახევარში, რეალიზმის ცნება ნამდვილ საფრთხობელად იქცა. რა თქმა უნდა, მაშინაც იღვწოდნენ ნამდვილი შემოქმედნი, ნიჭიერნი და შთაგონებულნი; მაგრამ ზირველ პლანზე მაინც გამოვიდნენ ისინი, ვისთვისაც რეალიზმი ფოტოგრაფიულ ნატურალიზმს უთანაბრდებოდა, ვისთვისაც ფერწერისა და ქანდაკების სპეციფიკური საშუალებების სიმდიდრე ცხრაკლიტულში იყო გამოკეტილი, ვინც იოლად გადიოდა „აქტუალური“ თემებით, ვისთვისაც მხატვრის ცოცხალი სუნთქვა რეალიზმიდან საშიშ გადახვევას მოასწავებდა და ამიტომ დანაშაულად უნდა გამოცხადებულყო. ეს არა მარტო თანამედროვე, ცოცხალ მხატვრებს უბორკავდა ხელებს, არამედ საშინლად ავიწროებდა და აღარიბებდა წარსულის მემკვიდრეობის გამოყენების საშუალებას: მაგალითად, იმპრესიონისტებს, პოსტიმპრესიონისტებს, ექსპრესიონისტებზე რომ აღარაფერი ითქვას, აგრეთვე რუსულ „მირ ისკუსტვას“ ტაბუ ჰქონდა დადებული, ე. ი. მხატვრები მოკლებულნი იყვნენ საშუალებას შეეთვისებინათ ევროპული ფერწერის მონაპოვარი, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო თანამედროვე მხატვრობის განვითარება.

აი ამ შემხუთავ დოგმატიზმს ახლა თანდათან ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება. რეალიზმის ცნება ფართოვდება და თავის ნამდვილ მნიშვნელობას იძენს. იგი უკვე მხატვრის ინდივიდუალობის ნიველირებას კი აღარ ახდენს, არამედ საშუალებას აძლევს მას თავისი ნამდვილი შემოქმედებითი სახე გამოავლინოს, გამოამყვანოს საკუთარი დამოკიდებულება სამყაროსადმი. სახვით ხელოვნებას ამიერიდან კვლავ მოეთხოვებოდა, რომ მას თავისი სათქმელი სწორედ სახვითი ხელოვნების გინით გამოეთქვა. ხოლო მხატვრების წინაშე დაისახა ამოცანა — დაუფლებოდნენ ხელოვნების ყველა სპეციფიკურ საშუალებას: ფერწერის ოუ ქანდაკების ტექნიკას, ნახატის გამომსახველობას, ფერადოვნების სიმდიდრეს, შუქისა და ფერის ეფექტებს, ქანდაკების პლასტიკურ შესაძლებლობათ. ეს, რა თქმა უნდა, სასიკვდილო განაჩენს მოასწავებდა ოფიციალური, „პარადული“ ხელოვნების სპეციალისტებისთვის, რომელთაც კეშმარიტ შემოქმედებასთან საერთო არაფერი ჰქონდათ.

შედეგი გარდუვალი იყო: ძალიან სწრაფად მოხდა ფასეულობათა გადაფასება. ბევრი „კერპი“, რომელსაც დაუმსახურებლად ჰქონდა კარიერა გაკეთებული, დაემხო, შესაძლებელი გახდა ისტორიული აქცენტების სწორად დასმა, მხატვრების „განლაგება“ მათ მიერ დამსახურებული ადგილების მიხედვით.

ამ წლებს დაემთხვა დიდად ნიჭიერი მხატვართა და მოქანდაკეთა ახალი თაობის გამოსვლა ასპარეზზე. მათს ძირითად თემას კვლავ თანამედროვეობა შეადგენდა, მაგრამ სავსებით ბუნებრივი იყო, რომ დიდი ადგილი დაიჭირა დაძაბულმა ძიებამ მხატვრული ფორმის დარგში. ისიც ბუნებრივია, რომ ძიების პროცესში ბევრნი ეწაფებოდნენ „აკრძალულ ხილს“, უპირველეს ყოვლისა, იმპერსიონიზმს, პუანტილიზმს. ხშირად ეს ლებულობდა მექანიკური მიბაძვის ხასიათსაც. ვინც შეძლო ამ მიბაძველობისგან თავის დაღწევა, მათთვის ამგვარი კონტაქტი წარუღი მხატვრობის გამოცდილებასთან სასარგებლო გამოდგა. ძალიან დამახასიათებელი იყო იმ ხანებისთვის ინტერესის უჩვეულო გამახვილება ქართული ხალხური ხელოვნებისა და ფოლკლორისადმი — ყველაზე მიმზიდველი აღმოჩნდა საქართველოს მთიანეთი — თუშ-ფშავ-ხევსურეთი... იყო სტილიზაცია — ზოგი ქართული ხალხური ხელოვნებით შთაგონებული, ზოგი კი მაინც დასავლური წარმოშობისა... შეცდომებიც იყო, გულუბრყველობაც იყო, მაგრამ მთავარი ის არის, რომ იყო შემოქმედებითი ძიება, რომ გამოჩნდა არა ერთი, საკუთარი შემოქმედებითი სახის მქონე ახალგაზრდა მხატვარი. ბევრმა მათგანმა მომდევნო ათეულ წლებში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში, ზოგმა — ესეც ბუნებრივია — ვერ გაამართლა იმედები.

შემთხვევითად არ მიმაჩნია, რომ სწორედ იმ ხანებში აღორძინდა და შემდეგ აგორებულ ტალღასავით გაძლიერდა ინტერესი ნიკო ფიროსმანისადმი. შემთხვევითი არც ის იყო, რომ 1957 წელს მოეწყო გუდიაშვილის სურათების დიდი გამოფენა და საზეიმოდ აღინიშნა მისი დაბადების 60 წლისთავი.

ლადო გუდიაშვილის გამოფენას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა. ყველა განსაკუთრებული ინტერესით ელოდა მას. უფროსებს ახსოვდათ ლადოს ოციანი წლების ნამუშევრები — ფერწერაც და გრაფიკაც, რომლებშიაც ერთბაშად მკაფიოდ გამოიკვეთა მისი სრულიად განსხვავებული და განუმეორებელი სახე; ახალ თაობებს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მის შესახებ, თუ იცნობდნენ, უმეტესად რეპროდუქციებით; გამოფენებზე იშვიათად ჩნდებოდა, თითო-

ოროლა ნამუშევარს აფენდა, ისინი ითქვიფებოდნენ ექსპონატების საერთო მასაში, ზოგი მათგანი, ლადოს ადრინდელ ნამუშევრებთან შედარებით, განსაკუთრებული ღირსებით არც გამოირჩეოდა... მაგრამ არსებობდა ლადოს ლეგენდა — ლეგენდა მხატვრისა, რომლის ძლიერი ინდივიდუალობის ჩახშობას ცდილობდნენ ორთოდოქსი კრიტიკოსები, მაგრამ რომელიც არ თმობდა თავის გზასა და პრინციპებს. თითქმის მეოთხედი საუკუნე, შეიძლება ითქვას, იგი ნახევრად ლეგალურად არსებობდა — მას მეგობარიც და დამფასებელიც ბევრი ჰყავდა შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეებში, მაგრამ პრესაში თუ ახსენებდნენ, უმეტესად როგორც ფორმალისტს, უიდეოს, აპოლიტიკურს, ლამის რეაქციონერს. ეს ყველაფერი, აგრეთვე, აძლიერებდა მისდამი ინტერესს.

გამოფენას სურათების გალერეა მთლიანად ეკირა. რვაასამდე ნაწარმოები იყო. კატალოგიც გამოვიდა ჩემი წინასიტყვაობით. გახსნა დანიშნა 12 მაისს. მაგრამ ბოლო მომენტში რატომღაც ვიღაც „ჩინოვნიკმა“ გადაწყვიტა ერთი კვირით გადაიდოსო. საკითხი მარტივად გადაწყდა: დანიშნულ დროს ხალხი შეიკრიბა გალერეის წინ, გააღეს კარი და გამოფენა გაიხსნა de facto. საღამოს ლადოსთან ვიყავი შინ: განუწყვეტელი მილოცვები ტელეფონით, სტუმრები, საჩუქრები, მილოცვის წერილები.

იფიციალური გახსნა 14 მაისის საღამოს მოეწყო. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ლადოს ქუჩაშივე ოვაციით შეხვდნენ... ერთმანეთს ულოცავდნენ, იყო ხვევნა-კოცნა და სიხარული.

მას შემდეგ გალერეა სულ საესე იყო. არასოდეს არ მინახავს მანამდე რომელსაღამე გამოფენაზე ასეთი მღელვარე, შიძლება ითქვას, აღგზნებული განწყობილება... ყოველი სურათის წინ იდგნენ, ფიქრობდნენ, მსჯელობდნენ, განიცდიდნენ... გამოფენა საზოგადოების ფართო წრეებში საუბრის მსჯელობის საგნად იქცა — ლადოს გამოფენა ნახეთ? ეს აუცილებელი შეკითხვა იყო ნაცნობების შეხვედრის დროს.

რა თქმა უნდა, ამ ენთუზიასტთა შორის ბევრი იყო ფეხისხმას აყოლილი, რომელსაც არ შეიძლება საკუთარი აზრი ჰქონოდა, მაგრამ „კარგი ტონის“ ნიშნად მიაჩნდა აღტაცება გამოეთქვა. როგორც ყოველ ფართო რეზონანსის მქონე მოვლენას, ამ გამოფენასაც ჰქონდა რამდენამდე სენსაციური ხასიათი; იმის თქმაც შემიძლია, რომ ამ რეაასზე მეტ ნამუშევარს შორის ყველა თანაბარი ღირსებისა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. აშკარად სუსტი ნამუშევრებიც ერია.

მაგრამ არც სენსაციურობა და არც ზოგი სუსტი ნამუშევარი არ

ცვლიდა არსებითს — გამოფენის, როგორც მხატვრული და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენის, მნიშვნელობას.

რამ გამოიწვია ასეთი ინტერესი და აღფრთოვანება?

ჩემი აზრით, რამდენიმე მიზეზი იყო: ა) ის, რაც ზემოთ უკვე ვთქვი: ლადო მკვეთრი ინდივიდუალობის, „სხვანაირი“ მხატვარი; ბ) ეს გამოფენა პრინციპულად მეტს ნიშნავდა, ვიდრე ერთი ცალკეული პიროვნების ნაწარმოებთა ჩვენება შეიძლება ნიშნავდეს. უმეტესობისთვის ეს აღმოჩენა იყო, თვალის ახელაც კი. მე ხაზგასმით ვიმეორებ, რომ წინა წლებშიაც ბევრი ნამდვილი (და დიდი!) მხატვარი გვყავდა, ბევრი ღირსშესანიშნავი ნაწარმოებიც შეიქმნა, მაგრამ იმ ბოლო ხანებში საგამოფენო დარბაზები უმეტესად მაინც დაპყრობილი ჰქონდათ ხელოსნებს. რას ვხედავდით იმათ გამოფენებზე? წლიდან წლამდე ერთსა და იმავე თემებს, ფოტოგრაფიებიდან გადმოღებულ პორტრეტებს, უსახლგრო ხოტბას, სრულიად უსულგულო პროდუქციას. ეს იყო მხატვრობა უპოეზიოდ, უემოციოდ, უფანტაზიოდ. არც სიმახვილე, არც განზოგადება. არ არსებობდა მხატვრის საკუთარი დამოკიდებულება მოვლენებისადმი. ამ სურათების ავტორებს იმდენივე შინაგანი განცდა და მღელვარება ჰქონდათ, რამდენიც მექანიზმს, ინსტრუმენტს აქვს. რას უნდა აედღვებინა მნახველი? ხალხი ისე შედიოდა და გამოდიოდა გამოფენიდან, თითქოს აქ ცარიელი კედლების გარდა არაფერი ყოფილიყო. და აქ კი, ლადოს გამოფენაზე აღმოჩნდა, რომ თურმე შეიძლება არსებობდეს თანამედროვე მხატვრობა, რომელიც ადამიანის გრძნობებს მიმართავს და განცდასაც აღძრავს, მხატვრობა საინტერესო, რომლისთვისაც არც ფანტაზიაა უცხო, არც ალეგორიები, არც სიმბოლიკა, არც ირონია, არც „გადაკრული“ გამოთქმები, არც მხატვრული გადაჭარბება, რომელიც მეტყველებას აძლიერებს... მხატვრობა, რომელიც ფიქრს ამოძრავებს, ზოგჯერ შეიძლება შენი პროტესტიც წარმოშვას, მაგრამ გულგრილად კი არ გაყურებინებს თავს. მხატვრობა ზოგჯერ პოეტური და ლირიკული, ხან მწარე, ტრაგიკული და გროტესკული... აღმოჩნდა არა მარტო თავისებური ფორმა, არამედ მხატვრული სახეებისა და იდეების მთელი სამყარო. გ) სურათებისა და ნახატების უმეტესობა ლამაზია და თვალს სიამოვნებას ჰკვრიხ: ლამაზია დეკორაციული, ზოგჯერ ორნამენტული კომპოზიციისა და ხაზების დინება, კოლორიტი. დ) რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდლება მოახდინა ყველაზე ნაშუაგვრების რაოდენობამაც და მხატვრის შინაგანმა სიმტკიცემაც. ცხადია, წლების მანძილზე გუდიან-შვილმა ევოლუცია განიცადა, როგორც ფერმწერმა და გრაფიკოსმა.

შეიცვალა წერისა და ხატვის მანერა, კოლორიტი, ზოგი რამ ახალი გაჩნდა თემატიკის მხრივაც. ეს მაშინაც აღვილა შესამჩნევი იყო. ისიც არ იწვევდა დავას, რომ ზოგი ნამუშევარი უკეთესი იყო. ზოგი უარესი, ზოგს იქნებ გუდიაშვილის ერთი პერიოდი უფრო მოეწონებოდა, ვიდრე მეორე... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი რამ იყო უტყუარი: გუდიაშვილი მუდამ გუდიაშვილად რჩებოდა, თავისი თავისთვის მას არასოდეს უღალატნია... და კიდევ ერთი „კერძო“ აღმოჩენა, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიიზიდა: ომის წლებში შესრულებული გრაფიკული სერიები, რომლებიც მოწმობდა, რომ მხატვარი ცხოვრებას მოწყვეტილი არ ყოფილა, არამედ სრულიად თავისებურად ეხმაურებოდა მსოფლიო მოვლენებს...

გუდიაშვილის გამოფენამ ძალიან ბევრს მოუბრუნა გული მხატვრობისაკენ, დაანახვა, რომ მხატვრობის ფუნქცია მხოლოდ ფოტოგრაფიის დუბლირება არ არის, რომ მას თავისი საკუთარი დანიშნულება და ადგილი აქვს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. გუდიაშვილის მეგობრების სიხარულს ხომ საზღვარი არ ჰქონდა. მე რატომღაც ყველაზე მეტად მაინც ჩამრჩა მეხსიერებაში ალექსანდრე ბაგბეუქ-მელიქოვი, მისი გაბრწყინებული სახე. ბაგბეუქი თვითონაც ნამდვილი შემოქმედი იყო და ლადოს ზეიმი მისი ზეიმიც იყო.

გუდიაშვილის სახელი მაშინ ყველას პირზე ეკერა. დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ინსტიტუტებში აწყობდნენ მასთან შეხვედრებს, მისდამი მიძღვნილ საღამოებს. პირველი ასეთი საღამო ივნისში გაიმართა ხელოვნების მუშაკთა სახლში. მე ვთავმჯდომარეობდი და შესავალი სიტყვა ვთქვი, ილაპარაკეს მიხეილ ჭიაურელმა, უჩა ჯაფარიძემ, გიორგი ახვლედიანმა, აკაკი ფალავამ, ბესარიონ ჟღენტმა, გერონტი ქიქოძემ (ნიშანდობლივია ორატორთა შემადგენლობა — მათი „დარგობრივი“ მრავალფეროვნება); 1958 წლის იანვარში შეხვედრა მოეწყო მეცნიერებათა აკადემიაში, 1958 წლის 20 იანვარს გაიმართა მისი იუბილე ოპერის თეატრში... შეხვედრების დროს, ცხადია, ლადოსადმი დიდი სიყვარული მქლავნდებოდა (ამას ხელს უწყობდა ლადოს პირადი მომხიბველობაც), მაგრამ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ ბანალური, ფუჭი და მაღალფარდოვანიც ითქმოდა — ეს, ეტყობა, გარდუვალა იყო. მერე გამოფენა მოსკოვში გადაიტანეს და იქაც დიდი წარმატება ჰქონდა (არაჩვეულებრივად საინტერესო იყო ჩანაწერები იქაურ შთაბეჭდილებათა წიგნში!).

ლადოს გამოფენას სხვებიც მოჰყვა: დავით კაკაბაძისა, ელენე ახვლედიანისა, ქეთო მაღალაშვილისა, რომელნიც ლადოსთან ერთად

შეადგენდნენ „შესანიშნავ ოთხეულს“ — მაშინ განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა, რა დიდი, განმსაზღვრელი როლი ითამაშეს მათ დღევანდელი ქართული ხელოვნების ისტორიაში, როგორ აამაღლეს ეროვნული მხატვრული კულტურის დონე! ჩვენი ხელოვნების ახალი საფეხურის მიჯნაზე მართლაც ცხოველყოფელი იყო დავით კაკაბაძის მაგალითი — ის მაშინ განსაკუთრებით თანამედროვე, ბევრ ცოცხალზე უფრო ცოცხალი აღმოჩნდა. იმავე დროს, ის შეახსენებდა ახალ თაობებს, რას ნიშნავს ნამდვილი პროფესიული ოსტატობა, რას ნიშნავს ნამდვილი მაღალი ხელოვნება. მერე — ახალგაზრდების გამოფენები, პერსონალური და ჯგუფური — რამდენი თავისებური ინდივიდუალობა დაიბადა მაშინ! მერე — კონკურსი ვახტანგ გორგასალის ძეგლის დასადგმელად, რომელმაც მანამდე უნახავი ინტერესი გამოიწვია და რომელშიც მხოლოდ ახალგაზრდები მონაწილეობდნენ...

„ახალი ეტაპის“ ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანი იყო ქართული კერამიკის ასვლა სრულიად ახალ საფეხურზე (ძველი ქართული ტრადიციების ნაყოფიერი ათვისებით) და ჭედურობის აღორძინება. ახლა ყველამ იცის, რომ ქართულმა კერამიკამ და ჭედურობამ ფართო პოპულარობა მოიპოვა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მართლაც ბევრი რამ მხატვრულად გააზრებული და მომწიფებული შეიქმნა. მაგრამ როცა ყველა მსურველმა და ადვილი შემოსავლის მძებნელმა დაიწყო ჩაქუჩის კაკუნი, ბაზარზე გაჩნდა ბევრი იაფფასიანი, სწორედ „ბაზრული“ გემოვნებით შესრულებული ჭედური ნივთი. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ჭედურობა სწრაფად შემოვიდა მოლაში, თითქმის ყველ ოჯახს სურდა სახლში ჰქონოდა თუნდაც ერთი ნიმუში, საჩუქრებადაც ჭედურ ფირფიტებს უძღვნიდნენ ერთმანეთს. ესეც „კარგი ტონის“ ნიშნად იქცა... და მოთხოვნილების ასეთმა ზრდამ გამოიწვია სათანადო „დაკმაყოფილება“. სამწუხაროდ, ჩვენი სასუვენირო მაღაზიები და „სალონები“ ახლაც უხვად ამარაგებს მყიდველთ ამგვარი პროდუქციით.

მაგრამ ეს ფაქტი — კერამიკისა და ჭედურობის დიდი პოპულარობა — მაინც გარკვეული დადებითი ტენდენციის მაჩვენებელი იყო: ხელოვნებამ ადამიანთა ყოფაშიც დაიწყო შეღწევა, გაჩნდა სურვილი, რომ საკუთარი საცხოვრებელი გარემოს გაფორმება ხელოვნების მოთხოვნილებათა დონემდე ამაღლებულიყო. სხვა საქმეა, რომ ამ სურვილის ხორცშესხმა ყოველ ცალკე შემთხვევაში შემკვეთის კულტურასა და გემოვნებაზე იყო დამოკიდებული... არსებითი გახლდათ ის, რომ საზოგადოებრივ ნაგებობათა ინტერიერებსაც მაშინ საგანგებო

ყურადღება მიექცა, ინტერიერის დამუშავება მაშინ პირველად იქცა მხატვრულ ამოცანად, თორემ მანამდის თბილისში ბატონობდა ვინმე ბენო ტელინგატერის ამქარი, რომელიც დაუღალავად „აფორმებდა“ რესტორნებს, მაღაზიებს, სხვა დაწესებულებებსაც „ქართული“ ჩუქურთმის სახეებით და, ზოგჯერ ვეფხისტყაოსნის ზიჩისეული ილუსტრაციების პირებით (ბევრს, ალბათ, ახსოვს ფუნიკულიორის რესტორნის დარბაზი!). ძნელი წარმოსადგენი იყო უფრო მდარე ხარისხის, უფრო პროვინციული პროდუქცია!

რა თქმა უნდა, ორმოცდაათიანი წლების დასასრულის გარდატეხა ხუროთმოძღვრებასაც შეეხო: „გადაჭარბებათ“ დაგმობამ — ინდუსტრიული მეთოდების შემოღებამ, ახლებურად დასვა თანამედროვე ქართულ არქიტექტურაში ეროვნული ფორმის საკითხიც. ამ მხრივ უეჭველი მონაპოვარიც მოგვეძებნება იმ დროის მშენებლობაში — ეს მაინც უმეტესად ინტერიერებს ეხება — რესტორნებისას, სათეატრო ფოიეებისას, კონფერენც-დარბაზებისას, ზოგ სხვასაც. დამახასიათებელი გახდა ძველი ქართული დეკორაციული მოტივების „ციტირების“ სრული უარყოფა, რელიეფების, კერამიკისა და ქედურობის სინთეზი არქიტექტურასთან... ეს ახალი სიტყვა იყო, მაგრამ ამ გზაზე ჭერაც ხომ ბევრი რამ არის საძიებელი.

ახლა ისევ ომის უშუალო მომდევნო წლებს დავუბრუნდები. სანამ კვლავ ინსტიტუტის საქმიანობასა და მაშინდელ ექსპედიციებს შევხებოდე, მინდა გავიხსენო ერთი დიდად ღირსსახსოვარი და ყოველმხრივ ღირსშესანიშნავი ამბავი: ექვთიმე თაყაიშვილის დაბრუნება საფრანგეთიდან 1945 წლის 11 აპრილს. ე. ი. ომის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე. თაყაიშვილის ეპოპეა დღეს უკვე საკმაოდ კარგად უნდა იყოს ცნობილი საზოგადოებისათვის. ამის შესახებ ჟურნალ-გაზეთებში არაერთი წერილი დაიბეჭდა, დაიბეჭდა ბელეტრიზებული ნარკვევებიც, ამ ნაწერებში ყველაფერი არ შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ მთავარი, არსებითი ფაქტები მაინც სწორად არის გადმოცემული. ზემოთ, მამაჩემისადმი მიძღვნილ თავში, თაყაიშვილის ჩამოსვლისა და ჩვენი ეროვნული განძის დაბრუნების წინაისტორიას შევხებ, უფრო სწორად, ამ წინაისტორიის პირველ ფურცელს — თაყაიშვილის წერილს მამასადმი 1935 წელს. ათი წელიწადი გავიდა, სანამ განხორციელდებოდა ის, რაზედაც ოცნებობდა არა მარტო თაყაიშვილი, არამედ ყველა, ვისაც გული შესტკიოდა ჩვენი ეროვნული კულტურისათვის.

ექვთიმე თაყაიშვილი და განძის ჩამოსატანად გაგზავნილი პირები (შ. ამირანაშვილი და პ. შარია) შემოვლით — კაირო-თეირანის გზით ჩამოფრინდნენ. თაყაიშვილი სასტუმრო „თბილისში“ დააბინავეს. მამა იმავე საღამოს წავიდა მის სანახავად და მეც თან წამიყვანა. არ ვიცი, რომელი უფრო ვლელავდით... თუ მამა და მისი თაობის ადამიანები მას აღრევე იცნობდნენ, ჩემი თაობისათვის ექვთიმე ლეგენდური პიროვნება იყო, ისეთივე შარავანდით მოსილი, როგორითაც ძველი საქართველოს დიდი მოძღვარი — თუნდაც გრიგოლ ხანძთელი, ან მთაწმინდელები... ვისაც საქართველოს წარსულთან აქვს საქმე — მის ისტორიასთან, მწერლობასთან, ნივთიერ კულტურასთან, ხელოვნებასთან — ის ხომ თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე ხედება თაყაიშვილის სახელს და შემდეგაც ფეხს ვერ წადგამს მისი ნაშრომების მოუხმობლად. ნამდვილად ძნელი წარმოსადგენიც არის, როგორ შეეძლო ერთ ადამიანს იმდენი რამ გაეკეთებინა, რამდენიც მან გააკეთა — როგორც მკვლევარმა, სიძველეთა შემკრებმა და მომვლელმა, საბუთების გამომცემელმა, როგორც — ახლანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ — მეცნიერების ორგანიზატორმა, საზოგადო მოღვაწემ. ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია საქმისათვის თავდადებას, ნებისყოფას, მიზანსწრაფვას, როცა მათ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული უდევთ საფუძვლად...

მე გულისფანტვალით შევედი მის ოთახში. კორნელი კეკელიძე და გიორგი ახვლედიანიც მოვიდნენ. გადაგვეხვია, დიდხანს გვეკოცინდა... როგორი განცდა უნდა ჰქონოდა ამ ოთხმოცდაორი წლის კაცს, ოცდაოთხი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულს, იმდენი გაჭირვების, ღელვისა და ტანჯვის შემდეგ!

— საარაკოა ჩვენი გადარჩენა, საარაკო... რამდენი რამე გადავიტანეთ, რამდენჯერ დაღუპული მეგონა ყველაფერი, განსაკუთრებით ომი რომ დაიწყო, მას შემდეგ, — ეს იყო მისი პირველი სიტყვები.

მამას, კეკელიძესა და ახვლედიანს უკვირდათ — არ გამოცვლილაო. ხალისიანად იყო, ახგალგაზრდულად იცინოდა, მაგრამ ზოგჯერ, როცა გაჩუმდებოდა და ჩაფიქრდებოდა, მოქანცულობა და ტკივილიც კი ეხატებოდა სახეზე... სახის ნაკვთები საკმაოდ მკვეთრი ჰქონდა, შეთხელებული თმა, მოკლე ჰალარა წვერი — ბულანყე... მძიმე კაცი იყო, სიბერისაგან უფრო მეტად დამძიმებული, სიარული ძალიან უჭირდა, ფეხი აღრევე ჰქონდა დაზიანებული... როცა შემდეგ მასთან სახლში დავდიოდი — მხოლოდ სავარძელში მჯდომარე მახსოვს. მოიკითხა თავისი ძველი თანამშრომლები და მეგობრები: ივანე რატიშვილი, ალექ-

სანდრო მიქაბერიძე, სხვებიც... ცოტადა იყო ცოცხალი. მაშინვე მივაქციე ყურადღება, რომ გურულად უქცევდა... მომხიბვლელი მოხუცი იყო. უბრალო, „შინაურული“, ყოველგვარი ხელოვნურობისა და „მანერების“ გარეშე.

მერე მთელი ღამე ვერ მოვისვენე. ამ პირველ შეხვედრაზე ვფიქრობდი.

მეორე დღესვე ესტუმრა საქართველოს მუზეუმს არმაზში აღმოჩენილი ნივთების სანახავად. მთელი მუზეუმი ფეხზე იდგა, ყველა თვალეზაყვილი უყურებდა, ზოგი ცრემლმორეულიც. სიხარულისაგან ყველა ისე ლელავდა,

რომ აღარ იცოდნენ რა ეთქვათ. დამახასიათებელი იყო, რომ თაყაიშვილი ჩამოსვლისთანავე „ჩაერთო“ აქტიურ საქმიანობაში. ყველაფერი წინანდებურად აინტერესებდა, ყველაფერი ახსოვდა, ყოველი წვრილმანი. ნიკო ჩუბინაშვილის დისერტაციის დაცვაზე რომ მოვიდა (ჩვენი ინსტიტუტის საბჭოს წევრად ავირჩიეთ), მესაუბრებოდა და, სხვათა შორის, ესეც მკითხა: „მაღალანთ ეკლესიის“ კანკელზე კტიტორი ქალის გამოსახულება რომ იყო ბერძნული წარწერით, თუ არის გადარჩენილიო. მოწყურებული იყო მუშაობას, ეჩქარებოდა გამოუქვეყნებელა ნაშრომების გამოცემა. და მართლაც, რვა წლის განმავლობაში, გარდაცვალებამდე, შეძლო კიდევ წიგნების, საყურნალო და საგაზეთო წერილების გამოქვეყნება. უხაროდა აქტიურად გაშლილ სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას რომ ხედავდა, ამდენი ახალგაზრდა რომ იღვწოდა საქართველოს წარსულის კვლევის დარგში. ერთხელ მამას უთხრა: — რა კუსტარულად ვიწყებდით ჩვენ და როგორ გავზრდილვართო.

1945 წელს თაყაიშვილი კვლავ აირჩიეს ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორად (1918 წელს ისიც იყო უნივერსიტეტის დამფუძნებელ-



ექვთიმე თაყაიშვილი

თა და პირველ პროფესორთა შორის), 1946 წელს აკადემიკოსად. ავტორმანქანაც გამოუყვეს — რაღაც დიდი შავი მანქანა იყო. დაბინავდა ვაშლოვანის ქუჩაზე თავის შვილობილ ლიდა თაყაიშვილთან, რომლის მეუღლეც ექვთიმეს ცოლისძმა ვეჭილი ალექსანდრე პოლტორაკი იყო — ერთი ჩუმი და სათნო კაცი (თავისი მეუღლისაგან განსხვავებით). თვით ექვთიმეს შვილი არ ჰყოლია, მეუღლე კი საფრანგეთში გარდაეცვალა და სულ ბოლომდე განიცდიდა, რომ მისი გადმოსვენება ვერ მოხერხდა.

ჩამოსვლის დღიდანვე ე. თაყაიშვილს თავისი ძველი მეგობრები და თანამშრომლები ამოუდგნენ მხარში. უპირველეს ყოვლისა, როგორც ზემოთ ითქვა, ეს იყო იროდიონ სონღულაშვილი; აგრეთვე ექიმში დიმიტრი ჭავჭავიძე, რომელიც მის ჯანმრთელობას მეუფალყურებდა: დიდ ყურადღებას იჩენდა მის მიმართ აკაკი შანიძე, რომელმაც იტვირთა ტაოკლარჯეთის 1917 წლის ექსპედიციისადმი მიძღვნილი წიგნის რედაქტორობა (ექვთიმემ, მგონი, მოასწრო სასიგნალო ეგზემპლარის ნახვა), მას აქტიურად ეხმარებოდა იოსებ მცგრელიძე; მაგრამ ყველაზე მეტი ამაგი მიუძღოდა მაინც — ზემოთ ამის შესახებაც იყრ ნათქვამი — გიორგი ლომთათიძეს, რომელმაც გვერდზე გადასლო საკუთარი საქმეები, ინტერესები და ექვთიმეს ნამდვილ მარჯვენა ხელად იქცა: აწესრიგებდა მის არქივს, მდივნობას უწევდა, ჩანაწერების რედაქტირებას აწარმოებდა, ზრუნავდა მათი გამოცემისათვის. მან ჩაიწერა, კერძოდ, ექვთიმეს ძალიან საინტერესო მემუარები. დიდ დახმარებას უწევდა მას ამ ძნელ საქმეში მისი მეუღლე ეთნოგრაფი ნინო ლოლობერიძე.

მე და მამა დროდადრო ვესტუმრებოდით ხოლმე ექვთიმეს, მისი ყოველი ნაამბობი ჩვენი უახლესი კულტურის ისტორიის საინტერესო ფრაგმენტი იყო. მოსაყოლი ხომ არ გამოეყოფოდა, თუნდაც ქართულ სიძველეთა მოპოვებასთან დაკავშირებული ეპიზოდები, რომლებიც ყოველთვის მოწმობდა, რა უდრეკი ნებისყოფისა და უშრეტო ენერჯის კაცი იყო ექვთიმე, მისი თხრობა უშუალო და შეუფერადებელი იყო. ხანდახან ზოგი რამ ისეთი გამოერეოდა მის მეტყველებაში, რაც საფრანგეთში დიდხანს ცხოვრებით აიხსნებოდა: „გარეუბნის“ მაგიერ იტყოდა „ბანლიეო“, „მანეთის“ მაგიერ — „ფრანკიო“, „კომუნისტის“ ნაცვლად — „ივერიაო“. გურული ინტონაციები კოლორიტს მატებდა მის თხრობას.

რალა თქმა უნდა, ქართულ სიძველეთა დაბრუნება და თვით ექვთიმეს ჩამოსვლა ერთი უმთავრესი სასაუბრო თემათაგანი იყო საზოგა-

დოებაში. ბუნებრივია, თაყაიშვილი ძალიან პოპულარული გახდა, მის ნახვასა და მოხმენას ყველა ნატრობდა. დიდი ხნის ჩამოსული არ იყო, როდესაც მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში (ძეგჩინსკის ქუჩაზე) დაინიშნა მისი საჯარო ლექცია, გადავწყვიტე ცოტა ადრე მივალ-მეთქი, მაგრამ აკადემიის შენობას რომ მივუახლოვდი, ქუჩა უკვე სავსე იყო ხალხით. იმდენი იყო ლექციაზე დასწრების მსურველი, რომ შენობაში ველარ შეხვიდოდი — კიბე, დერეფნები, დარბაზი უკვე მთლიანად აევსოთ. ძალიან დავლონდი, რაკი შეღწევის იმედი აღარ მქონდა. მაგრამ სწორედ ამ დროს მოადგა აკადემიას ექვთიმეს მანქანა და მე, ბედად, მის წინ აღმოვიჩნდი. სწრაფად გავაღე მანქანის კარი, გავუწოდე ხელი ექვთიმეს, ფრთხილად გადმოვიყვანე, მკლავში მკლავი გავუყარე და ასე გავემართეთ კიბისკენ. რა თქმა უნდა, ხალხი მიიწ-მოიწია, მას გზა დაუთმეს და ნელ-ნელა ავალწიეთ დარბაზამდე. ექვთიმე პრეზიდენტში ავიყვანეთ და მეც გვერდით მოვუჭექე — სანამ ლექციას დაიწყებდა, იქნებ რამე დასჭირდეს-მეთქი. მაგრამ ლექციის დაწყება შეუძლებელი გახდა: დარბაზი გაიჭედა, დერეფნებში დარჩენილნიც ლამობდნენ შემოსვლას, ხმაური იყო და თავმჯდომარის — აკაკი შანიძის — მოწოდება უშედეგოდ რჩებოდა. მე ექვთიმეს ვუყურებდი, მაინტერესებდა მისი რეაქცია. რატომღაც დაღვრემილი შეჰყურებდა ამ ამბავს, არ გაუღიმიო, მხოლოდ გავიგონე, თავისთვის რომ ჩაილაპარაკა:

— Пришли заморского зверя смотреть...

იმ დღეს ლექციის ჩატარება აღარ მოხერხდა — მეორე დღისთვის გადაიდო და კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოეწყო. იქაც უამრავი ხალხი მოვიდა.

არც მე და არც სხვას არავის, ვინც იმ საღამოს იქ იყო, არ დაავიწყდებოდა 1948 წლის 18 იანვარი, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილმა თავისი დაბადების დღე გადაიხადა: 85 წლისა გახდა. ეს დღესასწაული მან ქართველ მეცნიერებთან თავისებურ შეხვედრად აქცია. აი ვინ იყო იქ იმ საღამოს: კორნელი კეკელიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, მამაჩემი, ალექსანდრე ჯანელიძე, ვარლამ თოფურია, შალვა ამირანაშვილი, ილია ვეკუა, იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, ნიკოლოზ ყიფშიძე, დიმიტრი ჭავჭავაძე, კოტე მაკარაშვილი (ეს სამნი — ექვთიმეს „დობტურები“, როგორც თვითონ ამბობდა), იროდიონ სონღულაშვილი, ჩვენი ძველი მასწავლებელი ივანე ნიქარაძე, რომელიც ცოლის მხრივ ენათესავებოდა ექვთიმეს, ანა თულაშვილი, მაშეკო თაყაიშვილი (სესილიას

დედა; ცოტა გვიან სესილიაც მოვიდა, იყო მისი ძმაც); „ახალ თაობას“ სამნი წარმოვადგენდით — გოგი ლომთათიძე, ანდრო აფაქიძე (მაშინ „საქართველოს მუზეუმის“ დირექტორად იყო) და მე.

ბუნებრივია, განსაკუთრებით სასიხარულო, „ამაღლებული“ განწყობილება სუფევდა. ამ სიხარულს ტონუსი მოუმატა პატარა ეპიზოდმა, რომელიც დასაწყისშივე მოხდა: კორნელი კეკელიძე, რომელიც ძალიან ბეცი იყო, მაგრამ რატომღაც სათვალეს არ ატარებდა, შემოსვლისთანავე დაეძგერა იოსებ გრიშაშვილს, გადაეხვია, ჩაბლუჯა მკლავებში და დაუწყო კოცნა ხმამაღალი შეძახილით: — გილოცავთ, ბატონო ექვთიმეო! რამდენიმე წამს ვერაფერ ვერ მიხვდა რა ხდებოდა, მერე კი ისეთი ხარხარი ატყდა, რომ ხუთი წუთი მაინც ვეღარ მოხერხდა დამშვიდება... იმ საღამოს მეორე „ეპიზოდიც“ იყო — უკვე სხვა ხასიათისა: შუა დღესასწაულში შუქი ჩაქრა... მაგრამ სულ მალე კვლავ აინთო. კარზე ვიღაცამ დააკაკუნა, შემოვიდა ელექტრომონტიორი, მხარზე გადაკიდებული სვეტზე ასაძრომი აღჭურვილობით, აიღო ქიჩა და ექვთიმეს სადღეგრძელო უთხრა... იცოდა, ვინ არის ექვთიმე თაყაიშვილი. მის სიტყვებში სიყვარული და სიამაყე იგრძნობოდა.

სუფრას თვით ექვთიმე გაუძღვა. სანამ დამსწრეთა სადღეგრძელოებს იტყოდა, მან წარმოთქვა შესავალი სიტყვა, რომელიც ასე დაიწყო.

— როდესაც მე საფრანგეთიდან ჩამოვედი და ავიონიდან მიწაზე ფეხი დავდგი, მგონის სიტყვები გამახსენდა: „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“... — და მან სულ ბოლომდე თქვა ეს ლექსი. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ წარმოუდგენლად დაძაბული სიჩუმე იყო და ეჭვი არ მეპარება, რომ ყველას, ისევე როგორც მე, ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ეს საკვირველი ლექსი სხვას კი არ დაუწერია, არამედ აი ახლა, იმ წუთებში იბადებოდა ჩვენს თვალწინ. ჩემი, უკვე საკმაოდ ხანგრძლივი, სიცოცხლის მანძილზე იშვიათად განმიცდია ისეთი მღელვარება, როგორც იმ წუთებში განვიცადე.

რა ბედნიერებაა ჩვენთვის, რომ ასეთი კაცი არსებობდა ქვეყნად!

1946 წელს მე, ჩემთვის მოულოდნელად, მუშაობის ერთი ახალი ასპარეზი გამიჩნდა: დაარსდა უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება და მისმა მაშინდელმა თავმჯდომარემ მწერალმა ნიკოლოზ მიქაევამ მიმიწვია რეფერენტად. რამდენიმე წელიწადი ვიმუშავე იქ. სასარგებლო საქმე იყო ჩვენი

კულტურის პროპაგანდის თვალსაზრისით, კონტაქტების დამყარების მხრივაც. იმ პირველ წლებში ზოგი საინტერესო შეხვედრაც შედგა უცხოელებთან, მაგალითად, იუგოსლავიის დელეგაციასთან, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ცნობილი სერბი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ივო ანდრიჩი, უნგრულ კულტურის მოღვაწეთა დელეგაციასთან და სხვ. ამ საზოგადოებასთან მას შემდეგ კავშირი არ გამიწყვეტია: როცა 1959 წელს დაარსდა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საქართველოს განყოფილება, მე მის თავმჯდომარედ ამირჩიეს და მას შემდეგ ვარ ამ თანამდებობაზე (ასევე უცვლელ მდივნად არის მას შემდეგ ლეილა თეთრაძე).

ომის დამთავრების შემდეგ კიდევ ორ თუ სამ წელიწადს ვიმუშავე თეატრალურ ინსტიტუტში. მერე კი ლექციები მხოლოდ სამხატვრო აკადემიაში დამრჩა. აკადემიასთან ჩემი „კავშირი“, ამგვარად, ფრიად ხანგრძლივი გამოდგა: თუ ასპირანტობის წლებსაც ჩავთვლი, ნახევარ საუკუნეს ბევრი აღარაფერი უკლია.

იმთვან, ვინც იქ დაარსებიდანვე, ე. ი. 1922 წლიდან მოღვაწეობდა, მე მოვუსწარი, სევეროვის გარდა, ჰენრიკ პრინევისკის, იაკობ ნიკოლაძესა და იოსებ შარლემანს, აგრეთვე ალექსანდრა (შურა) წერეთელს, რომელიც ჩემ დროს ჯერ ხელოვნების კაბინეტის გამგედ იყო, შემდეგ კი ხელოვნების ისტორიის კურსს კითხულობდა ზოგიერთ ფაკულტეტზე. უფროსი თაობის წარმომადგენელთაგან მე დამხვდნენ სხვა ცნობილი მხატვრები და მოქანდაკეებიც: ნიკოლოზ კანდელაკი, რომელიც მე დედის მხრივ მენათესავებოდა, გიორგი სესიაშვილი, მოსე თოიძე, დავით კაკაბაძე, ალქსანდრე ციმაკურიძე, ბორის შებუევი, შალვა ამირანაშვილი, კერამიკის ფაკულტეტის პედაგოგები მიხეილ ხანანაშვილი და ალექსანდრე ფიცხელაური. სხვა პედაგოგები, რომლებიც ან უკვე მუშაობდნენ აკადემიაში 1935 წელს, ან მომდევნო წლებში, ნელ-ნელა შემოემატნენ — თვით აკადემიის აღზრდილები იყვნენ: ლადო გრიგოლია, დავით ციციშვილი, უჩა ჯაფარიძე, კორნელი სანაძე, დავით წერეთელი, სილოვან კაკაბაძე, ვალენტინ თოფურიძე, შოთა მიქაბაძე, სერგო ქობულაძე, კოტე მერაბიშვილი, სამსონ ნადარეიშვილი, დავით, აპოლონ და ლადო ქუთათელაძეები, ვახტანგ ჯაფარიძე, სოსო გაბაშვილი, შალვა მამალაძე და სხვანი. მოგვიანოდ — ჩემი თაობის პედაგოგებიც გაჩნდნენ (გიორგი ჯაში, დავით გაბაშვილი და სხვანი). ეს საინტერესო გალერეა იყო სხვადასხვა ხასიათის, ტემპერამენტის, განსხვავებული ნიჭისა და კულტურული დონის, განსხვავებული ზნეობრივი ღირსებების მქონე ადამიანებისა... უმეტესო-

ბას ნამდვილი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ხელოვნების წინაშე — ზოგს ძალიან დიდრც; ზოგი მათგანი მნიშვნელოვანი შემოქმედი და დიდი ოსტატი იყო, ზოგი უმეტესად პედაგოგიური საქმიანობით იფარგლებოდა. დიდი ამაგი მიუძღოდა აკადემიის წინაშე დავით კაკაბაძეს, რომელსაც (გარდა იმისა, რომ ევროპული მასშტაბის შესანიშნავი მხატვარი იყო) განათლებისა და საერთო კულტურის მხრივ ძნელად თუ ვინმე შეედრებოდა ქართველ მხატვართა შორის. როდესაც მე აკადემიაში მივედი, ის პრორექტორად იყო. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ საერთოდ ჩამოაშორეს აკადემიას, როგორც „ფორმალისტი“, როგორც საშინი და მავნე პიროვნება! აკადემიის პედაგოგთაგან ყველასთან არა, მაგრამ უმეტესობასთან მეგობრული ურთიერთობა და კონტაქტები მქონდა, ზოგი თავის „შემოქმედებითს ლაბორატორიასაც“ მაცნობდა ხოლმე. უჩა ჭაფარიძემ, რომლის ლირიკული რაჭული სცენები ძალიან მიყვარდა, მუშაობის პროცესში რამდენიმეჯერ მიჩვენა თავისი — აწ უკვე კარგად ცნობილი — დიდი სურათი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დარბაზში, 1942 წელს კი ჩემი ორი პორტრეტიც შეასრულა — ერთი ფერწერული, ერთი — ნახშირით; ხშირად ვყოფილვარ ნიკო კანდელაკის სახელოსნოში — 1939—1940 წლებში ჩემი ბიუსტიც გამოაქანდაკა — დიდად ნიჭიერი, მოუსვენარი და შფოთიანი ხასიათის კაცი იყო, რომლის პედაგოგიურმა მოღვაწეობამ განსაკუთრებული კვალი დააჩნია დღევანდელი ქართული ქანდაკების განვითარებას; ყოველთვის სასიამოვნო და სასარგებლო იყო კონტაქტები იოსებ შარლემანთან, იგი დიდად ინტელიგენტი, დიდი ცოდნისა და კულტურის პატრონი იყო, ზედმიწევნით კეთილგანწყობილი და კეთილმოსურნე. ჯერ მან და შემდეგ მისმავე მოწაფემ ლადო გრიგოლიამ ჩაუყარეს საფუძველი დღევანდელი ქართული წიგნის გრაფიკული გაფორმების ხელოვნებას. ლადო დიდი მხატვარი და უმწიკვლო პიროვნება იყო. შეუმცდარი გემოვნება მქონდა. მასავით არავის არ უგრძვნია ძველი ქართული დამწერლობის ნამდვილი სილამაზე. მანვე პირველმა შეძლო მისი თანამედროვე ინტერპრეტაცია. მკაფიოდ გამოკვეთილი, ფრიად საინტერესო პიროვნება იყო სერგო ქობულაძე — კაცი მაღალი კულტურისა და ზნეობისა, მახვილგონიერი, მტკიცედ შემუშავებული შეხედულებების მქონე, უმაღლესი დონის პროფესიონალი, თავისი ხელობისადმი დამოკიდებულების მხრივაც განსაკუთრებით გამორჩეული (თავისი ამ თვისებებით მაგონდება მეორე სერგოს — ზაქარიაძეს!).

გიგო გაბაშვილს, რომელიც 1936 წელს გარდაიცვალა, პირადად

არ ვიცნობდი, მაგრამ ბევრჯერ კი მინახავს — ჩვენი სახლიდან ორ ნაბიჯზე ცხოვრობდა, სამხატვრო აკადემიის ძველი კორპუსის ერთ-ერთ ფლოველში, სასამართლოს ქუჩის მხრიდან. მაშინ აკადემიის ახალი შენობა არ არსებობდა. გარდა გაბაშვილის დიდი კამაროვანი დარბაზისა, იყო კიდევ რამდენიმე დარბაზი, მათ შორის ერთი გუმბათიანიც — ჰენრიკ ჰრინეესკის სახელოსნო, სადაც ხშირად ვყოფილვართ მე და ჩემი ინსტიტუტელი ამხანაგები, ხანდახან იქ გვამეცადინებდა კიდევ. სახელოსნოს ატმოსფერო ძალიან გვიზიდავდა — ნივთებიც, სურათებიც, მათ შორის თვით ჰრინეესკის ნამუშევრები. ბრწყინვალე აკვარელისტი იყო და შესრულებული ჰქონდა, სხვათა შორის, ქართული ძეგლების ჩანახატებიც. მეზობელ დარბაზში მოთავსებული იყო მისი მეუღლის, ცეკვის ცნობილი მასწავლებლის, პერინის, სტუდია. მგონი, ამ სტუდიაში აიღვა ფეხი ქართული ბალეტის ყველა მსახიობმა ოციან წლებსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისში.

ერთხანს მე ლექციებს ვუკითხავდი ყველა ფაკულტეტის სტუდენტებს, ბოლოს კი მხოლოდ ხელოვნებათმცოდნეები დამრჩნენ. ჩემ ყოფილ სტუდენტთაგან შემდეგში ბევრმა მოიხვეჭა სახელი და ახლაც სწორედ მათი თაობა ზიდავს, უმეტესად, დღევანდელი ქართული სახვითი ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების ტვირთს.

პედაგოგების გარდა, დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვიგონებ კიდევ ორ ადამიანს, ორ ღირსეულ მანდილოსანს, რომელთა ყოფნას, აგრეთვე, ჰქონდა მნიშვნელობა აკადემიის საერთო ატმოსფეროს შექმნისათვის. ესენი იყვნენ ბიბლიოთეკის გამგეები—ჯერ ტატიანა კაკაბაძე, შემდეგ კი ანიკო კილაძე. ოციან წლებში ტ. კაკაბაძე მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა პარიზში და იქაურ ქართველ მხატვართა კოლონიის — დაეთის, ლაღოს, ქეთოს, ელენეს — ახლო მეგობარი იყო. მათგან ბევრი სიკეთე მახსოვს.

1945 წლის აგვისტოში ნიკო ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე და მე გავემგზავრეთ ქვემო რაჭის ძეგლების გასაცნობად. ამ ექსპედიციის შედეგი იყო ვახტანგის დისერტაცია ზემოკრიხის ტაძრის შესახებ, ნიკოს ნარკვევი სწორკუთხა აფსიდიან ეკლესიებზე. ჩემთვის ამ მხრივ რაჭაში მოგზაურობას რაიმე ნაყოფი არ გამოუღია, მაგრამ დიდად ნაყოფიერი და სასარგებლო იყო ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრების კიდევ ერთი საინტერესო პროვინციის გაცნობა. ამას გარდა, განაკუთრებით თბილი მოგონება დამრჩა თვით რაჭველების გულისხმიე-

რების, უბრალოების, კეთილგანწყობილების შესახებ. თვითონ რა პქონდათ მაშინ გლახებს, მაგრამ ყველგან ხალისით, ხელგაშლილი გვხვდებოდნენ. სხვადასხვა სოფელში ვრჩებოდით ღამის სათევად — ბინასაც გვაძლევდნენ, საკმელ-სასმელსაც.

ქვემო რაჭა თითქმის სულ მოვიარეთ, უმეტესად ფეხით. გუმბათიანი ძეგლი იქ ძალიან ცოტაა — ნიკორწმინდა, რომელიც ჩვენი ხუროთმოძღვრების დიდ ეპოქას ეკუთვნის და რელიეფური ქანდაკებების სიმდიდრით კონკურენციის გარეშეა ქართულ ძეგლთა შორის. მაგრამ ის ჩვენი კვლევის ობიექტს არ შეადგენდა მაშინ. მეორეა ეგრეთ წოდებული ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესია სოფელ წესთან, ქვემო და ზემო რაჭის საზღვარზე — მაშინ არც მისთვის „გვიხლია ხელი,“ მას უფრო გვიან დაუბრუნდი, როცა XVI—XVIII საუკუნეების შესახებ დავიწყე მასალების მოგროვება. სხვა ძეგლები უგუმბათოა, თითქმის ყველა — ცალნავიანი, ზოგი მათგანი — მინაშენებით. მათ შორის არის ძალიან მაღალი მხატვრული დონის ძეგლებიც, მაგალითად, პატარა ონი, ან ხსენებული ზემო კრიხის ეკლესია, მნიშვნელოვანია სხვებიც — კვირიკეწმინდისა, კლდისუბნისა, ხიმშისა... იმდენი არაა, რამდენიც სვანეთში, მაგრამ რაჭაშიაც შემოინახა ძველი მხატვრობის ნაშთები.

იმავე წელს, სექტემბერში, მე და ჩემი მეუღლე კაცხს გავემგზავრეთ. იქ ეკლესიის მახლობლად ვცხოვრობდით მასწავლებლის, ყოფილ მღვდლის სერგო კაპანაძის ოჯახში — სრულიად უზრუნველად. დღიდანვე მივიღოდი ეკლესიაში და მშვიდად, დიდი სიამოვნებით ვმუშაობდი სრულ სიჩუმესა და მყუდროებაში. ეკლესია არქიტექტორ კალაშნიკოვს უკვე გაეზომა, ასე რომ, ეს საზრუნავიც ჩამოშორებული მქონდა. ძეგლი მშვენიერია, საკვლევადაც საინტერესო (ექვსათსიდიანი ტიპისა — ასეთი ეკლესიები ჩვენში მხოლოდ X საუკუნეში შენდებოდა, უმეტესობა სამხრეთ საქართველოშია,) მისი ეზო და მთელი ის გარემო — პოეტური და რომანტიკული... ის არის მხოლოდ დასანანი, რომ XIX საუკუნეში, შეკეთების დროს, ეკლესიის ზემო ნაწილს სულ ჩამოათალეს ძველი ჩუქურთმები და ახალი პერანგი ჩააცვეს. გადარჩა მხოლოდ კარიბჭის ძალიან მდიდარი ორნამენტაცია და არსებითი ინფორმაციის შემცველი გრძელი წარწერები. და კიდევ — კარიბჭის შიგნით — მრგვალ მოჩუქურთმებულ ჩარჩოში ჩასმული დიდი რელიეფი: ჯვრის ამალგება ოთხი ანგელოზის მიერ, XI საუკუნის ქართული პლასტიკის შესანიშნავი ნიმუში. შიგნით კედლები შელი სალ-შედებილი იყო. მე ბევრგან ჩამოვაცალე შელესილობა, გამოჩნდა

პორტალების ძველი მორთულობა, გარშემოსავლელის ძველი სვეტის-თავეებიც. ეს ღიდად სასიამოვნო შრომა იყო. მაშინ ვნახე პირველად სახელგანთქმული „კაცხის სვეტიცე“ ზეცად ატყორცნილი კლდე, რომლის ზემო ბაქანზედაც ორი პატარა სამლოცველოა. ვნახე, რა თქმა უნდა, შორიდან — ზემოთ ასვლა მხოლოდ ალპინისტურმა ექსპედიციამ შეძლო (მასში ჩვენი ვახტანგ ცინცაძეც მონაწილეობდა). მაგრამ შორიდანაც (ან, იქნებ, სწორედ შორიდან) ფანტასტიკური სანახაობაა.

მომდევნო წლები კი — 1946-დან 1949-მდე-მთლიანად „სამცხის ნიშნით“ ჩატარდა. შედეგების მხრივ მაშინდელი ოთხი ექსპედიცია ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო. სამცხის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე ფიქრი და მათ შესახებ მასალის მოგროვება ადრევე მქონდა დაწყებული. ამ თემის წარმოშობა შემთხვევითი არ ყოფილა, იგი ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარების მაშინდელმა ეტაპმა განაპირობა. გიორგი ჩუბინაშვილს, რომელმაც შუა საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ძირითადი საფეხურები დაადგინა და მათი ზოგადი სტილისტიკური დახასიათება მოგვცა, ჯერ კიდევ ჩვენი ინსტიტუტის დაარსებამდე მონოგრაფიულად გამოკვლეული ჰქონდა ადრეული ფეოდალური ხანის — ე.ი. IV-VII საუკუნეების ძეგლები, აგრეთვე რამდენიმე უფრო გვიანდელიც. ინსტიტუტის შრომებმა თანდათან მოიცილა გარდამავალი ხანა და X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება: ბევრი მაშინდელი ძეგლის შესახებ გამოქვეყნდა ინსტიტუტის თანამშრომელთა (რ.შმერლინგის, ლ.ჩჩუელიშვილის, ვ.ცინცაძის, რ. მეფისაშვილის, ჩემი) მონოგრაფიული ნარკვევები. მუშავდებოდა XII-XIII საუკუნეებიც. მართალია, ამდროინდელ ძეგლებზე ჯერ კიდევ არ გვექონდა დაბეჭდილი გამოკვლევები, მაგრამ ზოგი რამ მოხსენებების სახით გახდა ცნობილი, საერთოდაც, იმ ხანის ხუროთმოძღვრების სტილისტიკური სახე უკვე დადგენილი იყო... ასე თუ ისე უფრო ბუნდოვნად და ნაწილობრივ, მაგრამ მაინც, ისახებოდა XVI-XVII საუკუნეების არქიტექტურის კონტურებიც — თუნდაც გ.ჩუბინიშვილისავე ზოგადი ხასიათის შრომებში. ბუნებრივად და ორგანულად გამოიკვეთა ამოცანა — მონოგრაფიული შესწავლით გაგვეშუქებინა „ღიღი ეპოქის“ მომდევნო ხანაც, XIII—XVI საუკუნეებში, რომლებიც წინ უსწრებდა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების დამამთავრებელ ეტაპს — ეს ხანა საერთოდ ხელუხლებელი იყო. ამით გადაიდგმებოდა კიდევ ერთი ნაბიჯი ქართული ხუროთმოძღვრების დაწვრილებითი ისტორიის „შესავსებად.“ ჩემს თემას სწორედ ეს მიზანი ჰქონდა, რადგანაც ის ძეგლები, რომლებიც მე საკვლევად ავირ-

ჩიე, ამ ხანას — უმეტესად XIII საუკუნის მიწურულსა და XIV საუკუნეს მიეკუთვნება. მართალია, ტერიტორიულად თემა შემოსაზღვრული იყო, მაგრამ ამასაც ჰქონდა გამართლება: იმ ხანებში მონგოლების მიერ დამორჩილებულ საქართველოში ერთადერთი კუთხე, სადაც მშენებლობა ინტენსიურად გრძელდებოდა, სწორედ ავტონომიური სამცხე იყო: მხოლოდ იქ შეიქმნა მშენებლობისათვის ხელსაყრელი პირობები, მაშინ როდესაც სხვაგან უმძიმესი კრიზისი იყო: დაქცეული მეურნეობა, ეპიდემიები, შიმშილი. იმავე დროს, წინასწარი დაკვირვებების მიხედვით, მე იმედი მქონდა, რომ სამცხის ძეგლების მიხედვით გამოტანილი დასკვნები საქართველოს სხვა კუთხეების ხუროთმოძღვრებაზეც შეიძლებოდა გავრცელებულიყო.

თავიდანვე ძირითად ობიექტებად შეირჩა საფარა, ზარზმა, ჭულე, ბიეთი, თისელი — ხუთი გუმბათიანი ეკლესია, რომელთა შესახებაც უკვე არსებობდა სპეციალური ლიტერატურა. იგი ეხებოდა პირველი სამის ფრესკებს, აგრეთვე წარწერებს, მათში მოხსენებულ ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციას, დათარიღების საკითხებს. და სწორედ ზარზმის ტაძრისა და მისი სამრეკლოს დათარიღება იწვევდა ეჭვს თავიდანვე — იგი აშკარად არ ეთანხმებოდა ძეგლთა ხუროთმოძღვრების ხასიათს. ქრონოლოგიის საკითხები სხვა ძეგლთა მიმართაც ისმოდა, მაგრამ ჩემთვის, ცხადაა, მთავარა ეს არ იყო. ამოცანას შეადგენდა — ძეგლების ქრონოლოგიის დაზუსტების შემდეგ — მთელი ამ ისტორიული ეტაპის მნატურულ-სტილისტიკურა ხასიათის დადგენა, წინა და მომდევნო საფეხურებთან მისი შეფარდების გარკვევა, სხვაგვარად — ქართული ხუროთმოძღვრების მთელი ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთის გაშუქება ხელოვნებათმცოდნეობის თეალსაზრისით. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ მხოლოდ ამ ხუთი ძეგლით ვერ შემოვიფარგლებოდი. აუცილებელი იყო, შეძლებისდაგვარად, XIII-XVI საუკუნეთა ყველა სამცხური ძეგლის ნახვა (მოსალოდნელი იყო უცნობთა აღმოჩენაც, და ეს მოლოდინი გამართლდა კიდევც), რომ ანალიზი რაც შეიძლება უფრო ფართო საფუძველზე დამყარებულიყო.

ოთხივე ექსპედიციაში ჩემი უცვლელი თანაშემწეები და თანამშრომლები იყვნენ სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები, ჩემივე მოწაფეები — ტარიელ (ტატო) გაბუნია და ჩემი ბიძაშვილი გივი ბერიძე (ახლა უკვე — არქიტექტურის დოქტორი). მეორე წელს შემოგვიერთდა ინსტიტუტის ფოტოგრაფი ლევ

სკლიფასოვსკი, რომელიც აი უკვე 40 წელზე მეტია მუშაობს ჩვენთან — დიდად ინტელიგენტი, ყოვლად ღირსეული ადამიანი*.

ჩვენი ოთხეული იდეალურად იყო შესმატებულბული. მე განსაკუთრებული სიამოვნებითა და მადლობით ვიგონებ ჩემს მაშინდელ თანამშრომლებს. ერთი ეს იყო, რომ ძალიან მდარე ფოტომასალა გვქონდა, სკლიფასოვსკიც დაიტანჯა და ზოგი გადაღებული კადრი სულ არ გამოვიდა. 1949 წელს ჩვენთან ერთად მოგზაურობდნენ ვარძიის მუზეუმის თანამშრომლებიც. მაშინ მუზეუმის დირექტორი იყო აწ განსვენებული არქიტექტორი ირაკლი ქავთარაძე).

იმ ოთხ ზაფხულს რამდენი რამ არ ვნახეთ! ჩვენი საზოგადოება, თბილისის მკვიდრნი, სამცხეს იცნობენ უმეტესად კურორტების მიხედვით, იცნობენ ბორჯომს, წალკერს, ცემს, ბაკურიანს, აბასთუმანს და მათს უახლოეს მიდამოებს; მაგრამ არ იციან, რა საკვირველი, ზოგჯერ დაუჭერებელი სილამაზისაა სამცხის შორეული კუთხეები, ღრმა ხეობები, ტყიან მთებში შესიზნული ძველი ტაძარ-მონასტრები, მძლავრი ციხესიმაგრეები... ამ მხრივ გარკვეული პროგრესი, რა თქმა უნდა, შეინიშნება, ახლა ხშირად შეხვდები ტურისტებსა და მოაგარაკეებს დასასვენებელი სახლებიდან ტიმოთესუბანსა და საფარაში, უფრო იშვიათად — ზარზმასში... მაგრამ სხვა ადგილების მყუდროებას იშვიათად თუ დაარღვევს უცხო ადამიანი... ყველაფერი ვერც ჩვენ ვნახეთ. ვერ იქნა და ვერ მივალწიეთ აწყურის მახლობლად, ძალიან მაღლა, კლდეებზე მდებარე წრიოხის ციხეს, რომლის შესახებაც აწყურელმა მოსე ოქრომელიძემ, იქაური სიძველეების მცოდნემ, მითხრა — ცას ელაპარაკებო (ამ სიტყვებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა!). ახალციხისკენ რამდენჯერაც ჩამივლია, მხოლოდ მისი შორეული, მიუწვდომელი სილუეტი დამინახავს სინანულით... მაგრამ მაინც ბევრი მთა და ხევი გადავლახეთ, ზოგჯერ დღეში ოც-ოცდახუთ კილომეტრს მაინც გავდიოდით ფეხით, რომ არ გამოგვრჩენოდა ნაცნობი თუ უცნობი ძეგლი. რამდენჯერ თურქეთის საზღვარზედაც ვიყავით, ქვაბლიანის ხეობის სიღრმეშიაც, სადაც ზოგ სოფელში რამდენიმე მოჩუქურთმებული ქვის გარდა აღარაფერი იყო გადარჩენილი ძველი შენო-

* მამამისი მხატვარი ნიკოლოზ სკლიფასოვსკი, ცნობილი რუსი ქირურგის ძმისშვილი, ჭერ კიდეე რევოლუციამდე ხატვის მასწავლებელი იყო, საკუთარი სკოლაც ჰქონდა გახსნილი თბილისში. მან დიდი ამაგი დასდო სამხატვრო განათლების საქმეს საქართველოში. მასთან სწავლობდნენ ელენე ახვლედიანი, ბაებუქ-მელიქოვი, სერგო ქობულაძე, შემდეგში სახელმოხვეპილი პოლონელი მხატვარი, საქართველოში დაბადებული სიგიზმუნდ, იგივე ზიგა, ვალიშევსკი და სხვანი.

ბისა; მეტყვევების დახმარებით სულ სამიოდე საათი დაეყავით ზედ საზღვართან მდებარე დიდ და უაღრესად საინტერესო ნამონასტრალ აგარაში, სადაც ეკლესიებისა და სხვა სამონასტრო შენობების გარდა, დარჩენილია XI-XII საუკუნეების მიჯნის სატრაპეზო — საქართველოში ერთადერთი, რომელსაც საკუთარი სამშენებლო წარწერა შერჩენია; ვიზიტალეთ ხეობებში აწყურის ორივე მხარეს, იქაც ვნახეთ ზოგი რამ უცნობი. ასპინძის რაიონში ძნელად მისაღწევ შორეთის მონასტრამდეც ავედით, ჯავახეთში მოვინახულეთ მაშინ სრულიად უცნობი გამოქვაბული კომპლექსი სამსარი (დღესაც ჯერ კიდევ მიუხედავი და მოუვლელი — შიგ კი კლდეში გამოკვეთილი გუმბათიანი ეკლესია და ძველი წარწერებიც არის), ახალციხესთანაც — ნახევრად გამოქვაბული ანსამბლი, რომელსაც ადგილობრივ ბაიოლოგებს უწოდებენ... კიდევ რამდენი სხვა! — ერემქალის ციხე დაბურულ ტყეში, ელიაწმინდა, ანი ახალციხესთან, გრანდიოზული ოქროსციხე — თურქების ალთუნყალა — რომელთანაც დაკავშირებულია შემოსეულ თურქებთან სამცხის ათაბაგების ბრძოლის უკანასკნელი დრამატული ფურცლები... იქაურობა გაყდენთილია წარსულის მოგონებებით, ყოველი სახელი ჩვენი ეროვნული ისტორიის უმნიშვნელოვანეს ამბებს გვაგონებს: აწყური, ასპინძა, ვარძია, საფარა, ზარზმა, ჩორჩანი, ხეოთვისი, თვით ახალციხე, კიდევ რამდენი სხვა...

როცა ჩვენ სამცხეში ჩავედით, იქ სულ ორიოდე წლის დამკვირდებული იყო ახალი ქართული მოსახლეობა — ადიგენის რაიონის ყველა სოფელში, ორის თუ სამის გარდა, ასევე ასპინძის რაიონში, ახალციხის რაიონშიაც საკმაოდ ბევრგან. ეს ქართველები იმერეთიდან და რაჭიდან იყვნენ გადმოსულნი. ერთი მუსხელი გლეხი შეგვცხვდა (მუსხნი ძველი ქართული სოფელია ახალციხის რაიონში) და გვითხრა, სანამ ეს ახალი მოსახლეობა გადმოვიდოდა, „აიმ მთამდე ისე მიხვიდოდი, რომ ერთ ქართულ გამარჯობას ვერ გაიგონებდიო“. თვით ამ ახალგადმოსახლებულთათვის, რა თქმა უნდა, ადიგლი არ იყო ერთბაშად შეჩვეოდნენ ახალ ადიგლს, დაევიწყებინათ მამაპაპის სამკვიდრო, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ. ვისთვისაც უნდა გეკითხა, როგორ მიეჩვიეთ აქაურობასო, ყველა ერთსა და იმასვე გიპასუხებდა (ყველგან, ერთმანეთისგან დაშორებულ სოფლებშიაც): „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბუდეც იქ არისო“. საზღვრის მახლობლად დამკვიდრებულთ ეტყობოდათ, რომ ცოტა არ იყოს აფიქრებდათ თურქეთის სიახლოვე. ადიგენში ერთ მოხუც გლეხს გამოვესაუბრე. ჯერ მკითხა: თურქეთს თურქეთი რატომ ჰქვია, იმიტომ, რომ იქ თურქული იცისო?

(გულისხმობდა საქონლის ავადმყოფობას). მერე ჩაფიქრდა და მეორე კითხვაც დამისვა: — იმ თურქეთში მთლათ გადაყრუებული თათრებიც ცხოვრობენო?

ალარ მახსოვს, შევძელი თუ არა რაიმე გონივრული პასუხი გამეცა მისთვის. მაგრამ ახლა როცა ვარ მესხეთში, მიხარია, რომ ოცდაათი-ორმოცი წლის შემდეგ, მაშინდელ ახალმოსახლეთა შვილები და შვილიშვილები, უკვე დაგაქაცებულნი, მესხეთის პატრიოტებად გრძნობენ თავს, სახელმძღვანელო თანამდებობათა დიდი უმეტესობაც მათ ხელშია.

საფარის უახლოეს სოფელ ღრელში ძველი ქართული მოსახლეობა იყო. ზარზმასი კი ზემო რაჭიდან, ლებიდან გადმოსახლებულნი ცხოვრობდნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე პაველე გავაშელი, ცოცხალი, ქაქანა კაცი, ხალისით გვიწყობდა ხელს, თუმცა ომის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ ჯერ კიდევ ყველას უჭირდა. არ შემიძლია მაღლობით არ გავიხსენო ყველა, ვინც იმ ძნელ პირობებში ხელს გვიმართავდა: ფიზიკოსი დავით როინიშვილი, ერთხანს უნივერსიტეტის დოცენტი, რომელიც იმ წლებში აწყურში ცხოვრობდა და მასწავლებლობდა. მისი წყალობით შევძელით გვენახა აწყურის ახლომახლო მდებარე ძეგლები; ახალციხის აღმასკომის მაშინდელი თავმჯდომარე გიორგი ჩხიკვაძე-სვირსკი, განსაკუთრებით, ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი აკაკი რუხაძე — ახლა აღარც ერთი არ არის ცოცხალი... იმ წლებში იქ მსახურობდა, მგონი, ხე-ტყის დამზადებაზე, ვასო თიკანაძე — დაუვიწყარი გურამ თიკანაძის მამა... ზედმიწევნით გულთბილი და კეთილგანწყობილი ადამიანი იყო. სატვირთო მანქანით ხშირად უხდებოდა ახალციხისა და ადიგენის გარშემო მოგზაურობა. საკვირველი ის იყო, რომ ყოველთვის მაშინ გამოჩნდებოდა, როდესაც ჩვენ, მთელი დღის ხეტიალის შემდეგ, ქანცააწყვეტილნი ვბრუნდებოდით შინ. რითაც კი შეეძლო, გვიმართავდა ხელს. ბევრი სასარგებლო ცნობა მომაწოდა მაშინ დოცენტმა ილია მაისურაძემ, მესხეთის პატრიოტმა, მისი წარსულისა და ძეგლების დიდმა მცოდნემ.

პირველი ზაფხული ძირითადად საფარას მოვანდომეთ — ახალციხიდან საფარამდე მაშინ ცუდი და საშიში გზა იყო. როგორც იქნა, ერთი სატვირთო მანქანა გვიშოვეს და დიდი ნჯღრევისა და ჩაქჩაქის შექმდეგ ავადწიეთ მონასტრამდე. ვინც საფარაში ყოფილა, დამეთანხმება, რომ როგორც არ უნდა გაგიჭირდეს მგზავრობა, საკმარისია საფარის პირველი გამოჩენა და ყველაფერი დაგავეწყვდება... განმართებული, თითქოს მართლაც საგანგებოდ შეფარებული ადგილია,

რომელიც სრულიად მოულოდნელად იშლება თვალწინ. მოავარი ტაძრის უკან მთები ამფითეატრს ქმნის, ტაძარი ზედ შვეული კლდის პირას დგას, მის წინ კი ძალიან ღრმა და ციცაბო ხევი ეშვება. მთები ტყითაა დაფარული. „ამფითეატრის“ ფერდზე, მაღლა, ციხის ნანგრევია, საიდანაც ვალაქანი იწყება, უფრო ქვემოთ — ნასახლარი, სამრეკლო, რაღაც სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, მერე, დაახლოებით მთავარი ეკლესიის დონეზე, მის გარშემო, ერთი მოხრდილი ერთნავიანი ეკლესია მიძინებისა, როგორც ჩანს, ყველაზე ძველი იქაურ ნაგებობათა შორის, და სხვა წვრილი სამლოცველოები სხვადასხვა დროისა. ეტყობა, მშენებლობა აქ მანამდის გრძელდებოდა, სანამ იქაურობას თურქები დაეპატრონებოდნენ XVI საუკუნის ბოლოს... ადრე კი ეს ჯაყულების ერთ-ერთი რეზიდენცია იყო. წმინდა საბას ტაძარი XIII საუკუნის ბოლოს ააშენეს ათაბაგებმა. მათი პორტრეტებიც არის ეკლესიის შიგნით, არქიტექტორის — ფარეზასძის — წარწერაც არის, ბევრი სხვა წარწერაც, რომლებიც საინტერესო ცნობებს შეიცავს. არ შეიძლება საგანგებოდ არ ითქვას, რომ ეს ძეგლი, რომელიც უკვე ქვეყნის ჩამოქვეითების ხანას მიეკუთვნება, მოწმობს, რომ საინჟინრო ხელოვნება, ძეგლის ტექნიკური განხორციელების ცოდნა მაშინ ჯერ კიდევ ფრიად მაღალ დონეზე მდგარა. ეკლესია მშვენივრად არის დაცული — თუ არ ჩავთვლით იმ ზიანს, რომლიც მას მოუვლელობამ მოუტანა, როცა მიტოვებული იყო, შემდეგ ზედმეტმა მოვლამ, როცა XIX საუკუნეში აქ ახალი ბერები დამკვიდრდნენ, და ბარბაროსულმა დამოკიდებულებამ, რომელიც იმ ბერების წასვლის შემდეგ კარგა ხანს გრძელდებოდა, სანამ საფარას — ამ რამდენიმე წლის წინათ — საგანგებო ყურადღება არ მიექცა. მე საქართველოში არ მინახავს ძეგლი ასე უღმერთოდ აქრელებული მიმსეულეთა სახელებითა და გვარებით: სად არ იყო წარწერები — ქვემოთ, ზემოთ, გუმბათზე; წარწერები მოკლე და გრძელი, პატარა და უზარმაზარი. ერთი მათგანი (სახელი და გვარი) სიგრძით 11 მეტრი იყო, ასოების სიმაღლე კი — 90 სანტიმეტრი. მგონი, ახალციხის მოსახლეობის ნახევარს მაინც ჰქონდა იქ თავისი ავტოგრაფი დატოვებული. ერთი სიტყვით, დიდი შრომა იყო გაწეული ძეგლის დასამახინჯებლად და საკუთარი თავის უკვდავსაყოფად (ახლა ფასადები გაწმენდილია).

იმ ზაფხულს საფარაში ახალციხელ პიონერთა ბანაკი მოეწყოთ. ჩვენ იმ ბანაკის სასადილოს მივეკედლეთ და ამან გავგაძლებინა. საცხოვრებლად კი ერთი ნახევრად დანგრეული ფიცრული შენობა გვერგო — ახალი მონასტრის ერთ-ერთი ნაგებობათაგანი. პირობები,

ცხადია, მაინცდამაინც სასწარბიელო არ გვექონია, მაგრამ ეს არც განწყობილებას გვიფუჭებდა და არც მუშაობაში გვიშლიდა... სხვა რა გკანდოდა, როცა საინტერესო საქმე გვექონდა და დიდიდან საღამომდე ისეთი ბუნების წიაღში ვიყავით, როგორზეც კაცს შეეძლო მხოლოდ ეოცნება. აბლომანლო ხეტიალის დროს ზოგი უცნობი ძეგლიც აღმოვაჩინეთ (წყობის ეკლესია). იმ წელს ვიყავით ურავლის ხეობის სიღრმეში, ვნახეთ ხეოთის ნაეკლესიარი და სამრეკლო, ურავლის პატარა ტრიკონქი (ეს ორიც უცნობია), ვიყავით ბიეთსა და თისელში. ამ ორი ძეგლის ნახვამ კი დიდად დამაღონა: მას შემდეგ, რაც ისინი თაყაშვილმა აღწერა ამ საუკუნის დასაწყისში, ორივე დაზიანებულიყო, განსაკუთრებით პირველი. ძველი ფოტოსურათების მიხედვით მოველოდა დიდ გუმბათიან ტაძარს, მაგრამ დაგვხვდა მხოლოდ დაზიანებული კედლები, გუმბათისა კი ხსენებაც აღარ იყო... რამდენი ძეგლი გამოგვეცალა ასე ხელიდან — მარტო ძველად კი არა, შემოსევებისა და რბევის დროს, არამედ XX საუკუნეშიაც — ზოგი დაუდევრობით, ზოგი შეუღვენებლობით და უმეცრებით!

1947 წლის ზაფხული ზარზმას მივუძღვენით. ეს მთის კალთაზე შეფენილი პატარა სოფელია, რაიონის ცენტრ ადიგენიდან შვიდი-რვა კილომეტრის დაშორებით, მის დასავლეთით. ეს ქვაბლიანის ხეობაა. სწორედ აქ, ზარზმასთან, ქვაბლიანს ის მდინარე ძინძე ერთვის, რომელიც ჯერ კიდევ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში იხსენიება. ტაძარი უკვე შორიდანვე ჩანს, თავს დაჰყურებს და თითქოს „თავს უყრის“ იმ არემარეს. მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ როგორი ორგანულია ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრება ქართული ბუნებისათვის. ზოგჯერ გვგონება, რომ არა მარტო ამ ეკლესიებს ვერ წარმოიდგენ ამ ბუნების გარეშე, არამედ, თვით ბუნებისთვისაც კი — თითქოს ერთგვარი ლოგიკური მახვილების დასასმელად — აუცილებელია ეს ძეგლები... თვით ზარზმიდან, მით უფრო, თუ სამრეკლოს მეორე სართულზე ახვალ, ორი ხეობა გადაგეშლება თვალწინ — ერთი ქვაბლიანისწყლისა, მდინარის სათავეებისკენ (იქითაა სოფლები ჭელა, ჭაქლა, ლაღვი — ყველგან ვიყავით და ზოგან სიძველეთა მცირე ნაშთებაც ვიპოვეთ), მეორე — ძინძესი, რომელსაც მიუყვება გზა გოდერძის უღელტეხილისა და აჭარისკენ (იქაური გლეხები „გოდერძის“ ნაცვლად „ლორდძის“ ამბობდნენ)... უკან, ადიგენისკენ თუ მოიხედავ — კიდევ უფრო შორეული სივრცე ჩანს — თვით ოქროსციხემდე...

ეკლესიის ეზოშივე დაწყებითი სკოლის ერთსართულიანი შენობაა. იქ ღაბრანავდით. ზარზმა, გარკვეული თვალსაზრისით, უცნაური ძეგ-

ლია: მის მოხატულობაში ბევრი ისტორიული პირია წარმოდგენილი, განმარტებითი წარწერებითურთ, არის სხვა წარწერებიც — კარიბ-ჰეში, სამრეკლოზე, წერილობითი საბუთებიც, რომლებიც ზარზმას ეხება. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ამ ნაწერ და ნახატ საბუთებს გაეადვილებინათ ძეგლის თავგადასავლის დადგენა, სწორედ მათ გაართულეს და დახლართეს საქმე. არც წარწერების თარიღები იყო სწორად დადგენილი, არც მოხსენებული პიროვნებები იყვნენ სწორად ამოცნობილნი, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ქაოსი იყო. ეს ძალიან მკაფიო ნიმუშია იმისა, თუ რა მცდარი შედეგი შეიძლება მივიღოთ, როდესაც ხელოვნების ნაწარმოების (ამ შემთხვევაში ხუროთმოძღვრული ძეგლის) შესწავლისას თვით ამ ნაწარმოებს არ ვუწევთ ანგარიშს და მხოლოდ „გარეშე“ მასალას ვემყარებით. გატაცებით ვმუშაობდი ამ ხლართის გახსნაზე და ეს მოხერხდა კიდევ: ბევრი ძნელად შესათანხმებელი შეუსაბამობა გაირკვა, დადგინდა თარიღებიც, უმთავრეს გეოსახულ პირთა ვინაობაც (ზოგი მაინც გამოუცნობი დარჩა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა კრონოლოგიისთვის). დადგინდა, მაგალითად, რომ ჩრდილოეთის კედელზე, სადაც მთელი სცენაა გამოსახული (მეფე საბუთებს უბოძებს მოხუც სასულიერო პირს), წარმოდგენილნი არიან არა სერაპიონ ზარზმელი და გამოურკვეველი მეფე ბაგრატი, როგორც წინათ ეგონათ, არამედ XVI საუკუნის ისტორიული პირი, იმერეთის მეფე, ბაგრატ III, რომელსაც ერთ ხანს ეპყრა სამცხე, და მაწყვერელი სერაპიონ ხურციძე, ზარზმის პატრონი XVI საუკუნის მეორე ნახევარში; ისიც გაირკვა, რომ სამრეკლოს წარწერა XVI საუკუნისაა და არა XI-ისა, რომ თვით ტაძარი და სამრეკლო XVI საუკუნის დასაწყისშია აგებული (და არა XI-ში) და მოხატული... და სხვა და სხვა.

თავდაპირველად ზარზმა, როგორც ცნობილია, ადრეულ შუა საუკუნეებში დაარსდა (თუმცა სერაპიონის ცხოვრების დროის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა მაინც არის). იმდროინდელი ახლანდელ ზარზმაში აღარაფერია, მაგრამ გადარჩა X საუკუნის მიწურულის ერთი მშვენიერი წარწერა, ჩატანებული უფრო გვიანდელი სამლოცველოს კედელში. იგი მოგვითხრობს, ეს ეგვიპტური მაშინ აშენდა, როდესაც დავით კურაპალატმა უშველა ბიზანტიის კეისრებს ბარდა სკლიაროსის აჯანყების დროს და „ჩვენ ყოველნი ლაშქარს წარგვაეღინნაო“. „სკლიაროსი გავაქციეთო“, — წერს ეგვიპტრის მაშენებელი ვინმე ივანე სულას ძე. ეს ხომ ის ცნობილი ამბავია, რომელიც აკაკის „თორნიკე ერისთავშიაც“ არის მოთხრობილი.

XVI საუკუნის ბოლოს, როცა სამცხე გათურქდა, ზარზმელი მოღვაწეები გურიის სოფელ შემოქმედში გადაიხვეწნენ და თან წაიღეს ტაძრის უძვირფასესი ხატები, ფერისცვალების ხატი IX საუკუნის დასასრულისა და ე. წ. „ლაკლაკიძეების ხატი“ — XI ს-ისა, ერთიცა მეორეც ჩვენი ოქრომჭედლობის ისტორიის საეტაპო ძეგლები. მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ წაიღებდნენ — ლტოლვილნი, გაქირვებულნი, რომელნიც, ალბათ სწორედ გოდერძის უღელტეხილის ძნელად სავალი გზებით გადადიოდნენ გურიაში... ძნელი წარმოსადგენიც კი არის, როგორი მხატვრული სიმდიდრე უნდა ყოფილიყო ჩვენს ეკლესია-მონასტრებში (ხელნაწერები, ხატები, ჯვრები, წიგნის ყდები, ჭურჭელი, საეკლესიო სამოსელი), თუკი ამდენი რბევა-აოხრებისა და ძარცვის შემდეგ მაინც ათასობით ნივთი გადაარჩა, თანაც რა ნივთები! იქ, შემოქმედში, ძველი ეკლესიის გვერდით დგას მეორე, რომელსაც ზარზმას უწოდებენ. სწორედ მაშინ არის აგებული სამცხიდან გამდობიზნული ნივთების დასახიზნავად და გადახიზნულთა სამლოცველოდ.

„ნამდვილი“ ზარზმა კი XIX საუკუნის დასასრულამდე მიგდებულნი და მოუვლელი იყო. ვინდა მოუვლიდა — გარშემო ხომ მხოლოდ გამაჰმადიანებული მოსახლეობა მკვიდრობდა. შემთხვევით ძეგლი ნახა რუსეთის უკანასკნელი მეფის ნიკოლოზის ძმამ „ცესარევიჩმა“ გიორგიმ, რომელიც აბასთუმანში ცხოვრობდა (ჭლექი სჭირდა). ბრძანა მისი განახლება, მაგრამ თვითონ ვერ მოესწრო თავისი სურვილის შესრულებას. მისი სიკვდილის შემდეგ, დედამისის ბრძანებით, ეკლესიის არქიტექტურაც შეაკეთეს (რიგიანად, ტაქტით) და მხატვრობაც (აქ კი მეტი მოუვიდათ — ზოგი დაზიანებული სცენა წაშალეს და ხელმეორედ დახატეს)... მერე, ზარზმის ეკლესიის მიმსგავსებით, აბასთუმანშიაც ააშენებინეს ეკლესია მაშინდელ ცნობილ თბილისელ არქიტექტორს ოტო სიმონსონს, მისი კედლები კი ნესტეროვს მოახატინეს.

ძალიან მიხაროდა, რომ ზარზმაში კვირაობით ამოდიოდნენ სხვა სოფლების მცხოვრებნი და მთხოვდნენ მეამბნა ეკლესიის შესახებ. მათს გაცემასა და გულწრფელ აღტაცებას იწვევდა, ყველაზე მეტად, მისი გადახურვა — ერთიანად თლილი ქვის ფილებით. ერთხელ სხვა ტიპის მნახველებიც მოვიდნენ. ორნი იყვნენ, უჩვენოდ დაათვალიერეს იქაურობა, წასვლისას შეჩერდნენ, ერთხელ კიდევ შეხედეს ტაძარს და ერთმა ჰკითხა მეორეს:

— Фугаска возьмет?

— Еще как бабахнет!

ამის შემდეგ კმაყოფილნი წავიდნენ.

ადიგენიდან ჩრდილოეთისაკენ თუ წასვალთ, სამი თუ ოთხი კილომეტრის გავლის შემდეგ (გზად დაინახავთ, იქვე წოწოლა კლდეზე აღმართულ ზანავის ციხეს), მიადგებით კლდეკარს, რომლის იქითაც სრულიად უკაცრიელი, ყოველი მხრივ ტყით დაფარული, ციკაბო კლდეებით შემოსლულად აღგლია — ერთი ყველაზე რომანტიკულთაგანი ისედაც რომანტიკულსა და პოეტურ სამცხეში. იქ დგას ქულეს ანუ ქულევის ეკლესია, დაზიანებული, ძალიან ცუდად შეკეთებული ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში, მაგრამ მაინც გუმბათიანი. იქაც სამცხის ათბაგების პორტრეტებია, როგორც საფარასა და ზარზაში, მაგრამ იმდენად შებლაღული, რომ თითქმის აღარაფერი აჩნია... იყო და აღარ არსებობს სამრეკლოც. ადიგენთანვე აღმოვაჩინეთ, სოფელ იჯრეთში, ნამონასტრალი, სადაც კარგად იყო შენახული მხოლოდ სამრეკლოს პირველი სართული — ეს უნდა იყოს ქართულ სამრეკლოთა უძველესი გადარჩენილი ნიმუში, XIII საუკუნის პირველი ნახევრისა... სადღაც დაბურულ ტყეში ძველი ციხის ნანგრევები მიგვასწავლეს; ვიყავით აბასთუმანშიაც. ერთ დღეს კი რაიკომის მღვანმა აკაკი რუხაძემ, რომელიც დიდად ზრუნავდა ჩვენზე, ოქროსციხის სანახაოდ წაგვიყვანა ორი „ვილისით“ — ჩვენი ექსპედიცია, პაულე ინგოროყვა და ისტორიკოსი პროკოფი რატიანი, რომელნიც აბასთუმანში ისვენებდნენ. თვითონ ის გრანდიოზული ციხეც და ის თვალუწვდენელი პანორამაც, რომელიც იქიდან იშლება, ერთი უქლიერესი შთაბეჭდილებათაგანი იყო სამცხეში მიღებულთაგან.

ინსტრუქტში ჩვენ თავიდანვე გეჭონდა წესად მიღებული, რომ ის, ვინც გამოკვლევას წერდა ხუროთმოძღვრულ თემაზე, თვითონვე ზომავდა (საქიროების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დამხმარებთან ერთად) „თავის“ ძეგლს და თვითონვე ხაზავდა ანაზომებს. 1948 წლის ზაფხულს მე, ტატომ და გვიმ გავზომეთ ზარზმის ტაძარი და სამრეკლო, საფარის წმ. საბასა და მიძინების ეკლესიების ფასადები (გეგმა და განაკვეთები აღრევე ჰქონდა გავზომილი არქიტექტორ მიხეილ შაიშვილს), ქულეს განაკვეთები, „ახალი“ ძეგლი — წყორძა; იმ წელს მივალწვიეთ ასპინძის რაიონის ყველაზე შორეულ ადგილებსაც — ქარზაშეთისა და გავეთის ეკლესიებს თურქეთის საზღვართან, იმ პლატოზე, რომელიც ვარძიის ზემოთაა (მდინარის გაღმა ძველ ქართულ სოფლებს ვხედავდით და მამლის ყვილი გვესმოდა იქიდან)... დიდი დახმარება გამიწიეს გვიმ და ტატომ ხაზვის დროსაც — ფანქრით იმათ დამხმარებებს თითქმის ყველაფერი, ტუშით კი ყველა ნახაზი მე დავამ-

თავრე. ალა სინანულით ვიგონებ იმ წლებს, როცა მე ხაზვის საშუალება მქონდა. ეს ხომ ტექნიკური ხაზვა არ არის, ესეც შემოქმედებაა, რაკი გრაფიკულად გადმოსაცემა ძეგლის მხატვრული ხასიათი... ამას კი გარკვეული დახელოვნება სჭირდება.

„სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII-XVI საუკუნეები“ ჩემი სადოქტორო დისერტაციის თემა იყო. დაცვა შედგა 1950 წლის 23 ნოემბერს, მეცნიერებათა აკადემიის კონფერენც-დარბაზში (ძერჟინსკის ქუჩაზე). ოპონენტებად იყვნენ გიორგი ჩუბინაშვილი, კორნელი კეკელიძე, ლეო რჩეულიშვილი და რუბენ ალაბაბიანი. რეცენზიები კეთილგანწყობილი და სასარგებლო იყო. ხალხი ბევრი მოვიდა, მაშინ დისერტაციების დაცვა ჯერ კიდევ იზიდავდა საზოგადოებას. დამამახსოვრდა, რომ შესავალი სიტყვის კითხვისას, პირველ რიგში, სწორედ ჩემ წინ იჯდა კონსტანტინე გამსახურდია. როცა დავამთავრე, გამამხნევებელი ღიმილით დამიქნია თავი, „უხმოდ“ დაუკრა ტაში და წავიდა. დაცვა მშვიდობიანად ჩატარდა, „პროგრამისგან“ ერთი მცირე გადახვევით: შუა დაცვის დროს უცერემონიოდ შემოიჭრნენ ფოტოკორესპონდენტები (მერე აღმოჩნდა, რომ მოსკოველები იყვნენ და რაღაც დავალებით მასალას აგროვებდნენ თბილისის კულტურული ცხოვრების შესახებ), აძვრნენ რატომღაც ფანჯრის რაფაზე და დაიწყეს ბლიცით გადაღება — ბლიცი მაშინ ახალი ამბავი იყო და საყოველთაო გაკვირვება და ინტერესი გამოიწვია.

ჩემი დისერტაციის დამტკიცება „ზემო ინსტანციებში“ გართულდა. თბილისელმა „კოლეგებმა“, რომლებიც მანამდის ზემოთ მოხსენებულ „დისკუსიებში“ გვესხმოდნენ თავს, ყველა ღონე იხმარეს საამისოდ. მაშინ მიაღწიეს კიდევ საწაღელს. რამდენიმე წლის შემდეგ მე მეორედ მომიხდა იმავე დისერტაციის დაცვა მოსკოვში და ამის შემდეგ



კორნელი კეკელიძე

აღარავითარი შეფერხება არ ყოფილა. დამახასიათებელი იყო მაინც, რომ თვით ნაშრომში ერთი სიტყვაც არ შემიცვლია, მხოლოდ რუსულად ვთარგმნე. „სამცხე“ წიგნად 1956 წელს გამოვიდა, საკმაოდ ცუდად დაბეჭდილი, განსაკუთრებით ცუდი ფოტოტაბულებით. იმავე წელს გამოქვეყნდა ჩემი კიდევ ერთი პატარა წიგნი „ძველი ქართული ხუროთმოძღვრები“ — მას დიდი სიყვარულით ვამზადებდი. ამასთან ერთად, უკვე დაწყებული მქონდა მუშაობა ახალ დიდ თემაზე, რომელზედაც დიდი ხანია ვოცნებობდი და რომელმაც ახლა ძალიან გამიტაცა. ეს იყო „თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801—1917 წლები“.

3. თბილისის თემა

XIX საუკუნის თბილისი ყოველმხრივ საინტერესო თემაა. XIX საუკუნეში და XX-ის მიჯნაზე დაფუძნდა ახალი ქართული კულტურა — მწერლობა, პუბლიცისტიკა, თეატრი, მხატვრობა, მუსიკა, ყოფაცხოვრების ახლებური, ევროპული ნორმები; ჩამოყალიბდა ის თბილისი, რომელსაც ჩვენ „ძველს“ ვუწოდებთ და რომელიც ძველისა და ახლის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ევროპისა და აზიის სრულიად თავისებურ ნაზავს წარმოადგენდა; მაგრამ ჩამოყალიბდა და გაიზარდა ახალი, ევროპული ტიპის თბილისიც — თბილისი სოლოლაკისა, რუსთაველისა და პლენხანოვის პროსპექტებისა და მათი მომდებარე ქუჩებისა, ე. ი., არსებითად, საფუძველი დღევანდელი თბილისისა. ეს ხანა — XIX საუკუნის მეორე ნახევარი, XX-ის დასაწყისიც, არქიტექტურის ისტორიაში ჩამოქვეითების, ეკლექტიზმის ხანადაა მიჩნეული, თუმცა გადაუქარებლად შეიძლება ითქვას, რომ ევროპული და ამერიკული ქალაქების უმეტესობა ნამდვილ ქალაქებად სწორედ მაშინ იქცა, მაშინ შეიქმნა ქუჩების დღევანდელი ქსელი, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობების ძირითადი ფონდი... ეს ითქმის ევროპის ყველა დედაქალაქის შესახებ. ეკლექტიკურია თუ არა ეკლექტიკური, ეს ხანაც უკვე ისტორიაა, ქალაქების ისტორიას კი მხოლოდ არქიტექტურა და ესა თუ ის სტილი კი არ წერს, არამედ თვით ცხოვრება, ის, რაც ამ ქალაქებს თავს გადახდომია და რასაც თავისუკვალი აღუბეჭდია... ეკლექტიკურია თუ არა, თბილისის საკუთარ სახეს დღეს მარტო ძველი კალა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ძველი თბილისი“ კი არ ქმნის, არამედ სწორედ სოლოლაკისა და რუსთაველის პროსპექტის „რენესანსი“, „ბაროკო“ და „მოდერნი“, სრულიად ორგანულად შეზავებული საკუთრივ თბილისურ ხისაივნიებიან სახლე-

ბთან, ქმნის ამ ქუჩების აღმართ-დაღმართები, კიბეები, მათი ინტიმური სითბო, მათი შეხამება მთაწმინდასა და სოლალაკის ქედთან, ის „სული“, რომელსაც სიტყვით ვერ აღწერ და ხელით ვერ შეეხები. თუ ქალაქს ეს „სული“ არ გააჩნია — თავისი, საკუთარი, სხვისგან გამორჩეული სული და სახე — იმ ქალაქში გაძლება ძნელი უნდა იყოს, მიმზიდველი ძალა ხომ არ ექნება და არა.

თბილისს აქვს საკუთარი სახე, აქვს უძლიერესი, სწორედ სულიერი მიმზიდველობა და მომხიბვლევლობა, თბილისს ჯადო აქვს. ამას სხვებიც გრძნობენ, ჩვენ კი, თბილისში აღზრდილნი, მასთან შესისხლხორცებულნი, ერთხელ და სამუდამოდ ვართ დატყვევებულნი ამ მომხიბვლევლობით, სწორედ მოჯადოებულნი ვართ... შეიძლება ეს სიტყვები რამდენიმე მაღალფარდოვნად ისმოდეს, მაგრამ არა მგონია აღმოჩნდეს ისეთი თბილისელი (ყოველ შემთხვევაში, ვისაც თბილისელად მიაჩნია თავი), რომ არ დაეთანხმოს ამ სიტყვებს.

ამ ჯადოს გამოა, ალბათ, რომ თბილისი იმ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც არა მარტო მწერალთა და კომპოზიტორთა, არამედ მხატვართა შორისაც ჰყავთ თავისი მეხოტბენი და მემატინანენი, ისე როგორც პარიზს, ვენეციას, ლენინგრადს, პრადას... მე არ ვგულისხმობ იმას, ვინც თავის დროზე თითო-ოროლა დოკუმენტი დაგვიტოვა — შარდენს, ტურნეფორს, სერგეევს, ფრანკენს. ვგულისხმობ გაგარინს, ფიროსმანს, ხოჯაბეგოვს, ციმაკურიძეს, დავით კაკაბაძეს, დავით გველესიანს, გუდიაშვილს, ელენე ახვლედიანს, რომ აღარაფერი ვთქვათ მომდევნო თაობათა წარმომადგენლებზე, ჩვენს თანამედროვეებზე... ვგულისხმობ იმას, ვისთვისაც თბილისი, მისი ყოფა სიყვარულისა და აღტაცების საგანი იყო და არის. თავი რომ მოვუყაროთ ერთ გამოფენაზე, ერთ წიგნში ყველაფერს, რაც მათ თბილისს უძღვენეს, რა ამაღლელებელი, მრავალფეროვანი და განუმეორებელი სურათი გამოვიდოდა!

ჩემთვის თბილისის არქიტექტურის თემა, როგორც ჩანს, გარდუვალი იყო. იგი, ჯერ გაუცნობიერებლად, მოწაფეობის დროიდან მიზიდავდა — ტყუილად კი არ გავატარე ბავშვობის წლები ძველ უბანში — შემდეგ, სტუდენტობის დროს, უკვე თანდათან მწიფდებოდა; მაგრამ მასთან რეალურად მიახლოება მხოლოდ ბევრად უფრო გვიან მოხერხდა, ორმოცდაათიან წლებში. და როგორც კი ამის საშუალება მომეცა, განსაკუთრებული გატაცებით დავიწყე მუშაობა, თან, სიხარულის განცდასთან ერთად, ისეთი გრძნობაც მქონდა, რომ ვალს ვიხდიდი.

ბოლო ათეულ წლებში XIX საუკუნის არქიტექტურისადმი დამოკიდებულება მთელ მსოფლიოში შეიცვალა, გაიზარდა მისადმი ინტერესი, იგი დაფასდა, როგორც მნიშვნელოვანი და თავისებური (სწორედ თავისებური!) ისტორიული ეტაპი (ამ მხრივ დამახასიათებელია ინტერესის განსაკუთრებული გამახვილება იმ „მოდერნისადმი“, რომელსაც გერმანელები „იუვენდსტილს“ ან „სეცესიონის სტილს“ უწოდებენ, ფრანგები „არ ნუვოს“, სხვებიც თავისებურად).

ჩემი მუშაობა სამი პარალელური ხაზით წარიმართა: ერთი იყო XIX ს-ის პრესისა და გამოცემების შესწავლა, მეორე — მუშაობა არქივში, სადაც პროექტებს ვეძებდი და ვიკვლევდი, მესამე — „ძიება“ ცოცხალ ქალაქში — გადარჩენილ უბნებსა და ქუჩებში. თავიდანვე ჩანდა, რომ XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის ხუროთმოძღვრების ისტორიამ, ისევე, როგორც ძთლიანად ქალაქის ცხოვრებამ, ორი ძირითადი საფეხური გამოიარა: ერთი — საუკუნის დასაწყისიდან სამოციან-სამოცდაათიან წლებამდე, მეორე — ამ დროიდან 1910-იანი წლების ბოლომდე, ე. ი. რევოლუციის წლებამდე. რა თქმა უნდა, პირობით, პირველ პერიოდს „კალას პერიოდს“ დავარქმევდი, მეორეს კი „სოლოლაკის პერიოდს“; თუმცა სოლოლაკის განაშენიანება პირველსავე პერიოდში დაიწყო და იქაური ქუჩების ქსელიც მაშინ გამოაკეთა (მას შემდეგ, რაც იქ მეფისა, დედოფლისა, ტფილელისა და ბატონიშვილის ბაღები გაკაფეს), მისი საბოლოო სახე, დღევანდელი „ხასიათი“, მაინც სწორედ სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლებიდან ჩამოყალიბდა.

ვისაც ისტორიულ არქივში არ უშეშავნია, ვერც წარმოიდგენს, როგორი „ჩათრევა“ იცის მან. ისეთი ჩათრევა, რომ თუ დროზე არ უშველე თავს, უფრო სწორედ, თუ არ დასძლიე თავი, ისე ჩაგითრევს, როგორც ჭაობი. ძველი გაზეთების ქექვაც ისე გიტაცებს, რომ აქაც მსგავსი საშიშროება მოგელის. როგორ შეიძლება ცოცხალმა ადამიანმა არქივში ან გაზეთებში მხოლოდ ის ცნობები ეძებო და ამოკრიბო, რომლებიც უშუალოდ და საკუთრივ მშენებლობას ეხება, და სხვას ყველაფერს თვალი აარიდო! წერილები, ქრონიკა და კორესპონდენციები ხომ საინტერესო და საინტერესოა, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მარტო განცხადებებაც კი იმ დროის, მაშინდელი ყოფაცხოვრების გასაოცრად ცოცხალ სურათს გვიხატავს, გვიხატავს როგორ იცვლება თანდათან ცხოვრების ნორმები, ინტერესები... მაგრამ ყველაფერ ამის წაკითხვა საქიროც და აუცილებელიც იყო: იმიტომ, რომ არქიტექტურა, როგორც ცნობილია, ყველაზე მეტადაა დაკავშირებული ყოფას-

თან, ცხოვრებისეულ მოთხოვნებიდან და პირობებთან. და თუ ამ ყოფასა და პირობებს არ იცნობ, არქიტექტურასაც ვერაფერს გაუგებ. „ყოფას“, „პირობებს“ რომ ვამბობ, მე მართო მატერიალურ მხარეს კი არ ვგულისხმობ, არამედ მთლიანად „ცხოვრების სტილს“.

განა ამ „სტილის“ შესახებ არ გვაძლევს წარმოდგენას ასეთი განცხადებები: «Фиге, Санктпетербургский первый Парикмахер (sic! „პარიკმახერი“ სწორედ დიდი ასოთია დაწერილი“), он же Парикмахер Тифлисского театра, выписал из Парижа артиста, который занимается в его заведении единственно уборкою головных волос, как дамских, так и мужских».

ეს 1849 წელია. ევროპელი პარიკმახერების, ე. ი. ევროპული მოდის, მნიშვნელობა თანდათან მტკიცდება: 1864 წელს უკვე სხვა — «Евгений, артист-парикмахер из Парижа, объявляет, რომ მას აქვს «Специальный зал для стрижки, завивки и дамской прически. Краски для волос, постиши, парики, тупе, косы, начесы, крепи, Мария Стюарт, Севинье кок и проч., всякого рода прически по последней моде».

აი ამონაწერი 1870 წლის „დროებიდან“: „ერთი დრო იყო, რომ ყველიერის შექცევა იყო საერთო, საზოგადო; ეს იყო მუშტი-კრივი, ყენობა და სხვა... ახლა ეს შეიცვალა, რადგანაც ჩვენც განათლების ხარისხში შევედით; ახლა ეს ყველიერის შექცევა მდაბიო გახდა და მაღალი საზოგადოება თეატრებსა და მასკარადებს ეწყობა... ყველიერის კვირას თითქმის დღედაღამ წარმოდგენები იყო... დიდ თეატრში, არტისტიკულ კლუბში და ნემეცების კლუბში“; „ჩვენს ქალაქში გაზრდილებიც და მოწაფენიც ყველანი კარგად განათლებულნი არიან. აბა, შეხედეთ ტროტუარებზე. როდესაც კარგი დარია, სულ ერთიმეორეზე განათლებული მანდილოსნები გამოეფინებიან ხოლმე... შლაპიდგან დაწყებული მაღალქუსლებიან პოლსაპოეკებადის სულ პარიყის წესზედ არიან აკენწლულნი, სიარული ხომ პარიყული აქვთ და პარიყული. ზოგნი ფრამცუზულს კილოზედაც ლაპარაკობენ და რადგან სამშობლო ენაზედ ლაპარაკი გაუნათლებლობის ნიშანია, ამისთვის მერწმუნეთ, ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებთ“. და თითქოს ამის დასადასტურებლად, განცხადება იმავე 1870 წლის გაზეთიდან: „ყმაწვილ ქართველ კაცს, რომელსაც მიუღია სწავლა პარიყში, ასწავლის ახალ მეტოდზე ფრანციზულ ენას; ასწავლის აგრეთვე ყოველ კლასიკურ საგნებსა ქართულ და ფრანციზულ ენაზე“... და კიდევ ერთი: «Цирк Сулье. В субботу, 27 июня большое необыкновенное представление в бенефис английского Клоуна Мистера Кинби, который исполнит необыкновенный прыжок, двойной саль-

томортале, то есть, г. Киншбиби перевернется два раза в воздухе, не дотрагиваясь до земли» (1864).

„დიდი თეატრი“, იტალიური ოპერა, „ნემეცების კლუბი“, ცირკი ინგლისელი კლოუნებით, პარიზელი პარიკმახერები, ფოტოგრაფები, ფრანგული ენის გაკვეთილები, ახლებური ჩაცმა-დახურვა — „პარიჟის წესხედ აკენწლვა“, ცხადია, ეს ყველაფერი ანარეკლსა და პარალელებს პოულობდა მაშინდელ თბილისურ ხუროთმოძღვრებაში.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში ინახება ათიათასობით „საქმე“ — XIX საუკუნის საცხოვრებელი და ოფიციალური შენობების პროექტები, სათანადო დოკუმენტაციით: გარდა იმისა, რომ ახალმა საუკუნემ ახლებური არქიტექტურა დაამკვიდრა, მან მოიტანა ახალი რეგლამენტაციაც, მთელი ბიუროკრატიული სისტემა პროექტის შეკვეთა-შედგენა-დამტკიცებისა. საქმეებში ჩართულია: შემკვეთთა განცხადებები, მოწმეთა ჩვენებები იმის დასადასტურებლად, რომ მიწის ნაკვეთი მართლა ამ პირს ეკუთვნის და არა სხვას ვისმე, პროექტის ნახაზები, რომლებიც აჭრელებულია შტამპებით და ზელისმოწერებით. დასაწყისში ყოველ პროექტს ამტკიცებდა მთავარმმართველი, მოგვიანოდ, როცა პროექტების რიცხვმა იმატა, გუბერნატორი ან უფრო დაბალი თანამდებობის პირნი. მრავლდება სპეციალური დაწესებულებები, თანამდებობები: საგუბერნიო არქიტექტორი, საქალაქო არქიტექტორი (მაშინ მას городской архитектор ერქვა), ქალაქთა მომწყობი კომიტეტი, სამშენებლო კომიტეტი, საგუბერნიო სამშენებლო კომისია, თბილისის უკეთ მომწყობი კომისია, ქალაქ თბილისის გარეუბნების გამიჯნვისა და მოწყობის კომისია, ბევრი სხვაც... XIX საუკუნის მანძილზე, სიმონ კლდიაშვილის ასპარეზზე გამოსვლამდე, თბილისში სულ რამდენიმე ქართველი ინჟინერი ჩანს, მათ შორის ვახტანგ ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი, ერეკლე II-ის შვილის შვილი (აწარმოებდა ხიდებისა და არხების მშენებლობას), რომელიც სვეტიცხოველშია დაკრძალული, ნიკოლოზ თარხან-მოურავი (ესეც გზებისა და ხიდების მშენებელი), თითო-ოროლა სხვაც. სხვები — რუსი ან რუსეთის ქვეშევრდომი ევროპელი ინჟინრები და არქიტექტორები იყვნენ, აგრეთვე თბილისელი სომხები და გერმანელებიც. მაგრამ მშენებლობის განხორციელების დროს, რა თქმა უნდა, არსებით როლს თამაშობდნენ ქართველი და სხვა ადგილობრივი ოსტატი-მშენებლები (საბუთებში გვხვდება კალატოზებისა და ღურგლების სახელები: გოგია, ბეცია, ზალია, იოსებ, გლახა, შოშია, კაკალა, გიორგი, პეტრე, ტეტია, ოპანეზა, ნონია, ბეჟანა, იმერელი ხუროები და მხერხავები).

ამ საბუთების გარეშეც, თვით „ცოცხალი“ ძველი თბილისის მიხედვით, ცნობილი იყო, რომ რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლას შემდეგ თბილისის ოფიციალურ მშენებლობაში კლასიციზმის სტილი დამკვიდრდა — აქაც ისე აშენებდნენ, როგორც იმპერიის ყველა სხვა კუთხეში (გადარჩენილი ნიმუშები: სიონის სამრეკლო 1812 წლისა, ხელოვნების მუზეუმის შენობა, რომელიც თავდაპირველად ქართველ კაპიტალისტ იაკობ ზუბალაშვილს ეკუთვნოდა; შტაბის ყოფილი შენობა ლენინის მოედანზე); რომ ტრადიციული ელემენტებისა და კლასიციზმის მოტივთა შერწყმამ წარმოშვა აივნიბიანი „თბილისური“ საცხოვრებელი სახლები. საარქივო მასალების გაცნობამ რამდენადმე შეცვალა ამ სახლების ქრონოლოგია, „თბილისური“ სახლების ევოლუციის პერიოდები. გამოირკვა, რომ XIX საუკუნე ამ სახლებით კი არ იწყება, არამედ კლასიციზტური საცხოვრებელი სახლებით, რომლებიც სავალდებულო, „უზენაესად დამტკიცებული“ სანიმუშო ალბომების მიხედვით შენდებოდა; რომ „თბილისური“ სახლები თანდათან შემუშავდა ოცდაათიან-ორმოციან წლებში, შემუშავდა ერთგვარი „ბრძოლის“ შედეგად: თბილისმა, მისმა ტრადიციებმა, გემოვნებამ, მისმა პრაქტიკულმა, სასიცოცხლო მოთხოვნილებებმა გარდუვალი გახადა ამ „წმინდა“ კლასიციზტური ნიმუშების თბილისურად გარდაქმნა. ეს ნათლად ჩანს პროექტების მიხედვით. და ისიც უეჭველია, რომ პროექტი მხოლოდ სქემას იძლეოდა, სინამდვილეში კი იმ მშვენიერ აივნებს, მათს „დაჭრელებულ“ მოაჯირებს, თალებს, შუშაბანდებს — თბილისელი ოსტატები დამოუკიდებლად ქმნიდნენ.

ზემოთაც ითქვა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ქალაქის მშენებლობაში მტკიცე რეგლამენტაცია შემოიღო, რაც სრულიად უცნობი იყო შუა საუკუნეების თბილისისათვის. ამას გარდა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ აღამაჰმად ხანის შემოსევის დროს თბილისი ნანგრევებად იქცა და XIX საუკუნის დასაწყისში კარგა დიდი დრო მოუნდა ამ ნანგრევებისაგან ქუჩების გაწმენდას. სხვა პრობლემაც ბევრი იყო, რასაც მაშინდელი საბუთები მოწმობს (აქ აღარაფერს ვამბობ, თუ როგორ იყო შევიწროებული ქალაქის მოსახლეობა მოხელეთა ბოროტმოქმედებისაგან, რა მძიმე ტვირთად აწევებოდა მას პირველ წლებში საბინაო ბეგარა და სხვა). XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ეს ოფიციალური საბუთები ქართულადაც ქვეყნდებოდა, რაკი მოსახლეობის უმეტესობას, ბუნებრივია, რუსული არ ესმოდა. საინტერესო საბუთებია, შინაარსითაც და ენითაც. 1827 წელი, „ტფილისის ვოენის ღუბერნატორის ღენერალ ადიუტანტის სი-

პილინის“ „განცხადება“: „კვალად არის ტფილისში მრავალი ძველი სახლები, რომელნიც ყოველ მინუტს საშიშარნი არიან რომ არ დაიქცნენ. შემთხვეულობათათვის მორთმეულს სიებიტგან ვხედავ მე სატირელს მაგალითებს სახლის პატრონების უზრუნველობისას, მრთელნი სახლობანი ხშირად დასაფლავებულან დაძველებულს დაქცეულს სახლებს ქვეშმოყოლილნი... ამის გამო მოქალაქეთ ნშვიდობიანობისთვის უბრძანე მე პოლიციას, რომელ გაშინჯოს ძველი შენობები და რომელნიც საშიშარნი იყვნენ და იქცეოდნენ, დაუყოვნებლივ დანიშნოს ისინი დასაქცევად და ფასადები მისცეს პატრონებს ახალი სახლების აღსაშენებლად...“ და სხვა.

და კიდევ ერთი საბუთი 1862 წლისა, თავისებური შედეგრი, რომლის მსგავსიც მეორე არ შემხვედრია. საქმე ეხება საშენი იარაღების (წერაქვების, ნიჩბების და სხვ.) საჯაროდ გაყიდვას: „პუბლიკაციონის ფურცელი. მოწერილობისა გამო კომისიისა შემატებისა ი შენობისა ალაგებისა ტფილისის ქალაქებისა ამ თვრამეტსა ოკტომბერსა ათას რვაას სამოცდა ორსა წელსა № 428 გაყიდვისა აუკციონის ტორგითა ამ მეოთხე ჩასტში ტფილისის ქალაქსა პრისუსტივიაში ერთ ჩლენში ამ კომისიისა და მასალა დარჩენილი ახშენებისა კუკიაში შოსე ი ხიდისა აღნიშნული ჩადებულ ვედომოსტში გამოეცხადება ბარაბანის ხმითა სუყველას მცხოვრებელსა იმ ბოლოზედ, რომ მდომნობელმან ჰქონდეთ ნაყიდი ხსენებულის მასალის შეუძლიანთ მოვიდნენ დღეს დანიშნულს გაყიდვისა ამ ოცდაცხრასა ამ ოკტომბერის ათას რვას სამოცდაორსა წელსა“. ალბათ მიჩნეული იყო, რომ აუკციონის ამბავი ხალხს მისთვის გასაგებ ენაზე აუწყეს.

ყოველი საინტერესო პროექტის ნახვა სიხარული იყო. სიხარული ორკეცდებოდა, როდესაც ნახაზის (ფასადის) მიხედვით ვიცნობდი დღესაც არსებულ სახლს. მაგრამ თბილისის ყველა სახლი ზეპირად ხომ არ მესმომებოდა. გადმოვიხატავდი ფასადს (სანამ პროექტები მთლიანად არ გადავადებინე ფოტოგრაფს) და ვიწყებდი ქუჩა-ქუჩა ხეტიალს, რომ აღმომეჩინა ამ პროექტით განხორციელებული სახლი. სიხარული მაშინ გენახათ, როცა ძიებას შედეგი მოჰყვებოდა. მრავალი ათეული პროექტის იდენტიფიკაცია მოხერხდა. ეს სახლები ჩემ თვალში თითქოს სულიერ არსებებად იქცეოდნენ — მათ ჰქონდათ „პირადობის მოწმობა“, ცნობილი ხდებოდა მათი ავტორი. მფლობელი, თარიღი, ისინი გარკვეულ ადგილს იჭერდნენ ქალაქის ისტორიაში.

ქალაქის ქუჩებში, რა თქმა უნდა, მხოლოდ პროექტების „გამო-

საქნობად“ არ დავდიოდი, არამედ თვით „ხელშესახები“ მასალის. ე. ი. თვით ქალაქის განაშენიანების, სახლებს გასაცნობად... უკვე-ლა სახლის პროექტი ხომ არ აღმოჩნდებოდა, მაგრამ არც ერთი დამახასიათებელი ნაგებობის დატოვება არ შეიძლებოდა უყურადღებოდ. უკვე სულ სხვანაირად ვუყურებდი თბილ-სის სახლებს. ქუჩებში ხეტიალ — ისე, უსაქმოდ, მხოლოდ იმ ქუჩების, თბილისის „სურნელების“ შესასუნთქავად — ყოველთვის მიყვარდა; მაგრამ ახლა ყოველი სახლი ჩემთვის „ობიექტად“ ან პოტენციურ ობიექტად იქცა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ „სუბიექტად“ იქცა. ქუჩაში რომ დავდიოდი, არა მარტო მაშინ, როცა ეს ამ თემასთან დაკავშირებული „საკვლევი“ სიარული იყო, არამედ მუდამ — სადაც და როდესაც უნდა მევლო — ძალაუვნებურად თვალზე აქეთ-იქით გამიბრუნდა, თითქოს ყველაფერს პირველად ვხედავდი. და არაერთხელ აღმომიჩინია რომ ეს მართლაც ასე იყო — ათასჯერ ნანახ სახლს ახლა ხელმეორედ, სრულიად ახლებურად დავინახავდი ხოლმე. მთავარ ქუჩებში, ჩვეულებრივ, ყურადღებას არავეინ არ მაქცევდა, ხალხი ბევრი იყო და ჩემთვის არავის ეცალა. მაგრამ კალსა და მთაწმინდის კალთების ვიწრო შუკებში რომ დამინახავდნენ, თავადერილი რომ ვაკვირდებოდი სახლებს და ყოველ ნაბიჯზე ვჩერდებოდი, უკვე ეჭვის თვალით მიყურებდნენ სახლების ბინადარნიც და გამვლელ-გამომვლელნიც. — ვის ეძებთ? მეკითხებოდნენ ხშირად თუ ორნი ვიყავით (ჩემთან ერთად ხშირად იყო ფოტოაპარატი ინსტიტუტის რომელიმე ასალგაზრდა თანამშრომელი), არავის ეჭვი არ ებარებოდა, რომ ეს გარკვეული მიზნით მცხული კომისია იყო, და ყველა თავისებურ ინფორმაციას გვაწვდიდა ან თავის სატყვიარს შემოგვჩივლებდა ხოლმე:

— გამარჯობათ, — შემოგვხვდა მილიციის ლეიტენანტი. — რაშია საქმე? მე ამ უბნის რწმუნებული ვარ.

— ძველებურ სახლებს ვიღებთ.

— ჰოო, მე კიდევ მეგონა, ლეიბები რომ იყო გადმოფენილი, იმას იღებდით... ძველი სახლები თუ გინდათ, ამაზე ძველებიც არის... ყიფიანის ქუჩაზე, ესა და ეს ნომერი... სულ უპატრონოა... რაისაბჭოც დავაყენე თავზე, რაიკოპიც და მაინც ვერაფერს გავხდით...

გვხედება შინაურულად ჩაცმული კაცი, შემოგვჩივის, რომ კომუნალური მომსახურების მხრივ სახლი ცუდ მდგომარეობაშია, გვიყვება დეტალებს, გვეკითხება გვეშველება თუ არა რამეო. სხვა კაცი გვაცნობებს, რომელი სახლია კერძო და რომელი კომუნალური, კლკ-


ცა ჩვენ არაფერს ვეკითხებით. ფეთხანის კიბეზე რომ ვზივარ და ძველი სახლის დეტალებს ვიხატავ, ჩემ გვერდით რვა-ცხრა წლის ბიჭი ჯდება და მიწყებს საუბარს. ვგებულობ, რომ იმასაც ვახტანგი ჰქვია, რომ ქვემოთ ერთი პებერი კაცი ცხოვრობს და იმასაც ვახტანგი ჰქვია. რომ მისი სოფელი ბორბალოა, რომ ჰყავთ ავი ძაღლი, რომელიც „სხვას რომ დაინახავს, სულ ყეფულობს“. მერე უყურებს ჩემს ნახატს: — ფანჯარას ხატავ? კარგად გამოგივიდა...

სახლებში შესვლაც გვიხდება. ზოგან ვხვდებით მოხუცებულებს. ძველი თბილისის „გადმონაშთებს“, იმ სახლების პატრონებს; ვგებულობთ. რომ სახლი მათმა პაპამ ან პაპისპაპამ ააშენა, იშვიათად რასმე უფრო კონკრეტულს. მაგრამ ეს მაინც გვშველის სახლის დაახლოებით დათარიღებას.

იმ თემათა შორ-ს, რომლებზეც მე ამ ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში მიმუშავებია, ჩემთვის ეს ყველაზე საინტერესოთაგანია იყო, მაგრამ ყველაზე მძიმეთაგანაც. ძალიან დიდი შრომა მოითხოვდა. არქივში მრავალ ათას საქმეს გავეცანი რამდენიმე წლის მანძილზე. ვიმუშავე ლენინგრადის არქივებშიაც. ამოკრებილი მასალა ბარათებზე გადამქონდა. ამ უამრავი ბარათის „ორგანიზაცია“, მათთვის თავის გართმევა ადვილი არ იყო, ისევე როგორც საილუსტრაციო მასალის (ამ პროექტების, ძველი და ახალი ფოტოსურათების) მომზადება გამოცემისთვის. საინტერესო იყო XIX საუკუნის მანძილზე თბილისში მომუშავე არქიტექტორთა ბიოგრაფიების შედგენაც. ბევრი მათგანი მაინც გაცოცხლდა. განსაკუთრებული კვალი დააჩინეს თბილისის იტალიელმა სკულპორმა, რომელიც ვორონცოვმა თან ჩამოიყვანა ოდესიდან, მოასწრო თამამშევის ქარვასლისა და თეატრის აგრეთვე ყოფ. ვორონცოვის ხიდის აშენება და სულ ახალგაზრდა დაიღუპა მშენებლობაზე; თბილისელმა გერმანელმა ალბერტ ზალცმანმა, შვედმა ოტო სიმონსონმა (მისია პიონერთა სასახლის შენობა დღევანდელი სახით), ლეოპოლდ ბილფელდმა (ქვაშეეთის ეკლესია, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობა პლენხანოვის პროსპექტზე — ყოფ.სასტუმრო „ნოე“), ტატიშჩევმა და შიმკევიჩმა (რუსთაველის თეატრი, სასამართლოს შენობა), XX საუკუნის დასაწყისში კი ქართული გომნაზიის ავტორმა კლდიაშვილმა, კალგინმა, ტერ-მიქელოვმა... ბევრი იყო სხვაც.

„თბილისის ხუროთმოძღვრების“ I ტომი 1960 წელს გამოვიდა, მეორე — 1963-ში. ორივე შედარებით რიგიანადაა გამოცემული პოლიგრაფიული თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, თბილისის ხუროთ-

მოდღვრებით მარტო მე არ ვყოფილ-
ვარ დაინტერესებულა. უფრო ადრე,
უკვე 1958 წელს, გამოვიდა (რუსუ-
ლად) ვახტანგ ცინცაძის „თბილისი.
ძველი ქალაქის ხუროთმოძღვრება და
XIX საუკუნის პირველი ნახევრის სა-
ცხოვრებელი სახლები“. ჩემი წიგნი-
საგან განსხვავებით, მასში ცოტაა საარ-
ქივო მასალა, მაგრამ წარმოდგენილია
რეალურად დარჩენილი ძველი სახლე-
ბის ანალიზი, მათი ანაზოჟები, ჩა-
ნახატები და გრავეიურები. მშვენიერად.
ნამდვილი არტისტიზმით შესრულებუ-
ლი ავტორის მიერ.



„თბილისის ხუროთმოძღვრების“
I ტომის ყდა

ჩემი „ურთიერთობა“ თბილისთან
ამით არ დამთავრებულა. „ქართული
საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში“
(მხოლოდ პირველი ნაწილი გამო-
ქვეყნდა — 1921-32 წლები) თბილისს
მთავარი ადგილი უჭირავს. უფრო გვიან კი ძველი თბილისისადმი მი-
ძღვნილი ნახატების ალბომი გამოსცა ჩემმა ვაჟმა რევაზმა, განათლე-
ბით არქიტექტორმა. მე ყოველთვის მასთან ერთად დავდიოდი, როცა
ხატავდა, და ხელმეორედ „განვიცდიდი“ ჩვენი ქალაქის სილამაზეს.

მაგრამ როგორც ცნობილია, ძველ თბილისს არა მარტო შესწავლა ესა-
ჭიროებოდა, არამედ დაცვა და რეგენერაციაც. ეს საკითხი ადრევე შეად-
გენდა ქართველ მხატვართა, მწერალთა. მეცნიერთა ზრუნვის საგანს,
მით უფრო მას შემდეგ, რაც ქალაქის სწრაფმა ბუნებრივმა ზრდამ და
ცხოვრების ახალმა მოთხოვნილებებმა ძველი უბნები და ძველებური
სახლები რეალური საშიშროების წინაშე დააყენა. თავის დროზე ამის
შესახებ წერდა დავით კაკაბაძე. როცა თავისი თბილისური ნახატების
პირველ სერიას ქმნიდა. ამის შესახებ ბევრჯერ ყოფილა მსჯელობა
და კამათი საზოგადო შეკრებათა დროს. 1968 წელს მეც გამოვაქვეყ-
ნე „ლიტერატურულ საქართველოში“ წერილი „შვეუნიარჩუნოთ თბი-
ლისის თბილისური სახე“; მას გამოეხმაურნენ არქიტექტორები. მხატვ-
რები, ლიტერატორები, მეცნიერნი. სიტყვიერად ძველი თბილისის
მოვლა-აღდგენის საჭიროების აზრს ადრევეც ბევრი ხელმძღვანელი

მუშაკი ეთანხმებოდა, თუმცა ისეთებიც იყვნენ (არქიტექტორთა შორისაც), რომელთაც ეს უიმედოდ მიაჩნდათ. ან (ეს იყო უარესი) ეს აზრი — ჩამორჩენილობის ნიშნად. მაგრამ თანდათანობით, სწორედ სამოცდაათიანი წლების მიჯნიდან საზოგადოებრივი აზრი სავსებით მომწიფდა. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და ძველი თბილისის რეგენერაცია უკვე რეალურ, პრაქტიკულ ნიადაგზე დადგა — ამის შედეგებს ჩვენ დღეს ვხედავთ.

მეცნიერულადაც ისტორიული თბილისის თემა ჯერ კიდევ არ არის ამოწურული. ამასობაში საბჭოთა პერიოდის თბილისის მშენებლობაც უკვე ისტორიად იქცა. ხოლო ამ ისტორიის კვლევა სადღეისო სამეცნიერო ამოცანად.

4. ჩვენი ინსტიტუტის მუშაობა ფართოვდება. ორმოცდაათიანი და სამოციანი წლები

ინსტიტუტს, რომელიც დასაწყისში სულ მცირე გუნდისაგან შედგებოდა, უოველ წელწადს ემატებოდნენ ახალგაზრდები. ჩვენმა ასპირანტურამ ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა. სანამ სამხატვრო აკადემიაში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი გაიხსნებოდა, ჩვენთან მოდიოდნენ სხვა, მაგრამ ასე თუ ისე მონათესავე სპეციალობის პირები — ისტორიკოსები, ფოლოლოგები, არქიტექტორები. უშუალოდ ასპირანტურაში მათი მიღება არ შეიძლებოდა, რაკი მათ ხელოვნების ისტორიის საუნივერსიტეტო კურსი არ ჰქონდათ გავლილი. ამიტომ ინსტიტუტში არაოფიციალურად დაეაარსეთ ერთგვარი მოსამზადებელი „კურსები“: ორი-სამი წლის განმავლობაში ასპირანტურაში შემოსვლის მსურველი დადიოდა ინსტიტუტში, ჩვენი თანამშრომლების ხელმძღვანელობით ემზადებოდა, ეჩვეოდა ატმოსფეროს. ორი წელიწადი საკმარისი იყო იმისთვის, რომ ახალგაზრდას შეემოწმებინათ თავისი თავი და საბოლოოდ გადაეწყვიტა. მართლაც სურს ხელოვნების ისტორიკოსობა, თუ არა: საკმარისი იყო გარკვეული დონის მისაღწევადაც. თუ მსურველს ნიჭი და სიბეჯითე აღმოაჩნდებოდა. მომზადებას სპეციფიკური ხასიათი ჰქონდა: რა თქმა უნდა, ვუთითებდით სპეციალურ ლიტერატურას, ვურჩევდით რა წაეკითხა, მაგრამ მთავარი სხვა იყო: ხელოვნების ნაწარმოების დანახვის უნარის გაღვივება, შემდეგ კი, თანდათან, ნაწარმოების ანალიზის უნარისაც. ჩვენი ასპირანტურის პირველ კურსდამთავრებულთა პირველი ნაბეჭდი შრომები 1950 წლიდან გამოჩნდა, მომდევნო წლებში კი თანდათან მრავლდებოდა. ორმოცდაათიან-სამოციან წლებში ბევრმა დაიცვა საკანდიდატო

დ-სერტაცია. თუ დასაწყისში პირველი ადგილი ეკირა შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების შესწავლას, თანდათან სხვა დარგებიც წამოიწია: გაიზარდნენ მონუმენტური ფერწერის, ხელნაწერთა მორთულობისა და მინიატურების, დეკორაციული ქანდაკების, გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა სახეობის მკვლევარი. გაფართოვდა ქრონოლოგიური ფარგლებიც: კვლევის საგნად იქცა, ერთი მხრივ, ანტიკური ხანის საქართველო, უფრო ადრინდელი ხანაც, მეორე მხრივ, გვიანი ფეოდალური ხანა — XVI-XVIII საუკუნეების არქიტექტურა, ფერწერა, მინიატურები; განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართულ საბჭოთა ხელოვნებას: არქიტექტურასაც, ქანდაკებასაც, ფერწერასაც, გრაფიკასაც. გააქტიურდა თანამშრომლობა შემოქმედებითს კავშირებთან — მხატვართა კავშირთან, არქიტექტორთა კავშირთან ჩვენი თანამშრომლები მონაწილეობდნენ დისპუტებში, კონკურსების ეიურის მუშაობაში, წერდნენ საგაზეთო და საეურნალო სტატიებს თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე; დაეაარსეთ „ქართული ხელოვნების“ პარალელური სერია, მიძღვნილი ახალი და საბჭოთა ხელოვნებისადმი, გამოიცა წიგნები ქართველი საბჭოთა მოქანდაკეებისა და მხატვრების შესახებ, დაიწერა ქართული საბჭოთა არქიტექტურის პირველი ვრცელი, დასაბუთებული ისტორია, მოსკოველ თანაგებორთან ერთად — პირველი ვრცელი ისტორია ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნებისა, რომელშიც წარმოდგენილია განვითარების რეალური სურათი, და არა ყირამალა დაყენებული, როგორც მანამდე იყო. გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო საქართველოს ცალკეული ისტორიული რეგიონის ან დიდი კულტურული ცენტრების ხელოვნების შესწავლამ. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხება სვანეთს, ქარიული ხელოვნების ნამდვილ საგანძურს, სადაც საუკუნეთა მანძილზე ქართული მონუმენტური ფერწერისა და ოქრომკვდლობის ბევრი პირველხარისხიანი ნაწარმოები შეიქმნა*, ეხება აგრეთვე დავით გარეჯას. სადაც

* სვანეთის შესახებ მაინც საგანგებოდ უნდა ითქვას. ცნობილია, რომ იგი ადრევე, უკვე XIX საუკუნეში იპყრობდა ქართველ მეცნიერთა ყურადღებას. მას ჯერ კიდევ დიმიტრი ჰაქრაძემ უძღვნა ცალკე ნაშრომი (1861 წ.); თაყაიშვილის მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, რომლის აღწერაც ცალკე წიგნად გამოვიდა პარიზში, ზემოთ უკვე ვახსენე, სვანეთის სიძველეების შესახებ წერდა პრასკოვია უვაროვაც; Материалы по археологии Кавказа-ს მეთოთხმეტე ტომში აღიშის სასარებად დაიბეჭდა ფოტოტიპირად. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ მოსამზადებელ მუშაობად შეიძლება ჩაეთვალოს, იმიტომ, რომ სვანეთის მხატვრული საგანძური ხელუხლებელა რჩებოდა სწორედ ხელოვნებასმცოდნეობის თვალსაზრისით — არ იყო ნაჩვენები აქაურ ძველთა მხატვრული ღირსება, სპეციფიკა, ადგილი ქართული ხელოვნების ისტორიაში. არსე-

მრავალმა ახალმა აღმოჩენამ დიდად გაამდიდრა მანამდის ცნობილი ისედაც მდიდარი სურათი. დაარსდა ცაკლე განყოფილება „ძეგლთ: ნუსხისა“, რომლის მოვალეობასაც შეადგენს საქართველოს მიწა-წყალზე შემორჩენილი ნივთიერი კულტურის უკლებლივ ყველა ძეგლის აღნუსხვა სათანადო სიტყვიერი და გრაფიკული დოკუმენტაციით — მუშაობის პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში განყოფილების თანამშრომლებმა იმდენი უცნობი ძეგლი გამოავლინეს (მარტო შიდა ქართლის რამდენსამე რაიონში), რომ ჩვენი წინანდელი

ბოზდა მეორე პრობლემა, რომელიც ზოგჯერ დრამატულსა და ტრაგიკულ ხასიათსაც ღებულობდა: ეს იყო სვანურ სიძველეთა დაცვის პრობლემა. თუ ეკლესიებს, კოშკებსა და ფრესკებს ვერაფერ მოიპარაუდა — საქმე ეხებოდა მხოლოდ მათს მოვლას, სულ სხვა იყო უძვირფასესი კედური, ფრწურული ხატების, ხელნაწერების და საეკლესიო ნივთების მდგომარეობა. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა მათ თავებამდებოთ იცავდა, უმეტესად საგვარეულო (ან ტრადიციულად ამა თუ იმ ოჯახისთვის მიკუთვნებულ) ეკლესიებში, სვანურ სიძველეთა ყოველი ახალი აღწერა, რომელიც რამდენიმე ათეული წლის ინტერვალით წარმოებდა, საგრძნობ დანაკლისს ავლენდა. თავის დროზე ეთაყიფებოდა შეძლო ზოგი სვანური სიძველის მოპოვება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისთვის, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო. ნივთების აბოლუტური უმეტესობა ეკლესიებში რჩებოდა, მოუვლელი და დაზიანებული. მოსახლეობის ცრუ რწმენის გამო თითქმის შეუძლებელი გასდა მათი გადატანა მუზეუმში. მხოლოდ დიდი ცდის შემდეგ ზოგ რასმე მოეყარა თავი მესტიაში, რომლის ახალი სამუზეუმო შენობა ჭერაც არ დამთავრებულა. ასეთი ვითარება, რა თქმა უნდა, გულგრილად ვერ დატოვებდა ქართველ მეცნიერებს. სვანეთის სიძველეთათვის ერთი ყველაზე აქტიური მზრუნველთაგანი იყო გიორგი ჩუბინაშვილი, რომელმაც მრავალჯერ იმოგზაურა სვანეთში არა მარტო თავისი დიდი გამოკვლევებისთვის („ქართული ოქრომკვლელობა“) მასალის შესასწავლად, არამედ ძეგლთა აღრიცხვისა და მოვლა-პატრონობის მოსაგვარებლადაც (მას ეხმარებოდა ვახტანგ ცინცაძე). შემდეგ სვანეთმა დიდი ადგილი დაიკავა ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელთა საკვლევამდებო საქმიანობაში. წინიწადი არ გავიდოდა, რომ იქ ჩვენს ექსპედიციას არ ეშუშავა. ამის შედეგი იყო მნიშვნელოვანი მონოგრაფიები და ნარკვევები იქაური მხატვრობისა და ოქრომკვლელობის, კანკელების, აგრეთვე ფერწერული ხატების შესახებ თინათინ ვირსალაძისა, რენე შმერლინგისა, ნათელა ალადაშვილისა, გაიანე ალიბეგაშვილისა, ანელი ვოლსკაიასი, რუსუდან ყენიასი, კიტი მაჩაბლისა და სხვათა. ახლა სვანურ სიძველეთა მოვლა-პატრონობის საქმე ასე თუ ისე „სტაბილიზებულია“ (თუმცა, საუბედუროდ, ამ რამდენიმე წლის წინათ მაინც დაიკარგა ძვირფასი ხატები), სამეცნიერო კვლევა-ძიება კი კვლავაც გრძელდება და ჩვენი თანამშრომლების ახალ-ახალი ნაშრომებიც ქვეყნდება. საერთოდაც, სვანეთის სოციალურსა და ეკონომიკურ განვითარებას ახლა სავანგებო (გაძლიერებულ) ყურადღება ექცევა (სავანგებოდ არის, რა თქმა უნდა, მოსახსენებელი, რომ ჭერ კიდევ ოცდაათიან წლებში ძალიან საინტერესო წიგნი მიუძღვნეს სვანეთის საერო არქიტექტურას (საცხოვრებელ კომპლექსებს) არქიტექტორებმა გიორგი ლუჯვამ და მარიამ ჩანდიერმა).

ვარაუდი საქართველოში არსებულ ძეგლთა საერთო რაოდენობის შესახებ სრულიად შეიცვალა.

ინსტიტუტის ბევრმა თანამშრომელმა გამოაქვეყნა სერიოზული მონოგრაფიები, რომელთაც საგრძნობლად წასწიეს წინ ჩვენი ცოდნა ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მათ შორის ისეთებშიაც, რომლებიც მანამდის ნაკლებ იყო გაშუქებული. შემდეგ „კანდიდატებმა“ დაიწიეს „გადოქტორება“ და დღეს ის ჩვენი ასპირანტები, რომელთაც ჩვენთან აიღვეს ფეხი, რომელნიც ჩემ თვალწინ იზრდებოდნენ, უკვე ავტორიტეტული და (რას იზამ!) მსოფიანი მეცნიერებიც კი გახდნენ...

ინსტიტუტს საიმედო საყრდენი გაუჩნდა, როდესაც 1967 წელს ჩვენს სამხატვრო აკადემიაში დაარსდა ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობა. პირველად მოგვეცა საშუალება ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში ხელოვნების ისტორიკოსები მიგველო ასპირანტებად ან თანამშრომლებად წინასწარი მომზადების ან „გადამზადების“ ვარაუდი. სპეციალობას, როგორც კათედრის გამგე, იმთავითვე სათავეში ჩაუდგა ლეო რჩეულიშვილი, რომელმაც ძალიან ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ საქმე თავიდანვე მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებულიყო პროფესიული თვალსაზრისით, და რომ შექმნილიყო მეგობრული კოლექტივი, შემოქმედებითი ატმოსფერო (ანალოგიური სპეციალობა გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტშიაც).

ყველა ხსენებული მიმართულებით მუშაობა დღესაც გრძელდება, ეს ინსტიტუტის დღევანდელი დღეა.

არსებითი ადგილი დაიჭირა ინსტიტუტის მოღვაწეობაში კულტურის ძეგლთა დაცვის საქმიანობაში მონაწილეობამ. ცხადია, ეს საკვებით ბუნებრივია — ეს საქმიანობა ხომ მიმართულია იმ ძეგლთა მოვლა-პატრონობისა და გამაგრება-აღდგენისაკენ, რომლებიც ჩვენი შესწავლის საგანს შეადგენენ. ჩვენი ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომელი (უპირველეს ყოვლისა, ვახტანგ ცინცაძე, ამ დარგის ერთი ყველაზე აქტიური მოღვაწეთაგანი, აგრეთვე ნიკო ჩუბინაშვილი, ლეო რჩეულიშვილი, მალაქია დვალი, ახალგაზრდები) უშუალოდაც მონაწილეობდა და მონაწილეობს სარესტავრაციო მუშაობაში, სხვები — გიორგი ჩუბინაშვილი, თინათინ ვირსალაძე, რუსუდან მეფისაშვილი. ეკა პრავალოვა, იგივე ლეო რჩეულიშვილი, აგრეთვე მეც ჩაბმულნი ვიყავით და ვართ, როგორც კონსულტანტები, მოთათბირენი. ძალიან განმტკიცდა ჩვენი კავშირი ძეგლთა დაცვის საქმესთან მას შემდეგ, რაც 1959 წელს დაარსდა კულტურის ძეგლთა დაცვის საქართველოს საზოგადოება (საბჭოთა კავშირში ეს იყო პირველი!) და მისი ორგანო „ძეგ-

ლის მეგობარი“. რომლის პირველი ნომერიც 1964 წელს გამოვიდა. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე და „ძეგლის მეგობრის“ სე. რიის რედაქტორი იყო მაშინდელი კულტურის მინისტრი თენგიზ ბუაჩიძე. მე თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილედ ამირჩიეს და დღემდე ვრჩები ამ თანამდებობაზე. გიორგი ჩუბინაშვილი და მე რედაქციის პირველ შემადგენლობაშიაც შეგვიყვანეს (შემდეგ ვ. ცინცაძეც შემოგვემატა) და როგორც რედაქციის ყოველი წევრი, მას შემდეგ ჩვენც რეგულარული ვრედაქტორობდით კრებულის ნომრებს. დღეს ნომრების რიცხვმა სამოცს გადააჭარბა — ეს ხუმრობა საქმე არ არის! არ შემძლია განსაკუთრებული პატივისცემითა და მადლობით არ მოვიხსენიო საზოგადოებასა და „ძეგლის მეგობარში“ ლევან გოთუასა და ნიკო კეცხოველის მოღვაწეობა. თუ მე და ჩემს კოლეგებს ეს გვევალეობდა ჩვენი სპეციალობის გამო, მათთვის ეს წმინდა ზნეობრივი მოვალეობა და პატრიოტული მოწოდება იყო. ლევან გოთუა, ეს დღევით კაცი, გარეგნულად საკმაოდ მოუხეშავი, მაგრამ გულთბილი და კაცთმოყვარე, ყოველ საქმეში ენთუზიასტი, კაბუჭივით დაუღლელი სრულიად განსაკუთრებული სიყვარულით. შემძლია ვთქვა, აღფრთოვანებითაც ეკიდებოდა ქართული ძეგლების დაცვის საქმეს, ეს თავის სასიცოცხლო საქმედ მიაჩნდა. რამდენს მოგზაურობდა, რამდენს დადიოდა ტყესა და ღრეში, როგორ განიცდიდა ყოველი ძეგლის ბედობას, თითქოს ყოველი ძეგლი ცოცხალი არსება ყოფილიყო, რა თავგამოდებით უწევდა პროპაგანდას ძეგლებსაც, მათს დაცვასაც. მის ამგვარ მოღვაწეობას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ლევანი. როგორც მწერალი, ძალიან პოპულარული იყო. ლევანის წინადადებით დაერქვა ამ კრებულებს „ძეგლის მეგობარი“, ის იყო პირველი კრებულის რედაქტორი, ასე რომ სწორედ მან მიანიჭა თავიდანვე მას ის გარეგნული სახე, რომელიც მან დღემდე შეინარჩუნა. მანვე ჩაუყარა საფუძველი „გრემქალაქობას“, რომელიც ბევრი სხვა მსგავსი დღეობის თუ დღესასწაულის ნიმუშად იქცა.


ნიკო კეცხოველს, რომლის უანგარო პატრიოტული მოღვაწეობა კარგად არის ცნობილი, ქართული ძეგლები ისევე უყვარდა, როგორც საქართველოს ბუნება. ბუნება და ძეგლები მისთვის განუყოფელი იყვნენ, ერთობლივად წარმოადგენდნენ საქართველოს. მას ხომ, როგორც ბოტანიკოსს. შემოვლოლი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე და სადაც კი იყო. მარტო მცენარეებს კი არ იკვლევდა, არც ერთ ძეგლს არ დატოვებდა უყურადღებოდ, რამდენჯერ ჩამოუტანია მანამდის უცნობი ძეგლების ამბავიც. საზოგადოების გამგეობისა და მის-

პრეზიდენტის სხდომებზე ყოველთვის აქტიურობდა — მე მგონია, მისი მოღვაწეობის უმთავრესი თვისებათაგანი (ყველა დარგში, სადაც მას მოუხდა მოღვაწეობა) იყო გულმხურვალება. ალბათ მას ყველაზე მეტად სძაგდა გულგრილი ადამიანები... განა ამავე არ მოწმობს მისი საბავშვო წიგნები, საყვარულითა და ღრმა პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული! როცა ნიკომ კეცხოველის მიერ გაკეთებულ ბევრ კეთილ საქმეს ვიხსენებთ, არ უნდა დაგვაფიქვდეს ის ამაგიც, რომელიც მან ქართული კულტურის ძეგლებს დასდო.

დღეს „ძეგლის მეგობარი“, რომელშიაც ჩვენი ინსტიტუტის ყველა თაობის მუშაკები თანამშრომლობენ, უკვე პოპულარულია, მას მთელ საქართველოში იცნობენ და აფასებენ.

ინსტიტუტის საკვლევადიებო მუშაობის გაშლა-გაფართოებასთან ერთად ფართოვდება მისი, თუ შეიძლება ითქვას, „საგანმანათლებლო“ მოღვაწეობაც. ვგულისხმობ ქართული კულტურის ძეგლების პოპულარიზაციას და ქართული ხელოვნებათმეცნიერების მონაპოვართა გაცნობას ფართო საზოგადოებისათვის. ამას თავიდანვე ექცეოდა ყურადღება, მაგრამ პირველ ხანებში ამ მხრივ მაინც დიდი გასაქანი არ ვქვონია, მით უფრო, ცხადია, ომის წლებში. ახლა კი ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებში შეუწელებლად იზრდებოდა და ღვივდებოდა ინტერესი ეროვნული წარსულისადმი და, უპირველეს ყოვლისა, ამ წარსულის ნივთიერი მოწმეებისადმი — ხელოვნების ძეგლებისადმი ვპედავ თქმას, რომ ამ მხრივ ჩვენი ინსტიტუტის მოღვაწეობამაც გარკვეული როლი შეასრულა.

გასახარელი ის იყო, რომ ქართული ხელოვნების პრობლემებისადმი ინტერესს იჩენდნენ და იჩენენ სრულიად განსხვავებული, ერთმანეთისაგან დაშორებული დარგების წარმომადგენელი. ინსტიტუტის თანამშრომლებს იწვევდნენ ლექციების წასაკითხად გეოლოგები, გეოგრაფები, მეტალურგები, ენათმეცნიერნი, ფიზიკოსები, ეკონომისტები და იურისტები, აგრონომები, სხვადასხვა ქარხნის კოლექტივები, სამხედ-



ნიკო კეცხოველი

რო ნაწილები. ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, ბევრი სხვა. მეც ხშირად მიხდებოდა ლექციების კითხვა და ყოველი შეხვედრა ასეთ განსხვავებულ აუდიტორიასთან სიხარულით მავსებდა, ცოცხალ დინტერესებას. ჩვენი ძეგლებისადმი ემოციურ დამოკიდებულებას რომ ვხედავდი. ზოგჯერ ცოცხალი მსჯელობაც იმართებოდა, შეკითხვები არა მარტო უშუალოდ ლექციის საგანს ეხებოდა, არამედ საერთოდ ეროვნული კულტურისა და ისტორიის საკითხებს. ლექციებს, ცხადია, კითხულობდნენ და კითხულობენ ჩემი ინსტიტუტელი კოლეგებიც. მათ შორის ზოგი დახელოვნებული ლექტორიც არის.

- ძალიან დიდი ადგილი დაიკვიდრა ქართული კულტურისა და, კერძოდ, ხელოვნების პროპაგანდისა და „ჩანერგვის“ საქმეში ტელევიზიამ. ჩვენს ინსტიტუტს მასთანაც აქტიური ურთიერთობა აქვს. ჩვენი ინსტიტუტის აღზრდილები: კიტი მაჩაბელი, ინგა ლორთქიფანიძე, ეკა პრივალოვა, ნუგზარ ანდლულაძე — არა მარტო ცალკეულ ლექციას, არამედ მძელ ცაკლებს ატარებდნენ და ატარებენ ქართული და მსოფლიო ხელოვნების შესახებაც. ექვი არ მეპარება. რომ ამ გადაცემებმა ნამდვილი სარგებლობა მოუტანა მაყურებლებს. მათთან ერთად მეც საკმაოდ ხშირად მიხდებოდა და მიხდება გამოსვლა. ეს ჩვენი მოვალეობაა. რომელსაც დიდი გულისყურითა და პასუხისმგებლობით უნდა ვეკიდებოდეთ. მიუხედავად ინტერესის გამოცოცხლებისა, მიუხედავად პროპაგანდის გაცხოველებისა, ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ინტელაგენცია ჭერ კიდევ მაინც საკმარისად არ იცნობს ეროვნულ ხელოვნებას: ქართული ძეგლები უყვართ, ქართული ხელოვნებით ამაყობენ, მაგრამ. სამწუხაროდ, უმეტესწილად ელემენტარული რამ არ იციან ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლების შესახებაც კი. განა ყოველმა ცოტად თუ ბევრად კულტურულმა ქართველმა კაცმა არ უნდა იცოდეს მცხეთის ჭვრის, სვეტიცხოვლის, კუმურდოს, ბაგრატიის ტაძრის თარიღები და მაშენებელთა ვინაობა? მაგრამ ნამდვილად რამდენმა იცის? თუკი ქართული ძეგლების გარშემო რაიმე მწვეავე, „საქოქმანო“ საკითხი წამოიჭრა, ყველანი ღელავენ, აღფრთოვებას გამოთქვამენ და საფუძვლიანად რისამე თქმა კი, რაიმე საბუთის მოტანა უჭირთ. აი სწორედ ამას უნდა ებრძოდეს და ებრძვის ჩვენი „განმანათლებლობა“. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მარტო ჩვენი დამსახურება არ არის. ძალიან დიდ როლს თამაშობს ამ მხრივ მოსწავლეთა შორის გაშლილი მუშაობა. უპირველეს ყოვლისა, ვგულ-სხმობ იმას, რასაც პიონერთა სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტი აკეთებს, მოსწავლეთა რესპუბლიკური კონფერენციები „ჩუქურთმის“ სახელწოდებით, რომელ-

შიაც მონაწილეობენ საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული ბავშვები თავისი მოხსენებებით, თავისი ნახელავით, მათ მიერ შედგენილი ალბომებით. არ შეიძლება აულელვებლად იმ მოხსენებების მოსმენა და იმ გამოფენებს ნახვა, მიუხედავად იმისა, რომ მოხსენებების დონეც განსხვავებულია, ჩამოტანილი ალბომებისაც და სხვა ექსპონატებისაც. იმიტომ, რომ ყველაფერს სიყვარულის, მოწიწების ბეჭედი აზის... „ჩუქურთმის“ ორწლიური შეხვედრები მართლაც იმედით მავსებს... და აქ მინდა გავიხსენო ორი ადამიანი, რომელთა სახელებს და ღვაწლს ყველა უნდა იცნობდეს, იმიტომ, რომ ისინი დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ. ესენი არიან ირინე მიქელაძე და მზია ერისთავი. ირინე ჰიონერთა სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტს განაგებდა დიდი ხნის განმავლობაში, ის იყო სწორედ „ჩუქურთმის“ მოთავე და ნამდვილი სულისჩამდგმელა. მე და ჩემი კოლეგები მხოლოდ შეძლებისდაგვარად ვესმარებოდით მას.

ამ ორი ადამიანის დამსახურებაა. რომ ასაღზარდებს ჩაუნერგეს ჩვენი სამშობლოს ნამდვილი. თუ შეიძლება ითქვას. „მატიკრიალიზებული“ სიყვარული, გააცნეს და შეაყვარეს საქართველოს ბუნება. ძეგლები, ჩვენი ისტორიული წარსული, დიდი გავლენა მოახდინეს ყოველი მათგანის პიროვნების ჩამოყალიბებაზე. გასაოცარი ენთუზიასტები, საქმისთვის თავდადებულნი იყვნენ. აი მათ შესახებ შეიძლება ითქვას გადაუქარებებლად, ისე რომ ეს მხოლოდ მაღალფარდოვანი სიტყვები არ იქნება, რომ ისინი პატრიოტებს ზრდიდნენ. მათს სსოვნას მე დიდი მოკრძალებითა და მადლობით ვინახავ...

ამავე საქმეს — ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას ემსახურებოდა ჩვენი ინსტიტუტის გამსვლელი სესიება. სამწუხაროდ, ბევრი არ გაგვიმართავს. ჩავატარეთ მხოლოდ ქუთაისში. ქიათურაში. ონსა და ამბროლაურში. ვცდილობდით სესიის პროგრამაში ასე თუ ისე ასახულიყო იმ კუთხის სპეციფიკა, სადაც სესა იმართებოდა, ე. ი. იქაურ ძეგლებზედაც ყოფილიყო საუბარი. სხვა ძეგლებთან ერთად. ამბროლაურსა და ონში კი ერთი მოხსენება უნა ჯაფარიძის შემოქმედების შესახებ იყო. უჩამ სოპ ბევრი თავისი სურათი მიუძღვნა რაჭის მკვიდრთ, ბუნებას, სურათები, გამთბარი ისეთი გრძნობით, როგორიც ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ თავისი მშობლიური კუთხის მიმართ. უჩაც ჩვენთან იყო. უნდა გენახათ. რა სიყვარულით ხვდებოდნენ მას რაჭაში, როგორ ცხოველ რეაქციას იწვევდა მისი სურათების ფერადი სლაიდების გამოჩენა ეკრანზე. ქიათურიდან საჩხერესაც ვესტუმრეთ და მოვიწახულებთ ქორეთის საშუალო სკოლა, სადაც ისტო-

რჩის მასწავლებელმა მიხეილ ვოგატიშვილმა მუზეუმი დააარსა და მოსწავლენი ჩააბა იმ კუთხის სამხარეთმცოდნეო კვლევის საქმეში — ეს პირველი მაგალითი იყო საქართველოში და მას შემდეგ ბევრი მიმბაძველი გაუჩნდა. ქორეთის სკოლასთან ჩვენ კონტაქტები გვქონდა, როგორც „მეფებს“.

მიუხედავად უეჭველი პროგრესისა ქართული ხელოვნების „ჩანერგვს“ საქმეში, ჩვენ მაინც ჩამორჩენილნი ვართ. „საბჭოთა ხელოვნებას“, „ძეგლის მეგობარს“, „ფრესკას“, ცხადია, დიდი სარგებლობა მოაქვთ, მაგრამ ძალიან ღარიბები ვართ მაინც პოპულარული ლიტერატურისა და ტურისტებისთვის განკუთვნილი ბუკლეტების, ალბომების მხრივ. თუ ვცემთ რასმე — ტირაჟიც ცოტაა და პოლიგრაფიული ხარისხიც ცუდი. ის რამდენიმე ფერადი ალბომი, რომლებიც ხარისხით გამოირჩევა, აგრეთვე მალე ქრება, ასე რომ, ზაფხულის სეზონის დროს, როცა საქართველოს სულ უფრო მეტი და მეტი სტუმარი ჰყავს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და უცხოეთიდან, მათ პრაქტიკულად არაფრის შოვნა არ შეუძლიათ. მართალია, ღია ბარათები გაჩნდა, მაგრამ მათი „რეპერტუარი“ ძალიან შეზღუდულია. მაინც ვერ მოხერხდა, რომ ყოველი მნიშვნელოვანი ძეგლის დათვალიერების დროს იქვე შეგეძლოს სათანადო ლიტერატურისა და სახვითი მასალის შოვნა. ეს გადაუდებელი საქმეა.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარს მიეკუთვნება რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა (იმათ გარდა, რომელთა შესახებაც უკვე იყო მოთხრობილი), რომლებთანაც ჩვენს ინსტიტუტს, ან მის ცალკეულ თანამშრომელს უშუალო კავშირა ჰქონდა. 1955 წლის ბოლოს აღინიშნა გიორგი ჩუბინაშვილის დაბადების 70 წლისთავი. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მოეწყო საიუბილეო საღამო — თვით ჩუბინაშვილი ძლივს დავითანხმეთ, მაგრამ იუბილეს გამართვა საკიროდ მიგვაჩნდა, რათა ხმაჰაღლა და საჯაროდ თქმულიყო ამ კაცის დამსახურებისა და ჩვენს საზოგადოებაში მისი ნამდვილი ადგილის შესახებ, მას შემდეგ, რაც რამდენიმე წლის განმავლობაში მას და ჩვენ ყველას გააფთრებით გვესხმოდნენ თავს — ზემოთ ამის თაობაზე უკვე იყო ნაამბობი.

1959 წლის ოქტომბერში მოეწყო თბილისის იუბილე, მისი დაარსების 1500 წლისთავის გამო. თარიღი, რა თქმა უნდა, პირობითი იყო — დასახლებულ ადგილად თბილისი ბევრად უფრო ადრე იქცა, ალბათ. ქალაქადაც, თარიღი ასე თუ ისე, უფრო მეტად თბილისის გადელაქალაქებას შეესაბამებოდა. ცხადია, ამ შემთხვევაში „სიზუს-

ტის“ გამოკიდებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია და არც არავის მოსვლია აზრად. თბილისში საიუბილეოდ ბევრი რამ გაკეთდა: თვალისთვის ძალიან შესამჩნევი: ჩატარდა ანჩისხატის ეკლესიის რესტავრაცია (ხელმძღვანელობდა ჩემი ძველი მეგობარი და ინსტიტუტელი ამხანაგი რუსუდან გვერდწითელი), მოწესრიგდა მეტეხის ეკლესიის არემარე, გაიჭრა ვაკე-საბურთალოს ქუჩა, გაკეთდა მთაწმინდის საბაგირო გზა, რუსთაველის პროსპექტმა ქვაშვეთისა და პირველი სკოლის წინ სახე იცვალა (მას შემდეგ უკვე წამოიზარდა თაობები. რომელთაც, ალბათ ჰგონიათ, რომ ეს ყველაფერი მუდამ ასე იყო). დიდი რეზონანსი ჰქონდა ვახტანგ გორგასალის ძეგლის კონკურსს — მე ყიუჩის მდივანი ვიყავი და კარგად მახსოვს დიდი „დაძგერებები“ ყიუჩის სხდომებზეც და საჯარო განხილვების დროსაც. კონკურსზე 15 პროექტი იყო წარმოდგენილი. პრემირებული პროექტები ასპარეზზე ახლად გამოსული ანაღვარდებისა იყო, როგორც ჩანს, სხვებზე აგრეთვე.

თვით იუბილე მართლაც ნამდვილ ზეიმაღ იქცა, ხალხი მას ელოდა, როგორც საკუთარ დღესასწაულს და ასე აღნიშნა კიდევ — გულწრფელი სიხარულით.

ძალიან არსებითი იყო ინსტიტუტის საქმიანობისთვის სამეცნიერო კონტაქტების საგრძნობი გაფართოება, სისტემური ურთიერთობის დამყარება არა მარტო საბჭოთა, არამედ უცხოელ კოლეგებთან, უცხოეთის საკვლევ დაწესებულებებთან და მუზეუმებთან. ამ კონტაქტების უპირველესი გამოხატულება იყო სპეციალური ლიტერატურის ინტენსიური გაცვლა-გამოცვლა — იგი უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა ჩვენი საკუთარი გამოცემების გამრავლებასთან ერთად.

მეორე მხრივ, გახშირდა უცხოეთიდან არა მარტო ტურისტების, არამედ მეცნიერთა ჩამოსვლა. პორიზონტზე თანდათან გამოჩნდნენ ხელოვნების ისტორიკოსებიც. არქიტექტორები, ადამიანები, რომელნიც ჩვენი ხელოვნებით სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულნი. ინსტიტუტთან კონტაქტის საშუალებით ისინი ეცნობოდნენ ქართული ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობის ძეგლებს; გაჩნდა პირველი უცხოელი ასპირანტი — უნგრელი ერჟებეტ ჩემეგი-ტომპოში, რომელმაც სამი წელიწადი გაატარა საქართველოში, რომ შესაძლებლობა მისცემოდა ემუშავა ქართული და დასავლური ხელოვნების საკითხებზე. იგი შეეთვისა აქაურობას, ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელთა გულითადი მეგობარი გახდა და დღესაც მჭიდრო კონტაქტი აქვს ჩვენთან.

1958 წლის დეკემბერში მე გიორგი ლეონიძესთან ერთად ვიყავი რუმინეთში. საშუალება მომეცა ბევრი მემოგზაურა შუა საუკუნეების ძეგლების სანახავად — რუმინული ძეგლები კი თავისებურია, ეროვნულად გამოკვეთილი, განსაკუთრებით ჩრდილოეთში, მოლდოვაში. სადაც მოხატულ-ფასადებიანი ეკლესიებია. ძალიან მეგობრულად მიგვიღეს. ბუქარესტსა და მის მდამოებში, კურტია დე არჯეშშიც მეგზურობას მიწევდა რუმინული ხუროთმოძღვრების ცნობილი მკვლევარი გრიგორე იონესკუ. რომელიც საქართველოში იყო ნაწყოფი და მას შემდეგ ურთიერთობა გვქონდა: იასში ჩემი მასპინძელი იყო მოლდოვის მიტროპოლიტი იუსტინ მოსესკუ, ახალგაზრდა ლამაზი კაცი რომელიც მშვენიერ პალაცოში ცხოვრობდა. მომცა მსუბუქი მანქანა. გამომატანა ერთი მღვდელი და დამათვალეიერებანა რამდენიმე მნიშვნელოვანი მონასტერი — სუჩავა, სუჩევიცა, პუტნა, რადაუცი, დრაგომირნა და სხვები. სუჩაეციის დედათა მონასტერში, რომელსაც მძლავრი გალავანი არტყია გარს, ასზე მეტი მონაზონი იყო, მათ შორის სულ ახალგაზრდები. სრულიად უჩვეულოდ და გაუგებრად მეჩვენებოდა. რატომ გამოეთიშნენ ეს გოგონები ცოცხალ ცხოვრებას, მით უფრო უჩვეულოდ, რომ ეს ამბავი უკვე ახალ რუმინეთში ხდებოდა. ყველა ფერდაკარგული იყო, თითქოს მზესა და ჰაერს მოკლებული და შემკრთალი. იქ ღამის გათევაც მომიხდა. ერთი უზარმაზარი ოთახი მომიჩინეს, სადაც ერთიმეორის პირდაპირ ეყიდა მაცხოვრის ხატი და მთავრობის თავმჯდომარის პორტრეტი. მონასტრის ეკლესია, სოკოსავით გადმოფარებული სახურავითა და ერთიანად აფერადებულ მოხატული ფასადებით, მხოლოდ დილით ვნახე, რადგანაც სუჩევიცაში საღამოს ჩავედი, როცა უკვე ბნელოდა. შთაბეჭდილება ძლიერი დამრჩა. ამას ხელს უწყობდა ძალიან თავისებური ფერადოვანი შეხამება — ამ კაშკაშა ფასადებისა დათოვლილ რუხ მთებთან. იასის მუზეუმში ვნახე ბესიკის საფლავის ქვა, დავათვალეირე სამი ევრაქის ეკლესიაც. რუმინელ მეცნიერებს ადრევე ჰქონდათ გამოთქმული მოსაზრება. რომ რუმინული ეკლესიების ორნამენტაცია ენათესავება ქართულს. ნათესაობა მართლაც არის, ცალკეული მოტივი თითქმის ჩვენებურს იდენტურია, მაგრამ ჩუქურთმის ინტერპრეტაცია, მისი ურთიერთობა არქიტექტურასთან, რა თქმა უნდა, სხვანაირია. ერთმანეთს „აცდენილი“ ქრონოლოგიაც. ეს საკითხი — ქართული ჩუქურთმის მიმართებისა დასავლურთან — არა მარტო რუმინულთან. არამედ სერბულთან. უნგრულთან, კიდევ უფრო მეტად, სოვი რომანუ-

ლი სკოლის (და წინა რომანულისაც კი) ჩუქურთმასთან ჯერ კიდევ სრულიად ხელუხლებელია, მაგრამ მისი კვლევის დროც დადგა და ადრე თუ გვიან მასაც უნდა მოვკიდოთ ხელი. ქართულ ხელოვნებასთან ურთიერთობას, უფრო მეტიც, ქართულ გავლენას რუმინულზე, განსაკუთრებით იცავდა აკადემიკოსი, აწ განსვენებული პეტრე კონსტანტინესკუ-იანუ, ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე, საბჭოთა კავშირთან და, კერძოდ, საქართველოსთან მეგობრობის დიდი უნთუზიასტი. მასთან მეგობრობა მაკავშირებდა, ისევე როგორც პოპულარულ საზოგადო მოღვაწე სკარლატ კალიმაკისთან, ძველ არისტოკრატთან, რომელიც კომუნისტი გახდა. დიდად ინტელიგენტი და რამდენადმე „არამქვეყნიური“ კაცი იყო, ჰუმანისტი და იდეალისტი, რუმინელები „წითელ პრინცს“ უწოდებდნენ (ალარც ის არის ცოცხალი). რუმინეთში ბევრი სხვა მეგობარიც გამიჩნდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მე საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე გავხდი და შესაძლებლობა მომეცა უფრო ხშირად შევხვედროდი რუმინელ კოლეგებს. პატრისცეპითა და თბილი გრძნობით ვიგონებ ცნობილ მხატვარს ანრა კატარჯის, არქიტექტურის ისტორიკოსს რიშარ ბორდენაკეს, აღმოსავლეთმცოდნეს პროფესორ ვლად ბენეციანუს, ცნობილ მეცნიერებს მიჰაი ბერზას, ანდრეი ოცეტას (ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი იყო). რუმინელ ხელოვნების ისტორიკოსთა მეთაურს, ღრმად მოხუცებულ აკადემიკოსს ჯორჯე ოპრესკუს; მწერალ ვიქტორ კერნბახს, რომელმაც რუმინულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, „დიდოსტატის მარჯვენა“, ქართული ზღაპრები და გამოსცა წიგნი ჩვენი ქვეყნის შესახებ („ქვეყანა თოვლსა და ფორთოხლებს შორის“). ბუქარესტში ერთი დიდი შთაბეჭდილებათაგანი, რომელმაც მოსვენება დამიკარგა, იყო მუზეუმი ლია ცის ქვეშ. შინ რომ დავბრუნდი, ზეპირად თუ წერილობით დავიწყე პროპაგანდა ასეთი მუზეუმის დაარსებისა თბილისში (მართო მე კი არა, სხვებმაც — უპირველეს ყოვლისა, გიორგი ჩიტაიამ, ჩემმა მეგობარმა პროფესორმა ლონგინოზ სუმბაძემ). ბუქარესტში ყოფნის დროს კი გავბედე და არქიტექტურის ინსტიტუტში წავიკითხე ლექცია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ (რუმინეთში ყოფნას, კოლეგებთან ურთიერთობას ის მიაღვივებდა, რომ იქ მაშინ ჯერ კიდევ ყველა ლაპარაკობდა ფრანგულად. ეს მათთვის მეორე ენა იყო). ეს გახლდათ პირველი ფრიად მოკრძალებული ცდა „საერთაშორისო ასპარეზზე“ ქართული ხუროთმოძღვრების გატანისა. სამოციან წლებში მე კვლავ ბევრჯერ ვიყავი უცხოეთში, რა თქმა უნდა, ყოველი მოგ-

ზაურობა დიდად საინტერესო და სასარგებლოა. მით უფრო ისეთ ქვეყნებში, როგორც საფრანგეთი, აუგოსლავია და თურქეთი. თურქეთში (1961 წელს) ჩვენი ჯგუფი (მთლიანად ქართული), მგონი, პირველი მერცხალი იყო, მანამდის საბჭოთა კავშირიდან იქ ტურისტები არ ყოფილან... იქაური ქართველებიც შეგვხვდნენ... ამაღლებელი შეხვედრები იყო: იმათ პირველად ნახეს საქართველოდან ჩასულ „ცოცხალი“ ქართველები! პროფესიულად ჩემთვის ზედმიწევნით საინტერესო და სასარგებლო იყო სირიასა და იორდანიაში მოგზაურობა. გრანდიოზული შთაბეჭდილება დატოვა პალმირის, კალატ-სემანის სამონასტრო ანსამბლისა და პეტრას კლდეში ნაკვეთი ქალაქის დათვალიერებამ (სიამოვნება იმანაც გააძლიერა, რომ ჩვენს ტურისტულ ჯგუფთან ერთად იყო „რუსთავის“ ანსამბლი. მისი მხატვრული დონე და ღირსება საყოველთაოდ არის ცნობილი. მე კი ის მიხაროდა, რომ ანსამბლის წევრების ადამიანურა თვისებებიც ამავე დონეზე აღმოჩნდა)*. უინტერესო ქვეყანა არ არსებობს — მხოლოდ ესაა, რომ შენ თვითონ უნდა იყო დაინტერესებული და დანახვის უნარი უნდა შეგწევდეს.

მოგზაურობათა აღწერას არ შევუდგები — ეს შორს წამიყვანდა მაგრამ არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი შეხვედრა საფრანგეთში. 1959 წლის შემოდგომაზე. არქიტექტორთა საკავშირო ჯგუფი იყო, უმეტესად ლენინგრადელებისა და მოსკოველებისგან შედგებოდა. საქართველოდან ორნი ვიყავით — ირაკლი ციციშვილი და მე. ერთ დღეს გამოგვიცხადეს, თუ სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ ალექსანდრე ბენუას ესტუმროთო. მსურველი ოთხი აღმოჩნდა — ორი ლენინგრადელი (ორივე არქიტექტურის ისტორიკოსი) და ორი ქართველი. ძალიან გამიკვირდა, რომ სხვები სრულიად გულგრილად შეხვდნენ ამ წინადადებას — ბენუა ხომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნისა და ჩვენი საუკუნის პირველი ათეული წლების რუსული მხატვრული კულტურის ერთი ყველაზე

* უდიდესი გულისტკივილით ვიგონებ ამ ანსამბლის წევრს ჰამლეტ გონაშვილს, ერთადერთსა და განუყოფელს, რომლის მსგავსი არც გვეოლია და აღარც გვეყოლება... საკვირველი ფენომენი იყო, როგორც მომღერალი, კეთილშობილი, როგორც პიროვნება, გამორჩეულად ლამაზი, როგორც მამაკაცი. რა უაზროდ დაიღუპა! განსაკუთრებით უყვარდა თავისი სოფელი, მიწა. მაშინ, 1979-ში, კალატ-სემანის სემიონ მესვეტის მონასტერში რომ ვიყავით, ლელვის ხის ნერგი წამოიღო — სოფელში ჩემს ეზოში დავრგავო. როცა 1985 წელს „რუსთავის“ დაარსების 15 წლისთავის აღსანიშნავი საღამო გაიმართა ფილარმონიის დარბაზში, მისალოცად კულისებში შესულს თვალებგაბრწყინებულმა მითხრა, სირიიდან ჩამოტანილმა რტომ იხარა და უკვე ნაყოფიც გამოიღო. მას შემდეგ აღარ მინახავს.

საინტერესო ფიგურათაგანია — გამოჩენილი გრაფიკოსი, რომელმაც დიდ სიმაღლეზე აიყვანა რუსული წიგნის ილუსტრაცია, არანაკლებ გამოჩენილი, როგორც თეატრის მხატვარი და, საერთოდ, თეატრის მოღვაწე; კაცი, რომელიც სათავეში ედგა და წინ უძღოდა მთელ ასალ მიმართულებას, „მირ ისკუსტვას“ სახელით რომ არას ცნობილი; ხელოვნების ისტორიკოსი, მებრძოლი კრიტიკოსი და პუბლიცისტი, რომელმაც თავის დროზე ერთიანად ააფორიაქა და ორ ბანაკად დაჰყო რუსული მხატვრული ინტელიგენცია; რაფინირებული გემოვნებისა და უსაზღვრო ერუდიციის მქონე ადამიანი. ალექსანდრე ბენუა — რუსული ხელოვნების მთელი ეპოქაა. უცხოეთში წასვლის შემდეგ ბენუა კვლავ ინტენსიურად მუშაობდა, უმეტესად როგორც თეატრის მხატვარი. მაგრამ, არსებითად, მისი, როგორც რუსი მხატვრის, აქტიური როლი მთლიანად რევოლუციამდე დასრულდა.

2, ოგიუსტ ვიტიუს ქუჩა, პარიზი. ავედით მეხუთე სართულზე. მოგვიღო ბენუას ქალიშვილმა ანა ჩერკესოვამ, რომელიც წინასწარვე იყო გაფრთხილებული. ხანში შესული ულამაზო ქალი იყო. თავაზიანად წეგვებდა, უხაროდა ჩვენი მისვლა.

უცნაური მოხაზულობის ოთახი. ძველებური სავარძლები. წიგნები კედლებთანაც და შუა ოთახშიც, მაგიდაზე. სურათები, ვევენის ლანსერეს დის, შესანიშნავი მხატვრის ზინაიდა სერებრიაკოვას მიერ შესრულებული პორტრეტები (ბენუა ლანსერეების ბიძა იყო), მოლბერტზე — თვით ბენუას „Медный всадник“-ის ერთი სცენა. და სრულიად მოულოდნელად: შუა ოთახში, წიგნებით დატვირთულ მაგიდაზე, ზემოდან, რუსთაველის პატარა ბიუსტი თაბაშირისა. საკმელებიდან პარიზის სახურავები, საკვამურები და გუმბათები ჩანდა.

ჩერკესოვამ ჩაიწერა ჩვენი გვარები, სახელები, ტიტულები. ცოტა ხანს ვსაუბრეთ, ვკითხეთ მამამისის ამბავი. შარშან ავად იყო, ძლივს გამოვებრუნეთ, ასლა უკეთ არის, ზაფხულში სოფლად გვყავდა რუანთანო. მაგრამ 89 წლისაა, რაც უნდა იყოსო!

მერე გავიდა მამის მოსაყვანად და რამდენიმე წუთში ერთად შემოვიდნენ. თავის დროზე (ძველი სურათების მიხედვით) ბენუა საკმაოდ მოსული კაცი უნდა ყოფილიყო. ახლა კი ჩვენ თვალწინ იდგა პატარა ხმელი მოხუცი, წლოვანებისაგან დაღუეული, ბეჭეწში ძალიან მოხრილი, თითქმის კუზიანივით. სული რომ შეგებერა, დაბარბაცდებოდა. ლურჯი ნაქსოვი ჩაჩი ეხურა, კაშნე ჰქონდა შემოხვეული. დაუფარავი სინარულით მოგვეპარათა:

— Милости просим, очень рад, очень рад..

იმავ წუთს მომხვდა თვალში მისი მშვენიერი, უბრალო მანერები. სავარძელში რომ ჩაჯდა, მიხრწნილი სულაც აღარ მეჩვენა. ძალიან ცოცხალი შავი თვალები ჰქონდა, დიდი ცხვირი, სქელი ქვემო ტუჩი, მეჩხერი ჭადარა უღვაშები. ყურს თითქმის სულ არ აკლდა. ეესტიკულაცია — თავისუფალი, ღრმა მოხუცებულთა შებოქილობის გარეშე.

საუბარი სწრაფად გაჩაღდა. ცხადია, ყველაზე მეტად ლენინგრადის ამბები აინტერესებდა. ეს ხომ მისი ქალაქი იყო, ქალაქი, სადაც ცხოვრობდა, იღვწოდა, რომელსაც მშვენიერი ნახატები უძღვნა, რომლის ისტორიის განუყრელი ნაწილიც იყო თვითონვე. ამკარად ეტყობოდა ინტერესი ახალი რუსეთისადმი. საბჭოთა წიგნებს ვღებულობ და მიმოწერაც მაქვს რუსეთთანო. საბჭოთა ელჩმა ბოგომოლოვმა კიდევ შემომთავაზა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ფიზიკურად ეს ჩემთვის მეტად რთული იქნებო.

გუთხარი, ძალიან მესიამოვნა, რუსთაველის ბიუსტი რომ გაქვთ-მეთქი. ერთ ფრანგ ქალს უჩუქებია. ქალიშვილმა ჩაურთო:

— Это паша Маскотта, наш домашний божок. Он стоит все время здесь, на книгах.

ჩემი ლენინგრადელი კოლეგა (ეტყობა, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო კაცი) ბენუას ნაცნობების ამბავს მოჰყვა. აღარ გამოტოვა არც ერთი, ვინც კი გარდაცვლილიყო. ამასა და ამას ხომ იცნობდით? მოკვდა, შარშან გავასვენეთო. ამასაც ხომ იცნობდით? ისიც ამას წინათ გარდაიცვალაო. შეიდი-რვა რომ ჩამოთვალა, ბენუამ ეშმაკურად გაიღიმა, რას იზამ, სიკვდილი საერთო მოვლენა ყოფილაო.

მერე თვითონ დაგვიწყო გამოკითხვა, რა ნახეთო. უცებ მარჯვენა ხელი ზემოთ ასწია და ვითომ მკაცრად, საზეიმოდ, თანაც გაბრწყინებული თვალებით, იკითხა:

— А Версаль видели?

— Видели.

— О!

ვერსალი ხომ მისი უსაყვარლესი თემა იყო!

მერე განაგრძო:

— А здешние чудеса смотрели? Выставочный зал, здание Юнесско? (გულისხმობდა იმ წლებში დამთავრებულ უზარმაზარ საგამოფენო დარბაზს, ე. წ. „რონ პუენს“).

ლაპარაკი აბსტრაქტულ მხატვრობაზე ჩამოვარდა. ჩემი აზრი მკითხა. როცა ვუბასუხე, თქვა:

— Да, все это плохо, и все это ложь!

და პაუზის შემდეგ:

— Как вы думаете, это может привиться там, у вас?
არა-მეთქი.

— А то, вы знаете, я доживаю свой век и у меня горькое чувство, что все прекрасное приходит к концу..

ირონიულად მოიხსენია „გენიალური პიკასო“.

გვიამბო, მემუარები დავწერო. გრანდიოზული სერია განუზრახავს (მოგეცა ლხენა, გასახსენებელი და მოსაგონებელი ბევრი ჰქონდა!) პირველი ორი ტომი, რომლებშიც თხრობა 1890 წლამდე იყო მოყვანილი, ამერიკაში დაუბეჭდავს ჩეხოვის სახელობის გამომცემლობას. მაგრამ ეს გამომცემლობა გაუქმებულა და სხვა ველარ ვიშოვეო. 1909 წლამდე ჰქონია დაწერილი. მერე თავისი არქივი გაიხსენა, ძალიან გაიზარდა და როგორი იქნება მისი ბედი, არ ვიცო. აინტერესებდა, არის თუ არა დაცული ლენინგრადში მისი დღიურები. ლენინგრადელებმა მხოლოდ მისი წერილების ამბები იცოდნენ, ზოგი წერილის პირიც უჩვენეს. ხმამაღლა კითხულობდა მათ, სახუმარო პათოსითა და ეესტიკულაციით. მაგრამ თქვა, სრულიად აღარ მაგონდება, თითქოს სხვის ნაწერს ვკითხულობდეო.

ჩენი სტუმრობის შემდეგ ბენუამ სულ ოთხი თუ ხუთი თვე იცოცხლა. მის მდიდარ არქივს, ეტყობა, პატრონი გამოუჩნდა. 1968 წელს მოსკოვში გამოიცა 750 გვერდიანი წიგნი „Александр Бенуа размышляет“, რომელშიც შევიდა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა (კრიტიკული ნარკვევები, მოგონებები, პირადი წერილები) 1917-1960 წლებისა. ბევრია 50-იანი წლების წერილი, უკანასკნელი წერილები კი 1960 წლის იანვრით და თებერვლით არის დათარგმნებული, ე. ი. გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრეა გაგზავნილი. ვრცელი წერილებია, ეპისტოლარული ლიტერატურის მშვენიერი ნიმუშები. ყოველ მათგანში იგრძნობა მღელვარე დამოკიდებულება და ცხოველი დაინტერესება თანამედროვე ხელოვნებით. ბენუა ხშირად უბრუნდება იმ საკითხებს, რომელთა შესახებაც ჩვენც გვესაუბრებოდა, განსაკუთრებული აღშფოთებით მოიხსენიებს აბსტრაქტული ხელოვნების წარმომადგენლებს, არქიტექტორთაგან კი — ლე-კორბიუზიეს, კერძოდ, მის მიერ აგებულ (ამჟამად საქვეყნოდ სახელგანთქმულ) ეკლესიას რონ-შანში.

ამ მოგზაურობათა დროს მე უმეტესად მაინც ტურისტულად ვეცნობოდი ქვეყნებს, მაგრამ იმის საშუალება არ მქონია, რომ აუდიტორიის წინაშე გამოვსულიყავი და ქართული ხელოვნების შესახებ მესაუბრა. რუმინეთის შემდეგ პირველად ამის საშუალება მომეცა 1969

წელს, როდესაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეები ჩატარდა. იქ ახალი ქართული ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების გამოფენა მოეწყო დრეზდენის გალერეის შენობაში და შეკრებილ საზოგადოებას ვუამბე გამოფენილი ექსპონატების შესახებ. მნახველები დიდი ყურადღებით და გულისყურით ათვალიერებდნენ სურათებს (დავით კაკაბაძიდან დღევანდელ დღემდე), მე კი (და ჩვენ ყველამ, ქართული დელეგაციის წევრებმა) პირველად ვნახე ნორმალურად გამოფენილი თანამედროვე ქართული მხატვრობა. მას ათი დიდი დარბაზი ჰქონდა დათმობილი. მნახველს საშუალება ჰქონდა განზოგადებულად წარმოედგინა, რა არის და როგორია ჩვენი მხატვრობა XX საუკუნის ოციან-სამოციანი წლებისა, ე. ი. იმ ხანისა, როცა მსოფლიო მხატვრობაში უამრავი საყურადღებო რამ შეიქმნა და ბევრი ახალი სიტყვა ითქვა. და თუმცა გამოფენაზე არ იყო წარმოდგენილი ყველა ტენდენცია (მაგალითად, „მემარცხენე“ დავით კაკაბაძე, ზოგი სხვა რამეც), რაც იყო ნაჩვენები, მაინც გონივრულად იყო შერჩეული და მეტ-ნაკლებად ობიექტური სურათი იქმნებოდა. ახლაც მახსოვს, როგორი სიხარული განვიცადე იმ დარბაზების შემოვლისას. თვალნათლივ დავინახე ის, რაც მანამდე მხოლოდ „ზეპირად“ მწამდა: ის, რომ ახალი, დღევანდელი ქართული სახვითი ხელოვნება საკუთარი სახის მქონეა, საინტერესო და ანგარიშგასაწევია, რომ იგი თავისუფლად შეგვიძლია გვერდში დავუყენოთ ბევრი ევროპული ქვეყნის ახალ მხატვრობას, კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპის ყოველი ქვეყნისას; რომ ორიგინალობით, ოსტატობის სიმდიდრით იგი ბევრ მათგანს გაუსწრებს კიდევ. იქ მართლაც წელში გამართული დავდიოდი და კიდევ უფრო მწვავედ ვგრძნობდი, რამდენად აუცილებელია თბილისში ახალი და საბჭოთა ქართული ხელოვნების დიდი გალერეა.

ქართული კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფართო და მრავალფეროვანი პროგრამით ჩატარდა. გარდა ამ საერთო გამოფენისა, იყო სხვებიც — ელენე ახვლედიანისა, ქართული კერამიკისა, ფიროსმანისა, მოეწყო მშვენიერი კონცერტები (განსაკუთრებით ეფექტური იყო დასკვნითი კონცერტი ბერლინში, რომელსაც გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად!), ბევრი შეხვედრა, გამოცა (კარგად!) რამდენიმე კატალოგი. ჩვენი დელეგაცია ჯგუფებად იყო დაყოფილი (მე დრეზდენის ჯგუფში მოხვდი — ამის გამო მაისენის ფაიფურის წარმოებასაც გავეცანით და მოვიხასხულეთ ულამაზესი „საქსონისის შევიცარიაც“), მხოლოდ ბოლოს მოვიყარეთ თავი ბერლინში. „დღეების“ ორგანიზაცია სანიმუშო იყო, ხოლო მათ მიერ

მოტანილი სარგებლობა ჩვენი ეროვნული კულტურის პროპაგანდის მხრივ — მნიშვნელოვანი. სამოცდაათიანი წლებიდან ქართული ხელოვნების გასვლამ საერთაშორისო ასპარეზზე უკვე სისტემური ხასიათი მიიღო და უფრო ფართო მასშტაბს მიაღწია.

როგორც ცნობილია, 1966 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართა რუსთაველის მეორე იუბილე. თითქოს სულ ახლახანს იყო, მაგრამ სადაცაა ოცი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ. რა თქმა უნდა, ყველას კარგად ახსოვს, როგორ დიდ ეროვნულ ზეიმად იქცა ეს იუბილე, როგორი მასშტაბი მიიღო მან. არასოდეს მანამდე ქართული პოეზიის პატივსაცემად არ შეკრებილა არსად ამდენი ერის წარმომადგენელი, არასოდეს არ გასულა ასე შორს ჩვენი ეროვნული კულტურის სახელი. ისიც ყველას კარგად ემახსოვრება, რომ იუბილე ყოველმხრივ მშვენივრად იყო ორგანიზებული — საზეიმო ნაწილიც, გამოფენებიც, მოგზაურობაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. საორგანიზაციო კომიტეტს მთავრობის თავმჯდომარე მეთაურობდა, რაც, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა; ყველა დონესა და საფეხურზე ყველა დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით მოეკიდა ამ საქმეს. ჩემთვის ისიც დიდად გასახარელი იყო, რომ იუბილეს წამოწყებასა და ჩატარებაში დიდი როლი შეასრულა ირაკლი აბაშიძემ, მაშინ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ჩემი ბავშვობის საყვარელმა მეგობარმა ირამ. ბევრ სხვასთან ერთად ამ დიდ საქმეში ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებიც იყვნენ ჩაბმულნი.

მე ღამეველა საკუთრივ რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენის ხელმძღვანელობა. გამოფენა მოეწყო სურათების გალერეაში. მომწყობი კოლექტივი ფრიად მაღალი კვალიფიკაციისა იყო, დიდად შეკრული და მეგობრული: ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, ყოველი საქმისთვის თავდადებული, ღრმა კულტურისა და შეუმცდარი გემოვნების ადამიანი, რომელსაც სამუზეუმო ექსპოზიციის დიდი გამოცდილებაც ჰქონდა, უშუალოდ განაგებდა გამოფენის მოწყობას; მხატვრად მოეწვიეთ უნიჭიერესი ავთანდილ ვარაზი, რომელმაც მანამდის საქართველოს მუზეუმში გამართული არქეოლოგიური გამოფენით ნამდვილი „გადატრიალება“ მოახდინა საექსპოზიციო ხელოვნებაში; აქაც მშენებელი, ძალიან თავისებური ესკიზები გააკეთა; დირექტორად გუყავდა ვაჟა ჩინჩალაძე — ფალიაშვილის მუზეუმის ორგანიზატორი და უცვლელი დირექტორი, უსაზღვრო ენერჯისა და ენთუზიაზმის

მკონე კაცი, რომელსაც გადააწყდა ტექნიკურ-მატერიალური მხარის სიძნელენი, მაგრამ ყველაფერს ისე აკეთებდა, თითქოს ამაზე ადვილი არაფერი ყოფილიყოს. ჩვენთან ერთად იყვნენ ინჟინერ-კონსტრუქტორი თემო თხილავა. არქიტექტორები გერიკო ხეჩინაშვილი და ვაჟა ჩაგუნავა, მხატვრები ირაკლი ყიფშიძე და დინა ალექსანიანი, საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელი ლეილა ზამბახიძე. ამათ შორის ზოგი მოხალისე იყო, თავისი სურვილით შემოგვეერთდნენ, ყველანი ნამდვილი გატაცებით მუშაობდნენ და ყველამ დიდი წვლილი შემოიტანა გამოფენის მოწყობაში. გამოფენა ექსპონატებით დატვირთული არ იყო, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ „მკაცრი“ და თავდაპირველი გამოვიდა. მიგვაჩნდა, რომ რუსთაგელის გამოფენას სწორედ ასეთი სტილი შეეფერებოდა. ეს კია, რომ რამდენიმეჯერ მძაპე ბრძოლის გადატანაც მომიხდა, რომ აგვეცდინა ზოგი ახალი ნაწარმოები, რომლებიც, ჩვენი აზრით, არც ხასიათით და არც დონით არ ეგუებოდა ჩვენს ექსპოზიციას.

სხვა გამოფენები, ჩემივე წინადადებით, დიდუბეში მოეწყო, სახალხო მურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონებში: იქ იყო ახალი მხატვრობა, ძეგლთა დაცვა, ქართული მწერლობა. იქ შევხვდი და გავეცანი ბევრ ცნობილ ქართველოლოგს, მათ შორის ბელგიელ ჟერარ გარიტს, ფრანგ რენე ლაფონს, შევხვდი ძველ უცხოელ ნაცნობებსაც. მე მომბაძარეს „ფრანკოფონები“ — ფრანგულენოვანნი; ჩვენ ერთად ვათვალიერებდით იქაურობას. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო პავილიონი „ქართული მწერლობა დასაწყისიდან დღემდე“. მეც ვცდილობდი უცხო თვალით შემეხდა მისთვის და სრულიად არ გამკვირვებია. როცა აღტაცებულმა გარიტმა წამოიძახა ბოლოს, როცა ქართველ მწერალთა სურათების მწკრივს ჩაუარა: — რა გალერეა! ასეთი მწერლობით ზოგი დიდი ერიც ვერ დაიკვებინის... კულტურის სიდიადე ერის სიმრავლით არ განიზომება!

გარეთ რომ გამოვედით, მასპინძლები შეგვაკრთო სცენამ წიგნების კიოსკთან: ხალხი ერთმანეთს გლეჯდა ხელიდან ახალ გამოცემებს. კინაღამ არ გადაატრიალეს კიოსკი. მაგრამ სტუმრები სხვა რამემ გააოცა: ერთმა ფრანგმა მწერალმა მიმართა მეორეს: — წარმოგიდგენიათ, ვიქტორ ჰიუგოს რომ ასე გლეჯდნენ ერთმანეთსო (ჟერარ გარიტი, რომელმაც საქართველოში ამ მოგზაურობის შესახებ ბრუშურა გამოსცა, ანალოგიურ რასმე წერდა: „ხელჩართული ბრძოლა იყო „ვეფხისტყაოსნის“ ახალი საიუბილეო გამოცემის პირველი ეგზემპლარების ხელში ჩასაგდებად. არა ვარ დაარწმუნებული, რომ ჩვენს ქვეყნებში

ამგვარავე რამ მომსდარიყო როლანდის სიმღერის გამო“). რამდენიმე დღის შემდეგ კი, უკვე ახალციხეში, როცა დაინახეს, რომ მთელი მესხეთი ფესხე იდგა, რომ თბილისიდან ახალციხემდე მთელი ხალხი ზეიმობდა, მათვე მიიხრეს: ვიქტორ ჰიუგოს ან ბალზაკს 100, 200, 800 წელი რომ შეუსრულდეთ, ეს მხოლოდ ინტელიგენციის და მწერალთა ვიწრო წრის საქმე იქნება, სოფლად ამას ვერც კი გაიგებენო.

იმ დღეებში ბევრი რამ იყო დიდად ამაღლევებელი — სახეიმო სხდომები თბილისში, ეს გამოფენები, რუსთაველის ძეგლის გახსნა ახალციხეში და მიტინგი, რომელზედაც ვინ მოთვლის რამდენ სხვადასხვა ენაზე წარმოითქვა სიტყვები! მოგზაურობა ვარძიაში, სადაც სტუმრების აღტაცებამ ეგზალტაციას მიაღწია. განსაკუთრებით დამამანსოვრდა ცნობილი ესპანელი პოეტი ქალი მარია ტერეზა ლეონი და ინგლისელი უილიამ ალენი, ავტორი წიგნისა საქართველოს ისტორიის შესახებ, რომელმაც თქვა, ეს ყველაზე ბედნიერია დღეა ჩემს ცხოვრებაშიო, გრანდიოზული ბანკეტი იმავე ვარძიაში (ექვსას კაცზე მეტი იყო, ღია ცის ქვეშ), რომელსაც მოჰყვა ისეთი სტიქიური მზიარულება, რომ ყველანი, ქალები, კაცები, ყველა ჭურისა და ერისანი, მალაყებს გადადიოდნენ (განსაკუთრებით „მოიკლა თავი“ რასულ გამზათოვმა); მერე დაბრუნება ვარძიიდან, როცა თვით ვარძია პროექტორებით გაანათეს, გზაზე კი ჩვენი კორტეჟი — ოცა ავტობუსი, რამდენიმე ათეული სხვა მანქანა — სამ-ოთხ კილომეტრზე მაინც გაიჭიმა და უამრავი წითელი და თეთრი ნათურა ციმციმებდა იმ ღამეში. ძალიან ორიგინალური სასცენო-ლიტერატურული კომპოზიცია „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის თეატრში, რომელიც არჩილ ჩხარტიშვილმა და მიხეილ თუმანიშვილმა დადგეს; ამაღლევებელი იყო უამრავი მანამდის უცნობი ადამიანის გაცნობა და მათთან ურთიერთობა. რა გახარებული იყო ფრანგი ქართველოლოგი და ბასკოლოგი რენე ლაფონი, რომელიც მაშინ პირველად ჩამოვიდა საქართველოში! გამგზავრების წინ მან თქვა — ეს ყველაფერი, რაც აქ ვნახეთ და განვიცადეთ, ორი ქართული სიტყვით გამოითქმის: „წარმოუდგენელია“, „დაუვიწყარია“! ბევრი მართლაც საინტერესო და მნიშვნელოვანი პიროვნება იყო თავმოყრილი ევროპული ლიტერატურული სამყაროდან: უკვე ჩვენებულთა გარდა, იტალიელი კარლო ლევი — პოეტი და მხატვარი; ესპანელი რაფაელ ალბერტი; ცნობილი ფრანგი ესეისტი და მწერალი, იმ დროს იუნესკოს ხელოვნებისა და ლიტერატურის სექციის გამგე როჟე კაიუა; ცნობილი ფრანგი მწერლები არმან ლანუ, მაქს-პოლ



ფუშე, ივ განდონი, პიერ გამარა, პოეტი ევენ გიიევიკი (დაბალი, ჯმუხი, დიდთავა, ფართო სახით, ბანჯგვლიანი წარბებით და წვრილი თვალებით, ნიკაპქევშ შემოვლებული მოკლე წვერით, მეზღვაურივით... სულ ოხუნჯობის გუნებაზე იყო, სულ ქალებზე და საკმელზე ლაპარაკობდა, დაისწავლა ქართულად „დიდი ფრანგი პოეტი“ და „ფრანგი პოეტების მეფე“, და ასე აცნობდა ყველას თავს); სახელმოხვეჭილი გერმანელი მწერალი ანა ზეგერსი; ინგლისის პარლამენტის წევრი შოტლანდიელი ემერის პიუზი (საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში თქვა: „ვწუხვარ, რომ ქართული არ ვიცი, მაგრამ შექსპირის ენაზე ვილაპარაკებ; ეს კია, რომ

ფრანგი პოეტი ევენ გიიევიკი

თვით შექსპირი, ერთი თვალსაზრისით, გაუნათლებელი იყო: რუსთაველას არსებობა არ იცოდა; რომ სცოდნოდა, უეჭველად ისესებდა ან მოაპარაუდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტსო): რუსი, სომეხი, უკრაინელი მწერლები, ყველაზე ცნობილი ქართველოლოგები, ბევრი სხვაც.

და მაინც იყო კიდევ ზოგი, თითქოს უმნიშვნელო წვრილმანი, რომელმაც ჩემზე დაუეწყარი შთაბეჭდილება მოახდინა: ერთი ხანდაზმულა კაცა, ფრონტამოვლილი, რომელიც დავინახე ქუჩაში, როცა ახალციხეში შევდაროდით ავტობუსებით: თავის სამხედრო ტანსაცმელი ჩაეცვა, ყველა ორდენი და მედალი ჩამოეკიდა, გამოჭიმული იდგა ქედთან მიტანალი ხელით, სანამ ყველა მანქანამ არ ჩაიარა — თითქოს პარადს იღებდა; ეს მისი დღესასწაულიც იყო! გლეხის ქალები, რომლებიც ხილის კალათებითა და ლანგრებით გვხვდებოდნენ, გვმასპინძლობდნენ და გვლოცავდნენ — გაიხარეთ, რომ ჩამოხვედითო! — ეს მათი დღესასწაულიც იყო.

იმთავან, ვანც მაშინ ჩამოვიდა, ორ ადამიანს ვიგონებ განსაკუთრებული სიყვარულით და გულისტკივილით — არც ერთი აღარაა ცოცხალი. ერთა იყო მადლენ ბრონი, ფრანგი კომუნისტი ქალი, ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე, უფრო გვიან, როცა მე გავიცანი, გამომცემლობის

„ედოტერ ფრანსე რეიუნის“ დირექტორი. საქართველოში შვიდჯერ თუ რვაჯერ ჩამოვიდა, გულწრფელად უყვარდა ჩვენი ქვეყანა, ბევრი მეგობარიც ჰყავდა აქ, მეც დიდად დავუშვებობდი, ჩემთან სახლშიაც ყოფილა არაერთხელ... მისმა გამოცემლობამ დაბეჭდა ბარათაშვილის ლექსების ორენოვანი — ქართულ-ფრანგული — კრებული. უკვე ახალგაზრდა აღარ იყო, არც ლამაზი (ქალართმიანი, კეხიანი ცხვირით), მაგრამ მახვილი გონება, წმინდა ფრანგული პეწი და ელეგანტობა ჰქონდა. დიდად ღირსეული მანდილოსანი იყო. ხშირი მიწერ-მოწერა გვქონდა, მისგან გამოგზავნილი ბევრი მშვენიერი წიგნი დამრჩა. მეორე იყო პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჯათარძე, სლავისტი, 45 წლის კაცი, რომელიც ერთი წლისა წაიყვანეს უცხოეთში და ახლა პირველად ჩამოვიდა. მიუხედავად ამისა, ქართულს არა მარტო მშვენივრად ლაპარაკობდა, არამედ ყოველგვარი უცხო ინტონაციების გარეშეც, ყველა სხვა ჩემთვის ცნობილი ქართველი ემიგრანტისაგან განსხვავებით. გასაოცრად მომხიბვლელი კაცი იყო, ყოველმხრივ ძალიან მაღალი დონისა. უსაზღვროდ ღელავდა და სანამ აქ იყო, ცრემლი არ შეშრობია თვალებზე. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ მალე გარდაიცვალა. აქამდე ვერ შევრიგებებოვარ მის სიკვდილს. ეჭვი არ მეპარება, რომ დასცლოდა, ქართული კულტურის შესანიშნავი პროპაგანდისტი გახდებოდა.

რუსთაველის იუბილეში ჩემი კოლეგებიც, მათ შორის ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლები, რეალურ მონაწილეობას იღებდნენ. გამოიცა საგანგებოდ მომზადებული ბუკლეტები რუსუდან გვერდწითელისა, ვახტანგ დოლიძისა, მერი კარბელაშვილისა, ციალა გაბაშვილისა, სისო კინწურაშვილისა... მე ბევრი საჯარო ლექციის წაკითხვა და ტელევიზიით გამოსვლა მომიხდა. ვარძიაში მოგზაურობის დროს და სხვა ექსკურსიებშიაც, ინსტიტუტელებიც იყვნენ ჩართულნი, როგორც მეგზურნი.

რუსთაველის იმ იუბილეს ჩვენთვის მრავალმხრივ ჰქონდა მნიშვნელობა — ზნეობრივი და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. ეს მართლაც ხალხის დღეობა იყო, რომელსაც მოულოდნელი გაქანება და მასშტაბები შეეძინა. ბევრი რამ ისეთიც გაკეთდა, რაც იუბილეს შემდეგაც დარჩა: ბევრი რამ გამოიცა, აშენდა, მოწესრიგდა. დიდი ეროვნული საქმე იყო, საქირო და სასიკეთო.

1967 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „ძველი ქართველი ოსტატები“. ეს იყო გაგრძელება და გაფართოება 1956 წელს გამოსული „ძველი ქართველი ხუროთმოძღვრებისა“. ყოველთვის მაინტერესებდა წარმო-



მხატვ. დ. გაბაშვილი. „ძველი ქართველი ხუროთმოძღვრების“ ყდა

მედგინა ის ცოცხალი გარემო, რომელშიც შუა საუკუნეების ქართველი ოსტატები იღვწოდნენ, წარმომედგინა თვით ის ცოცხალი ოსტატები... ჩვენი ისტორიის უკულმართობის ბრალია, რომ ამ გარემოს, ამ ცოცხალ ადამიანთა—ხუროთმოძღვართა, ეკლესიების მომხატველთა—შესახებ არაფერი არ გადარჩენილა. ძლივს მოგროვდა ხუროთმოძღვართა და ოქრომჭედელთა რამდენიმე ათეული სასელი, მხატვრებისა კიდევ უფრო ნაკლები. მათი „შემოქმედებითი ბიოგრაფიის“ აღდგენაზე ხომ ოცნებაც ზედმეტია. მართალია, რენესანსის ხელოვნებასთან შედარებით შუა საუკუნეების ხელოვნება „ანონიმურად“ და კოლექტიურად ითვლება, ავტორის ინდივიდუალობა მაშინ ისე მკვეთრად არ ვლინდებოდა, როგორც აღორძინების დროიდან, მას საკუთარი თავის წარ-

მოჩენის არც ისეთი პრეტენზია ჰქონდა. მაგრამ ამ ხელოვნებასაც ხომ ცოცხალი, შემოქმედი და შთაგონებული ადამიანები ქმნიდნენ, ეს ხელოვნებაც ხომ არ ყოფილა გაუპიროვნებელი! ჩვენ კი ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ძველ ქართველ ხუროთმოძღვარს, რომელთა სახელებმაც დღემდის მოაღწია, რომ მათს ერთზე მეტ ნაწარმოებს ვიცნობდეთ. იმავე დროს, ხომ შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ ადგა არსუკისკე და ერთ მშვენიერ დღეს ააშენა სვეტიცხოველი, ისე რომ მანამდის არაფერი არ ჰქონია აშენებული. ან რომ საკოცარმა თავის სიციცბლეში მხოლოდ კუმურდოს ტაძარი შექმნა და სხვა არაფერი... სტილის ანალიზის საფუძველზე ჩვენ ვარჩევთ ერთისა და იმავე ნაგებობის რამდენსამე ოსტატს (ასეა, მაგალითად, ნიკორწმინდაში), ერთი და იმავე მოხატულობის რამდენსამე მონაწილეს, შეგვიძლია სხვადასხვა ნაწარმოებიც ასე თუ ისე დაეუახლოვოთ ერთმანეთს და ერთსა და იმავე პირს მივაწეროთ. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ყოველთვის არ ხერხდება და, თანაც, ეს მაინც ცოტას გვმატებს თვით ცოცხალი ადამიანის წარმოსადგენად. გამონაკლისი თითო-ოროლაა: მეფის მხატვარი თევდორე, რომლის შემოქმედების განვითარებას ასე თუ ისე შეიძლება თვალი გავადევნოთ ოთხი თუ ხუთი ნაწარმოების მიხედვით; მამნე ოქრომჭედელი XVI საუკუნისა... ბექა ოპიზარის ორად-ორ ნაწარმოებს ვიცნობთ...

და მაინც აუცილებელი იყო თუნდაც იმ გაფანტულ, მწირი ცნობებზე-ს აპოკენკვა, რომლებიც გადარჩენილა, თუნდაც იმიტომ, რომ იმ დიდი ოსტატების სახელები არ დაკარგულიყო. ძალაუნებურად გულში ვუსაყვედურებდი იმათ, ვინც ზედმეტად ჩათვალა თავისი სახელი დაეტოვებინა მათ მიერ შექმნილ შედეგებზე, და იმ მემბტიანეებსაც, რომლებიც მხოლოდ ათასში ერთხელ იმეტებდნენ ორიოდე სიტყვას ტაძრის აშენების შესახებ, ამშენებელს კი კიდევ უფრო იშვიათად მოიხსენიებდნენ ხოლმე. რა სასიხარულო იქნებოდა, ჩვენ რომ გვცოდნოდა, ვინ იყვნენ ნამდვილად იგივე არსუკისძე, ივანე მორჩაისძე, საკოცარი, ჰარაბაი, ფარეზასძე, ან ვინ იყო ის გენიოსი, რომელმაც მცხეთის ჯვარი შექმნა, შექმნა ბაგრატის ტაძარი, ვაჩნაძიანის ყველაწმინდა და ალავერდი. ჩვენი მეზობელი სომხები, ისლამური ქვეყნების ოსტატებიც არ იჩენდნენ ასეთ ზედმეტ თავმდაბლობას და მათ შესახებ მაინც მეტია ცნობილი.

ერთგვარ კომპენსაციას ვღებულობთ მხოლოდ ძველი ქართველი „მწერლების“, ე. ი. ხელნაწერთა გადამწერების — კალგრაფების — წყალობით. აი იმათ კი, მადლობა ღმერთს, არასოდეს ავიწყლებოდათ

თავისი თავის მოხსენიება საგანგებო „ანდერძებში“, რომლებიც ზოგ ხელნაწერში რამდენჯერმეც კი მეორდება. ამიტომაც, რომ ჩვენ არა მარტო ბევრ შესანიშნავ ცალკეულ ოსტატს ვიცნობთ, არამედ კალიგრაფთა მთელ დინასტიებსაც — დვალებს XI-XIII საუკუნეებში, უფრო გვიან კი XVII-XIX საუკუნეთა „მწერლებისა“ და მდივან-მწიგნობართა სახელმძღვანელო საგვარეულოებს: გაბაშვილებს, კარგარეთლებს, თუმანიშვილებს, ალექსი-მესხიშვილებს, მიქაძეებს. ზოგი მათგანი მაინც მართლაც ისეთი ოსტატი იყო, რომ მათს ნაწერს თვალს ვერ მოსწყვეტს კაცი. ძნელი გადმოსაცემია ის სიხარული, რომელსაც ადამიანი განიცდის, როდესაც ამ ძველ ხელნაწერ წიგნებშია ჩაფლული (აქვე უნდა ვთქვა, როგორი დახმარება გამიწიეს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლებმა, და რა მადლობელი ვარ მათი). არსად და არასოდეს არ ვგრძნობ, ალბათ, წარსული დროის სუნთქვას ისე, როგორც ხელნაწერებთან ურთიერთობის დროს. მათი შეხება, ხელში აღება უკვე საკმარისია, რომ სულ სხვა განწყობილება შეგეკმნას. ყოველი დრო თავის წარუშლელ კვალს ამჩნევდა კალიგრაფიას და ხელნაწერი ფურცლის მხატვრულ სახეს, მის გააზრებას, თვით მორთულობას — საზედაო ასოებს, თავსართებსა და ბოლოსართებს, მათს შეფარდებას ტექსტთან. ყოველი ხანის ნაწერს თავისებური სილამაზე ჰქონდა და ისიც შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა კალიგრაფიამ ძველი ხელოვნების ყველა სხვა სახეობაზე უფრო დიდხანს, თვით XIX საუკუნემდე, შეინარჩუნა მაღალი პროფესიული დონე.

„მწერლებს“, რომლებიც თავისთავს ხან „უცბად მჩხრეკალს“, ხან კი „მჩხაბავს“ უწოდებდნენ, ამ „უღირს“, „გლახაკ და მწარედ ცოდვილ“ არსენის, ბარნაბასა და ბასილი ეტრატაი მალუშისძეს, გაბრიელ დიაკონსა და გაბრიელ პატარაის, იოვანე ყიასა და მიქელ ჩიხუარელს, ნიკოლოზ კატარაწისძესა და ოქრაი გაგაისძეს და ათას სხვას, გარდა დიდი ოსტატობისა და გულმოდგინებისა, ერთი სასიკეთო ჩვეულებაც ჰქონდათ: თავის უზარმაზარ ფოლიანტებს რომ წერდნენ „ფრაღითა ქირითა და გულისმოდგინებრითა“, ღამეებს რომ ათენებდნენ თვეებისა და წლების მანძილზე, ეტყობა, უჩნდებოდათ მოთხოვნილება მკითხველთან თუნდაც „დაუსწრებლად“ გამოსაუბრებისა, მისთვის თავისი გულისნაღების გაზიარებისა. საამისოდ მათი „იარალი“ იყო მინაწერები და „ანდერძები“. მინაწერთა ტექსტი ზოგჯერ ძალიან გულუბრყვილოა, მაგრამ ისეთი ბუნებრივი და უშუალო, რომ დღეს, სამასი-ოთხასი და რვაასი წლის შემდეგ, მათი წაკითხვისას გეგონება, რომ მწერლის ცოცხალი ხმა გესმის, რომ მასთან დიალოგი

შეიძლება გაიმართოს. აი XI საუკუნის ხელნაწერი. ზოგან გადარეცხილია, მელანი თითქოს ეტრატს შეუწოვია. და ამით დაღონებული მწერალი იქვე გვამცნობს: „ყოველი ბოროტი ეტრატისაგან არს, თუ არა წამალი კარგი არსო“; სხვა ხელნაწერი, XVII საუკუნისა. ერთ ფურცელზე ნაწერი ცოტა გათხუპნილია და ქალაქს თითის ანაბეჭდი აჩნია. იქვე მინაწერია: „კარში გამოვედი, წიგნი შემიშალეს. მე ნურვინ დამწყევ, ვინც ეს წიგნი შეშალა, ის დასწყევლეთ“, ამბროსი კარგარეთელის მიერ გადაწერილ XVII საუკუნის გულანში ერთ ადგილას სიტყვა „მშობელი“ გადასწორებულია „დამბადებლად“. და მწერალი იქვე იმართლებს თავს: „პირველსა დედასა მშობელი ეწერა, დამბადებელი უნდოდა. მისთვის წაიშალა. დედანი ტყუა, მე უბრალო ვარ“; XII საუკუნის მწერალი ივანე ფუკარალისძე მკითხველს მიმართავს: „ვინც აღმოიკითხვიდეთ ამას ლუკაის თავსა (ე. ი. ლუკას სახარებას), ნუ დამწყევთ, ღმრთისათვის. დღითა მოხუცებულ ვიყავ, ოდეს ეს დავწერე და თუალთა სინათლევ მომკლებიაო“; ასევე სხვებიც ჩივიან: დედანი „ეზომ წურილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმასა ჰგვანდა და მე კაცი ვიყავ მოდღევნებულიო“; „თუ მრუდედ რაიმე მოვიდეს სიტყვა“, მე ბრალი არ მიმიძღვისო, „პატრონსა ქეთონს“ (ე. ი. დამკვეთს) დედანი საღირაშვილისგან ჰქონდა ნათხოვარი და რაც იქ ეწერა, ის გადმოვიწერეო; ამ წიგნს „უკაროს სახლში ვწერდი, ქარმან და სიცხემ არა მომასვენაო“.

ზოგი მინაწერი ისეთია, რომ აღელვების გარეშე ვერ წაიკითხავ: როცა ამის გადაწერა მიბრძანეს, უარი ვერ ვუთხარი, თორემ „უბილავისა და ხილულისა მტერისაგან დიდად შეღულარქნილი იყო გონება ჩემი და კაემნის აღტურთულობამან უკეთ ვერ შემამკლებინაო“; „ღმერთმან იცის, ვაიმე და ვაიმე ჭირნი უსასლობისა და უადგილობისანი, რომელ სხვასა არავის წაჰკიდებია ესე ვითარი: რამეთუ სოფლისა ღელვათა და განსაცდელთა შინა ვეფალ ყელამდისინო“ (ეს XI საუკუნის ხმაა... ვინ იცის, ის მწერალი სელჩუკთა თარგმის დროს მოღვაწეობდა?)... „ვეცადე დიდად სიმრთელესა და ჰელს, მაგრამ ლექთაგან გვეშინოდა“; „ამ წიგნს რომ ვწერდი, მოუხდა ლეკის ჯარი დავით გარეჯას“... „შუა ღამეა, რომ ვწერ წილკანს... წილკნელი ამგროსო, ამიტომ, რომ ღმერთი გაუწყრა რომელთამე აქაურთ, წიგნი აღარ დამახვედრეს, და არც ერთი სახმარი საყდრისა და სახლისა... მაშ რა ვქნა, ამ სატანჯველში ვარ“; „უსკამოდ დავსჯლარბე, მუხლზე აღწერიით. რა ვქნა უბინაო მწერალმა“. ეს უკვე XVIII საუკუნეა. და ამ ტრაგიკული ნოტების გვერდით განსაკუთრებით სასიამოვნოა ასეთი

„ქანრული“ ინფორმაცია რომ შეგვხვდება: ამას რომ ვწერდი მე, მთავარდიაკონი რომანოზი, ბატონი ფილთან ნადიმობდა და მეც მეპატიეებოდა, „და არ მიველ, გულით მინდოდა გათავება ამისი“; „გაბარეელ ჰსკავილი და გაბრიელ ხორგაი დიდად დამიდგეს თანა“; როცა მპირდებოდა, პურს მაძლევდნენ, ხოლო „იოვანე გაცვეთილმან კუტალით ღვინო მომართვა“ (კუტალი ჭურჭელია) — ამას წერს X საუკუნის შესანიშნავი კალიგრაფი გაბრიელ პატარაი, რომლის გადაწეოილმა კრებულმაც შემოგვინახა შუშანიკის მარტილობისა და აბო ტფილელის ტექსტები...

და კიდევ ორიოდე მინაწერი, რომლებიც მოწმობს მწერლის დამოკიდებულებას წიგნისადმი: „უმეცარსა კაცსა, რომე წიგნისა პატივი არ იცოდეს, მათიმცა ხელი ნუ შეეხების“. „წყეული იყოს ის კაცი თუ ქალი, თხოვნით წაიღოს (ეს წიგნი) და ამის პატრონს დააეციყდეს და აღარ გამოუჩინოს. წყეული იყოს, რომელსაც აქედან ამბავი მოეწონოს (ეს სადევემპრო რომანების კრებულია, — ვ. ბ.) და ან რვეული ამოგლიჯოს და ან ფურცელი აღმოხიოს და ან არშიაზე ბლარჯვა დაიწყოს... კურთხეულ იყოს, ვინც ამისთანა თუ სხვა რიგი ანბის წიგნები ნახოს და ის გარდაწეროს, შესაქცევადაც დიად კარგია და ყმაწვილმანც რომ კითხვით ამგვარი წიგნები გატეხოს, მრავალს შეიმატებს და კარგი სწავლულიც შეიქმნება“.

ხელნაწერი წიგნების შექმნა მხოლოდ ღრმა რწმენისა და ფანატიკური სიყვარულის შედეგად შეიძლებოდა. ძველი ტაძრების აშენებაც, კედლების მოხატვაც, ხატების გამოჭედვაც. იმ ოსტატებს კარგად ესმოდათ თავისი შრომის მნიშვნელობა. ტყუილად კი არ იმეორებდნენ ხშირად კალიგრაფები: „მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგეისო“. ეს სჯეროდათ ხუროთმოძღვრებსაც, ფერმწერებსაც, ოქრომკვედლებსაც. მინიატურისტებსაც.

თუ რომელიმე ჩემი წიგნის შესახებ შემიძლია ვთქვა — განსაკუთრებული მონდომებითა და სიყვარულით ვწერდი-მეთქი, სწორედ ამ წიგნზე შემიძლია. იგი „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ისე კარგად, როგორც არც ერთი ჩემი სხვა ნაშრომი არ დაბეჭდილა. ჩემდა სასიხარულოდ მის გაფორმებასაც დათანხმდა დავით გაბაშვილი, რომელსაც უკვე გაფორმებული ჰქონდა ჩემი „ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები“, პოპულარული მეგზური „სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები“ და „თბილისის ხუროთმოძღვრების“ ორივე ტომი. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ პროფესიონალიზმით, მხატვრული კულტურისა და გემოვნების დონით დავით გაბაშვილი დიდ ოსტატთა რიგს მიეკუთ-

ენება. მე ყველაფერი მომწონს და მიყვარს, რაც მას გაუკეთებია. როგორც წიგნის მხატვარი კი ის ერთადერთია, რომელმაც ლადო გრიგოლიას შემდეგ ახალი და სრულიად დამოუკიდებელი სიტყვა თქვა. არ შემძლია ისიც არ დავუმატო, რომ „ძველი ქართველი ხუროთმოძღვრების“ ყდამ ღირა პოპულარობა მოიპოვა და გავლენაც მოახდინა: დავითმა (მეგობრებისთვის—ლუდამ) გამოიყენა ოპიზის IX საუკუნის რელიეფი — აშოტ კურაპალატი ეკლესიის მოდელით ხელში: იმ „გარდამავალი“ ხანის ტიპური ფიგურა — პირობითი პროპორციების მქონე, დიდი თავით და დიდი ხელით, გაბრტყელებული, ხაზებით დამუშავებული სამოსელით... „რეალისტურა“ თვალსაზრისით მახანჯი, მაგრამ ზედმიწევნით მეტყველი. ლუდამ მშვენივრად „თარგმნა“ რელიეფი გრაფიკის ენაზე და ოსტატურად მოურგო მას სათაურს წარწერაც... ვაედა ხანი და ეს აშოტა, რომლის არსებობაც მანამდე სპეციალისტების გარდა არაყინ იცოდა, ხან სად წამოჰყოფს თავს და ხან სად — პლაკატზე, რელიეფზე, კედურ ნივთებზე. მას სწორედ ლუდა გაბაშვილმა მისცა „ცხოვრების საგზური“. დარწმუნებული ვარ, რომ იმ მხატვრებმა, რომლებიც ამ ფიგურას იმეორებენ, ახლაც არ იციან, ვინ არის და საიდან არის იგი. მათი წყარო ლუდასეული ყდა იყო და არა ორიგინალი.

არაფერი მექნებოდა საწინააღმდეგო, რომ ეს წიგნი მეორედ გამოსულიყო, მით უფრო, რომ უკვე მისი შევსება შეიძლება — ზოგი რამ გამომჩნია, ზოგი რამ მერე გახდა ჩემთვის ცნობილი, ორიოდ სახელი კი შეცდომით არის შეტანილი, იმატომ, რომ შეუძომწმებლად ვენდე სხვა ავტორებს. ასეთი დაუდევრობა კი დაუსჯელად არ რჩება.

ჩემი შემდეგი „ხანგრძლივი“ თემა იყო XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება. პირველი ექსპედიცია ჯერ კიდევ 1948 წელს მოვაწყვე, უკანასკნელი—1971 წელს. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბევრი სხვა საქმეც მქონდა და უფრო ინტენსიურად მასალას ორმოცდაათიან-სამოციან წლებში ვაგროვებდი. წიგნი თავიდანვე ორ ტომად მქონდა განზრახული. პირველი ტომის გამომცემლობაში ჩაბარებიდან (1971 წელს) მის გამოსვლამდე 12 წელიწადი გავიდა.

შემთხვევითი, ცხადია, არც ეს თემა ყოფილა. ისიც „მომწიფდა“ წინა მუშაობის შედეგად. XIII-XVI საუკუნეების არქიტექტურა შესწავლილი იყო შეძლებისდაგვარად, „XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურა“, არსებითად, მოიცავდა იმ დროის ქართული ხუროთმოძღვრების უმთავრეს პრობლემებს: აუცილებელი იყო დარჩენილი მონა-

კვეთის „შევსებაც“. ჩუბინაშვილს ამ საუკუნეების მხოლოდ ესკიზური მონახაზი ჰქონდა, ჩემი კოლეგების ნარკვევები ეხებოდა ცალკეულ საყურადღებო ძეგლს. საეროსა და საეკლესიოს, სათავდაცვო ნაგებობათ, გლეხურ საცხოვრებელ სახლებს (განსაკუთრებით ბევრი ამ მხრივ გააკეთა ლ. სუმბაძემ). მაგრამ განმაზოგადებელი ნაშრომი კი, რომელიც ამ უაღრესად საინტერესო (თუმცა კი ტრაგიკული!) ეპოქის ერთიან სურათს, იმდროინდელი ხუროთმოძღვრების მთავარ ტენდენციებს დაგვიხატავდა, ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ეს ხანა თავისი ძეგლების მხატვრული დონით, ცხადია, ვერ შეედრებოდა „დიდ ეპოქებს“, როცა შეიქმნა ჯვარი და წრომი, ოშკი, სვეტიცხოველი და ბაგრატის ტაძარი, ბეთანია და ფიტარეთი. ბევრი რამ მოწმობს ამ დროის დაქვეითებას, განსაკუთრებით ორნამენტული დამუშავების მხრივ, ბევრ შემთხვევაში ტექნიკური შესრულების მხრივაც. თუ „დიდ ეპოქებში“ უბრალო სასოფლო ეკლესიებიც კი მხატვრულ დონეზეა და ხშირად არც კი ჩამოუვარდება მთავარ ძეგლებს, ახლა „მასობრივი პროდუქცია“, რა თქმა უნდა, ხელოსნურ დონეს ვერ სცილდება. დიდ ძეგლებშიაც ღრმავდება ის ნიშნები, რომლებიც უკვე XIII-XVI საუკუნეებში იჩენდა თავს — ეკლექტიზმი, დამუშავების სიმშრალე, ხშირად — ძველი მოტივების გაუახრებელი გადაძლიერება. ზოგ შემთხვევაში ირანული გავლენაც თვალსაჩინო კვალს ამჩნევს მაშინდელ შენობებს, მით უფრო, მეფეებისა და არისტოკრატის სასახლეებს, ქარვასლებს, აბანოებს... და მაინც, ამ ეპოქაშიაც შემოქმედება ჩამკვდარი არ არის, იქმნება ძეგლები, რომლებიც ნამდვილ მხატვრულ შთაბეჭდილებას ტოვებს და ტექნიკურ დახელოვნებასაც მოწმობს; არის მოულოდნელი ფაქტებიც: ზოგი ძველი ხუროთმოძღვრული თემის (კარგა ხნის წინათ მივიწყებულის) კვლავ ამოტივტივება, ხალხური ხელოვნების ზოგი მოტივის წინ წამოწევა საფასადო ქანდაკებისადმი ინტერესის გამოცოცხლება. მთავარი კი ის არის, რომ მიუხედავად უცხო გავლენისა და ჩამოქვეითებისა, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ცოცხალია — ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება საეკლესიო შენობებსა და გლეხის საცხოვრებელ სახლებს — ეს კვლავ ქართული და მხოლოდ ქართული არქიტექტურაა. ამას გარდა, ამ ეპოქამ, ბუნებრივია, მეტი ძეგლი დაგვიტოვა, ვიდრე წინა ეპოქებმა, ძეგლები სხვადასხვა დანიშნულებისა, მთელი ანსამბლებიც... თუმცა არც ამ დროიდან შემოგვრჩა ხელუხლებელი სასახლეები — არც მეფეებისა, ან ფეოდალებისა: ისინი ან სულ აღგვიღწია არიან პირისაგან მიწისა (როგორც თბილისის სასახლე), ან შემოძარცულ

ნანგრევებსლა წარმოადგენენ. ძალიან დასალონებელია, მაგრამ ამ მხრივ დიდად ჩამოვრჩებით დასავლეთ ევროპას და აღმოსავლეთსაც.

ამ თემის წყალობით ბევრი ვიმოგზაურე, რაჟი „მთელი საქართველო“ მჭირდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში ეს, ჩვეულებრივ, ერთდღიანი „გასვლები“ იყო, თუმცა ერთი-ორი უფრო ხანგრძლივი ექსპედიციაც გეჭონდა, დასავლეთში კი ორ-ორკვირიანი მაინც. ვმოგზაურობდით ჩვენი მისრწნილი ავტობუსით — მიკვირს კიდევ, რა გზებზე არ გვატარა და რამდენ ჩაქჩაქს გაუძლო. შემოვიარეთ რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი, გურია და სამეგრელო. ჩვენი მძღოლი იყო დათიკო ამონაშვილი, რომელიც კარგა ხანს მუშაობდა ჩვენს ინტიტუტში, უფრო გვიან კი ავტომობილის ავარიის დროს დაიღუპა. არ შემიძლია მადლობით არ მოვიგონო ეს კაცი, იმიტომ, რომ საქმის ერთგული იყო და ჩვენი გულისთვის ბევრ გაჭირვებას იტანდა, იმ თავისი ავტობუსის გადამკიდე. ძალიან პატარა ტანისა იყო, ისე რომ ინსტიტუტის თანამშრომლები ანეკდოტით ყვებოდნენ, საჭესთან რომ იჯდა, გარედან არ ჩანდა და ხალხი გაკვირვებული უყურებდა ავტობუსს, ეგონათ თვითონ მიგორავსო. ნახშირივით შავი თმა და წვერი ჰქონდა, გაპარსულსაც შავად აჩნდა და თანაც, თვალებიდან ეწყებოდა. ფხუკიანი იყო, ისეთი დიქცია ჰქონდა, რომ მისი ლაპარაკის ნახეარიც არ გვესმოდა, ზოგჯერ მხოლოდ ინტონაციებით ვხვდებოდით, მით უფრო, როცა აბუზღუნდებოდა ხოლმე. ძალიან მიჩვეულნი ვიყავით. არასოდეს ერთ საყვედურსაც არ იტყოდა, როგორი გზაც უნდა გეჭონოდა სავალი და როგორი დადლილიც არ უნდა ყოფილიყო. გიორგი ჩუბინაშვილს თავის მამას ეძახდა, მე თავის ძმას, მაგრამ ზოგი თანამშრომელი აშკარად არ უყვარდა და არც მალავდა თავის ანტიპათიას.

გვყავდა მეორე მძღოლიც — ვალიკო, რომელმაც რამდენჯერმე იმოგზაურა ჩემს ამხანაგებთან დასავლეთ საქართველოში. ისე გაეწაფა თვალი, რომ ერთი შეხედვისთანავე სცნობდა XIX საუკუნეში აგებულ ეკლესიებს (იმერეთში ბევრია ასეთი) და მაშინვე წამოიძახებდა, გაბრიელია, გაბრიელიო, რაც ნიშნავდა, გაბრიელ ეპისკოპოსის აშენებულიაო. და არც ცდებოდა არასოდეს.

რა ბედნიერება იყო ამდენი ახალი კუთხის, ახალი სოფლის „აღმოჩენა“, ამდენი ახალი, ყოველთვის კეთილგანწყობილი ადამიანის შეხვედრა, ასეთი ბუნების წიაღში ხეტიალი, ურიცხვი ახალი, მანამდის უნახავი ძეგლის პირველად ნახვა... არათერს არ შეუძლია ადამიანის ისე გამდიდრება, როგორც ამგვარ მოგზაურობას, მით უფრო, როცა თვით მოგზაურთა გუნდიც მეგობრობისა და თანამშრომელები-

საგან შედგება. ამ ექსპედიციებში სხვადასხვა დროს ჩემი თანამშრომლები და თანაშემწენი იყვნენ კვლავ ახალგაზრდები — ისევ ტატო გაბუნია და გივი ბერიძე (ქართლში), ნოდარ ჯანბერიძე, თეიმურაზ საყვარელიძე, სიმონ კინწურაშვილი, ნუგზარ ანდლულაძე, თამაზ სანიკიძე, თამაზ ჭელიძე, მხატვარი ოთარ სეხნიაშვილი, არქიტექტორები თეიმურაზ კანდელაკი და რევაზ ბერიძე, დავით ჩუბინიშვილი. საეკლესიო ძეგლების დიდი უმეტესობა ჩვენ თვითონვე ავზომეთ, ზოგი კომპიცი; ამას გარდა, ცხადია, ვისარგებლეთ უკვე გამოქვეყნებული მასალით (ლ. სუმბაძის, ლ. რჩეულიშვილის, პ. ზაქარაიას, ვ. ცინცაძის, ვ. დოლიძის წიგნებით და ნარკვევებით). ჩემი თანამგზავრების გარეშე, რა თქმა უნდა, მე ვერაფერს გავხდებოდი. ასე რომ, გარკვეული თვალსაზრისით, ჩემი წიგნი კოლექტიური შრომის ნაყოფად შეიძლება მივიჩნიოთ. ბევრი საინტერესო წარწერაც მოგროვდა, ბევრგან ძალიან გრძელი წარწერებიც — დამახასიათებელ ნიშნად გამოჩნდა, რომ იმ გვიანა საუკუნეებში, როცა მეფე-მთავართა ნამდვილი ძალა დაკნინებული იყო, წარწერების სიგრძემ, მაღალფარდოვანებამ და პრეტენზიულობამ დიდად იმატა: სიტყვის დევალვაცია მოხდა.

კვლევას ინტერესს ისიც მატებდა, რომ XVI-XVIII საუკუნეებისთვის მართო საკუთრივ ძეგლთა წარწერები კი არა გვაქვს, არამედ სხვა წერილობითი საბუთებიც — სიგელები, წყალობის წიგნები, ხელშეკრულებები, ხარჯთაღრიცხვები და „ანდერძები“, რომლებშიც ფეოდალები (მაგალითად, წინარეხელი მაღალაძე, ნინოწმინდელი მიტროპოლიტი საბა ტუსისშვილი) დაწვრილებით აღწერენ თავის სამშენებლო მოღვაწეობასა და ქონებრივ მდგომარეობას, მოგზაურთა ნაწერები (მაგალითად, რუსი ელჩების მოხსენებები XVII საუკუნისა), რამდენიმე გრაფიკული საბუთიც — თბილისის პანორამები შარდენისა და ტურნეფორისა, ვახუშტისეული გეგმა, სხვა ქალაქთა გეგმები XVIII საუკუნის მიწურულისა, გორის ციხის ხედი და სხვა ჩანახატები კასტელისა, ორი დახაზული პროექტიც (ქოლაგორის ციხისა და დავით გარეჯის კომპისა, ორივე განმარტებითი ტექსტებითურთ). ამის გამო შეიძლებოდა მშენებლობის სოციალური და „საყოფაცხოვრებო“ პირობების სურათის ასე თუ ისე აღდგენა.

თვით ძეგლები, ცალ-ცალკე თუ ავიღებთ, როგორც ვთქვი, მხატვრულად ვერ შეედრება ადრინდელებს. მაგრამ მათ შორის არის თავისებური ნიმუშები, რომლებიც გვიჩვენებს, რა პროცესები მიმდინარეობდა მაშინ ქართულ ხელოვნებაში. არის უნიკალური, შეიძლება ითქვას, კუროზული ნიმუშებიც. აი, მაგალითად, თხინვა-

ლას ეკლესია აქვე, ყურისძირში, ლისის ტბიდან ორი-სამი კილომეტრის დაშორებით. ოდესღაც ეს გაბაშვილების სამფლობელო ყოფილა. ეკლესიასთან სასახლის ნანგრევიც დგას. 1922 წელს, როცა იგი სევეროვმა ჩაიხატა, ჯერ კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული სახე, ორსართულიანი იყო, კამარებით გადახურული... ახლა ცოტაა რამ დარჩა.

ეკლესია უკვე იმით იხყრობს ყურადღებას, რომ ორმაგი კედელი აქვს, ე. ი. უკვე აგებულ შენობას შემოუშენეს ახალი გარსი, „პერანგი“ ჩააცვეს. რატომ — ძნელი ასახსნელია. არა მგონია, კონსტრუქციული საჭიროება ყოფილიყო, ეკლესია ერთნავიანია, არც ისე დიდი, რომ მის გადახურვას რაიმე პრობლემები შეექმნა. სიმაგრედ ზომ არ უნდოდათ მისი გადაქცევა? მაგრამ მთავარი, უფრო უცნაური, ინტერიერის დამუშავებაა. შიგ შესულს სრული შთაბეჭდილება ექმნება, რომ ეს საერო შენობის დარბაზია. კანკელი რომ არ იყოს — ისიც უჩვეულო, მაღალი კედლის სახისა და მის უკან აფსიდი, ვერც მიხვდებოდი, რომ ეკლესიაში ხარ. იმ ხანებში ირანული გავლენა თუ ეტყობა ეკლესიას, ეს მის ფასადებში მყლანდება — აგურის წყობაში გამოყვანილია ამოღრმავებული ფიგურები, თაღები ისრულია, ზოგჯერ აგურის ხალიჩისებრი წყობაა. შიგნით ამ გავლენის მაჩვენებელია მხოლოდ თაღების ისრული მოხაზულობა და, იშვიათად, რაღაც სტალაქტიტისებრი დეტალი სვეტისთავებისა. თხინვალაში კი კედლები ისეა დამუშავებული, როგორც ფეოდალთა სასახლეებში, ან კომპების საცხოვრებელ ოთახებში: ორ იარუსად განლაგებულია ბრტყელი ისრული ნიშნები, ნიშნებში სარკმლები, სიგრძივ კედლებს მასიური პილასტრები აქვს. ძალაუვნებურად, საერთო იერით, ერეკლეს „ბატონისციხის“ დარბაზი მოგაგონდება. მეორე ასეთი მაგალითი საერო არქიტექტურის გავლენისა საეკლესიოზე საქართველოში არ მეგულება.

მოულოდნელი იყო ჩემთვის, როგორც ვთქვი, კიდევ ერთი აღმოჩენა: ამ გვიან ხანაში კვლავ ჩნდება, მართალია, სპორადულად, მაგრამ მაინც — ბაზილიკა, ე. ი. ტიპი, რომელმაც ჩვენში XI საუკუნის დასაწყისშივე შეწყვიტა არსებობა, „თავისუფალი ჯვრის“ სახის გეგმა, რომელიც კიდევ უფრო ადრე იყო გამქრალი, და თვით ეგრეთ წოდებული კუპელჰალეც, ე. ი. გუმბათით დაგვირგვინებული ერთნავიანი დარბაზი — ტიპი, რომელიც საქართველოში ადრეც იშვიათად გვხვდებოდა. „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის შენობები მხოლოდ იმერეთსა და სამეგრელოში ვნახეთ — საქარის „გულბანდიახი“, სავანის „გიორგისეული“, ტყვირისა და ქორეისუბნის ეკლესიები. ამათგან ტყვირისა — საკმაოდ რთულად გასარკვევი, გადაკეთება-„გადაშენებათა“ გამო. პი-

როქით, „კუპელჰალეს“ ვარიანტები მხოლოდ ქართლსა და კახეთში შემხვდა. ერთია თბილისის „ჯვარის მამა“ ძველ კალაში, ლესელიძის ქუჩაზე, XVI საუკუნის აგურის პატარა ეკლესია, რომელიც 1983 წლის შემოდგომამდე თითქმის არც ჩანდა, ისეთი ულაზათო და დახავსებული შენობები ეხვია გარს, შიგნითაც რაღაც ეწყო, ასე რომ, მე ძალიან გამიჭირდა მისი აღწერა, ფოტოგადაღება კი შეუძლებელი იყო. უცნაური ის არის, რომ არა მარტო თბილისელთა დიდმა უმრავლესობამ, არამედ, ეტყობა, ქალაქის მესვეურებმაც არ იცოდნენ მისი არსებობა. ახლა, მას შემდეგ, რაც ეკლესიას მოაშორეს ქობმახები და იქაურობა მოაწესრიგეს, ძეგლმა „თვალში გამოიხედა“, აღმოჩნდა, რომ საკმაოდ კარგი პროპორციებიც ჰქონია, თბილისს კი, შეიძლება ითქვას, ერთი ძეგლი შეემატა.

„ჯვარის მამის“ ანალოგიური ეკლესიაა სოფელ ღოუბნის ზემოთ, განმარტოებულად მდებარე. ეს ღოუბანი ბოლნისის გზის მარჯვენაა. პირველად ეს ეკლესია 1950 წელს ვნახე. მაშინ კიკეთიდან წავედიო — თან წაიყვანე 12-13 წლის ბიჭები, რომლებიც ჩემსავით სააგარაკოდ იყვნენ იქ და ჩემ მეზობლად ცხოვრობდნენ (მათ შორის იყვნენ ახლა უკვე ცნობილი მსახიობი კახი კავსაძე და მისი ძმა, ახლა ოპერის მომღერალი იმერი); ჯერ ქოროლლის ციხეზე ავედით და იქიდან დავეშვით თავქვე — ეკლესიამდე, რომელიც ორმოცი მოწამისადმია მიძღვნილი, სულ ნახევარი საათის სავალი აღმოჩნდა. ეს „ორმოცი“ (ხალხში ასე უწოდებენ), აგრეთვე კუპელჰალეს ვარიანტია, ესეც აგურითაა ნაშენი, საერთო იერით ფრიალ ენათესავება „ჯვარის მამას“, მაგრამ მასზე უარესად არის დაცული (რა თქმა უნდა, იქ კიდევ ერთხელ მომიხდა მისვლა, რამდენიმე წლის შემდეგ, მაგრამ ზოგი რამ მაშინაც ჩავინიშნე, ერთი იქაური გლეხის, 78 წლის ალექსა აბულაშვილის ნაამბობიც: „ქოროლლიშვილები ორნი არ იყვნენ? ერთი ქოროლლიც ხომ შულავრისკენაა, სარდახლოს ქვემოდან. მე და შენ რო არა ვლაპარაკობთ? ესე ელაპარაკებოდნენ ძმები — ერთი იქიდან, ერთი აქედან. მაშინ თოფი სადა ჰქონდათ. ერთს დასძახებდნენ და იბნიდებოდა ხალხი, ხმითა ხოცამდნენ. მერე ჩახმახიანი თოფი რო მაიგონეს, ერთ ბიჭს ჰქონიყო და გაესროლა. ქოროლლის გაეგონა და ეკითხა, ეგ რა არისო? — თოფიაო; — რათ გინდაო; — აი, ვესვრი და მოვკლამო; — აბა ესროლეო, — ესროლა კამეჩისთვინა და წაქცეულიყო კამეჩი. ერიპაო, იმ ქოროლლის ეთქვა, ახლა კი მორჩა ჩემი ქოროლობაო, ერთი პატარა ბიჭი მოვა, თოფს მესვრის, ჩხიკ და მამკლავსო! და ხელი აეღო ყაჩაღობაზე. ასე კი ყოფილა წინათა, გმირობის დროსა“.).

ეკლესიის სახელწოდების შესახებ: ადგილობრივ მცხოვრებთ მიაჩნიათ, ორმოცმა ძმამ ააშენა ორმოც დღეშიო. სხვა კუპელჰალეები კახეთში აღმოჩნდა — XVIII საუკუნის მიწურულისა. ერთი მათგანი — მანავის ეკლესია — გარკვეული თვალსაზრისით საინტერესოც.

XVII და XVIII საუკუნეებში რამდენიმე კარგა მოზრდილი ეკლესიის აშენებაც მოახერხეს: ანანურის ანსამბლი მათ შორის ყველაზე კარგად არის ცნობილი. ზედ საქართველოს სამხედრო გზაზეა და ძალაუნებურად ყველა გამვლელ-გამომვლელი ხედავს. მგონი, ახლა ტურისტულ მარშრუტშიც მოექცა; საქართველოში ძნელად თუ შოიძებნება სხვა ძეგლი, ასეთი სისხლიანი თავდადასავალი რომ ჰქონდეს: მეზობელთა თავდასხმა, ხოცვა-ჟლეტა, დამახასიათებელი ფეოდალური აშლილობის დროისათვის! მხოლოდ სპეციალისტები იცნობენ მჰადისჯვრის ეკლესიას ღუშეთთან — ის კი იმ დომენტი კათალიკოსის აშენებულია, რომელმაც 1675 წელს ანჩისხატის სამრეკლო ააგო; ქსნის ხეობის სიღრმეში მდებარეობს ქვენიფნეველთა რეზიდენცია ეკლესიითურთ — ლარგვისი; რაჭაში კი, სოფელ წესთან, XVIII საუკუნის შუა წლებში როსტომ რაჭის ერისთავმა ააშენებინა ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესია, ააშენებინა აშკარა განზრახვით, რომ ნიკორწმინდის ეკლესიას გატოლებოდა ან, იქნებ, ეჯობნა კიდევც... რა დამახასიათებელია ამ გოროზი, უსაზღვროდ პატივმოყვარე ფეოდალის ფსიქოლოგიისთვის! მშენებელი მან აღმოსავლეთ საქართველოდან მიიწვია — ავთანდილ შულავრელი, რომელმაც თავისი სახელი დაგვიტოვა კედლის წარწერაში. ეტყობა, როსტომმა უბრძანა, ხარჯს ნუ მოერიდებო, ოღონდ სასახელო ეკლესია ამიშენეო — კიდევ მოაჩუქურთმებინა (შესანიშნავი ნიმუშია ტექნიკური დახელოვნებისა და მხატვრული გააზრების უქონლობისა), უგრძესი და უმაღალფარდოვანესი წარწერებითაც აღჭურვა. მაგრამ თავისი ცხოვრება მაინც სოლომონ მეფის მიერ თვალმდათხრილმა დაასრულა. ან განა საინტერესო და დამახასიათებელი არ არის, რომ ლეჩხუმის ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიის კედელზე, სოფელ მცხეთაში, გამოკვეთილია ხელის (გაშლილი ხელისგულის) რელიეფი წარწერით: „ხელი ნასყიდას კალატოზის ქართლელის“. ამ წარწერის „შთამავონებელი“ ნიმუში ხომ ადვილი შიგაგნებია: „ხელი მონისა არსუკისძისაი“ „ღიდ“ მცხეთაში...

ძეგლებს ტიპის თავისებურებისა და მასშტაბის გარდა, ბევრი სხვა მხარეც ხომ არის მიმზიდველი და ამადლეველი! მაგალითად, მათი მდებარეობა, მით უფრო, ჩვენში! ეს გვიანდელი ძეგლები ამ მხრივ არც ერთი სხვა ეპოქისას არ ჩამოუვარდება. ვისაც უნახავს ლე-

ჩხუმის პატარა სოფელი ნაკურალეში, დამეთანხმება, რომ იქაური ეკლესიის ეზოდან ზღაპრული სანახაობა იშლება. რა ინტენსიური ფერებია — ტყით დაფარული მთებისა, მერე ალპური ზონისა, იქით შორეული ლურჯი ქედისა, იმის უკან კავკასიონის თოვლიანი, მზეზე მოვლვარე მწვერვალებისა! სულ პატარა ეკლესიაში კი, რომელსაც არაჩვეულებრივად სქელი კედლები და ისეთი ვიწრო შესასვლელი აქვს, რომ კაცი ძლივს შეეგტევა, ისტორიული პორტრეტების მთელი გალერეაა: ჩიქუანი ქაიხოსრო, ლაშხიშვილის ქალი ქეთევან, ქართლისა ერისთავის ქალი ბატონი თამარი, ლეჩხუმისა და სალიპარტიოს პატრონი, ოდიშის თავი, იმერეთისა და ოდიშის სარდალი ჩიქუანი ბატონი კაცია... და სხვანი. აი ამ ერთ ციკქნა სამლოცველოში... და რამდენი სხვა ასეთი ცოცხალი, გასაოცრად მეტყველი სახეა შემორჩენილი იმერეთის, რაჭისა და სამეგრელოს სოფლის ეკლესიებში!... გვიანი ფეოდალური ხანის თავადაზნაურობა! და რა საინტერესო სახელებია: კეკლუცა, ლაშხა, მზექალა, ლაყუარდა, იაშიდაბარ (ეს ქალის სახელია), ულპია, პირნათელი... რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო ცნობილსა და დღემდის შემორჩენილ სახელებზე, როგორიცაა კახაბერი, ზაზა...

ჩემი თემა მშენებლობის ყველა სახეს მოიცავდა — საეკლესიოს, სა-მოქალაქოს, სათავდაცვოს. მთის საცხოვრებელი სახლებისა და კომ-კების სანახავად, რა თქმა უნდა, საჭირო იყო საქართველოს სამხედრო გზის დაზვერვაც. იმ ნაგებობათა გარდა, რომლებიც ზედ გზაზეა, ან მის მახლობლად, ცხადია, უნდა გვენახა გზის ერთსა და მეორე მხარეს, ციცაბო კალთებზე შეკედლებული სოფლებიც. აღარ მახსოვს, ვინმემ მიგვასწავლა თუ ჩვენივე წინასწარმა მარშრუტმა მიგვიყვანა იქ, მაგრამ ოქტომბრის ერთ მშვენიერ დღეს აღმოვჩნდით მთიულეთის სოფელ სეფეში, არაგვის მარცხენა ნაპირზე, ფრიად მაღლა (გალმა — სოფელი ქვეშეთია). სულ სამი კომლი ცხოვრობდა, ებრალები. სხვები გადასახლებულიყვნენ. გლახმა გვითხრა, ზოგი ასპინძაში წავიდა, ზოგი ორჯონიკიძეშიო. ჩემთვის საინტერესო მთიულური ტერასებიანი სახლებიც ვნახეთ, მაგრამ იქ სხვა რამ იყო უჩვეულო და მოულოდნელი: ერთ სახლთან, საგანგებოდ ქვით ნაშენ საკმაოდ მაღალ „სვეტზე“ შესკუპებული ერთი ციდა სამლოცველო. სამლოცველოს წმინდა მარინე ერქვა და საცხოვრებელ სახლთან, კალოსთან და ბოსელთან ერთად მთლიან კომპლექსს ქმნიდა. იმ მთებისა და იმ კარმიდამოს გარემოცვაში მაინც, დიდად პოეტური და რომანტიკული სანახაობა იყო, ისეთი, რომელიც სამუდამოდ გრჩება მეხსიერებაში.

ძალიან თბილი, შეიძლება ითქვას, „ლირიკული“ მოგონება დამრ-

ჩა ზემო იმერეთში, ხარაგოულის რაიონში მოგზაურობისგანაც 1960 წელს. იქ ვიყავით მე, სიმონ კინწურაშვილი, თემურ გამყრელიძე და ნოდარ ჭანბერიძე. ესეც ხომ ერთი უმშვენიერესი კუთხეთაგანია! რამდენჯერაც უნდა გავიარო იმ გზებზე — ლიხის გვირაბით უცებ რომ აღმოჩნდები „სხვანაირ“ საქართველოში, ან რიკოთის უღელტეხილით რომ გადახვალ და „თანდათან“ შეერთვი იმ ბუნებას, ყოველთვის მალეღებებს იქაურობა. გზების მხრივ იმ კუთხეში გაკირვება იყო. იქ ხომ სოფლები ციკაბო კალთებზეა, მაშინ ზოგ სოფელში მანქანა არც ადიოდა... მომხიბვლელი იყო ისიც, რომ იქაურ საცხოვრებელ სახლებს ქალაქის გავლენა არ შეხებოდა — ტრადიციული მშვენიერი იმერული ოდები იდგა — ძალიან გონივრულად შემუშავებული ტიპი, რომელიც ფუნქციური თვალსაზრისით ყველაზე უკეთ ეთვისებოდა ახალ მოთხენილებებს.

ნადავლის მხრივ ის ექსპედიცია მდიდარი არ ყოფილა. ბევრ სოფელში XIX საუკუნეში აშენებული ან ძლიერ გადაკეთებული ეკლესია დაგვხვდა. ეტყობა, ბერძენი ხელოსნები იქ აქტიურად იღვწოდნენ. უბისის შესადარი იმ კუთხეში არაფერი არ არის საეკლესიო ნაგებობათა შორის (ვგულისხმობ ანსამბლსა და ფრესკებს), მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ციხეების ნანგრევები კი არის დარჩენილი. მაგალითად, მაღალ მთაზე მდებარე ვახანის ციხე, ძველი, ჯერ კიდევ ცეცხლისმფრქვევი იარაღის შემოსვლამდე აგებული (ამის ნიშნებია სათოფურების უქონლობა და, აგრეთვე, გარე კედლების კონტური კოშკების გარეშე), ჩვენს ისტორიაში ცნობილი; დიდი ლოდებით არის ნაშენი, მძლავრი და მონუმენტურია, თუმცა არც ძალიან დიდი. მეორეა ჩხერის ციხე, რომელიც დაპყურებს და კონტროლს უწევს ჩხერიმელას ხეობას. საინტერესოა, რომ ამ კუთხეში არის სოფლები ვარძია და ბაზალეთი. ვარძიის ეკლესიაში ძველი ფრაგმენტები ჩანდა, გარედან კი მთლიანად XIX საუკუნის პერანგშია ჩასმული. დაუვიწყარი იყო ხარაგოულსა და საერთოდ, იმ კუთხეში ადამიანთა კეთილგანწყობილება, ძალდაუტანებელი, ბუნებრივი სტუმართმოყვარეობა, სურვილი — როგორმე ესიამოვნებინათ, რომელსაც ყველა ერთნაირად იჩენდა — უფროსებიც და ბავშვებიც, თანამდებობის პირნიც და გლეხებიც. როცა საშუალება ჰქონდათ, ყოველთვის პოულობდნენ ჩვენთვის მანქანას. მატარებლითაც ვმოგზაურობდით, მაგალითად, ხარაგოულიდან ზესტაფონში და უკან, იმიტომ, რომ ჩხარის ძეგლებიც უნდა გვენახა (მაშინ დადიოდა და, ალბათ, ახლაც დადის ხაშურ-ზესტაფონის მატარებელი, რომელსაც რატომღაც სახელად შერ-

ქმეული ჰქონდა „მასტეროვოი“ — მას უმეტესად მუშები ავსებდნენ. ხშირად მაინც ფეხით დავდიოდით — ნელ-ნელა შევუყვებოდით აღმართს, მივდიოდით ერთ საათს, ორ საათს, რომ მიგვეღწია მთის სოფლისთვის. ბუნებითაც ვტკებოდით, იმ კუთხესაც უკეთ „ვითვი-სებდით“.

ვისაც ძველი ეკლესიები და სოფლის ძველი სასაფლაოები უნახავს. ძველი საფლავის ქვებითაც დაინტერესდებოდა. საინტერესო და ჯერ დაუმუშავებელი თემაა საფლავის ქვების რელიეფები — ჩვენი ხალხური ხელოვნების საყურადღებო განშტოება. და არანაკლებ საინტერესოა ხომ ეპიტაფიებიც, მით უფრო, გალექსილი ეპიტაფიები, რომლებიც ჩვენ დროსაც იწერება... საინტერესოა, ზოგჯერ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციაც. ერთხელ, თბილისის მიდამოებში ხეტიალისას, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სწორედ საფლავის წარწერების მიხედვით აღმოვაჩინე, რომ ქვემო ლისში მარღანიები და ბერიძეები ცხოვრობდნენ. სხვა რამემაც გამაკვირვა: ერთ საფლავს ეწერა — „აქ განისვენებს მიხა ჰერიძე ივანეს ძე. დაიბადა 1849 წ. გარდაიცვალა 1955 16 მაისს“. მეორეს ეწერა „ზაქარია ქაიხოსროს ძე მარღანია. დაიბ. 1837 წ. გარდ. 1937 წ.“ მესამე ლოდის ქვეშაც ასწლიანი კაცი განისვენებდა... ლექსები ხომ უმეტესად ძალიან გულუბრყვილო და გაუპართავია („... ამ ოხერ გულის სიგანივრეს გუნებაში რა უდევსო, შეშა დავჭერ, დაღალული სკამზე დავჯექ მეო, ის ოხერი სიკვდილი ყელში მეცა მეო, სკამიდან გადმომაგდო, სული დავლიეო“... ან: „არ ვიყავი უმორჩილო, ვიყავ მშობლებისა მონა, მშობლებსაც ისე უყვარდი, ვით შაკრული ვარდის კონა“). მაგრამ ზოგჯერ ამ ლექსებშიც შეგხვდება ისეთი რამ, რაც ცნობილ ისტორიულ ფაქტებს კიდევ რაღაც შტრიხებს ჰმატებს: „1877-ს ცამეტს ივნისსა, ბრძოლის ველზედ ზივინსა, ოცდაცხრა წლის ჭაბუკსა სამი ტყვია მხვდა ბედკრულსა. იქავე აღსრულებულსა, არ ვჩივი ბედსა, მამა პაპიდგან მამაცი, თავგანწირული ვაჟკაცი, მე სვიმონ საგინაშვილი, რადგან ვპოვეთ დაკარგული, ოსმალეთგან შეპყრობილი საქართველოს ძმა-მამული“. ეს ხომ რუსეთ-თურქეთის ომის დროინდელი ამბავია, როცა საქართველოს აჭარა დაუბრუნდა.

XVI — XVIII საუკუნეების ქართულ ქრონიკებს რომ ეცნობი — მატრიანეებს, ხელნაწერთა მინაწერებს, რომლებშიაც მიმდინარე ცხოვრების ამბებია აღბეჭდილი, ზოგჯერ ხატების წარწერებსაც — გული მოგოკვდება კაცს: „მიუხდით შარვაშიძესა ზუფუს. მუწუსწყალსა აქათ მოვაოხრეთ. კიდევ მეორედ მიუხდით ზუფუს, კაპოეტისწყალს

აქათ სრულობით დავსწვით და ავაოხრეთ...“ „მიუხდით ქუთაისს ალექსანდრე მეფესა, ქუთათის ქალაქი დავწვით და დავტეხეთ“ — ამას იკვეხნის ლევან დადიანი, იკვეხნის მის მიერ შეკვეთილი ხატების წარწერებში! „მოკლა ძემან მისმან კონსტანტინემ მამა ალექსანდრე მეფე და ძმა თვისი გიორგი. შემდგომად მოკლეს კახთა კონსტანტინეც“... „მოკლა მამია გურიელი ძემან თვისმან სიმონ და გაგურიელდა“; „ზურაბ ერისთავმან სვიმონ მეფე გამოიტყუვა და მოჰკლა“; „მოკუდა ალექსანდრე მეფე; დაჯდა ძე მისი ბაგრატ. დედინაცვალმან დარეჯან ძმისწული თვისი ცოლად შერთო და ექვს თთულს უკან თვალნი დასწვა ბაგრატს“... „დარეჯან დედოფალმან ოსმალნი ჩამოიყვანნა. მრავალნი სულნი მოსწყვიდნეს, ხატი და ჯვარნი შემუსრეს. დადიან-გურიელი თან ახლდნენ; დარეჯან მეფედ დასვეს. თვით წარვიდნენ. ბაგრატ მეფე ქართლს წავიდა. მერმე მოკლეს იმერთა დარეჯან და ვახტანგ. გურიელი დემეტრე მეფედ ჰყვეს. კვალად შეიპყრეს გურიელი, თუალნი დასწვენეს და გურიას დაჯდა გიორგი“... და ასე შემდეგ, გაუთავებლად. და თანაც, ეს ხომ მხოლოდ ერთი ნხარეა, მხოლოდ ქართველების „თვითმოქმედება“, რომელსაც ემატებოდა ირანისა და თურქეთის შემოსევები, მათი უღლეა, ლეკების თარეში. აუღლელებლად ვერ წაიკითხავ მამუკა ბატონიშვილის მინაწერს ყანჩაეთის უამგულანზე: „მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი, ესენიც ერთმანეთის მტერნი და მოჭიშპე იყვნენ, არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ქონებოდათ, ვერც რას უზამდნენ, ვერცარას სხვა მტერი წაართმევდათ რასმე. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამკდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ“.

და მაინც, ეს მძიმე საუკუნეები, „სისხლის წვიმების დრო“, არა მარტო ლალატისა და ორგულობის ხანა იყო, არამედ გმირობისაც, სამშობლოსთვის თავდადებისაც და შემოქმედებისაც: ამას მოწმობს მასინდელი ქართული მწერლობაც, მეცნიერებაც (გაეიხსენოთ სულხან-საბა, ვახტანგ VI, ვახუშტი, მერე ერეკლე მეორის ზრუნვა სწავლავანათლებისთვის — ეს ნებას გვაძლევს ჩვენს XVIII საუკუნესაც ვუწოდოთ „განმანათლებელთა“ საუკუნე), მოწმობს ხუროთმოძღვრებაც. მართალია, დასავლური რენესანსის ნიავს მაშინ ჩვენს ხუროთმოძღვრებაში არ შემოულწევია (დასავლური ფორმები ძნელად მკვიდრდებოდა მართლმადიდებლურ ქვეყნებში), ჩვენი ხუროთმოძღვრება, ისევე, როგორც თვით საზოგადოების ცხოვრება, XIX საუკუნემდე

შუა საუკუნეების ფარგლებში რჩებოდა, მაგრამ მაინც, XIX საუკუნის არქიტექტურის გასაგებად ამ საუკუნეთა მშენებლობის, კერძოდ, საცხოვრებელი სახლის ხუროთმოძღვრების, ცოდნა აუცილებელია. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სანამ საქართველო, რუსეთის იმპერიაში შესვლით, ევროპას კვლავ დაუახლოვდებოდა, ჩვენში არავინ არ გრძნობდა ამ დაახლოების საჭიროებას და არ ცდილობდა დაახლოებას. „აღმოსავლეთისგან“ თავის დაღწევის ნიშნები XVII — XVIII საუკუნის ქართულ ხელოვნებაში აშკარად იჩენდა თავს. თანაც, თავისთავად ცხადია, რომ ამ სამი საუკუნის გაუთვალისწინებლად ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის სურათი სრული ვერ იქნებოდა. ამიტომ იყო საჭირო და ამიტომ ღირდა „თავის შეწუხება“ ამ ძეგლთათვის, რომელთაგან ნაწილს მაინც, ისტორიული მნიშვნელობა კი აქვს, მხატვრული კი — მცირე ან ძალიან მცირეც.

ზემოთ მე დავარღვიე ქრონოლოგიური თანამიმდევრობა და უკვე შევეხე იმ მოვლენებს, რომელთაც ჩვენს მხატვრულ ცხოვრებაში თვალსაჩინო გარდატეხა გამოიწვიეს. ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში შევეხე ლადო გუდიაშვილის გამოფენას, შემდეგ დავით კაკაბაძისას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მაღალი პროფესიონალიზმისა და მაღალი ზნეობის გაკვეთილს. ისიც ვთქვი, რა როლი შეასრულეს თანამედროვე ქართული ხელოვნების საერთოდონის ამაღლების მხრივ, ამ ორ გამოჩენილ მხატვართან ერთად, ქეთო მაღალაშვილმა და ელენე ახვლედიანმა. აი, ამ ორი მანდილოსნის შესახებ მინდა ვთქვა კიდევ ორიოდ სიტყვა. მათთან კარგა ხნის განმავლობაში მეგობრული ურთიერობა მაკავშირებდა, ხოლო მათ რომ წარუშლელი შთაბეჭდილება დაეტოვებინათ ადამიანზე, შორეული ნაცნობობაც საკმარისი იქნებოდა: ორივე მნიშვნელოვანი პიროვნება იყო, თორემ მხატვარი (კარგი მხატვრებიც) სხვაც ბევრი შემხვედრია.

ორივეს ადრევე ვიცნობდი შორიდან. უფრო ადრე, მგონი, ქეთო მაღალაშვილი გავიცანი, რაკი დიტო შევარდნაძეს მეგობრობდა და სურათების გალერეაში შემეძლო მისი ნახვა. მისდამი წინასწარ ვიყავი პატივისცემით გამსჭვალული, იმიტომ, რომ ძალიან მომწონდა მისი ადრინდელი პორტრეტები, განსაკუთრებით იაკობ ნიკოლაძისა, ირაკლი ორბელიანისა და ელენე ახვლედიანისა (პირველი, პარიზში შესრულებული — ხელში რომ ელ გრეკოს პორტრეტის რეპროდუქ-

ცია უჭირავს). ეს განწყობილება დღემდის არ შემცვლია. მიმაჩნია, რომ ქეთო მაღალაშვილმა, მაშინ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდამ, თავის პირველი ნაბიჯიდანვე შეძლო ახალი სიტყვა ეთქვა ჩვენს ეროვნულ პორტრეტულ ხელოვნებაში. გიგო გაბაშვილი უმეტესად ხატავდა ტიპებს, ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, სოციალურ პორტრეტებს — მისი გენერლებიც ასეთები არიან; ილიას, აკაკის, გრიგოლ ორბელიანის, ნინოშვილის პორტრეტები ნატურით არ არის შესრულებული, სხვებშიც ფერწერული ღირსებები კი არის, მაგრამ არ არის მაინც უშუალოა; დავით კაკაბაძის ცნობილი პორტრეტი დედისა და ავტობიოგრაფიკების მათგან მათგან უშუალო კონტაქტის დამყარებას არ ისახავს მიზნად (გარდა „სარკიანი ავტობიოგრაფიისა“) — ეს კონსტრუირებული სურათებია, „დედა“ კი, როგორც ცნობილია, გააზრებულია, როგორც განზოგადებული, ალეგორიული სახე. ქეთო მაღალაშვილის „იაკობ ნიკოლაძე“ და „ირაკლი ორბელიანი“, გარდა კომპოზიციური და ფერწერული ღირსებებისა, ჩემი აზრით, იმითაც გამოირჩევა. რომ იშვიათი სიმსუბუქით, ძალდაუტანებლად არის შესრულებული, და პირველი ქართული პორტრეტებია, რომლებშიც ადამიანის „ამწუთიერი“ განწყობილებაა გადმოცემული სპონტანურად. უშუალოებისა და „კონტაქტურობის“ მხრივ შეიძლება აქ გაგვახსენდეს სიღამონ-ერისთავის „დავით კლდიაშვილიც“, მაგრამ ის მაინც გროტესკულია და მწერლის სახეს სრულად ვერ ქმნის; ქეთო მაღალაშვილის ამ პორტრეტებში კი — ყოველგვარი დამატებითი „მატერიალური“ აქსესუარების გარეშე — შეუცდომლად არის „გახსნილი“ ხელოვნათა სახეებო, მათი ხასიათი. ქეთოს შემოქმედებითი მოღვაწეობა, როგორც ცნობილია, ნახევარი საუკუნე გრძელდებოდა, მისი პორტრეტები ასობით დაითვლება, მან ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა მთელი გაღერა შექმნა — ამ გაღერას წმინდა ისტორიული მნიშვნელობაც აქვს; ამ პორტრეტებს შორის, ცხადია, ყველა ერთნაირი ღირსებისა არ არის, არც ფერწერისა და არც ნახატის მხრივ. გვხვდება სუსტებიც, მით უფრო, აღარ განმეორებულა ის „ჰაეროვნება“, ის სიმსუბუქე და არტისტიზმი, პირველ პორტრეტებს რომ ჰქონდა. მაგრამ, სამაგიეროდ, ქეთო მაღალაშვილმა თავის საუკეთესო პორტრეტებში მიაღწია ფსიქოლოგიური დახასიათების სიღრმეს და ზოგჯერ დიდ სიმახველესაც. ეს აიხსნება, რა თქმა უნდა, მხატვრის ინტუიციით, ჩაწვდომის უნარით და კიდევ იმით, რომ ქეთო ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა თავის „ობიექტებს“ — მათს შერჩევას, მათი სულიერი სამყაროს გაგებას... ხატავდა „გაცხრილვით“, მხოლოდ იმათ, ვინც

მის ინტერესს იწვევდა, ვისი დახატვაც საჭიროდ მიაჩნდა. ხშირ შემთხვევაში რამდენიმეჯერ უბრუნდებოდა ერთსა და იმავე ადამიანს, რაც აგრეთვე მოწმობდა, რომ მისი შერჩევა შემთხვევითი არ ყოფილა. ესეც უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანთა მორალური, მოქალაქეობრივი „საქციელის“ მკაცრი მსაჯული იყო და ამ მხრივ კომპრომისები არ იცოდა. ძალიან იშვიათად თუ დაუხატავს პორტრეტი ნატურის გარეშე — ერთი თამარ მეფე იყო, რომლისთვისაც ფრესკების მონაცემები გამოიყენა, მეორე ტიციან ტაბიძე, ფოტოგრაფიის მიხედვით გაკეთებული. არც ერთი არ მიეკუთვნება მის უკეთეს ნაშეშევართა რიცხვს. ქეთო არ იყო წარმოსახვის, ფანტაზიისა და მით უფრო, პირობითი ალეგორიებისა და სიმბოლოების მხატვარი. ფეხქვეშ მკვიდრ ნიადაგს მხოლოდ მაშინ გრძნობდა, როცა თვალწინ ნატურა ჰყავდა, როცა სენანების დროს მათ შორის ხანგრძლივი საუბარი იმართებოდა — ესეც პიროვნების ერთგვარი მოსიხვება იყო, გაცნობის გაღრმავება. დამახასიათებელია, რომ ქეთო მაღალაშვილმა, რომლის შემოქმედებაც დავითის, ლადოსა და ელენეს შემოქმედებასთან ერთად, ჩვენი ეროვნული ხელოვნების ერთ საფეხურს მიეკუთვნება, ყველაზე უფრო უმტკივნეულოდ და „მშვიდობიანად“ განვლო ის შფოთიანი ხანა, როცა დასავლეთში ულტრამოდერნისტული მიმდინარეობანი „მძვინვარებდნენ“. მას სულ არ შეხებია ახალი მემარცხენე ტენდენციების გავლენა. მისი ღრმად რეალისტური ხელოვნება მათთვის შეუღწევი აღმოჩნდა. ქეთო უბრალო და მართალი მხატვარი იყო. მისი სურათები ვერც რაიმე ფორმალური ექსპერიმენტებით მოგზიბლავთ, ვერც მახვილი „მიზანსცენებით“, ვერც ხაზგასმული დრამატიზმითა და პათეტიკით. მისთვის საკმარისი იყო ადამიანის შინაგანი სამყაროს მშვიდი, კონცენტრირებული გადმოცემა და მისი სურათების ფორმალური მხარეც ამ „შინაარსის“ შესაფერისია.

ჩვენი დაახლოება, ისევე როგორც ელენე ახვლედიანთან, ჩემი მეუღლის მეშვეობით მოხდა. ის და მისი თაობის მხატვარი ქალები როგორღაც შეუმჩნევლად „შექუჩდნენ“ ქეთოსა და ელენეს გარშემო — სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ამ ორმა მანდილოსანმა, უკვე სახელმოხვეჭილმა, უკვე აღიარებულმა, პირადი ადამიანური თვისებებით შემკულმა, თავისკენ მიიზიდა ახალგაზრდები, რომლებიც მხოლოდ მაშინ შლიდნენ ფრთებს. თავისი მოქალაქეობრივი მაგალითითაც, პროფესიისადმი დამოკიდებულებითაც, პროფესიონალიზმითაც მათ ბევრი რამ შეეძლოთ მიეცათ და მისცეს კიდევ თავის ახალგაზრდა კოლეგებს. ერთიც და მეორეც მარტო ცხოვრობდა. ქეთოს უფრო

პატარა ბინა ჰქონდა, ელენეს რამდენადმე უფრო დიდი — ბინები იმავე დროს სახელოსნოებიც იყო. მათს ცხოვრებას მთლიანად ხელოვნება ავსებდა. სხვა ინტერესები მათ არ გააჩნდათ — მხოლოდ მხატვრობა და ის, რაც მასთან იყო დაკავშირებული. ამ ორ ადამიანს, გარდა მაღალი კულტურისა და გულწრფელი პატრიოტიზმისა, სწორედ ეს ჰქონდა საერთო. სხვა მხრივ ძალიან განსხვავებულნი იყვნენ. ქეთო უფრო „სოლიდური“ იყო, უფრო ზომიერი და თავდაპირველი საქციელშიც და მეტყველებაშიც, თუმცა არაფერი ხელოვნურად გაზვიადებული არ ჰქონია, ინტელიგენტი ადამიანის უბრალოება კი ჰქონდა. ყოველთვის პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობას იწვევდა. იმათი უმეტესობა, ვისაც ქეთო ხატავდა, მისი მეგობარი და პატივისცემელი ხდებოდა. მეგობარი მართლაც ბევრი ჰყავდა, ქართველიც და არაქართველიც, მათ შორის რუსული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები — მომღერალი სობინოვი, პიანისტები: ნეიჰაუზი, რიხტერი და სხვებიც. ქეთო გარეგნობით შეგეძლო მიგელო მეცნიერადაც, პედაგოგადაც. ელენე თავით ფეხამდე მხოლოდ მხატვარი იყო. შეკრუპილი, მაგრამ მუდამ აფორიაქებული თმა, თავისუფლად ჩაშვებული ხავერდის ბლუზა, ყოველთვის დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი, თითქოს ქალური სინაზის უქონლობაც მიმოხრაში — ერთგვარ ბიჭურ იერს ანიჭებდა მას ხანდაზმულობის დროსაც, როცა სრულიად გაჭაღარავდა. მაღალი, ლამაზი და ელეგანტური იყო სიბერეშიც, რომანტიკულობითა და ბუნებრივი არტისტიზმით აღბეჭდილი; მაგრამ არც მას ჰქონია არაფერი ხელოვნური, ხაზგასმული, რაც ოდნავ მაინც აშორდებოდა კარგ გემოვნებას. მის სახელოსნოში მეტი იყო „ეგზოტიკურობა“, ვიდრე ქეთოსთან — ხალხური კერამიკა, ლითონის ჭურჭელი, ხალხური ქსოვილები და ტანსაცმელი, ლამაზი ნივთები. სიკეთით სავსე ადამიანი იყო, მაგრამ „ადვილი“ ხასიათი არ ჰქონია. თითქოს დემონსტრაციულად თელავდა ფეხქვეშ ყოველგვარ დარბაისლობასა და რესპექტაბელობას. ცეცხლოვანი ტემპერამენტი ჰქონდა, შფოთიანი და მოუსვენარი იყო, მოურიდებელი, პირშიმთქმელი მკვახედ (ზოგჯერ მეტიც მოსდიოდა), მის ლექსიკონში ისეთი სიტყვებიც ერია, რომლებიც ჩვეულებრივ ქალებისგან არ წარმოითქმება. მაგრამ ხშირად მაშინაც, როცა წარბშეკრული და თითქოს გაჯავრებული ელენე სწრაფად და ნაწყვეტ-ნაწყვეტ „გტყორცნიდა“ სიტყვებს, მაინც გრძნობდი მის შინაგან სითბოს.

ქეთოს ურთიერობა ადამიანებთან, მრავალრიცხოვან მეგობრებთან „კამერული“ ხასიათისა იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო

„სტატიკური“. დინამიკური ელენე კი მუდმივ ხალხში ტრიალებდა, ბობოქრობდა, არც თვითონ ისვენებდა და არც სხვას ასვენებდა. ვილაცას შეუტევედა და დაიფრენდა, ვილაცას თავისებური ბურტყუნით დაუყვავებდა, თავის გარშემო თავს უყრიდა სხვა მხატვრებს, მათთან ერთად მოგზაურობდა საქართველოს მთასა და ბარში (ჩემი მეუღლეც მისი მუდმივი თანამგზავრი იყო), თვითონ ხშირად მოგზაურობდა საქართველოს გარეთაც (სიამოვნებით ვიგონებ, რომ მასთან ერთად რამდენიმე დღე გავატარე ტალინში); თავის სახელოსნოში აწყობდა გამოფენებს — იშვიათად საკუთარი ნამუშევრებისას და უფრო ხშირად სხვებისას. და ესეც დამახასიათებელია — ვინ იყვნენ ეს „სხვები“? ან გარდაცვლილი ახალგაზრდა კოლეგა, ან მხატვართა ჯგუფი, ან ბავშვები (ბავშვები განსაკუთრებით უყვარდა!); ელენე იყო პირველი მფარველი დავიწყებულთა და ძოკრძალებულთა. ბევრ ახალგაზრდას გაუკაფა გზა, ბევრს გაუმართა ხელი, ბევრს ასწავლა ხელოვნების სიყვარული და ერთგულება. შემდეგ მან თავისისავე სახელოსნოში წამოიწყო კონკრეტების გამართვა და მალე მისი სახლი ქართული ინტელიგენციის თავმოყრის საყვარელ კერად იქცა. ყოველი ასეთი კონცერტი ნამდვილი დღესასწაული იყო. იქ ყველას მიუხაროდა. მონღერლები და სხვა მუსიკოსებ-აღბათ, არსად არ გამოდიოდნენ მსმენელთა წინაშე ისეთი მღელვარებითა და შთაგონებით, როგორც ელენეს სახელოსნოში — იქ ყველაფერი ხელოვნებით სუნთქავდა, ყველაფერა ხელოვნებისთვის იყო, იქ მისულ ადამიანს ყოველდღიურ წვრილმანსა და პროზაზე ფიქრი აღარ უნდოდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა და ახლაც მღელვარებით ვიგონებ იმ დღეს, როდესაც იქ, 1968 წლის ნოემბერში, დიდხანს და გატაცებით მღეროდა ზურაბ სოტილავა. ელენემ სტამბურად დაბეჭდილი მოსაწვევი ბარათებიც კი დაგზავნა.

ელენე მთლიანი პიროვნება იყო. მისი ხელოვნება ძალიან ჰგავს მას, როგორც ადამიანს. როგორც ფერმწერმა, მან მხოლოდ პეიზაჟით შემოიფარგლა თავი (დიდია მისი დამსახურება თეატრშიაც, სადაც იგი, საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ, ერთ-ერთი პირველი ამოუდგა მხარში კოტე მარჩანიშვილს; ასევე წიგნის ილუსტრაციის დარგშიც). და მისი პეიზაჟებიც მასავით ან ბობოქარი და ქარიშხლიანია, ან თბილი და ლირიკული; ყოველ სურათში, თუმცა ელენე ძალიან იშვიათად ხატავდა ადამიანებს, მაინც ადამიანური მაჩისცემა იგრძნობა. და ყველა პოეტური, რიმანტიკული და ამბლლებულია. რა თქმა უნდა, ელენეს განსაკუთრებული დამსახურებაა ძველი ქარ-

თული ქალაქებისადმი, ისტორიული უბნებისადმი სიყვარულის გაღვივება. ძველი თბილისი, ძველი თელავი და სიღნაღი მისი უდიდესი გატაცების საგანს შეადგენდნენ და მათ განსაკუთრებით ამაღლებული განწყობილებითა და გულმზურვალეობით ხატავდა... იმავე დროს, საქმითაც და სიტყვითაც თავგამოდებით იბრძოდა იმ ძველი უბნების გადარჩენისა და პატრონობისათვის.


ქეთო მალალაშვილთან ჩემი კონტაქტები ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან გახშირდა, როცა მან ჩემი მეუღლის, ჩემი და ჩემი ქალიშვილის პორტრეტები შეასრულა. 1961 წლის ნოემბერში მისი დიდი პერსონალური გამოფენა გაიმართა — ამით დასრულდა მთელი ციკლი გამოფენებისა (ლადოსი, დავითისა, ელენესი), რომლებიც უფრო ადრე არც შეიძლებოდა გამართულიყო. კატალოგის წინასიტყვაობის დაწერა ქეთომ მე მთხოვა და, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავწერე, თუმცა კი ტექსტი მოკლეა და ძალაუვნებურად სქემატური; 1962 წლის თებერვალში, გამოფენის დახურვის შემდეგ, გაიმართა ქეთოსადმი მიძღვნილი საღამო — იქ მოხსენება წავიკითხე, შემდეგ კი მის სახლში შეიკრიბა მეგობრების ვიწრო წრე და განსაკუთრებით სასიამოვნო საღამო გავატარეთ.

ქეთო თითქმის ოთხმოცს მიტანებული გარდაიცვალა 1973 წლის 30 მაისს. მე თბილისში არ ვიყავი და დაკრძალვასაც ვერ ჩამოვუსწარი. ელენემ კიდევ ორ წელიწადზე მეტი იცოცხლა და მოკვდა ისე, როგორც მხოლოდ მას შეეფერებოდა სიკვდილი — ფინანსთა სამინისტროს დარბაზში. მისივე თაოსნობით მოწყობილი გამოფენის დახურვის დროს, თავისი მეგობრებისა და პატივისმცემლების წრეში, როცა მადლობისა და სიყვარულის სიტყვებით მიმართავდა საზეიმოდ შეკრებილ საზოგადოებას, უცებ უგრძნობლად ჩაიკეცა და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ გრძნობაზე არც მოსულა — წავიდა სიხარულის წუთებში. ქართულ ფარდაგადაფარებულ ტახტზე ესვენა სახელოსნოში, თავისი სურათებით გარშემორტყმული. ეკიდა ქეთოს მიერ შესრულებული მისი პორტრეტი (გვიანდელი, პასტელი), ეწყო ყვავილები, ხის ფესვები და კუნძები, რამდენიმე კალათი ყვავილებისა და პატარა გვირგვინები. უკრავდნენ თენგიზ ამირეჯიბი, ლიანა ისაკაძე, ნანა დიმიტრიადი, გულნარა ქავეთარაძე. იმღერა იშხნელის ქალმა. სურათების გალერეაში კი მგონი მთელმა თბილისმა ჩაიარა მის კუბოსთან... ყველას უყვარდა, ყველას თვალში „სხვანაირი“, განსაკუთრებით პოეტური და რომანტიკული ფიგურა იყო და ბევრი არ ყოფილა ასეთი პოპულარული ქართული ხელოვნების მოღვაწეთა შორის. ძნელი წარ-

მოსადგენი იყო თბილისი, მისი მხატვრული ცხოვრება, მთელი ჩვენი საზოგადოება ელენეს გასაოცრად კოლორიტული, განუმეორებელი პიროვნების გარეშე. ელენესაც, ისევე როგორც ქეთოს, უამრავი მეგობარი ჰყავდა საქართველოს გარეთ. ორივეს დიდი დამსახურება ისიც არის, რომ მათი მეგობრები საქართველოს მეგობრებიც ხდებოდნენ, ბევრნი ჩვენს ქვეყანას მათი ხელოვნებით და მათი პიროვნებებით აღიქვამდნენ; ქეთო და ელენე დიდად უწყობდნენ ხელს ქართული კულტურის პრესტიჟის ამაღლებას. ასეთი ადამიანები ამშვენებენ და სულიერად ამდიდრებენ საზოგადოებას. მათ შემდეგ დარჩა სიცარიელე, რომელიც ძნელად თუ შეივსება.

ორმოცდაათიან წლებშივე, ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელი სასლის წყალობით, მე ზაფხულის თვეებში შესაძლებლობა მომეცა ახლო ურთიერთობა მქონოდა ბევრ საინტერესო და ჩემთვის ძვირფას ადამიანთან. ჩვენ ამ სახლის მახლობლად ვქირაობდით ბინას და მე თითქმის მთელ დღეებს მწერალთა წრეში ვატარებდი. სასაუბრო ადგილი დიდი ეზო იყო. თვით სახლს განსაკუთრებული მიმზიდველობა ჰქონდა, სანამ ჭერ კიდევ ინარჩუნებდა დიმიტრი ყიფიანის დროინდელ იერს. მერე — აქაო და უნდა გავაფართოოთო, გადააკეთეს და უახროდ დაამახინჯეს. ასეთი „რეკონსტრუქცია“ მხოლოდ სრულიად უმეცარ მშენებელს შეეძლო.

დამსვენებელთა უმეტესობას ჩემი ძველი ნაცნობები შეადგენდნენ (ახალი სულ რამდენიმე კაცი დაემატა), მაგრამ თბილისში მათ შედარებით იშვიათად და ცოტა ხნით ვხვდებოდი, ზაფხულში კი თითქოს იმ დანაკარგს ვინაზღაურებდი. იმ წლებში იქ ისვენებდნენ ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, ჩემთვის ძალიან საყვარელი სერგო კლდიაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, პოლიკარპე კაკაბაძე, შალვა აფხაიძე, ვიქტორ გაბესკირია, ლევან ასათიანი, დემნა შენგელაია, დავით კასრაძე, ნიკა აგიაშვილი, დრამატურგები — მ. მრეველიშვილი და მახეილ ჭაფარიძე; იროდიონ ქაუჯარაძე, არნო ონელი, სოლომონ თავაძე (ძალიან უყვარდა ჭოხების თლა), გრიგოლ ცეცხლაძე და სხვანი და სხვანი. იქვე მეზობლად ცხოვრობდნენ ოჯახებით ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, რევაზ ლალიძე. მწერლები სხვადასხვა თაობას ეკუთვნოდნენ, მაგრამ უმეტესობას ერთი ნიშანი აერთიანებდა: ეს ინტელიგენტი და განათლებული ქართველი მწერლების თაობები იყო. მათთან ყოფნა, საუბარი და კამათიც მიზიდავდა და მაინტერესებდა. ხოლო რევაზ



გერონტი ქიქოძე



გიორგი ლეონიძე



კონსტანტინე გამსახურდია

ლალიძე ხომ მიმზიდველობის იშვიათი უნარით გამოირჩეოდა. მეორე არ შემხვედრია ადამიანი, ყველაფერი ასეთი ხალასი, ბუნებრივი, შეიძლება ითქვას, სტიქიური რომ ჰქონოდა—ნიჭიც, ადამიანთა სიყვარულიც, მეგობრობის უნარიც, სიცოცხლით ხარბი ტეპობაც. ძალიან ჰგავდა თავისსავე მუსიკას, თავის სიმღერებს, მათს გულითად სიტოხსა და სიწმინდეს. ამიტომ უყვარდა ყველას ეს კაცი, როგორც თავისი ღვიძლი და ახლობელი.

საუბრებისა და ენამახვილობის გარდა, იქ, ბუნებრივია, დიდი ადგილი ეთმობოდა ჭადრაკისა და ნარლის თამაშსაც. განსაკუთრებით თავ-

გამოღებული მოჭადრაკე იყო ლეო ქიაჩელი; იყვნენ აზარტული მოწარმეებიც. ერთხელ დილაადრიან ჩავუარე მწერალთა სახლის ეზოს. საშა ქუთათელი და პროფესორი დავით ლორთქიფანიძე უკვე მისხდომოდნენ ნარდს. კვლავ ჩავიარე სამის ნახევარზე. ისინი განაგრძობდნენ თამაშს. ანგარიში იყო ასოცდათხით-ასოცდასამი!

ღღი სიყვარულით ვიგონებ იმათ, ვინც აღარ არის: ლეო ქიაჩელს, მომხიბვლელ ლევან ასათიანს, გასაოცრად სათნოსა და ალერსიან შალვა აფხაიძეს, ენაკვიმატ საშა ქუთათელს, ფრიად თავისებურ (და ზოგჯერ უცნაურ) დემნა შენგელაიას, ყველასათვის საყვარელსა და ძვირფას ნიკა აგიაშვილს, კეთილსა და მუდამ მოღიპარ მიშა ჯაფარიძეს (ბევრი მათგანი ნადრევედ წავიდა!)... და, რასაკვირველია, გერონტი ქიქოძეს, რომელსაც ქვიშხეთში უფრო მეტად დავუახლოვდი. ეს ერთი ყველაზე უკეთესი ნიმუშთაგანი იყო ინტელიგენტი ქართველი კაცისა იმ უამრავ ადამიანთა შორის, რომელთაც ცხოვრების გზაზე შევხვედრივარ. ფართო ლიტერატურული და ფილოსოფიური განათლება ჰქონდა, ღრმად იცნობდა ევროპულ კულტურას, მშვენივრად იცნობდა ხელოვნებას, ქართულსაც და მსოფლიოსაც, იცნობდა არა მარტო ფაქტებს, არამედ ხელოვნების ისტორიული საფეხურების პრინციპულ თავისებურებათაც. ამიტომ ყოველთვის თავისუფლად შეეძლო განზოგადება დასკვნების გამოტანისას. მაგრამ მას, როგორც ბუნებოთ მხატვარს, აინტერესებდა არა მარტო ესა თუ ის ნაწარმოები, არამედ მათი შემქმნელი პიროვნებაც, ის ცოცხალი გარემო, ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რომელშიც ეს ნაწარმოები იქმნებოდა. ასე წერდა იგი მცხეთაში აღმოჩენილ გემებზე გამოსახული პიტიანშების შესახებ, ასე წერდა სვეტიცხოვლის შემქმნელ არსუკისძეზე, ასევე წერდა თანამედროვე ქართველ მხატვართა შესახებაც. ეს ფართო განათლება, მაღალი კულტურა და აზროვნების დამოუკიდებლობა აძლევდა მას საშუალებასა და უფლებას თავისი სიტყვა ეთქვა ყოველ საკითხზე, ისეთ საჭირობორტო და ათასჯერ გადაღეჭილ საკითხზეც, როგორიც, მაგალითად, რეალიზმის საკითხი იყო. მის ნაწერებში და მის საუბარში ბანალურ აზრებს ვერ შეხვდებოდი.

გერონტი ქიქოძეს თავისებური გარეგნობა ჰქონდა. მასიური, მხრებში ჩამჭდარი თავი, „არაქართული“, მოკლე, აბზეკილი, წინიდან ცოტა გაბრტყელებული ცხვირი, მოკლედ შეკრეპილი ჭაღარა უღვაშები, ოდ-

ნავ მოხუჭული თვალები, რომლებიც თითქოს მხოლოდ შორეული საგნებისკენ იყო მიპყრობილი; მშვიდი გამომეტყველება, ღიანი მოძრაობა, ღრწი ლაპარაკი. დიდად თავდაჭერილი იყო. ერთი შეხედვით გეგონებოდა, რომ ეს კაცი თავისი ტემპერამენტით მკვრეტელია, გეგონებოდა, რომ მხოლოდ შორიდან, ფილოსოფიური სიმშვიდით, ირონიითაც კი აკვრდებოდა ცხოვრებას, ადამიანებს. ნამდვილად კი, თუმცა მართლაც გაწონასწორებული ადამიანი იყო, მართლაც შეეძლო მოვლენათა ფილოსოფიური კვრეტა, წვრილმანებზე მალა დგომა, ეს მისი მშვიდი, დარბაისლური გარეგნობა დიდ შინაგან ტემპერამენტს ფარავდა. სიმშვიდე და, მით უფრო, გულგრილობა, ცხოვრებისაგან განდგომა მისთვის სრულიად უცხო იყო, ის სამშობლოს ინტერესებით სუნთქავდა და არსებობდა. იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელსაც გულთან ასე ახლოს მიეტანოს საქვეყნო საქმე და ასე უსაზღვროდ ჰყვარებოდეს ცოცხალი ცხოვრების მთელი სულიერი და ხორციელი მრავალფეროვნება. გულწრფელად უხაროდა ყოველი წინ წადგმული ნაბიჯი. ყოველი ახალი ტალანტის აღმოჩენა და ძალიან მტკივნეულად განიცდიდა ყოველსავე ცუდსა და მცდარს, მით უფრო, თუ საქმე დღევანდელი საქართველოს ავ-კარგს შეეხებოდა.

მშვენიერი გემოვნება ჰქონდა, როგორც მწერალს. რა ნათლად, უბრალოდ, ბუნებრივად წერდა, როგორ უცხო იყო მისთვის მანერულობა, ლელარქნა და პრეტენზიულობა! ასეთივე იყო მისი, როგორც ადამიანის, „სტილიც“: არაფერი სენსაციური, ხმამაღალი და იაფფასიანი, არაფერი სარეკლამო — ეს მისთვის უცხო კი არა. აუტანელიც იყო.

მასთან საათობით საუბარი არ მოგეწყინებოდა. მაგრამ ქვიშხეთში ჩვენ არა მარტო ვსაუბრობდით, იქიდან ძეგლების სანახავადაც დავდიოდით. მთავარი ობიექტი ყინცვისი იყო. როგორ ტკებოდა ბატონი გერონტი ბუნებისა და ძეგლების ცქერით, რა დაუღალავი და აღტაცებული იყო იმ ჩვენი ექსკურსიების დროს! სიბერისა არაფერი ეტყობოდა. არც არასოდეს მიგრძენია ჩვენ შორის დიდი განსხვავება წლოვანების მხრივ, მაშინაც კი, როცა სამოცდაათს გადასცილდა.

თუკი რამდენადმე მიუახლოვდებოდით გერონტი ქიქოძეს, ის მხოლოდ უბრალო ნაცნობად ვერ დარჩებოდა, აუცილებლად რაღაც ადგილს იჭერდა შენს ცხოვრებაში, რაღაც გავლენას ახდენდა შენზე. ეს მისდა უნებურად ხდებოდა, იმიტომ, რომ ძნელად თუ მოიძებნებოდა



სერგო კლიაშვილი



ლევან ასათიანი



პაველ ინგოროვცა



ალექსანდრე ქუთათელი

მასზე უფრო მორიდებული კაცი. არასოდეს არ გახვევდა თავის აზრსა და ნებას. მაგრამ თითქოს სითბოსა და შუქს აფრქვევდა თავის გარშემო და საკვირველი ძალით გიზიდავდა თავისკენ. მისი გარდაცვალების შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ის ერთი იქ ადამიანთაგანია, ვინც ხსოვნას არასოდეს შორდება და ხშირად მენატრება ხოლმე. ასეთი ადამიანების მნიშვნელობა მათი ლიტერატურული მემკვიდრეობით არ განისაზღვრება. სანამ ცოცხალნი არიან, ისინი ოზონით წმენდენ საზოგადოებრივ ატმოსფეროს, აკეთილშობილებენ საზოგადოებას. ამიტომაც, რომ მათს წასვლას განიცდი, როგორც აუნაზღაურებელ დანაკარგს.

ქვიშხეთიდან სხვაგანაც დავდიოდით. ერთხელ ახალგაზრდები ავიყოლიე, ფეხით გადავლახეთ ლიხის ქედი და იმერეთში, სოფელ ნუნისში, ამოვყავით თავი. იქ ძალიან საინტერესო, ბევრჯერ გადაკეთებული ძველი ეკლესია დგას (მე სწორედ მისი ნახვა მინდოდა) და, როგორც ცნობილია, სამკურნალო წყალიც არის. ერთხელ კი საშა ქუთათელმა, შალვა აფხაიძემ, მიშა ჭაფარიძემ და მე გადავდეთ თავი და ავედით ქვიშხეთის ზურგს უკან აღმართულ მთაწმინდაზე. ძალიან ციკაბო და მომქანცველი აღმართია, მაგრამ იქიდან რომ გადმოვიხედე, ასე მეგონა დედამიწას შორიდან ვუყუარებდი... ულამაზესი, გრანდიოზული, გარინდებული პანორამა იშლება... ყოველდღიური წვრილმანები თითქოს ქრება, რჩება მხოლოდ მარადიული და ამალღებული. ის შთაბეჭდილება დღემდე არ გამწელებია (ჩემი თანამგზავრები იქ ბავშვებივით მხიარულობდნენ, ფეხზე გაიხადეს, ფერხულს უვლიდნენ და მღეროდნენ ორსტრიქონიან, სახუმარო ლექსს, რომლის სიტყვებიც და მელოდიაც, რამდენადაც მახსოვს, საშა ქუთათელს ეკუთვნოდა). კარგი, დაუვიწყარი შეხვედრები იყო.

იმ წლებში — ორმოცდაათიანსა და სამოციანში — ბევრი სხვაც იყო მეტ-ნაკლებად ღირსსახსოვარი.

1951: წელს, ივნისში, მოეწყო მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამსვლელი სესია ქუთაისში, მოძღვნილი ენათმეცნიერების საკითხებისადმი. იგი გაიმართა ი. სტალინის მიერ ენათმეცნიერების საკითხებზე წერილის გამოქვეყნების წლისთავის გამო. ამას ვიგონებ იმიტომ, რომ ი. სტალინის წერილი, თუმცა მისი საგანი ენათმეცნიერება იყო, ასე თუ ისე ყველა ჰუმანიტარულ დარგს შეეხო: იქ იყო რამდენიმე წინადადება, რომლებიც

გულისხმობდა, რომ ყველა დარგში სპეციფიკური პროფესიული კვლევაა შესაძლებელი და საჭირო. ამ დებულებას ჩავკიდეთ ხელი, ეს ჩვენთვის არსებითი იყო იმ შემოტევების დროს, ზემოთ რომ მოვიხსენიე, როცა „ბრალმდებლები“, უპირველეს ყოვლისა, სწორედ პროფესიულ კვლევასა და ანალიზს გვითვლიდნენ დანაშაულად. ყველა დარგის სპეციალისტები გამოეხმაურნენ ი. სტალინის წერილს, ჩვენმა ინსტიტუტმა კი მე დამავალა შესაფერისი წერილის დაწერა. დაწერე და რამდენიმეჯერ წავიკითხე კიდევ საჯაროდ „ქართული ხელოვნების ისტორიის ზოგი საკითხი ი. სტალინის საენათმეცნიერო შრომების შუქზე“. ეს იყო კრიტიკა მარის კონცეფციებისა ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ, რომლებიც — გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას — არის ზედმიწევნით დამახასიათებელი ნიმუში აპრიორული, დაუფუძნებელი, მართლაც რომ ფანტასტიკური კონსტრუქციებისა, მაშინ როდესაც მარი (ეს არის საკვირველი!) სხვებზე უკეთ, თორემ უარესად ხომ არ იცნობდა ისტორიულ ფაქტებს! არის კრიტიკა იმათიც, ვინც მარის იაფეტური თეორიის მოშველიებით ცდილობდა ეკვლია ჩვენი ხელოვნება და თვითონაც სრულიად ნაძალადევ, ყალბ დასკვნებს აღწევდა.

ჩვენს დელეგაციას მეთაურობდა აკაკი შანიძე, აკადემიის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი. მის შემადგენლობაში უმეტესად, ბუნებრივია ენათმეცნიერნი იყვნენ, მაგრამ რამდენიმე ვერიეთ მონათესავე დარგთა წარმომადგენლებიც. მე ის ჩემი მოხსენება გავიმეორე ქუთაისშიც. ქუთაისლები ცხოვლად გამოეხმაურნენ სესიას, ხალხი ბევრი ესწრებოდა, გვქონდა შეხვედრა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, დაგვათავალიერებინეს ქალაქის სამრეწველო ობიექტები, მიდამოები. ქუთაისში ჩასვლა ყოველთვის მალეღვებს ხოლმე. ამჯერად იქ ყოფნა მით უფრო საინტერესო და სასიამოვნო იყო, რომ დელეგაციის წევრთა შორის ჩემთვის ახლობელი და საყვარელი ადამიანებიც იყვნენ. ორი მათგანი აღარ არის ცოცხალი — ვარლამ თოფურია და ვანო გიგინეიშვილი, ორი დაუვიწყარი, ყველასათვის პატივისცემითა და მადლობით მოსაგონარი ნათელი პიროვნება. ვარლამ თოფურიას, რომლის სახელიც, როგორც ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი ბურჯისა, ახალგაზრდებისთვის მზრუნველისა, მშვენიერი ლექტორისა და აღმზრდელისა, ფართოდ არის ცნობილი. ჩემთვის კი ძვირფასია მისი ადამიანური თვისებებიც. ბავშვობიდანვე ვგრძნობდი მის გულითადობას (საშუალო სკოლაში მამაჩემის მოწაფე იყო და ბოლომდის დიდ მეგობრებად დარჩნენ). მერე მახსოვს



ნიკა აგიაშვილი



ვარამ თოფურია

1932 წლის ზაფხული სურამში, სადაც ჯანაშიების ოჯახიც ისვენებდა. ვარლამის ვაჟი გურამი და სიმონის ლაშა სულ პატარები იყვნენ. ძალიან უბრალო, უპრეტენზიო, ადვილად მისაწვდომი, თავმდაბალი კაცი იყო, არაჩვეულებრივად კეთილი გაღიმება იცოდა. საქმეში კი, როგორც მისი თანამშრომლებისგან მსმენია, ფრიად მომთხოვნი ყოფილა. ფაფარივით აშლილი ლამაზი შეველურა ძალიან ადრე გაუქალარავდა და ეს შეფარდება თოვლივით თეთრი თმისა ახალგაზრდა სახესთან თავისებურ იერს ანიჭებდა და გამოარჩევდა მას.

ვანო გიგინეიშვილის ღვაწლი კი, მე მგონია, ფართო საზოგადოებისთვის იმდენად ცნობილი არ არის, როგორც უნდა იყოს. მოკრძალებული კაცი იყო, არ ხმაურობდა. ვინც მას ახლო არ იცნობდა და მის საქმიანობას ახლოდან არ ადევნებდა თვალს, ვერ წარმოიდგენს, რამოდენა ტვირთს ზიდავდა ვანო ყოველდღიურად, რამდენ სასარგებლო საქმეს აკეთებდა ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის, მისი ნორმების დადგენისთვის, რა ღრმა მცოდნე იყო ძველი ქართული მწერლობისა და, კერძოდ, ვეფხისტყაოსნისა, რა მიმზიდველი და მომ-

ხიბვლელი ადამიანი იყო, ურთიერთობისთვის როგორი ადვილი. კაცი, რომელსაც სხვისი არაფერი არ შურდა, სხვისი სიკეთე უსაროდა და თავისთვის არაფერს არ მოითხოვდა. მისი ნახვა მომენატრებოდა ხოლმე და ზოგჯერ შევუვლიდი ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მხოლოდ იმისთვის, რომ ათიოდე წუთი ვყოფილიყავი მასთან ერთად. საერთოდ ნიჭიერი კაცი იყო და იუმორის გრძნობაც ჰქონდა, როგორც გურულების უმეტესობას. ხშირად ერთად გვიხდებოდა გრძელ სხდომებზე დასწრება. როცა მოგვებზრდებოდა, იმით ვერთობოდით, რომ მე კარიკატურებს ვხატავდი (გარშემო მსხდომებისას), ის კი საკვირველი სიმსუბუქით თვალისდახამხამებაში თხზავდა სახუმარო ლექსებს, პატარა ნაგლეჯზე წერდა და იქვე არიგებდა ისე, რომ თავისთვის არც არაფერს იტოვებდა. მარტო მე ათიოდე ასეთი ლექსი მაინც დამრჩა (იმიტომ, რომ ზოგჯერ მეც ვიყავი ლექსის საგანი), ალბათ, მის სხვა ნაცნობ-მეგობრებსაც შემორჩებოდათ. ბოლო წლებში დიდხანს ავადმყოფობდა (გული!) და გარდაიცვალა შემოკმედებითი სიმწიფის ეამს, თუმცა კი სამოცდაათს გადააბიჯა. დიდი გულისტკივილით და სიყვარულით ვიგონებ მას.

1953 წელს შემიყვანეს ახლად დაარსებული ყურნალის „საბჭოთა ხელოვნების“ სარედაქციო კოლეგიის წევრად (ჩემდა სასიხარულოდ, შემთხვევით გადაერჩი რედაქტორად დანიშვნას). რამდენიმე წლის შემდეგ სერგო ზაქარიაძე, პროფესორი ლადო დონაძე და მე, იმის მომიზეზებით, თითქოს საამისოდ ვერ ვიცლიდით, გამოგვიყვანეს რედაქციიდან. ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ რედაქტორის მოსაზრებებს არ ვეთანხმებოდით. ჩემთვის საინტერესო იყო ამიერკავკასიის არქიტექტორთა კონფერენციებში მონაწილეობა: ერთხელ ვიყავი ბაქოში, ერთხელ — ერევანში, მომიხდა კიდევ ერთი მოგზაურობა სომხეთში გოგი ლომთათიძესთან ერთად (სამი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების ერთობლივი სესიის მომზადებასთან დაკავშირებით), როცა შესაძლებლობა მოგვეცა ძველი ძეგლები გვენახა (განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა პტლნის ტაძარმა).

იმ წლებში რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრიც ვიყავი, და რაკი მაშინ საბჭოს სხდომებს ხშირად იწვევდნენ, საკმაოდ აქტიურად ჩავერთე თეატრის „მიმდინარე“ საქმიანობაში. ერთხელ მწვავე დისკუსია გადაგვხდა მიხეილ ჯაფარიძის პიესის „ჩვენებურების“ დადგმის გამო. პიესაც მართალი და გულწრფელი იყო, აკაკი დვალიშვილის დადგმაც და მსახიობთა თამაშიც, მაგრამ საბჭოს ერთ-

ორ „ფხიზელ“ წევრს პიესაში რაღაც მკრეხელობა მოეღანდა და მათი წინააღმდეგობის დაძლევა გაძნელდა.

1955 წელს, როდესაც მოსკოვში ღრეზდენის სურათების გალერეის გამოფენა გაიხსნა, ჩვენმა ინსტიტუტმა ყველა თანამშრომელს მისცა საშუალება მისი ნახვისა. ეს ერთი უძლიერესი შთაბეჭდილებათაგანი იყო ყველასთვის — ემოციურიც, ესთეტიკურიც, პროფესიულიც; 1958 წელს, როცა მოსკოვშივე ქართული ხელოვნებისა და კულტურის დეკადა გაიმართა, მეც მომიხდა მასში მონაწილეობის მიღება არქიტექტორთა კავშირის ხაზით: არქიტექტორთა სახლში ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა მოეწყო და მე რამდენჯერმე ვუძღვებოდი მოსკოველ არქიტექტორთა ჯგუფებს. მაშინ მოწმე გავხდი, როგორი აღფრთოვანებით მიიღეს დიდ თეატრში ალექსი მაჭავარიანის „ოტელო“ — ბევრს ახსოვს, ცხადია, რომ მისი დადგმა 1957 წელს თბილისის მხატვრული ცხოვრების დიდ მოვლენად იქცა და ვისაც უნახავს ეს სპექტაკლი, ვერ დაივიწყებს ჭაბუკიანის ქორეოგრაფიას, თვით ვახტანგ ჭაბუკიანისა და ზურაბ კიკალეიშვილის შთაგონებულ ცეკვას, სოლიკო ვირსალაძის დეკორაციებსა და კოსტიუმებს, რომელთა როლიც საერთო მხატვრული სახის შექმნისათვის არსებითი იყო (როგორი რაფინირებული კოლორისტია, როგორ გრძნობს სცენას, ეპოქას, სტილს!); მოწმე ვიყავი აგრეთვე აკაკი ხორავას, სერგო ზაქარიაძისა და ეროსი მანჯგალაძის ტრიუმფისა დოდო ალექსიძის მიერ დადგმულ „ოიდიპოს მეფეში“, მიხეილ თუმანიშვილის „ესპანელი მღვდლის“ ერთსულოვანი წარმატებისა. იმ დროის თბილისის მხატვრულ ცხოვრებას რომ იგონებ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება თვალწინ არ წარმოგიდგეს სესილია თაყაიშვილის გასაოცარი „ბებია“ ნოდარ ღუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“, რომელიც გიგა ლორთქიფანიძემ დადგა მარჯანიშვილის თეატრში — იქ მსახიობთა იშვიათი ანსამბლი იყო, მაგრამ უნიკიერესი და განუმეორებელი სესილია თაყაიშვილი მაინც გამოირჩეოდა!

1965 წელს მიეკუთვნება ბიზანტიოლოგთა VII საკავშირო კონფერენცია თბილისში, რომელმაც ბევრი ახალი მეგობარი შეგვქმინა და ბევრ კოლეგასთან დაგვაახლოვა — ინსტიტუტის თანამშრომლები მასში აქტიურად მონაწილეობდნენ (კონფერენციის ერთ-ერთი სექცია ხელოვნებისა იყო — სხდომები საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში გვექონდა); მთლიანად ჩვენმა ინსტიტუტმა მოამზადა (სულ მცირე გამონაკლისით) ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი თავები საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების ისტორიის მრავალტომეუ-

ლისთვის, რომლის გამოცემაც საკავშირო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტმა ითავა; ვმონაწილეობდით „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიისთვის“ ქართული ხელოვნების მასალის მომზადებაშიაც. სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი დაჟინებითი მოთხოვნისა, ხელოვნების დარგში მაშინ არსებული ვითარების გამო, ენციკლოპედიის მეორე გამოცემაში ვერ მოხვდნენ ვერც დავით კაკაბაძე, ვერც გულიაშვილი, ვერც ქეთო მაღალაშვილი, ვერც ნიკოლოზ კანდელაკი... და საერთო სურათი სრულიად მცდარი გამოვიდა; მესამე გამოცემაში საქმე გამოსწორდა.

გამოიცა ჩვენი ინსტიტუტის შრომების „ქართული ხელოვნების“ რამდენიმე ტომი, საფუძველი ჩაეყარა მის B სერიას „ახალი და საბჭოთა ხელოვნების საკითხები“; იმატა თანამშრომელთა წერილების რიცხვმა პერიოდიკაში, წიგნებად გამოცემულმა შრომებმაც. ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ თეიმურაზ ბარნაველმა შეადგინა პრაქტიკულად ძალიან საჭირო წიგნი-ცნობარი „საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, აუცილებელი სახელმწიფო დაცვაზე“, სადაც რაიონების მიხედვით წარმოდგენილია ათასზე მეტი ძეგლი — ეს, ცხადია, მხოლოდ ნაწილია ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე დარჩენილი ძეგლებისა, მაგრამ, როგორც პირველ ცდას, ამ წიგნს უეჭველი მნიშვნელობა ჰქონდა, მას დღესაც მიემართავთ ხოლმე (გამოვიდა 1959 წელს ვახტანგ ცინცაძის რედაქციით და ნიკოლოზ სევეროვის მიერ უფრო ადრე სასწავლო მიზნით შედგენილი გრაფიკული ტაბულებით. განსვენებული თეიმურაზ ბარნაველი, ვასილ ბარნოვის ვაჟი, მრავალი წლის განმავლობაში იყო ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელი და დიდი შრომა გასწია ქართული წარწერების შეკრებისა და მეცნიერული გამოცემისთვის).

იმ წლებში და შემდეგაც თბილისში კიდევ ბევრი რამ ხდებოდა მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში ისეთი, რაშიც ჩემი ინსტიტუტელი ამხანაგები და მეც ვმონაწილეობდით: სხვადასხვა საბჭოს, ეიურის, რედაქციის, კომისიის, კოლეგიის საქმიანობა, ჩვენი საქმის „ტელე-პროპაგანდა“, პოპულარული ლექციების კითხვა „ცოდნის“ საზოგადოების დავალებით და „ცოდნის“ გარეშეც, უფრო მჭიდრო კავშირი ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმესთან, პიონერებთან და მოსწავლეებთან შეხვედრები, გამოფენების განხილვები და ვინ იცის კიდევ რამდენი რა, — ეს ყველაფერი საკუთრივ ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის გარდა და მასთან ერთად. ინსტიტუტი ადრევე

ჩაერთო ჩვენი ქვეყნის კულტურულსა და მხატვრულ ცხოვრებაში, იმ წლებში კი ეს „ჩართვა“ კიდევ უფრო აქტიური და ორგანული გახდა. სხვაგვარად, ცხადია, არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

6. ჭარბი ხელოვნება საერთაშორისო ასპარაჟზე

1973 წლის 14 იანვარს გარდაიცვალა გიორგი ჩუბინაშვილი. ოთხ-მოცდაშვიდი წლისა იყო. ნათელი გონება ბოლომდე შერჩა, მაგრამ ბოლო ხანებში ძალიან მოტყდა. უკანასკნელ წელიწადს ველარც მოდიოდა ინსტიტუტში. ადგილი ცხოვრება არ ჰქონია, ბევრი დაბრკოლების გადალახვა და ბრძოლის გადატანა მოუხდა, ბოლოს ფიზიკურადაც ძალიან იტანჯებოდა. და მიინც, ჩემი აზრით, იგი ბედნიერ კაცად შეიძლება მივიჩნიოთ. არა მარტო იმიტომ, რომ თავისი ღვაწლის სრულ აღიარებას მოესწრო და ამ ქვეყნიდან გამარჯვებული წავიდა, არამედ იმიტომ, რომ დასცალდა და შეძლო თავისი ამქვეყნიური მისიის შესრულება: საფუძველი ჩაუყარა ქართული ხელოვნების ისტორიის მეცნიერულ დისციპლინას, პირველმა გამოაჩინა ქართული ხელოვნების ნამდვილი ადგილი და მნიშვნელობა, შექმნა სკოლა და თავის შემდეგ დატოვა მის მიერვე დაფუძნებული ინსტიტუტი, დატოვა დაწყებული საქმის გამგრძელებლები. ერთი ადამიანისთვის საკმარისზე მეტია. თუ იმ დროიდან ვიანგარიშებ, როდესაც სამშენებლო ინსტიტუტში მე მასთან პრეპარატორად დამნიშნეს და მისი ლექციების თარგმნა დამავალეს, გიორგი ჩუბინაშვილთან მე თქმის ორმოცი წელიწადი ვითანამშრომლე. ინსტიტუტის დაარსების დღიდან კი, ოცდაცამეტი წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. მთელი მისი ცხოვრება ჩემ და ჩემი კოლეგების თვალწინ მიმდინარეობდა. რამდენიმე წლის მანძილზე ვიყავი სწავლულ მდივნად, 1948-დან როდესაც სევეროვი კიევს გადავიდა, თანამიმდევრობით — ხელოვნების ისტორიის განყოფილების გამგედ, არქიტექტურის ისტორიის, საბჭოთა ხელოვნების განყოფილების გამგედ, 1956 წლის 1 დეკემბრიდან დირექტორის მოადგილედ. ჩუბინაშვილის გარდაცვალების შემდეგ კი წილად მხვდა ფრიალ საპატიო და ძნელი მოვალეობა — ჩვენი ინსტიტუტის დირექტორობა. გიორგი ჩუბინაშვილთან თანამშრომლობა ჩვენ ყველას იმიტომ გვიხაროდა და გვეხალისებოდა (ბევრი სწვა მიზეზის გარდა) რომ მისი საესებით გვჯეროდა, როგორც მეცნიერისაც და როგორც პიროვნებისაც. თუ საქმის მეზაურს ამის დამსახურება

არ შეუძლია, მასთან გაძლებაც ძნელია და საქმეც ნაკლებად მიიწევს წინ, მასთან გამოთხოვებამ დაადასტურა, რომ იგი დიდი სიყვარულით სარგებლობდა. მთელმა ინსტიტუტმა გიორგი ჩუბინაშვილი ცრემლით დაიტირა. მისი სახელი ეწოდა ინსტიტუტს, მოგვიანოდ თბილისის ერთ-ერთ ქუჩასაც (მანამდის რომ რენიგერისა ერქვა), მის საფლავზე, უნივერსიტეტის ეზოში, ბიუსტი დაიდგა; იმ სახლს, სადაც ცხოვრობდა (ორჯონიკიძის ქ. № 20) მემორიალური დაფა გაუკეთდა.

კარგი იყო, ცოტა კიდევ რომ დასცლოდა: მაშინ ნახავდა, როგორ აქტიურად დაიწყო ქართულმა ხელოვნებამ და ქართულმა ხელოვნებათმეცნიერებამ საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა.

ეს სწორედ სამოცდაათიანი წლების დადგომისთანავე მოხდა. ზემოთ ვთქვი, რომ უკვე მანამდე აშკარად გამოჩნდა ქართული ხელოვნებისადმი სერიოზული ინტერესის გაღვივება დასავლელ მკვლევართა ფართო წრეებში. ახლა ამ ინტერესმა უფრო კონკრეტული სახე მიიღო და რეალური ნაყოფიც მოგვცა. უპირველესი როლი ამ მხრივ შეასრულეს ჩვენმა იტალიელმა კოლეგებმა, რომლებთანაც სწორედ მაშინ დამყარდა მჭიდრო ურთიერთობა.

1970 წლის აპრილის დასაწყისში მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებიდან, რომლის აკადემიკოს-მდივანი გიორგი მელიქიშვილი იყო, მომივიდა შემდეგი წერილი იტალიურ ენაზე: „მილანი. 5. 3. 1970. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ღრმად პატივცემულ პრეზიდენტს. თბილისი. როგორც 1969 წლის 28. 11 გამოგზავნილ წერილში გთხოვდით, განზრახვა გვაქვს ჩამოვიდეთ სამეცნიერო მისიით საქართველოს შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების შესასწავლად და საამისოდ გვჭირდება აკადემიის ოფიციალური მხარდაჭერა. დიდად მადლობელი ვიქნები, თუ შემოგვითვლით დასტურს, რომელიც აუცილებელია, რომ პროგრამის შედგენა შევძლოთ. მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები“. წერილი დაბეჭდილი იყო მილანის ჰუმანიტარული საგნების ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის ბლანკზე. ხელს აწერდა ჩემთვის უცნობი პირი, „კვლევა-ძიების ხელმძღვანელი არქიტექტორი ადრიანო ალპაგო ნოველო“. წერილზე სამი რეზოლუცია იყო: „აკად. გ. წერეთელს. ნ. მუსხელიშვილი. 1. 4. 1970“; „აკად. გ. მელიქიშვილს. გ. წერეთელი. 1. IV. 1970“. „ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. პროფ. ვ. ბერიძეს. გ. მელიქიშვილი“. აღმოჩნდა, რომ ჩვენი აკადემიის მაშინდელ აკადემიკოს-მდივანს სერგო ღურშიშიძეს სწორედ იმ დღეებში უკვე გაეგზავნა თანხმობა, მეც გავუგზავნე ალპაგო ნოველოს წერილი, რომლითაც

ვატყობინებდი, რომ ჩვენი ინსტიტუტი მზად არის მიიღოს იტალიელი მეცნიერები და აღმოუჩინოს მათ დახმარება. ისიც გამოიკვია, რომ „ქუმანიტარული საგნების ინსტიტუტი“ რატომღაც მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შემადგენლობაში ყოფილა, როგორც მისი ერთ-ერთი დანაყოფი.

ასე დაიწყო ჩვენი საფუძვლიანი, ნაყოფიერი, საქმისთვის დიდად სასარგებლო ურთიერთობა იტალიელ მკვლევარებთან, ურთიერთობა, რომელიც ნამდვილ მეგობრობად გადაიზარდა. ამ ურთიერთობის მთავარი იტალიელი მოქმედი პირნი, გარდა ადრიანოსი, იყვნენ არქიტექტორი ენძო ჰიბში — ესეც მილანელი; შუა საუკუნეების ევროპული და ბიზანტიური ხელოვნების ცნობილი მკვლევარი, ტურინელი პროფესორი პაოლო ვერძონე და ბერგამოს უნივერსიტეტის პროფესორი ნინო ყაუხჩიშვილი. ჩვენ ბედმა გავგილიმა იმ მხრივაც, რომ გარდა ძალადი პროფესორული დონისა, შესაშური საქმიანი თვისებებისა, ყველას იშვიათი ადამიანური ღირსებებიც აღმოაჩნდა. ამ ოთხს შემდეგ რამდენიმე სხვაც მიემატა, მათ შორის ორი მანდილოსანი, რომლებიც აგრეთვე ჩვენი, და საერთოდ, საქართველოს გულითადი მეგობრები გახდნენ: რომის ტელევიზიის თანამშრომელი ლუიზა კოლოდი და „რომის ფრანგული სკოლის“ (ე. ი. რომის ფრანგული სამეცნიერო ინსტიტუტის) ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნოელ დელა ბლანშარდიერი.

რამ მოიყვანა ისინი საქართველოში, ქართულ ხუროთმოძღვრებასთან? რა თქმა უნდა, საკუთარი კვლევა-ძიების ლოგოკაპ, თანდათან მომწიფებულმა შეგნებამ, რომ ქართული არქიტექტურაც ერთ-ერთი აუცილებელი რგოლია წინააღმოსავლეთის ხუროთმოძღვრების ისტორიის ერთიანი ჯაჭვისა. ალბათ ნოველოც შუა საუკუნეების არქიტექტურის მკვლევარია. სწავლობდა ბიზანტიას, შემდეგ აქტიურად ჩაება სომხური ხუროთმოძღვრების შესწავლაში. მისი ხელმძღვანელობით მილანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან შეიქმნა სომხური არქიტექტურის შემსწავლელი ცენტრი, რომელსაც ნივთიერად უზრუნველყოფდნენ და უზრუნველყოფენ მილანის სომხური სათვისტომო, იქაური (და, შესაძლებელია, აგრეთვე ევროპის სხვა ქვეყნებში მცხოვრები) შეძლებული სომხები. ამ ცენტრმა, რომელსაც გრაფიკული და ფოტომასალის მდიდარი ფონდი ჰქონდა, მოასწრო გამოეცა რამდენიმე ალბომი სომხური ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლების შესახებ — მშვენიერი ფერადი რეპროდუქციებით (ფერადი ფოტოგრაფიის საუკეთესო სახელოსნო მილანში სომეხს ეკუთვნის),

comune di milano · ripartizione
cultura e spettacolo
civiche raccolte archeologiche
facoltà di architettura del
politecnico di milano
istituto di storia dell'arte della
georgia · ibilsi
associazione italia · urss

castello sforzesco
di milano

gennaio-febbraio 1977

architettura georgiana

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენის აფიშა, მილანი, 1977 წ.

გრაფიკული დოკუმენტაციითა და განმარტებითი ტექსტებით (ეს მთლიანად სერიაა, რომლის გამოცემა დღესაც გრძელდება). და სწორედ ამ გზით, შეიძლება ითქვას, „სომხეთის გამოვლით“ მოაღწია საქართველომდე აღრიანომ, მასთან ერთად მისმა თანამშრომელმა არქიტექტორმა ენძო ჰიბუშმა. მათგან განსხვავებით, ნინო ყაუხჩიშვილი ფილოლოგია — რუსული ლიტერატურის სპეციალისტი (ისიც მილანში ცხოვრობს, თუმცა კი ბერგამოში ასწავლის). მისი ინტერესი საქართველოსადმი გენეტიკურია. თუმცა ის უეცხოეთში დაიბადა და დღემდე თავისი ცხოვრება იქ გაატარა (უმეტესად იტალიაში), არც ქართული იცის, მას დაუცხრომელი მისწრაფება აქვს საქართველოსა და ქართული კულტურისადმი, ასეთივე დაუცხრომელი სურვილი მისი პოპულარიზაციისა დასავლეთში. ნინოს დედა რუსი იყო, მამა, სიმონ ყაუხჩიშვილის ძმა, გამოჩენილი ინჟინერი, დიდხანს მუშაობდა სიმენსის ქარხნებში. ნინოს ჰყავდა ძმა — გუგული (გიორგი), ყელ-ყურის ექიმი, ზედმიწევნით სიმპათიური კაცი, რომელიც ორმოცდაათი წლისა გარდაიცვალა (მე მოვასწარი მისი გაცნობა). იშვიათად მინახავს ასეთი დაუშრეტელი ენერჯისა და ტემპერამენტის ქა-

ლი: პატარა ცოცხალი, მოძრავი, ენამახვილი, ნამდვილი ჭინკა. ერთხელ რომის აეროპორტში ერთად მოგვიხდა ერთი თვითმფრინავიდან შეორეში გადაჯდომა, გვაგვიანდებოდა და ნინო, სამოც წელს მიტანებული, ისე მიზნობდა, რომ პატარა ბიჭი ვერ მიეწეოდა. აი ეს ნინოც გადაიქცა, ადრიაინოსთან ერთად, იტალიურ-ქართული თანამშრომლობის ერთ-ერთ მამოძრავებლად, — „ლოკომოტივად“, როგორც ერთმა ჩვენმა საერთო კოლეგამ თქვა მის შესახებ.

იტალიური „მისიის“ ჩამოსვლამდე მაინც წელიწადზე მეტი გავიდა. პირველად ჩამოვიდნენ 1971 წლის მაისში, მომდევნო წლებში კი ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდნენ. ინსტიტუტის თანამშრომლებმა ძალიან სწრაფად გამონახეს მათთან საერთო ენა, მათ შორის ძალიან გულითადი განწყობილება დამყარდა, რაც მხოლოდ სასარგებლო იყო საქმის-

თვის. იტალიელები ექვსჯერ თუ შვიდჯერ იყვნენ საქართველოში, ინსტიტუტის დახმარებით შემოიარეს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე, ვარძიის, სენანეთის, ხევისა და თუშეთის ჩათვლით, და შეაგროვეს გრაფიკული მასალა, თვითონ კი უამრავი თეთრ-შავი და ფერადი სურათი და სლაიდი გადაიღეს (ადრიაინოც და ენძოც უმაღლეს პროფესიულ დონეზე იღებენ; ჩვეულებრივ ფოტოგრაფებთან შედარებით ის უპირატესობაც აქვთ, რომ ღრმად ესმით და გრძნობენ არქიტექტურის სპეციფიკას, მის „ურთიერთობას“ ბუნებრივ გარემოსთან — ამას ისინი სავსებით სამართლიანად აქცევდნენ საგანგებო

L'ART MÉDIÉVAL GEORGIEN

SÉMINAIRE ORGANISÉ
PAR
L'ÉCOLE FRANÇAISE DE ROME

Rome, 4 juin 1973
Piazza Navona, 62, à 16 h

შუა საუკუნეების ქართული ხელოვნობაში მიძღვნილი სემინარის მოსაწვევი ბარათი

ყურადღებას). ასე რომ, ის მათი ცენტრი, რომელსაც კვლავ „სომხური ხუროთმოძღვრების შემსწავლელი“ ეწოდება, ფაქტობრივად გადაიქცა „ქართულ-სომხურ“ ცენტრად. საქართველოში ყველა ექსპედიცია ამ „ცენტრის“ სარჯზე მოეწყო. იმავეთვე მათ განზრახული ჰქონდათ წიგნის მომზადება ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ, გზადაგზა ჩვენი თანამშრომლობის „გააქტიურების“ ახალი აზრებიც წამოიჭრა. ერთი ასეთ ნაბიჯთაგანი იყო ქართული თემების ჩართვა რავენის ყოველწლიური „კურსების“ პროგრამაში. ეს ტრადიციული სამეცნიერო-სასწავლო შეკრებაა, რომელსაც ეწოდება „კულტურის კურსები რავენისა და ბიზანტიის ხელოვნების შესახებ“, და რომელიც 1973 წელს უკვე მეოცედ იმართებოდა. კურსების პროგრამა მხოლოდ რავენისა და საკუთრივ ბიზანტიის ხელოვნებით არ იფარგლება — მეზობელსა და მონათესავე კულტურებსაც მოიცავს. ჩვეულებრივ ეს „კურსები“ მარტში ეწყობა და ორიოდ კვირა გრძელდება. ლექტორებად იწვევენ იტალიელ და უცხოელ მეცნიერებს, მსმენელებიც სხვადასხვა ქვეყნიდან არიან — ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები. ლექციები იკითხება იტალიურად, ფრანგულად (უმეტესად), ინგლისურადაც. ლექციების ტექსტები წინასწარ იგზავნება რავენაში და კურსების გახსნის დღეს უკვე გამოცემულია ცალკე წიგნად, სურათებითურთ. კურსების პროგრამა ითვალისწინებს რავენის ძეგლებსა და მუზეუმების დათვალიერებასაც — რავენაში კი, მოგეცათ ლხენა, იმდენი რამ არის სანახავი და შესასწავლი!

1973 წელს კურსების შვიდი ლექცია დაეთმო ქართულ ხელოვნებას. ორი ადრიანომ წაიკითხა — ვარძიისა და სვანეთის შესახებ, ორი ვერძონემ — „შუა საუკუნეების ქართული მინანქრები“, „ქართული არქიტექტურა და რომანული არქიტექტურა“, ერთი ნიკოლ ტიერიმ — „შუა საუკუნეების ქართული ფერწერა“, ორი მე — „ძველი ქრისტიანული ხანის ქართული ხუროთმოძღვრება“ — პირველი IV-VII საუკუნეების ზოგადი მიმოხილვა იყო, მეორე — ბოლნისის, მცხეთის ჭვრისა და წრომის განხილვა. უნდა გენახათ, რა ცოცხლად და მღელვარედ კითხულობდა ვერძონე. ილაპარაკა ბაგრატის ტაძრის, სვეტიცხოვლის, ალავერდისა და ნიკორწმინდის შესახებ. დაიწყო იმით, რომ არაფერი არ ვიცოდი ქართულ არქიტექტურაზეო. ილაპარაკა ქართველებზე — როგორ განსხვავდებიან სომხებისა და სხვა ერებისგან, იმის შესახებ, თუ რა დიდი ამაგი დასდო მათს ექსპედიციას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, ჩვენმა ინსტიტუტმა. მე ბედნიე-

რად ვგრძნობდი თავს, რომ ვისმენდი კეთილგანწყობილი ავტორიტეტული მეცნიერის საუბარს ქართული ხელოვნების შესახებ, თუმცა მის მოხსენებას სიღრმეც აკლდა და ზოგ რამეში სადავოც იქნებოდა. მაგრამ იმ აუდიტორიისათვის მთავარი ეს კი არ იყო, არამედ ჩვენს კულტურულ სიმდიდრეზე თუნდაც ზოგადი „თავდაპირველი“ წარმოდგენის შექმნა. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მინტერესებდა და მალეღებდა აუდიტორიის (ასამდე მსმენელი იქნებოდა) რეაქცია: არსებითად, ყველანი პირველად ხედავდნენ ქართული ხელოვნების ძეგლებს. სლაიდებიც მშვენიერა იყო (ადრიანოს გადაღებული) და შთაბეჭდილება მართლაც დიდი. მასხოვს, როგორ „შეირჩხა“ დარბაზი ჩემი მოხსენების დროს ჯერ ძველი შუაშთის, მერე მცხეთის ჯვრისა და ატენის დანახვისას, სვანეთის სურათებმა კი გოცება და აღფრთოვანება გამოიწვია. მას შემდეგ, რაც გიორგი ჩუბინაშვილმა 1930 წელს ლექციების ციკლი ჩაატარა გერმანიაში, სადაც იგი ქართული ხელოვნების გამოფენას ახლდა, ეს იყო პირველი „მასირებული“ გასვლა ჩვენი ხელოვნებისა ევროპის ასპარეზზე.

მართალია, იმ წელს კურსების თემატიკა ძველ იტალიურსა და სომხურ ხელოვნებასაც მოიცავდა, მაინც ქართული ხელოვნება გადაიქცა ყურადღებისა და ინტერესის მთავარ საგნად. აშკარად ჩანდა, რომ ეს ინტერესი და სიმპათია შემზადებული იყო ადრიანოს, ენძოსა და ვერძონეს ზეპირი „მოთხრობებით“ საქართველოსა და ქართველების შესახებ. ვერძონეს მოხსენებაც ხომ ამას ადასტურებდა.

მე პირველად ვიყავი იტალიაში. რა თქმა უნდა, ახსნა-განმარტება არ სჭირდება იმას, თუ რას ნიშნავს ხელოვნების ისტორიკოსისთვის იტალია: ცოტა დაგვიანებულია, როცა ჩემი ხელობის კაცი იქ პირველად თითქმის სამოცი წლის ასაკში ჩავა. მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემმა იტალიელმა მეგობრებმა ყველაფერი იღონეს, რომ, რაც შეიძლება ბევრი და რაც შეიძლება კარგად ეჩვენებინათ — არა მარტო „ჩვეულებრივი“ (სინამდვილეში სრულიად არაჩვეულებრივი და საკვირველი!) და ყოველი ტურისტისთვის სავალდებულო ვენეცია, ფლორენცია, ბოლონია და რომი, არამედ ვერონაც, პალადიოს ვიჩენცაც, პატარა რიმინიც ლეონ-ბატისტა ალბერტის სახელგანთქმული სანფრანჩესკოს ეკლესიით, ქალაქები სუზა, ნოვარა და ვერჩელი, ბერგამო, პავია და ვიჩევანო (უმშვენიერესი რენესანსული მოედნით), ტბა და კუნძული ორტა, აგრეთვე ჩემთვის პროფესიულად მნიშვნელოვანი (არა ტურისტული!) რომანული და წინა-რომანული ძეგლები — პომპოზის სააბატო (აქ მოღვაწეობდა XI საუკუნეში გვიღო

დ' არეცო), აღმენო დი სან-ბარტოლომეოს როტონდა და ბევრი სხვაც. რამდენიმე დღე ვიყავი მილანსა და ტურინში, სადაც ვერძონემ პოლიტიკურ ინსტიტუტში თავისი კათედრის თანამშრომლებისთვის ორი ლექცია წამაკითხა ადრინდელი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ. მსმენელთა ვიწრო წრე შეიკრიბა რადგანაც იმ წელს იტალიის უმაღლეს სასწავლებლებში დიდი „არეულოზა“ იყო — სტუდენტთა გაფიცვები. მილანის პოლიტექნიკუმში საერთოდ მთელი წლის განმავლობაში არ ყოფილა მეცადინეობა. იტალიელი კოლეგების გულითადობასა და ყურადღებას საზღვარი არ ჰქონდა. ყოველდღე ვინმე მპატიებდა თავის სახლში სტუმრად. მეფერებოდნენ და თავს მევლებოდნენ. ენძო ჰიბშმა მილანიდან ვენეციაში წამიყვანა, ვერძონემ, რომელიც უკვე სამოცდაათასა იყო, თავისი მანქანით თვითონ შემომატარა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქები, ადრიანომ — მაჩვენა ძეგლები მილანის გარშემო, იმავე ვერძონემ წამიყვანა რავენიდან ბოლონიაში, ფლორენციასა და რომში. მათი ოჯახის წევრები და ახალგაზრდა თანამშრომლები დაინტერესებულნი მეკითხებოდნენ, რა ჯადო გაქვთ ასეთი საქართველოში, რომ იქიდან დაბრუნებულნი სულ თქვენი ქვეყნისა და თქვენი ხალხის ამბავს ყვებიან ადფრთოვანებით. „ჯადო“ უბრალო იყო: გულდია, გულითადი დახვედრა, გულწრფელი კეთილგანწყობილება (ძეგლებისა და ბუნების შესახებ თუ არაფერს ვიტყვით, რაც, ცხადია, თავისთავად საკმარისზე მეტია „მოსაჯადოებლად“), და კიდევ ერთი რამ, რაც ჩვენს უცხოელ კოლეგებზე ყოველთვის განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა და რასაც ყოველთვის ხაზს უსვამდნენ (არა მარტო იტალიელები): ჩვენს ინსტიტუტში გამეფებული ერთსულოვნება, მეგობრული სული (ხაზს უსვამდნენ იმასაც, რომ იქ, მათთან, დასავლეთში, სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ადამიანებს შორის გათიშულობა).

რალა თქმა უნდა, ის სამი კვირა იტალიაში დაუვიწყარი იყო, რავენაში გატარებული ერთი კვირა კი რამდენადმე ფანტასტიკურიც. იქ ტურინიდან ჩამიყვანა ვერძონემ. დაღამებული იყო, რომ ჩავალწიეთ. მე სასტუმროში კი არ დამაბინავეს, არამედ იმ სახლში, რომელშიც „კურსები“ იმართებოდა. ამ სახლს ჰქვია „კაზა ტრავერსარი“, აშენებულია XIII საუკუნეში იქაური პატრიციუსის პიერო ტრავერსარის მიერ და, თუ შიგნით გადაკეთებული და გათანამედროვეებულია, გარედან მაინც შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი სახე. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ სახლში აღარავინ არ რჩე-

ბოდა; მე მეორე სართულზე მომიჩინეს ოთახი, ჩამბარეს გასაღები და გაპომემშვიდობნენ. ოდესმე რომ ჩემთვის ეთქვა ვისმე, რავენაში XIII საუკუნის სასახლეში მარტო იცხოვრებო, მარტო გაათევ ღამესო, რა თქმა უნდა, არ დავიჯერებდი... დაძინებამდე ქუჩებში ვიხეტიალე და აღმოვაჩინე, რომ „ჩემს“ ქუჩას, რომელიც სიგანით რამდენიმე ნაბიჯი იქნებოდა, ერქვა „ვია სან-ვიტალე“, რომ „ჩემი“ სახლიდან სამოცდათხუთმეტ ნაბიჯზე მდებარეობდა თვით სან-ვიტალეს ტაძარი სახელგანთქმული მოზაიკებით, და გალა-პლაციდიას არანაკლებ სახელგანთქმული აკლდამა, ისიც ზღაპრული სილამაზის მოზაიკებით შემკული.

იმავე საღამოს და მომდევნო დღეებში დავრწმუნდი, რომ რავენაც ლამაზი და მიმზიდველი ქალაქია, თუმცა კი ჩამოუვარდება იტალიის სხვა ქალაქებს. მაგრამ იქ ისეთი ძეგლებია — V-VI საუკუნის მოზაიკები — რომ რავენა უყოყმანოდ შეიძლება მიეკუთვნოს ხელოვნების მსოფლიო ცენტრთა რიცხვს. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ საათნახევრის ან ორი საათის განმავლობაში შეგიძლია ფეხით შემოიარო და ნახო სან-ვიტალესა და გალა-პლაციდიას გარდა, სანტ-აპოლინარიო ნუოვოს ბაზილიკა, ორი ბაპტიტერიუმი (არჩელთა და მართლმადიდებელთა, ანუ ნეონისეული), თეოდორიხის აკლდამა, მთავარეპისკოპოსის მუზეუმი (სადაც ეპისკოპოს მაქსიმიანეს სპილოსძვლის კათედრაა), კიდევ რამდენიმე სხვა ეკლესიაც — სუყველა პირველხარისხოვანი თავისი მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობით. წმინდა პროფესიულ აღქმას რომ თავი დაანებო, აუწერელია ის ტკობა, რომელსაც რავენის მოზაიკების ცქერა ანიჭებს ადამიანს. მე ყოველ დღით ცხრის ნახევარზე უკვე სან-ვიტალეში ვიყავი, მერე გალა-პლაციდიას აკლდამაში და, როგორც კი დროს ვიხელთებდი, გავრბოდი სხვა ძეგლებისკენ. სანტ-აპოლინარიონ კლასეს ბაზილიკა მატარებლით ექვსი წუთის სავალზეა. იქაც ხომ მშვენიერი მოზაიკებია, მაგრამ ეს, იმავე დროს, ერთადერთია რავენის ბაზილიკებს შორის, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ინტერიერის თავდაპირველი პროპორცია — სხვა ეკლესიებში დროთა განმავლობაში იატაკი აამაღლეს ნიადაგის წყლების მოწოლის გამო. თეოდორიხის აკლდამის პირველ სართულში ახლაც წყალი დგას. რავენაში არის კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი რამ: დანტეს საფლავი, რომელიც საგანგებოდ აშენებულ კლასიცისტურ მავზოლეუმშია მოქცეული (დანტე ხომ რავენაში გარდაიცვალა, სამშობლოდან გადახვეწილი. ფლორენციის სანტა-კროჩეს ეკლესიაში კი, სხვა გამოჩენილ

ფლორენციელთა — გიბერტის, მიქელანჯელოს, მაკიაველის, გალილეის — ნამდვილი საფლავების გვერდით მაინც არის გაკეთებული დანატეს კენოტაფი). არის ნაკლებმნიშვნელოვანი ძეგლებიც, მათ შორის წმინდა ჯუსტინას მრგვალი ეკლესია კათედრალის მახლობლად. მის კარზე ფრიად ორიგინალური წარწერაა, ეტყობა, მის ავტორს იუნორის გრძნობა არ აკლდა: „წმინდა ჯუსტინას ეკლესია. სანახავი არაფერია. თქვენ რომ ბაპტისტერიუმს ეძებთ, საკრებულო ტაძრის სამრეკლოს გვერდითაა“. ცხადია, რავენაში ძალიან თვალსაჩინოა რენესანსისა და მომდევნო ხანების შენობებიც. მაგრამ ამ ქალაქში არც ერთი სხვა ეპოქის ძეგლების ნახვა არ გაინტერესებს — მხოლოდ V-VI საუკუნეების ფარგლებში გსურს დარჩენა. რავენაში წმინდა ვიტალე და აპოლინარი, გალა-პლაციდია და თეოდორიხი, სუსტინიანი და თეოდორა ბატონობენ და ეუფლებიან ადამიანის გონებას. ყოველნაბიჯზე გხვდება: ოტელი ბიზანტია, ოტელი თეოდორიხი, სან-ვიტალეს ქუჩა, გალა-პლაციდიას ქუჩა, ... კიოსკები სავსეა წიგნებითა და ღია ბარათებით და ყველგან მოზაიკების ოქრო ელვარებს.

არ შემიძლია მადლობით არ მოვიხსენიო რავენაში შექმნილი მეგობრები: უპირველეს ყოვლისა, კურსების დირექტორი, რავენის სიძველეთა დიდი მცოდნე, ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯუზეპე ბოვინი — ხალისიანი, დიდად ენერგიული, კეთილისმსურველი კაცი, მშვენიერი ლექტორი, მასწავლებლად დაბადებული (არაჩვეულებრივად მკაფიო დიქცია ჰქონდა), ავტორი და რედაქტორი ბევრი წიგნისა რავენის ძეგლების შესახებ; მისი თანაშემწე, კურსების მდივანი ვანდა გადონი; ამათ გარდა, გრაფი პაზოლინი დალ'ონდა, რავენის ძველი არისტოკრატიის შთამომავალი, მდიდარი მიწისმფლობელი, რომელსაც მობეზრდა რომის ხმაური და აურზაური და რავენაში დასახლდა თავისი საგვარეული რენესანსული პალაცოს ქვემო სართულში — მასა და მის ცოლს რამდენიმე პატარა ოთახი ეჭირათ. უშვილოები იყვნენ. თვითონვე ემსახურებოდნენ თავის თავს. რავენის კურსებს, როგორც ჩანს, იქაური ინტელიგენციის ცხოვრებაში გარკვეული გამოცოცხლება შეჰქონდა, ბევრი მოდიოდა ლექციების მოსასმენად, მათ შორის ეს პაზოლინიც (რომელსაც ვერ უხსენებდი თავისი მოგვარის, კინორეჟისორის სახელს, მე მგონი, იმისგან განსასხვავებლად დაიბრუნა დანამატი „დალ'ონდა“). რატომღაც დიდი სიმპათიით განიმსჭვალა ჩემდამი, დაინტერესდა საქართველოთი და რამდენიმეჯერ თავისთან მიმიწვია საუზმეზე. ძალიან გულთბილი ხალხი აღმოჩნდა, დიდად სტუმართმოყვარე. იქ იტალიელი კოლეგებიც იყ-

ნენ (ბოვინი და სხვები), და რამდენიმე რავენელიც. მე ინტერესით მიყურებდნენ (თუ მათვალისწინებდნენ), როგორც სრულიად უცხო და უცნობო ქვეყნიდან ჩამოფრენილ სულიერს. დამახასიათებელი იყო კითხვები, რომლებსაც მე მისვამდნენ. ერთი ადგილობრივი მდიდარი მანდილოსნის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა (დიდად გადაპრანქული და პრეტენზიული ქალი იყო), როცა გაიგო, რომ ქართველები რუსები არ არიან, რომ მათ თავისი დამწერლობა და თავისი ლიტერატურა აქვთ. იტალიაში და სხვაგანაც სხვაც შემხვედრია არაერთი, ვისთვისაც ეს აგრეთვე აღმოჩენა იყო. ასეთები, რა თქმა უნდა, დღესაც ბევრნი არიან, ცოდნა საქართველოს შესახებ თუმცა კი გარკვევით იკაფავს გზას, მაგრამ ევროპელთა „საშუალო ფენაში“ მაინც საკმაოდ ნელა და მძიმედ.

კურსების ორგანიზატორებს ასეთი ტრადიცია ჰქონდათ: ყოველ წელიწადს, კურსების მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, აწყობდნენ ექსკურსიას ბიზანტიური სამყაროსა და მახლობელი აღმოსავლეთის რომელსამე ქვეყანაში, რომლის ხელოვნებაც იმ წელს მოსმენილი ლექციების საგანს შეადგენდა. 1973 წელს ასეთ ქვეყნად საქართველო არჩიეს. მე სულ სამი-ოთხი დღის დაბრუნებული ვიყავი თბილისში, როდესაც ბოვინის მეთაურობით ჩამოვიდა კურსების პროფესორებისა და მსმენელების ჯგუფი, რომელშიც არა მარტო იტალიელები იყვნენ. ესეც კიდევ ერთი ნაბიჯი იყო საქართველოსადმი ინტერესის განმტკიცების გზაზე. სამწუხაროდ, ბოვინის დიდხანს არ უცოცხლია — 1975 წლის 1 იანვარს გარდაიცვალა, სამოცი წლისა.

1974 წელს იტალიელმა კოლეგებმა შემდეგი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს: ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ბერგამოში, იმ უნივერსიტეტში, რომლის პროფესორიც არის ნინო ყაუხჩიშვილი, ივნისის ბოლოს მოეწყო ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი. ეს უპრეცედენტო რამ იყო: ქართული კულტურისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო შეკრება მანამდის არასოდეს არ გამართულა (რუსთაველის იუბილეს, როგორც ცნობილია, სხვა ამოცანები და სხვა „პროფილი“ ჰქონდა). ამდენად, ეს სიმპოზიუმი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოდან ექვსმა შეეძელით მონაწილეობის მიღება: ნათელა ალადაშვილმა, გაიანე ალიბეგაშვილმა, ოთარ ლორთქიფანიძემ, კიტი მაჩაბელმა. ლეილა ხუსკივაძემ და მე. ბერგამო იტალიის ულამაზესი ქალაქების რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს, მით უფრო, იქდა

(ძველი) ქალაქი, რომელიც ბორცვზე მდებარეობს. მისი მთავარი მოედანია „პიაცა ვეკია“. იქ დგას ქალაქის საბჭოს ძველი სასახლე „პალაცო დი რაჯონე“, XII თუ XIII საუკუნისა. მისი პირველი სართული ერთიანად გახსნილი ლოჯიაა, მძლავრი ბოძებით — ეს ხალხის შესაკრები ადგილი იქნებოდა; მეორე კი — ერთიანი ვრცელი გუთური დარბაზი. ასახველი — გარედან მიშენებული ქვის კიბეა (სვეტებიანი, კრამიტით გადახურული), მის გვერდით აღმართული მაღალი კოშკით. ამ სასახლის მეორე მხარესაც მოედანია, სადაც თავმოყრილია რამდენიმე ეკლესია და კაპელა, მათ შორის, კოლეონის გვარისა, იმ სახელგანთქმული კონდოტიერის ბარტოლომეო კოლეონის ბრძანებით აშენებული, რომლის კიდევ უფრო მეტად სახელგანთქმული ცხენოსანი ძეგლი დგას ვენეციაში. XV საუკუნის ჩრდილო-იტალიური რენესანსის ფრიად თავისებური ნიმუშია, ზედმიწევნით მდიდრულად მორთული ფასადით, თითქოს ინკრუსტაციით დაფარული ძვირფასი ნივთი იყოს. მაგრამ ჩვენი ყურადღება მაშინვე მიიპყრო „პალაცო დი რაჯონემ“ მიიპყრო: მის დარბაზში (რომელიც თამარ მეფის დროინდელია!) იყო მოწყობილი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა, ფასადზე კი ეკიდა ის აფიშა, მინანქრის წმინდა გიორგის გადიდებული გამოსახულებით, რომელიც შემდეგ ამ გამოფენასთან ერთად მოგზაურობდა მთელ იტალიაში და ჩვენშიაც ძალიან პოპულარული გახდა.

ჩვენ დაგვაბინავეს იოანე XXIII-ის სახელობის სემინარიაში (ეს იოანე ბერგამოს მახლობლად დაიბადა). ძალიან დიდი ახალი შენობაა, ისეთი რთული გეგმით, რომ თავს და ბოლოს ვერ გაუგებდა კაცი. ასკეტურად მკაცრი საცხოვრებელი სენაკებით მოსწავლეთათვის, მაგრამ სავსებით თანამედროვე და კეთილგანწყობილი. პირველ საღამოს სიმპოზიუმის მონაწილეთათვის გამართეს მიღება ჯერ „იტალია ნოსტრას“ (ე. ი. ძველთა დაცვის საზოგადოების) ადგილობრივი სექციის თავმჯდომარის გრაფ ალიარდის სასახლეში (კლასიციზმის დროის დიდი პალაცო იყო), მერე კი მისი ძმის სასახლეში, იქვე, გვერდით. მიღება ეფექტურად იყო მოწყობილი — თეთრხელთათმანი ლაქიები გვემსახურებოდნენ, მარტო სანთლები ენთო. ძველი ავეჯი, საგვარეულო სურათები, მოხატული კედლები და პლაფონები — აქა-იქ წვიმას ჩამოეყონა... მაინც რალაც სევდიან განწყობილებას ქმნიდა იქაურობა, განსაკუთრებით ძველი, დაბურული, მოუვლელი პარკი, რომელსაც ციციანთელების გარდა არაფერი არ ანათებდა. უნივერსიტეტის შენობა, სადაც სიმპოზიუმი ჩატარდა, აგრეთვე

„პიაცა ვეკიაზეა“; გარეგნულად არაფრით არ გამოირჩევა, პატარაა, ქვემო სართულში ჩვეულებრივი მაღაზიებია მოთავსებული. მაგრამ ძველი კი არის და შიგ საინტერესო ინტერიერებია: დარბაზს, რომელშიაც ასამდე კაცი ეტევა, ისეთი სქელი კედლები აქვს, რომ ფანჯრები ღრმა უბეებს ქმნის, ჭერი არ არის, მხოლოდ ორკალთიანი სახურავია, რომელიც უზარმაზარი გაუთლელი (მხოლოდ ქერქვადაცლილი) მორებისაგან აწყობილ ნივთებს ეყრდნობა. ეს გარემო შესაფერის განწყობილებას უწყობდა ხელს.

სიმპოზიუმში მონაწილეობისათვის ჩამოსული იყო, გარდა იტალიელებისა, რამდენიმე სპეციალისტი, რომელთაც ან მხოლოდ მათი შრომებით, ან მიწერ-მოწერითაც ვიცნობდი: ფრანგი ჟან ლასიუსი, ძველი სირიული (ქრისტიანული) არქიტექტურის ცნობილი მკვლევარი, უკვე სამოცდაათს გადაცილებული; ცოლ-ქმარი ჟან-მიშელ და ნიკოლ ტიერები, პირველნი, რომელთაც ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ნახეს ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლები, ამის შესახებ გამოაქვეყნეს მოკლე წერილი „ზედი ქართლისაში“ და ქართული და სომხური ძეგლების აქტიურ მკვლევრებად იქცნენ; ინგლისელი ორიენტალისტი, ისლამური კულტურის მკვლევარი, იმხანად კაიროს ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ როჯერსი; ინგლისელი ქართველოლოგი და არმენისტი დევიდ ლანგი, ბელგიელი ჟან ბლანკოვი, გერმანელი ედიტ ნოიბაუერი, ჩვენი ყოფილი ასპირანტი უნგრელი ერჟი ჩემევი; იყვნენ აგრეთვე, გარდა ნინოსი, ადრიანოსი, ენძოსი და ვერძონესი, წინა წელს ტურინში გაცნობილი დარია დე ბერნარდი (ვერძონეს თანამშრომელი), ლუიზა კოლოდი, ნოელ დე ლა ბლანშარდიერი და სხვანი. საფრანგეთიდან ჩემთან შესახვედრად ჩამოვიდნენ (მაგრამ სიკვოზიუმზე ვეღარ დარჩნენ) ნინო და კალისტრატე სალოები, იყო რამდენიმე ქართველი ემიგრანტიც, რომლებიც სულგანაბულნი უსმენდნენ მოხსენებებს.

სიმპოზიუმში 28 ივნისს დილით გაიხსნა ნინო ყაუხჩიშვილ-ს შესავალი სიტყვით. ზედვე მიაყოლა თავისი მოხსენება „იტალიურ-ქართულ ურთიერთობათა მიმოხილვა“ (საქართველო გოცის, გოლდონისა და მეტასტაზიოს შემოქმედებაში, იტალიის წვლილი საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის შესწავლაში — გრამატიკა, ლექსიკონი; იტალიელი მისიონერები; ეს წარსულია, ახლა კი საბჭოთა საქართველოს მეცნიერთა დახმარებით საჭიროა ურთიერთობა უფრო ფართოდ განვახორციელოთ კულტურის სხვადასხვა დარგში, და სხვა). მეორე

მოხსენება ნინოს თანამშრომლის ლუჩია სებასტიანისა იყო: „მისიონერების მოხსენებები, როგორც წყარო საქართველოს შესწავლისათვის“. დილის სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებიც მოისმინეს: მილანის არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ მიქელანჯელო კაჯანო დი აძევედოსი, რომელმაც სიმპოზიუმის სერიაოზული მნიშვნელობა აღნიშნა, პაოლო ვერძონესი, რომელიც უკვე მეგობრად და ახლობლად მიგვაჩნდა — ძალიან გულთბილი, მეგობრული სიტყვა იყო.

შუადღეზე ყველანი წავედით პალაცო და რაჭონეში, სადაც გამოფენა უნდა გახსნილიყო. გამოფენა ჩვენი დახმარებით მოეწყო — გრაფიკული მასალა ჩვენ მივაწოდეთ, ფოტოგრაფიები კი — ფერადიც, შავ-თეთრად (დიდი, ძალიან კარგი ხარისხისა) იტალიელებისა იყო. გამოფენა თავიდანვე გაკეთდა, როგორც მოძრავი — მსუბუქ, დასაკეც სტენდებზე (სტენდებს წარწერები იტალიურად და ქართულად ჰქონდა). მის გამართვას ენძო ჰიბში ხელმძღვანელობდა, მას შემდეგ, რაც ოფიციალურმა პირებმა, მათ შორის საბჭოთა კავშირის რომის საელჩოს კულტურულმა ატაშემ, მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს, მანვე გვაშობო, რა პრინციპებით ხელმძღვანელობდა გამოფენის მოწყობის დროს. გამოფენასაც და აფიშასაც დიდი მოწონება ხვდა წილად. გამოფენის დარბაზიდან გამოსულნი არ ვიყავით, როცა მობრუნდებოდნენ ახლად დაბეჭდილი კატალოგიც. მერე ოფიციალური ბანკეტი გაიმართა — იმთავითვე უბრალო, მეგობრული და ხალისიანი ატმოსფერო დაჰყარდა. საღამოს სხდომაზე რამდენიმე მოხსენება მოვისმინეთ — ადრიანოსი, „ქართული ხელოვნების შესწავლის შესავალი“, ჩემი, „ქართული ხელოვნება და დასავლეთის შუა საუკუნეების კულტურა“, ოთარ ლორთქიფანიძისა — „ქართული ოქრომჭედლობა ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებისა“ (იტალიურად წაიკითხა, მშვენიერ ნივთები უჩვენა, დიდი ინტერესით ისმინეს და უყურეს), პარიზელი ქართველი არქიტექტორის ალექსი კობახიძისა — „სვანეთისა და ხევსურეთის არქიტექტურა“ (ძალიან კარგი ფერადი სლაიდებით; სასარგებლო „საგანმანათლებლო“ მოხსენება იყო).

ადრიანოს მოხსენებას რომ ვისმენდი, მაინტერესებდა, რა დაინახა ახალმა თვალმა ქართულ ხუროთმოძღვრებაში თავისებური, განსხვავებული. მოხსენება ნაწილობრივ მიმოხილვის ხასიათისა იყო (შესწავლის ისტორია: დიუბუა, სტრიგოვსკი; რამდენად ცუდად არის ცნობილი დღესაც ქართული ხელოვნება; მუშაობა, როელიც დღეს წარმოებს საქართველოში; ჩვენი ინსტიტუტის დამსახურება, როგორ

არის საქმე აწყობილი ჩვენთან, და სხვ.), ნაწილობრივ კი ცალკეულ დაკვირვებასა და მოსაზრებებს შეიცავდა, ცოტა არ იყოს იმპრესიონისტულად გადმოცემულთ. შეეხო ადრინდელი ქართული ქრისტიანული ძეგლების მნიშვნელობას (მცხეთის ჯვრის შესახებ თქვა — ქართული არქიტექტურის სიმბოლოა, მისი დროშაა; მე მგონია, ამ განსაზღვრის საწინააღმდეგო არაფერი არ უნდა გვქონდეს); ჰქონდა შენიშვნები ქართული და სომხური ხუროთმოძღვრების განმასხვავებელი თვისებებს შესახებაც. ერთ-ერთი მაგალითი ასეთი იყო: სამრეკლოები — გვიან აშენებული, მაგრამ მაინც ანსამბლში ჩართული: ეჩმიაძინში ზუსტად ეკლესიის ღერძზეა. ბოლნისში — სრულიად ექსცენტრულადაა, ერთგვარ კონტრაპუნქტს ქმნისო; ბოლოს ქართველების თვისებები მოიხსენია: ხალისიანობა, გულითადობა და სხვ. და თქვა, რომ ქართული ხელოვნება ასე თუ ისე ანარეკლია ქართველთა ადამიანური თვისებებისა. უფრო გვიან, თავის ნაწერებში, ადრიანო ავითარებდა ამგვარსავე აზრებს და ქართული ხელოვნების სხვა თვისებებსაც გამოჰყოფდა. მე მგონია, ეს დაკვირვებებიც არ არის საფუძველს მოკლებული.

მეორე დღეს სხდომა დიდი დაგვიანებით დავიწყეთ, იმიტომ, რომ მილანელებს დააგვიანდათ ჩამოსვლა ავტოსტადის საშინელი გადატვირთვის გამო. იატალიაში ეს ჩვეულებრივი რამ არის. სიმპოზიუმის დროს „ტექნიკაც“ გვალატობდა დროდადრო: ხან მიკროფონი გამოითიშებოდა, ხან ეპიდემიკობის ნათურა გადაიწვებოდა: ხანდახან მოედნიდან შემოიჭრებოდა სასულე ორკესტრის ისეთი გამაყრუებელი ხმა, რომ მომხსენებლისა აღარაფერი ისმოდა. აუდიტორია ამას ყველაფერს გაღიზიანების გარეშე, მხიარულადაც კი ხვდებოდა, ლასიუსი კი თავის ქნევით ამბობდა: „იტალიური ფანტაზიები!“.

პირველი მოხსენება ვერძონემ წაიკითხა — „დარბაზის ტიპის რომაული სტრუქტურები ანატოლიაში“ (ვერძონე მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებდა გათხრებს და კვლევა-ძიებას მცირე აზიაში და ბევრი საინტერესო ძეგლიც გამოამზეურა), მეორე მე — ეს იყო ჩემი ძირითადი მოხსენება: „X-XIII საუკუნეების ქართული გუმბათოვანი არქიტექტურის ზოგი ასპექტი“, რომელიც საგანგებოდ იმ სიმპოზიუმისთვის მოვაშხადე (შემდეგ იგი ცალკე წიგნადაც გამოვიდა რუსულად და ფრანგულად). ეს არის ცდა განვითარებული შუა საუკუნეების ხანის ქართული ხუროთმოძღვრების მხატვრულ-სტილისტიკური ნიშნების განზოგადებისა და მათი შეპირისპირებისა სომხური, ბიზანტიური, რომანული და რუსული არქიტექტურის ასეთსავე ნიშნებთან.

მოხსენება გრძელი იყო, საათზე მეტი, ნატურის სურათები ვერც ვუჩვენე, იმიტომ, რომ აღრიანომ ვერ ჩამომისწრო (სლაიდები უნდა ჩამოეტანა). მაინც მოთმინებით და ინტერესითაც კი მოისმინეს და თავმჯდომარემ კაჯანო დე აძვეედომ საკმაოდ ორიგინალურად გადა-
მინადა მადლობა: — მადლობას გიხდით იმ საცოდავთა სახელით, ვი-
საც საქართველო არ გვინახავსო.

ლასიუსის მოხსენების თემა სირიული არქიტექტურა იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც წინა მოხსენებები მოისმინა, გაუჩნდა სურვილი ქართულთან და სომხურთან შედარებისა და ექსპრომტად გამოთქვამ-
და აზრებს. აზრი ეს იყო — თემატიკური ერთიანობა სირიის, საქარ-
თველოს და სომხეთის ხუროთმოძღვრებისა მიეწერება რელიგიური საფუძვლის, ლიტურგიის ერთიანობას, ხოლო ყველგან ისე აშენებ-
დნენ, როგორც თვითონ ჰქონდათ წესად მიღებულიო. უცხოელების მოხსენებათაგან ყველაზე სერიოზული მაიკლ როჯერსისა გამოდგა — „მხარგრძელები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა“. შეეხო ისტო-
რულ ვითარებას, მხარგრძელთა როლსა და ადგილს საქართველოს სამეფოში, თქვა, რომ თუმცა ქურთული წარმოშობისანი იყვნენ, მა-
მულები სომხეთში ჰქონდათ და XIII საუკუნის ოცდაათიანი წლები-
დან სომხეთის ღიდ ნაწილს უწყევდნენ კონტროლს (მათ შეძლეს მონ-
გოლებთან საერთო ენის გამონახვა და თავისი მამულები გადაარჩინეს დარბევას), ისინი ქართველ მოქალაქეებად და ქართველებად უნდა მივიჩნიოთ: საქართველოს სამეფოს სამსახურში იყვნენ, მუდამ ქარ-
თულ სახელს „მხარგრძელს“ ატარებდნენ, სომეხ ისტორიკოსებს ისი-
ნი ყოველთვის უცხოელებად მიაჩნდათ, ზაქარია მონოფიზიტი იყო, მაგ-
რამ მისი გარდაცვალების შემდეგ მხარგრძელები მართლმადიდებლე-
ბი გახდნენ, აშენებდნენ ქართულ ძეგლებსო და სხვა (სომხურიც ბევრი ააშენეს და განაახლეს). შეეხო მაშინდელ მშენებლობას, კერ-
ძოდ, ქარვასლებისას, მხარგრძელთა აპოგეს ხანაში, ზოგ დეკორა-
ციულ მოტივში ქართულ გავლენას ხედავდა. როჯერსმა ძალიან ნი-
ჭიერი და ფრიად განათლებული კაცის შთაბეჭდილება დატოვა. რამ-
დენიმე წლის შემდეგ იგი ლონდონს დაუბრუნდა და ბრიტანეთის მუზეუმის აღმოსავლურ განყოფილებაში დაიწყო მუშაობა.

უან-მიშელ ტიერის მოხსენება ეხებოდა რამდენსამე ქართულ ხუ-
როთმოძღვრულ ძეგლს თურქეთის მიერ დაპყრობილ მიწა-წყალზე (ურთას, ფექრაშენის, ქალას ეკლესიებს), ძეგლებს, რომლებიც ჩვენ-
თვის, ქართველ მკვლევართათვის, პრაქტიკულად მიუწვდომელია;
ტურიინელი ჯულიო იენისა — ქართულ კვალს ბაჩკოვოს მონასტერში;

პაოლო კუნეოსი (რომიდან) — ბაგრატის ტაძარს, ერნსტ ბადშტიუბნერისა (ბერლინიდან) — გურჯაანისა და ვაჩნაძიანის „ყველაწმინდის“ ტაძრებს, მათს მიმართებას ბიზანტიასა და დასავლეთთან; ჯულიო მელცი დ'ერილისა (მილანელია, ერთხელ იყო საქართველოში სხვა იტალიელებთან ერთად) — ბოლნისის სიონს (მშვენიერი სლაიდები და სრულიად ფანტასტიკური დასკვნები ჰქონდა. მე მგონია, აღარ გაუგრძელებია ქართული ხუროთმოძღვრების საკითხებზე მუშაობა); ერეი ჩემეგი-ტომპოშისა ქართულსა და უნგრულ მრავალაფსიდიან ეკლესიებს; ოლეგ ზასტროვისა (ესეც მილანელია) ქართულ მინანქრებს, დევიდ ლანგისა — ბოდლეს ბიბლიოთეკაში (ოქსფორდში) დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის მინიატურებს (ამათგან მხოლოდ სამი ჰქონდა გამოქვეყნებული 1927 წელს სარგის კაკაბაძეს, სხვები გამოუქვეყნებელია. ეს ის ხელნაწერია, რომელიც ოდესლაც ეკუთვნოდა ელენე თარხან-მოურავს, შემდეგ საზღვარგარეთ მოხვდა და ხელიდან ხელში გადადიოდა, სანამ 1949 წელს ბოდლის ბიბლიოთეკამ არ შეიძინა. ლანგმა იქვე, მოხსენების შემდეგ, გადმოცა საჩუქრად მინიატურების სლაიდები, რომლებიც, სიმცირის გამო, სარეპროდუქციოდ არ გამოდგებოდა).

ჩენი ინსტიტუტის თანამშრომელთა ყველა მოხსენებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მოხსენებები სერიოზული იყო, კარგადაც წაიკითხეს, საილუსტრაციო მასალაც კარგი ჰქონდათ: კიტი მაჩაბლის თემა იყო ანტიკური ხანის ქართული ტორეტიკა, მაგრამ დამატებით უჩვენა მცხეთის, სარგვეშის ნივთები, უფრო ძველებიც, თრიალეთიდან (ოქროს ნივთები დარბაზის განსაკუთრებულ რეაქციას იწვევდა): ლეილა ხუსკივაძემ წილკნის ენკაუსტიკური ხატის შესახებ წაიკითხა, ნათელა ალადაშვილმა V-XI საუკუნეების ქართული სკულპტურის შესახებ (ძეგლთა სიმდიდრემ და თავისებურებამ გაოცება გამოიწვია). გაიანე ალიბეგაშვილმა XI-XIII საუკუნეების ქართული მინიატურები წარმოადგინა. დიდად მიხაროდა, რომ შთაბეჭდილებას ტოვებდა არა მარტო ნაჩვენები ძეგლები, არამედ თვით მოხსენებათა მეცნიერული დონეც.

სიმპოზიუმში 30 ივნისს დაიხურა. ბერგამოს უნივერსიტეტის თანამშრომელმა ქალბატონმა ბოსალიამ შეაჯამა სიმპოზიუმის მუშაობა, ლასიუსმა სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა — ფრანგული გალანტური სტილსა, „ლონდონის უნივერსიტეტის სახელით“ ილაპარაკა ლანგმა (აღნიშნა, რატომ ცოცხალ ქართულ ხელოვნებაზე არ იყო საუბარი, ქართველები ხომ სკვითები არ არიანო, ჩემი მეგობარი

ლადო გუდიაშვილი დღესაც ცოცხალი არისო; ამის შესახებ მეორე სიმპოზიუმზე უნდა ვილაპარაკოთო; სამი წლის შემდეგ ეს სურვილი მართლაც განხორციელდა).

მეც ვილაპარაკე. ჯერ ქართულად (უცებ აბსოლუტური სიჩუმე ჩამოვარდა — ოთხი თუ ხუთი კაცის გარდა, იქ მყოფთაგან ქართული სიტყვა არავის არასოდეს არ ჰქონდა გაგონილი), მერე იგივე წავიკითხე იტალიურად (წინასწარ ვათარგმნინე ნინოს). თუნდაც ამით მინდოდა გამომეხატა ჩვენი განსაკუთრებული მადლობა და პატივისცემა იტალიელი კოლეგების მიმართ.

ნინო ყაუხჩიშვილის სიტყვაში საინტერესო ის იყო, რომ თქვა — იმედი მაქვს, შემდეგი შეხვედრის დროს ქართულად წარმოთქმული სიტყვა ყველასთვის გასაგები იქნებაო. რა თქმა უნდა, კიდევ არა ერთი და ორი შეხვედრა ჩაივლის, სანამ ქართული ენა ყველასთვის კი არა, თუნდაც მცირე ნაწილისთვის მაინც გახდებოდეს გასაგები, მაგრამ თვით საქართველოს „გაგება“ რომ ამ სიმპოზიუმით წინ წაიწია. უეჭველი იყო. იქაური პრესა აშუქებდა ჩვენს მუშაობას; გარდა გამოფენის კატალოგისა, სასიმპოზიუმოდ გამოვიდა იტალიურ ენაზე გიორგი ჩუბინაშვილის „ჯვარის ტიპის ძეგლები“, ქართული არქიტექტურის ბიბლიოგრაფია. შემდეგ კი გამოფენამ მოგზაურობა დაიწყო იტალიის ქალაქებში, ერთხელ კი იტალიასაც გასცდა — ბელგიაც „მოინახულა“. აი სად იყო გამოფენა: ქალაქ ტარანტოში (1975 წლის იანვარი. „პალაცო დელა გოვერნო“. გაიმართა „მგრვალის მაგიდა“, მოხსენებები წაიკითხეს ალპაგო ნოველომ, ნინო ყაუხჩიშვილმა და ქალაქ ლეჩეს უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა კოზიმო დამიანო ფონსეკამ. მაშინ ეს ახალი მოქმედი პირი იყო, რომელიც შემდეგ აქტიურად ჩაერთო იტალიურ-ქართულ ურთიერთობაში); ქალაქ ბარში (1975 წლის თებერვალი, სან-ნიკოლას ბაზილიკა. აქ წინა სამ მოხსენებელს დაემატა ქალბატონი მარია სტელა მარჩანი კალო, ბარის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი და კიდევ ზოგი, ჩემთვის უცნობი პირი. ქართულ კულტურასა და ხელოვნებაზე საუბრებს დაეთმო ოთხი საღამო. თემები: საქართველოს ხელოვნება, საზოგადოება და კულტურა; საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობა შუა საუკუნეებში; ქართული ხუროთმოძღვრების მიმართება სომხურთან და ბიზანტიურთან. და სხვა. შეხვედრებში ჩართული იყო იტალია-საბჭოთა კავშირის ასოციაცია); ქალაქ ლეჩეში (1975 წლის იანვარი-თებერვალი. აქაც მოხსენებები საქართველოს შესახებ); ქალაქ პავიაში

(1975 წლის მარტი. ალპაგო ნოველიოს მოხსენება); ქალაქ რეჯო ემილიაში (1976 წლის აპრილი; „გალერია დელ პაიოლო“); მილანში (1977 წლის იანვარი და თებერვალი. სფორცას სასახლე — „კასტელო სფორცესკო“. აქ ჩატარდა „ქართული კულტურის კვირეული“ შემდეგი მოხსენებებით: ნინო ყაუხჩიშვილის „ისტორიული ურთიერთობანი იტალიასა და საქართველოს შორის“, ალპაგო ნოველოს „შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების შესავალი“, ჯულიო იენისა „ქართული სკულპტურა“, ბელგიელი მეცნიერის ჟაკლინ ლაფონტენ-დოზონისა „შუა საუკუნეების ქართული კედლის-მხატვრობა“, ენძო ჰიბშისა „მთა-საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრება“). დასასრულ, 1979 წლის იენისსა და ივლისში გამოფენამ ჩააღწია რომს. მე დავესწარი მის გახსნას. სწორედ მაშინ მილანში, ვენეციასა და ბერგამოში ჩატარდა კავკასიის კულტურისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი, რომელშიც საქართველოს დელეგაციაც მონაწილეობდა. 12 იენისს მილანის ერთ ნამონასტრალში გაიხსნა სიმპოზიუმი და მე წავეკითხე ჩემი მოხსენება. გამოირკვა, რომ იმავე დღეს, საღამოს ექვს საათზე, იხსნებოდა რომის გამოფენაც. დავამთავრე თუ არა მოხსენება, მე და ადრიაანო ვაქვანდით აეროპორტისკენ და ოთხის ნახევარზე უკვე რომში ვიყავით. რომის აეროპორტში დაგვხვდნენ ნოელ დე ლა ბლანშარდიერი და ლუიზა კოლოდი, მოვასწარით მოგვენახულებინა „რომის ფრანგული სკოლის“ დირექტორი, ცნობილი არქეოლოგი ჟორჟ ვალე, მერე კი ყველანი გამოფენის გახსნაზე წავედით. საგამოფენოდ საკვირველი ადგილი იყო შერჩეული: იმპერატორ ტრაიანის დროინდელი საბაზრო შენობა (უფრო სწორად, შენობის ნანგრევი) — Mercati Traianei, ძველი რომაული ფორუმის შემადგენელი ნაწილი. მაღალი კამაროვანი დარბაზია, ორ მხარეს უკედლო. ადგილი — ძალიან მარჯვე. ქალაქის ერთ-ერთი უმთავრესი ქუჩა, მოძრავი, ცოცხალი. გამოფენა თითქმის ქუჩაში გადიოდა, ძალაუვნებურად იპყრობდა ყურადღებას და იზიდავდა ხალხს. აფიშა იგივე იყო — წმინდა გიორგი — სხვა წარწერით. დიდად ვისიამოვნე, მას რომ რომის ქუჩებში ვხედავდი ყოველ ნაბიჯზე. გახსნაზე მოვიდა რომის მერი ჯულიო კარლო არგანი, ხელობით ხელოვნების ისტორიკოსი! (ნეტა სხვა ასეთი შემთხვევა კიდევ თუ იყო სადმე?) და ერთი საათი ათვალეირებდა სტენდებს დიდი ინტერესით. იყვნენ რომაელი მეცნიერები, პრესის წარმომადგენლები. ახალი კატალოგიც გამოუშვეს. ნოელმა მაჩვენა გაზეთის „ლა რეპუბლიკას“ 9 იენისის ნომრიდან ამოჭრილი წერილი საინტერესო სათაურით: „C'era una

volta un merlo georgiano“ „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქართული შაშვი“. ჯერ იყო ინფორმაცია ამ გამოფენის შესახებ, ქართული ხუროთმოძღვრების თავისებურებათა და ღირსებათა მოხსენიებით (XIX საუკუნის მოგზაურები მას ზერელედ ეკიდებოდნენ, ბიზანტიურსა და სომხურში ურევდნენ). შემდეგ ცნობა, რომ იმ დღეებშივე რომში იხსნებოდა ქართული ფილმების კვირეული. უნდა ეჩვენებინათ რამდენიმე სურათი (ორიგინალები, ე. ი. ქართული ტექსტით და იტალიური ტიტრებით): ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელი“, რომელსაც უკვე მანამდის ჰქონია წარმატება, შოთა მანაგაძის „ჯვარცმული კუნძული“, შოთა და ნოდარ მანაგაძეების „შენი ხელების სიტბო“, თენგიზ აბულაძის „ნატერის ხე“ და გიორგი შენგელაიას „ფიროსმანი“. ნათქვამი იყო, ქართულ კინემატოგრაფს ჰყავს ფართოდ აღიარებული („არა მარტო საქართველოს ფარგლებში“) ოსტატებიო, ბოლოს კი ეწერა: „კარგი შესაძლებლობაა, რომ გავიცნოთ უუცხოების საქართველო“ (la „Sconosciutissima“ Georgia). ესეც ხომ დამახასიათებელია, ჯერ კიდევ საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის გასვლის თვალსაზრისით! იმავე საღამოს თვითმფრინავით დავბრუნდი ბერგამოში, სადაც გრძელდებოდა მილანში დაწყებული სიმპოზიუმი. მეტისმეტად დინამიკური დღე გამოივიდა, მაგრამ შთაბეჭდილებებითა და სიხარულით სავსე.

1974-ის მომდევნო წლები ძალიან დატვირთული იყო ქართული ხელოვნების უცხოეთში გასვლის მხრივ. გახშირდა ლექციები უმეტესად ძველი ქართული ხუროთმოძღვრების, ფერწერისა და სკულპტურის შესახებ. კითხულობდნენ ჩვენი ხსენებული იტალიელი და აგრეთვე ფრანგი კოლეგები (მაგ., ტანია ველმანსი); გვიწვევდნენ ჩვენი ორჯერ ვიყავით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძველ საუნივერსიტეტო ქალაქ მარბურგში, რომელსაც ხელოვნების ისტორიის დარგში ძველი ტრადიციები აქვს — იქ მოღვაწეობდა გამოჩენილი ხელოვნების ისტორიკოსი რიჰარდ ჰამანი და იქვე დააარსა 1913 წელს ე. წ. „ფოტო-მარბურგი“, ხელოვნების ძეგლთა და ნაწარმოებთა უმდიდრესი ფოტო-არქივი (ნეგატივები, ანაბეჭდები), რომელიც მთელ ევროპას ემსახურება. მარბურგის ფილიპს-უნივერსიტეტში ჩვენი მიწვევა (პირველად ჩემთან ერთად იყვნენ ნათელა ალადაშვილი, მერი კარბელაშვილი და რუსუდან ყენია, მეორედ კი მე და რუსუდანი ვიყავით) და უაღრესად საინტერესო მოგზაურობა „რომანული მარბურგით“ მოაწყო იმ უნივერსიტეტის თანამშრომელმა გიზელა დროლამ, ფილოლოგმა, ფრიად ფართო დიაპაზონის მქონემ,

Der Arbeitskreis GEORGIEN an der Philipps-Universität Marburg

läßt ein zu einer Vortragsreihe

GEORGISCHE KUNST



Montag, 18. Oktober:

Prof. Dr. V. Beridze
(*Abt. für Byzantinische der SB Georgien*):
Georgische Architektur des
10. - 13. Jahrhunderts

11 Uhr 16 B 6

**Natela Alakoschwili: Georgische
Skulptur des Mittelalters**

15 Uhr 16 G 64



Dienstag, 19. Oktober:

Rusudan Genia:
Georgische Goldschmiede - Ikonen
15 Uhr 16 B 4

Mary Karbelaschwili:
Moderne georgische Malerei
16 Uhr 16 G 4

Die Vorträge werden in deutscher, englischer und französischer Sprache gehalten.

ქართული ხელოვნების შესახებ მარბურგის (გფრ) უნივერსიტეტში ჩატარებული
ლექციების აფიშა, 1976 წ.

რომელიც ქართული კულტურითაც იყო დაინტერესებული და ქართულიც კი ისწავლა. ორივეჯერ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის საშუალება მოგვცეს. ასევე, ნათელა ალადაშვილსა და მე ლექციები გვქონდა ლაიფციგის უნივერსიტეტში, მე კი 1977 წელს, როცა ბელგიაში ქართული კულტურის დღეები მოეწყო, ცნობილი მეცნიერის პროფესორ შარლ დელვუას მიწვევით ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტში წავიკითხე ორი ლექცია — აღრეული და განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ. იქ ჩემთვის უფრო ადვილი და საინტერესო იყო გამოსვლა — ფრიად მრავალრიცხოვანი აუდიტორია შეიკრიბა და, ბუნებრივია, ფრანგული ყველას ესმოდა, მაშინ როდესაც გერმანიაში (ლაიფციგში რუსულად ვკითხულობდი) ამ მხრივ მაინც გაჭირვება იყო — თარჯიმანი სჭირდებოდათ... შესაძლებლობა მომეცა გამოვსულიყავი ბუდაპეშტსა და ვენაშიც. მაგრამ ამ ჩვენს ლექციებზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ცხადა, კვლავ საერთაშორისო მეცნიერული კონფერენციები, მიძღ-

ენილი ქართული ხელოვნებისადმი, რომლებიც მას შემდეგ მოეწყო (უკვე ხსენებულთა გარდა). მე მათ თანმიმდევრობით მოვიხსენიებ:

1977 წლის მაისში ჩვენვე გავმართეთ მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც 25 მაისს თბილისში გაიხსნა, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში და 31 მაისს დაიხურა გელათში. თავისი მასშტაბით, იგი, რა თქმა უნდა, ბევრად აღემატებოდა ბერგამოს სიმპოზიუმს, იმიტომ, რომ იგი საქართველოში, ე. ი. „შესწავლის ობიექტში“. მოეწყო; უფრო კი იმის წყალობით, რომ ჩვენ საშუალება გვქონდა სიმპოზიუმი „სახელმწიფოებრივ დონეზე“ გავვემართა, რაკი ორგანიზაციულად და ფინანსურად ვეყრდნობოდით საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოების სრულ მხარდაჭერასა და ხელისშეწყობას.* მოხსენებათა რიცხვი ასორმოცდაათზე მეტი იყო; ქართველ მეცნიერთა გარდა, მონაწილეობდნენ რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი, დაღესტნელი სპეციალისტები, უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი უცხოეთაც: ამერიკის შეერთებული შტატები, ბელგია, ბულგარეთი, ორივე გერმანია და დასავლეთ ბერლინი, ინგლისი, იტალია, იუგოსლავია, ნიდერლანდი, პოლონეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, უნგრეთი. მუშაობდა ექვსი სექცია: შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებისა, შუა საუკუნეების ფერწერისა და ქანდაკებისა, გამოყენებითა და დეკორაციული ხელოვნებისა; ამას გარდა, დაუშვამტეთ, ერთი მხრივ, წინაქრისტიანული ხანის კულტურისა და ხელოვნების სექცია, მეორე მხრივ, ახალი და საბჭოთა ხელოვნებისა, აგრეთვე კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საკითხებისადმი მიძღვნილი სექციაც. ამგვარად, სიმპოზიუმი მოიცავდა ქართულ სახვითს ხელოვნებასა და არქიტექტურას მათი არსებობის მთელ მანძილზე, ამას ემატებოდა საქართველოში მოპოვებული უმ-

* არ შემიძლია მღელვარების გარეშე გავიხსენო აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტის, აწ განსვენებული ილია ვეკუას განსაკუთრებით გულისხმიერი და აქტიური დამოკიდებულება ჩვენი სიმპოზიუმისადმი. ვინც მას იცნობდა, ეს არ გაუკვირდება, იმიტომ, რომ ილია ფართო ინტერესების ადამიანი იყო და თავის თავს პასუხისმგებლად გრძნობდა ყველაფრისათვის, რაც ქართული კულტურის წინსვლასა და მის პრესტიჟს ეხებოდა. მაგრამ მაშინ ის უკვე მძიმე ავადმყოფი იყო და სულ რამდენიმე თვის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. ლაპარაკიც აღარ შეეძლო და თავის სათქმელს პატარა დაფაზე წერდა ცარცით. და მაინც, ყოველი წვრილმანი აინტერესებდა, ყველაუკრზე ზრუნავდა. მისი სურვილი იყო, რომ სიმპოზიუმი გელათში დაგვემთავრებინა, დიდად მოაწონა, რომ ახალი და საბჭოთა ხელოვნების სექციაც გვქონდა გათვალისწინებული. საკვირველია, რა ნებასყოფთო, რა გმირულად იტანდა თავის უმძიმეს მდგომარეობას, მან ხომ იცოდა, განწირული რომ იყო.

დიდრესი არქეოლოგიური მასალაც. ნიშანდობლივად მივიჩნით, რომ ახალი და საბჭოთა ქართული ხელოვნების სექციაში მოხსენებათა ნაწილი არაქართველმა სპეციალისტებმა წარმოადგინეს, მათ შორის ერთმა იუგოსლავიელმაც, რომლის თემაც დავით კაკაბაძეს ეხებოდა. ბუნებრივია, გათვალისწინებული იყო ხუროთმოძღვრებისა და მონუმენტური ფერწერის ძეგლთა დათვალიერება — ვიკავით კახეთში, ვნახეთ ალავერდი და ძველი შუამთა, ვნახეთ მცხეთა, სამთავისი, ატენი, ყინცვისი და, გელათში ასვლამდე, ცხადია, ბაგრატიის ტაძარი. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში სიმპოზიუმის გახსნის დღესვე გაიხსნა ოქრომჭედლობის ახალი ექსპოზიცია; გარდა საქართველოს მუზეუმისა, მონაწილეებს შეეძლოთ ენახათ კულტურის ძეგლთა დაცვისადმი მიძღვნილი გამოფენა უნივერსიტეტში, ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპოზიციაც, ძველი ქართული ფრესკების პირები, შესრულებული. ტატანა შევიაკოვის მიერ; გაიმართა კონცერტები. ასე რომ, ჩვენი ეროვნული მხატვრული კულტურა ისე იყო წარმოდგენილი, რომ მისი სიმდიდრეც ჩანდა, მრავალფეროვნებაც და ორიგინალობაც. ყველა გვიწყობდა ხელს — მარტო რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოები კი არა, არამედ ყველა, ვისაც კი ასე თუ ისე ეხებოდა საორგანიზაციო საკითხები — ტრანსპორტის მუშაეები (ჩვენთვის რამდენიმე ვაგონი გამოყვეს მონაწილეთა ქუთაისში გადასაყვანად. მატარებელში ხაშურში უნდა ჩავმსხდარიყავით მას შემდეგ, რაც ქართლის ძეგლებს მოვისტუმრებდით ავტობუსებით; ყინცვისში შეგვაგვიანდა და მატარებელი ჩვენი გულისთვის ოცდახუთი წუთით დააყოვნეს ხაშურში), ინტურისტის სამმართველო, თელავისა და ქუთაისის ხელმძღვანელი მუშაეები, გამომცემლობები... განსაკუთრებით გასახარელი იყო, რომ ეს სიმპოზიუმი ყველამ ისე მიიღო, როგორც თავისი საქმე, როგორც ეროვნული კულტურის მოვლენა. ამასვე მოწმობდა, რა თქმა უნდა, ნამდვილად საზეიმო განწყობილება, რომელიც გახსნის დღეს სუფევდა უნივერსიტეტის ხალხით გაქედილ დარბაზში, მოწმობდა ის, რომ ყველა სექციის სხდომას ბევრი მსმენელი ესწრებოდა, ისე რომ ხალხი არც კი ეტეოდა აუდიტორიებში... განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო დახურვის დღე ქუთაისსა და გელათში. წინა ღამეს კოკისპირული წვიმა მოვიდა. დილით გამოიდარა და ბაგრატიის ტაძარს ეს მიღეთის ხალხი რომ შეესია, მზით გაკაშკაშებული დღე იყო. გელათში ჩვენი თხოვნით ქუთაისის მუზეუმის საუკეთესო ექსპონატები გამოაფინეს; ტაძრების დათვალიერების შემდეგ მთავარ ტაძარშივე მოეწყო კონცერტი: ჭერ გორის სამუსიკო სასწავლებლის

გოგონების მშვენიერი გუნდი გალობდა, შემდეგ კი ქუთაისის საოპერო თეატრის გუნდმა და ორკესტრმა „აბესალომ და ეთერის“ მესამე მოქმედება შეასრულეს მთლიანად. ბედად ზურაბ ანჯაფარიძე აღმოჩნდა იმ დღეს ქუთაისში და აბესალომს ის მღეროდა... ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს კონცერტი...

დაზურვის ცერემონიალი, რომელიც გალაგის შიგნით ერთ-ერთ შენობაში მოთავსებულ კონფერენც-დარბაზში მოეწყო, მთლიანად იმპროვიზებული იყო, ყოველგვარი წინასწარ შედგენილი პროგრამის გარეშე. მას შემდეგ, რაც მე შემაჯამებელი და სამადლობელი სიტყვა წარმოვთქვი, ჩვენი სტუმრები ერთმანეთს ასწრებდნენ გამოსვლას და ყველა ძალიან ემოციურად. „ამაღლებულად“ ლაპარაკობდა — ჩვენი მოსკოველი, ლენინგრადელი კოლეგებიცა და დასავლეთ-ევროპელებიც. იუგოსლაველმა ჯურჯე ბოშკოვიჩმა, რომელსაც ადრევე ვიცნობდი მის სამშობლოში მოგზაურობის შემდეგ, განაცხადა — ეს სიმპოზიუმი კი არა, კონგრესი იყო — და შემოიტანა წინადადება, ასე ვუწოდოთ კიდევო — ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი პირველი კონგრესიო. ბერძენმა პროფესორმა პავლოს მილონასმა, რომელმაც სიმპოზიუმის გახსნის დღეს პლენარულ სხდომაზე წაიკითხა მოხსენება ათონის ივერიის მონასტრის არქიტექტურის შესახებ, წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელიც ყველას განსაკუთრებით დაამახსოვრდა:

— მე აქ ჩამოვედი, როგორც ახალი იაზონი, მაგრამ ოქროს საწმისი კი არ მიმაქვს, არამედ მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობა. იწედი მაქვს, რომ შემდეგი ყრილობა, მიძღვნილი ქართული ხელოვნებისადმი, გაიმართება ევროპის რომელსამე ქვეყანაში და იქაური ქალაქები ისე შეეცილებიან ერთმანეთს მის მოწყობაში, როგორც ძველი ბერძნული ქალაქები ეცილებოდნენ ერთიმეორეს — არა მე ვარ ჰომეროსის სამშობლო და არა მეო. და თითქოს ამ სიტყვების დასადასტურებლად გამოვიდა სამხრეთ იტალიის ქალაქ ბარის უნივერსიტეტის პროფესორი და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ქალბატონი მარია სტელა კალო-მარიანი და განაცხადა: ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმს ჩვენ გაემართავთ სამი წლის შემდეგო. მას არავინ არ შესცილებდა. მხოლოდ ეს იყო, რომ ქალაქ ბარის „შეუპაზხანავდა“ სამხრეთ იტალიისავე მეორე საუნივერსიტეტო ქალაქი ლეჩე, სადაც მაშინ ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი იყო პროფესორი კოზიმო დამიანო ფონსეკა (მერე რექტორი გახდა); და ამ ორმა უნივერსიტე-

ტმა მართლაც მოაწყო მესამე სიმპოზიუმი 1980 წლის ოქტომბერში. რა თქმა უნდა, ყველა ჩვენი იტალიელი მეგობარი მონაწილეობდა მასში — ადრიანოც, ნინო ყაუხჩიშვილიც, სხვებიც. იქ განსაკუთრებით დავუმეგობრდით ვენეციის უნივერსიტეტის თანამშრომელს ლუიჯი მაგაროტოს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საიმედო და „პერსპექტივიანი“ ქართველოლოგია ამჟამად დასავლეთში. გარდა იტალიელებისა, მონაწილეობდნენ ფრანგი, ბელგიელი, გერმანელი, ინგლისელი, ბერძენი, უნგრელი მეცნიერები. საქართველოდან ოცნი ვიყავით: ორგანიზატორებმა საჭიროდ მიიჩნიეს აგრეთვე ჩვენი სომეხი და რუსი კოლეგების მოწვევაც, რაც სავსებით გამართლებული იყო (მოსკოვიდან ერთი იყო, ერევნიდან — ორი). სიმპოზიუმის თემატიკა თავიდანვე შემოიფარგლა მე-10—14 საუკუნეების ხელოვნებით, მაგრამ სინამდვილეში ბევრი მოხსენება გადასცდა ამ ქრონოლოგიურ ფარგლებს. მოხსენებების ჩამოთვლას, ცხადია, არ დავიწყებ (აქ მეტი იყო, ვიდრე ბერგამოში, ისე რომ, სექციებად დავიყავით), მაგრამ შემდეგ კი უნდა ითქვას: ა) აშკარად გამოიკვეთა უკვე მეორე სიმპოზიუმზე ჩასახული ინტერესი ქართული ხელოვნებისა და სხვა ქვეყნების ხელოვნებათა ურთიერთმიმართების კვლევისა; გამოყოფილი იყო საგანგებო სექცია: „ქართული კულტურა და დასავლეთის სამყარო“; ბ) გამოჩნდა, რომ დასავლეთში იზრდებოდა ინტერესი არა მარტო ძველი ქართული, არამედ ახალი ქართული, კერძოდ, XX საუკუნის ხელოვნებისადმი; გ) მოხსენებათა ნაწილი თავისი თემატიკით გასცილდა საკუთრივ ხელოვნების ფარგლებს და შეეხო ლიტერატურისა და, საერთოდ, კულტურის ისტორიის საკითხებსაც. ეს, ჩემი აზრით, იმის მაჩვენებელი იყო (თუმცა ეს უამისოდაც ნათელია), რომ მომწიფებულია საკითხი ზოგადი ქართველოლოგიური სამეცნიერო შეხვედრების მოწყობისა საერთაშორისო მასშტაბით — გინდა სიმპოზიუმი დაარქვი ამ შეხვედრას და გინდა კონგრესი. აი რამდენიმე დაწახასიათებელი თემა ბარისა და ლეჩეში წარმოდგენილი ამგვარი მოხსენებებისა: „ვეფხისტყაოსანი: აღმოსავლური და დასავლური კულტურის ელემენტები“ (კეტრინ ვივიენი, ინგლისი); „ილარიონ ქართველის მოგზაურობა დასავლეთში IX საუკუნეში“ (ბერნადეტ მარტენი, პარიზი — ეს ახალგაზრდა სეროიზული მკვლევარი ქალია, რომელიც საფუძვლიანად იცნობს ქართულ მასალას); „საქართველოს ჰუმანიტეტების გეოგრაფიაში“ (ლუიჯი პაგანი, ბერგამო); „უესიწუნები ქართული და იტალიური ზღაპრების შესახებ“; „ძველი ხალხური ელემენტები ავანგარდისტების მხატვრობაში და-

სავლეთსა და აღმოსავლეთში“ (ეს ნინო ყაუხჩიშვილის მოხსენება იყო, რომელიც პირველ დღეს წაიკითხა პლენარულ სხდომაზე — ქართველ მხატვართაგან ფიროსმანს ეხებოდა); „იტალიელი მხატვრები და გალაკტიონ ტაბიძე“ (ლუიჯი მაგაროტო, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს სწორედ XX საუკუნის პირველი ათეული წლების ქართული მწერლობისადმი, „ცისფერყანწლებისადმი“: გალაკტიონის ლექსები თარგმნა კიდევ იტალიურად); ამავე პერიოდს სწავლობს გერმანელი ბერნდ შოლციც (მარბურგიდან), ესეც ჩვენი მეგობარი, ახალგაზრდა მკვლევარი, სლავისტი, რომელიც სერიოზულად დაინტერესდა საქართველოთი; სამი წლის შემდეგ, მეოთხე სიმპოზიუმზე, საინტერესო მოხსენება ჰქონდა ქართული წიგნის გაფორმების შესახებ „მოდერნიზმი“ ეპოქაში, რუსულ და დასავლეთევროპულ წიგნის გრაფიკასთან შედარების ასპექტით. ნინო ყაუხჩიშვილის ორმა მოწაფემ წაიკითხა მოხსენებები კასტელის ხელნაწერების შესახებ, მათ მიერ გამოკვლეული საარქივო მასალების მიხედვით; და კიდევ ერთი სპეციფიკური ნიშანი ჰქონდა ამ სიმპოზიუმს: ცალკე სექცია დაეთმო გამოქვეყნებულ ნაგებობებსა და მათს მოხატულობას: პულის პროვინცია, რომლის ცენტრია ბარი, ძალიან მდიდარია ასეთი კლდეში ნაკვეთი ანსამბლებით და სწორედ ამიტომ სამხრეთ იტალიელ კოლეგებს საგანგებოდ დაინტერესებდათ ჩვენი ანალოგიური ძეგლები.

ამ სიმპოზიუმისთვისაც ჩვენს იტალიელ კოლეგებს დიდი ფერადი აფიშა ჰქონდათ გამოშვებული — ანანურას ტაძრის სამხრეთი ფასადის მცენარის (სიცოცხლის ხის) რელიეფური გამოსახულება. ბარის უნივერსიტეტის შენობა XX საუკუნის დასაწყისის დიდი და ფრიად სოლიდური ნაგებობაა, მშვენიერი, საზეიმო იერის მქონე „აულა მაგნათი“ (სააქტო დარბაზით). აქ გაიხსნა 14 ოქტომბერს დილის 11 საათზე მესამე სიმპოზიუმი უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ლუიჯი ამბროზის სიტყვით. ილაპარაკეს ქალაქის მერის მოადგილემ, კალო მარიანიმ, კიდევ ორიოდე კაცმა; მეც ვთქვი მოკლე სიტყვა, ჩემ შემდეგ კი ერვენის ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორმა რუბენ ზარიანმა. დარბაზში ასამდე კაცი იყო. ბარი კარგა ჰოზრდილი ინდუსტრიული ქალაქია, ნეაპოლის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი სამხრეთ იტალიისა, ძალიან ფუნდამენტურად, ბურჟუაზიულად „საიმედოდ“ ნაშენი; ისტორიული უბნები აქაც კოლორიტულია. ორი-სამი ნაბიჯის სიგანის ქუჩების ლაბირინთით, „კასტელოთი“ (ციხე-დარბაზით), შუა საუკუნეთა ტაძრებითა და საერთო შე-

ნობეებითაც — ერთ-ერთ მათგანში, რომელსაც „პორტიკო პელებრინი“ ჰქვია, ერთი სხდომაც ჩატარდა; ბარის ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი გაგვახსენა ოფიციალურმა მიღებამ მუნიციპალიტეტში: ცერემონიალი (ჩვეულებისამებრ, სიტყვები წარმოითქვა) ჩატარდა მიურატის დიდი პორტრეტის წინ. თურმე ნეპოლის მეფედ რომ იყო, ბარიში ახალი ქალაქის მშენებლობა მას წამოუწყია (რეგულარული ქადრაკული გეგმით) და, ეტყობა, ბევრი მოუსწრია კიდევ — ბარელებმა არ დაუვიწყეს ეს ღვაწლი, თუმცა მისი მეფობა, როგორც ცნობილია, ტრაგიკულად დასრულდა: განდევნეს და მერე დაბვრიტეს კიდევ. უცნაურია, თითქოს რა ჩემი საქმე უნდა ყოფილიყო, მაგრამ აშკარად რაღაც სიამოვნება ვიგრძენი, ეს რომ გავიგე: ისტორია ხომ სავსეა უმადურობის მაგალითებით.

ქალაქ ბარის ამბავი ასე თუ ისე ვიცოდით (წინა წელს მე და ნინო ყაუხჩიშვილი ვიყავით იქ, ამ სიმპოზიუმის საკითხებზე მოსათაბირებლად), ლეჩეს შესახებ კი არც ერთ ჩვენგანს არაერთარი წარმოდგენა არ გვქონდა. ძალიან თავისებური და ლამაზი ქალაქი აღმოჩნდა: განსაკუთრებით ინტენსიურად XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნეში შენდებოდა და სავსეა ბაროკული პალაცოებითა და ეკლესიებით, რომელთა ფასადები ძვირფასი ნივთებივითაა მორთული რელიეფებითა და ჩუქურთმებით — თითქოს რამდენადმე ბავშვური და გულუბრყვილო სიყვარული ჩანს ზიზილ-პიპილებისადმი, მაგრამ ყველაფერი ოსტატურადაა შესრულებული და მართლა ლამაზია. ამ „ულტრა-ბაროკოს“ მაინც ესპანეთის სიახლოვე ეტყობა. სასახლეებს უზარმაზარი სიმაღლის სართულები, მძლავრი კედლები და დიდი სარკმლები აქვს, იმ პროპორციებისა, რენესანსმა რომ იცოდა და ძველი რომაული მოდგმისა რომ არის.

სიმპოზიუმში ლეჩეს უნივერსიტეტის დიდ დარბაზში დაიხურა (ეს ახალი, თანამედროვე შენობაა). იქ დასკვნითი სიტყვა წაიკითხა პროფესორმა ფონსეკამ, ილაპარაკეს ნინო ყაუხჩიშვილმა, ადრიანომ, უნივერსიტეტის რექტორმა, იტალიური ლიტერატურის ისტორიკოსმა მარიო მარტიმ (იტალიელები უნივერსიტეტის რექტორებს ძალიან საზღიბოდ უწოდებენ „რეტორე მანიფიკო“), მოსკოველმა ოლღა პოდობედოვამ, მეც ვთქვი ორიოდ სიტყვა. იქ კიდევ ის იყო საყურადღებო, რომ გამოვიდნენ ბერლინის გამომცემლობის „უნიონ ფერლაგის“ ერთი ხელმძღვანელთაგანი ჰუბერტ ფენზენი, რომელმაც დამსწრეთ წარუდგინა ახლად გამოცემული წიგნი ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ (გერმანელ ედიტ ნოიბაუერისა და ჩემი ტექსტით,

გერმანელ კლაუს ბაიერის ფოტოსურათებით), და ბელგიელი პროფესორი, ლუვენ ლა ნევის ხელოვნების ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ტონი ჰაკენსი, რომელმაც გამოაცხადა, რომ მოკლე ხანში გამოვა დიდი ტომი ქართული ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების შესახებ — იტალიელი, ბელგიელი და ქართველი ავტორების კოლექტიური ნაშრომი (ეს წიგნი, რომელშიც ალპაგო ნოველოსა და ენძო ჰიბშის შესანიშნავი ფოტოსურათები და უამრავი ნახაზია, მართლაც გამოვიდა იმ წლის ბოლოს. უნდა გამოსულიყო იტალიაში, მაგრამ ვერ მოხერხდა — გამომცემელი გაცოტრდა; მერე ეს საქმე ჰაკენსმა იტვირთა და ბოლომდე მიიყვანა კიდეც. იშვიათი ენერგიისა და ტემპერამენტის კაცია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა. მას შემდეგ საქართველოსთან მჭიდრო კონტაქტი დაამყარა). სიმპოზიუმის დახურვისას რამდენიმე გამომსვლელმა გამოთქვა სურვილი — შემდეგი სიმპოზიუმი საქართველოში გაიმართოსო. მე აღვუთქვი მათ, რომ მათს სურვილს შევასრულებდით, რადგანაც ექვი არ მეპარებოდა, რომ მეოთხე სიმპოზიუმის გამართვის აზრი ჩვენთან ისეთსავე მხარდაჭერას ჰპოვებდა, როგორც მეორე სიმპოზიუმმა ჰპოვა.

აქ მინდა გავიხსენო ყველა ამ საერთაშორისო შეხვედრის კიდევ ერთი, დამატებითი კომპონენტი, რომელსაც აგრეთვე არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ეროვნული კულტურის დემონსტრაციისათვის და, როგორც გამოირკვა, ქართული ეროვნული ხასიათის გამოვლინებისთვისაც. ეს არის ქართული სიმღერა. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ გელათის ტაძარში ქართული მუსიკის კონცერტი გაიმართა, ასეთივე მცირე კონცერტი იყო ალავერდშიც; მანამდე, ბერგამოს პირველ სიმპოზიუმზე რომ მივემგზავრებოდით, თან წავეიღეთ სოსო ჩხაიძის ფილმი „ქართული საგალობლები“, რომელმაც იქაც და შემდეგაც, გერმანიაშიც (მარბურგში) ძალიან კარგი სამსახური გაგვიწია. მაგრამ ეს სულ პროფესიული შესრულების ჩვენება იყო. ბარისა და ლეჩეში კი, ისევე როგორც თბილისის საოჯახო შეხვედრების დროს, ჩვენ საკუთარ „თვითმოქმედებასაც“ ვიყენებდით და, უნდა ითქვას, რომ ეფექტი მუდამ უძლიერესი იყო. ამ „თვითმოქმედებას“ შეადგენდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები ნუგზარ ანდლულაძე, ნუკრი ალხაზაშვილი — ორივე მშვენიერი მცოდნე ქართული სიმღერებისა, და მათთან ერთად თემურ საყვარელიძე, რომელიც მათ ბანს აძლევდა. მათი იმპროვიზებული კონცერტების ძალა ადრეც გვქონდა გამოცდილი, მაგალითად, 1970 წელს იუგოსლავიაში, სპლიტის დიო-

კლტიანეს სასახლის კამარებქვეშ, სადაც მათ უამრავი ტურისტი უსმენდა, იუგოსლავიიდან დაბრუნებისას, თვითმფრინვაში, სადაც, მგონი, მთელი ეკიპაჟი გამოვიდა კაბინიდან მათ მოსასმენად... ახლა, როცა ლეჩეში ვაგვიმართეს გამოსათხოვარი ბანკეტი, მათ განსაკუთრებით გამოიდეს თავი — დიდხანს მღეროდნენ გატაცებით, ასევე არანაკლები გატაცებით და აღფრთოვანებით უსმენდნენ მათ მასპინძლებიცა და სტუმრებიც. ყველანი წამოიშალნენ თავ-თავისი ადგილებიდან, შექუჩდნენ მომღერლების გარშემო, გოცებულნი პირში შეჰყურებდნენ მათ, ვან-ესბრუკი კი ცდილობდა ხმა აეყოლებინა სიმღერისთვის. ქართული სიმღერა, მით უფრო, როცა მას პირველად ისმენენ, ყველას ხიბლავს თავისი მელოდიურობით და აოცებს მრავალხმიანობით... იმავე დროს — როგორც ეს ჩემთვის არაერთხელ უთქვამთ უცხოელ კოლეგებს — ამ სიმღერით ისინი განსაკუთრებით ნათლად აღიქვამენ და სწვდებიან თვით ქართველთა ეროვნულ სულს, თავისებურებას. მე თვითონაც ძალიან აშკარად, თითქოს ხელშესახებად, შევიგრძენი ეს წინა წელს, იტალიაშივე, როდესაც კავკასიის კულტურისადმი მიძღვნილ კონფერენციაში ვმონაწილეობდი (ეს კონფერენცია უკვე მოვიხსენიე გაცვრით). ერთ საღამოს სავახშმოდ წავვიყვანეს ბერგამოდან ოცდაათ კილომეტრზე, სადაც მთაში, ძალიან მაღლა. მონაწილეთა შორის, გარდა ერევენელებისა, ბევრი იქაური სომეხიც იყო. ერთი მათგანი, სულ ახალგაზრდა, მშვენივრად, პროფესიულად მღეროდა, ძალიან ლამაზი ხმაც ჰქონდა, ლირიკული ტენორი (მგონი, ლა-სკალას მომღერალიც კი იყო). იმან წამოიწყა და ორი ხალხური სომეხური სიმღერა შეასრულა ნამდვილი გრძნობით — ორივე ნაღვლიანი, ტრაგიკულიც კი. მღეროდა მარტო, რაკი სიმღერებიც ერთხმიანია. იმან რომ დაამთავრა, ჩვენები ამღერდნენ — ჩვენი ტრიოდან იქ მარტო ნუგზარ ანდლულაძე გვყავდა, მაგრამ მასთან ერთად მღეროდნენ დავით მუსხელიშვილი და შუქია აფრიდონიძე. აღარ მახსოვს, რას, მახსოვს მხოლოდ, რომ სიმღერები არაჩვეულებრივად დინამიკური იყო, ცოცხალი, მხიარული, ზოგა სახუმაროც, და გასაოცარი კონტრასტი გამოვიდა სოხურ მელანქოლიურ მელოდიასთან. ეს, ცხადია, სრულებით არ ნიშნავს, რომ სომეხებს მხიარული სიმღერები არა აქვთ და ქართველებს ნაღვლიანი. მაგრამ იქ, იმ სიმღერებს რომ ისმენდნენ, ყველას მაინც ძალაუნებურად შეექმნა შთაბეჭდილება, რომ სიმღერები არა მარტო მელოდიითა და ჰარმონიის ხასიათით განსხვავდებოდა, არამედ ასახავდა უფრო ღრმა ფსიქიკურ თვისებებს თავისი შემქმნელი ერისას.

ბარი-ლეჩეს სიმპოზიუმის ორგანიზატორებმა ჩვენ, შეიძლება ითქვას, დიდი ჯილდო მოგვიმზადეს: გასაოცრად საინტერესო მოგზაურობა სამხრეთ იტალიაში. იქაც ზომ უამრავი მნიშვნელოვანი ძეგლია. ყველას ვინ ჩამოთვლის, მაგრამ უნდა მოვიხსენიო ის, რაც სპეციფიკურია: ქალაქი მატერა, სადაც დარჩენილია გამოქვავული კომპლექსები (საცხოვრებლები, ეკლესიები), რომელთაგან უძველესი ნეოლითის ხანას მიეკუთვნება, უგვიანესი კი, მგონი, XIX საუკუნე-საც კი; რა თქმა უნდა, პომპეი, სადაც სრულიად თავბრუდამხვევი შთაბეჭდილება მოახდინა ე. წ. „მისტერიების სახლის“ კედლის მხატვრობამ (თუკი ოდესმე პომპეიში მოხედებით, არ დაგავიწყდეთ ამ სახლის ნახვა — ცოტა მოშორებითაა); და კიდევ ერთი, არანაკლებ ძლიერი, თუმცა კი სხვაგვარი შთაბეჭდილება: ძველი ბერძნული ტაძრების ნანგრევები პესტუმში! თვით ეგვიპტურ ტაძრებსაც კი, რომლებიც შეუდარებლად უფრო დაღია, არ ავუღელვებვიარ ასე თავისი ძალით და მონუმენტალობით, როგორც პესტუმის პოსეიდონის ტაძარმა ამაღლეა! რგი თვით პართენონსაც კი მირჩევნია: იქ აბსოლუტურა პარმონიაა, რომელსაც არაფერი არ არღვევს... აღქმაც „მშვიდობიანია“. აქ კი, ამ პირველყოფილ ურყევ ძალას რომ ხედავ, ამ მიძიმე, ყოველგვარ სამკაულს მოკლებულ დორიკას, „ხასიათი“ უფრო მკვეთრად მეღავენდება, ზემოქმედება უფრო ემოციურია. ნამდვილი, „წმინდა წყლის“ ხუროთმოძღვრება თუ გინდა, სწორედ ეს არის. თანაც ცივი, ქარიანი დღე იყო, მიძიმე, რუხი ღრუბლები იყო ჩამოწოლილი და ესეც აღრმავებდა განწყობილებას.

ჩვენს სტუმართმოყვარე და მომნიბველ მასპინძელს პროფესორ კალო მარიანის გამოვემშვიდობეთ ბარის რკინიგზის სადგურზე (ლეჩედან რომში მატარებლით ვბრუნდებოდით), გულაჩუყებული იყო და ბევრი ცრემლი ღვარა... არც გამკვირვებია, იმიტომ, რომ ძალიან გულითადი დამოკიდებულება გვქონდა, შეეჩვია ინსტიტუტელებს; ნამდვილი მეგობრული გრძნობა გაუჩნდა მათ მიმართ.

ბარისა და ლეჩეს სიმპოზიუმში ბერძენი ხელოვნების ისტორიკოსებიც მონაწილეობდნენ: პროფესორი, ქალბატონი დულა მურიკი და მისი ასისტენტი ქალბატონი ეფთალია კონსტანტინიდესი (ისინი 1977 წელსაც იყვნენ თბილისში). ბიზანტიური მხატვრობის სპეციალისტები არიან და მათი დაინტერესება შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებით სრულიად ბუნებრივია.

მათი თაოსნობით 1981 წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა: კუნძულ პატმოსზე გაიმართა ბერძნულ-ქართული სიმ-

პოზიუმი ბიზანტიური და ქართული ხელოვნების ურთიერთობის შესახებ. ეს ის ლეგენდარული პატმოსია, სადაც, ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, იოანე მოციქულმა შეთხზა თავისი „აპოკალიფსისი“ („იოანეს გამოცხადება“) — ახლაც უჩვენებენ იმ მღვიმეს, სადაც თითქოს შეხიზნული იყო იოანე, ეს ერთი „ღირსშესანიშნაობათაგანია“ პატმოსისა. მაგრამ პატმოსი მთლიანადაც ღირსშესანიშნავია: ქვის პაწაწკინტელა მთიანი კუნძული ეგეოსის ზღვაში (სულ 34 კვადრატული კილომეტრი, 2500-მდე მცხოვრები). მცენარეულობით ღარიბი, მწირნიადაგინი. საკუთარი მოსავალი ორ თვეს ძლივს ჰყოფნით. წინათ აქ მდიდარი, მოვაჭრე ხალხი ცხოვრობდა, ეტყობა საზღვაო ვაჭრობაში იყვნენ ჩართულნი. იტალიელთა ოკუპაციისა და ომის დროს ეს ყველაფერი მოიშალა, ბევრმა მიატოვა იქაურობა, ზოგი ქალაქებში გადასახლდა, ზოგი ამერიკასა და ავსტრალიაში წავიდა. ვინც დარჩა, ზემო, მთავარი დასახლებიდან, რომელსაც ქორო ეწოდება, ქვემოთ გადავიდა, ზღვის პირას მდებარე სოფელ სკალაში (მანძილი ამ ორ დასახლებას შორის სულ რამდენიმე კილომეტრია). ქორო გაპარტახდებოდა და ნანგრევებად იქცეოდა, მდიდარ ათენელებს რომ არ შეეძინათ ძველი სახლები თავის აგარაკებად. სახლები გარედან პრიმიტიული შესახედავია — მარტივი კუბური ბანიანი მასივები, ყველა ფერდზეა განლაგებული, ყოველი სახლი ტერასებად არის დასაფეხურებული და შეგნით სხვადასხვა დონეზე განლაგებული დიდი ოთახებია. უკლებლივ ყველა სახლი გარედანაც და შიგნითაც კირით არის შეთეთრებული და მზიან დღეს (ჩვენ იქ შუა ივლისში ვიყავით) მთელი სოფელი ისე ლაპლაპებს, რომ თვალს ვერ გაუსწორებ. ქუჩები ორი ნაბიჯია სიგანით. რა თქმა უნდა, აქ ვერავითარი ტრანსპორტი ვერ იმოძრაებს — მანქანები და ავტობუსები სოფლის ქვემოთ ჩერდება, კიდევ ერთ ტერასაზე. ყოველ სახლს ქუჩის მხარეს ორიოდ სარკმელი და შესასვლელი აქვს: ჯერ მცირე patio-ში შედიხარ (ორიოდე ხე, ყვავილები), იქიდან — ოთახებში. ხის ფიცრული ქერი, ოთახებს შორის თაღები, ხის ავეჯი, ხალხური ქსოვილების ნიმუშები. ბევრი რამ, ალბათ, სტილიზაციაა, მაგრამ ზომიერი. ჩვენ გავგანაწილეს თვით ეფთალიასა და მისი მეგობრის სახლებში. ეფთალიას სახლში: კედლების გაყოლებით მთელ სიგრძეზე უზარმაზარი ტახტები, ისეთი, რომ სიგანეზე დაეტევა კაცი, და უამრავი (ორმოცდაათი, სამოცი, სამოცდაათი!) ბალიში — სანებივროდ უკეთეს ადგილს ვერ ინატრებ... ზოგი სახლი ძველია, ერთი, რომელშიც ოდესღაც ვენეციის აკონსულო ყოფილა, 1526 წლით არის დათარიღებული. მიუხედავად

მცენარეულობის სიმწირისა, კუნძული ძალიან ლამაზია. როცა ქვე-
მოდან, სკალადან შეხედავ, წარმოგიდგება საკმაოდ მაღალი ბორცვი,
რომელსაც გვირგვინივით თავს ადგას მძლავრი, კბილანებიანი გალავ-
ნით გარშემორტყმული მონასტერი იოანე მახარებლის სახელობისა.
მის ქვემოთაა ქოროს სახლები, რომლებიც თითქოს შესევიან მონას-
ტრის კედლებს და მასზე აცოცებას ლამობენ. სრული შთაბეჭდილე-
ბაა, რომ კამათლებია გაბნეული: თეთრი პატარა კუბები სარკმელე-
ბის შავი წერტილებით. მაგრამ განსაკუთრებით შთამბეჭდავია ის პა-
ნორამა, რომელიც ზემოდან იშლება თვალწინ: არსად არ მინახავს
ასეთი დაკლაკნილი, დაკბილული, შეჭრილ-შემოჭრილი სანაპირო, იქ
რომ არის. მთელი სანაპირო კონცხების, ყურეებისა და უბეებისგან
შედგება. აქ სულ სამი ფერია: ზღვის ლურჯი, მიწის ქვიშისფერი და
სახლების თეთრი... იქით კიდევ კუნძულები და ზღვის უსაზღვრო
სივრცეებია.

მონასტერში, რომლის წინამძღვარიც კუნძულზე პირველ კაცად
ითვლება, საინტერესო მუზეუმი და ბიბლიოთეკაა. მუზეუმის ექსპო-
ნატთაგან ყველაზე შესანიშნავია XI საუკუნის პატარა მოზაიკური
ხატი წმინდა ნიკოლოზისა (ძალიან ლამაზი ფერადოვნების მხრივ) და
VII საუკუნის ერთი დასურათებული ხელნაწერი. მგონი, ეს ბიბლიო-
თეკა საბერძნეთში საუკეთესოდ არის მიჩნეული გამართულობის
მხრივ. მართლაც იდეალური პირობებია სამუშაოდ: კონდიციონირე-
ბული ჰაერი, მშვენიერი კარადები (ყველა წიგნი — მისაწვდომ სი-
მაღლეზე), საგანგებო მოწყობილობა სამაგიდო განათებისა, საგანგე-
ბო ლინზები, უახლესი აპარატურა მიკროფილმების გადასაღებად
(მიკროფილმს გიბეჭდავენ კიდევ და გადიდებულადაც გიჩვენებენ
ეკრანზე; რომელი გვერდიც გჭირდება, შეგიძლია დააბრუნო). წიგ-
ნების ფონდი მაინცდამაინც დიდი არ არის, მაგრამ კარგად არის შერ-
ჩეული (უცხოეთიდანაც ბევრი მკვლევარი ჩამოდის სამუშაოდ).

ზაფხულობით ქორო ცოცხლდება, როდესაც აქ ერთი-ორი თვით
თავს იყრის მდიდარი ბურჯუაზიულ-არისტოკრატიული საზოგადოება
და კარგადაც ატარებს დროს. სიმპოზიუმის ახალგაზრდა ბერძენმა
მონაწილეებმა გვითხრეს, ამ სახლებში ჩვენ პირველად მოვხვდით
თქვენი წყალობითო. ჩვენთვისაც უჩვეულო იყო (თუმცა დაკვირვე-
ბისთვის არც უინტერესო) ამ „მაღალ საზოგადოებაში“ ტრიალი:
ათენში ჩასვლის დღეს ვახშმად პირეოსის იახტ-კლუბში ზედ ზღვის
პირას, სადაც ჩვენი მასპინძელი იყო ოთხმოც წელს გადაცილებული
გადამღვარი ადმირალი; შემდეგ მიღება ჩვენი მასპინძლების მეგო-

ბარ ქალთან ათენის გარეუბან კიფისიაში, სადაც არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ვილებია — მიღება ბაღში იყო, იყვნენ მინისტრები, ელჩები, დიპლომატები და ძვირფასი თვლებითა და ოქროულობით აბღვრიანებული მანდილოსნები; შემდეგ, უკვე პატმოსზე, კიდევ ერთი მიღება რომელიდაც მულტიმილიონერის, ბიზანტიური ხელოვნების დიდი მოყვარულის, იახტაზე... ეს, ასე ვთქვათ, დივერტისმენტი იყო, რომელიც დროდადრო თან ახლდა საქმეს.

ახლა თვით ამ „საქმის“ შესახებ: სიმპოზიუმზე მოწვევა ფორმალურად პატმოსის „კულტურის საზოგადოებისაგან“ მოგვივიდა, მაგრამ სინამდვილეში, მე მგონია, ხარჯები ეფთალიამ და მისმა ფრიად შეძლებულმა მეუღლემ გაიღეს. ეფთალია იყო მთავარი განმკარგულებელი და ყველაფრის თავის მომბმელი. ჩვენთვის ეს კონფერენციაც, ზედმიწევნით კარგად მოწყობილი მოგზაურობაც კლასიკურსა და ბიზანტიურ საბერძნეთში უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო. როგორც საბერძნეთში პირველი მოგზაურობის დროს 1976 წელს, ახლაც თვალნათლივ ვხედავდი არსებითს განსხვავებას ქართულსა და ბიზანტიურ საეკლესიო ხუროთმოძღვრებას შორის, ჩვენი „მეფრესკეებისთვის“ კი ძალიან სასარგებლო იყო, რომ შეეძლოთ შეედარებინათ ქართული კედლის მხატვრობა ბიზანტიური ფრესკების ორიგინალებთან (თუნდაც მისტრის ეკლესიების ფრესკებთან). ამას გარდა, როცა საბერძნეთში მოგზაურობ, უმდიდრეს მუზეუმებსა და ძეგლებს ეცნობი, არ შეიძლება არ დაგაფიქროს სწორედ კლასიკურისა და ბიზანტიური „სულის“ თანაარსებობამ ერთ ქვეყანაში. ცხადია, ეს ორი, დროის მხრივ დაშორებული, ეტაპია, მაგრამ დღეს, როცა ორივე წარსულს ეკუთვნის, როცა ორივე უკვე ისტორიაა, ძალუხნებურად ფიქრობ, როგორ შეეძლო ერთსა და იმავე ერს შეექმნა პრაქსიტელეს ჰერმესიც და ჯვარცმული ქრისტეს ხატებაც — ორი, დიამეტრულად საწინააღმდეგო, ერთმანეთის გამომრიცხავი მსოფლგაგება! ეს კია, რომ როდესაც დაფნის ბიზანტიური მოზაიკების იდეალურ ფიგურებს უყურებ, მათ წინაპრად (თუნდაც შორეულად) კლასიკური ბერძნული ფიგურები წარმოგიდგება მაინც.

საქართველოდან სიმპოზიუმზე ვიყავით: ნათელა ალადაშვილი, გაიანე ალიბეგაშვილი, რისმაგ გორდუზიანი, ანელი ვოლსკაია, კიტი მაჩაბელი, ავთანდილ მიქაბერიძე (რომელიც რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა საბერძნეთში, როგორც სტიპენდიატი, მშვენივრად იცნობს ქვეყანას, იმ წრის ადამიანებს, რომელშიაც ჩვენ ვტრიალებდით, იცის ძველი ბერძნულიც და ახალიც), ეკა პრევალოვა, რუსუდან ყე-

ნია და მე. ბერძენ მონაწილეთა შორის, ორგანიზატორთა გარდა, იყვნენ ცნობილი მეცნიერები: აკადემიკოსი მანოლის ხაძიტაკისი და ჩემ მიერ ზემოთ უკვე მოხსენებული პროფესორი პავლოს მილონასი (ათენში მან მაჩვენა მის მიერ შესრულებული ანაზომები ათონის მონასტრებისა და იქაური ფრესკების გრაფიკული სქემები — გიგანტური ნაშრომი, რომელსაც რამდენიმე ათეული წელი მოანდომა. მრავალი ასეული ფურცელია. გულდაწყვეტილი მეუბნებოდა, ამ ჩემი ნაშრომის გამოქვეყნება აქ არავის აინტერესებსო). მოხსენებები ეხებოდა ბიზანტიურსა და ქართულ ხუროთმოძღვრებას, მონუმენტურ მხატვრობას, გამოყენებითს ხელოვნებასაც.

სიმპოზიუმი გაიხსნა 25 ივლისს კულტურის საზოგადოების შენობაში. ყველაფერს ინტიმური ხასიათი ჰქონდა, და არა საზეიმო, მიუხედავად გარდუვალი მისასალმებელი და სამადლობელი სიტყვებისა. დარბაზში სულ 30-35 კაცი იყო (მათ შორის პატმოსელი ბერებიც). საქმისთვის ასე სჯობდა. დულამ და ეფთალიამ შესავალ სიტყვებში თქვეს, რომ ამ შეკრების მოწყობა მათ შთააგონა ქართული ხელოვნების მეორე სიმპოზიუმმა 1977 წელს, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ; მერე — ხელმეორედ ჩამოსვლამ საქართველოში. აღტაცებით იგონებდნენ ქართულ ძეგლებსაც და ჩვენს ქვეყანაში გატარებულ დღეებსაც. ჩემი საპასუხო სიტყვების შემდეგ პირველი მოხსენება წაიკითხა რისმაგ გორდუზიანმა — „ბერძნულ-ქართულ ურთიერთობათა ზოგი ასპექტი“ — ზოგადი ოცწუთიანი მიმოხილვა ნეოლითის დროიდან ბიზანტიურ ხანამდე, ნათლად, მკაფიოდ აგებული, საჭირო და სასარგებლო ასეთი შეკრებისთვის, სადაც ჩვენ ბევრად მეტი ვიცოდით ჩვენი პარტნიორების კულტურის შესახებ, ვიდრე იმათ ჩვენს კულტურაზე.

მანოლის ხაძიტაკისის თემა იყო „ათონის ლავრის ხატები ერთი ქართული ტექსტის მიხედვით“. თქვა, რომ ლავრაში, რომელიც X საუკუნის სამოციან წლებშია დაარსებული, XII საუკუნეზე აღრინდელი ნივთები (ხატები, ჯვრები) არ შემონახულა. მაგრამ გიორგი მთაწმინდელის მიერ დაწერილ იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში, რომელიც ლათინურად თარგმნა პაულ პეეტერსმა, არის ცნობები ლავრისთვის შეწირული ხატებისა და ჯვრების შესახებ (მართლაც, ლავრისთვის შეწირული დიდძალი განძია აღნუსხული, მათ შორის „ჯვარცუმიისა ხატი ცვილანის დიდი“ და „სხუაი დიდი ხატი ვედრებისაი“ და ბევრი სხვა). ყველაფერი ნათელი არ არის, მაგრამ მაინც მნიშვნე-

ლოვანი ცნობებია. სამწუხაროდ, ამ ნივთების იდენტიფიკაცია არ ხერხდება.

პავლოს მილონასს პროფესიულად საინტერესო მოხსენება ჰქონდა — ათონის ლავრის თავდაპირველი გეგმის შესახებ. ჩემი თემა იყო „ქართული ხელოვნება და შუა საუკუნეთა დასავლეთი“, დღლა მურციისა „კონსტანტინოპოლურ სტილთა ანარეკლი ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში“ (უმშვენიერესი სლაიდებით). მოხსენება რამდენადმე ტენდენციური იყო. როცა ქართულსა და ბიზანტიურ ფრესკებს ადარებდა, მხოლოდ იმას ხედავდა (ნებსით თუ უნებლიეთ), რის დანახვაც სურდა. ცხადია, ბიზანტიის არსებით მნიშვნელობას ჩვენი კედლ-ს მხატვრობისთვის ვერავენ ვერ უარყოფს. მაგრამ ხომ არ შეიძლება შეფასება და დასკვნების გამოტანა ისე, რომ თვით ქვეყნ-ს ეროვნული ხელოვნების შინაგან ევოლუციას არ გაუწიო ანგარიში, არ გაადევნო თვალი და იზოლირებული მაგალითების შედარებას დასჭერდეს.

ჩვენი „მეფრესკე“ ქალები ადრევე იცნობდნენ დულას ამ დებულებებს (მასთან თბილისში საუბრის შემდეგ) და ახლა, ცოტა არ იყოს, აღელვებული იყვნენ. მე მათი დაშოშმინება მომიხდა, სათქმელი ყველაფერი ითქვა, მაგრამ, ცხადია, სავსებით აკადემიური ფორმით (ილაპარაკეს რისმაგმა, ავთანდილმა, ნათელამ, ეკამ: მან დაუფარავად თქვა — ახლა, როცა ჩემი თვალთ ვნახე ბერძნული ფრესკები, განსაკუთრებით ნათლად წარმომიდგა, როგორი თვალსაჩინო განსხვავებაა მათსა და ქართულ ფრესკებს შორისო).

ჩვენების მოხსენებები, რომლებშიც სტილისტურ ანალიზს ბევრად უფრო არსებითი ადგილი ეკირა, ვიდრე ბერძენი კოლეგების მოხსენებებში, შეუწინაღობელი ყურადღებით მოისმინეს: მათთვის ხომ ყველაფერი ახალი და ბევრი რამ მოულოდნელიც იყო (ანელი ვოლსკაიასი დავით გარეჯის ფრესკებზე, გაიანე ალიბეგაშვილისა — ქართული ფერწერული ხატების შესახებ, ეკა პრივალოვასი — ბეთანიის მხატვრობის შესახებ, ნათელა ალადაშვილის — ძველი ქართული ქანდაკების ზოგი ასპექტი და მისი ურთიერთობა აღმოსავლეთ-ქრისტიანულ ქანდაკებასთან“, კიტი მაჩაბლისა მარტვილის ტრაპტიკონის შესახებ, რუსუდან ყენიასი „სვანეთის ქედური ხელოვნების თავისებურებანი“. ძალიან დაგვამშვენა ავთანდილ მიქაბერიძის მოხსენება — „ზოგი შენიშვნა ქართულ-ბერძნულ ურთიერთობათა შესახებ შუა საუკუნეებში“. წაიკითხა ბერძნულად. ბერძნებმა თქვეს — უნაკლოდო. ინფორმაციის მხრივ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ მოგვცა ბერ-

ძენი კოლეგების მოხსენებებმა. და ძალიან ნათლად გამოჩნდა რამდენად სასარგებლო იყო ორივე მხარისთვის ეს შეხვედრა. ჩვენ ბევრი რამ შეეიტყვეთ და, მთავარია, ჩვენივე თვალით ვნახეთ ის, რასაც მხოლოდ ლიტერატურით ვიცნობდით: ბერძენი ახალგაზრდა (და არა მარტო ახალგაზრდა) მკვლევარებისთვის კი მანამდის ძალიან ბუნდოვნად ცნობილი საქართველო და ქართული ხელოვნება რეალობად იქცა. ქართულმა ძეგლებმა არა მარტო მათი ცხოველი პროფესიული დაინტერესება გამოიწვია, არამედ — ეს აშკარად ჩანდა — მათ გულშიც ჰპოვა სავსებით ემოციური გამოძახილი. ახალგაზრდები გარს გეგბვეოდნენ და დაუფარავად გამოთქვამდნენ საქართველოში ჩამოსვლის ნატვრას. მათ მალე მიეცათ ამის შესაძლებლობა: ყველანი მოვიწვიეთ ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ მეოთხე სიმპოზიუმზე, რომელიც 1983 წლის 23 მაისიდან 2 ივნისამდე ჩატარდა თბილისში. თავისი ხანგრძლივობითა და მასშტაბით იგი მეორე სიმპოზიუმსაც აღემატებოდა. სიმპოზიუმის „მოდელი“ კი იგივე დარჩა — კვლავ იგივე ექვსი სექცია, კვლავ ჩვენი უნივერსიტეტი, რომელმაც ამჯერადაც დიდი პატივი დაგვძო, შეგვიკედლა და ხელი შეგვიწყო: კვლავ მონაწილენი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნიდან, კვლავ აქტიური მონაწილეობა სტუმრებისა ახალი და საბჭოთა ქართული ხელოვნების სექციაში. მონაწილეთა შორის ბევრი პირველად იყო საქართველოში. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციები ჩამოვიდა იტალიიდან, საბერძნეთიდან, ორივე გერმანიიდან, ბელგიიდან, იუგოსლავიიდან. ისევე, როგორც იტალიელები და ბერძნები, იუგოსლავიელებიც ძალიან ცხოველ ინტერესს იჩენენ ქართული ხელოვნებისადმი და ყოველნაირად უწყობენ ხელს ჩვენთან კონტაქტების გაღვივებას — ეს მათთვის პროფესიულად მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ შესაძლებელი და საკიროა სერბიისა და საქართველოს ხელოვნებათა შორის გარკვეულ ანალოგიათა გატარება, შეხვედრისა და განსხვავებათა ძიება. ძალიან ნიშანდობლივი იყო, რომ სწორედ იუგოსლავიიდან და იტალიიდან სიმპოზიუმზე დასასწრებად საგანგებოდ ჩამოვიდა ტურისტული ჯგუფები. ვეცადეთ მოგვეზიდა ახალგაზრდა (ზოგი დამწყებიც კი!) მკვლევარები ევროპის ქვეყნებიდან (არა მარტო ბერძნები), რომ ისინი თავისი მეცნიერული გზის დასაწყისშივე გასცნობოდნენ ქართულ ხელოვნებას და „შემეცნებიანთ“ მისი ადგილი მსოფლიო ხელოვნების სისტემაში.

ამჯერად გამოფენები კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფერო-

ვანი იყო: გარდა ორი მთავარი მუზეუმის მუდმივი ექსპოზიციისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის განძისა, მონაწილეთ ვუჩვენეთ: კულტურას ძეგლთა დაცვისადმი მიძღვნილი ახალი გამოფენა უნივერსიტეტშივე (ძალიან ეფექტური დიდი ფერადი სლაიდებით), გამოფენა „ქართული ისტორიული პორტრეტი“ სურათების გალერეაში (ფრესკებში შემონახული პორტრეტების პირები! ასეთი გამოფენა მანამდის არასოდეს გამართულა და მისი მოწყობა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო), გამოფენა „ქართული კედლის მხატვრობა. კონსერვაცია და ფიქსაცია“ მხატვრის სახლში (მის მოწყობას ხელმძღვანელობდა ეკა პრიალოვა); სენსაცია გამოიწვია ხელოვნების მუზეუმში გამართულმა ორმა გამოფენამ: ერთი იყო „ქართული ნაქარგობა“ (ძველი გარდამოხსნები და სხვა ნაქარგი ნივთები), ფერების ნამდვილი დღესასწაული; მეორე კი — სვანეთიდან ჩამოტანილი ხატებისა. არა მარტო სტუმრებმა, არამედ თბილისელებმაც პირველად ნახეს ეს ხატები, მათ შორის განსაკვიფრებელი ფერწერული ხატი ორმოცი მონაწილისა, და თვით ადიშის სახარებაც.

სერიოზულად იყო მომზადებული კონცერტებიც. მიგვაჩნდა, რომ არ კმარა მხოლოდ ფოლკლორის ჩვენება, რაგინდ მაღალი დონისაც უნდა იყოს იგი; რომ დღევანდელი საქართველოს საწესწარმოადგენს პროფესიული ინსტრუმენტული მუსიკის შესრულებაც, საოპერო ხელოვნებაც. სტუმრებს მოვასმენინეთ ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით სიმფონიური ორკესტრის კონცერტი — მისი ოსტატობა ყველამ ღირსეულად შეაფასა, ისევე, როგორც გია ყანჩელის სიმფონია, მიძღვნილი მშობლების ხსოვნისადმი; ჩვენი შესანიშნავი სიმებიანი კვარტეტი, რომელმაც ნამდვილი შთაგონებით შეასრულა ბეთჰოვენის, სულხან ცინცაძის კვარტეტები და შუბერტის ყოვლად საოცარი „ქალიშვილი და სიკვდილი“ — დარბაზის რეაქცია აქაც ძალიან „მკუხხარე“ იყო; რა მღელვარება იყო კამერული ორკესტრის კონცერტზე ლიანა ისაკაძის დირიჟორობით! დაუკრეს როსინის სონატა ორკესტრისათვის (ზღაპრული სილამაზისა! პროფესორი ფონსეკა ამბობდა გაოცებული — იტალიიდან საქართველოში უნდა ჩამოესულიყავი, რომ ეს სონატა პირველად სომესმინაო), ლიანამ კი, ორკესტრის თანხლებით — მენდელსონის კონცერტი და ვივალდის გენიალური „წელიწადის დრონი“ — დარბაზის ენთუზიანში უსაზღვრო იყო. ეს „პროფესიული ხაზი“ მართლაც დაავგვირგვინა რიჰარდ შტრაუსის „სალომე“, რომელიც ჩვენს ბედზე სწორედ მაშინ დადგა ჯანსუღ კახიძემ. ქართული ხალხური სიმღერებიც არ მიგვიჩქმალავს: მცხეთის ჭვარში, შიგნით, მღეროდა

„მართვე“ — ბავშვების გუნდი, რომელმაც „რუსთავის“ ხელმძღვანელობით (შეუღარებელი ანზორ ერქომაიშვილი!) შესრულების ნამდვილ ოსტატობას მიიღწია.. ისინი ხომ მშვენიერად მღეროდნენ, თვით სიმღერებს რაღა ქება სჭირდება, მაგრამ ამას ემატებოდა ის გარემოც: ეს უბრალოდ ჩაცმული (რუხი-მოშავო ხალათები, ვერცხლის ქამრებით) ბიჭები (ყველას მშვენიერი სახე ჰქონდა!) ისე უხდებოდნენ მცხეთის ჭვრის მკაცრსა და ღიდებულ არქიტექტურას, გეგონებოდა. ეს თვით ტაძრის ხმა იყო, საუკუნეების ხმა... ყველა სულგანაბული უსმენდა მათ, ბევრნი — ცრემლმორეულნიც. მერე ყველა ააღელვა ბავშვების სიმღერამ და ცეკვა-თამაშმა საფარაში, ბოლოს კი, უნივერსიტეტში, სიმპოზიუმის ბოლო სხდომა თვით „რუსთავის“ კონცერტით დამთავრდა.

სასიმპოზიუმოდ მოესწრო (დიდი ვაი-ვაგლახით, მაგრამ მაინც!) რამდენიმე მონოგრაფიისა და ბუკლეტის გამოცემა, როცა უნ-ვერსიტეტში სპეციალური კიოსკი გაიხსნა და გამოტანილი იქნა სხვა ძნელად საშოვნელი წიგნებიც ქართული ხელოვნების შესახებ — ნამდვილი მუშტი-კრივი გაიმართა. თუ სიმპოზიუმის მონაწილეებმა არა, სტუდენტებმა მაინც შეძლეს იმ წიგნების შექმნა.

ძალიან დაამშვენა სიმპოზიუმი ორმა ულამაზესმა აფიშამ, რომელიც „ინტურისტის“ წყალობით დაგვიბეჭდეს ავსტრიაში — ერთზე სამთავისის აღმოსავლეთის ფასადია, მეორეზე მანგლისის კარიბჭის დეტალი. აფიშებმა სწრაფად მოიპოვა არაჩვეულებრივი პოპულარობა. ყველას სურდა მათი ხელში ჩაგდება, უნივერსიტეტის კედლებიდან კი აფიშები მეორე დღესვე გაქრა. ეს აფიშებიც (კომპოზიცია, წარწერები), მოსაწვევი ბარათებიც, პროგრამებიც — ყველაფერი უსასყიდლოდ გაგვიკეთა მხატვარმა ნოდარ მალაზონიამ.

დიდი გაბედულება იყო ამოდენა ხალხის წაყვანა ვარძიაში (260-ზე მეტი კაცი წამოვიდა). მაგრამ ღირდა თავის შეწუხება... ვისაც ვარძია უნახავს, იმას არ დასჭირდება განმარტება, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს იგი. უცნაური ძეგლია: სრულიად არაფოტოგენიური; მაშინაც კი, როცა გაღმიდან უყურებ, ვერ წარმოიდგენ მის ნამდვილ მასშტაბსა და ზემოქმედების ძალას... მხოლოდ შიგ შესვლისას იგრძნობ ნამდვილად, რა არის ვარძია, რა ბევრის მთქმელია შუა საუკუნეთა საქართველოს შემოქმედებითი პოტენციის შესახებ. ამ მოგზაურობას სამი დღე მოვანდომეთ და ამ სამ დღეში დავათვალიერეთ სამთავისი, ატენი, ყინცივისი, წრომი, საფარა (ესეც ხომ ფანტასტიკური სილამაზის ადგილია), ტიმოთესუბანი (სადაც ბორჯომელებმა ნამ-

დვილი სახალხო დღესასწაული გამართეს!) და უფლისციხე... მეტი რაღა უნდა მოხერხებულიყო! (მანამდე მცხეთასა და ბოლნისში ვ-ყავით, ხოლო ზოგი უცხოელი მონაწილე რამდენიმე დღით დარჩა — მოხერხდა მათთვის სვანეთის ჩვენებაც კი!).

დიდი ამაგი დაგვდეს რაიონების ხელმძღვანელებმა — გორში, ახალციხეში, ასპინძაში და, განსაკუთრებით ბორჯომში, სადაც ღამის სათევად კომპოზიტორთა სახლი მოგვიჩინეს! ყველაფერი დიდი „გაქანებით“ და სიყვარულით იყო მოწყობილი!

მე მგონია, მივალწიეთ იმას, რომ ყველა სტუმარს — საბჭოთასაც და უცხოელსაც — დავანახვეთ: საქართველო მხოლოდ ძველი, ოდესღაც აყვავებული, ხელოვნების ქვეყანა კი არ არის, არამედ ცოცხალი, დღევანდელი და მომავალი შემოქმედების ქვეყანაა; და ამ ცოცხალი შემოქმედების ერთ-ერთი საფუძველი ისიც არის, რომ ჩვენ უსაზღვროდ გვიყვარს ის ძველი საქართველო, რომელმაც ქართველობა შეიგვიარჩუნა და დღევანდლამდე მოგვიყვანა. დასკვნის გამოტანა ყველას თვითონვე შეეძლო თავისი პროფესიული, კულტურული და ზნეობრივი დონის შესაფერისად.

ამავე პერიოდში ჩვენი ინსტიტუტის ინიციატივით გაცხოველდა სამეცნიერო ურთიერთობა საბჭოთა კავშირის სახელოვნებათმცოდნეო ცენტრებთან. ერთობლივი კონფერენცია მოეწყო მოსკოვში, ხელოვნებათმცოდნეობის საკავშირო ინსტიტუტში. მან „ნივთიერი“ კვალიც დატოვა — რუს და ქართველ მკვლევართა ნარკვევების კრებული „Средневековое искусство. Русь. Грузия“ (1978 წელს დაბეჭდა გამომცემლობა „ნაუკამ“ ოლღა პოდობედოვას მეცადინეობის წყალობით); ერთხელ — თბილისში და ერთხელ — ერევანში, ჩვენივე წინადადებით, შედგა ქართულ-სომხური კონფერენციები.

ახლა უკვე გაბედულად და გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ინსტიტუტის დაუცხრომელი შრომის წყალობით თბილისი გადაიქცა ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთ მთავარ, აღიარებულ კერად საბჭოთა კავშირში, ასევე მიზიდულობის ერთ-ერთ ცენტრად იმათთვის, ვინც მახლობელი აღმოსავლეთის, ბაზანტიისა და აღმოსავლეთ ევროპის ხელოვნებას (უპირველესად, შუა საუკუნეებისას) იკვლევს თვით ევროპაში.

ამ წლების მანძილზე იმატა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გამოცემულმა ქართველ მეცნიერთა ნაშრომების რიცხვმა, ევროპელ მეცნიერთა წიგნებმაც ქართული ხელოვნების შესახებ. ყველა ეს გამოცემა, ტექსტის გარდა, შეიცავს უხვ გრაფიკულსა და ფოტოდოკუმენ-

ტაცასაც. დასასრულ, დიდი მნიშვნელობის ფაქტია, რომ სისტემატურად ეწყობოდა ქართული ხელოვნების ორიგინალურ ნაწარმოებთა (ოქრომკედლობის, მინანქრების, მინიატურების) გამოფენები: ეენე-ვაში 1979 წ. ბელგრადში — 1981 წ., ვენაში — 1981 წ., ბიზანტიისტთა მსოფლიო კონგრესის დროს, პარიზის „გრან პალეში“ — 1982 წელს. ოთხავე გამოფენისთვის გამოცა მდიდრულად დასურათებული და ვრცელი ინფორმაციის შემცველი კატალოგები. ამ გამოფენების მოსაწყობად დიდი შრომის გაწევა მოუხდათ უპირველესად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ხელნაწერთა ინსტიტუტს. ისიც უნდა გვახსოვდეს. რომ უკვე მრავალი წელია, რაც უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში სისტემატურად ეწყობა თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენები. ზოგჯერ მათი გამართვა დაკავშირებულია „კულტურის დღეებთან“ და გამოფენა მაშინ საერთო პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია (მე სამჯერ მომიხდა ასეთ „დღეებში“ მონაწილეობის მიღება და ჩემი თვლით ვნახე, რომ გამოფენები ცხოველ ინტერესს იწვევდა — ასე იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გარდა, ბელგიასა და სირიაში); ზოგჯერ პერსონალური ან ჯგუფური გამოფენები დამოუკიდებლადაც იმართება. ფაროსმანმა ხომ თითქმის მთელი ევროპა შემოიარა და მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

გამოფენებსაც და ჩვენს სიმპოზიუმებსაც ფართო რეზონანსი ჰქონდა (სიმპოზიუმების მოწყობის დროს დიდა ჯაფა დაგვადგა. მთელი ჩვენი ინსტიტუტი, ყველა თანამშრომელი უკლებლივ, თავგამოდებით მუშაობდა. როგორც ვთქვი. გულით გვეხმარებოდნენ სხვებიც, ვისაც კი შეეხებოდა რაიმე საორგანიზაციო საკითხი. ეს არა მარტო გვიმსუბუქებდა საქმეს, არამედ დიდად გვახარებდა ყველას). ქართული ხელოვნებისადმი დამოკიდებულებაში აშკარა გარდატეხა მოხდა. ხელოვნების ისტორიკოსთა ფართო წრეებში აღიარეს ქართული ძეგლების ორიგინალობა და მაღალი მხატვრული ღირებულება, აღიარეს, რომ ქართული ხელოვნების ცოდნისა და გათვალისწინების გარეშე დღეს შეუძლებელია წარმოედგინოთ შუა საუკუნეების ევროპისა და, მით უფრო, მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნების სრული და ობიექტური სურათი. ამ აღიარების „მოპოვებას“ დიდი დრო და ბრძოლა დასჭირდა. მაგონდება ჩვენი მეგობარი, მოხუცი პროფესორი ვერძოანე. რომელიც მეორე სიმპოზიუმის შემდეგ, თბილისში, გახარებული და აღელვებული მეუბნებოდა — ხომ ხედავთ, მთელი

ევროპა აქ არის, ყველანი აფასებენ თქვენს საქმიანობას, განსაკუთრებით კი ქართული ხელოვნების არაჩვეულებრივ სიმდიდრეს, ამერიდან ქართულ ხელოვნებას გზა ხსნილი აქვსო.

ქართული ხელოვნება თანდათან მართლაც იმკვიდრებს იმ ადგილს ხელოვნების ზოგადი ევოლუციის სურათში, რომელიც მას ეკუთვნის თავისი ძეგლების დიდი მხატვრული და ისტორიული ღირებულების გამო. ჩვენ კი ჭერ კიდევ ძალიან ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი „შინ და გარეთ“. ქართული ხელოვნება ამოუწურავია. კიდევ ბევრი ძეგლი გამოჩნდება, ბევრი პრობლემა წამოიჭრება, ისტორიის ახალი ფურცლები გაშუქდება, ზოგი უკვე ცნობილი ფურცელიც. ალბათ, ახლებურ გაშუქებას მოითხოვს... დასაწერია ქართული ხელოვნების ვრცელი ისტორია... არ, უნდა შენელებს ქართული ხელოვნების პროპაგანდა აქვე, ჩვენთან, საქართველოში, საბჭოთა კავშირში და უცხოეთში: კარვად დაწყებული საქმე უნდა გაგრძელდეს და განმტკიცდეს*.

მკვლევართა მომავალი თაობების წინაშე ფართო ასპარეზი იშლება — მაგრამ მათ დიდზე დიდი პასუხისმგებლობაც ეკისრებათ: ჩვენი ეროვნული ხელოვნების კვლევა და შესწავლა — უდიდესი სიხარულია, მაგრამ მძიმე ტვირთიც არის. მინდა ვირწმუნო, რომ ისინი ღირსეულად განაგრძობენ იმ დიდ საქმეს, რომელსაც მათი მამები და პაპები ასეთი სიყვარულით უყრიდნენ საფუძველს.

* ცალკე თემაა ის დიდი ამაგი, რომელიც ქართული კულტურის, საერთოდ, საქართველოს პოპულარიზაციის საქმეს, საქართველოსა და უცხოეთის ურთიერთობათა წარმოჩენას, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სიძველეთა ძიებას და მოპოვებას დასდებს ქართული კინემატოგრაფიისა და მწერლობის მოღვაწეებმა — გიორგი ასათიანმა (პირველმა შეძლო შეიღწია ტაო-ჯღარჯეთში და შეექმნა ფილმი იქაური ქართული ძეგლების შესახებ), უდროოდ გარდაცვილიმა გურამ პატარაიამ (რომელსაც ისიც ეყოფა დამსახურებად, რომ ათონის ქართულ ხელნაწერთა მკვლევრები გადაიღო და ჩვენს უნივერსიტეტს გადასცა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის დიდად საინტერესო დოკუმენტურ ფილმებზე), პოეტმა და კინორეჟისორმა რევაზ თაბუკაშვილმა, რომლის ფილმებიც ყოველთვის რაიმე საკვირველ აღმოჩენასთანაა დაკავშირებული და ჩვენი ეროვნული კულტურის ნამდვილი შენაძენია, კინოდოკუმენტალისტმა გია ქუბაბაიამ, კინოთეატრებმა ირაკლი ონოფრიშვილმა, ლეონი ახვლედიანმა... ისიც ხომ უნდა გვახსოვდეს, რამდენ სიძნელესა, გაჭირვებასა და ზოგადად თან იყო დაკავშირებული მათი მუშაობა; რამდენი სასიკეთო რამ გააკეთა და შექმნილი კიდევ გაეკეთებინა დაუვიწყარ სერგი წულაძეს. სხვები, საბედნიეროდ. დღესაც წარმატებით განაგრძობენ მოღვაწეობას...

პირთა სპიგებელი

ბ

- აბაკელია გრიგოლ — იერისტი -- 19
 აბაკელია თამარ (1905—1953) — მხატვარი და მოქანდაკე — 18, 195
 აბაკელია იოსებ (1882—1938) — ექიმ-ფტიზიატრი, პროფესორი — 19
 აბაშელი ალექსანდრე (1884—1954) — პოეტი — 205
 აბაშიძე აპოლონ — 139, 140, 141
 აბაშიძე არისტო — 139
 აბაშიძე ბესარიონ — 138, 139
 აბაშიძე გიგა -- 19
 აბაშიძე გრიგოლ — მწერალი, პოეტი, აკადემიკოსი — 205, 401
 აბაშიძე გრიგოლ — პედაგოგი — 239, 241
 აბაშიძე ვასილ — 139, 140
 აბაშიძე ვასო — (1854—1926) -- მსახიობი — 24, 26, 38
 აბაშიძე ვახუშტი -- 139
 აბაშიძე ელისაბედ — 139
 აბაშიძე თეკლე -- 239
 აბაშიძე ირაკლი — პოეტი, აკადემიკოსი — 99, 139, 205, 209, 373, 401
 აბაშიძე კატო — 239
 აბაშიძე კესარია — 140
 აბაშიძე მათიკო — 7
 აბაშიძე ნუცა — 19
 აბაშიძე პასიკო — 138
 აბაშიძე პეკელა -- 239
 აბაშიძე სისონა — 139
 აბღუშელიშვილი ვასო (1885—1948) — პედაგოგი — 61
 აბღუშელიშვილი მალხაზ — ანთროპოლოგი, პროფესორი — 62
 აბულაშვილი ალექსა — ლოუბნელი გლეხი -- 388
 აბულაძე თენგიზ -- კინორეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი — 430
 აბულაძე ილია (1901—1968) — ფილოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი — 165, 211, 279, 291
 აბულაძე იუსტინე (1874—1962) — ფილოლოგი, პროფესორი — 249
 აბუსერიძე ტბელი (1190—1240) — მწერალი — 219
 აგიაშვილი ნიკა (1903—1984) — მწერალი — 400, 402, 407
 აგრაბა ვერა — ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი — 246
 აღაშიძე ლადო — მსახიობი, თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი — 236
 აღღლეგიშვილები რაფაილ (1861—1938) და რობერტ (1860—1934) — მსახიობები — 38
 ავალიანი გიგა — თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი (ომში დაიღუპა) — 238, 312
 ავალიშვილი ნიკოლოზ (1844—1929) — მთარგმნელი — 106
 ავალიშვილი გიორგი (1769—1850) — მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე — 153
 ავთანდილ შულავერელი — XVIII საუკუნე

ნის ქართველი ხუროთმოძღვარი — 369
 ანათაოზი აკოფ (1806—1881) — თბი-
 ლისელი მხატვარი-პორტრეტისტი — 6
 აწმიაფარაშვილი გივი — ღირსიერი — 115
 აინალოვი დიმიტრი (1862—1939) — რუ-
 სი ხელოვნების ისტორიკოსი — 225
 აღადაშვილი გიორგი — იმერეთის ეპის-
 კოპოსი რევოლუციის წინა წლებში —
 147
 აღადაშვილი ნათელა — ხელოვნების ის-
 ტორიკოსი, პროფესორი, ქართული ხე-
 ლოვნების ისტორიის ინსტიტუტის თა-
 ნამშრომელი — 314, 358, 421, 430, 431,
 443, 445
 აღაიძე მიხეილ — ფილოლოგი — 146
 აღბერტი ლეონ-ბატისტა (1404—1472) —
 იტალიელი ხუროთმოძღვარი, ხელოვ-
 ნების თეორეტიკოსი — 90, 417
 აღბერტი რაფაელ (დაიბ. 1902) — ესპა-
 ნელი პოეტი — 375
 აღენი უილიამ (1901—1973) — ინგლი-
 სელი ორიენტალისტი, ქართველოლო-
 გი. მონაწილეობდა რუსთაველის საუ-
 ბილეო ზეიმში 1966 წელს — 375
 აღექსანდრე ბატონიშვილი (1770—
 1844) — ერეკლე II-ის ძე — 110
 აღექსანდრე კახთა მეფე — 393
 აღექსანდრე, იმერეთის მეფე — 393
 აღექსანდანი დინა — მხატვარი — 374
 აღექსი-მესხიშვილები — ძველ ქართველ
 კალიგრაფთა დინასტია (XVIII—XIX
 სს) — 358
 აღექსიძე დიმიტრი (1910—1984) — რე-
 ესისორი, სსრკ სახალხო არტისტი —
 88, 235, 236, 239, 409
 აღიარდი, გრაფი — ქალაქ ბერგამოს
 (იტალიაში) ძველთა დაცვის საზოგა-
 დოების თავმჯდომარე — 422
 აღიბეგაშვილი გაიანე — ხელოვნების ის-
 ტორიკოსი, პროფესორი, ქართული ხე-
 ლოვნების ისტორიის ინსტიტუტის თა-
 ნამშრომელი — 314, 358, 421, 427,
 443, 445
 აღიხანოვი — მუსიკალური განათლების

მოღვაწე თბილისში (XIX ს.) — 113
 აღმაგო ნოველო აღრიანო — იტალიელი
 (მლანი) ხუროთმოძღვრების ისტორი-
 კოსი, პროფესორი — 412, 414—418,
 424, 426, 427, 429, 435, 437, 438
 აღშვანგი — ფართლელთა მოვაკე — 47
 აღხაზაშვილი ნუკრი — ქართული ხე-
 ლოვნების ისტორიის ინსტიტუტის თა-
 ნამშრომელი — 438
 ამაწულა ხანი (1892—1960) — ავღანეთის
 მეფე 1919—1929 წლებში — 69
 ამბროზი ლუიჯი — ქ. ბარის (იტალიაში)
 უნივერსიტეტის რექტორი — 436
 ამბროსი კარგარეთელი — კალიგრაფი —
 381
 ამბროსი წილენელი — კალიგრაფი — 381
 ამირანაშვილი შალვა (1899—1975) — ხე-
 ლოვნების ისტორიკოსი, აკადემიკოსი —
 161, 223, 225, 227, 247, 267, 268, 274,
 326, 329
 ამირეჯიბი ანატასია (1825—1962) —
 მხატვარი — 66
 ამირეჯიბი თენგიზ — პიანისტი — 399
 ამონაშვილი დავით — ქართული ხელოვ-
 ნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშ-
 რომელი — 285
 ანდრიჩი ივო (1892—1975) — სერბიე-
 ლი მწერალი, ნობელის პრემიის ლაუ-
 რეატი — 331
 ანდლულაძე ნუგზარ — ხელოვნების ის-
 ტორიკოსი, ქართული ხელოვნების ის-
 ტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი —
 360, 386, 438
 ანჭაფარიძე ვერიკო (1898—1987) — ქა-
 ხიობი, სსრკ სახალხო არტისტი — 91
 ანჭაფარიძე ზურაბ — მომღერალი, სსრკ
 სახალხო არტისტი — 434
 ანჭაფარიძე ქრისტინე — ეუკოლ ბერა-
 ძის დედა — 132
 არაყიშვილი დიმიტრი (1873—1953) —
 კომპოზიტორი — 23, 24
 არბუა დე ეიუბენვილი მარი ანრი
 (1827—?) — ფრანგი ისტორიკოსი
 158

არგანი ჯულიო კარლო — იტალიელი სე-
ლოვნების ისტორიკოსი, ქ. რომის მე-
რი — 429

არდაზიანი ლაერენტი (1815—1870) —
მწერალი — 98

არსენი — XII საუკუნის ქართველი კა-
ლიგრაფი — 380

არსუისძე (XI ს.) — ხუროთმოძღვარი,
სეპტიცხოვლის მამულებელი — 279,
379

არწვამე არჩილ — I საცდელ-საჩვენებე-
ლი სკოლის თანამშრომელი — 123

ასათიანი გიორგი (1914—1977) — კინო-
რეჟისორი — დოკუმენტალისტი — 451

ასათიანი ლევან (1900—1955) — მწერა-
ლი — 205, 210, 402

ასლანიშვილი სოსო (1891—1955) — ექი-
მი, საზოგადო მოღვაწე — 8

აუერი ლეოპოლდ (1845—1930) — მე-
დიკოსი, პეტერბურგის კონსერვატო-
რის პროფესორი — 263

აფაქიძე ანდრო — არქეოლოგი, აკადე-
მიკოსი — 330

აფრიდონიძე შუქია — ენათმეცნიერი —
439

აფხაიძე შალვა (1894—1968) — პოეტი —
400, 405

აქსიონოვი ვსევოლოდ — მცირე თეატრის
მსახიობი — 89

ალ-მაჰმად ხანი (XVIII ს) ირანის შაჰი —
351

ალბაზიანი რუბენ (1911—1970) — არქი-
ტექტორი, პროფესორი — 345

ალლაძეები — ქართველი ქვის ოსტატე-
ბი — 124

ალნაშვილი ბაბო — ქართული ხელოვნე-
ბის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრო-
მელი 257, 306

ახვლედიანი გიორგი (1887—1973) —
ენათმეცნიერი, აკადემიკოსი — 19, 144,
147, 247, 273, 323, 326, 329

ახვლედიანი ელენე (1900—1975) — მხატ-
ვარი — 93, 287, 323, 327, 372, 394,
396, 397—400

ახვლედიანი ლომერი — კინორეჟისორი
და ოპერატორი — 451

ახმეტელი ალექსანდრე (1886—1937) —
რეჟისორი — 83, 88, 94

ახმატოვა ანა (1889—1966) — რუსი პოე-
ტი — 236

ბ

ბაგრატი III (XVI ს.) — იმერეთის მე-
ფე — 342

ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი ვახტანგ
(1817—1892) — ინჟინერი — 350

ბაღრაშვილი ნიკოლოზ (1892—1961) —
თბილისის ქალაქის მუზეუმის დირექ-
ტორი — 31

ბაღრაძე კოწო — თეატრალური ინსტი-
ტუტის პედაგოგი — 236

ბაღვატიშვილი ერნსტ — გერმანელი არ-
ქიტექტურის ისტორიკოსი — 427

ბაირონი ჯორჯ გორდონ (1788—1824) —
137, 204

ბაიერი კლაუს — გერმანელი ფოტო-სე-
ლოვანი — 438

ბალანჩივაძე ანდრია — კომპოზიტორი,
სსრკ სახალხო არტისტი — 20

ბალანჩივაძე მელიტონი (1862—1937) —
კომპოზიტორი — 19, 25, 49, 124

ბალანჩინი ჯორჯ (1904—1983) — ბალეტ-
მაისტერი — 20

ბალზაკი ონორე დე (1799—1850) —
ფრანგი მწერალი — 83, 85, 375

ბალმონტი კონსტანტინე (1867—1942) —
რუსი პოეტი — 236

ბაქანი მიკოლა (1904—1984) — უკრაინ-
ელი პოეტი — 165

ბალტრუშაიტისი იურგის — ხელოვნების
ისტორიკოსი — 298, 315

ბაუბუქ-მელიქოვი ალექსანდრე (1891—
1966) — მხატვარი — 323

ბარათაშვილი ნიკოლოზ (1817—1845) —
23, 41, 42, 377

ბარდაველიძე ვერა (1899—1970) — ეთ-
ნოგრაფი, პროფესორი — 144

- ბარდა სკლიაროსი — ბიზანტიელი პოლიტიკური მოღვაწე (X ს.) — 342
- ბარიატინსკი (1815—1879) — თავადი, კავკასიის მეფისნაცვალ — 33
- ბარნაბა — XIV ან XV ს-ის ქართველი კალიგრაფი — 380
- ბარნაველი თეიმურაზ (1904—1976) — ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 410
- ბარნაველი სარა (1902—1984) — ხელოვნების ისტორიკოსი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 257, 296, 297
- ბარსოვი ვასილ (1856—1934) — მწერალი — 33, 44, 181, 209, 240, 410
- ბარტიშევსკი გიორგი — ფოტოგრაფი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 304, 305
- ბარტოლდი ვასილ (1869—1930) — რუსი აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი — 144
- ბასერმანი ალბერტ (1867—1952) — გერმანელი მსახიობი — 97
- ბასილი ეტრატიი შალუშის ძე — ძველი ქართული კალიგრაფი (XI ს.) — 380
- ბასტაშოვი შიხაი — XIX საუკუნის თბილისელი მხატვარი.
- ბაუერ-ზაქსი — თბილისის საოპერო თეატრის მოცეკვავე (ოცინი წლების დასაწყისში). — 95
- ბაქრაძე არჩილ (1891—1958) — სპორტსმენი, პედაგოგი — 65
- ბაქრაძე დიმიტრი (1828—1890) — ისტორიკოსი — 108, 259, 314, 357
- ბაქრაძე კოტე (1898—1970) — ფილოსოფოსი, აკადემიკოსი — 249
- ბაღდასარაშვილი შაქრო — 64
- ბახი იოჰან-სებასტიან (1685—1750) — 50
- ბახტაძე გიორგი — პედაგოგი — 169
- ბახუტაშვილი-შულღინა ოლღა (1879—1950) — თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, მომღერალი — 117
- ბებუთოვა-გაბუნია ბარბაღე (1891—1971) — მხატვარი — 27
- ბებუთოვა დავით — მხატვარ ე ბებუთოვა-გაბუნის მამა — 28
- ბეთოვენი ლუდვიგ ვან (1770—1827) — 117, 118, 120, 447
- ბეა-ნაზაროვი ამო (1892—1965) — სომეხი კინორეჟისორი — 97
- ბენეციაწუ ვლად — რუმინელი ფილოლოგი, პროფესორი — 367
- ბენუა ალექსანდრე (1870—1960) — რუსი მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე — 368—370
- ბენქსი მონტი (1897—1950) — ამერიკელი კინომსახიობი — 96
- ბეჟანა — თბილისელი ოსტატ-მშენებელი (XIX ს.). — 350
- ბერაზა მიჰაი — რუმინელი ისტორიკოსი — 367
- ბერიტაშვილი ივანე (1885—1974) — ფიზიოლოგი, აკადემიკოსი — 242, 249
- ბერიძე აგრაფენა, პედაგოგი — 130
- ბერიძე არტემ — 33, 136
- ბერიძე არჩილ (1919—1983) — ექანი. — 131
- ბერიძე გერასიმე — 133
- ბერიძე გივი — არქიტექტორი, არქიტექტურის დოქტორი — 336, 386
- ბერიძე გიორგი კაციახ ძე (XVIII ს.) — 136
- ბერიძე გიორგი (1878—1937) — ინჟინერი — 133, 143
- ბერიძე გიორგი (გრიშა), პედაგოგი — 130
- ბერიძე გოგი — 19, 312
- ბერიძე დავით — 133
- ბერიძე დათიკო — 19, 312
- ბერიძე ვუკოლ (1883—1963) — ენათმეცნიერი და ფილოლოგი, სსსრ მეცხერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი — 3, 103, 162
- ბერიძე თამაზ — ეუკოლ ბერიძის პაპი — 136
- ბერიძე ილარიონ — 134, 136
- ბერიძე ივანე (1890—1978) — ინჟინერი — 128, 133, 143
- ბერიძე კატო (1886—1959) — პედაგოგი — 3, 19, 143, 245

- ბერიძე ლიზა (1885 -1963) — ვეკოლ ბერიძის მეუღლე — 3, 146
- ბერიძე მიხეილ — ვეკოლ ბერიძის მამა — 133, 142
- ბერიძე მიხეილ (1913—1980) — ინჟინერ-პოლკოვნიკი — 68, 132, 146
- ბერიძე პარმენ — 19
- ბერიძე რევაზ — არქიტექტორი — 355, 366
- ბერიძე სვიმონ — 136
- ბერიძე სოლომონ — 133, 134
- ბერსენევი ივანე (1889—1951) — რუსი მწახიობი, სსრკ სახალხო არტისტი — 127, 128
- ბერტე ელი (1815—1891) — ფრანგი მწერალი — 107
- ბერძენიშვილი ნიკო (1894—1965) — ისტორიკოსი, აკადემიკოსი — 199, 247, 278, 281, 282
- ბესიკი (1750—1791) — პოეტი — 33, 366
- ბეჟა ოპიზარი (XII ს.) — ოქრომქანდაკებელი — 379
- ბეცია — თბილისელი ოსტატი-მშენებელი (XIX ს.) — 350
- ბიბინიშვილი ბარონ (1883—1938) — საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი — 290
- ბილევინი ლუიზა — 5
- ბილუელდი ლეოპოლდ (1839—?) — თბილისელი არქიტექტორი — 354
- ბირმანი სერაფიმა (1890—1976) — რუსი მწახიობი — 127, 128
- ბლანკოვი ჟან — ბელგიელი მეცნიერი, პროფესორი — 423
- ბლანშარდებიერი ნოელ დე ლა — რომის „ფრანგული სკოლის“ თანამშრომელი — 423, 429
- ბლოკი ალექსანდრე (1880—1921) — რუსი პოეტი — 236
- ბოდლერი შარლ (1821—1867) — ფრანგი პოეტი — 204
- ბოდუენ დე კურტენე (1845—1929) — რუსი და პოლონელი ენათმეცნიერი — 144
- ბოვიზაჟი — თბილისის ფრანგული ლიცეის მასწავლებელი — 51, 52
- ბოინი ჭუჭუბე (1915—1975) — ლავენიის სიძველეთა მკვლევარი, პროფესორი — 420, 421
- ბოლდუინი სტენლი (1867—1947) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე — 70
- ბორდენაე რიშარ — რუმინელი არქიტექტორი და არქიტექტურის ისტორიკოსი — 367
- ბოროზდინი კორნელი (1828—1896) — ავტორი წიგნისა „სამეგრელო და სვანეთი“ — 210
- ბოშკოვიჩი ჭურჭე — იუგოსლავიელი არქიტექტურის ისტორიკოსი — 434
- ბოცვაძე იოსებ (1914—1981) — ფილოლოგი, პროფესორი — 68
- ბოცვაძე ლუარსაბ (1866—1919) — პედაგოგი — 68
- ბრამსი იოჰანეს (1833—1897) — გერმანელი კომპოზიტორი — 120
- ბრეიგელი პიტერი (1525—1530 წლ. შუა — 1569) — ნიდერლანდელი მხატვარი — 309
- ბრემი ალფრედ (1829—1884) — გერმანელი ზოოლოგი — 107
- ბრესჰან-შტენგელი — ლატვიელი მომღერალი — 95
- ბრიუსოვი ვალერი (1873—1924) — რუსი პოეტი — 236
- ბრიანი არისტიდ (1862—1932) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე — 70
- ბრონი მალდენ — ფრანგი საზოგადო მოღვაწე, გამომცემლობა „ედიტორ ფრანსე რეიუნის“ დირექტორი (ვარდაიკვალა 1980 წ.) — 376
- ბროსე ვიქტორი (1893—1937) — მარი ბროსეს შვილიშვილის შვილი — 19
- ბროსე მარი-ფელისიტე (1802—1880) — ქართველოლოგი, ისტორიკოსი და ფილოლოგი, აკადემიკოსი — 108, 136, 259, 279, 300
- ბრუშტინი ალექსანდრა — რუსი დრამატურგი — 237
- ბუაჩიძე თენგიზ — მწერალი — 360

ბუზოლი შიხიელ (1879—1959) — არქიტექტორი — 183
ბუკია აბესალოზ — 18
ბუკია ვიგა — ინჟინერი — 190
ბუკიები — 18
ბული კლემენტ — მოქიდავე — 98

ბ

გაბაშვილები — ძველ ქართველ კალიგრაფთა დინასტია (XVIII ს.) — 380
გაბაშვილები — თბილისის ეკლესიის მფლობელები — 387
გაბაშვილი გიგო (1862—1936) — მხატვარი — 205, 332, 333, 395
გაბაშვილი დავით — მხატვარი — 67, 331, 378, 382, 383
გაბაშვილი ეკატერინე (1851—1938) მწერალი — 98
გაბაშვილი იოსებ (სოსო) (1908—1973) — მხატვარი — 331
გაბაშვილი ცილა — არქიტექტორი და არქიტექტურის ისტორიკოსი — 185, 197, 377
გაბესკირია ვიქტორ (1903—1964) — პოეტი და დრამატურგი — 400
გაბრიელ დიკონი — X საუკუნის ქართველი ხუროთმოძღვარი — 380
გაბრიელ პატარაი — X საუკუნის ქართველი კალიგრაფი — 380, 382
გაბუნია არტემ (გარდაიცვალა 1940 წ.) — ქართული ხალხური ხელოვნების მუზეუმის მომწყობი — 27
გაბუნია ლეონიდ — პალეობიოლოგი, აკადემიკოსი — 200, 201
გაბუნია ტარიელ — არქიტექტორი — 336, 386
გაგარინი გრიგოლ (1810—1893) — მხატვარი — 99, 259, 347
გაღონი ვანდა — ქ. რავენისა და ბიზანტიის ხელოვნებისადმი მიძღვნილი კურსების მდივანი — 420
გავაშელი პავლე — ზარზმის კოლმექტრების თავმჯდომარე — 329

გალილეი გალილეო (1564—1642) — იტალიელი მეცნიერი — 420
გალტონი — პიანისტი — 114
გამბეტა ლეონ (1838—1882) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე — 13
გამარა პიერ — ფრანგი მწერალი. მონაწილეობდა რუსთაველის საიუბილეო ზეიმში 1966 წელს — 376
გამბა უა-ფრანსუა (1763—1833) — ფრანგი მოგზაური და კომერსანტი — 108, 261
გაშათოვი რასულ — დაღესტნელი პოეტი — 375
გამრეკელი ირაკლი (1894—1943) — მხატვარი — 88
გამრეკელი ნიკოლოზ (1864—1968) — ექიმი — 168
გამსახურდია ვალენტინა — თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი — 236
გამსახურდია კონსტანტინე — (1891—1975) — მწერალი. აკადემიკოსი — 104, 205, 345, 401
გამსახურდია რომან (1860—1939) — ქართული ცირკის მოღვაწე — 236
განდონი ივ — ფრანგი მწერალი, მონაწილეობდა რუსთაველის საიუბილეო ზეიმში 1966 წელს — 370
გარიტი ვერარ — ბელგიელი ფილოლოგი, ქართველოლოგი — 374
გარფილდი ჭეიშ აბრამ (1831—1881) — აშშ მეოცე პრეზიდენტი — 107
გაფრინდაშვილი ვალერიან (1889—1941) — პოეტი — 205
გაჩეჩილაძე გივი (1914—1974) — პოეტი, მთარგმნელი, პროფესორი — 87, 204, 210, 214, 215
გაჩეჩილაძე დავით (1902—1974) — პოეტი — 205, 210
გაღევანიშვილი გიორგი (1883—1957) — ინჟინერი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი — 15
გაღევანიშვილი მიხეილ (1862—1922) — ექიმი — ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემელი — 25

გედევანოვი — ქართველი მსახიობი -- პრ
ვერცენი ალექსანდრე (1812—1970)—რუ-
სი მწერალი, პუბლიცისტი — 13, 410
გეურქოვი რუბენ — 5
გუხარია გიორგი (1907—1978) — გეო-
ლოგი — 249
გუელესიანი გრიგოლ (1870—1926) --- სი-
ზოგადო მოღვაწე — 4
გუელესიანი დავით (1890—1949) — მხატ-
ვარი — 31, 347
გვარდწითელი რუსუდან — არქიტექტო-
რი-რესტავრატორი — 172, 216, 365
გვებაძე ნიკოლოზ — ქუთაისის ქართული
გიმნაზიის კურსდამთავრებული — 150
გვოდო ღარტყო (990-იანი წლები — და-
ახლ. 1050) — იტალიელი მუსიკის თეო-
რეტიკოსი 417
გიაცინტოვა სოფიო (1888—1982) —რუსი
მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი --
127, 128
გიბერტი ლორენცო (1381—1455) --
იტალიელი მოქანდაკე — 420
გიგინეიშვილი ივანე (1909—1982) —
ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიე-
რებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენ-
ტი — 406, 407
გიივეიკი ეჟენ — ფრანგი პოეტი, მონა-
წილეობდა რუსთაველის საიუბილეო
ზეიმში 1966 წელს — 376
გიორგი ერისთავ-ერისთავი (XI ს.) —
ფეოდალი, სავანის ეკლესიის მამულებე-
ლი — 243
გიორგი მთაწმინდელი (1009—1065) —
სასულიერო მოღვაწე — 444
გიორგი რუსი — თამარ მეფის პირველი
მეუღლე -- 208
გიორგი „ცესარევიჩი“ — ნიკოლოზ II-ის
ძმა — 343
გიორგი — თბილისელი მშენებელი ოს-
ტატი (XIX ს.) — 350
გიუმურელი მიხეილ — რეჟისორი — 238
გიუმები ლილიან და დოროტი — ამერიკე-
ლი კინომსახიობები — 96

გლახა — თბილისელი მშენებელი ოსტატი
(XIX ს.) — 350
გნელიჩი პეტრე (1855—1925) — რუსი
ლიტერატორი — 11, 25
გოგავა გიორგი (აგულია) — არქიტექტო-
რი — 185, 192
გოგატიშვილი მიხეილ — პედაგოგი — 364
გოგელია ანა (ნიუტა) — არქიტექტორი-
რესტავრატორი — 172, 173, 254
გოგეშვილი ვახტანგ — თეატრალური ინს-
ტიტუტის კურსდამთავრებული — 238
გოგია — თბილისელი მშენებელი ოსტატი
(XIX ს.) — 350
გოგითქე იოსებ — სამთო ინჟინერი —
68, 73
გოგიჩაიშვილი ეკა (1914—1946) — ინჟი-
ნერი — 68, 98, 203
გოგიჩაიშვილი ელენე — 253
გოგიჩაიშვილი ფილიპე (1872—1950) —
ეკონომისტი, პროფესორი — 128, 203,
247, 253
გოგლიძე ვიქტორ (1905—1964) — მო-
ქანდაკე — 69
გოგოლევა ელენე — მცირე თეატრის მსა-
ხიობი, სსრკ სახალხო არტისტი — 89
გოგოლი ნიკოლოზ (1809—1852) — რუ-
სი მწერალი — 105, 110, 118
გოციელი ლევან (1901—1974) — მათემა-
ტიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერე-
ბათა აკადემიის წევრ-კორესპონდენ-
ტი — 249, 250, 274
გოთუა ლევან (1905—1973) — მწერალი--
360
გოლაძე ვარლამ — 150
გოლდონი კარლო (1707—1793) — იტა-
ლიელი დრამატურგი — 237, 423
გოლზუორთი ჯონ (1867—1933) — ინგ-
ლისელი მწერალი — 203
გოლოვინი ევგენი (1782—1858) — კავკა-
სიის მთავარმართებელი -- 1838--1842
წლებში — 33
გომელაური ვახტანგ — ინჟინერი, აკა-
დემიკოსი — 69

გომელაური ზაქარია (1890--1964) --- მსახიობი --- 247

გომელაური ივანე (1867--1951) --- პედაგოგი --- 98

გონაშვილი პამლუტ (1928--1985) --- მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი --- 368

გონჩაროვი ივანე (1812- 1891) --- რუსი მწერალი --- 98

გორბოვსკი კონსტანტინე --- იურისტი -- 79

გორგაძე ვასო --- პოეტი --- 105

გორგაძე სერგი (1876--1929) --- ისტორიკოსი --- 160

გორგილაძე ლეონიდე --- ისტორიკოსი, აკადემიკოსი --- 69

გორგიძე ალექსი --- მათემატიკოსი, პროფესორი --- 249

გორდევი დიმიტრი (1889--1964) --- ხელოვნების ისტორიკოსი --- 225, 254, 268, 285

გორდუზიანი რისმაგ --- ფილოლოგი, პროფესორი --- 443, 444

გორდელი ოთარ --- კომპოზიტორი --- 115

გოქაძე ზორისი (1895--1956) --- არქიტექტორი --- 183

გოცი ქარლო (1720--1806) --- იტალიელი დრამატურგი --- 423

გოცირიძე ნიკო (1872--1949) --- მსახიობი --- 92

გოძიაშვილი ვასო (1905--1976) --- მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი --- 250

გრამარი იგორი (1871--1960) --- რუსი მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე --- 118, 216, 300

გრიბოედოვი ალექსანდრე (1795--1829) --- რუსი მწერალი --- 111

გრიგოლია ლადო (1903--1977) --- მხატვარი --- 331, 382, 383

გრიშაშვილი იოსებ (1889--1965) --- პოეტი --- 19, 25, 102, 104, 163, 205, 209, 238, 330

გროსმანი დავიდ --- თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, მევიოლინე --- 117

გრძელიშვილი კოტე (1902- 1970)- მხატვარი --- 66

გუგუშვილი პაატა --- ეკონომისტი, აკადემიკოსი (1905--1987) --- 249

გულიაშვილი ლადო (1896--1960)---მხატვარი --- 26, 124, 125, 165, 181, 193, 195, 287, 320--323, 347, 394, 396, 410, 428

გუდოვიჩი ივანე (1741--1820) --- გენერალი, კავკასიის ჯარების სარდალი 1806--1809 წლებში --- 33

გურამიშვილი ოლა (1855--1940) --- ნიკო ნიკოლაძის მეუღლე --- 12

გურიელეზი დემეტრე, მამია, სიმონ --- 393

დ

დადეაძე პავლე --- ჟურნალისტი --- 18

დადიანი კაცია (გარდაიცვალა 1788) --- სამეგრელოს მთავარი --- 136

დადიანი ლევან (1790--1846) --- სამეგრელოს მთავარი --- 136, 393

დადიანი შალვა (1874--1959) --- მწერალი --- 92, 102, 124, 205--207

დავითაშვილი იოსებ (1850-1887) --- პოეტი --- 33

დავით კუროპალატი (გარდაიცვალა 1001 წ.) --- ტაოს მეფე --- 342

დავით სოსლანი (გარდაიცვალა 1204 ან 1203 წ.) --- თამარ მეფის მეუღლე --- 304, 308

დავლიანიძე რომან --- მოქანდაკე --- 173

დანტე (1265--1321) --- იტალიელი პოეტი --- 106, 239, 419, 420

დარჩია ვიქტორია --- თბილისის სახ. კონსერვატორიის პედაგოგი --- 115

დაგბუაძე პორფირე --- პედაგოგი --- 52

დაგბუაძე ფუცუ (1887--1969) --- მწერალი --- 16

დაგბუაძე ქუჩუ (1911--1965) --- არქიტექტორი --- 185

დე-ბერნარდი დარია --- იტალიელი არქიტექტურის ისტორიკოსი --- 423

დეღეშუა შარლ --- ბელგიელი ხელოვნების

ისტორიკოსი, პროფესორი 431
დემეტრაშვილი ვაზო — მსახიობი — 228
დემონესტიე მარგარიტ — ფრანგულის
 მასწავლებელი — 110
დემუროვა ელისაბედ — 7
დემჩინსკი სერგო (1904—1968) — არქი-
 ტექტორი — 185
დვალეზი (XI—XII სს) — კალიგრაფების
 დინასტია — 380
დვალი მაღაქია — არქიტექტორი-რეს-
 ტავრატორი, ქართული ხელოვნების
 ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომე-
 ლი — 359
დვალიშვილი აკაკი — რეჟისორი — 408
დიმიტრი I — საქართველოს მეფე 1125
 1156 წლებში — 262
დიმიტრიადი ნანა — პიანისტი — 399
დიუბუა დე მონპერე ფრედრიკ (1798—
 1850) — შვეიცარიელი მეცნიერი და
 მოგზაური — 108, 259, 260, 261 315,
 424
დიუმა ალექსანდრე (1802—1870) — ფრან-
 გი მწერალი — 106, 211
დოლიძე დავით (1908—1960) — მათემა-
 ტიკოსი, პროფესორი — 249, 314
დოლიძე ვახტანგ — ხელოვნების ისტო-
 რიკოსი, ქართული ხელოვნების ისტო-
 რიის ინსტიტუტის თანამშრომელი
 (1918—1986) — 377, 386
დოლიძე ვიქტორ (1890—1933) — კომპო-
 ზიტორი — 212, 213
დონაური ელენე (1890—1955) — მსახიო-
 ბი — 90
დონაძე ლადო (1905—1986) — მუსიკის-
 მკვლევარი, პროფესორი — 408
დონდუა დავით (1898—1958) — ჰედაგო-
 გი, გეოგრაფი — 53, 62, 63, 107
დონდუა ვარლამ (1895—1969) — ისტო-
 რიკოსი, პროფესორი — 63
დონდუა კარპეზ (1891—1951) — ენათ-
 მეცნიერი, საქართველოს მეცნიერება-
 თა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი —
 63
დორე გუსტავ (1832—1883) — ფრანგი

მხატვარი — 106
დოსტოვესკი თედორე (1821—1881) — 176
დროლა გიზელა (1924—1983) — გერმა-
 ნელი ფილოლოგი — 430
დუბროვსკი ნიკოლოზ (1874—1943) —
 ისტორიკოსი, პროფესორი — 301
დუმბაძე ნოდარი (1923—1984) — მწერა-
 ლი — 409
დურშიშიძე სერგი — ბიოქიმიკოსი, აკა-
 დემიკოსი — 412
დურნოვო ლილია — ძველი მხატვრობის
 მკვლევარი — 292

0

ებრალიძეები — სოფ. სეფეს მცხოვრებ-
 ნი — 390
ეგნატაშვილი ელენე (1895—1987) —
 ქართული ხელოვნების ისტორიის ინს-
 ტიტუტის თანამშრომელი — 257
ელისონი ტომას-ალვა (1847—1931) —
 ამერიკელი გამომგონებელი — 70
ელიშერაშვილები — 310
ელშვილი კაწიშირი (1890—1966) — გერ-
 მანელი მწერალი — 209
ეველიშვილი იროდიონ (1873—1916) —
 პოეტი — 99
ეისნერი — მხატვარი, ქართული ფრესკე-
 ბის პირების შემსრულებელი — 288
ელ-გაკეო (1541—1614) — ესპანელი მხა-
 ტვარი — 394
ელიავა ნატალია — ქართული ხელოვნების
 ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომე-
 ლი — 257
ელიაზაროვი — თბილისელი ვაჭარი — 6
ემხვარი დავით (ბოდლო) — ხელოვნების
 სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის
 მოადგილე — 246
ენუქიძე აბელ (1877—1937) — სახელ-
 მწიფო და პარტიული მოღვაწე — 155
ერკლე II (1720—1798) — 110, 350, 393
ეპიტაშვილი დიმიტრი — თბილისის ქარ-
 თული გიმნაზიის თანამშრომელი — 254
ერისთავი გიორგი (1891—1982) — მხატ-
 ვარი — 287—290

ერისთავი გიორგი (1811—1864) — მწერალი — 98, 238

ერისთავი დავით (1847—1890) — მწერალი — 93, 123

ერისთავი კონსტანტინე — იმერეთის თავადაზნაურობის მარშალი, მხატვარ გ. ერისთავის მამა — 287

ერისთავი რაფიელ (1824—1901) — მწერალი — 98

ერისთავი შოია (1906—1983) — პედაგოგი — 363

ერჰან-მატრიაანი — XIX ს. ორი ფრანგი მწერლის ფსევდონიმი — 83

ერშაკოვი (კამბიაკო) დიმიტრი (1846—1916) — თბილისელი ფოტოგრაფი — 259

ერშილოვი — რეჟისორი, თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი — 236

ერშილოვი, ალექსი (1777—1861) — გენერალი, 1816—1827 კავკასიის მთავარმართებელი — 39

ერქოშიაშვილი ანსორ — ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი, ხალხური სიმღერების მკვლევარი — 448

ესბროკი შიშელ ვან — ბელგიელი ორიენტალისტი, ქართველოლოგი — 439

ესებუა ნესტორი (1864—1931) — მოკიდავე — 24

ექსანიშვილი ელეონორა — თბილისის სახ. კონსერვატორიის პედაგოგი — 120

3

ვაგნერი რიხარდ (1813—1883) — გერმანელი კომპოზიტორი — 203

ვალდ შორფ — ფრანგი არქეოლოგი — 429

ვალენტინო რუდოლფ (1895—1926) — ამერიკელი კინომსახიობი — 96

ვალიშევსკი სიგისმუნდ (ზიგა) (1897—1936) — პოლონელი მხატვარი — 337

ვაუა-ფუაიელა (1861—1915) — 33, 98

ვარაზი ავთანდილ (1926—1977) — მხატვარი — 373

ვარდოშვილი ხარიტონ (1875—1970) — პოეტი — 205

ვართაპეტოვი ვალენტინ — ინჟინერი, სამშენებლო ინსტიტუტის ლექტორი — 674

ვარლამიშვილი ფელიქს (1903—1986) — საფრანგეთში მცხოვრები ქართველი მხატვარი — 66

ვასაძე აკაკი (1899—1978) — მსახიობი და რეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტა — 150, 236

ვასილავი კონსტანტინე — 118

ვანნაძე გიორგი (იური) — არქიტექტორი, პროფესორი — 68, 83, 203

ვანნაძე კატო — მსახიობი — 238

ვანნაძე ნატო — (1904—1953) — კინომსახიობი — 97, 238

ვახვახიშვილი თამარი (1894—1977) — კომპოზიტორი — 90

ვახტანგ გორგასალი — 109, 324, 365

ვახტანგ VI (1675—1737) — 242, 393

ვახუშტი ბაგრატიონი (1606—1757) — ისტორიკოსი და გეოგრაფი — 153, 386, 393

ვაგენერი პაულ (1874—1948) — გერმანელი მსახიობი — 97

ვედრებისელი დარია — ლიტერატორი — 255

ვეკუა ილია (1907—1977) — მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი 1972—1977 წლებში — 249, 329, 432

ველმანსი ტანია — ფრანგი ხელოვნების ისტორიკოსი — 430

ვერდენი პოლ (1844—1896) — ფრანგი პოეტი — 204

ვერმანი კარლ — გერმანელი ხელოვნების ისტორიკოსი — 262

ვერნი ფიულ (1828—1905) — ფრანგი მწერალი — 85, 106, 108

ვერძონე პაოლო (1902—1986) — იტალიელი ხელოვნების ისტორიკოსი, პროფესორი — 413, 416, 418, 424, 425, 450

ვენსინები, ძმები — რუსი საბჭოთა არქიტექტორები — 232

ვეფხვაძე ტარენტი (1890—1971)—ფიზიკოსი, დოცენტი — 65

ვივალდი ანტონიო (1678—1741) — იტალიელი კომპოზიტორი — 447

ვივიენ კათრინ — ინგლისელი ქართველოლოგი — 435

ვილიე დე ლილ ადან (1838—1889) — ფრანგი მწერალი — 209

ვილშაუ — თბილისის კონსერვატორიის პროფესორი — 117

ვირსალაძე ანასტასია (1883—1968)—პიანისტი, პედაგოგი, პროფესორი — 31, 32, 117

ვირსალაძე თინათინ (1907—1985) — ხელოვნების ისტორიკოსი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 231, 246, 254, 257, 272—274, 297, 304, 358, 359

ვირსალაძე სიმონ (სოლიკო) — მხატვარი, სსრკ სახალხო მხატვარი — 409

ვიტრუვიუსი (ძვ. წ. I ს) — რომელი არქიტექტორი და ინჟინერი — 220

ვოლსკაია ანელი — ხელოვნების ისტორიკოსი; ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 314, 358, 443, 445

ვოლსკი გრიგოლ (1860—1909) — ქართველი პოეტი — 20

ვოლტერი (1694—1778) — ფრანგი მწერალი — 81

ვორონცოვი მიხეილ (1782—1856) — გენერალი, 1844—1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი — 33, 41, 42

ვრონსკი ევგენი (1883—1942) — თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, მომღერალი — 117

ზ

ზალიშვილი თამარ — პედაგოგი — 65, 88

ზალიშვილი სოსო — არქიტექტორი (1905—1987) — 185

ზალემანი კარლ (1849—1916) — რუსი

ფილოლოგი-ორიენტალისტი, აკადემიკოსი — 144

ზალემანი ალბერტ (1833—1897) — თბილისელი არქიტექტორი — 354

ზალემანი ალექსანდრე — მხატვარი — 95

ზამბახიძე ლეილა — საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომელი — 374

ზანდუკელი თამარ (1914—1968) — თბილისის სახ. უნივერსიტეტის ლექტორი, ინგლისური ენის სპეციალისტი — 68, 123

ზანდუკელი მიხეილ (1889—1968) — პედაგოგი, ფილოლოგი, პროფესორი — 53, 56, 57, 100, 110, 123

ზარიანი რუბენ — სომეხი თეატრისმცოდნე, აკადემიკოსი — 436

ზასტროვი ოლეგ — იტალიელი ხელოვნებათმცოდნე — 427

ზაქარაია პარმენ — ხელოვნების ისტორიკოსი, პროფესორი — 296, 302, 306, 386

ზაქარაიძე ხერგო (1909—1971) — მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი — 92, 332, 409

ზდანოვიჩი გიორგი (1854—1917) — პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე — 287

ზეგერსი ანა (1900—1984) — გერმანელი მწერალი — 376

ზედგინიძე იაკობ (1859—1943) — პედაგოგი — 53, 58, 60, 61, 64, 70, 71, 87

ზელინსკი თადეოზ (1859—1944) — კლასიკური ფილოლოგიის მკვლევარი, აკადემიკოსი — 144

ზიჩი მიჰაი (1827—1906) — უნგრელი მხატვარი — 25, 325

ზოლა ემილ (1840—1902) — ფრანგი რომანისტი — 110, 203

ზუბალაშვილები — ქართველი კაპიტალისტები — 17

ზუბალაშვილი იაკობ (1792—1864) — ქართველი კაპიტალისტი — 351

ზურაბ ერისთავი — 393

თახუაშვილი რევაზ — მწერალი, კონო-
რეისორი — 451
 თახუაშვილი ტრიფონ (1866—1926) —
 პედაგოგი — 143
 თაგუნა (შალვა შარაშიძე) — (1880—
 1934) — მწერალი — 21
 თავაძე სოლომონ (1890—1960) — მწერა-
 ლი — 400
 თავაძე შალვა — არქიტექტორი — 183
 თამანიანი ალექსანდრე (1878—1936) —
 არქიტექტურის აკადემიკოსი — 194
 თამარ მეფე (1156—1213) — 304, 308,
 396
 თამარაშვილი მიქელ (1858—1911) —
 ისტორიკოსი — 124
 თარხანოვი მიხეილ (1877—1948) — რუსი
 მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი — 238
 თარხნიშვილი ვიორჯი (1891—1986) —
 იურისტი — 144
 თარხან-მოურავი ელენე — 427
 თარხან-მოურავი ნიკოლოზ — ინჟინერი —
 350
 თაქთაქიშვილი ოთარ — კომპოზიტორი,
 სსრკ სახალხო არტისტი — 115
 თაყაიშვილი ექვთიმე (1863—1953) — ის-
 ტორიკოსი, აკადემიკოსი — 79, 108,
 148, 149, 152, 160, 161, 197, 253,
 259, 279, 284, 287, 304, 325—330, 341,
 357, 358, 423
 თაყაიშვილი ლიდა — ე. თაყაიშვილის
 შვილობილი — 327
 თაყაიშვილი მამიკო — სესილია თაყაიშვი-
 ლის დედა — 329
 თაყაიშვილი სესილია (1906—1984) —
 მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი —
 330, 409
 თევზაძე სანდრო (1903—1967) — არქი-
 ტექტორი — 183
 თეთრაძე ლეილა — საზღვარგარეთის
 ქვეყნებთან მეგობრობის საქართველოს
 საზოგადოების თანამშრომელი — 331

თეოდორა (VI ს.) — ბიზანტიის დედოფა-
 ლი — 420
 თეოდორიზი (V—VI სს.) — ოსტგუთების
 მეფე — 420
 თელქრელიძე ალექსანდრე (1861—1957)
 მინერალოგი, აკადემიკოსი — 84, 85
 თითბერიძე ვახტანგ — თეატრალური ინს-
 ტიტუტის სტუდენტი (ომში დაიღუპა) —
 312
 თიანაძე გურამ (1933—1963) — ალპი-
 ნისტი, ფოტოხელოვანი — 339
 თიანაძე ვასო — გურამ თიანაძის შამა —
 339
 თოფურია ვარლამ (1901—1966) — ენათ-
 მეცნიერი, აკადემიკოსი — 19, 150, 329,
 406, 407
 თოფურიძე ვალენტინ (1908—1980) — გო-
 ქანდაკე — 331
 თოიძე ირაკლი (1902—1985) — მხატვა-
 რი — 99, 195
 თოიძე მოსე (1871—1953) — მხატვარი,
 სსრკ სახალხო მხატვარი — 26, 99, 117,
 331
 თოფჩიბაშვილი მუსტაფა (1895—1981) —
 აზერბაიჯანელი ქირურგი, აკადემიკო-
 სი — 256
 თულაშვილი ანა (1874—1956) — ჰიანის-
 ტი, პედაგოგი, პროფესორი — 117, 329
 თულაშვილი შალვა (1905—1942) — არ-
 ქიტექტორი (ომში დაიღუპა) — 312
 თუმანიანი ოვანეს (1869—1923) — სომე-
 ზი პოეტი — 33, 102
 თუმანიშვილები — ძველ ქართველ კალიგ-
 რაფთა და მღვიან-მწიგნობართა დინას-
 ტია (XV—XVIII სს.) — 380
 თუმანიშვილი კოწია — ვექილი — 6, 11
 თუმანიშვილი — წერეთელი ანასტასია
 (1849—1932) — ჟურნალ „ჯეჯილის“
 რედაქტორი — 87
 თუმანიშვილი მიხეილ — რეჟისორი, სსრკ
 სახალხო არტისტი — 375, 409
 თხილავა თემო — ინჟინერი — 374

იაკუბოვსკაია — თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი — 236
 იანინგსი ემილ (1884—1950) — გერმანელი მასახიობი — 97
 იასლაშვილი ნათელა — მსახიობი — 238
 იაშვილი პაოლო (1894—1937) — პოეტი — 44, 205
 იგიტხანოვი ლევან — მხატვარი — 67
 იეთიმ-გურჯი (1875—1940) — ხალხური მღელქსე-მომღერალი — 209
 ივანე შორჩაისძე — XI ს.-ის ქართველი ხეროთმოდგარი — 319
 იენი ჭულიო — იტალიელი ხელოვნების ისტორიკოსი — 426, 429
 ივანე სულასძე — დავით კურაპალატის ლაშქრობის მონაწილე (X ს.) — 342
 ივაშჩენკო მიხეილ (1881—1946) — არქეოლოგი — 296
 ილინსკი იგორი (1901—1987) — რუსი მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი — 97
 იმედაშვილი ალექსანდრე (1882—1942) — მსახიობი — 38, 91
 ინგოროვსკა პავლე (1893—1983) — ლიტერატურათმცოდნე — 83, 105, 153, 329, 343
 ინწკირეველი სანდრო (1898—1967) — არქიტექტორი — 183, 184
 იოანე XXIII (1881—1961) — რომის პაპი — 422
 იოანე მოციქული — ერთ-ერთი სახარების ავტორი — 441
 იოვანე ფუკარალის ძე — XII საუკუნის ქართველი კალიგრაფი — 381
 იოვანე ყოა — XI საუკუნის ქართველი კალიგრაფი — 380
 იონესკუ გრიგორე — რუმინელი არქიტექტურის ისტორიკოსი — 366
 იორდანიშვილი სოლომონ (1898—1953) — ენათმეცნიერი, ფილოლოგი — 161, 249
 იოსებ — თბილისელი ოსტატი-მშენებელი (XIX ს.) — 350
 იოსელიანი ნატალია — 350
 იოსელიანი ოთარ — კინორეჟისორი — 430

იოსელიანი პლატონ (1809—1875) — ისტორიკოსი — 108, 259
 ისაკაძე ლიანა — მევიოლინე, ღირსიერი — 399, 447
 ისნელი სერგო — მსახიობი — 238
 იუსტინიანე (VI ს.) — ბიზანტიის იმპერატორი — 420
 იშხნელი თამარ — მომღერალი — 399

ბ

კავსაძე იმერი — მომღერალი — 368
 კავსაძე კახი — მსახიობი — 388
 კაზალიკაშვილი იაგორ (1882—1935) — ალბინისტი და პოეტი, მოხევე — 31
 კაიუა რაფე — ფრანგი მწერალი — 375
 კაკაბაძე დავით (1889—1952) — მხატვარი, პროფესორი — 27, 90, 93, 124, 193, 287, 223, 315, 323, 324, 331, 332, 347, 355, 372; 345, 395, 396, 410, 433
 კაკაბაძე ვასილ (1888—1968) — ინჟინერი, პროფესორი — 75
 კაკაბაძე ვერა — ლეო ქიაჩელის მებულე — 207
 კაკაბაძე ვლადიმერ (ვალდია) — თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი (ომში დაიღუპა) — 312
 კაკაბაძე ზურაბ (1927—1982) — ფილოსოფოსი, პროფესორი — 16
 კაკაბაძე მეთოდე (1883—1969) — პედაგოგი — 16
 კაკაბაძე ნოდარ — ფილოლოგი — გერმანისტი, პროფესორი — 16
 კაკაბაძე პოლიკარპე (1893—1972) — დრამატურგი — 91, 400
 კაკაბაძე სარგის (1886—1967) — ისტორიკოსი, პროფესორი — 108, 153, 427
 კაკაბაძე სილოვან — მოქანდაკე, პროფესორი — 331
 კაკაბაძე ტატიანა — სამხატვრო აკადემიის ბიბლიოთეკის გამგე — 333
 კაკალა — თბილისელი ოსტატი — მშენებელი (XIX ს.) — 350
 კალანდაძე ალექსანდრე (ზურა) — ინჟინერი — 88
 კალაძე კარლო — პოეტი — 205

კალაშნიკოვი მიხეილ (1886—1969) — არქიტექტორი — 183, 184, 252, 334

კალგინი ანატოლი (1875—1943) — არქიტექტორი. პროფესორი — 183, 187, 254, 255, 354

კალიშაი სვარლატ — რუმინელი საზოგადო მოღვაწე — 367

კამიუ ალბერ (1913—1960) — ფრანგი მწერალი — 85

კანდელაკი დავით — საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი — 155

კანდელაკი თეიმურაზ — არქიტექტორი — 386

კანდელაკი მანანა — არქიტექტორი — 171, 172

კანდელაკი ნიკოლოზ (1889—1970) — მოქანდაკე, პროფესორი — 259, 331, 332, 410

კანდელაკი სანდრო (1892—1959) — მოქიზავე — 98

კანანაძე დავით (1898—1971) — ნუმისმატი — 296

კანანაძე სერგო — პედაგოგი — 334

კარბელაშვილი მერი — ხელოვნების ისტორიკოსი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 377, 430

კარგარეთელი ამბროსი — XVI, XVII საუკუნეების ქართული კალიგრაფი — 381

კარგარეთელი ია (1867—1939) — კომპოზიტორი — 107, 124

კარგარეთლები — XVI—XVII საუკუნეების ქართველი კალიგრაფების დინასტია — 360

კარიჭაშვილი დავით (1862—1927) — ისტორიკოსი — 160

კასრაძე დავით (1885—1965) — მწერალი — 205, 400

კასრაძე იური — არქიტექტორი — 173

კასტელი კრისტოფორო (XVII ს.) — იტალიელი მისიონერი, დიდიხანს ცხოვრობდა საქართველოში — 386, 436

კატაევი ვალენტინ (1897—1986) — თანამედროვე რუსი მწერალი — 110

კატარჯი ანრი — რუმინელი მხატვარი — 367

კაჩალოვი ვასილ (1875—1943) — რუსი მხატვარი. სსრკ სახალხო არტისტი — 238, 300

კახაძე ივანე (1905—1955) — გეოლოგი. საქართვე. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი — 76, 84

კახიძე ჩანსულ — დირიჟორი, სსრკ სახალხო არტისტი — 447

კაჩანო დე აძვედო მიკელანჯელო იტალიელი მეცნიერი — 424, 426

კელია ვალერიან (1911—1967) — არქიტექტორი — 173, 185, 218, 223, 235

კეკელიძე კორნელი (1879—1982) — ფილოლოგი, აკადემიკოსი — 19, 109, 144, 153, 326, 329, 330, 345

კელერმანი ბერნარდ (1879—1951) — გერმანელი მწერალი — 109, 218

კერნბახი ვიქტორ — რუმინელი მწერალი — 367

კერნი — არქიტექტორი — 266

კეცხოველი ნიკო (1897—1982) — ბოტანიკოსი, მწერალი, აკადემიკოსი — 360, 361

კვანტალიანი აკაკი — (1907—1967) მხატვარი — 92

კვიციანი დავით (1853—1943) — ექიმი — 18

კვიციანი — 18

კიკელიძე ვიქტორ — მოციქულთა — 409

კიკელიძე გრიგოლ (1909—1974) — დოქტორი, პროფესორი — 234

კიკელიძე საშა (1898—1983) — ლიტერატურა ინსტიტუტის თანამშრომელი — 236

კილაძე ანიკო — თბილისის სამხატვრო აკადემიის ბიბლიოთეკის გამგე — 333

კინწურაშვილი სიმონ — არქიტექტორი. ხელოვნებათმცოდნე — 377, 386, 391

კირიონი (1855—1918) — საქართველოს ყათალიკოსი, ისტორიკოსი — 108

კიტონი ბესტერ (1896—1966) — ამერიკელი ენომოხატვარი — 96

კიუნე თეოდორ (1875—1966) — ფოტოგრაფი — 267

კლდიაშვილი გიორგი — დავით კლდიაშვილის ვაჟი (ომში დაიღუპა) — 68, 71, 83, 312

კლდიაშვილი დავით (1869—1931) — პეფერალი — 19, 26, 44, 98, 100, 133, 395

კლდიაშვილი ეფრო (1839—1913) — ქართული თეატრის მოღვაწე — 252

კლდიაშვილი საბა (? —1905) — ქიმიკოსი — 252

კლდიაშვილი სერგო (1893—1986) — მწერალი — 205, 400

კლდიაშვილი სიმონ (1865—1920) — არქიტექტორი — 183, 252, 255, 354, 350

კლიმოვი მიხეილ (1880—1942) — მცირე თეატრის მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი — 238

კნაუსი ლიუდვიგ (1829—1910) — გერმანელი მხატვარი — 25

კობახიძე ალექსი — არქიტექტორი — 424

კოხაი — თბილისელი ფოტოგრაფი — 6

კოსლოვსკი ივანე — რუსი მომღერალი, სსრკ სახალხო არტისტი — 95

კოკოცოვი პავლე (1861—1942) — რუსი სემიოლოგი, აკადემიკოსი — 283

კოკორინი ვიქტორ (1887—1959) — რუსი საბჭოთა არქიტექტორი — 193

კოკოჩაშვილი შერაბ — კინორეჟისორი — 18

კოლეონი ბარტოლომეო (XV ს.) — იტალიელი კონდოტიერი — 422

კოლოდი ლუიზა — რომის ტელევიზიის თანამშრომელი — 413, 423, 429

კოლჩინი ივანე — ინჟინერი — 176

კონდაკოვი ნიკოლოძე (1844—1925) — ბიზანტიური ხელოვნების მკვლევარი, აკადემიკოსი — 225, 314

კონიაშვილი გიორგი — პედაგოგი — 18

კონსტანტინე — ალექსანდრე კანთა მეფის ძე — 393

კონსტანტინესკუ-იანი (1892—1977) — რუმინელი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, აკადემიკოსი — 367

კონსტანტინიდესი ეუტალია — ბერძენი სელოსუბათმოცოდნე — 443, 444

კოპე ფრანსუა (1842—1908) — ფრანგი პოეტი — 111

კოტბიშვილი ვახტანგ (1893—1937) — ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, მოქანდაკე — 26, 44, 100, 124, 205

კრავსი ვერნერი (1884—1959) — გერმანელი მსახიობი — 97

კრაჩკოვი ევანატე (1883—1951) — რუსი არაბისტი, აკადემიკოსი 153, 283

კტოროვი ანატოლი (1898—1980) — რუსი მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი — 97

კუბელიკი იან (1880—1940) — ჩეხი მევიოლინე — 117

კუნენკოვი სტეპან (1879—1932) — რუსი მსახიობი — 89

კუნიჩი არხიპ (1841—1910) — რუსი მხატვარი — 118

კულა გლდანელი (1858—1934) — მოქიდაკე — 24

კულიჩი კალენი (1872—1933) — აშშ პრეზიდენტი 1923—1929 წლებში — 70

კუნეო პაოლო — სომხური ხუროთმოძღვრების იტალიელი მკვლევარი — 427

კუპერი ჭიმიშ ფენიმორი (1789—1851) — ამერიკელი მწერალი — 106, 108

კუტანები, ცოლ-ქმარი — თბილისის ფრანგული ლიცეის დირექტორი და მისი მეუღლე — 51

კუფტინი ბორის (1892—1953) — არქეოლოგი, აკადემიკოსი — 285

ლ

ლავრენევი ბორის (1891—1959) — რუსი დრამატურგი — 88

ლანგი დავით — ინგლისელი ქართველოლოგი და არმენისტი — 423, 427

ლანგი ფრიც (1890—1976) — გერმანელი კინორეჟისორი — 97

ლანსერე ვევანი (1875—1946) — მხატვარი, პროფესორი — 49, 99, 115, 369

ლანუ არმან (1913—1983) — ფრანგი მწერალი, მონაწილეობდა რუსთაველის

საიუბილეო ზეიმში 1966 წელს — 375
 ლახისუი ეან — ფრანგი არქიტექტორის
 ისტორიკოსი — 423, 425—427
 ლახისუილი გიორგი (1866—1931)—პუბ-
 ლიცისტი, საზოგადო მოღვაწე — 216
 ლაფონი რენე (1899—1974) — ფრანგი
 ქართველოლოგი და ბასკოლოგი — 375
 ლაფონტენი ეან დე (1621—1695)—ფრან-
 გი მწერალი — 158
 ლადიძე რევაზ (1921—1981) — კომპოზი-
 ტორი — 400, 401
 ლე კორბიუზიე შარლ ედუარ (1887—
 1965) — ფრანგი ხუროთმოძღვარი—371
 ლევი კარლო (1902—1975) — იტალიელი
 მწერალი და მხატვარი. მონაწილეობდა
 რუსთაველის საიუბილეო ზეიმში 1966
 წელს — 375
 ლეონ შარია-ტერეზა — ესპანელი პოე-
 ტი ქალი, მონაწილეობდა რუსთაველის
 საიუბილეო ზეიმში 1966 წელს — 375
 ლეონიძე გიორგი (1899—1966) — პოეტი,
 აკადემიკოსი — 44, 205, 366, 400, 401
 ლეჟავა გიორგი (1903—1977) — არქი-
 ტექტორი — 252, 362
 ლერმონტოვი მიხეილ (1814—1841) —
 111
 ლეჟვთაძე დიმიტრი — არქიტექტორი —
 252
 ლიაროვი — თბილისის საოპერო თეატრის
 მომღერალი (XIX ს. ბოლო წლებში)—
 23
 ლისტი ფერენც (1811—1886) — უნგრე-
 ლი კომპოზიტორი და პიანისტი — 117,
 118
 ლიტოვცევა — მოსკოვის სამხ. თეატრის
 მსახიობი და რეჟისორი — 238
 ლლოიდი ჰაროლდ (1893—1971) — ამე-
 რიკელი კინომსახიობი — 96
 ლოდი პეტრე (1855—1920) — თბილისის
 საოპერო თეატრის მომღერალი (XIX ს.
 ბოლო წლებში) — 23
 ლოშაძე დავით (1914—1955) — ინჟინე-
 რი — 68
 ლომთათიძე გიორგი (1914—1971) — არ-

ქეოლოგი — 68, 69, 71, 73, 78 80, 83,
 93, 203, 211, 214, 277, 296, 328, 330,
 408
 ლომთათიძე კოლა (1879—1915) — მწერა-
 ლი — 101
 ლომიძე მიხეილ — არქიტექტორი (დაი-
 ღუპა 1942 წ.) — 185, 312
 ლომოური თამარ (1883—1965) — ნოვატ-
 მატი, ისტორიკოსი — 247
 ლონდონი ჯეკ (1876—1916) — ამერიკე-
 ლი მწერალი — 109
 ლორთქიფანიძე ბენან (1908—1969) —
 არქიტექტორი — 173, 185, 192, 198,
 216, 223, 239, 240, 242
 ლორთქიფანიძე გიგა — რეჟისორი, სსრკ
 სახალხო არტისტი — 409
 ლორთქიფანიძე გივი (1918—1973) — მე-
 სიკოსი, თეორეტიკოსი — 115
 ლორთქიფანიძე დავით — პედაგოგი, პრო-
 ფესორი — 402
 ლორთქიფანიძე ვლადიმერ (1872—1909)
 საზოგადო მოღვაწე — 216
 ლორთქიფანიძე ინგა — ხელოვნებათ-
 მეცოდნე, ქართული ხელოვნების ისტო-
 რიის ინსტიტუტის თანამშრომელი —
 360
 ლორთქიფანიძე კონსტანტინე (1904 -
 1986) — მწერალი — 205
 ლორთქიფანიძე მიხეილ — არქიტექტორი,
 პროფესორი — 69
 ლორთქიფანიძე ნიკო (1880—1944)—მწე-
 რალი — 44, 101, 124, 205, 206
 ლორთქიფანიძე ოთარ — არქეოლოგი
 421
 ლორთქიფანიძე რევაზ — ინჟინერი, პრო-
 ფესორი — 69
 ლუკაშვილი კლავდია (1859—?) — რუსა
 საბავშვო მწერალი — 52
 ლუნაჩარსკი ანატოლი (1875—1933) —
 მწერალი, კრიტიკოსი, რუსურ განათლე-
 ბის სახალხო კომისარი — 155

8

შაგაროტო ლუიჯი — იტალიელი ორან-
 ტალისტი, ქართველოლოგი — 435, 436

- მაიაკოვსკი ვლადიმერ (1853—1930) — რუსი პოეტი — 48
- მაისურაძე ზაქარია (1912—1971) — კერაზიკოსი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 197, 231, 257, 294—295
- მაისურაძე თამარ — ენის, ისტორიისა და საზერიალური კულტურის ინსტიტუტის თანამშრომელი — 278
- მაისურაძე ილია (1908—1986) — ფილოლოგი, დოცენტი — 329
- მაკდონალი ჭიმიზ რემზი (1866—1937) — ავღიანელი პოლიტიკური მოღვაწე — 70
- მაკიაველი ნიკოლო (1469—1527) — იტალიელი პოლიტიკური მოაზროვნე და მწერალი — 420
- მალაზონია ნოდარ — მხატვარი — 448
- მალო ექტორ (1830—1907) — ფრანგი მწერალი — 106
- მამალაძე ლეო (1910—1982) — არქიტექტორი, კინოს მხატვარი — 185, 190
- მამალაძე შალვა (1895—1963) — მხატვარი — 99, 174, 331
- მამუა ოქრომჭედელი (XII ს.) — 379
- მამუკა ბატონიშვილი — 393
- მამულაშვილი მსხილ (1873—1973) — სსსრული მებაღე-დეკორატორი — 279
- მანაგაძე ნოდარ — კინორეჟისორი — 430
- მანაგაძე შოთა (1901—1977) — კინორეჟისორი — 430
- მანდელშტამი ოსიპ (1891—1938) — რუსი პოეტი — 36
- მანი ჰენრიხ (1871—1950) — გერმანელი მწერალი — 180, 181
- მანჭავაძე ეროსი (1925—1982) — მხატვარი — 409
- მარი იური (1893—1935) — ირანისტი, პროფესორი — 156
- მარი ნიკო (1864—1934) — ენათმეცნიერი, ფილოლოგი, არქეოლოგი, აქადემიკოსი — 108, 144, 145, 146, 148, 155, 156, 157, 158, 159, 181, 259, 262, 263, 406
- მარიანი-კალო მარია სტელა — იტალიელი ხელოვნების ისტორიკოსი — 434, 436, 440
- მარიტანი (1890—1978) — პოეტი — 205
- მარტო ბერნადეტ — ფრანგი ოლიუსტიკოსი, ქართველოლოგი — 435
- მარტი მარიო — ქ. ლენინს (იტალიაში) უნივერსიტეტის რექტორი — 437
- მარქსი კარლ (1818—1883) — 164
- მარკანიშვილი კოტე (1872—1933) — რეჟისორი — 88, 89, 92—94, 97, 103, 104, 212, 250, 269, 398
- მასალიტინოვა ვარვარა (1878—1945) — რუსი მხატვარი — 238
- მაქსიმ გოკი (1868—1936) — რუსი მწერალი — 69, 85
- მაღალაძე პაპუა (XVII ს.) — ქართლელი მხატვარი — 386
- მაღალაშვილი ქეთევან (1894—1973) — მხატვარი — 112, 287, 323, 394, 397, 399, 400, 410
- მაშაშვილი (მირცხულავა) ალიო (1903—1971) — მწერალი — 99, 205
- მაჩაბელი ივანე (1854—1898) — მწერალი, მთარგმნელი — 105
- მაჩაბელი კიტი — ხელოვნების ისტორიკოსი, პროფესორი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 362, 421, 427, 443, 445
- მაცულევიჩი ლეონიდ (1886—1959) — ხელოვნების ისტორიკოსი — 268
- მაკავარიანი ალექსი — კომპოზიტორი, სსრკ სახალხო არტისტი — 409
- მაკავარიანი ვლადიმერ (1906—1986) — ლიტერატორი, კრიტიკოსი — 162
- მაკავარიანი თამარ (1895—1979) — ბიბლიოთეკათმცოდნე, რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომელი — 246
- მაკავარიანი მიხეილ (1886—1951) — არქიტექტორი, პროფესორი — 183
- მაკავარიანი სოფიო — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის თანამშრომელი — 278
- მაკარაშვილი კოტე — ექიმი — 168, 329
- მახარაძე ფილიპე (1868—1941) — პარ-

- ტიველი და პოლიტიკური მოღვაწე — 161
- მგალობლიშვილი ოთარ (ირაკლი)** — ქართველი პროფესორი — 69
- მგალობლიშვილი სოფრომ (1851—1925)** — მწერალი — 98
- მღვიანი მარინე** — პიანისტი — 115, 120
- მღვიანი შერი** — 68, 88
- მეგრელიძე იოსებ** — ფილოლოგი, პროფესორი — 164, 328
- მელაგი ლეო** — არქიტექტორი — 190
- მელია მიხეილ** — არქიტექტორი — 185
- მელითაური კოტე** — არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი — 173
- მელიქიშვილი გიორგი** — ისტორიკოსი, აკადემიკოსი — 412
- მელიქსეთ-ბეგი ლეონ (1890—1963)** — ფილოლოგი, არმენოლოგი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი — 249, 252
- მელცი დერილ ჭულიო** — იტალიელი ხელოვნების ისტორიკოსი — 427
- მენდელსონი ფელიქს (1809—1847)** — გერმანელი კომპოზიტორი — 447
- მერაბიშვილი კოტე** — მოქანდაკე — 331
- მერიამე პროსპერ (1803—1870)** — ფრანგი მწერალი — 209
- მერკვილაძე სოსიკო (გარდაიცვალა 1935 წ.)** — გამომცემელი, წიგნის მაღაზიის პატრონი — 40
- მესონი ერნესტ (1815—1891)** — ფრანგი მხატვარი — 25
- მესხი ეპატერიანე (აქე)** — (1854—1928) — სერგეი მესხის ქერივი — 87
- მესხი სერგეი (1845—1883)** — პუბლიცისტი — 87
- მესხი კოტე (1857—1914)** — მსახიობი — 24, 38
- მესხიშვილი ლადო (1857—1920)** — მსახიობი — 38, 93, 287
- მეტასტაზიო პიეტრო (1698—1782)** — იტალიელი პოეტი და დრამატურგი — 423
- მეტრეველი როინ** — ისტორიკოსი, კომპოზიტორი — 149
- მეფისაშვილი რუსუდან** — ხელოვნების ისტორიკოსი, არქიტექტურის დოქტორი — 172, 173, 231, 254, 257, 302, 335
- მელენოვსკის შვილი დიმიტრი (1815—1878)** — ქართულ სიძველეთა მკვლევარი — 259
- მიასკოვსკი ნიკოლოზ (1821—1950)** — რუსი კომპოზიტორი, სახელმწიფო არქიტექტი — 300
- მიწანდარი ალიოზ (1838—1912)** — ქართველი პიანისტი, პედაგოგი — 115, 118
- მილონასი პავლოს** — ბერძენი არქიტექტურის ისტორიკოსი — 434, 444, 445
- მიმინოშვილი ალექსი (1911—1967)** — არქიტექტორი — 186
- მირიანი (IV ს.)** — ქართლის მეფე — 109
- მინიარი** — თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, ეოლოგნეფისტი — 117
- მიურატი ყოაშენ (1767—1815)** — ფრანგი სასწავლო და პოლიტიკური მოღვაწე, მარშალი — 437
- მიქაბერიძე ავთანდილ** — ქართველ-ბიზანტურ ურთიერთობათა მკვლევარი — 443, 445
- მიქაბერიძე ალექსანდრე (1866—1943)** — პედაგოგი, მწერალი — 18, 107, 211, 327
- მიქაბერიძე კოტე (1896—1973)** — ცინოსახიობი და რეჟისორი — 97
- მიქავა ნიკოლოზ** — მწერალი — 330
- მიქაძაძე შოთა (1905—1979)** — მოქანდაკე — 321
- მიქაძეები** — ქართველი კალიგრაფები (XVIII ს.) — 380
- მიქელანჯელო ბუონაროტი (1475—1564)** — იტალიელი მოქანდაკე, ფერმწერი, არქიტექტორი, პოეტი — 44, 420
- მიქელაძე დევი (1905—1934)** — გეოლოგი, პლანისტი — 236

მიქელაძე ირაკლი (1902-1984) — ეკონომისტი, აკადემიკოსი — 236

მიქელაძე ირინე (1910—1979) — პედაგოგი, თბილისის პონერთა სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის გამგე — 363

მიქელაძე რუსუდანი (1893—1982) — თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი — 236

მიქელაძე-ზაგრატიონი მერი (1895—1983) — მხატვარი — 66

მიქელ ჩიხუარელი — XI საუკუნის ქართველი კალიგრაფი — 380

მიხაილ უნგრო — ვლახელი (XVIII ს.) — მესტაშე — 242

მოისესკუ იუსტინ — მოლდოვის მიტროპოლიტი — 366

მოპასანი გი დე (1850—1893) — ფრანგი მწერალი — 110

მორდინი — თბილისის საოპერო თეატრის მოცეკვავე 20-იანი წლების დასაწყისში — 95

მოსაშვილი ილი (1896—1954) — პოეტი — 205, 209

მოსკვინი ივანე (1874—1946) — რუსი მსახიობი — 97

მოხირი — ხონის სემინარიის დირექტორი — 143

მოცარტი ვოლფგანგ ამადეუს (1756—1791) — ავსტრიელი კომპოზიტორი — 50

მრველიშვილი მაღიკო (1900—1984) — მსახიობი, პედაგოგი — 236

მრველიშვილი მიხეილ (1904—1980) — მწერალი — 400

მურავიოვი — ავტორი წიგნისა „საქართველო და სომხეთი“ — 108

მურატი დულა — ბერძენი მეცნიერი, ბიზანტიური ხელოვნების მკვლევარი 440, 444, 445

მუსოლინი ბენიტო (1883—1945) — იტალიის ფაშისტი დიქტატორი — 70

მუსხელიშვილი დავით — ისტორიკოსი — 429

მუსხელიშვილი ლევან (1900—1942) — ისტორიკოსი, არქეოლოგი — 197, 258, 278, 290, 294, 299

მუსხელიშვილი ნიკო (1891—1976) — მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი — 1941—1972 წლებში — 12, 16, 256, 412

მუხაძე გიორგი (1886—1963) — ინჟინერი, საქართველო მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი — 174

მუხთაროვა ფატმა — აზერბაიჯანელი მომღერალი — 95

მღვიმელი შიო (1866—1933) — საბავშვო მწერალი — 68, 85, 87, 107

მშველიძე შალვა (1904—1984) — კომპოზიტორი — 117

მკვდელიშვილი ვანო — ავტორის თანაკლასელი (ომში დაიღუპა) — 312

6

ნადარეიშვილი სამსონ (1895—1977) — მხატვარი — 331

ნადირაძე გიორგი — მხატვარი, გრაფიკოსი — 67, 87

ნავარო რამონ — ამერიკელი კინომსახიობი — 96

ნავთლუღელი შაქრო — მუშა-პოეტი — 209

ნაზარიშვილი გიორგი (1894—1972) — ექიმი-რენტგენოლოგი, პროფესორი — 9

ნაზარიშვილი ინა (1895—1977) — კინომსახიობი, გეოლოგი — 8

ნათაძე რევაზ (1903—1984) — ფსიქოლოგი, აკადემიკოსი — 65, 314

ნათაძე გიორგი (1885—1963) — მხატვარი, სურათების გალერეის თანამშრომელი — 26

ნამორაძე ალექსანდრე (1891—1958) — ისტორიკოსი, პროფესორი — 247

ნატროშვილი ანტონ — ქართველი სიმკვლეუთა მკვლევარი — 108

ნეგრი პოლა — ამერიკელი კინომსახიობი — 96

ნეიპაუზი ჰენრი (1888—1964) — პიანისტი — 397

ნემიროვიჩ-დანიენკო ვლადიმერ (1858—1943) — რუსი რეჟისორი — 300

ნებრინცევი მიხეილ (1877—1962) — არქიტექტორი — 170, 183

ნესტეროვი მიხეილ (1862—1912) — რუსი მხატვარი — 343

ნიორაძე გიორგი (1886—1951) — არქეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი — 249

ნიკოლაიშვილი ალექსანდრე (1898—1977) — არქიტექტორი — 174, 183, 190, 192, 198, 230

ნიკოლაძე ანასტასია (ანიჩკა) — ნიკო ნიკოლაძის და — 12, 16

ნიკოლაძე გიორგი (1888—1931) — მათემატიკოსი, მეტალურგი, სპორტსმენი — 12, 13, 31, 128, 129, 163

ნიკოლაძე თამარ (1892—1939) — ნიკო ნიკოლაძის შვილი — 12

ნიკოლაძე თეონა — არქიტექტორი — 171, 172, 219

ნიკოლაძე იაკობ — ნიკო ნიკოლაძის მამა — 16, 331

ნიკოლაძე იაკობ (1876—1951) — მოქანდაკე, პროფესორი — 16, 171, 394, 395

ნიკოლაძე ივანე — მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მამა — 16

ნიკოლაძე კატო — ნიკო ნიკოლაძის და — 12, 16

ნიკოლაძე მამუკა — ნიკო ნიკოლაძის პაპა — 16

ნიკოლაძე ნიკო (1843—1928) — პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე — 12, 13, 16, 191

ნიკოლაძე ოლიმპიადა — ნიკო ნიკოლაძის და, გიორგი წერეთლის მეუღლე — 16

ნიკოლაძე რუსუდან (1884—1981) — ქიმიკოსი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი — 12, 13, 14, 15, 165, 191

ნიკოლაძე ფროსიკო — ნიკო ნიკოლაძის და, ალექსი ჭიჭინაძის მეუღლე — 16

ნიკოლაძე-პოლივეკტოვი ნიკოლოზ — ფიზიკოსი, პროფესორი — 12, 16

ნიკოლოზ II — რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი — 343

ნიკოლოზ კატარაწის ძე — XII ს-ის ქართველი კალიგრაფი — 380

ნინოშვილი ეგნატე (1859—1894) — მწერალი — 33, 40, 98, 206, 395

ნიფარაძე ალექსანდრე — პიანისტი — 115, 120

ნიფარაძე ივანე (1874—1956) — პედაგოგი — 64, 329

ნობილე უმბერტო (1885—1978) — იტალიელი დირიჟაბლთმშენებელი, გენერალი — 69

ნობილაური ედიტ — გერმანელი ხელოვნების ისტორიკოსი — 423, 437

ნონია — თბილისელი ოსტატი — მშენებელი (XIX ს.) — 350

ნუცუბიძე შალვა (1888—1969) — ფილოსოფოსი, აკადემიკოსი — 165, 249, 252

ო

ოლდენბურგი სერგეი (1863—1934) — რუსი აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი — 153

ონელი არნო (1901—1979) — პოეტი — 400

ონიაშვილი ოთარ (1915—1968) — ინჟინერი, აკადემიკოსი — 69

ონოფრიშვილი ირაკლი — კინოოპერატორი — 451

ობრესკუ ჭორჭე — რუმინელი ხელოვნების ისტორიკოსი — 367

ორახელაშვილი მარიამ (1887—1937) — საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი — 129

ორახელაშვილი ქეთო (1914—1985) — 88

ორბელი იოსებ (1887—1961) — აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი — 256

ორბელიანები — 35

ორბელიანი გრიგოლ (1804—1863) — პოეტი — 395

ორბელიანი ელისაბედ (1871—1942) — მწერალი, მთარგმნელი — 10, 110—115

ორბელიანი თამაზ — ელ. ორბელიანის ვაჟი — 111, 112

ორბელიანი ირაკლი — პიანისტი, ელ. ორბელიანის ვაჟი -- 112, 394, 395

ორბელიანი მამუკა — ელ. ორბელიანის შვილი -- 111

ორბელიანი მარიამ — საზოგადო მოღვაწე, ვასტანგ ორბელიანის ასული — 116

ორბელიანი სულხან-საბა (1658--1725) მწერალი, ლექსიკოგრაფი — 393

ოქრაი ვაგაის ძე (XIII—XIV საუკუნეები) — ქართული კალიგრაფი — 380

ოქროშიძე მოსე — აწუხრელი გლეხი — 337

ოქროშიძე ბესარიონ — ექიმი, პროფესორი -- 74

ოქროშიძე ზინა --- 73

ოქროშიძე ოთარ — გეოლოგი — 68
ოცეთია ანდრეი (1894—1973) — რუმინელი ისტორიკოსი, აკადემიკოსი — 367

ოცხელი იოსებ (1865—1919) — პედაგოგი, ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორი — 147, 150, 287

ოცხელი პეტრე (1907—1937) — თეატრის მხატვარი — 90, 93

ოპანეზა — თბილისელი ოსტატი-მშენებელი (XIX ს.) — 350

ოშენრი (1862—1910) — ამერიკელი მწერალი — 158

3

პაგანი ლუიჯი — იტალიელი ისტორიკოსი — 435

პავლინოვი — არქიტექტორის აკადემიკოსი (XIX ს. ბოლო ათეული წლები) — 259

პავლივი ივანე (1872--1951) -- რუსი მხატვარი-გრაფიკოსი --- 300

პავლოვსკაია ემილია (1853—1951) -- თბილისის საოპერო თეატრის მოძღვრალი (XIX ს. ბოლო ათ. წლებში) -- 23

პაწოლინი დამონდა — გრაფი, ქ. ბერგამოს (იტალია) მცხოვრები — 420

პალადინი ალექსანდრე (1885--1972) --

რუსეთის აკადემიკოსი, დიპლომატი -- 256

პალადიო ანდრეა (1506—1580) — ლიტვი სეროთმომღვარი — 417

პასკევიჩი ივანე (1782—1856) — რუსი ფეოქსტარული, 1826--1830 წლებში კავკასიის წარების სარდალი და მკვლევარი — 33, 37

პატარია გურამ (1926--1983) — კინორეჟისორი — 451

პატარიძე კუჭუხი (1900--1982) — რეჟისორი -- 236

პატი და პატაშონი — ჯანბელი კინომსახიობები — 96

პერესტანი ივანე (1870--1959) -- კინორეჟისორი -- 97

პერინი მარია — თბილისის საბავშვო სტუდიის ხელმძღვანელი -- (20--20-იან წლებში) -- 333

პეროზ მუხე (V ს.) -- ირანის შაჰი -- 196

პეტრე — თბილისელი ოსტატი-მშენებელი (XIX ს.) -- 350

პეტრი ვაგო (1881--1962) -- გერმანელი პიანისტი -- 117, 118

პიკასო პაბლო (1881--1973) -- ფრანგი მხატვარი (ესპანური წარმოშობის) -- 371

პიჟორდი შერი (1893--1979) -- ამერიკელი კინომსახიობი -- 96

პილი მარი (1892--1965) -- გერმანელი კინომსახიობი -- 97

პილიაიკი ბორის -- რუსი მწერალი -- 110

პიშნოვი -- პიანისტი -- 115

პო ედგარ (1809--1849) -- ამერიკელი მწერალი -- 210

პოდობედოვა ოლღა -- რუსი ხელოვნების ისტორიკოსი -- 437, 449

პოკროვსკი მიხეილ (1868--1932) -- რუსი ისტორიკოსი, აკადემიკოსი, რუსეთის განათლების სახალხო კომისრის მოადგილე -- 155

პოლიაინი შირონ (1895--1941) -- რუსი მწერალი -- 263

პოლიევქოვი მიხეილ (1872--1942) --

რუსი ისტორიკოსი, თბილისის სახ. უნი-
ვერსიტეტის პროფესორი — 12, 13, 15,
128, 254

პოლტორაკი ალექსანდრე — ვეჭილი,
ექთ. თაყაიშვილის ცოლისძმა — 327

პოპოვა — თბილისის საოპერო თეატრის
მომღერალი 20-იან წლებში — 95

პორტუგალი იერუსლან — მუსიკის პე-
დაგოგი — 6

პრიალა ევა — ხელოვნების ისტორი-
კოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქ-
ტორი — 359, 362, 445, 447

პრისტლი ჯონ ბოინტონ — ინგლისელი
მწერალი — 237

პროკოფიევი სერგეი (1891—1953) — რუ-
სი კომპოზიტორი და პიანისტი — 300,
315

პუტი ლია დე (1901—1931) — გერმანელი
კინომსახიობი — 97

პუშკინი ალექსანდრე (1799—1837) — 110

ჟ

ჯეგელიანი სერგეი (1867—1941) — რუსი
ისტორიკოსი, ფილოლოგი — 144

ჯვანია ევტიხი (1890—1975) — თბილისე-
ლი ფოტოგრაფი — 6

ჯორჯანია გივი — ისტორიკოსი, პროფე-
სორი — 86, 120, 161

ჯორჯანია გიორგი (1885—1937) — ვეჭი-
ლი, საზოგადო მოღვაწე — 86

ჯორჯანია თედო (1854—1916) — ისტო-
რიკოსი — 86, 108, 259

ჯორჯოლიანი ალექსანდრე (1888—1969) —
მსახიობი — 91, 92

ჯუკოვსკი ვალენტინ (1858—1918) — რუ-
სი ორიენტალისტი — 144, 146

ჯურდანი ფრანსის — ფრანგი არქიტექტო-
რი — 232, 233

ჯღენტები — 18

ჯღენტი ბესარიონ (1903—1976) — კრი-
ტიკოსი — 205, 207, 323

ჯღენტი ვალენტინა — თეატრალური ინს-
ტიტუტის პედაგოგი — 236

რაიტი ფრანკ ლიოდ (1869—1959) — ამე-
რიკელი არქიტექტორი — 232, 233

რამიშვილი ბიძინა — ეკონომისტი, თბი-
ლისის სახ. უნივერსიტეტის დოცენ-
ტი — 6

რამიშვილი დარეჯან — ფსიქოლოგი — 6

რატინი პროკოფი — ისტორიკოსი — 343

რატოშვილი ივანე (გარდაიცვალა 1933 წ.)
პედაგოგი — 63, 64, 326

რაჭველიშვილი ქრისტეფორე (1894—
1937) — ლიტერატორი — 182

რახმანოვი სერგეი (1873—1943) —
რუსი კომპოზიტორი და პიანისტი — 118

რახმანოვი — ტკბილეულის მაღაზიის პატ-
რონი თბილისში — 47

რემარკი ერის-მარია (1898—1970) — გერ-
მანელი მწერალი — 109

რემბო არტურ (1854—1891) — ფრანგი
პოეტი — 204

რენალი მორის — ფრანგი ხელოვნებათ-
მცოდნე, ავტორი წიგნისა ლ. გუდია-
შვილის შესახებ — 28

რენიე ანრი დე (1864—1936) — ფრანგი
მწერალი — 209

რეპინი ილია (1844—1930) — რუსი მხატ-
ვარი — 216

რიბოვი — არქიტექტორი — 266

რიჟოვა ვარვარა (1871—1963) — მცირე
თეატრის მსახიობი, სსრკ სახალხო არ-
ტისტი — 89

რიხტერი პაულ — გერმანელი კინომსა-
ხიობი — 97

რიხტერი სვიატოსლავ — პიანისტი, სსრკ
სახალხო არტისტი — 397

როზენი გრიგოლ (1782—1841) — ბარონი,
კავკასიის მთავარმართებელი 1831—
1838 წლებში — 33

როინაშვილი ალექსანდრე (1846—1898) —
პირველი ქართველი ფოტოგრაფი, სა-
ზოგადო მოღვაწე — 259

როინიშვილი — ტყვის მასწავლებელი —
51

როინიშვილი დავით — ფიზიკოსი — 339

რომენი ფიულ (1885—1972) — ფრანგი მწერალი — 109

როსი მარტინ — ამერიკელი ხელოვნების ისტორიკოსი — 314

როსინი ჭოაკინო (1792—1868) — იტალიელი კომპოზიტორი — 447

როსტომი (XVIII ს.) — რაჭის ერისთავი — 389

როჭერსი მაიკლ — ინგლისელი ორიენტალისტი — 423, 426

რტიშჩევი ნ. — გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი 1813—1816 წლებში — 33

რუბინშტეინი ანტონ (1829—1894) — რუსი კომპოზიტორი და პიანისტი — 115, 118

რუსთაველი შოთა — 37, 42—45, 163, 164, 194—197, 201, 208, 284, 369, 370, 373, 374, 377

რუხაძე აკაკი — პარტიის ადიგენის რაიკომის მდივანი ორმოცაანი წლების ბოლოს — 339, 344

რუხაძე ვარლამ (1874—1935) — პოეტი — 83

რჩეულიშვილი ლევან (1909—1986) — ხელოვნების ისტორიკოსი, პროფესორი — 173, 176, 185, 197, 198, 219, 221—223, 246, 274, 297—299, 304, 306, 335, 345, 359, 386

ს

საგინაშვილი სვიმონ — 1877 წელს დაიღუპა თურქეთთან ომში — 392

სავანელი ხარლამაი (1842—1890) — მუსიკოსი და საზოგადო მოღვაწე — 118

საკოცარი — X საუკუნის ქართველი ხეროთმოდღვარი, კუმურდოს ტაძრის მშენებელი — 377

სალარიძე კუკური — ავტორის თანაკლასელი — 87

სალია კალისტრატე (1901—1986) — ფრანალ „ბედი ქართლისას“ რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი — 423

სალია ნინო — ეურნალ „ბედი ქართლისას“ დამმარსებელი — 423

სანაძე კორნელი (1907—1935) — საქართველოს სახალხო მხატვარი — 331

სარაჯიშვილი დავით (1848—1911) — 205

სანიკიძე თამაზ — ხელოვნების ისტორიკოსი — 386

სარაჯიშვილი ვანო (1879—1924) — მომღერალი — 95

სარჩიშვილი გიორგი (1894—1982) — მსახიობი, თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი — 236

საყვარელიძე თეიმურაზ — ხელოვნების ისტორიკოსი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 391, 438

საყვარელიძე მიხეილ (1892—1937) — ლიტერატორი — 107, 182

სახოკია თედო (1868—1956) — მწერალი — 64, 210

სებასტიანი ლუჩია — ბერგამოს (იტალიაში) უნივერსიტეტის თანამშრომელი — 424

სეგიური (როსტომინა) (1799—1874) — ფრანგი მწერალი — 52

სევეროვი ნიკოლოზ (1887—1957) — არქიტექტორი და ქართული ხეროთმოდღვრების ისტორიის მკვლევარი, პროფესორი — 39, 183, 187, 188, 229—231, 252, 266, 267, 306, 331, 387, 411

სემიონოვა მარინა — მოცეკვაე, სსრკ სახალხო არტისტი — 238

სენევიჩი ბენრიკ (1846—1916) — პოლონელი მწერალი — 106

სერაპიონ ზარზმელი — აღრეული ფეოდალური ხანის ქართველი სასულიერო მოღვაწე — 341, 342

სერაპიონ ხურციძე — მაწვევრელი ეპისკოპოსი, ზარზმის მკვლობელი (XVI ს.) — 342

სერგევი — XIX ს. რუსი მხატვარი — 347

სერვანტესი მიგელ დე (1547—1616) —
ესპანელი მწერალი — 105, 106

სერებრიაკოვა ზინაიდა (1884—1967) —
რუსი მხატვარი, ე. ლანსერეს და — 369

სესიაშვილი გიორგი — მოქანდაკე — 174,
331

სენსიაშვილი ოთარ — მხატვარი — 386

სვანიძე გიორგი — პედაგოგი — 4

სვაროვი ვასილ (1883—1946) — რუსი
მხატვარი — აკვარელისტი — 300

სვიმეონ მესვეტე (V ს.) — სასულიერო
მოღვაწე — 195

სიმონი — ქართლის მეფე 1619—1630/31
წლებში — 393

სიღამონ-ერისთავი ვალერიან (1889 —
1943) — მხატვარი — 193, 395

სიხვიძე სპირიდონ — ჭრუჭის მონასტ-
რის მცველი — 244

სიმონიშვილი თემო — თეატრალური ინს-
ტიტუტის სტუდენტი — 312

სიმონსონი ოტო (1832—1914) — თბილი-
სელი არქიტექტორი — 343, 354

სიპიალანი — გენერალ-ადიუტანტი, თბი-
ლისის სამხედრო გუბერნატორი XIX
ს. 20-იან წლებში — 352

სირაძე მალაქია (1875—1948) — პედა-
გოგი — 65

სკლიფოსოვსკი ლევ — ქართული ხელოვ-
ნების ისტორიის ინსტიტუტის თანა-
მშრომელი, ფოტოგრაფი — 337

სკლიფოსოვსკი ნიკოლოზ (1870—1934) —
თბილისელი მხატვარი, პედაგოგი —
337

სკოტი ვალტერ (1771—1832) — ინგლი-
სელი მწერალი — 106

სკრაპინი ალექსანდრე (1871—1915) —
რუსი კომპოზიტორი — 120

სკუდეირი ჯოვანი (1817—1851) — თბი-
ლისში მომუშავე იტალიელი არქიტექ-
ტორი — 354

სობინოვი ლეონიდე (1872—1934) — რუ-
სი მომღერალი — 25, 397

სონდულაშვილი იროდიონ (1881—1958) —
მწერალი, ხელოვნებათმცოდნე — 253,
284, 286, 296, 328, 329

სოტილავა ზურაბ — მომღერალი, სსრკ
სახალხო არტისტი — 398

სტალინი იოსებ (1879—1953) — 405, 406

სტენდალი (1789—1842) — ფრანგი მწე-
რალი — 209

სტოლერმანი სამუილ (1874—1949) —
თბილისის საოპერო თეატრის ღირი-
ეორი 10—20-იანი წლების მიჯნაზე —
95

სტრიგოვსკი იოზეფ (1862—1941) — აესტ-
რიელი ხელოვნების ისტორიკოსი —
260, 261, 268, 424

სუდეიკინი სერგეი (1884—1946) — რუსი
მხატვარი — 13

სულაქველიძე ვახტანგ — მსახიობი — 238

სუმბათაშვილი-იუენი ალექსანდრე
(1857—1927) — მსახიობი და დრამა-
ტურგი — 114

სუმბაძე ლონგინოზ (1908—1984) — არ-
ქიტექტორი, მკვლევარი, პროფესორი —
173, 185, 186, 192, 198, 216, 218 —
220, 223, 252, 367, 384, 386

ტ

ტაბიძე ვალაკტიონ (1892—1959) — პოე-
ტი, აკადემიკოსი — 99, 102, 204, 205,
288, 436

ტაბიძე ტიცინი (1895—1937) — პოეტი —
44, 205, 396

ტალანოვი ალექსანდრე — ისტოლოგი —
127

ტატიშჩევი კორნელი — XIX—XX საუ-
კუნეთა მიჯნის თბილისელი არქიტექ-
ტორი — 354

ტერ-შიქელოვი გაბრიელ (1874—1949) —
თბილისელი არქიტექტორი — 354

ტერ-სტეპანოვა — თბილისის კონსერვა-
ტორიის პროფესორი — 117

ტეტია — თბილისელი ოსტატი — მშენე-
ბელი (XIX ს.) — 350

ტიერი ნიკოლ — ფრანგი ხელოვნების ის-
ტორიკოსი — 423

ტიერი უან-მიშელ — ფრანგი არქიტექტურის ისტორიკოსი — 423, 426

ტინიანოვი იური (1894—1943) — რუსი მწერალი და მეცნიერი — 110

ტოვსტონოვოვი გიორგი — რეჟისორი; სსრკ სახალხო არტისტი — 236, 237

ტოკარსკი — სომხური არქიტექტურის მკვლევარი — 227

ტოლერი ერნსტ (1893—1939) — გერმანელი მწერალი — 90

ტოლსტოი ალექსეი (1817—1875) — რუსი მწერალი — 127

ტოლსტოი ლევ (1828—1910) — 88, 105, 110

ტომპოში ერეი — უნგრელი ხელოვნებათმცოდნე — 427

ტრავერსარი პიერო — XIII საუკუნის იტალიელი (რავენელი) პატრიციუსი — 418

ტრეზინი დომენიკო (1670—1734) — რუსეთში მომუშავე შვეიცარელი ხელოვნებათმცოდნე — 146

ტრუფი — თბილისის საოპერო თეატრის დირიჟორი XIX ს. ოთხმოციან წლებში — 24

ტრუსკოვსკი ლუციან — თბილისის კონსერვატორიის პროფესორი — 117

ტურგენევი ივანე (1818—1883) — რუსი მწერალი — 110

ტურაევი ბორის (1868—1920) — რუსი ორიენტალისტი — 144

ტურნეფორი ფოლფ პიტონ (1656—1708) — ფრანგი ბოტანიკოსი და მოგზაური — 347, 386

ტურჩინინოვა ევდოკია (1870—1963) — მცირე თეატრის მსახიობი. სსრკ სახალხო არტისტი — 89

ტუსისშვილი საბა (XVIII ს.) — ნინოწმინდელი მიტროპოლიტი — 386

ტყეშელაშვილი ბორის — თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი (ომში დაიღუპა) — 312

ტყეშელაშვილი გიორგი — 296

უ

უვაროვა პრასკოვია (1840—1924) — რუსი არქეოლოგი, კავკასიის სიძველეთა მკვლევარი — 259

უზნაძე დიმიტრი (1886—1950) — ფსიქოლოგი, აკადემიკოსი — 3, 19, 147, 151, 257, 318, 329

უტიოსოვი ლეონიდ (1895—1982) — რუსი ესტრადის მსახიობი — 83

უსპენსკი პორფირი — ეპისკოპოსი — 153

ფ

ფალავანდიშვილი ნატალია — მხატვარი — 301

ფალავანდიშვილი ბარბაღე — 301

ფალიაშვილი ჯაქარა (1871—1933) — 24, 212

ფალიაშვილი ივანე (1868—1934) — 31, 95, 213

ფანცხავა იოსებ — 19

ფარეზასძე — XIII ს-ის ქართველი ხელოვნებათმცოდნე — 340, 379

ფარმაკოვსკი ბორის (1870—1928) — რუსი მეცნიერი, ანტიკურ სიძველეთა მკვლევარი — 181

ფარნაოზი (ძვ. წ. IV—III სს.) — იბერიის მეფე — 109

ფალავა აკაკი (1867—1962) — რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე — 232, 234, 237, 323

ფალავა ზალიკა (XIX ს. 20-იანი წლ.) — მეგრული თავადი — 137

ფაშალიშვილი სიკო (1894—1970) — პოეტი — 205

ფეილტი კონრად (1893—1943) — გერმანელი კინომსახიობი — 97

ფეიქრიშვილი ვახტანგ — არქიტექტორი — 173

ფენზენი ჰუმბერტ — თანამედროვე გერმანელი არქიტექტურის ისტორიკოსი — 437

ფერბენჟსი დუგლას (1883—1939) — ამერიკელი კინომსახიობი — 96

- ფერსმანი (1883—1945) — რუსი გეოქიმიკოსი და მინერალოგი — 85
- ფიროსმანი ნიკო (1862—1918) — მხატვარი — 320, 347, 372, 450
- ფირცხალავა სამსონ (1872—1952) — მწერალი, პუბლიცისტი — 99
- ფირცხალიაშვილი ალექსანდრე (1888—1965) — ისტორიკოსი, პროფესორი — 247
- ფიცხელაური ალექსანდრე (1893—1965) — კერამიკის სპეციალისტი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი — 19, 331
- ფიცხელაური გიორგი — ინჟინერი — 19
- ფოგელი ბორის (1871—1961) — თბილისში მოქმედა რუსი მხატვარი — 31
- ფომინი ივანე (1872—1936) — რუსი არქიტექტორი — 232
- ფონსეკა კოზიმო-დამიანო — ლეჩეს (იტალია) უნივერსიტეტის პროფესორი — 422, 434, 437, 447
- ქ. ფორაკიშვილი-სოკოლოვა — არქიტექტორი — 183
- ფოცხვერაშვილი კოტე (1880—1959) — კომპოზიტორი — 19
- ფრანკენი — მხატვარი — 347
- ფრანსი ანატოლ (1844—1924) — ფრანგი მწერალი — 109
- ფუფურიძე ვლადიმერ (1893—1966) — ირანისტი — 144
- ფურცელაძე ანტონ (1839—1913) — მწერალი — 33
- ფუშე მაქს-პოლ — თანამედროვე ფრანგი მწერალი — 375
- ქავთარაძე ირაკლი — არქიტექტორი — 337
- ქავთარაძე პეტრე (1882—1937) — ვეჟილი, ლიტერატორი — 257
- ქავთარაძე სერგო (1885—1971) — კომუნისტური პარტიის მოღვაწე — 257
- ქავთარაძე იროდიონ — მწერალი — 400
- ქაჩაია-ზახტაძე ქსენია — 163
- ქვარიათი სიმონ (1868—1946) — მწერალი, ისტორიკოსი — 108
- ქიაჩელი ლეო (1884—1963) — მწერალი — 19, 44, 99, 107, 165, 206—208, 402
- ქიქოძე გერონტი (1885—1960) — მწერალი — 19, 44, 83, 105, 205, 400—403
- ქიქოძე ელენე (1883—1966) — მუსიკის პედაგოგი — 120
- ქიქოძე შალვა (1894—1921) — მხატვარი — 282
- ქობულაძე სერგო (1909—1978) — მხატვარი, პროფესორი — 195, 196, 332, 337
- ქორელი გიორგი — კინოოპერატორი — 88
- ქორელი მიხეილ (1876—1949) — რეჟისორი — 88
- ქორიძე ფილიმონ (1829—1911) — მომღერალი — 24
- ქორქაშვილი ვიანესლავ (1910—1942) — არქიტექტორი — 184, 185, 252, 312
- ქოჩიაძე მიხეილ — არქიტექტორი — 185
- ქოჩარიათი სურენ (1904—1975) — მხატვრული კითხვის ოსტატი — 165, 238
- ქუთათელაძე აპოლონ (1900—1972) — მხატვარი — 99, 331
- ქუთათელაძე დავით (1901—1958) — მხატვარი — 331
- ქუთათელაძე დავით — მსახიობი — 238
- ქუთათელაძე ლადო (1902—1981) — მხატვარი — 331
- ქუთათელაძე ნელი — მსახიობი — 238
- ქუთათელაძე ნიმფა — პედაგოგი — 16
- ქუთათელი ალექსანდრე (1898—1982) — მწერალი — 205, 400, 402, 405
- ქუმისაშვილი ნიკო (1892—1942) — მომღერალი — 213
- ქურდიანი არჩილ — არქიტექტორი — 183, 184, 192
- ქურდიანი გრიგოლ (1873—1957) — ინჟინერი — 124, 174
- ქურდიანი ზაქარია (1909—1983) — არქიტექტორი — 185, 192

ქურხული ილიკო (1885—1954) — მოხეტიალე მუსიკოსი — 87
ქურიშვილი გიორგი (1886—1947) — პოეტი — 83, 99
ქურუჯაშვილები — 18
ქურუჯაშვილი ქეთევან — მწერალი — 68, 85

ლ

ლამბარაშვილი გაბრიელ (1878—1954) — ექიმი-გინეკოლოგი, პროფესორი — 16
ლამბაშიძე შალვა (1899—1955) — მსახიობი — 91, 92, 238
ლამბაშიძე როგნელა — ფილოლოგი — 169
ლარიჭანიანი მაქს — მხატვარი — 296
ლლონტი ალექსანდრე — ენათმეცნიერი, პროფესორი — 162
ლლონტი ხარლამაში — პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე — 199—202
ლოლობერიძე ნინო — ეთნოგრაფი — 328

მ

მაზახაშვილი გოგლო — პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი — 263
მაზბეგი ალექსანდრე (1848—1893) — მწერალი — 66, 98, 100
მაზბეგი დიმიტრი — 100
მანჩაველი გიორგი (1913—1982) — ბიოლოგი, პროფესორი — 68
მანჩელი გია — კომპოზიტორი — 447
მანჩელი სალომე (1921—1985) — მსახიობი — 238
მაუხჩიშვილი გუგული (გიორგი) — ექიმი — 414
მაუხჩიშვილი ნინო — ბერგამოს უნივერსიტეტის პროფესორი, სლავისტი — 414, 415, 421, 428, 429, 435—437
მაუხჩიშვილი სიმონ (1895—1981) — ბიზანტინოლოგი, ფილოლოგი, ისტორიკოსი-აკადემიკოსი — 19, 211, 247, 280, 414
მენია რუსუდან — ხელოვნების ისტორიკოსი, ჩართული ხელოვნების ისტორიის

ინსტიტუტის თანამშრომელი — 358, 430, 445

მირქესალი ივანე (1896—1958) — არქიტექტორი, პროფესორი — 174, 183, 191, 192
მიფიანი დიმიტრი (1814—1887) — საზოგადო მოღვაწე — 301, 400
მიფიანი პეტრე — პედაგოგი — 301
მიფიანი კოტე (1849—1921) — მსახიობი — 24, 38
მიფშიძე იოსებ (1883—1919) — ენათმეცნიერი, პროფესორი — 148
მიფშიძე ირაკლი — მხატვარი — 374
მიფშიძე ნიკოლოზ (1887—1954) — ექიმი, აკადემიკოსი — 329
მიფშიძე სიმონ (1887—1953) — ნეეროპათოლოგი, პროფესორი — 249
მუხანეიშვილი სერგო — არქიტექტორი — 173
მუშიტაშვილი ვასო (1894—1962) — რეჟისორი — 250

ნ

ნავერჯაშვილი ალექსანდრე — კომპოზიტორი — 115
ნავიშვილი მიხეილ (1894—1966) — არქიტექტორი — 174, 175, 183, 343
ნათირიშვილი კოტე (1868—1921) — მსახიობი და რეჟისორი — 38
ნალამბერიძე ამირან — ინჟინერი (ოპში დაიღუპა) — 68, 312
ნალიაპინი თედორე (1873—1938) — რუსი მომღერალი — 114
ნამელაშვილი რაფიელ — პროფესორი, ფილოლოგი — 169
ნამილი (1799—1871) — დალესტინის იმამი — 110, 111
ნანიძე აკაკი (1887—1987) — ენათმეცნიერი და ფილოლოგი, აკადემიკოსი — 19, 144, 148, 153, 328, 329, 225, 247, 406
ნანშიაშვილი სანდრო (1888—1979) — პოეტი, დრამატურგი — 124, 205
ნარაბიძე ნიკო (1878—1978) — პედაგოგი, კომპოზიტორი — 150

ლარაშიძე გიორგი — გურული დიალექტური ლექსიკონის შემდგენელი — 146
 შარაძე გურამ — ფილოლოგი, პროფესორი — 165
 შარდენი ფან — ფრანგი კომერსანტი და მოგზაური (XVII ს.) — 347, 336
 შარია პეტრე — ფილოსოფოსი, პროფესორი — 326
 შარლემანი იოსებ (1880—1957) — მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი — 92, 99, 160, 331, 332
 შატბერაშვილი გიორგი (1910—1965) — მწერალი — 205
 შავაქიძე ვანო — ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 257, 296, 297
 შებუევი ბორის (1879—1964) — მოქანდაკე, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი — 331
 შევარდნაძე დიმიტრი (1885—1937) — მხატვარი, საზოგადო მოღვაწე — 115, 118, 152, 159, 160, 199, 287, 288, 394
 შვიაიკვა ტატიანა — მხატვარი, ფრესკების კოპისტი — 433
 შენგელაია გიორგი — კინორეჟისორი — 430
 შენგელაია ნიკოლოზ (1903—1943) — კინორეჟისორი — 238
 შენგელაია დემნა (1896—1980) — მწერალი, აკადემიკოსი — 102, 205, 400, 402
 შექსპირი უილიამ (1564—1616) — 83, 105, 106, 137, 237, 376
 შიმკევიჩი ალექსანდრე — XIX—XX ს-თა ლიხნის თბილისელი არქიტექტორი — 354
 შინატხელი — მუშა-პოეტი — 209
 შიხმანი — თბილისელი ფოტოგრაფი — 6
 შკვარციანი ვასილ (1894—1967) — რუსი დრამატურგი — 85
 შმერლინგი ოსკარ (1863—1938) — თბილისელი მხატვარი — 290—293
 შმერლინგი რენე (1901—1967) — ქართული ხელოვნების ისტორიკოსი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ქარ-

თული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 225, 231, 246, 254, 257, 267, 268, 274, 290—293, 298, 299, 304, 306, 335, 358
 შმიტ-ოტი — პროფესორი, აღმოსავლეთ ევროპის გერმანული საზოგადოების თავმჯდომარე — 159
 შმიდტი ოტო (1891—1956) — რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი — 256
 შნააზე — გერმანელი ხელოვნების ისტორიკოსი — 261
 შუიზი ოგიუსტ — ფრანგი არქიტექტურის ისტორიკოსი — 261
 შოპენი ფრედერიკ (1810—1849) — პოლონელი კომპოზიტორი — 118
 შოუ ბერნარდ (1856—1950) — ინგლისელი მწერალი — 92
 შოსტაკოვიჩი დიმიტრი (1906—1975) — რუსი კომპოზიტორი — 300, 315
 შტრაუსი რიხარდ (1864—1949) — გერმანელი კომპოზიტორი — 447
 შტრუშმანი გუსტავ (1878—1929) — გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე — 70
 შუბერტი ფრანც (1797—1828) — ავსტრიელი კომპოზიტორი — 118, 447
 შუმანი რობერტ (1810—1856) — გერმანელი კომპოზიტორი — 119
 შჩუკო ვლადიმერ (1878—1939) — რუსი არქიტექტორი — 232
 შჩუსევი ალექსი (1873—1949) — რუსი არქიტექტორი — 232

ჩ

ჩაგუნავა ვაჟა — არქიტექტორი — 374
 ჩაიკოვსკი პეტრე (1840—1893) — რუსი კომპოზიტორი — 300
 ჩაპლინი ჩარლი (1889—1977) — ამერიკელი კინომსახიობი — 96
 ჩარსკაია — რუსი საბავშვო მწერალი — 52
 ჩაჩავა ნიკოლოზ (1901—1974) — პოეტი — 205, 210, 211
 ჩახავა მედვა — მსახიობი — 239
 ჩემბერლენი ოსტინ (1863—1937) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე — 70

ჩებანი ალექსანდრე — რუსი მსახიობი — 128

ჩემევი — ტომპაში ერებეტ — უნგრელი ხელოვნების ისტორიკოსი — 365, 423, 427

ჩერკესოვა ანა — ალექსანდრ ბენუას ქალიშვილი — 369

ჩერნიავესკაია ვეგენია (1889—1972) — მუსიკის პედაგოგი — 30, 110, 115—120

ჩერნიშევსკი ნიკოლოზ (1828—1889) — რუსი პუბლიცისტი, მწერალი — 13

ჩერჩილი უინსტონ (1874—1965) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე — 296

ჩეხოვი ანტონ (1860—1904) — რუსი მწერალი — 110, 371

ჩეხოვი მიხეილ (1891—1955) — რუსი მსახიობი — 97

ჩინჩლაძე ვაჟა — ფალიაშვილის მეზუემოს დირექტორი — 373

ჩირაძე ანა — პედაგოგი — 52

ჩისლივეი — არქიტექტორი — 188

ჩიტაა გიორგი (1890—1986) — ეთნოგრაფი, აკადემიკოსი — 191, 247, 367

ჩიტაია გიორგი (ჟორა) — ფიზიკოსი — 69

ჩიტაია დავით — თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი (ომში დაიღუპა) — 312

ჩიტაძე შიო (1873—1906) — პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე — 200

ჩიქობავა არნოლდ (1898—1985) — ენათმეცნიერი, აკადემიკოსი — 19, 150, 161, 234, 249, 274, 299, 317

ჩიქოვანები — ლეჩხუმელი ფეოდალები (XVIII ს.) — 390

ჩიქოვანი სიმონ (1903—1956) — პოეტი — 165, 205, 209

ჩუბინაშვილი გიორგი (1885—1973) — ხელოვნების ისტორიკოსი, აკადემიკოსი — 152, 159, 160, 183, 191, 196, 197, 198, 199, 211, 221, 225, 226, 229, 231, 246, 247, 254, 256—258, 262, 263, 265, 266—274, 277, 279, 281, 284, 286, 291, 294, 298, 299, 300, 313, 314, 316, 318, 329, 335, 345, 358, 359, 360, 364, 384, 385, 411, 412, 417, 428

ჩუბინაშვილი დავით (1814—1891) — ფი-

ლოლოგი, ლექსიკოგრაფი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი — 263

ჩუბინაშვილი ნიკო — ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 197, 222, 246, 257, 327, 333.

ჩუბინიშვილი რუსუდან — 221

ჩუბინიშვილი დავით — კინოსცენარისტი — 386

ჩუბინაშვილი ნიკოლოზ — არქიტექტორი — 173

ჩუღუცი თედორე (1888—1958) — მხატვარი — 29

ჩხაიძე სოსო — კინორეჟისორი — 438

ჩხარტიშვილი არჩილ (1905—1980) — რეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი — 375

ჩხარტიშვილი ნიკოლოზ — ინჟინერი — 173

ჩხეიძე ბორის (1902—1979) — მწერალი — 209

ჩხეიძე გრიგოლ (1887—1942) — ინჟინერი — 18, 246, 300

ჩხეიძე დავით — იურისტი — 16

ჩხეიძე კონსტანტინე — ავტორის პაპა — 138

ჩხეიძე ელენე (1883—1910) — 138

ჩხეიძე ნინო (ნუცა) (1881—1963) — მსახიობი — 88

ჩხეიძე სიმონ (1885—1974) — იურისტი — 16

ჩხეიძე ტატანა — 19

ჩხეიძე უშანგი — (1898—1953) — მსახიობი — 18, 38, 91—93, 150

ჩხეიძე შალვა (1903—1929) — მსახიობი — 92

ჩხენკელი ივანე — არქიტექტორი — 185, 252

ჩხიკვაძე გიორგი — ახალციხის რაიალმასკომის თავმჯდომარე — 339

ჩხიკვაძე გრიგოლ (1898—1936) — მუსიკისმცოდნე, პროფესორი — 117

ჩხიკვაძე მიხეილ (1903—1987) — არქიტექტორი — 183, 252

ჩხიკვიშვილი პოლიკარპე — ექიმი — 143

- ცაგარელი ალექსანდრე (1844—1929) — ფილოლოგი, ისტორიკოსი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი — 18, 108
- ცაიშვილი სარგის — ფილოლოგი, საქართველოს მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი — 165
- ცაცხლაძე გრიგოლ (1894—1976) — პოეტი — 400
- ცვაიგი შტუჟან (1881—1942) — ავსტრიელი მწერალი — 109
- ციმაკურიძე ალექსანდრე (1882—1954) — მხატვარი — 31, 331, 347
- ციმბალისტი ეფრემ — ამერიკელი მევიოლინე — 263
- ცინცაძე ვახტანგ — ხელოვნების ისტორიკოსი, არქიტექტორი-რესტავრატორი — 246, 257, 300, 302, 304, 306, 313, 333, 335, 358—360, 386, 410
- ცინცაძე იასე (1903—1975) — ისტორიკოსი, პროფესორი — 247
- ცინცაძე კალისტრატე (1866—1952) — საქართველოს კათალიკოსი 1932—1952 წლ-ში — 210, 253
- ცინცაძე სულხან — კომპოზიტორი — 447
- ციცაგი არჩილ (1910—1936) — არქიტექტორი — 173
- ციცაგი ზაქარია — არქიტექტორი (ომში დაიღუპა) — 312
- ციციშვილი დავით (1901—1986) — მხატვარი, გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტი, პროფესორი — 331
- ციციშვილი ირაკლი — არქიტექტურის ისტორიკოსი, პროფესორი — 368
- ციციშვილი (ციციანოვი) პავლე (1754—1806) — კავკასიის მთავარმართებელი 1803—1806 წლებში. — 33
- ციციშვილი ნელი (1910—1979) — არქიტექტორი — 185
- ციხისთავი ლუკა — I სკოლის პედაგოგი — 122
- ცხეღაძე ნიკო (1845—1911) — საზოგადო მოღვაწე — 203, 253

- ძიმიგური შოთა — ენათმეცნიერი, აკადემიკოსი — 145, 169, 249
- ძნელაძე შალვა (1894—1934) — მხატვარი — 246

- წერეთელი აკაკი (1840—1915) — 23, 24, 98, 100, 111, 123, 124, 130, 395
- წერეთელი ალექსანდრა (1900—1970) — ხელოვნებათმცოდნე — 331
- წერეთელი ალექსანდრე (1889—1967) — ისტორიკოსი, პროფესორი — 147
- წერეთელი ბაბო — ფილოლოგი — 146
- წერეთელი გიორგი (1842—1900) — მწერალი — 16, 87, 239
- წერეთელი გიორგი (1904—1973) — აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი — 244, 281—283, 412
- წერეთელი გრიგოლ (1870—1938) — ფილოლოგი, პროფესორი — 128
- წერეთელი დავით (1896—1980) — მხატვარი — 33
- წერეთელი ექვთიმე — მწერალ გიორგი წერეთლის მამა 293
- წერეთელი ვასილ (1864—1937) — ექიმი, ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე — 283
- წერეთელი თინათინ (1903—1980) — იურისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი — 283
- წიკლაური ვახა (1880—1928) — ერთ-ერთი პირველი ქართველი ალპინისტი, მოხევე — 31
- წილკნელი ამვროსი — XVIII საუკუნის სასულიერო მოღვაწე და კალიგრაფი — 381
- წულაძე სერგო (1917—1977) — ფსიქიატრი, მთარგმნელი — 451
- წულუისკირი მირონ — ინჟინერი, სამშენებლო ინსტიტუტის ლექტორი — 174
- წულუკიძე ზურაბ — ინჟინერი — 176
- წულუკიძე ივანე (ვანო) (1899—1983) — მწერალი — 147
- წულუკიძე ნინო — პედაგოგი — 16

წუნუნავა ალექსანდრე (1881—1955) — რეჟისორი — 97, 238, 289

წუნუნავა ცეცილია (1892—1956) — მსახიობი — 92

ჰ

ჰაბუკიანი ვახტანგ — მოცეკვავე, სსრკ სახალხო არტისტი — 409

ჰავჰავაძე ალექსანდრე (1786—1846) — პოეტი — 35, 110

ჰავჰავაძე დავით — ალექსანდრე ჰავჰავაძის ძე — 110

ჰავჰავაძე ეკატერინე (1816—1882) — ალექსანდრე ჰავჰავაძის ასული, სამეგრელოს მთავრის მეუღლე — 111

ჰავჰავაძე თამარ (1852—1933) — ალექსანდრე ჰავჰავაძის შვილიშვილი — 110

ჰავჰავაძე ილია (1837—1907) — 25, 71, 99, 100, 123, 124, 175, 182, 203, 253, 395

ჰავჰავაძე ნინო (1812—1857) — ალექსანდრე ჰავჰავაძის ასული — 111

ჰანტურიშვილი პავლე — ზოოლოგი, პროფესორი — 68, 69

ჰელიძე თამაზ — ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 386

ჰიაურელი მიხეილ (1894—1974) — კინორეჟისორი, მხატვარი, სსრკ სახალხო არტისტი — 323

ჰიზინაძე ალექსი (1851—1917) — პედაგოგი — 16

ჰიზინაძე ბესარიონ (1887—1937) — ინჟინერი — 13, 16

ჰიზინაძე კონსტანტინე (1891—1960) — პოეტი — 165, 195, 205

ჰიზინაძე კოტე (1914—1942) — ინჟინერ-გეოლოგი — 68, 72, 98, 203, 312

ჰიზინაძე პეტრე (1903—1951) — მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი — 92

ჰონქაძე დანიელ (1830—1860) — მწერალი — 33, 98

ჰოლოშვილი გიორგი — მათემატიკოსი, აკადემიკოსი — 68, 71, 203, 243

ჰოლოშვილი სევერიანე (1878—1960) — ექიმი — 243

ჰუბაბრია ვია — კინორეჟისორი — 451

ჰუმბურძე გიორგი (1874—1959) — პედაგოგი — 41

ბ

ბალიუტინა — მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი — 238

ბანანაშვილი მიხეილ (1888—1972) — ქიმიკოსი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი — 331

ბანძთელი გრიგოლ (VIII—IX სს) — სასულიერო მოღვაწე — 326

ბარაშვილი ლეო — არქიტექტორი — 185

ბაძიტაყისი მანოლის — ბერძენი მეცნიერი, ბიზანტიური ხელოვნების მკვლევარი, აკადემიკოსი — 444

ბიფეცი იაშა — ამერიკელი მევიოლინე — 263

ბეჩინაშვილი გერა — არქიტექტორი — 374

ბეჩინაშვილი გიორგი (1892—1955) — ქირურგი, პროფესორი — 8, 9

ბერუაშვილი გიგო (1879—1960) — მუშაპოეტი — 209

ბიდაშელი შალვა — არქეოლოგი, ფილოსოფოსი, პროფესორი — 197, 257

ბიშნიაშვილი გიორგი (1904—1972) — არქიტექტორი — 183

ბიშნიაშვილი ნიკოლოზ — გეოლოგი, პროფესორი — 68

ბმელვესკი — ოციან წლებში თბილისში მომუშავე პოლონელი მხატვარი — 66

ბონელი შალვა (1887—1972) — მსახიობი — 92

ბორავა აკაკი (1895—1972) — მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი — 89, 150, 234, 237, 238

ბოჭაბეგოვი ვანო — თბილისელი მხატვარი — 347

ბუბუა მაკარ (1890—1956) — ირანისტი — 19

ბუნდაძე სილოვან (1860—1928) — მწერალი, პედაგოგი — 147, 150, 287

ბუნდაძე ტროფიმე (1889—1977) — ის-

ტორიკოსი, პროფესორი — 18
ხუსკივაძე ლეილა — ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი — 421, 427
ხუციშვილი მარიამ — მხატვარი — 66
ხუციშვილი სოლომონ — ფილოლოგი, პროფესორი — 148

ჯ

ჯავახიშვილი ალექსანდრე (ლალი) — არქეოლოგი, ხელოვნებათმცოდნე — 373
ჯავახიშვილი დიმიტრი (1891—1971) — ექიმი, პროფესორი — 328, 329
ჯავახიშვილი ივანე (1876—1940) — ისტორიკოსი, აკადემიკოსი — 79, 108, 128, 146, 147, 148, 156, 195—197, 203, 247, 251, 252, 256, 257, 264, 279, 288, 294, 296
ჯავახიშვილი მიხეილ (1880—1937) — მწერალი — 41, 180, 114, 205
ჯავახიშვილი კახა — არქიტექტორი — 252
ჯავახიშვილი ნატალია (1882—1950) — მსახიობი — 238
ჯავახიშვილი ნინო — ექიმი-ანატომი, აკადემიკოსი — 68, 123
ჯავრიშვილი ვასილ — გეოლოგი — 84
ჯავრიშვილი კოტე (1914—1977) — გეოლოგი, სპელეოლოგი, ლიტერატორი — 68, 69, 72, 73, 80—86, 89, 98, 106, 109, 165, 192, 194, 203, 204, 211
ჯანაშვილი შოსე (1855—1934) — ისტორიკოსი — 108, 160, 167, 278
ჯანაშია ლაშა (1931—1982) — ისტორიკოსი — 278, 407
ჯანაშია სიმონ (1900—1947) — ისტორიკოსი, აკადემიკოსი — 19, 76, 79, 274, 276, 277, 278, 298
ჯანბერიძე ნოდარ — არქიტექტურის ისტორიკოსი, პროფესორი — 386, 391
ჯანდიერი გიორგი (1903—1966) — არქიტექტორი — 173

ჯანდიერი შარიამ — არქიტექტორი — 358
ჯანელიძე ალექსანდრე (1888—1975) — გეოლოგი, აკადემიკოსი — 3, 9, 19, 76, 78, 84, 142, 147, 151, 168, 274, 329
ჯანელიძე ლევან (1911—1981) — არქიტექტორი — 185, 190, 193
ჯაფარიძე დავით — პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი — 377
ჯაფარიძე ვახტანგ (1901—1986) — მხატვარი — 331
ჯაფარიძე ვახტანგ — არქეოლოგი — 257
ჯაფარიძე ირინე (1913—1981) — ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — 257, 295
ჯაფარიძე მიხეილ (1906—1964) — დრამატურგი — 400, 402, 405, 408
ჯაფარიძე ტრიფონ — ქუთაისის მუზეუმის დირექტორი 20—30-იან წლებში — 149
ჯაფარიძე უჩა — მხატვარი, სსრკ სახალხო მხატვარი — 195, 323, 331, 332, 363
ჯაში გიორგი — მხატვარი — 331
ჯაყელები — სამცხე-საათაბაგოს მფლობელები ((XIII—XVI საუკუნეები) — 340
ჯგუშია დამიანე — ქართველ სიძველეთა რევეაკუაციის კომისიის მუშაკი — 153, 155
ჯიქია სერგი — აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი — 295
ჯორჯაძე არჩილ (1872—1913) — პუბლიცისტი — 33
ჯორჯაძე ბარბარე (1811—1895) — მწერალი — 24
ჯორჯაძეები — 18

ზ

ზაქენსი ტონი — თანამედროვე ბელგიელი ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი — 438
ზამანი რიხარდ (1879—1981) — გერმანელი ხელოვნების ისტორიკოსი — 430
ზარაბაძე XI საუკუნის ქართველი ხელოთმოძღვარი — 379

ჭაუდუკი — მუსიკის მასწავლებელი — 143
ჭაჭიბელი ვალერია (ლელი) — არქიტექტორი — 69

ჭენდფორტი თომას — მხატვარი — 28
ჭიბჭი ენძო — იტალიელი არქიტექტორი — 417, 418, 424, 429, 438
ჭიუგო ვიქტორ (1802—1885) — ფრანგი მწერალი — 375

ჭიუჯი ემერის — ინგლისის პარლამენტის წევრი — 376

ჭოფმანი იოზეფ (1876—1957) — პოლონელი პიანისტი — 114

ჭრინვესკი ჰენრიკ (1869—1937) — მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი — 25, 71, 160, 174, 331, 333

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

დასაწყისი. ჩვენი ოჯახი და მისი გარემო	3
მაშინდელი თბილისი .	30
სკოლის წლები	50
ხონი	129
მამაჩემი	141

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

სტუდენტობის წლები .	170
სტუდენტობის წლები თავდება	214
ასპირანტურის წლები, ინსტიტუტის დაარსება	225

ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე

ჩვენი ინსტიტუტი. პირველი წლები . .	257
პირველი წლები ომის დამთავრების შემდეგ .	312
თბილისის თემა	346
ჩვენი ინსტიტუტის მუშაობა ფართოვდება. ორმოცდაათიანი და სამო- ციანი წლები	356
ქართული ხელოვნება საერთაშორისო ასპარეზზე	411
პირთა საქმიებელი	452

რედაქტორი ი. ზალიშვილი
მხატვარი დ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ე. ყარყარაშვილი
გამომშვეები შ. წივწივაძე

გადაეცა წარმოებას 17.08.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.11.87. სა-
ბეჭდო ქალაქი № 1. 60×84¹/₁₆. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მა-
ლალი. უე 01479. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 28,36+ჩაკვრა 2,79. პირ.

საღ.-გატ. 31,38. სააღრ.-საგამომც. თაბახი 33,66.

ტარაჟი 20.000 (11 ჩაშვება 10.001—20.000). შეკვ. № 2979.

ფასი 2 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственно-го комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.